73/2

ცისფერი

114/2

86

3

1973

მნათობი

უოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 49-ე № 3 მარტი, 1973 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

შალვა ამირანაშვილი — ლექსები 3
ოთარ ჭილაძე — გზაზე ერთი კაცი მიდიოდა. რომანი. დასასრული . . . 6
გივი გეგეჭკორი — ლექსები 73
გურამ დოჩანაშვილი — თავფარავნელი ჭაბუკი. მოთხრობა 76
ვალერიან ჩეკურიშვილი — ანდერძი. მოთხრობა 94
ჯანო ჯანელიძე — ლექსები 111
როდიონ ჭორჭია — ხაფანგი. მოთხრობა 114
ოთარ ჩიჯავაძე — თვითმკვლელები. რომანი. გაგრძელება 123
შალვა ფორჩხიძე — ლექსები 153
ალექსანდრე პუშკინი — ევგენი ონეგინი. გაგრძელება. თარგმნა ოთარ ჭელიძემ 159
აპოლონიოს როდოსელი — არგონავტიკა. დასასრული. თარგმნა აკაკი გელოვანმა 168

წიგნების მიმოხილვა

იური სიხარულიძე — ეძღვნება რუსუდან ხარაძეს 188
იაროსლავ ისაევიჩი — „მარტინ გაუმგარტნერის ჩანაწერები“ 190

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლეგანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური (პ/მგ. მდივანი), ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 4/I-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-73 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.
უე 01768, ტირაჟი 13.300, შეკვ. 16.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

მშვიდობის დედაქალაქში

მოზაიკა პირველი

დედაქალაქის
ცის კაბადონზე
ქარი არ წივის ბრაზმორეული;
დგას მყუდროება
და მთვარის შუქზე
ცივად ციმციმებს მავზოლეუმი.
ამბობენ: ღამით,
გვიანი ღამით,
როს
მყუდროება ზღვებსაც მოიცავს,
სტოვებს ლენინი
მავზოლეუმს და
რჩება ჭრილობა ყველა დროისა.
მიდის ამაყად,
სადაც კი შევა,
ყველგან
სიცოცხლე შეაქვს გმირული;
მიდის და
მის ერთ ამოსუნთქვაზე
ცხრამტკავლიანი დნება ყინული.
რომელ ჭერქვეშაც
იხილავს ბავშვებს,
სწორედ იქ უნდა მასაც დარჩენა,
მაგრამ დიდია
სამშობლო მისი,
წავა და
ახლა სხვაგან გაჩნდება...
ქვეყნის იმედად
მოსიარულე
გათენებამდე ბრუნდება უკან, —
და სიყვარული
ადამიანთა
ბელადს
კვალდაკვალ მოჰყვება შუქად...
მოჰყვება შუქად,
მშობლიურ ცაზე
ქარი არ წივის ბრაზმორეული,
ტანით გოლიათს
არ ჰგავს ბელადი, —
მაინც მაღლდება მავზოლეუმი...
დრო ბევრი გავა
ათასწლოვანი,
ჩაქრება
ბევრი სიცოცხლის დღენი,
ბელადს ბელადი
ერქმევა მარად,
ვერ მოერევა სიკვდილი ლენინს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზაიკა მეორე

აქ მიწის ქვეშეთი რა იყო მაშინ?! —
ბუხლამდე მივლია შლამიან წყალში.
სად
რომელ სადგურის ბალავარს ვთხრიდით,
ან რომელ ღარტაფზე გაჰყავდათ ხიდი,
საიდან ვიცოდი სოფლელმა ბიჭმა,
ჯერ კიდევ
ორღობის მხიბლავდა მიჯნა...
მე
სულაც ვეღარ ვცნობ მაშინდელ გვირაბს,
ძრავების გრიალში ჟრიალს რო მგვრიდა
მე
სულაც ვეღარ ვცნობ მაშინდელ თაღებს
დღედაღამ გულდაგულ შრომაში ნაგებს.
მე
სულაც ვეღარ ვცნობ დარბაზებს დიდრონს,
დიდ ხარაჩოებში დავტოვე იმ დროს...
შევყურებ
ლამპრებით მოსარტყლულ გუმბათს,
გუმბათზე მტრედები დამსხდარან გუნდად.
ვფიქრობ და
მამაღლებს ჩემივე ფიქრი,
რომ არც მე მდენია ამაოდ ხვითქი...
მივდივარ,
დავეძებ ლოპოტის ლოდებს,
ხომ არა ნატრობენ მშობლიურ კბოდეს?!.
ლანგრებზე
შემართულ ელექტროთასებს
რქაწითლის მაგვარი სინათლე ავსებს!..
წაშლილა საზღვარი დღისა და ღამის, —
და მარმარილოთა წალკოტი ჰყვავის...
აქ
შუა ზამთარშიც ვერ აღწევს ყინვა,
დგას საგაზაფხულო ფერების ბრწყინვა.
აქ
ადამიანთა ნებას და სურვილს
ვერ უძლებს ბუნება შეკრული შუბლით...
ქალაქად
ქცეულა მოსკოვის ფსკერი,
მოსკოვის ფსკერზედაც სიცოცხლე მღერის.
შიგ
მდინარეებად დაძრულა ხალხი,
მიდის და
მიჰყვება ცხოვრების ძახილს...
არ ცხრება ელმავლის მსვლელობა ჩქარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირაბის ყბებიდან უბერავს ქარი...
ქარიო?
ეს თვითონ მოსკოვი სუნთქავს,
ქარს, აბა, რა უნდა სამყაროს გულთან?!.

მოზაიკა მესამე

—რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია,
მშვიდობის ნათელ დროშებს კი
სამშობლო უმშვენებიათ! —
ძველად
ამგვარი სიმღერის
თუ ვინმეს ჰქონდა უფლება,
ძმებო,
სიმღერა სიყვარულს
დღეს უფრო არ მოუხდება?!.
ვინ დაადუმა გრიგალი,
ვინ დაამკვიდრა მშვენება,
ვინ შეაჩერა გმირულად
ნგრევა და გადაშენება?!.
ვინ აღადგინა
ფერფლიდან
უზარმაზარი ქარხნები,
ვინ მოაშუშა,
დააცხრო
ნატყვიარი და ნახმლევი?!.
ვინ ააყვავა მინდვრები
დამწვარი, ნაპარტახალი,
ვინ ააჩქეფა
არხები,
არხები ახალთ-ახალი?!.
ვინ დასძრა
ცისკენ ხმაურით
ხარაჩოები ვეება,
ვინ ააღელვა უდაბნო
რტოებდაგრაგნილ ტყეებად?!.
ვინა და,
ვისი სიცოცხლეც
ლენინურ
მზისქვეშ გიზგიზებს,
ვინც ვიბრძვით,
ვშრომობთ, ვაშენებთ,
მივილტვით კომუნიზმისკენ.
ვინა და,
ვისი სიმღერაც
კიდით-კიდემდე გადადის,
ვისი სამშობლოც გამხდარა
მშვიდობის ფარ-მუზარადი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

გზაზე ერთი კაცი მიდიოდა

რომანი

ბედია იმ მცირერიცხოვან ძველ ვანელებს ეკუთვნოდა, „კარგ დროს რომ მოსწრებოდნენ“, მაგრამ, როგორც ყველგან, არც ვანში სჯეროდა ვინმეს „კარგი დროის“ არსებობა. ეს აქაც ბებრების ახირებად, სიბერის მანუგეშებელ ოცნებად ითვლებოდა. „თუ დავბერდით, ჩვენც ასე ვიტყვითო“—ამბობდნენ ისინი, თუმცა გულში ცოტა ეშინოდათ კიდეც, ვაითუ სიბერე ისეთი მტარვალია, ეს გაძაღლებული ცხოვრება ჩვენც სანატრელი გაგვიხდესო. მაინც იხტიბარს არ იტეხდნენ და ძველებურად ცხოვრობდნენ. ცხოვრება კი ბრმა იყო, უგულო და უპოვარი. ძირგახვრეტილი გუდით ორ დღეს დაატარებდა, ორ ლეკვს, თეთრსა და შავს, ერთს სიცილისა ერქვა, მეორეს კი — ცრემლისა. რომელიც ხელში მოხვდებოდა, იმას ამოიყვანდა ხოლმე გუდიდან, თვითონ კი იჯდა, მზეს ეფიცხებოდა, ბებერ ძვლებს ითბობდა და ლიბრგადაკრულ თვალებს აფახულებდა.

ფარნაოზიც შეგუებოდა ბედს, არა მარტო შეჰგუებოდა, სადღაც, სულის სიღრმეში კმაყოფილიც იყო ბედისა. ოჯახი ჰქონდა, შვილი ეზრდებოდა, ღობეზე მამალი უყიოდა, საქმე მოსდევდა და მისი კრამიტიც კრიალებდა მზის ქვეშ. მაგრამ იმავე სულის სიღრმეში ეჭვიც გასჩენოდა, შემოხიზვნოდა, როგორც წვიმიან ღამეში გზააბნეული მგზავრი, რომელსაც სხვისი ოჯახის სითბო ძვალ-რბილში გასჯდომოდა, სხვისი პურით დანაყრებულიყო და წასვლას აღარ აპირებდა, ჩემს სახლს აქა სჯობიაო. „კი შეიფერე, მაგრამ ერთი გეკითხა მაინც, გეკუთვნის თუ არ გეკუთვნისო“ — გამოსძახებდა ხოლმე სულის ბნელ კუნჭულში შეყუჟული ეჭვი. სიბნელიდან მხოლოდ მისი ფოლადისფერი თვალები აკვესებდნენ, მაგრამ ფარნაოზს მაინც ეშინოდა, ოჯახის სხვა წევრებსაც არ შეემჩნიათ იგი, არ დაეწყოთ გამოკითხვა, ვინ არის და რა უნდაო. ფარნაოზიც მალავდა რაც შეეძლო, აფუჩეჩებდა, რადგან მარტო აღარ იყო, უფრო სწორედ, მარტო თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. დროს ბევრი რამე შეეცვალა, გაენელებინა მაინც, და ნაცარივით წაჰყროდა ყველაფერს, რითაც ფარნაოზი აქამდე სულდგმულობდა. ახლა მამასაც ამართლებდა იგი და როცა პატარა უხეიროს სამი ქალი ძალით ატიტვლებდა, ძალით სვამდა ტაშტში და ძალით აბანავებდა, დიდი უხეიროს ჯიუტი დუმილის ფასიც ესმოდა. სამი მზრუნველი

დასასრული. იხ. „მნათობი“ 1972 წ. № 11, 12, 1973 წ. № 1, 2.

ქალის ხელებში ასხმარტალებული ბავშვის ვარდისფერი სხეულის სურნელება მთელ ქვეყანას რიყრაყივით ეფინებოდა, მასაც აბრუებდა, გულს უჩუყებდა და ყველაფრის მოთმენას აჩვევდა. ეჭვი კი ხითხითებდა, ხითხითებდა და ეს ხითხითი, თავზარდაცემულ ფარნაოზს ბედისწერის ვერაგობას ახსენებდა; ისევ წამოყოფდა ხოლმე თავს გარდაუვალი უბედურების წინათგრძნობა, ჩაქუჩსა და საჭრეთელს ხელიდან გააგდებინებდა და შინისაკენ აქნევინებდა პირს, თითქოს მის იქ არყოფნაში დიდი უბედურება მომხდარიყო და ახლა იმაზეღა იყო საქმე—ცოცხლებს მიუსწრებდა თუ ვერა. მაგრამ საკმარისი იყო, გაეგო პატარა უხეიროს ხმა, ჭიშკრამდე მისული უკანვე გამობრუნდებოდა ხოლმე. „ა-ა-ა-აღ“ — ღაღანებდა პატარა უხეირო და ფარნაოზიც მზად იყო, ამ უაზრო ხმის გაგონებაზე, ძალლივით ეყეფა, ძროხასავით ეზმუვლა, ქათამივით ეკაკანა და ლომივით ებრდღვინა ოთხზე დამდგარს, ოღონდ არაფერი დაშავებოდა, არაფერი შემთხვეოდა ამ ვარდისფერ არსებას, მისი იმედით რომ გამოჩოჩებულიყო მზის გულზე, რადგან თვითონ ჯერ ბრმასავით საცოდავი და საპყარივით უმწეო იყო. „დაუფიქრებლად, დაუფიქრებლადო!“— შეუძახებდა ხოლმე ფარნაოზი სულის კუნჭულში შეყუჟულ ეჭვს, კვიმატურ შეკითხვებს რომ აძლევდა და უარესად უფორიაქებდა გონებას. „დავუშვათ, პატარა უხეირო, ერთ მშვენიერ დღეს ფეხსადგილის ორმოში“... — იგონებდა ახალ საშინელებას ეჭვი და ფარნაოზიც პირიდან აგლეჯდა სიტყვას. დაუფიქრებლად, დაუფიქრებლადო, ჩასძახოდა და უნებურად ფეხს უჩქარებდა, რადგან ეჭვმა უთვალავი საშინელება იცოდა, რაც კი პატარა ბავშვს შეიძლებოდა შემთხვეოდა.

იმ დღესაც ეჭვის ღვარძლიანმა ხითხითმა დაუბნელა ფარნაოზს თვალი და ისე მწარედ წამოჰკრა ფეხი ქვას, ხმამაღლა შეჰყვირა, ასკინკილით მიირბინა კედლამდე და იქვე ჩაჯდა. ტკივილიც გაედევნა, არ მოეშვა და მიქსეული ქოფაკივით თავზე დაადგა. ფარნაოზი თავფეხიანად გაიოფლა, თითქოს ვიღაცამ ჭურჭლის ნარეცხი, ქონიანი წყალი გადმოასხა ბანიდანო. ცერა თითზე, ოდესღაც ცულით გაპობილ ფრჩხილს ისევ პირი დაეღო. ფარნაოზმა ნატკენი თითი მუჭაში მოიმწყვდია. ხელის თითებს შორის სისხლმა გამოჟონა. ფარნაოზმა შეიგინა და მხოლოდ ამის მერე დაინახა ქალი, რომელიც ქუჩის გადაღმა ჭიშკართან იდგა, მისკენ იყურებოდა და იღიმებოდა. „სადღაც მინახავსო“ — ისე, უანგარიშოდ გაიფიქრა ფარნაოზმა და შერცხვა, რადგან უცებ წარმოიდგინა, როგორ იჯდა, ბალღივით, არა, მაწანწალასავით, კედელთან ჩაცუცქული, სიმწრის ოფლით გალუმპული და ტკივილისგან დაღრეჯილი. ქალი კი იღიმებოდა. ფარნაოზმა თავს ძალა დაატანა და თვითონაც გაიღიმა, ღიმილით მოუბოდიშა ქალს და წამოდგომა სცადა. ქალმა ახლა ხმამაღლა გაიცინა, გადაიკისკისა. ფარნაოზი გაბრაზდა, კი არ გაბრაზდა, გული ჩასწყდა, მისი უმწეობა სასაცილოდ რომ არ ყოფნიდა ამ უცხო ქალს, მაგრამ საკუთარი უმწეობის შეგრძნებამ ისე დააფრთხო და დააბნია, ლაპარაკის უნარი საერთოდ წაერთვა. შებრუნდა და, ფეხმოტეხილი ქათამივით, ხტუნვა-ხტუნვით გაუყვა კედელს.

— მოიცადე — დაუძახა ქალმა.

ფარნაოზმა რომ არ მოხედა, ქუჩა გადმოირბინა, გაუსწრო და დოინჯშემოყრილი წინ გადაუდგა. ჭიპამდე ჩაჭრილი კაბა ეცვა. ხორბლისფერი, ოდნავ დანამული კანი კაბის ამონაჭერს ისე ავსებდა, როგორც სარკმელს სინათლე. სანახევროდ საამკარაოზე გამოცცებული ძუძუები განუწყვეტლივ ადი-ჩადიოდნენ, თითქოს ერთი წამითაც რომ გაჩერებულიყვნენ, ქვეყანა დაიქცეოდა. ფარნაოზმა თვალი აარიდა ქალს, ქალმა კი ისევ გაიცინა და ფარნაოზს ახლა მისი ხმაც ეცნაურა. შეკრთა და დაიძაბა, თითქოს ეს ხმა რაღაცის გახსენებას თხოვდა, კი არ

თხოვდა, ავალდებულებდა. „ არა, არ მახსოვსო“ — გუნებაში გაიბრძოლა ფარნაოზმა. ქალმა გაკვირვებულმა შეხედა. ახლა მის თვალებში სიბრალული და თანაგრძნობა ჩაბუდებულიყო. სხვას კი არა, ფარნაოზსაც აღარ სჯეროდა, ეს ქალი თუ იყო სწორედ, ამ ერთი წუთის წინათ გულიანად რომ კისკისებდა. ქალს ოდნავ ჩამოწეული ქვედა ტუჩი უცახცახებდა და საცაა პირველი ცრემლებიც გამოჩნდებოდნენ უეცარი და საიდუმლო სევდისაგან გაცრეცილ სახეზე. ამანაც შეაწუხა ფარნაოზი და ისევ აარიდა თვალი. ქალმა კი მის წინ ჩაიჩოქა და ჩამოკონწიალებულ ფეხს პეშვები ფრთხილად ამოსდო, თითქოს ჩანჩქერს შეუშვირა.

— არა! — ახლა უკვე ხმამაღლა იყვირა ფარნაოზმა და როცა ქალმა გაოცებულმა ამოხედა, ყველაფერი გაახსენდა. ფეხი ძალით გამოგლიჯა ქალს და მიუხედავად ტკივილისა, ისე დაუდევრად დაჰკრა მიწაზე, მტვერი ავარდა. მტვერში გახვეული ქალის სახე ნაძალადევ ღიმილს გაესაცოდავებინა: ასე მაშინ იღიმება ადამიანი, როცა მისი არ სჯერათ, დამსახურებული ნდობის ნაცვლად უნდობლობას უცხადებენ, ანდა მადლობის ნაცვლად საყვედურობენ.

— თავი დამანებე. — თქვა ფარნაოზმა.

— არც ამის უფლება მაქვს? — ჰკითხა ქალმა.

„დამცინისო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა.

— ისე საცოდავად მიხტუნავდი... — არ დაამთავრა სათქმელი ქალმა.

— მერე შენ რა? — ისევ გაბრაზდა ფარნაოზი.

ხუთი წუთის შემდეგ ფარნაოზი უკვე ქალის ოთახში იჯდა და თითიც უკვე შეხვეული ჰქონდა. ქალმა ძმარში გაწურული ძონძით მოუწმინდა ჭრილობა. ძმარმა ხორცი რომ აუწვა და თითები მოუკრუნჩხა, ქალმა ისევ გაიცინა. „რა ყველაფერზე იცინიო“ — უთხრა ფარნაოზმა. „ მიხდება და იმიტომო“ — უპასუხა ქალმა.

შემოვიდა თუ არა, ფარნაოზს მაშინვე საწოლი ეცა თვალში, არაბუნებრივად დიდი, სუფთა და ცარიელი, სარკოფაგს უფრო ჰგავდა, ვიდრე საწოლს. ფარნაოზი სულ ამ საწოლს ხედავდა, თუმცა თავჩაღუნული იჯდა სკამზე, სანამ ქალი თითს შეუხვევდა. ქალი ისე გაიტაცა საქმიანობამ, ფარნაოზი თითქოს გადაავიწყდა; არსებობდა მხოლოდ ფარნაოზის ნატკენი თითი და თვითონ. თვითონაც იმიტომ არსებობდა, ამ თითის ტკივილი რომ დაეცხრო. ჩვილივით შეეფუთა, ჩვილივით კი არა, თოჯინასავით და მართლაც შინაკეთი თოჯინასავით გაფუყულ თითს გულში იხუტებდა, აღუ-აღუს დასძახოდა და ბედნიერი იყო. მერე უხალისოდ წამოდგა, თითქოს მოულოდნელად იმ თოჯინის ნამდვილი პატრონი დაადგა თავზეო, გულხელი დაიკრიფა და ფარნაოზს უთხრა: ახლა შეგიძლია წახვიდეო. ფარნაოზი სანდლის ზონარს იკრავდა და ისევ საწოლი ედგა თვალწინ, ქალის საწოლი, სარკოფაგივით ცივი და დამთრგუნავი.

ქალი ბედნიერი იყო და ვერც მალავდა, ყველაფერი სახეზე ეხატა, როგორც ალის ანარეკლი კოცონთან მდგარს. იმასაც გრძნობდა, მთელი სიცოცხლე ამ წუთის მოლოდინში რომ გაეტარებინა, რადგან სწამდა მისი არსებობა, მისი გარდუვალობა და, რაც მთავარია, ერთხელადაც არ დაეჭვებულა, იყო თუ არა ღირსი ამ წუთისა. მისი აზრით, ერთი ბედნიერი წუთის უფლება ყოველ არსებას ჰქონდა, როგორი საშინელიცა და უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო იგი. განა ადვილი იყო ცხოვრება, თუკი დარწმუნებული არ იქნებოდა, რომ არც მას დაივიწყებდნენ, არ გამოტოვებდნენ, არ გამოარჩევდნენ, როცა იმ ერთადერთი წუთების დარიგების დრო დადგებოდა. ვისზე ნაკლებს აკეთებდა, ანდა ითმენდა, მაინც და მაინც ის რომ დაეტოვებინათ ხახამშრალი? არა, ოღონდ ხახამშრალს ნუ დასტოვებდნენ და რაც უნდოდათ, ის ექნათ, გინდაც დაეყვედრებინათ, გინ-

დაც დაეცინათ და გინდაც თმით ეთრიათ, ოღონდ მიეცათ, რაც ეკუთვნოდა, რის გულისთვისაც არსებობდა. დანარჩენი სულერთი იყო, მოუწონებდნენ თუ გაიცხავდნენ, მხარში ამოუდგებოდნენ თუ აბუჩად აიგდებდნენ. მართლაც, რა აზრი ჰქონდა, შიშველი იქნებოდა იგი, როგორც სინათლე, თავისი სიშიშვლით საზეიმო განწყობას რომ ბადებს, თუ ჯამბაზივით ჭრელაჭრელა ძონძებით მორთული, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გასართობად და გასაცინებლადაა გამიზნული. სულ ერთი იყო. რადგან იგი მთელი არსებითა გრძნობდა, უფლება რომ ჰქონდა ამ ერთი წუთისა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მისი ადამიანობის დასაყრდენი და დადასტურებაც იქნებოდა. გარდა ამისა, მას ჰქონდა ის, ურომლისოდაც ყველა ქალი მალე უფასურდება და მახინჯდება, რა საქმიანობასაც არ უნდა მისდევდეს იგი. მას ვარსკვლავი ჰქონდა, პატარა ბიჭის, მასავით სულელი და გულუბრყვილო ბიჭის ნაჩუქარი. იმ ვარსკვლავის ქიმებით ჩახეული გული განუწყვეტლივ ეწვოდა; ან რას იფიქრებდა, ფოთოლივით მოცახცახე, ფოთლისხელა სინათლე, ასეთი მძიმე. ასეთი დაულეველი და დაუხარჯველი თუ იქნებოდა. პირველად, ერთი პირობა, შიშიც გაუჩნდა, მართლა არ გალეულიყო, არ გამქრალიყო ეს ფარღალალა სინათლე, შიგნიდან რომ ანათებდა და აჩახჩახებდა მთელს მის არსებას, მაგრამ მერე, როცა ბავშვობა სიზმარეულ მოგონებად იქცა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, მიხვდა, ვარსკვლავი სულ ასე ექნებოდა გულში ჩაჭედილი, სანამ ის პატარა ბიჭი არ დაბრუნდებოდა და უკანკალ არ მოითხოვდა მას, რაც ბავშვობითა და უმეცრებით გაეჩუქებინა ოდესღაც. როგორ აფორიაქდებოდა, როგორ აწრიალდებოდა, როგორ მოეკვეთებოდა ხოლმე მუხლები, იმ ბიჭის მოსვლას რომ წარმოიდგენდა, იმ მოღუშული ბიჭისა, ხმელი ჩხირით სილაზე ძაღლებს რომ უხატავდა, დარიაჩანგის ბაღში ვაშლს რომ უკრეფდა, ცურვაში რომ ეჯიბრებოდა და ტიტველ ტანზე მედუზას აგდებდა, მოდუღებული სახამებელივით თონთლოსა და სლიპინას. „დამიბრუნე ჩემი ვარსკვლავიო“ ეუბნებოდა ბიჭი. „ვარსკვლავი? დაგიბრუნო?“ — იბნეოდა და თავის დასაძვრენ გზებს დაეძებდა უკვე ასაკოვანი და ცხოვრებისგან გამობრძმედილი ქალი, ათასი კაცის ხელში გამოვლილი, მაგრამ ამ მოღუშული და ციცქნა ბიჭის წინ ისევ გაბავშვებული, ისევ ძველებურად სულელი, გულუბრყვილო და სუფთა. „განა მაგიტომ გაჩუქეო“,—აშკარად საყვედურობდა ბიჭი და ხელიც უკვე გამოეშვირა, თითქოს ასე ადვილი იყო ერთხელ და სამუდამოდ გულში ჩაჭედილი, გულის სისხლით ჩადუღაბებული ვარსკვლავის ამოგლეჯა. „ხომ მაჩუქეო“ — ბოლო წუთამდე იბრძოდა ქალი ვარსკვლავის შესანარჩუნებლად, მაგრამ ბიჭიც ჯიუტი იყო და უკმეხად პასუხობდა, მაგიტომ არ მიჩუქნიაო. ქალი კი ბედნიერი იყო, უსაზღვროდ, გიჟურად ბედნიერი, მხოლოდ იმიტომ, ბიჭს ისევ რომ ხედავდა, ისევ რომ ესმოდა მისი ხმა: მომთხოვნი და ბრაზიანი, წკეპლასავით მწარე და დაუნდობელი. ბიჭის ხმა ქალს იმ წკეპლას ახსენებდა, რომელიც თავის დროზე ბიჭს არ გადაეკრა მისთვის. ტკივილი აფხიზლებდა, გონებას უხსნიდა, აჭკვიანებდა და აეშმაკებდა კიდეც. „შენი ბრალია, რატომ არ გადამკარი წკეპლაო“ — იქით სდებდა ბრალს გახარებული ქალი, ასე მოულოდნელად რომ ეპოვნა თავის გასამართლებელი მიზეზი. „რატომ არ გადამკარი, რატომ? ახლა არც მე დაგიბრუნებ ვარსკვლავს და ბარი-ბარში ვიქნებითო“ — ეუბნებოდა ნირწამხდარ ბიჭს. ბიჭს გაკვირვებისგან სახე ეცვლებოდა, არ ეგონა აქამდე თუ ეხსომებოდა ქალს ყველაფერი, ახლა თუ გაუხსენებდა ოდესღაც ჩადენილ დანაშაულს; მერე გაკვირვებას სასოწარკვეთილება უცვლიდა და ხელი უკან მიჰქონდა, ზურგს უკან რომ დაემალა.

„ბარი-ბარში, ბარი-ბარში, ბარი-ბარ-შიო“ — იძახდა გახარებული ქალი და სახტად დარჩენილი ბიჭის წინ ბზრიალებდა, ბზრიალებდა და ჭრელი, ღილებშეწყვეტილი ქვედაკაბებივით, სათითაოდ სცვიოდა განვლილი წლები. თანდათან თვითონაც ილეოდა, პატარავდებოდა, შიშვლდებოდა და ისიც იმ ბიჭის ხელა ხდებოდა. განვლილი წლები კი ჩაფუშული ქვედაკაბებივით ეყარა ფეხებთან და საკმარისი იყო, გადმოებიჯებინა, ისა და ბიჭი ისევ ერთად, ხელიხელჩაკიდულნი გაქცეულიყვნენ ზღვისკენ, დარიაჩანგის ბაღისკენ ანდა გამოქვაბულისკენ, მაგრამ სწორედ კაბებზე გადმობიჯება იყო ძნელი, შეუძლებელი, რადგან ისინი თვალშეუწვდენელ ღობედ დახვავებულიყო მის გარშემო. ქალი წუხდა, თვალებს აცეცებდა, მაგრამ არც მის ქალურ გონებას შეეძლო, განვლილი წლების გადამლახველი გზის მოგონება. „შენ ბიჭი ხარ, შენ გადმოდიო“ — ეძახდა ბიჭს, მაგრამ ბიჭი უკანმოუხედავად თავქუდმოგლეჯილი გარბოდა დამყაყებულ ზღვისკენ, დარიაჩანგის დიდიხნის წინათ გამქრალ ბაღისკენ და ურჩხულივით პირდაღებულ გამოქვაბულისკენ, რომელსაც მთელი მისი ცხოვრების საგზალი გადაესანსლა: ათიოდე ხმელი პური და ღორის დაშაშხული ბარკალი. ბიჭი მარტო გარბოდა, უიმისოდ, მაგრამ უვარსკვლავოდაც. ვარსკვლავი ქალს დარჩენოდა. განვლილი წლებიც ისევ გადაეცვა ჭრელი ქვედაკაბებივით და ელოდებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, უვარსკვლავოდ ვერც ბიჭი გასძლებდა და ადრე თუ გვიან ისევ მოაკითხავდა. მოაკითხავდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ვეღარ ეცნო იგი ქალს? ფიქრი სხვაა, ცხოვრება კი — სხვა. ფიქრი იმას ინახავს, რაც ცხოვრებისთვის აღარ არსებობს. ამხნის განმავლობაში, ალბათ, ბიჭიც გაიზრდებოდა, შეიცვლებოდა და იმ მამაკაცებს დაემსგავსებოდა, განუწყვეტლივ რომ შედი-გამოდიოდნენ ქალის ოთახში. მაგრამ ქალი მაინც იცდიდა, იმედს არ კარგავდა და აი, გაუმართლდა — კიდეც. მან ახლა უშეცდომოდ იცოდა, ვინ იჯდა მის ოთახში. შეცდომა გამორიცხული იყო. მართალია დროს ფარნაოზისთვისაც გაეკრა ხელი, მაგრამ თვალებისთვის ვერაფერი დაეკლო, თვალები ისევ იმ ბიჭისა ჰქონდა, ვარსკვლავებს რომ არიგებდა საჩუქრად, ჩიკორსა და ფერად კენჭებს კი არა, ვარსკვლავებს, ნამდვილ ვარსკვლავებს.

ბედნიერების ერთი წუთი, რომელსაც ქალი ამდენი ხანი ელოდებოდა, სინამდვილეში იმდენად ხანგრძლივი და აუტანელი აღმოჩნდა, ქალმა აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ გაეყვანა, რითი ამოევსო ეს შემბორკავი, სულის შემხუთავი დრო. „რატომ არ მიდისო“ — ფიქრობდა შეშფოთებული, რადგან აქამდე აზრადაც არ მოსვლია, რომ ის ამ კაცისთვისაც მეძავი იყო მხოლოდ და თუ კაცს სურვილი ექნებოდა, სურვილი და ზედმეტი ფული, ურომლისობაც ოჯახს არ შეეტყობოდა, მასაც უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა მისი სურვილი. სინამდვილე ეს იყო, დანარჩენი კი თავქარიან ოცნებას მოეჩმახა, ქალიც გაესულელებინა და დაერწმუნებინა, გულში ნაჩუქარი ვარსკვლავი გიდევს და კარგად მოუარეო. კი მაგრამ ამ კაცს რაღას ერჩოდნენ, ამ კაცს რატომღა თვლიდნენ სულელად, რატომ უნდა ხსომებოდა ბავშვობაში გაჩუქებული ვარსკვლავი, ან თუ ახსოვდა, რაღაზე მოაკითხავდა, როცა ყველა კაცი მთელ სავარსკვლავეთოს დაუფიქრებლად, უყოყმანოდ აჩუქებს ქალს, რომელთანაც მარტო აღმოჩნდება ოთახში.

ქალს გაეცინა. ფარნაოზმა ისე შეხედა, თითქოს პირველად დაინახა იგი, დოინჯშემოყრილი, ღვარძლიანად მომღიმარი.

— თუ გინდა ჯოხსაც გათხოვებ, — თქვა ქალმა და კუთხისკენ თავი გაიქნია.

ფარნაოზმა უცებ შეამჩნია მრგვალთავიანი ჯოხი, გველივით რომ ასვეტილიყო კუთხეში, კუპრში ამოვლებული-

ვით რომ ბზინავდა და თითქოს ოდნავ ირხეოდა კიდეც. ჯოხი კი არ ირხეოდა, ფარნაოზს დაესხა თავბრუ, მთელი ოთახი აყირავდა და ბურანში მყოფის სიმშვიდითა და ნეტარებით გაიფიქრა, თავზე დავამტვრევ ამ ჯოხსაო. ქალი კი გამომწვევად, სხაპასხუპით ლაპარაკობდა, სიტყვებს ყლაპავდა, მაგრამ მიზანს მაინც აღწევდა. ფარნაოზს ფერი ეკარგებოდა, ყბა უცახცახებდა და ზიზღითა და სიძულვილით მახინჯდებოდა, თითქოს ვიღაც, უხილავი, ტალახით უთხუპნიდა სახეს. ქალსაც ეს უნდოდა. მან უცებ გამონახა თავდაცვის საშუალება, რადგან მაშინვე იგრძნო, როგორ განარისხა მისი სტუმარი მრგვალთავიანი ჯოხის დანახვამ. ის ყველა ღონეს იხმარდა, ოღონდ ფარნაოზსაც არ გაჩენოდა ისეთივე სურვილი, როგორიც ყველა აქ შემოსულ მამაკაცს უჩნდებოდა. თავს შეაზიზღებდა, ათასნაირ სიბინძურეს მოიგონებდა, რათა მალე წასულიყო იგი აქედან, ისეთივე სუფთა, ნათელი და მიუღწეველი, როგორიც შემოვიდა. — ჩაიდებდა ამ ჯოხს მუხლებს შორის, ზედ ხელებს დააწყობდა, ხელებზე ნიკაპით დაეყრდნობოდა და მიყურებდა, მათვალიერებდა. — ამბობდა ქალი და თვითონვე იცინოდა, უსიამოდ, ბრაზიანად, ნაძალადევად, თითქოს წყინდა, მისი ხუმრობა შეუმჩნეველი რომ დარჩენილიყო და ამ უსიამო, ბრაზიანი და ნაძალადევი სიცილით ხელსა ჰკრავდა, უკან აბრუნებდა მსმენელის გონებას.

„რა ჩემი საქმეაო“ — ფიქრობდა ფარნაოზი, მაგრამ კარგად იცოდა, თავს რომ იტყუებდა, თავს რომ იწყნარებდა, რათა ეს წყეული ჯოხი მართლა არ დაემტვრია თავზე ამ ქალისთვის, ურცხვად რომ უყვებოდა, როგორ აშიშვლებდნენ და ათვალიერებდნენ შარდისა და ზინზლის სუნით აქოთებული ბებრები, რადგან სხვა აღარაფერი შეეძლოთ. კი ფიქრობდა, რა ჩემი საქმეაო, მაგრამ ასე მძაფრად და მტკივნეულად არასოდეს ეგრძნო აქამდე, რომ სწორედ ეს იყო მისი საქმე, ამ ქალის ბედი, ამ ქალის ავანჩავანი, რადგან ეს ქალი ყველა ქალის მაგიერი იყო მისთვის, დედაც იყო, დაც, სატრფოცა და ცოლიც. თვითონ კი ვერც შვილობა, ვერც ძმობა, ვერც მეგობრობა და ვერც ქმრობა გაეწია ამ ერთადერთი ქალისთვის, რადგან უყურადღებო შვილი, გულგრილი ძმა, უგნური მეგობარი და ლაჩარი ქმარი იყო მისი. ამიტომაც არც უფლება ჰქონდა, ჯოხი დაემტვრია თავზე. პირიქით, ფეხებში უნდა ჩავარდნოდა, პატიება ეთხოვნა, ანდა ენა მუცელში ჩაეგდო და გაძურწულიყო აქედან, ჩაფრენილიყო თბილსა და მყუდრო ბუდეში, უსვინდისოთ რომ შეეკოწიწებინა თავისთვის, და იქ, ბარტყის ჟივჟივსა და ცოლის ბუზღუნში, დაევიწყებინა, სამუდამოდ დაევიწყებინა ამ ოთახის არსებობა, სადაც მისი უყურადღებობის, გულგრილობის, უგნურობისა და სილაჩრის მსხვერპლი ესვენა, საფლავიდან გამოპარული, გაცოცხლებული მკვდარივით თავზარდამცემი, მაგრამ ამავე დროს. საბრალო და უწყინარი, როგორც კაცის ხელში გაზრდილი ნადირი.

— მეორემ კი, იმ ბებრის სიძემ, — აგრძელებდა ქალი თავისას. — ეს ჯოხი გირაოში დამიტოვა. შენ არაფერი გაქვს გირაოში დასატოვებელი?! — იყვირა უცებ.

„ყველაფერი დამთავრდა, კარგია რომ დამთავრდა“ — გაიფიქრა ფარნაოზმა და წამოდგა, მაგრამ ტკივილმა ფეხი მოაგლიჯა და იძულებული გახდა, ორივე ხელით სკამს დაყრდნობოდა, რომელზედაც აქამდე იჯდა. ქალიც უცებ გაირინდა, თითქოს ორივესთვის ერთდროულად დაევლოს ერთსა და იმავე ტკივილს.

— ახლა კი მართლა შეგიძლია წახვიდე. — თქვა ცოტა ხნის მერე ქალმა. — კარგია, რომ ასე დამთავრდა ყველაფერი. უფრო ფრთხილად ივლი ჩვენი ქალაქის ქუჩებში. — ქალს ხმაც დამშვიდებოდა და სახეც, გაღიმებისას

ლოყებზე ისევ უჩნდებოდა პატარა ფოსოები.

— მადლობელი ვარ. უჯოხოდაც წავალ. — თქვა ფარნაოზმა და კარისკენ შეტრიალდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც არც ერთი არ ელოდებოდა, რამაც ორივეს ერთბაშად დაუკარგა თვალთმაქცობის უნარიცა და სურვილიც. ქუჩაში კუსას ტომრის ჟღრიალი გაისმა. ოთახი ჩაიხუთა და ორივემ საკუთარი გულის ბაგაბუგი გაიგონა. ერთდროულად შეხედეს ერთმანეთს, შეშფოთებით, ხანგრძლივად. მერე ქალმა ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო, უხმაუროდ მიირბინა კართან და ურდული გაუგდო. შემობრუნება გაუჭირდა, პირველად ახლა შერცხვა ფარნაოზისა, თითქოს აქამდე, კუსას დაუხმარებლად, ფარნაოზი ვერ უნდა მიმხვდარიყო, სად იმყოფებოდა, რადგან ქალი მოხერხებულად უმალავდა, კი არ უმალავდა, თავადაც დავიწყებოდა, მის ოთახში მხოლოდ და მხოლოდ ბავშვობაში გაჩუქებული ვარსკვლავების დასაბრუნებლად, ანდა ნატკენი თითების შესახვევად რომ არ შემოდიოდნენ. ქალს მხრები უცახცახებდა. ასე უხმოდ, მხრების ცახცახით იცოდა ტირილი. ფარნაოზი მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა. გული ყელში გაჩხერდა, არასოდეს არ ყოფილა ასე უბედური. ქალის მიტოვებაც ესიკვდილებოდა და ამ ოთახში დარჩენაც. უნდოდა, ამ ქალის სახელი ეთქვა, ეყვირა, ეღრიალა მთელი ქვეყნის გასაგონად, მაგრამ ვერ გაებედა, რცხვენოდა და ეშინოდა, აქ არ ეპოვათ, აქ არ დასდგომოდნენ თავზე. ის კი არა, მზად იყო ჯოჯოდ ქცეულიყო, ობობად, და სამუდამოდ შემძვრალიყო კედლის ბზარში, რადგან იმის წარმოდგენაც თავზარს სცემდა, მხარზე ტომარაგადაკიდებული კუსა ეზოში რომ იდგა და ხეხილს ათვალიერებდა, თითქოს ამისთვის მოსულიყო, თითქოს არ იცოდა, ვინ იდგნენ, ვინ ცახცახებდნენ კურდღლებივით ურდულგაგდებულ კარს უკან. ის რომ კაცი ყოფილიყო, ქალს კარის დაკეტვას დაუშლიდა, ეტყოდა, უბრძანებდა, ნუ ტირიო, კუსას კი... არა, კუსას მაინც ვერ დაენახვებოდა, ვერც ვერაფერს ეტყოდა, ისევ აქ ერჩია სიკვდილი, მეძავის ოთახში. ქალმაც ხომ შეატყო და მისი გულისთვის გადაკეტა კარი, დაინდო, დაზოგა, გაუფრთხილდა, შეეცოდა და ამიტომაც ტიროდა ახლა, რადგან არ ეგონა, თუკი კიდევ არსებობდა ვინმე მისი შესაცოდი. დრო კი იწელებოდა, მიიზლაზნებოდა, წამი საუკუნედ ქცეულიყო. მათ კი განძრევისაც ეშინოდათ, თითქოს აღარც განძრევის უფლება ჰქონდათ, თითქოს სულ ასე უნდა მდგარიყვნენ, რადგან ამჯერად ასეთი სასჯელი მოეგონებინა მათთვის ბედსა თუ ბედისწერას. კარს იქით კუსა იდგა, იდგა და იცდიდა, როდის უმტყუნებდათ ნებისყოფა ოთახში გამომწყვდეულებს, როდის დარწმუნდებოდნენ, დამალვას რომ აზრი აღარ ჰქონდა, კარს გაუღებდნენ და შემრიგებლური ღიმილით აღიარებდნენ, რომ ისინიც ისეთივე ხარბი, ბილწი და უსირცხვილო არსებები იყვნენ, როგორიც კუსა, როგორიც ყველანი, მაგრამ ყველანი იმით ჯობნიდნენ მათ, რომ არ თვალთმაქცობდნენ, აშკარად იხვეჭდნენ მოსახვეჭს, აშკარად ისრულებდნენ თავიანთ სურვილებს და არცა რცხვენოდათ ამ სურვილებისა. მათ კი ახლა არც თავის მართლების უფლება ჰქონდათ და არც ის იცოდნენ, ვის წინაშე ემართლათ თავი, რომელი ერთის წინაშე; ან ვინ დაუჯერებდათ, ამ ოთახში ბავშვური სიწმინდისა და გულუბრყვილობის გასახსენებლად რომ შეკეტილიყვნენ და არა იმ საქმეზე, რისთვისაც საერთოდ ეს ოთახი არსებობდა. მართლაც, რა უფლება ჰქონდა ფარნაოზს, კუსას რომ უყვირა სასაფლაოზე: სტყუიო? განა თვითონ უარესად არ ტყუოდა? პირწავარდნილი ცრუპენტელა იყო და მეტი არაფერი. ახლაც ტყუოდა, ახლაც თავს იტყუებდა, რადგან რაც უფრო მეტი დრო გავიდოდა, რაც უფრო დიდ ხანს დააყოვნებდა იგი

ამ ოთახში, მით უფრო მეტი სიბინძურე აეკვრებოდა ორივეს, მასაც და ინოსაც, რადგან ისინი, ისა და ინო, ერთადერთი წყვილი იყო მთელ ქვეყანაზე, რომელსაც არ ჰქონდა ამ ოთახში ერთად ყოფნის უფლება. მათთვის ეს ოთახი არ არსებობდა, არ უნდა არსებულიყო, რათა არ დაჰკარგვოდა მარადიულობის, სიწმინდისა და სინამდვილის იერი იმ პატარა გოგო-ბიჭს, ოდესღაც რომ მართლა არსებობდნენ, მართლა უყვარდათ ერთმანეთი და მართლა სჯეროდათ, შესაძლებელი რომ იყო ვარსკვლავის გაჩუქება, ერთმანეთის გულისთვის ძაღლად გადაქცევა და ვიღაც ავაზაკის იმედით ცხოვრება. ეს ბავშვური რწმენა და სიყვარული ედო, ალბათ, ქვეყანასაც საფუძვლად და ამიტომაც გაეძლო, ამიტომაც არ ინგრეოდა. ქვეყანა ორი ბავშვის, გოგოსა და ბიჭის, რწმენისა და სიყვარულის მხრებზე იდგა, ისინი კი, მოწმის შიშით ოთახში გამომწყვდეული ქალი და კაცი, იმ ორ ბავშვს უკანასკნელ მიწის გოჯსაც, უკანასკნელ ფეხის მოსაკიდებელ ადგილსაც ართმევდნენ. ამას ქალიც გრძნობდა და კაციც, რადგან ორივენი იმ ბავშვებს გაეჩინათ, კი არ გაეჩინათ, მოეშორებინათ, როგორც ზედმეტი და უვარგისი ტვირთი. ისინი წარსულს ართმევდნენ ერთმანეთს, ყველაზე საიმედო თავშესაფარს, სადაც ცხოვრებისგან დაღლილებს და გათელილებს თავის შეფარება შეეძლოთ და არა მხოლოდ თავის შეფარება, არამედ განახლებაც, განწმენდაცა და აღდგენაც, რადგან იმ წარსულს ვაშლის სუნი ასდიოდა და მოჩხუბარი თოლიის ფრთები ჰქონდა.

გარეთ კი წელიწადის დრონი ერთმანეთს ცვლიდნენ, ხეები ყვაოდნენ, ნაყოფით იხუნძლებოდნენ, ჭკნებოდნენ და შიშვლდებოდნენ. ქარი ხმელ ფოთლებს უთავბოლოდ დააქროლებდა, მერე კი თოვლი ფარავდა ყველაფერს და ამ უსაზღვრო სითეთრეში მხოლოდ ერთი შავი წერტილი იდგა გაუნძრევლად, ეს წერტილი თანდათან იზრდებოდა, ადამიანის სახეს იღებდა, რომელსაც ტყავის ტომარა მოეგდო მხარზე, თუმცა არსად არ მიდიოდა, რადგან არსად არ უნდოდა წასვლა და არც წავიდოდა, რამდენჯერაც არ უნდა დატრიალებულიყო ცარგვალი. ის აქ უნდა მდგარიყო, მაინც და მაინც აქ, მეძავის ქოხთან, რადგან მხოლოდ აქ შეეძლო დაემტკიცებინა, ყველანი ერთნაირები რომ იყვნენ და არავის არ ჰქონდა უფლება, ზემოდან დაეხედა მისთვის, რამე დაეყვედრებინა, რამეში გაემტყუნებინა, რადგან სხვაც, სხვაც კი არა, ყველა მისი მსგავსი იყო, ცოდვის ტყირპი ყველას დაჰყოლოდა დედის მუცლიდან და თუ აქამდე მალავდა, მხოლოდ იმიტომ რომ არავის უფიქრია მისი შემოწმება, უბრალოდ სიტყვაზე ენდობოდნენ. ის კი ფეხს არ მოიცვლიდა, სანამ არ შეამოწმებდა, უფრო სწორედ, სანამ არ დაამტკიცებდა მას, რაც აქამდე იცოდა, იცოდა, მაგრამ უსაბუთოდ. ახლა კი, მოთმინებისა და თითქოს უსარგებლოდ დაკარგული დროის საფასურად ამ საბუთსაც მოიპოვებდა.

ვანში შემოდგომის გადაბმული, მომაბეზრებელი წვიმები დაიწყო. ხალხი სახლებში შეიკეტა. ქალაქი ჯანღში ჩაიკარგა, ქალაქის თავზეც ღმერთის ამონასუნთქივით უზარმაზარი ღრუბელი იდგა. აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა გატიტვლებული კენწერო და სახურავის ნაწილი, როგორც ზღვაში დაღუპული ხომალდის ნამტვრევები. წებოვანი, გასქელებული ჰაერი ხმას არ ატარებდა. ყელში წაჭერილებივით ყიოდნენ მამლები, ჭიშკრამდეც ძლივს აღწევდა ძაღლების ყეფა. ჭრაქები ბჟუტავდნენ. ბილისფერი სინათლე უფრო უცხოსა და უკაცურს ხდიდა გარემოს.

უამინდობას ფარნაოზიც გამოეკეტა, მას კი შინ ყოფნისა ეშინოდა, როგორც მოღალატეს იმ ბანაკისა, რომლის ღალატიც განუზრახავს. ვერც ცეცხლს უსწორებდა თვალს და ვერც ცოლს, რადგან ინოსთან შეხვედრის შემდეგ, კიდევ უფრო, სამუდამოდ

დარწმუნებულიყო, რა სუსტი იყო ის ძაფი, რომელიც თინას შეეკოწიწებინა მათ შესაერთებლად. ამ ძაფის გაწყვეტას არც დიდი დრო სჭირდებოდა, არც დიდი ძალა. საკმარისი იყო, ფარნაოზს უბრალოდ წინააღმდეგობა არ გაეწია იმ უხილავი ხმისთვის, განუწყვეტლივ რომ ჩასჩურჩულებდა ყურში, ადექი, რაღას თვალთმაქცობ, ან სხვას რას ატყუებ, ან თავს რაზე იტყუებო, და ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა. ფარნაოზს ეს ხმაც აღიზიანებდა, სიმართლეს კი ამბობდა, მაგრამ არც საიკეთოს სთავაზობდა რამეს. „რაღას თვალთმაქცობო", კი ეუბნებოდა უხილავი ხმა, მაგრამ ფარნაოზს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერ ითვალთმაქცებდა. კიკინებაპრეხილი, გაცრეცილი გოგო, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში თავისი გულუბრყვილობითა და სიწმინდით ასაზრდოებდა ფარნაოზის არსებას, უკვალოდ გამქრალიყო, ფარნაოზის მახსოვრობიდანაც გაპარულიყო, გაფრენილიყო, როგორც ჩიტი გალიიდან, და მისი ადგილი ქალს დაეკავებინა, ცხოვრების ყველა კარში გამოვლილსა და ყველა ჭუჭრუტანაში შეხედულს, ათასი კაცის სიმარტოვის ტუსაღსა და ათასი კაცის სარკოფაგის ზედამხედველს. ფარნაოზს კი ეს ქალი უყვარდა. თვალთმაქცობას მართლა აღარ ჰქონდა აზრი, მაგრამ განა ფარნაოზი აქამდე თვალთმაქცობდა? არა, ის აქამდე იბრძოდა. როგორ იბრძოდა, ცუდად თუ კარგად, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარი იყო, რომ იბრძოდა, იგერიებდა, უძალიანდებოდა, არ ნებდებოდა სიყვარულს, ეშინოდა მისი სიღრმისა, მისი იდუმალი წიაღისა, გვამებითა და მარგალიტებით მოფენილი ფსკერისა. ფარნაოზი ზღვას ებრძოდა, სიყვარულის ზღვას და მთელი სიცოცხლე მის მდუღარე ტალღებში ყურყუმალაობდა, როგორც ცარიელი და კუპრით თავგადაგლესილი დოქი. მაგრამ ასევე მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძნობდა, ეს წუთი რომ დადგებოდა, დოქს ან კუპრის ხუფი მოსძვრებოდა, ან ძირი გაეგზარებოდა და წლობით ნათმენსა და მოყუჩებულ ვნებას ვეღარაფერი შეაკავებდა, ბოლოს და ბოლოს, ისიც გამოვიდოდა სამზეოზე, კბილატკიებულ ნადირივით გაცოფებული, აღგზნებული, სინათლისგან დაბრმავებული, ახალშობილივით უმწეო და უმეცარი, დასაღუპად განწირული, მაგრამ წინასწარვე შეგუებული დაღუპვას, და ამიტომაც საშიში, გარდაუვალი დაღუპვის შეგრძნებით გაღონიერებული და გათამამებული, არა — გათავხედებული.

ეს ვნება ფარნაოზის გამოსაცნობი ნიშანი იყო და მისი დამალვა აღარ შეიძლებოდა, როგორც არ შეიძლებოდა ინოს შეხვეული თითის დამალვა. თინას არც უკითხავს, რა მოგვიდა, ან ვინ შეგიხვიაო, რადგან სისულელე იქნებოდა ამის კითხვა. საერთოდ ხმა არ ამოუღია თინას, სანამ ახალ სახვევს ადებდა თითზე. შუაზე გაყოფილი და სადათ დავარცხნილი თმა უბზინავდა და ფარნაოზი გრძნობდა, ამ ქალთანაც დამნაშავე რომ იყო, ამ ქალსაც რომ ღუპავდა, უკვე დაეღუპა, რადგან თინას ხმას, სურნელსა და სიმხურვალეს მხოლოდ სახლის გავსება შეეძლო, გულისა კი არა. თინასთვის განკუთვნილი გული გამოზამთრებული ნიორივით ფშუტე იყო, ცარიელი, გაპარული. ფარნაოზს კი ამის თქმა არ შეეძლო, ერიდებოდა, თითქოს ეს სადად თმადავარცხნილი ქალი მისი ცოლი კი არა, სტუმარი იყო, რომელსაც სტუმრობა გაგრძელებოდა, მაგრამ მასპინძელი ძველებურად უშლიდა სუფრასა და ლოგინს, რადგან მასპინძელი იყო და სტუმრისთვის პატივი უნდა ეცა. „არ უნდა დავბრუნებულიყავიო" — ფიქრობდა ფარნაოზი და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მოტყუებით ჩამოეყვანათ აქ, სამშობლოში, მამისეულ სახლში. ასეთი გრძნობა კი იმიტომ ჰქონდა, ჩამოსვლამდე სხვანაირად რომ ფიქრობდა, სხვანაირად ეგონა და

უფლებაც რომ არ მიეცათ, მაინც ველარ გაჩერდებოდა, ხომალდს მოიტაცებდა, მეკობრეებს შეუამხანაგდებოდა, ანდა უხომალდოდ, უამხანაგოდ გადმოცურავდა ზღვებს. იქ, უცხოეთში ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. იქ, ერთი წამითაც არ დაეჭვებულა, ინო რომ ელოდებოდა. ის კი არა, იმასაც ფიქრობდა, ნავსადგურში დამხვდებაო, ყველას თვალწინ კისერზე ჩამომეკიდება და ბოლო მოეღება ჩვენს ტანჯვა-წამებასაო. იმას კი აღარ დაგიდევდათ, ინოს საიდან უნდა შეეტყო ზუსტად მისი ჩამოსვლის დღე და საათი. ან იქნებ ეს ათი წელიწადი ფეხმოუცვლელად უნდა მდგარიყო ნავსადგურში? ხო, ასე უნდოდა ფარნაოზს, ასეთი ნატვრა ჰქონდა. იმდენად შორს იყო სამშობლოდან, კარგის მეტი არაფერი ახსოვდა. ახლა კი, მართლაც უცხოელი მეზღვაურივით იჯდა საკუთარ სახლში და გრძნობდა, ყოველთვის ასე იქნებოდა, არასდროს გაუქრებოდა გაუცხოების გრძნობა, თუმცა ირგვლივ ყველანი ახლობლები იყვნენ, იატაკზე კი მისი სისხლი და ხორცი დაღოღავდა, ყველასა და ყველაფერს ეპოტინებოდა, რათა წამომდგარიყო და ადამიანს დამსგავსებოდა. ფარნაოზი შვილს უყურებდა და გული სტკიოდა, თითქოს საკუთარ ოჯახში მძევლად დაეტოვებია იგი და თუ ბედისწერისგან თავსმოხვეულ პირობას დაარღვევდა, უპირველეს ყოვლისა ამ ვარდისფერ არსებას გასწირავდა. ფარნაოზს ისიც ეგონა, რომ ქალები, რომელთა ხელშიც ტრიალებდა პატარა უხეირო, მისი ჯიბრით, მის დასათრგუნავად, მკაცრად და უხეშად ექცეოდნენ ბავშვს, განგებ აჭმევდნენ ისე, ლუკმა სასულეში რომ გადასცდენოდა და იმის ნაცვლად, წიოკობა რომ აეტეხათ, მთელი ქვეყანა შეეძრათ, იცინოდნენ, ბეჭებში უპარტყუნებდნენ და დასძახოდნენ: ფუი, შე უნდილოო. მერე ფარნაოზსაც გამოხედავდნენ დამცინავი ღიმილით, არც ახლა გჯერა ჩვენს ხელში რომაა შენი სულიო. და ერთხელ კიდევ წაუთაქებდნენ ძლივს გამობრუნებულ ბავშვს: არ გრცხვენია, ნახე როგორ შეამინე მამაო. ფარნაოზს მართლა ეშინოდა, სანამ სუნთქვაშეკრული ბავშვის ხმას ისევ გაიგონებდა, სისხლი გაეყინებოდა ხოლმე და თვითონაც ეხშობოდა სასუნთქავი. ქალები კი, ვითომ აქ არაფერიაო, ფაფითა და გახეხილი ვაშლით გასისინებულსა და პირმოთხუპნულ უხეიროს ლეკვივით გადაიგდებდნენ კალთიდან და ისევ იცინოდნენ, იატაკზე თუ გაიშხლართებოდა და შუბლს დაჰკრავდა ფილაქანს. ფარნაოზი რომ გიჟივით წამოვარდებოდა, ახლა იმას შეუყვირებდნენ, იმასაც ბავშვივით გამოაპანღურებდნენ ხოლმე: რა იყო, რამ დაგაფეთა, თუ არ წაიქცა, როგორ გაიზრდებაო. ფარნაოზს შუბუსაგან ჰქონდა გაგებული, ბავშვის ნაწლავი ღობეზე რომ გადაჰკიდო, მაინც იფეთქებსო, და ამის იმედით ათენებდა და აღამებდა.

პატარა უხეირო, ყველა მისი ტოლი ბავშვივით, უმწეოც იყო და სულელიც, მაგრამ არც უმწეობას განიცდიდა და არც სულელობას. ერთი წუთის წინათ მდუღარე ცრემლით ატირებული, უცებ უაზრო ტიტინს მოჰყვებოდა, ისე ელოლიავებოდა ყველასა და ყველაფერს, თითქოს მათგან, ან მათი მიზეზით არაფერი ტკენოდა. ის ცხოვრებას სწავლობდა და გუნება-განწყობილების სწრაფი, განუწყვეტელი მონაცვლეობა ეხმარებოდა ასევე მონაცვლეობით, თანაბრად და თანდათანობით შეეთვისებინა ცხოვრების სიტკბო და სიმწარე, სითბო და სიცივე, სინაზე და სიუხეშე, რომელთა არსებობაზეც იყო დამოკიდებული მისი მომავალი სიცოცხლე. იატაკი, რომელზედაც შუბლს იჩეჩქვავდა, ახლავე რომ შეძულებოდა, ველარასოდეს გაივლიდა ამ იატაკზე. მას კი უნდა გაევლო, თავი აეწია და ცაც დაენახა, ოთხზე დამდგარს ქეჩოზე რომ უხიცინებდა მსუბუქი და ნაზი თითებით. ამიტომ ტკივილიც უნდა აეტა-

ნა და უნდა შეჰგუებოდა კიდეც. პატარა უხეიროც ასე იქცეოდა, ასე კარნახობდა ბუნება, რადგან ეს აუცილებელი ტკივილი იყო, ცოდნის მომმატებელი, სიცოცხლისთვის საჭირო ცოდნისა. თუმცა ხანდახან, ყოვლად გაუთვალისწინებელი, ყოვლად უსარგებლო და ამიტომაც განსაკუთრებულად გულდასაწყვეტი ტკივილიც უნდა აეტანა პატარა უხეიროს. ისე მოულოდნელად აითვალწუნებდა ხოლმე დედა, ისე მწარედ უჩქმეტდა, ან ისე დაუდევრად ჩათხრიდა პირში კოვზს, და ისე უყვირებდა, ყველანი ერთნაირები ხართო, ტკივილისა და გაოცებისაგან აღარ იცოდა რა ექნა, თუმცა ტირილის მეტი მაინც არაფერი შეეძლო. მას არც ის ესმოდა, რას ეუბნებოდა დედა, მაგრამ ხვდებოდა, ეს ჩვეულებრივი, საალერსო ანდა დასაძინებელი სიტყვები რომ არ იყო. მაგალითად, დედამისი ასეთი ხმით არასოდეს არ იტყოდა: წადი ტურავ, დაიკარგე აქედანაო. პატარა უხეიროს არც იმ სიტყვების აზრი ესმოდა, არ იცოდა ვინ იყო, ან რატომ აგდებდნენ ტურას, მაგრამ ამას რომ ამბობდა, დედამისს ისე უჟუჟუნებდა თვალები, ისე უტკბილდებოდა ხმა, არტახიდან ხელის ამოძრომაც ავიწყდებოდა და აკვნის თავზე აკონწიალებული საჩხრიალოც. ნეტარებით, ბედნიერებითა და სიამაყით ეღიმებოდა გაძევებული ტურის წარმოდგენაზე და ასე გაღიმებული იძინებდა კიდეც. დედის მოულოდნელი შემოწყრომა თავგზას უბნევდა, ეს ისეთი უბედურება იყო, მისი არსება ვერ გასწვდებოდა, დიდხანს ვერ გაუძლებდა, და უნებურად ისიც მშველელს ეძებდა, მშველელს კი არა, ნუგეშისმცემელსა და შემაქცევარს. ასეთად კი მამა ეგულებოდა, დაბარებულივით ყოველთვის დროულად რომ გამოჩნდებოდა ხოლმე, გულში იხუტებდა და ცრემლიან ლოყებს ულოკავდა. ისიც მაშინვე სიცილისა და ცუღლუტობის გუნებაზე დგებოდა, თვითონაც ცდილობდა აეღოკა მამის ლოყები, წვერით დაჩხვლეტილ ენაზე ხელებს ისვამდა, იფურთხებოდა და მაინც ჯიუტად ეტანებოდა ქვასავით მკვრივსა და ფარდაგივით მსუსხავ სახეს.

თუ პატარა უხეირო ვერ ხვდებოდა, ფარნაოზმა ხომ იცოდა, რატომ შემოსწყრებოდა ხოლმე თინა შვილს. ეს ზღაპრული მოთმინების ქალიც, ხანდახან ვერ ერეოდა თავს და ისე უხეშად დაითრევდა ბავშვს, ან ისე გამეტებით უჩქმეტავდა, ტკივილისგან თვითონ უარესად ეგლიჯებოდა ხორცები, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, ეგონა გაგიჟდებოდა, ასე მაინც თუ არ ამოიყრიდა ჯავრს უსასრულო მოლოდინისთვის, ნაძალადევად შეკოწიწებული ოჯახისთვის და, რაც მთავარია, გაუზიარებელი, ისევ და ისევ უპასუხოდ დარჩენილი სიყვარულისთვის. თინას ბოლომდე ჰქონდა იმედი, მისი მოთმინება სხვანაირად რომ დაჯილდოვდებოდა, სხვები თუ არა, ფარნაოზი მაინც ჩაწვდებოდა ამ მოთმინების სიღრმესა და სიდიადეს, ფარნაოზი მაინც მიხვდებოდა, რა ძვირი უჯდებოდა ამგვარი მოთმინება ქალს, რომელსაც უყვარდა და რომელიც არ უყვარდათ, და ერთხელ მაინც სხვანაირად გადაუსვამდა თავზე ხელს, თუნდაც როგორც დოღში გამარჯვებულ ბედაურს, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი საწინააღმდეგოდ ხდებოდა, ფარნაოზი დღითიდღე უცხოვდებოდა და დღითიდღე ძნელდებოდა უბრალო, საყველპურო სიტყვის თქმა. ორივენი წინასწარ ფიქრობდნენ, რა ეთქვათ და როგორ ეთქვათ, ან საერთოდ ეთქვათ თუ არა რამე. თინა ისევ ითმენდა, რადგან ფარნაოზი ისევ შორს იყო მისგან, ისევ სხვას ეკუთვნოდა, თუმცა ყოველ ღამე მის გვერდით წვებოდა, როგორც ქმარი, მაგრამ მათი შეუღლებაც ძალადობასა და ამბოხს გავდა, თითქოს ორივენი ძალად მიჩეჩებულ ტვირთს იშორებდნენ. უნებლიე სიახლოვე და ერთად ყოფნის ვალდებულება მაინც თავისას აკეთებდა.

თინა იქ იწვა, სადაც უნდა წოლილიყო, სადაც მისი ადგილი იყო და უნდოდა თუ არ უნდოდა, ცდილობდა თუ არ ცდილობდა, მისი გატრუნული და გავარვარებული სხეული ღამის წყვდიადში მაინც იძენდა ანდამატურ ძალას და უხმოდ, უსიტყვოდ იზიდავდა ყველაფერს მამაკაცურს, რაც კი მათ ოთახში არსებობდა. ფარნაოზი წვალობდა, უძალიანდებოდა ამ მარადიულსა და ღვთაებრივ ძალას, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიდიოდა მასთან, ტანჯვითა და რაღაც არაადამიანური ნეტარებით აღგზნებული, როგორც მწყურვალი წყაროსკენ: მიდიოდა, რადგან არ შეეძლო, არ მისულიყო. არსებობდა თავის დაღწევის ერთადერთი გზა: ფარნაოზი საერთოდ უნდა გაქცეულიყო ამ ოთახიდან, ამ ოთახიდან კი არა, ამ სახლიდან, და სამუდამოდ მიეტოვებინა ყველა და ყველაფერი: მამის საფლავიცა და შვილის აკვანიც. მსხვერპლი დიდი იყო, თავზარდამცემად დიდი და ის მხოლოდ იმიტომ უნდა გაეღო ფარნაოზს, ცოლი რომ არ უყვარდა. არა, იმიტომ რომ სხვა უყვარდა, იმიტომ რომ ყოველთვის ის სხვა უყვარდა და ყოველთვის ის სხვა ეყვარებოდა. ათი სიცოცხლე რომ ეცხოვრა, ფეხით რომ დაეკიდათ, გულმუცელი რომ ამოეცლიათ, ცოცხლად რომ დაემარხათ, მდუღარე კუპრი რომ ჩაესხათ ხახაში. ის სხვა რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არც დაფიქრდებოდა, უყვარდა თუ არა ცოლი. სხვა კაცებივით ისიც ალბათ მხოლოდ მაშინ აუბუზღუნდებოდა ცოლს, სადილს თუ დაუგვიანებდა, ფეხსაბანი წყალის შენელება თუ დაავიწყდებოდა, ანდა მეზობელთან მარილის სასესხებლად გადასული საღამომდე შერჩებოდა ჭორაობასა და მასლაათს. თინა არაფერში იყო დამნაშავე. არც ძალით შემოვარდნია სახლში, თვითონ დაუძახა, თვითონ შემოიყვანა, რადგან სხვანაირად ფიქრობდა მაშინ და სულერთი იყო, ვის შემოიყვანდა, ვის დაისვამდა ცოლად. მაშინ ფარნაოზი თავშესაფარს ეძებდა, დასამალ ადგილს, ინოსაგან დასამალ ადგილს და არ უნდოდა დაეჯერებინა, არსად რომ არ არსებობდა ასეთი ადგილი, არც სააქაოს და არც საიქიოს. თინა უდანაშაულოდ იღუპებოდა, თინა მისი ცხოვრების ფარღალალა ქოხში შემთხვევით შემოფრენილი ჩიტი იყო და იმის ნაცვლად, უკანვე რომ გაეფრინა, გზა ესწავლებინა, საკენკი დაუყარა, ცეცხლთან გაათბო და შეიჩვია, რადგან აღარ შეეძლო, ეშინოდა ამ ფარღალალა ქოხში მარტო დარჩენისა. თინა პატივისცემის ღირსი იყო მხოლოდ, რადგან ყველაფერს ხვდებოდა და მაინც ითმენდა, ისევ მისი გულისთვის, მისი ფარღალალა ქოხის გულისთვის, მართლა რაღაცისთვის რომ დაემსგავსებინა ქალისა და ბავშვის სურნელს. ფარნაოზს კი აღარ მოსწონდა, მოსწონდა კი არა, აღიზიანებდა, ვერ იშნოვებდა, ვერ ეგუებოდა სიმყუდროვესა და პატივისცემას, რადგან სიმყუდროვე და პატივისცემა არც იმას ჰქონდა, იმას, ერთადერთს, ყველასაგან განწირულს, დაღუპულსა და დამღუპველს. ფარნაოზს თინას მოთმინებაც აღიზიანებდა. ხელფეხს უკრავდა, ანამუსებდა, თავსაც აძულებდა და თინასაც. ერჩივნა, თინას ეყვირა, ეჩხუბა, მეზობლები შეეყარა, ქმარი შინიდან გამოეგდო, მაგრამ ასე რომ მოქცეულიყო, მაშინ თინა თინა არ იქნებოდა, მაშინ ფარნაოზსაც გაუადვილდებოდა მასთან ურთიერთობაცა და ლაპარაკიც. მაგრამ თინას სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, მოთმინება მისი სიძლიერეც იყო და სისუსტეც. რადგან სხვა არაფერი იცოდა და ორივე ხელით ეპოტინებოდა ამ ყოვლის მომრევსა და დამაქცევარ ძალას; იტანჯებოდა და სხვასაც ტანჯავდა. მაგრამ თინა მაინც არ იყო ფარნაოზისთვის მთავარი დაბრკოლება. ბოლოს და ბოლოს, აღრე თუ გვიან ისინიც გააგებინებდნენ ერთმანეთს, უაზრობა რომ იყო მათი ერთად ყოფნა, სისულელე, სიმახინჯე და სი-

ლაჩრე, რადგან ერთმანეთი არ უყვარდათ. მაგრამ თინა მისი შვილის დედაც იყო, პატარა უხეიროსი, და ის მარტო შვილი კი არ იყო ფარნაოზისთვის, არამედ უკანასკნელი იმედიც. მისი უდარდელი ღაღანი რომ ესმოდა, საცოდაობით გული ემდუღრებოდა, გუნებაში უჩოქებდა, გაჩენისთვის პატიებას თხოვდა, რადგან დარწმუნებული იყო, თვითონაც რომ ვერ შესძლებდა იმას, რაც მამამისმა შესძლო. ვერ დაუმალავდა შვილს, მონად რომ იყო დაბადებული და მონობაში აღმოხდებოდა სულიც, თუკი მამა-პაპის მსგავსად განგებ დაყრუვდებოდა, განგებ გამოლენჩდებოდა და სამშობლოს ღალატს სამშობლოსათვის თავდადებად ჩათვლიდა. პატარა უხეიროს სხვა გზა უნდა გამოენახა, რადგან თავიდანვე ეცოდინებოდა სიმართლე, თავიდანვე, როგორც კი ყური გაეხსნებოდა, თვალი აეხილებოდა და ფეხზე დგომას შეძლებდა. როგორც არ უნდა ჰყვარებოდა, როგორც არ უნდა შესცოდებოდა, მამამისი მაინც ვერ დაუმალავდა სიმართლეს, რადგან მხოლოდ ეს იყო მისი მოვალეობა, ამისთვის გაეჩინათ ღმერთებს: სიმართლე რომ აღმოეჩინა, მარტოს, სხვების დაუხმარებლად, რათა შვილისთვის დაეხვედრებინა, გადაეცა, გადაედო. არც ეს ავალდებულებდა ფარნაოზს თინასთან ცხოვრებას, მაგრამ თინას მიტოვება შვილის მიტოვებასაც ნიშნავდა, უმამოდ გაზრდილ შვილს კი შეიძლება, აღარ დაეჯერებინა კაცისთვის, რომელსაც მხოლოდ მის ჩასახვაში მიეღო მონაწილეობა, მის ჩასახვაში და არა გაზრდაში. მთავარი კი გაზრდა იყო. პატარა უხეირო თავიდანვე, თანდათანობით უნდა შესჩვეოდა სიმართლეს, როგორც სიარულს, როგორც გველებზე მონადირე — გველის შხამს. ინო სხვა იყო, ინო მარტო მას ეკუთვნოდა და როგორც არ უნდა ეცხოვრა, მაინც ყოველთვის მარტო მისი იქნებოდა. შვილი კი-არა. ამიტომაც ვერ მიატოვებდა მას, თუ უნდოდა. პირნათლად შეესრულებინა თავისი მთავარი მოვალეობა: სიმართლის თქმა. ამავე მიზეზით ვერ გადაუდგა ფარნაოზს ის ნაბიჯი, რომელიც ყველაფერს თავის სახეს დაუბრუნებდა, თავის სახელს დაარქმევდა და ცხოვრებასაც უფრო ასატანს გახდიდა. „შვილს აბრალებ ყველაფერსო“ — ჩასძახოდა ფარნაოზს უჩინარი ხმა და ხანდახან თვითონაც სჯეროდა, ეს აჩემებული სიმართლის მთქმელობაც მისი სიმხდალისა და გაუბედაობის ნაყოფი რომ იყო, მონაჩმახი, გამონაგონი, ისევ და ისევ სიმხდალისა და გაუბედაობის გამმართლებელი. „შენ იმას სწუხარ, ხალხი რას იტყვისო, ოქროსავით ცოლშვილი მიატოვა და მეძავს გაეკიდაო“ — აღარ ინდობდა უჩინარი ხმაც და ფარნაოზი შეშლილივით წამოვარდებოდა ხოლმე საწოლიდან, როცა მისი ფიქრი ამ წერტილში იყინებოდა. თინა მძინარესავით ნელა და პირისწკლაპუნით გადაბრუნდებოდა ხოლმე კედლისაკენ, ფარნაოზი კი, სიცხიანი ავადმყოფივით, ანდა სამსჯავროს წინაშე წარმსდგარი, მაგრამ უდანაშაულო პატიმარივით, იმეორებდა: არა, არა, არაო, და აღარ იცოდა, რაზე გადაეტანა ყურადღება, ეს სულისშემხუთავი, დამაკნინებელი და ამავე დროს ჭეშმარიტებასავით უტიფარი ბრალდება რომ მოეშორებინა. „რა ინოს ბრალია, მე თუ ცხოვრება ვერ ამიწყვიაო“ — ეკამათებოდა გუნებაში უჩინარ ხმას, მაგრამ თვითონვე გრძნობდა, ბოლომდე გულწრფელი რომ არ იყო, მთელი მისი ცხოვრება ინოზე ფიქრით იყო გატენილი, როგორც ბროწეულის ნაყოფი მარცვლებით და ყველაფერი ინოს ბრალი იყო, რაც კი გადახდენოდა, ავიცა და კარგიც. ის ინოს ადანაშაულებდა, თუმცა თვითონაც ვერ იტყოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რა უნდა ეღონა ინოს, სხვანაირად რომ წარმართულიყო მათი ცხოვრება. განა თვითონ რამე იღონა საამისოდ? ერთი ქეციანი ძაღლის თავში აღებული ფუ-

ლით მოინდომა გოგოს ყიდვა, იმის ნაცვლად, გზაზე რომ გადასდგომოდა მგზავრებს, ზღვაში რომ დასდევნებოდა ხომალდებს, მეფის ხაზინამდე ხვრელი რომ გაეთხარა და მთელი ქვეყნის სიმდიდრე შავთვალება მალალოს ფეხებთან დაეხვავებინა, რადგან შავთვალება მალალომ უკეთესად იცოდა ინოს ფასი, ვიდრე ფარნაოზმა, ვიდრე სხვა ვინმემ. განა მართლა არ ღირდა ინო მთელი ქვეყნის სიმდიდრედ? განა არ ღირდა, მისი გულისთვის, მისი გულუბრყვილო ღიმილის გადასარჩენად ავაზაკი გამხდარიყო? გადაეწვა ქალაქები და სისხლში ჩაეხრჩო ყველა, ვინც კი გზაზე გადაუდგებოდა? ღირდა, რა თქმა უნდა, ღირდა, მაგრამ ფარნაოზს არც ავაზაკობა შეეძლო, არც ქურდობა და არც კაცის კვლა. ის კი არა, შავთვალება მალალოს ფეხები დაუკოცნა, შვილივით უპატრონა, არა და, თავი უნდა გაეჩეჩქვა, მიეფურთხებინა მაინც, რადგან სწორედ ის ჩადგა ინოსა და ფარნაოზს შორის, ხარბი და უგრძნობელი, ურჩხულივით მიუდგომელი და უსიყვარულოდ ჩაბერებული მირიად კაცის ხელში, მაგრამ მაინც ფარნაოზზე მართალი, რადგან მან ინოს ფასი იცოდა. გარდა ამისა, შავთვალება მალალოს თავისი გზა ჰქონდა, თავისი ანგარიში ჰქონდა ქვეყანასთან და ცდილობდა ყველა დაემსგავსებინა, ყველას მასავით ეცხოვრა. რაში ეპიტნავებოდა, ვიღაცას თუ არ მოსწონდა ამ ყაიდის ცხოვრება; ან რატომ დაუთმობდა შვილს მით უფრო იმ ვიღაცას, როცა შვილი თვითონვე სჭირდებოდა და იმ ვიღაცაზე უკეთესად იცოდა მისი ფასი. დათმობით არავის დაუთმობდა, წართმევა კი შეიძლებოდა, და თუ ის ვიღაცა მაშინ ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, რატომ მამას არ ჩაუვარდა ფეხებში, რატომ არ უთხრა ვიღუპები, დამეხმარეო? იქნებ უხეირო სახლიანად გაიყიდებოდა, შვილი რომ არ დაეჩაგვრინებინა ვინმესთვის? ეცადა მაინც. მაგრამ არა, ფარნაოზი მამასაც ვერ თხოვდა დახმარებას, მამამისს სიარული არ შეეძლო, მთელი დღე თავაუღებლად ქარგავდა, ხოლო მისი შუბის ტარზე ბავშვის სველი საფენები ეკიდა. ამიტომაც აირჩია ყველაზე იოლი გზა, გაქცევა და სხვების გამტყუნება. „რატომ თავი არ მოიკლაო“ — ამასაც კი ფიქრობდა ხოლმე ფარნაოზი, მაგრამ რატომ უნდა მოეკლა ინოს თავი? იქნებ ასეთი ცხოვრება მოსწონდა კიდეც? განა მისი დედა-დებიც ასე არ ცხოვრობდნენ? სხვა გზა ვინ აჩვენა, ვინ გაუხადა ასარჩევად საქმე? ფარნაოზს უნდა მოეკლა ინო, ან თვითონ უნდა მოეკლა თავი, მაგრამ ეგეც რომ არ შეეძლო, სამაგისოდაც რომ არ ვარგოდა? თინა კი მართლა არაფერ შუაში არ იყო, ის არ იღებდა მონაწილეობას იმ ვნებათა ღელვაში, რომელიც უიმისოდ, მის გაჩენამდე აეტეხა ბუნებას, ღმერთებსა თუ ბედისწერას. ის უბრალოდ არსებობდა, როგორც წყალქვეშა კლდე, და უნდოდა თუ არ უნდოდა, ამსხვრევდა ტალღებს, თავზე რომ გადასდიოდა. თინა არავისგან არ იმსახურებდა არც გულისწყრომას, არც სიძულვილს, მისი ერთადერთი დანაშაული, თუკი ეს დანაშაულად შეიძლება ჩაეთვალოს ქალს, ის იყო, ფარნაოზს რომ გაჰყვა ცოლად, მაინც და მაინც ფარნაოზის ცოლობა რომ მოინდომა. აკი პირველსავე ღამეს თვითონვე უთხრა ქმარს, ძალიან ვიყავი შენს ცოლობას მოწადინებული, მაგრამ ახლა აღარც მიკვირს, აღარც მიხარიაო. თინას ერთი წუთითაც არ უფიქრია, თავისი ცოლობით ტანჯვის მეტს არაფერს რომ მოუტანდა ფარნაოზს. პირიქით, მისი ერთადერთი სურვილი იყო, გაებედნიერებინა იგი, მზრუნველობით, ყურადღებით, ერთგულებით და, თუ საჭირო გახდებოდა, თავგანწირვითაც. თვითონ ბედნიერი იყო, ვინც უნდოდა, ის ყავდა ქმრად, ვინც უნდოდა. სწორედ ის იყო მისი შვილის მამა, ოჯახი ჰქონდა და ამ ოჯახში არავის უფიქრია, შეეზღუდა მისი უფლებები, აეთვალწუნებინა, ეჭვის თვალით

შეეხედა, რადგან თვითონვე არ იძლეოდა საამისო საბაბს, ისე დასტრიალებდა, ისე დარაჯობდა იქაურობას, როგორც მეომარი მეთაურის კარავს, მაგრამ ერთი რამე არ იცოდა, ან ვერ გაითვალისწინა თინამ: ერთი ადამიანის ბედნიერება არ შეიძლებოდა ყოფნოდა ორ ადამიანს, საერთოდ არ შეიძლებოდა ბედნიერების გაყოფა. ამას მერე მიხვდა, მაგრამ მაინც ითმენდა, რადგან სხვა არაფერი შეეძლო: იმით იცავდა მონაპოვარს, რითაც მოეპოვებინა. ბევრი ძნელად მოსანელებელი ცრემლი ჩაყლაპა თინამ, უგულვებელყოფილი ქალის ცრემლი, ბევრი ღამე გაათენა თვალგაშტერებულმა, მაგრამ დილით ყველასათვის ისეთივე თინა იყო, ხალისიანი, მშრომელი, მოყვარული, ამაყი ცოლი და ბედნიერი დედა. არავინ არ იცოდა, რა ღატაკი და საცოდავი იყო თინას სარეცელი, სადაც ცოლქმრული ალერსის ნაცვლად, ორი, ერთმანეთისათვის ბოლომდე უცხოდ დარჩენილი სხეული, უკიდურესი შეუღლების ჟამსაც ვერ ივიწყებდა ამ სიუცხოვეს, ისინი კი არ ნებდებოდნენ ერთმანეთს, არამედ იმორჩილებდნენ, კი არ ეღელვებდნენ, არამედ აღიზიანებდნენ, ასე კი იმიტომ ხდებოდა, მათი ერთად ყოფნა შემთხვევითი, იძულებითი რომ იყო და არა აუცილებლობით გამოწვეული. ამაოდ ეხვეწებოდა ხოლმე მოულოდნელად გამოღვიძებული თინა ქმარს, მაცალე, გონზე მოვიდეო, მაგრამ საკმარისი იყო, გონზე მოსულიყვნენ, მაშინვე გაითიშებოდნენ. ამასაც მერე მიხვდა თინა, როცა ქალური ალღოთი ამოიცნო ქმრის ძალადობის მიზეზი, მისი ქმარი ძალადობით ჩქმალავდა ჭეშმარიტს, მაგრამ სულ სხვა ქალისთვის განკუთვნილ ვნებას. ამიტომაც იყო ყველა მისი მოძრაობა მტკივნეული, დამაკნინებელი და დამსჯელი. „მაცალე, გონზე მოვიდეო“, კი ეუბნებოდა თინა, მაგრამ უკვე მრავალგზის დარწმუნებულიყო, ქმარი რომ არ დააცლიდა გონზე მოსვლას, როგორც ავაზაკთა მცირერიცხოვანი რაზმი გზისპირას დაბანაკებულსა და ჩაძინებულ ქარავანს, რადგან ავაზაკთა რაზმმა არ იცის, როგორ წინააღმდეგობას გაუწევს ქარავანი, ღირს თუ არა, საერთოდ, გასაძარცვავად. მაგრამ მაინც ესხმის თავს, რადგან სხვა გზა არა აქვს, მათი გამოქვაბული გამოხრული ძვლებითღაა სავსე, ხოლო მეთაურის უმოქმედობამ და გაუბედაობამ, შეიძლება, სულმთლად დაშალოს ეს ისედაც მცირე რაზმი, გაანიავოს, დაუკარგოს საკუთარი თავისა და გამარჯვების რწმენა.

თინას არ შეეძლო არ ეკრძნო ეს, რადგან თინა ის ქალი არ იყო, რომელსაც მისი ქმრის ამბოხებული ხორცი დაეძებდა. ფარნაოზმაც ერთი რამე იცოდა მხოლოდ, შეხვდებოდა თუ აღარ შეხვდებოდა ინოს, ვერასოდეს შეეგუებოდა უიმისობას, ვერაფერს მიიღებდა ცხოვრებისგან სანაცვლოს, საერთოდ ვერაფერს მიიღებდა ცხოვრებიდან და მისი არსებობა, არსებობაც კი, დამთრგუნველი და აუტანელი იქნებოდა ყველასათვის, ვინც კი რამეთი იყო დაკავშირებული მასთან, შვილი ერქმეოდა თუ ცოლი, დისშვილი თუ და, რადგან მთავარი შეცდომა თავიდანვე იყო დაშვებული, თავიდანვე დაუმალეს ის, რისი ცოდნაც ისევე აუცილებელია, როგორც დედისა, დედისა თუ არა, დედის საფლავისა მაინც. ეს ის შემთხვევაა, როცა არცოდნა ცოდვაცაა და გამოუსწორებელი ბოროტებაც, რადგან ამ ბოროტების გამოსასწორებლად ერთადერთი გზა არსებობს მხოლოდ: უკან დაბრუნება, წარსულამდე არსებულ დროში, გამოქვაბულში, ადამიანის პირველ თავშესაფარში, წინაპართა საფლავებზე გადავლით, გადაბიჯებით, გადახოხებით, და თავიდან დაწყება ცხოვრებისა, შენი კი არა, საერთოდ ცხოვრებისა, როცა არავინ არ იცის, რა არის თავისუფლება, რადგან ყველა ერთნაირად თავისუფალია. ამ ბოროტებას ერთი საზარელი თვისება აქვს, მისმა მსხვერპლმა არ იცის რომ მსხვერპლია:

ამიტომაც ცხოვრობს ისე, როგორც არ უნდა ცხოვრობდეს, როგორც არ იცხოვრებდა, თავის დროზე რომ მიეცათ საამისო ცოდნა. ფარნაოზმა ეს ცოდნა თავისით მოიპოვა, სხვების დაუხმარებლად და ბევრი რამე სამუდამოდ დაეღუპა, ან ისე დაუმახინჯდა, ძალაუნებურად ყველასაგან გამოირჩა, გამოაშკარავდა და ქვეყანა, რომელშიაც ის არსებობდა, ორ ნაწილად გაიყო, ერთ მხარეს თვითონ იყო, მეორე მხარეს კი — ყველა დანარჩენი. თუ მეორე მხარეს ჯერ არ შეემჩნია, ადრე თუ გვიან მაინც შეამჩნევდა მის განცალკევებას, ამ განცალკევების მიზეზსაც გამოიძიებდა, რაც, მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდებოდა, და უმალ მეტიჩრობას დასწამებდა ფარნაოზს, გადათელავდა, გასრესდა და მოიშორებდა, ვიდრე აჰყვებოდა, დაუჯერებდა და ერთხელ აწყობილ ცხოვრებას აიწეწავდა, იმის გულისთვის, რომ თურმე ფარნაოზის აზრით, ყველანი უმეცარი, მხდალი და თვინიერი ცხვრები ყოფილან, რომლებსაც სიამოვნებთ კიდეც ზედმეტ მატყლს რომ აკრეჭენ და ფეხებზე ჰკიდიათ, ვინ იქსოვს იმ მატყლით პერანგს. ისინი ტიტვლები კი იყვნენ, მაგრამ არავის აპატიებდნენ, მათი სიშიშვლე რომ შეემჩნია. ესეც ყველა დანარჩენის თვისება იყო და ეს თვისება, საბოლოო ჯამში კი არ ართულებდა, აადვილებდა ცხოვრებას. სიშიშვლე ამსგავსებდათ, სირცხვილის გრძნობას უკარგავდათ, ათავხედებდათ და ეს თავხედობაღა იყო ერთადერთი კედელი, თუმცა თვითონ ამის მიხვედრაც არ შეეძლოთ, ხელს რომ უშლიდა მათ საბოლოო განადგურებას, თუმცა ამაზრზენსა და სავალალოს ხდიდა მათ არსებობას. ეს, რაღა თქმა უნდა, ერთ დღეში არ მომხდარა, არც თავისთავად, ყველაფერი ადრევე, აქედან ძალიან შორს, ქნოსის სასახლეში, ყველაზე დიდი მეფის გონებაში იყო მოფიქრებული და გადაწყვეტილი. მინოსმა იცოდა, ხალხს მახვილი კი არა, ტყუილი რომ იპყრობდა, ტყუილი და უმოქმედობა, და მარყუჟი, რომელსაც ფარნაოზი გაჩენის დღიდანვე გრძნობდა, იმ თოკის მეორე ბოლო იყო, რომლითაც აიეტი გაკოჭეს მისმა ერთგულმა მცველებმა, რათა სამუდამოდ გაეთრიათ მშობლიური ქალაქიდან. რაც ოყაჯადომ გააკეთა, ვერცერთი სახელგანთქმული მხედართმთავარი ვერ გააკეთებდა, რამდენი ლეგიონიც არ უნდა ჰყოლოდა და რა იარაღითაც არ უნდა აღეჭურვა ლეგიონები. ოყაჯადო ტახტის კანონიერი მემკვიდრის დროშით შემოვიდა ვანში და ეს დროშა აიეტის მოშუღლეებს, მაგრამ სამშობლოს დანატრებულსა და სამშობლოსთვის თავდადებულ ვანელებს ეჭირათ ხელში. მათთვის ეს ბრძოლა სამართლიანობისათვის ბრძოლა იყო, ქვეყნის საკეთილდღეო ბრძოლა, და არცერთს არ მოსვლია თავში აზრად, რომ უფრო ცბიერი და შორსმჭვრეტელი მტერი, მათივე მეშვეობით სამუდამოდ ართმევდათ სამშობლოს. ბევრი მათგანი მშობლიურ მიწაზე განიგმირა ვანისთვის გამართულ ბრძოლაში და ბედნიერი ჩაბარდა სიკვდილს, როგორც ღირსეული მამულიშვილი, რომელსაც სიკვდილ-სიცოცხლის შუა არჩევანის უფლება არა აქვს, როცა სამშობლო განსაცდელშია. ახლა ისინი ოყაჯადოს გათხრილ საძმო საფლავში იწვნენ, სამუდამოდ მოტყუებულნი, გაბითურებულნი და ცოცხლად დარჩენილებთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდათ: ვერასოდეს გაიგებდნენ, რა მწარედ იყვნენ მოტყუებულნი, ვერასოდეს დაჯიჯგნიდათ სინდისის ქენჯნა წამოჩიტული ვაჟიშვილების დანახვისას. განუზომლად მძიმე იყო ცოცხლად დარჩენილთა ხვედრი: ან იხტიბარი არ უნდა გაეტეხათ, თავი მოესულელებინათ და შეეშნოვებინათ ჯილდოები, ან იარაღი ბავშვის ფსიტიან საფენებში დაემალათ და საქმროს მომლოდინე გოგოებივით, ყაისნაღით ამოეღამებინათ თვალები. არჩევანი დიდი ხნის წინათ მოხდა, ასე რომ ახლა გვიანღა იყო

თითზე კბენანი. სიმართლე ტყუილით შეიმოსა, როგორც მგელი ცხვრის ტყავით და თამამად დაძუნძულებდა ფარეხში. მწყემსისთვის კი ადგილიც აღარ რჩებოდა. ცხვრებსაც უმწყემსოდ ერჩიათ, რადგან მწყემსი კომბლით დაუვლიდათ ხოლმე, უფსკრულისკენ არ ახედებდათ, არც გაფანტვის ნებას აძლევდათ, მგელი კი ყველაფერზე თანახმა იყო, ვისაც რა უნდოდა, ის ექნა, სადაც მოეპრიანებოდა, იქ ეწიწკნა ბალახი, როცა უნდოდა, მაშინ დაბრუნებულიყო ფარეხში, თუ უნდოდა სულ ნუ დაბრუნდებოდა, თავში ქვა ეხალა და მუცელში სამართებელი, არც არავინ დათვლიდა და არც არავინ გამოენთებოდა საძებნელად ბომბორა ძაღლებით. მგელს მეტი ნდობა ჰქონდა, რადგან ისიც მათსავით ოთხზე დადიოდა და ტყავიც მათნაირი მოესხა. მწყემსი კი თავიდანვე უცხო იყო და ახლა ხომ უფრო და უფრო უცხო გამხდარიყო, აღარც მისი გამაფრთხილებელი ძახილი ესმოდათ და აღარც მისი სალამურის წკრიალი. პირუტყვული თავისუფლებით გალაღებული ცხვარი უფსკრულისკენ მიიძოვდა ბალახს. მგელი კბილებს ილესავდა, რადგან მალე თავზესაყრელად ექნებოდა ხორცია და ძვალიც. „მერე შენ რა? შენ რა გაწუხებს? შენ ხომ დროულად განუდექი? ცხვრობა იუკადრისე, პირი ვერ დააკარე საზიარო ბალახსა და ეკალს. თუმცა არა, ბალახი და ეკალი რა შუაშია, უბრალოდ შეგეშინდა, შენც არ გადაჩეხილიყავი მასთან ერთად, რადგან შენი ტყავი გირჩევნია ფარისას, ფარას კი ყველაფერი საერთო აქვს, სიკვდილიც“ — იღიზიანებდა თავს ფარნაოზი და ხანდახან ეუბნებოდა კიდეც, იქნებ მართლა სხვებს ვაბრალებ ჩემს სისუსტეს, ჩემს უყაირათობას და ამით უფრო დიდ ცოდვას ჩავდივარო. აბა, რატომაა, ფიქრობდა იგი, სხვები მშვენივრად რომ ცხოვრობენ, ოჯახდებიან, შრომობენ, მხიარულობენ და იხოცებიან, როგორც წესი და რიგიაო. რაღა მაინც და მაინც მარტო მე ვამჩნევ უბედურებასა და განსაცდელს, რაც არ უნდა ქვეყნიერებასამჩნევი იყოსო. იქნებ მამაჩემიც მართალი იყო და რა უნდა დაებარებინა, როცა არაფერი ჰქონდა დასაბარებელიო. ამგვარი ფიქრი კი უარესად ტანჯავდა ფარნაოზს, თვითონ გამოდიოდა დამნაშავე ყველას წინაშე, მაგრამ დანაშაულის გრძნობა კი არ აფრთხობდა, უაზროსა და უსარგებლოს ხდიდა მის არსებობას, მაშინ მართლა რიღასთვის იხანგრძლივებდა სიცოცხლეს? დაკარგულს ვერ ელეოდა და ამიტომ, თუ შვილისთვის რომ სიმართლე ეთქვა? კი მაგრამ რა იყო სიმართლე? რა იცოდა, მართლა სიმართლე რომ იყო ის, რასაც მხოლოდ და მხოლოდ თვითონ თვლიდა სიმართლედ? ხომ შეიძლებოდა, კიდევ უფრო დიდი, უარესი დანაშაული ჩაედინა: შვილიც გაებრიყვებინა და დაეღუპა? იქნებ მხოლოდ დუმილი და შეგუება იყო ერთადერთი გზა, რომელიც ადამიანისთვის დაეთმოთ ღმერთებს? იქნებ ის არ იდგა ადამიანის გზაზე და ვერ გარკვეულიყო ვერაფერში, ამიტომაც ეუცხოვებოდა გარემო? „ალბათ, ასეა“ — ასკვნიდა თავატკიებული ფარნაოზი და ისევ ნიჟარაში იკეტებოდა, რათა ერთხელ კიდევ აეხსნა და აეწონა აუხსნელი და აუწონავი.

აგერ უკვე მთელი კვირა, გადაუღებლად წვიმდა. სახლში კი სასიამოვნოდ, რულისმომგვრელად თბილოდა. ცეცხლზე შემომდგარ ქვაბში წყალი დუღდა. წყალს მეტი სიმყუდროვისთვის ადუღებდნენ ქალები და აბუყბუყებული, ორთქლმობმული ქვაბი ოთახს მართლაც მყუდროსა და ახლობელს ხდიდა. ყველანი დაცვარულ ბურუსში გახვეულიყვნენ. ხმასა და მოძრაობას წყალქვეშა ბინადართა სიზანტე და სილბილე შეეძინა, ზღაპრულად იდუმალი გამხდარიყო. „კუსა მოდისო“ — თქვა პოპინამ და ცოტახნის მერე სხვებმაც გაიგონეს ნაცნობი ჟღრიალი, თანდათან რომ გამოეყო წვიმის ხმასა და მათკენ

წამოვიდა. ფარნაოზიც ამ ხმამ გამოაფხიზლა ფიქრებისგან, მაშინვე პატარა უხეიროს ღუღუნიც გაიგონა, ქვაბის ბუყბუყიცა და ქალების წყნარი საუბარიც. ოთახში ზიარა შემოვიდა, მხარზე კუსას ტომარა ჰქონდა გადაკიდებული, ტომარა კართან დააგდო და ორივე ხელი სველ სახეზე ჩამოისვა.

— კუსაც ახლავე მოვა. — თქვა ზიარამ და პირდაბანილ ბავშვივით გაიღიმა.

კუსაც თითქმის ფეხდაფეხ შემოჰყვა ზიარას და პირდაპირ ცეცხლს მიაშურა. ფილაქანზე წყლის გუბეები გაჩნდა. ზიარა ისევ კართან იდგა და დაბნეულად იღიმებოდა. „რას გაშტერებულხარ, მოდი ცეცხლთანო“ — დაუძახა კუსამ. კუსას ბოლქვა-ბოლქვა ასდიოდა ოხშივარი და მარტო ცეცხლისთვის მიშვერილი წითელი ხელებიღა მოუჩანდა. ზიარაც ცეცხლისკენ წავიდა, თან ცდილობდა, კუსას დანატოვარ გუბეებში ჩაედგა ფეხი, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, ზიარას მოკლე ფეხები ჰქონდა და კუსას ერთი ნაბიჯი მის სამ ნაბიჯს უდრიდა. კი არ მიდიოდა, გუბე-გუბე მიხტუნავდა და ისეთი სასაცილო სანახავი იყო, უნებურად ყველას გაეღიმა. კუსამაც ჩაიხვიხვინა, ზიარას ა

ვისა, თითქოს ღრუბელი კი არა, ურჩხულია, ღრუბლის სახე რომ მიუღია, სახლში შემოგპარვია და საცაა, ისევ ურჩხულად გადაქცეული, წინ დაგისკუპდება და ისე გაგიღიმებს, თვითონვე ჩაუვარდები პირში, თუნდაც იმიტომ, მისი ღიმილი რომ აღარ დაინახო. არა, ყელში რომ გაეჩხირო, ხმა რომ ჩაუხშო და არ ათქმევინო ის, რის სათქმელადაც მოსულა. ეს საბრალო ზიარაც გაუპამპულებია, მთელი კვირა აზეპირებინებდა, ალბათ, აქ რომ ეთქმევინებინა: შვილი მინდა, ვისზე რა ნაკლები ვარო. მართლაც რითია ვინმეზე ნაკლები? შენ თუ შვილი გყავს, იმიტომაც არ დახტუნაობ ასკინკილით გარე-გარე, შინ კი მევალესავით იბღვირები. გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო, ასეა შენი საქმეც. მაგრამ კუსას რას მოატყუებ, არც სხვას მოგატყუებინებს კუსა, არც ცოლსა და არც იმას. შენ ხომ ორი კურდღლის დაჭერა გინდა? როცა ცოლთან ხარ, ის გენატრება, ხოლო როცა იმასთან ხარ, ცოლისკენ გამორბიხარ, თითქოს სარკოფაგიდან ამოცვენილი მკვდრები დაგდევნებიანო. არა, ასე არ გამოვა. ერთერთს უნდა შეეშვა, ერთერთი სამუდამოდ უნდა დაივიწყო. ან იქნებ იმის იმედი გაქვს, ისა და თინა შეთანხმდებიან და შუაში ჩამიწვენენო? ლაჩარი ხარ და მეტი არაფერი, ლაჩარი! არა, თაგვი, წუწკი თაგვი, ერთდროულად რომ მოუნდომებია ნიგვზის ორივე ლებანის დათრევა. მაგრამ ვერ მიართვეს, კატამ მოუსწრო და თავისი მომნუსხავი თვალებით ადგილზე გააშეშა. აი, ახლა გამოვა კატა ორთქლის ღრუბლიდან და როგორც მოეპრიანება, ისე აბურთავებს თაგვს, სიცილით დახოცავს ყველას. მერე, შიშისაგან გონდაკარგულს კუდში ჩაავლებენ ხელს, ერთს ააპორწიალებენ და სანაგვეზე მოისვრიან. მადლობა თქვი, ამაზე თუ დაგყაბულდნენ და კატამ დაანებათ შენი თავი სანაგვეზე გადასაგდებად. კატამ იცის თაგვის გემო, ისიც იცის, თაგვს მომკვდარუნება რომ ეხერხება.

ამ ფიქრებში იყო ფარნაოზი, ორთქლის ღრუბლიდან კუსა რომ გამოვიდა, ფარნაოზის წინ სკამზე ჩამოჯდა და დაშაშრული ხელები გახურებულ ბარძაყებზე დაისვა. „ინო თუ ახსენა, მოვკლავო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა. კუსა ხმას არ იღებდა, თავისთვის იჯდა და თითებგაფარჩხულ ხელებს ბარძაყებზე ისვამდა; მერე წამოდგა, ზიარასთან მივიდა, ბავშვი ჩამოართვა და ბავშვიანად ისევ თავის სკამთან დაბრუნდა. პატარა უხეირომ ფარნაოზი დაინახა, სიხარულისგან სახე გაუბრწყინდა, დაიფრუტუნა, ვარდისფერ პირზე დორბლი ეოადგა და ხელები გაუშვირა. ფარნაოზს მოერიდა კუსასთვის ბავშვის ჩამორთმევა, ეს კუსამაც იგრძნო და გაუღიმა, პატარა უხეირო სახით თავისკენ შემოატრიალა, მიტყუპულ ბარძაყებზე დაიყენა და ზედიზედ რამდენჯერმე ჩაბუქნინა. „აჩუ, აჩუ, ცხენო, საით გაგაქენო“ — იძახდა კუსა და პატარა უხეიროსაც უცებ დაავიწყდა ფარნაოზი, გულიანად კისკისებდა, სიამოვნებდა, ბუქნისაგან სუნთქვა რომ ეკვროდა და პატარა, ფუნჩულა თითებით კუსას ცხვირს ეტანებოდა. ფარნაოზმა თვალი აარიდა, გრძნობდა, როგორ ღიზიანდებოდა, როგორ ებურძგნებოდა კანი, თითქოს მის გასაბრაზებლად იძახდა კუსა: აჩუ, აჩუ, ცხენოო. პატარა უხეირო ნეტარებისაგან ფრუტუნებდა, დორბლის ვერცხლისფერ ბუშტულებს აფრქვევდა და ისე სხმარტალებდა, გეგონებოდათ, კუსამ რომ ხელი გაუშვას, აფრინდებაო. კუსა განგებ ათამაშებდა პატარა უხეიროს ფარნაოზის ცხვირწინ, ვითომ, ამ ბავშვის პატრონს, რა უფლება გაქვს სხვა რამეზე ფიქრისაო. ერთი წუთიც და ფარნაოზი წამოვარდებოდა, ძალით გამოგლეჯდა ბავშვს და მერე... მერე არ იცოდა, რა მოხდებოდა, მაგრამ თუ ახლავე არ შეწყდებოდა გულუბრყვილო ბავშვისა და გველაძუა კაცის თამაში, მხოლოდ და მხოლოდ მის გასაღიზიანებლად რომ იყო გამიზნული, რაღაცა აუცილებლად მოხდებო-

და. იმაზე უფრო სკდებოდა გულზე, კუსა პატარა უხეიროსაც რომ ასულელებდა, ვითომ მართლა სიამოვნებდა მასთან თამაში. ფარნაოზმა ვერაფრით ვერ ანიშნა ქალებთან ლაპარაკით გართულ თინას, ბავშვი წაიყვანეო, დაძახება კი ვერ გაბედა, ხმას არ ენდო, ხმა დაფარულ ბრაზსა და მღელვარებასაც ამოიყოლებდა და ყველას ყურადღებას მიიქცევდა. ქალები წყნარად საუბრობდნენ, უხაროდათ, ერთად რომ იყვნენ, ერთ ჰერქვეშ, ერთმანეთის ახლობლები, და ირგვლივ ასეთი სიმშვიდე სუფევდა. მეტი არც არაფერი უნდოდათ, არც არაფერი ადარდებდათ.

— ნუ გააწვალეთ ეს კაცი. — მაინც ველარ მოითმინა ფარნაოზმა.

ქალებს არც ახლა მიუქცევიათ მათთვის ყურადღება, ან, შეიძლება, ვერცკი გაიგეს ფარნაოზის ნათქვამი, ყელიდან არაბუნებრივად სუსტი და მთრთოლვარე ხმა ამოუვიდა. ფარნაოზს შერცხვა და გაილურსა. როგორც ყოველთვის, ახლაც მტკივნეულად, წუხილითა და შეშფოთებით გრძნობდა, როგორ წითლდებოდა. „ხე ხე“ — ჩაიცინასავით კუსამ. ის ახლოს იჯდა და არც ფარნაოზის ხმის გაგონება გასჭირვებია და არც მისი შინაგანი მღელვარების ამოცნობა. მაშინვე წამოდგა და ბავშვი თინას ჩაუგორა კალთაში. თინამ ღიმილით ამოხედა, ბავშვი ზიარას გადააწოდა და ლაპარაკი გააგრძელა. კუსა თავის სკამთან დაბრუნდა.

— ასეა ცხოვრება, — თქვა კუსამ.

— რა თქვი? — ჰკითხა ფარნაოზმა.

კუსამ არ უპასუხა. აღარც ფარნაოზი ჩასციებია. ჩუმად ისხდნენ და ქალებს უსმენდნენ. პატარა უხეიროც გატრუნულიყო ზიარას კალთაში. გარეთ წვიმდა. თუ რამის თქმას აპირებდა, ახლა უნდა ეთქვა კუსას. ირგვლივ სრული სიმყუდროვე სუფევდა. კუსა იდაყვებით მუხლებს დაჰყრდნობოდა და სახეში შესცქეროდა ფარნაოზს.

— არაფერს გამოსწირავენ ჩვენი ქალები? — თქვა ფარნაოზმა, უფრო კუსას გასაჩერებლად, გასაჩუმებლად. პირსმომდგარი სიტყვა, უკანვე რომ ჩაებრუნებინა.

კუსა კარგს არაფერს იტყოდა, მაგრამ რაც კუსამ თქვა, იმდენად მოულოდნელი და იმდენად წარმოუდგენელი იყო ფარნაოზისთვის, გაოცებისგან პირი დააღო. გადაუღებელ წვიმას, ოთახში გამეფებულ სიმყუდროვესა და ბავშვთან თამაშს, შეიძლებოდა მართლა დაეყენებინა კუსა გულახდილი საუბრის გუნებაზე, მაგრამ არც ის იყო გამორიცხული, ახალ მახეს რომ აგებდა, ახალი ვერაგობა რომ განეზრახა.

— ბიძაჩემო, აი, ერთ დღეს რომ დაიძახოს ვინმემ: ვანელებო, გვეყოფა მონობაო, შენ რას იზამდი? — ჰკითხა კუსამ.

პასუხის დაყოვნება არ შეიძლებოდა, კუსა გადაიხარხარებდა და ეტყოდა: რისი გეშინია, სხვა ხომ არა ვარ, შენთან თუ არა ვთქვი, აბა ვიღასთან ვთქვაო. ამიტომაც იყო, დაუფიქრებლად რომ უპასუხა ფარნაოზმა: სადაც სხვები, მეც იქაო, თუმცა რომც დაფიქრებულიყო, მაინც ასე უპასუხებდა.

— როგორ გგონია, რას იზამდნენ სხვები? — ისევ ჰკითხა კუსამ და სკამიანად უფრო ახლოს მიიჩოჩდა ფარნაოზთან.

ამჯერად კი დაუგვიანდა ფარნაოზს პასუხი, მაგრამ კუსამ თვითონვე გააკრძელა: რას იზამდნენ და, ამის დამძახებელს თავს გაუჩეჩქვავდნენო.

— შენც ასე მოიქცეოდი, ბიძაჩემო? — არ მოეშვა კუსა გადაფითრებულ ფარნაოზს.

— მე არ ვიცი, როგორ მოიქცევიან სხვები. — თავი აარიდა პირდაპირ პასუხს ფარნაოზმა და მაშინვე იგრძნო, კიდევ ერთხელ რომ დამარცხდა, ეს დამარცხება სხვა დამარცხებებთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვანიც რომ იყო, რადგან დისშვილთანაც ვერ თქვა ის, რასაც ყველაზე დიდ სიმართლედ თვლიდა, რაც ზეზეურად ახმობდა და ალპობდა, როგორც მკურნალის უყუ-

რადღებობით ჭრილობაში ჩარჩენილი ჭუჭყი.

ამ საუბრის შემდეგ ფარნაოზს უარესად დაეკარგა მოსვენება. შეგნებულად თუ შეუგნებლად კუსამ დაუმტკიცა, რა უაზრობა იყო ყველაფერი, რისთვისაც ამდენი ხნის განმავლობაში გულს ასკდებოდა, არარსებულ გზებს დაეძებდა, ოდესღაც დამთავრებული და დავიწყებული საქმის თავიდან გადაქექვას აპირებდა და ვერც კი გრძნობდა. ისევე ძნელი და წარმოუდგენელი რომ იყო ეს, როგორც დაკლული და გატყავებული პირუტყვის საძოვარზე გადენა. თანაც მარტო, ცარიელ-ტარიელი მოჰკიდებოდა ამოდენა საქმეს და თავისი სიმარტოვითაც ყველას დასაცინი ხდებოდა, რადგან ხალხისთვის მარტო კაცი ჭამაშიც ცოდო იყო და ომში რა ხეირი დაადგებოდა. კუსამ ხომ უთხრა: შენ სხვებივით არ მოიქცეოდიო. სხვები კი მართლა გაუჩეჩქვავდნენ თავს, თუკი ვინმე გაბედავდა და დაუძახებდათ: ყველანი მონები ვართ, მე კი აღარ მინდა მონობა და კეთილი ინებეთ, ცოლშვილიანად გაწყდით ჩემი თავისუფლების გულისთვისო. კუსას სიმართლე უფრო მწარე იყო და ამიტომაც უფრო ნაღდი, წყალი არ გაუვიდოდა. კუსას ნათქვამიდან ისე გამოდიოდა, თითქოს ფარნაოზი თავისით კი არ გამდგარიყო განზე, არამედ ბედს გამოეცალკევებინა, მარტო დაეტოვებინა და სიმარტოვით გამწარებული თვითონ ვერც ამჩნევდა, როგორ შურდა, როგორ აცოფებდა სხვათა სიმშვიდე და კმაყოფილება. შურდა, მაგრამ ამ გრძნობისა რცხვენოდა და სხვა, მისთვის შეუფერებელ სამოსელში ხვევდა. ამიტომაც ყველასათვის თვალშისაცემი ხდებოდა, როგორც ჭრელა-ჭრელა ჯამბაზი, სანახაობაზე ხალხის მოსაზიდად რომ გაუშვებენ ქუჩებში. კუსა მართალი იყო, ფარნაოზი სხვებივით ვერ მოიქცეოდა, ვერ გაუჩეჩქვავდა თავს იმ ადამიანს, რომელიც მათ მონობას აღიარებდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ადამიანი, შეიძლება, თვითონვე ყოფილიყო (ასე ფიქრობდა კუსა). მეორეც ერთი... მეორეც ერთი, თეთრი სახედარი სხვა სახედრებს არ უყვართ, სულ იმის შიშში არიან, ჩვენმა პატრონმა ახლა ამაზე არ მოგვდოს შარი, თქვენც რატომ არა ხართ თეთრებიო. — თქვა მაშინ კუსამ და ცოტა ხნის მერე დაუმატა: ერთი კაცის პატიოსნება გინდ ყოფილა, გინდა არა, თუმცა ჯობს, არც ის იყოს, რადგან ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებსო. როგორც ფარნაოზმა გაიგო, მას პატიოსნად თვლიდნენ და ეს იყო მისი ყველაზე დიდი დანაშაული, თეთრი სახედარივით გამორჩეული, ყველას თვალში ეჩხირებოდა, სხვის ქვაბსა და ლოგინს უთვალთვალებდა, როცა თავისი მისახედი ჰქონდა. მთლად ასე არ უთქვამს კუსას, მაგრამ ასე გამოდიოდა, ფარნაოზმა ასე გაიგო კუსას ნათქვამი: ყველამ თავის ქვაბსა და ლოგინს რომ მიხედოს, საქმე წინ წავაო. და მართლაც, რამდენად უკეთესი იქნებოდა ყველასათვის, ფარნაოზი საერთოდ რომ არ ყოფილიყო, ანდა ისიც სხვა ღანარჩენს დამსგავსებოდა და სიმართლის მთქმელისთვის ერთი ქვა მასაც გამოეკრა კალთაში. ფარნაოზი ბევრ რამეში ეთანხმებოდა კუსას, გულისყურით უსმენდა, ეშინოდა, ვინმეს არ დაერღვია მათი განმარტოება. „ნეტავ, ქალებს არ გავახსენდეთო“ — ათასში ერთხელ გაიფიქრებდა ხოლმე იგი და მარტო ეს გაფიქრება უშლიდა ხელს, უფრო დაწყნარებულად რომ მოესმინა კუსასთვის.

— მგლებში მაცხოვრებელმა ღმუილი უნდა იცოდესო, — ამბობდა კუსა. — ეს ძველი სიბრძნეა და ახალს ვერავინ მიუმატებს, გინდაც მიუმატოს, ახალს ძველი ჯობია, რადგან ბევრჯერაა გამოცდილი და უფრო სანდოა; კაცი ძველ ტანსაცმელს საჭიროებისთვის იცვამს, ახალს კი თავის გამოსაჩენად და სხვების გულის გასახეთქადო.

ფარნაოზი უსმენდა, უსმენდა და უკვირდა, მისი არსება უყოყმანოდ და

უდრტვინველად იღებდა კუსას ნალაპარაკევს, მაგრამ შიგნით, სულის სიღრმეში ყველაფერი უცვლელად რჩებოდა, მისი სული, ნიავგადავლილი მინდორივით, თრთოდა, იფოფრებოდა, მაგრამ ადგილზევე რჩებოდა, ვერ მიჰყვებოდა ნიავს, რადგან არც ნიავს შეეძლო მისი დაძვრა. ფარნაოზს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდი გარდაქმნის მიჯნაზე იდგა და სულ ერთი ნაბიჯიღა იყო საჭირო, სრულიად ახალ, მისთვის ახალ სამყაროში რომ აღმოჩენილიყო და მასაც, ამ სამყაროს კანონიერი ბინადრებივით, მოეპოვებინა მარადიული სიმშვიდისა და ყოველდღიური ცხოვრებით ტკბობის უფლება, მაგრამ არ იქნა და არ დაადგა საშველი ამ ერთი, ამ თითქმის უმნიშვნელო ნაბიჯის გადადგმას, თუმცა მთელი მისი არსება მზად იყო საამისოდ, ამას იხვეწებოდა, როგორც ავადმყოფი, განკურნების იმედი, რომ ჩაესახება და ახლა ყველაფერი მომვლელებზეღაა დამოკიდებული: მთავარია მომვლელებს არ მობეზრდეთ მისი მოვლა-პატრონობა, ერთი ღამე კიდევ გატეხონ, ერთხელ კიდევ გაიქცნენ წამლის მოსატანად, ერთხელ კიდევ შეუზიზღებლად გაიტანონ მისი ქოთანი. კუსას ვერ გაამტყუნებდა, კუსა მზად იყო, დახმარებოდა განკურნების გზაზე შემდგარ ფარნაოზს, თავს არ იზოგავდა, რაღას არ ეუბნებოდა: ყვავმა ზღვის იქითაც შავი კვერცხი დადო, კოდალა სულ აკაკუნებს, მაგრამ მისი გაკეთებული ხარატულები არავის უნახავსო, ვის პურსაც სჭამ, ხმალიც იმისი უნდა მოიქნიოო, არა მჯერა, რომ ჭრიჭინამ კვერცხი დადოს არწივისაო, მაგრამ ფარნაოზს არ ეწერა იმ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა, რადგან ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვანაირად ესმოდა მკურნალსაც და ავადმყოფსაც. ამიტომაც უთხრა, ალბათ, მოთმინებიდან გამოსულმა კუსამ: თევზი ბალახის მოსაძოვად ნაპირისკენ რომ წამოვა, გათავებულია მისი საქმე, აუცილებლად მებადურის წერა გახდებაო.

მერე ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. ქალები ისე ტრიალებდნენ, თითქოს დიდი წვეულება ჰქონდათ. ოთხი ქალის დიასახლისობას მთელ სახლში მართლაც საზეიმო განწყობა შეექმნა. ხმამაღლა იცინოდნენ, ერთმანეთს არ აცდიდნენ ადგომას კერძის გამოსატანად, შენ რატომ უნდა ადგე, მე მოვიტანო: მოკლედ, ერთმანეთს დატკბობოდნენ და იმ წუთას მართლა გულით უყვარდათ ერთმანეთი. ზიარა პატარა უხეიროს სუფრასთანაც არ იშორებდა, კალთაში ეჯდა, რასაც მოიტანდნენ, ყველაფერზე კითხულობდა, ბავშვს ეჭმევა თუ არაო. „ძირს ჩაუშვი, არაფერი უშავს, მიჩვეულია ღოღიალსაო“ — ეუბნებოდა თინა, მაგრამ ზიარა უფრო მაგრად იხუტებდა პატარა უხეიროს, თითქოს ძალით უპირებდნენ წართმევას. თინას ნათქვამმა ფარნაოზს რატომღაც დედალუსის კუტი შვილი გაახსენა და ახლა ამაზე გადაუქანცა გული, ხომ შეიძლება ესეც კუტად დარჩესო. ფარნაოზმა ცხადად დაინახა იატაკზე დაყურსული იკაროსი, დიდი, გაოცებული თვალებით რომ ასცქეროდა ჰაერში აფარფატებულ ბუმბულს. ამ ჩვენებამ ისე შეაკრთო და შეაწუხა, ლამის თავს ვეღარ მოერია და იკითხა: რა ხნიდან იწყებენ ბავშვები სიარულსაო. რატომ უნდა დამსგავსებოდა მისი შვილი დედალუსის შვილს, საიდან სადაო, მაგრამ თვითონ იყო ფეთიანი, ყველგან უბედურებას დაეძებდა, როგორც ბრმა ქათამი ხორბალს, რადგან, კუსას თქმის არ იყოს, სიამოვნებდა, უბედური რომ იყო. ასე ფიქრობდა ფარნაოზი და გუნებაში შვილის ასაკს ანგარიშობდა. პატარა უხეიერო მეორე წელში გადამდგარიყო, მაგრამ, ალბათ, არ ეგვიანებოდა სიარული, თორემ ქალები უფრო ადრე შეამჩნევდნენ, რადგან ქალებს მასზე მეტი გაეგებოდათ ბავშვისა. ფარნაოზი ცოტა დამშვიდდა და თვითონაც დაუძახა ზიარას: ჩამოს-

ვი, ხომ ხედავ, ხელს გიშლის ჭამაშიო. ზიარა კი უარესად იხუტებდა კალთაში ასხმარტალებულ პატარა უხეიროს და ამბობდა: უიმე, რას ამბობთ, ამას ვენაცვალე, ჩემი შვილი ეს არისო.

ქალუკამ ყალიოდ მოხარშული დედალი შემოიტანა და კუსას დაუდგა წინ. კუსამ ორთქლში გახვეულ დედალს მარილი მუჭით მოაყარა, სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, თქვა და დანას პირი გაუსინჯა. რატომღაც ყველანი დაიძაბნენ, გაჩუმდნენ და კუსას მიაჩერდნენ ხელებში. კუსა დანის პირით ხელისგულს იფხეკდა, გაღიმებული შესცქეროდა ფარნაოზს და ეუბნებოდა: დანა დაგჩლუნგებია, ბიძაჩემო. მერე წამოდგა, კართან მივიდა, ტყავის ტომარასთან ჩაიმუხლა, თავმოხსნილ ტომარაში იღლიამდე ჩაჰყო მკლავი და ისე გაიტრუნა, თითქოს ტომრიდან ცოცხალი გველი უნდა ამოეყვანა და ცდილობდა, მოხერხებულად წვდენოდა კისერში. ტომარა აჟღრიალდა და ცოტა ხნის მერე, გრძელმა, წვეტიანმა დანამ, მართლაც ცოცხალი გველის ტანივით გაიელვა ჰაერში. „დანა ამას ჰქვიაო“ — თქვა კუსამ და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა: ის ქათამი ფრთების გარდა მარტო კუსამ და ზიარამ შეჭამეს, ვერავინ დააკარა პირი, თუმცა ორივენი თავგამოდებულნი ირწმუნებოდნენ, მშვენიერი ქათამია და კარგადაც მოხარშულაო. კუსამ ერთი ფრთა თინას გადაუღო, მეორე კი — ფარნაოზს, თან გაიღრიჯა: ერთმანეთის ფრთა შეჭამეთ, ერთმანეთს რომ არ გაუფრინდეთო.

კუსა და ზიარა რომ წავიდნენ, სახლი უცებ ჩაკვდა. ლაპარაკი უჭირდათ, თითქოს დიდიხნის დამდურებული ხალხი ისევ შერიგებულიყვნენ, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდათ, რადგან უბრალო ყოფნაში განვლილ დროს მაინც თავისი გაეტანა და ისინიც სამუდამოდ გაეუცხოვებინა ერთმანეთისათვის. თინამ ბავშვი წაიყვანა დასაძინებლად. ბოპინა და ქალუკა ისე ალაგებდნენ სუფრას, თითქოს ამ სუფრასთან მათი მიზეზით ვიღაცას კაცი შემოჰკვდომოდა. ფარნაოზი ისევ მაგიდასთან იჯდა და სვამდა, მაგრამ ღვინო არ ეკიდებოდა, არ უსრულებდა საწადელს, მას კი დათრობა უნდოდა, არაფერზე რომ აღარ ეფიქრა, გონება რომ დაეკარგა, გული რომ შეჰღონებოდა და მძორივით გაეთრიათ, მძორივით უგრძნობელი ჩაეგდოთ საწოლში, თუკი იქ იყო მისი ადგილი და სხვა გამოსავალი არ არსებობდა. იმ საწოლში ფარნაოზს ძილი აღარ ეწერა, მეტს ვეღარ ითვალთმაქცებდა, ისედაც საკმარისად წაებილწა და დაემცირებინა იგი თავისი თვალთმაქცობით. კუსამ უკანასკნელი უკან დასახევი გზაც გადაუჭრა, უკანასკნელი საშუალებაც წაართვა იმისა, ინოსთან შეხვედრა სიზმრად, კოშმარად, ოცნების აბდაუბდა მონაჩხმახად რომ ჩაეთვალა. მას სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი ინოსთან შეხვედრის დღე, სხვანაირად ეხატებოდა, თუმცა არ ჯეროდა, როდისმე მართლა თუ გათენდებოდა იგი. გათენდა და დაღამდა კიდეც, ერთი კვირის წინათ დაღამდა, სამუდამოდ, სამარადჟამოდ, უიმედოდ, უკვალოდ და სამარცხვინოდ. ფარნაოზმა იმ დღეს უკანასკნელი შესაძლებლობაც გაუშვა ხელიდან, უკანასკნელი შესაძლებლობა თავის მართლებისა, დანაშაულის გამოსყიდვისა და ნამდვილი, ჭეშმარიტი ბუნების გამომჟღავნებისა. ფარნაოზმა იმ დღეს დაჰკარგა ინო, იმ დღეს გასწირა საბოლოოდ, რადგან სწორედ იმ დღეს უნდა გამოეყვანა, ძალით უნდა გამოეთრია ათასი კაცის გახრწნილი ვნებით აშმორებულ ოთახიდან და მასთან ერთად დასდგომოდა უსასრულო გზას, რომელიც წარსულამდე არსებულ დროში გადაიყვანდათ, პატარა მღვიმეში, რადგან სწორედ იქ შეეძლებოდათ ეცხოვრათ ისე, როგორც ოდესღაც ცხოვრობდნენ ადამიანები, თამამად და თავისუფლად, საკუთარი თავის იმედით, ნადირის შიშითა და მზის სიყვარულით, და რაც მთავარია, რწმენით, რომ

ᲬᲕᲐᲚᲐᲪ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲘᲦᲕᲘᲫᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲩᲐᲜᲐᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲐᲣᲭᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ, ᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚ ᲡᲘᲗᲑᲝᲡ ᲛᲘᲤᲘᲪᲮᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲔᲙᲕᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲛᲣᲪᲔᲚᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ, ᲤᲣᲭᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲤᲘᲥᲠᲐ ᲓᲐ ᲔᲭᲝᲛᲐᲜᲐ ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲣᲚᲘᲗ, ᲣᲤᲠᲝ ᲐᲛᲢᲐᲜᲘ, ᲛᲝᲣᲠᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲐᲡᲔ, ᲒᲘᲜᲓᲐᲪ ᲐᲗᲯᲔᲠ, ᲐᲗᲐᲡᲯᲔᲠ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ ᲘᲜᲝᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲙᲣᲗᲕᲜᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ. ᲔᲡ ᲓᲦᲔᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲢᲐᲜᲐ. ᲐᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲘᲜᲝᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲰᲙᲠᲐ, ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲨᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲖᲣᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲛᲝᲐᲨᲣᲠᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲜᲝᲡ ᲝᲗᲐᲮᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲒᲐᲠᲔᲬᲐᲠᲘ ᲐᲘᲢᲣᲖᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲘᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲡ. ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲔᲨᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲬᲐᲠᲘᲪ, ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔᲪ, ᲗᲕᲐᲚᲗᲛᲐᲥᲪᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲘᲜᲓᲘᲡᲝᲪ. ᲓᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲣᲡᲐᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲢᲐ, ᲡᲮᲕᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲪ ᲛᲝᲘᲠᲗᲝᲕᲐ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲔᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲘᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲛᲐᲜ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲐ, ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ, ᲔᲠᲗᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲣᲜᲫᲠᲔᲕᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲨᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲡ ᲒᲐᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ. ᲦᲕᲘᲜᲝ ᲠᲐᲦᲐᲡ ᲣᲨᲕᲔᲚᲘᲓᲐ, ᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲔᲙᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲤᲮᲘᲖᲚᲝᲑᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ, ᲜᲔᲚᲐ, ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲔᲚᲓᲐ ᲪᲘᲡᲮᲔᲚᲐ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲘᲜᲝᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ, ᲢᲘᲠᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲪᲐᲮᲪᲐᲮᲔᲑᲣᲚ ᲛᲮᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲢᲙᲠᲘᲡᲤᲔᲠ ᲗᲐᲕᲡ, ᲨᲔᲡᲐᲑᲠᲐᲚᲘᲡᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲔᲥᲘᲜᲓᲠᲐ ᲘᲜᲝᲡ, ᲛᲔᲜᲐᲮᲘᲠᲘᲡ ᲨᲝᲚᲢᲘᲗ ᲧᲘᲜᲬᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲕᲘᲗ. ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲡ ᲘᲜᲝ ᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲨᲬᲐᲠᲔᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲮᲘᲚᲕᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲢᲐᲜᲯᲕᲔᲚᲐᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲜᲝ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲧᲝᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲐᲪ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲜ. ᲐᲡᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘᲐ ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲡ ᲘᲜᲝ; ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲢᲐᲜᲘ ᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ, ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲐ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲠᲝᲛ ᲔᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲔᲦᲘᲠᲡᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲘᲚᲕᲐ.

ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲛᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲐᲘᲒᲝ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲨᲘᲜᲘᲓᲐᲜ. ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲩᲔᲠᲔᲑᲘᲐ, ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ, ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠ ᲐᲛ ᲗᲐᲕᲡᲮᲛᲐᲨᲘᲝ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐᲪ ᲘᲒᲠᲫᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ, ᲐᲛ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲒᲐᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲘᲛᲔ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲩᲘᲜᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲠᲐᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲣ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ, ᲓᲐᲛᲚᲣᲞᲐᲕᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲐᲓᲐᲛᲠᲩᲔᲜᲔᲚᲘ, ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲣᲦᲬᲔᲕᲔᲚᲘ. ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ.

ᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲠᲑᲝᲓᲐ, ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲓᲜᲐᲠᲘ ᲤᲘᲡᲘᲕᲘᲗ ᲚᲐᲞᲚᲐᲞᲔᲑᲓᲐ, ᲡᲮᲔᲣᲚᲖᲔ ᲔᲙᲕᲠᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲓᲐ. ᲘᲡ ᲙᲘ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲮᲠᲘᲚᲘᲧᲝ, ᲡᲐᲮᲔᲖᲔ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲔᲤᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲬᲕᲘᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲔᲒᲔᲠᲘᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲯᲘᲣᲢᲐᲓ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲓᲐ ᲬᲘᲜ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲠ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲘᲡᲘᲪ ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲘᲕᲘᲗ, ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲘᲕᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲛᲓᲜᲐᲠᲘ ᲤᲘᲡᲘᲕᲘᲗ ᲘᲬᲔᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲓᲐᲤᲔᲮ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲓᲐ. ᲔᲨᲝᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲕᲘᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲨᲔᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘ ᲧᲔᲤᲓᲜᲔᲜ, ᲣᲮᲐᲚᲘᲡᲝᲓ, ᲧᲐᲡᲘᲓᲐᲓ, ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲜᲐᲓ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲫᲐᲚᲚᲣᲠᲘ ᲒᲣᲛᲐᲜᲘᲗᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲔᲡ ᲐᲥᲝᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲒᲣᲚᲡᲐᲪ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲬᲕᲘᲛᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲙᲐᲪᲡ, ᲜᲣ ᲒᲔᲨᲘᲜᲘᲐ, ᲐᲥ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ, ᲡᲐᲓᲛᲔ ᲨᲔᲜᲪ ᲨᲔᲐᲤᲐᲠᲔᲑ ᲗᲐᲕᲡᲝ. ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲠ-

ბოდა, თავითა და მხრებით მიაპობდა წვიმასა და წყვდიადს. ცარიელი, ვიწრო ქუჩები გვირაბებსა გავდნენ, საიდანაც თქორით განათებული ქვაფენილი გამორბოდა. სარკმლებიდან გამოჭყეტილ სინათლეზე წვიმა ოქროსფრად ირხეოდა, თითქოს სახურავზე დალი გულაღმა გაწოლილა და თმა მიწამდე ჩამოშლიაო. „გიყივით დავრბივარ ამ ქალაქშიო“ — ფიქრობდა ფარნაოზი და უკვირდა, აქამდე რომ ვერ გაეღწია ქალაქიდან. დაღლილობისგან ძლივსღა სუნთქავდა, თავფეხიანად სველი იყო. მაგრამ მაინც გრძნობდა, როგორ ჩასდიოდა კისერში წყალი. უცებ დედალუსი გაახსენდა, კი არ გაახსენდა, მოელანდა, თითქოს სველ სახურავზე შავი, კოლხური ნაბდისხელა ფრთების ფართხუნით იმაგრებდა თავს და მოსძახოდა: რით ვერ გაიგე, თავი იგივე ბოლოა, ხოლო ბოლო იგივე-თავიო. „თავი იგივე ბოლოა, ბოლო იგივე თავი, თავი იგივე ბოლოა, ბოლო იგივე თავიო“ — უაზროდ, უსასრულოდ იმეორებდა თვითონაც და მირბოდა.

შინიდან რომ გამოვიდა, ჯერ კიდევ არ იყო კარგად გარკვეული თავის განზრახვაში, გრძნობდა, წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია ამ განზრახვისთვის, გაცნობით კი მერეც გაეცნობოდნენ ერთმანეთს, გზადაგზა. მაგრამ ეცა თუ არა წვიმის პირველი შხეფი სახეში, გონებაც გაუნათდა, დაინახა კიდეც ის პატარა მღვიმე, სადაც ოდესღაც მასა და ინოს, ავაზაკის იმედით შინიდან გაპარულებს, თავი შეეფარებინათ, ათიოდე ხმელი პურისა და ღორის დაშაშხული ბარკლის ანაბარა, რადგან მაშინ უფრო თამამები იყვნენ და უფრო ახლოს იყვნენ მიზანთანაც, რომელიც ამდენი წლის მერე აღარცკი არსებობდა. სამაგიეროდ მღვიმე გადარჩენილიყო, ორი ბავშვის საგზლით გაეტანა თავი და გაღიზიანებული ნიჟარის მსგავსად, მარგალიტად ექცია ამ ორი ბავშვის გულუბრყვილო ოცნება. ახლა ის მღვიმე, თუ მარგალიტიანი ნიჟარა, მუჭაში ეჭირა ღამეს და ათასში ერთხელ, ერთი წამით შლიდა მუჭას, ფარნაოზისთვის რომ დაენახვებინა, შეეხარბებინა და მიეზიდა. ფარნაოზიც ბრმად, ალალბედზე მიიკვლევდა მისკენ გზას, ქვიშა და ღორღი ჩხრიალით ეცლებოდა ფეხქვეშ, ხელნაკრავივით აწყდებოდა გადაფარჩხულ ბუჩქებს, დაუზოგავად რომ სცემდნენ სახეში სველი და დრეკადი ტოტებით, თითქოს წვიმასა და წყვდიადს ისინიც გაეანჩხლებინა, ისინიც აემხედრებინა ამ მარტოხელა ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც მაინც მათკენ იშვერდა ხელებს, მაინც მათ ებღაუჭებოდა, რადგან მაღლა უნდოდა ასვლა, მაღლა იყო მისი თავშესაფარი, მისი იმედის, ოცნებისა და სიყვარულის საგანძური. როგორმე უნდა მიეღწია იქამდე და მიაღწევდა კიდეც, რადგან ადამიანი იყო და სხვა გზა არ ჰქონდა. ნათრევი და ნაწვალევი, მრავალგზის ხელმოცარული, ათას განსაცდელში გამოვლილი, ხანგრძლივი ტყვეობიდან თავდაღწეული, ის იმ განძის სანახავად მიდიოდა, ოდესღაც მისთვის უკეთესს დროს, შავი დღისთვის რომ გადაემალა. დამარხულმა განძმა გააძლებინა დღემდე, ის რომ ეგულებოდა, იმიტომ არ ეთელვინებოდა, იმიტომ არ ეკვლევინებოდა ცხოვრებას. ახლა მთავარი იყო, გზა არ დაბნეოდა და განძიც ხელუხლებელი დახვედროდა. დიდი დრო გასულიყო იმ დღის მერე, როცა განძი აქ ამოიტანა და იმ იმედით მიაბარა მიწას, არასოდეს რომ არ დასჭირდებოდა.

მღვიმე ადვილად იპოვა, თუმცა, არც უძებნია, თურმე თავიდანვე მისკენ მოდიოდა, რადგან გულს მოჰყავდა, გული უწევდა მეგზურობას, მაგრამ დაინახა თუ არა მღვიმე, ფეხი მოეკვეთა, რადგან ქაჯური, არაადამიანური, არარსებული ალღოთი იგრძნო, მღვიმეში ვიღაც იყო. გრძნობა, რომელიც ფარნაოზს დაეუფლა, შიში არ იყო, მაგრამ შიშსა გავდა, დამბორკველი, ყოველგვარი აღტკინების ჩამაქრობელი

და გამაბითურებელი ძალით. ფარნაოზი მაინც შევიდა მღვიმეში, შეწყალების სათხოვნელად მოსულ ტყვესავით წელში მოხრილი და წინასწარ შეგუებული ყოველგვარ მოულოდნელობას. უნდა შესულიყო, გინდაც სახეში ძუმგელი სცემოდა, გველი შემოხვეოდა კისერზე, ანდა ავაზაკს ხანჯალი ეტაკებინა მუცელში. წელში რომ კაიმართა, ორი ყვითელი ლაქა დაინახა, თითქოს კაცის ფეხის ხმაზე მღვიმის სულმა თვალები დააჭყიტაო. ლაქები უცებ გაქრა და ფარნაოზმა საშინელი დარტყმა იგრძნო მკერდში; პირველად ვერც მოისაზრა, რა მოხდა, ეგონა, თვითონვე შეასკდა კედელს, სიბნელისგან დაბრმავებული. მერე ჩლიქების ფხაკუნი გაიგონა და ორმა ყვითელმა ლაქამ მღვიმის მეორე კუთხეში გაიელვა. ფარნაოზი დამშვიდდა, მღვიმეში რომელიღაც უწყინარი ცხოველი აფარებდა თავს, რომელიც უცხო სტუმრის გამოჩენას ისე დაეფრთხო, დაუფიქრებლად მიატოვებდა აქაურობას, რაღა თქმა უნდა, თუკი ეს უცხო სტუმარი ამის ნებას მისცემდა და ერთი წამით მაინც მოშორდებოდა გასასვლელს. ფარნაოზს მკერდი უბჟუოდა, არ ტკიოდა, მაგრამ თანდათან უხურდებოდა. თითქოს ქალუკა შალში გახვეულ ცხელ აგურს ადებდა, როგორც ადრე, ბავშვობისას, წვიმაში ტანტალითა და ზღვაში ჭყუმპალაობით გაციებულს. ფარნაოზი ვერ ხვდებოდა, გასასვლელს რომ კეტავდა, მღვიმე კი უარესად ჩაიხუთა, პირსა და ნესტოებში დუბელა წყალივით უგროვდებოდა ცხოველის მძაფრი სუნი; ცხოველი კი ვერ ისვენებდა, წრიალებდა, მღვიმის იატაკს ჩლიქებით ფხოჭნიდა და ხმამაღლა სუნთქავდა. ფარნაოზი გასასვლელს მოშორდა და იქვე ჩაჯდა, კი არ ჩაჯდა, ხორკლიან კედელს ზურგი ჩამოახოხიალა. ისე დაღლილიყო, განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. მღვიმეში ცივი ჰაერი შემოიჭრა, მეძებარი ძაღლივით მოირბინა მღვიმე და სველი თეძოებით ყველაფერს გაეგლისა. გარეთ ისევ წვიმდა. მარტო დარჩენილი წვიმა ლაპარაკ-ლაპარაკით ჩარბოდა ღოლიან ფერდობზე. მღვიმის ბინადარიც დამშვიდებულიყო, კუთხეში მიყუჟულიყო და ორი ყვითელი ლაქა ფარნაოზისთვის მიეპყრო. „მხედავსო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა. მერე ყვითელი ლაქები გამრავლდნენ, ერთმანეთში აირივნენ, დაბზრიალდნენ და ფარნაოზს ჩაეძინა. დილით თხის პეტელმა გამოაღვიძა, თხა დასდგომოდა თავზე და დიდი, წყლისფერი, წითელ წრეებში მომწყვდეული თვალებით ათვალიერებდა.

გარეთ აღარ წვიმდა. მღვიმის იატაკი თხის კურკლით იყო მოფენილი. ფარნაოზიც კურკლში იჯდა, მთელი სხეული სტკიოდა, ტანზე შემშრალი ტანსაცმელი ეხამუშებოდა, მოძრაობას უშლიდა. მერე დამპალი ძონძის ნაფლეთები და ბარძაყის თეთრი ძვალი დაინახა, მისი და ინოს საგზლის ნარჩენები, და ისე მადიანად გაიზმორა, თითქოს დიდიხნის მონატრებულ სახლში გაღვიძებოდა. თხამ დაიკიკინა და ფარნაოზს ამაზეც გაეღიმა. ირგვლივ ყველაფერი გულისამაჩუყებლად ნაცნობი იყო. თხა კი ჯიუტად დაჰკიკინებდა თავზე, თითქოს ღამის გასათევ ფულსა თხოვდა.

— ეეე, ბებრუცუნა, ეს ჩემი სახლია. — უთხრა ფარნაოზმა თხას.

თხა დიდი ხნის მოსაწველი იყო, რძით გაძიძგული ძუძუები ლაჯებში აღარ ეტეოდა. იმდენი რძე დაგროვებოდა, დაბერილი და დაწითლებული კერტებიდან თავისთავად წვეთავდა; რძის თეთრი და მსუყე წვეთი ტყაპანით ეცემოდა ქვის იატაკზე და მტკაველის ხელა გუბეს აჩენდა. როდის-როდის მიხვდა ფარნაოზი თხის გაჭირვებას და შეწუხებული მის უკანა ფეხებთან ჩაცუცქდა. გაუბედავად შეავლო ხელი მკვრივსა და გაძიძგულ ძუძუს და ქაფიანი რძის პირველი ნაკადი შხუილით დაეღვარა მუხლებზე. ძარღვიანი, ჯიუტი კერტები წარამარა უსხლ-

ტებოდა გაწებილი თითებიდან. მღელვარებისგან უცებ გაიოფლა. თხას ძუძუებს ტკენდა მამაკაცის უხეში და გამოუცდელი ხელი, მაგრამ ეს ტკივილი მოგონილი იყო იმ ნეტარებასთან, რასაც დაგროვილი რძის მოშორება ანიჭებდა. გაუნძრევლად იდგა, ხელი რომ არ შეეშალა, ისედაც გამოუცდელი მწველავისთვის. განთავისუფლებული რძე კი მოშხუოდა, ჯერ მწველავის მუხლებზე იღვრებოდა და მერე მიწაზე, ღრმულებში გროვდებოდა, იბუშტებოდა, ბინძურდებოდა, ფერს იცვლიდა და ახლა მღვიმიდან გასასვლელს დაეძებდა. ფარნაოზს უკვე კოჭებამდე სწვდებოდა რძე, ხოლო რძის სუნი და ოხშივარი ღრუბელივით დასდგომოდა თავზე. ფარნაოზმა რძეში დაიჩოქა და ძუძუს პირი შეუშვირა. მძლავრი, მჩხვლეტავი ნაკადი თვალებში ეშხეფებოდა, აბრმავებდა, მაგრამ მაინც ახერხებდა მის დაჭერას და ხმაურით, ფაცაფუცით ყლაპავდა. მთელი სახე რძეში ჰქონდა მოთხუპნული, „სად ეტევა ამდენი რძეო“ — ფიქრობდა გაკვირვებული, რადგან ისიცა და თხაც უკვე სანახევროდ რძეში იდგნენ. რძეს მიეკვლია გასასვლელისთვის და ზანტად, ტორტმანით მიიზლაზნებოდა მღვიმიდან, რათა სამზეოზე გამოსული, კისრისტეხით დაშვებულიყო ფერდობზე და რაც შეიძლება შორს გაეტანა თავისი ჯადოსნური სითბო და სურნელი, მაგრამ მის სათავეს ჯერ არაფერი შესტყობოდა. ამ უცნაური თხის სიუხვე და სიბარაქე. ფარნაოზს უკვირდა და უხაროდა კიდეც, ისიც კი გაიფიქრა, იქნებ ღმერთებისაო, რადგან თხა მართლაც ღვთაებრივი სიმშვიდით იდგა და ათასში ერთხელ თუ გამოხედავდა მის ფეხებთან ჩაცუცქულ კაცს. მერე გაბმულად დაიკიკინა, სველი, დამჩატებული ძუძუები ისე გამოგლიჯა ხელიდან, თითქოს ფარნაოზს თავის შესაქცევად ეჭირა ისინი, საკუთარ რძეში გააბოტა და მღვიმიდან გავიდა. რძეც შხუილით მიჰყვა უკან. მალე ისევ გამოჩნდა მღვიმის იატაკი, ბარძაყის თეთრი ძვალი და ძონძის ნაკუწები; — რძე აქა-იქ ღრმულებშიღა ჩარჩენილიყო. ფარნაოზი არასოდეს არ ყოფილა ასეთი გახარებული, თითქოს თხის რძეს ყელაფრისაგან ერთბაშად განეკურნა. არა, თითქოს არც არაფერი ჰქონდა განსაკურნელი, რადგან აქ, ამ მღვიმეში გაჩენილიყო, თხას გაეზარდა და ახლა პირველად უნდა გამოსულიყო სამზეოზე. ღელვით კი იმიტომ ღელავდა, იმიტომ უფრიალებდა გული, ჯერ რომ არ იცოდა, რა დახვდებოდა გარეთ. გარედან მხოლოდ ჩიტის სტვენა აღწევდა, ხოლო ჩიტს ისეთი მშვიდი, წკრიალა და სასიამოვნო ხმა ჰქონდა, სამყარო, სადაც ამგვარი ხმა იბადებოდა, არ შეიძლებოდა თვითონ უშნო, ბოროტი და სახიფათო ყოფილიყო. ისიც ხომ თხის რძით იყო განბანილი და ალბათ, იქაც რძის დამათრობელი სუნი ტრიალებდა, მინდორი ხასხასებდა და აქა-იქ გამოჭყეტილ ყვავილებს ალისფერი ფუტკრები დაბზუოდნენ; მინდორზე კაცს ხნული გაჰქონდა, კაცს დედაშობილა ბავშვები მოჰყვებოდნენ, ყვავილებივით ლამაზი და ფუტკრებივით აბეზარი; ხოლო იმ ბავშვებს მუცელზე მიხუტებული კალათებით პურის, სიკეთის, სიყვარულის, სიმშვიდისა და სიბრძნის თესლი მოჰქონდათ. ასეთ ქვეყანას ხედავდა ფარნაოზი თხის რძით გაჟღენთილ მღვიმეში და რატომღაც მამამისის აფრისხელა ტილო ახსენდებოდა, მაგრამ ახლა ესეც ახარებდა, მღვიმიდან დანახული ქვეყნისა და მამის ნახელავის გარეგნული მსგავსება ახარებდა, ეს მსგავსება ადასტურებდა, უხეიროც ასეთ ქვეყანას რომ ხედავდა; თუ არ ხედავდა, უნდოდა მაინც, ასეთი რომ ყოფილიყო იგი. ასე. რომ უკვე ორნი გამოდიოდნენ ერთნაირი თვალისა და სურვილის მქონენი. ეს კი რაღაცას ნიშნავდა, სხვა თუ არაფერი, ორი ერთზე მეტი იყო, მეტი დაეჯერებოდა და ხვალ, შეიძლება კიდევ მიმატებოდათ ვინმე. თუკი ის ვინმე

სინამდვილეში არსებობდა და ახლა ისიც ამ ჩიტის სტვენას უსმენდა. სამი კაცი კი უკვე ხალხი იყო.

ფარნაოზი მღვიმედან თამამად გამოვიდა. თხა ნეკერს წიწკნიდა, ფეხის ხმაზე თავი აიღო და მხოლოდ მაშინ მიხვდა ფარნაოზი, ეს თხა ადრეც რომ ყავდა ნანახი, ისიც გაახსენდა, სად ენახა და როდის. ეს თხა შავთვალება მალალოს თხა იყო. ამდენს კი აღარ ელოდა ფარნაოზი. თუ ბედისწერა ისევ არ აპამპულებდა, მაშინ მაინცდამაინც რაღა ამ მღვიმეში უნდა შეეფარებინა თავი შავთვალება მალალოს თხას? „ხომ შეიძლებაო“ — დაიწყო და ვეღარ გააგრძელა ფიქრი ფარნაოზმა. არა, ინომ, ალბათ, არც იცოდა ამ თხის არსებობა და გინდაც სცოდნოდა, საღ ეცალა სამწყემსავად. სისულელე იყო ამგვარი ფიქრი, მაგრამ ამ ფიქრმა სხვა, უფრო ძნელად შესალევი ფიქრი გაუჩინა ფარნაოზს, რომელიც თანდათანობით, დღითიდღე ისე გაუშინაურდა, ისე გაუტკბა და დაუმეგობრდა, დაარწმუნა კიდეც, მისთვის რომ დაევალებინათ ღმერთებს ამ უპატრონო თხის მწყემსობა, საბოლოოდ რომ განწმენდილიყო ძველი ცოდვებისგან და ახლა მაინც გაეღო ის ყურადღება და მზრუნველობა, რაც თავის დროზე, ერთგული ძაღლის, კიკინებაპრეხილი გოგოსა და კუტი ბავშვის მიმართ ვერ გამოემჟღავნებინა. ღმერთები მართლებიც იყვნენ და კეთილებიც, ფარნაოზს მწყემსობა უნდა ესწავლა, ერთი თხის მწყემსვა მაინც უნდა შესძლებოდა, თუკი მართლა აპირებდა ახალი ცხოვრების დაწყებას. ფარნაოზს სახლი დააგიწყდა, გულაღმა იწვა მღვიმის ქვის იატაკზე და გაღიმებული უსმენდა თავის მეგობარ ფიქრს. ის კი ათასჯერ გარდაცვლილი და ათასჯერ ხელახლა დაბადებული კაცის დამაჯერებლობით უხსნიდა, უმარტავდა და უმტკიცებდა, რომ სრულებითაც არ იყო გასაკვირი, თუ ერთ მშვენიერ დღეს, ინოც ამოვიდოდა აქ. „განა ზღვაში გადაგდებული ქვა სამუდამოდ ქრება, სამუდამოდ იკარგება? არა, არც ქრება და არც იკარგება, უბრალოდ მისი დანახვა აღარ შეგვიძლია, რადგან წყალშია ჩაძირული. მაგრამ, შეიძლება, ვიღაცამ წყალში ჩაყვინთოს და სწორედ ის ქვა ამოიღოს, ჩვენ რომ სამუდამოდ დაკარგული გვეგონა“ — ამბობდა მეგობარი ფიქრი და ფარნაოზს ისე მოსწონდა, ისე აღელვებდა მეგობრის ნალაპარაკევი, მართლაც უსასრულოდ შეეძლო ესმინა და წოლილიყო ასე, გულაღმა გაშოტილი, საკუთარი სხეულის სიმძიმით გაჩენილ ღრმულში. ძნელი დასაჯერებელი იყო, მართლა ისე რომ მოხდებოდა, როგორც მისი მეგობარი ამბობდა, მაგრამ მაინც იყო მის ნალაპარაკევში იმედის თოკის ნაგლეჯი, რომელსაც ყველა, ფარნაოზის დღეში მყოფი, დაუფიქრებლად ჩასჭიდებდა ხელს. ფარნაოზსაც ეძნელებოდა გაეშვა ხელი ამ თოკისთვის, მაგრამ იძულებული იყო, დროებით მაინც მოქცეულიყო ასე, რადგან იქ, ქვევით ბიჭი ეზრდებოდა და იმ ბიჭსაც სჭირდებოდა ხელის ჩასავლები, სანამ სიარულს ისწავლიდა და წელში გაიმართებოდა.

ფარნაოზის გაგარეულება დიდიხანია შეემჩნიათ ოჯახში. თინა ძველებური მუყაითობით დასტრიალებდა ჯამჭურჭელსა და კერას, მაგრამ პოპინასა და ქალუკას თავზარს სცემდა მის გულში დატრიალებული ცეცხლის გუგუნი. ორივენი ქალები იყვნენ და ორივეს გამოეცადა უგულებელყოფის სიმწარე, სიმარტოვის ყინვა და ეკალი. თინა უბედური იყო, უიღბლო, რადგან მისი ბედი ორ სულელ დედაკაცს გადაეწყვიტა, თავიანთთვის სასარგებლოდ, რადგან მათ უფრო სჭირდებოდათ თინა, ვიდრე თინას ისინი. თინასთვის არც უკითხავთ, თანახმა თუ იყო მათი რძლობისა, არც ფარნაოზისთვის უკითხავთ რამე, თუმცა მაშინ ფარნაოზი საერთოდ არ იყო შინ და ისიც საკითხავი იყო, დაბრუნდებოდა თუ არა.

ისინი კი სამეზობლოდ გადმოსულ გოგოს ასულელებდნენ, აქებდნენ, ანებივრებდნენ და „რძალო-რძალოს“ ძახილით შემოჰყავდათ კაკანათში. ახლა კი თინა ყველაზე უბედური ქალი იყო მათ შორის, ქმარი ჰყავდა და ქვრივივით ცხოვრობდა, ლოგინს ორისთვის შლიდა და შიგ მარტო იძინებდა. თუკი იძინებდა საერთოდ, თანაც იძულებული იყო, ქმრის ნაალერსები ქალივით ხალისიანად ეტრიალა ოჯახში, რათა სხვებსაც არ გაეგოთ, სხვებიც არ მიმხვდარიყვნენ, რა პატარა, უმნიშვნელო, დამაკნინებელი და ძალით მოპოებული ადგილი ეჭირა მას ამ ოჯახში. მაგრამ არა მარტო ქალები, ფარნაოზიც გრძნობდა ამას, მასაც ეცოდებოდა თინა და ცდილობდა, რაც შეიძლება ყურადღებიანი და თავდაჭერილი ყოფილიყო მის მიმართ, მაგრამ იმასაც გრძნობდა, ამგვარ მეცადინეობას არავითარი შედეგი რომ არ მოსდევდა, არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რადგან გული არ ერია საქმეში, გული იქ, მღვიმეში დაეტოვებინა გაველურებული თხის ანაბარა და ერთი სული ჰქონდა, როდის მოათავებდა საქმეს, როდის აირბენდა დასახედათ, დასარწმუნებლად, უვნებლად რომ დახვდებოდა თხაცა და გულიც, თუმცა სანამ მღვიმემდე ააღწევდა, ისე ღელავდა, თითქოს მარტოხელა და ავადმყოფი დედისათვის წამლის მიწოდება უგვიანდებოდა. როგორც კი ქალაქს გასცდებოდა, მაშინვე ავი წინათგრძნობა აეკვიატებოდა ხოლმე, ვაი თუ აღარ დამხვდეს, ვაი თუ ნადირმა დაგლიჯაო, მაგრამ შეიხედავდა თუ არა მღვიმის წყვდიადში, ორი ყვითელი ლაქა გაიელვებდა და ნაცნობ კიკინსაც გაიგონებდა. „არ აციებს კერასო“ — მადლიერების გრძნობით იტყოდა ხოლმე ფარნაოზი და საკუთარი სხეულის სიმძიმით გაჩენილ ღრმულში წვებოდა. ასე ცხოვრობდა ფარნაოზი, ხოლო იმ დღის მერე, როცა პატარა უხეირო დაიღუპა, საერთოდ აღარ გამოსულა მღვიმიდან, სანამ ცოცხალ-მკვდარი, უგონო და უგრძნობელი, ძალდაბა არ გამოათრიეს ოყაჯადის ჯარისკაცებმა.

სახლში ცხოვრების ყაიდა შეიცვალა, ქალებსაც აღარ უჩერდებოდათ გული შინ და დილიდანვე იმის ბჭობაში იყვნენ, ისევ სასაფლაოზე გასულიყვნენ, თუ ისევ ზიარასათვის დაეხედათ. ზიარა ფეხმძიმედ იყო და ესეც ამართლებდა მათ ყოველდღიურ სტუმრობანას. პატარა უხეირო კი თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, თითქოს თვითონაც გრძნობდა, ცოტა დრო რომ ჰქონდა განკუთვნილი ამ ქვეყანაზე, მოსასწრებად რომ ჰქონდა საქმე, თუკი საერთოდ აპირებდა რამის მიხვედრასა და გაგებას, თუკი არ უნდოდა, ისეთივე უმეცარი და გულუბრყვილო წასულიყო ამ ქვეყნიდან, როგორიც მოვლენოდა.

ერთ დღეს თინამ პატარა უხეირო ფეხზე დააყენა, ფარნაოზისკენ შეატრიალა და ზურგში ოდნავ უბიძგა. ფარნაოზი ოთახის მეორე ბოლოში იჯდა და მონუსხულივით მისჩერებოდა მისკენ ბორძიკით მომავალ შვილს. აზრადაც არ მოსვლია, წამომდგარიყო და ხელი შეეშველებინა. გაუნძრევლად იჯდა და შიშის ნაცვლად, მოუთმენელი, სულსწრაფი და ამაფორიაქებელი მოლოდინი დაუფლებოდა. პატარა უხეირომ მშვიდობიანად მიაღწია მამამდე და გაშლილი ხელისგულები მუხლებზე დააწყო. „დადისო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა და ცოლს შეხედა. თინაც მას უყურებდა და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, დამსხვრეულ შუშებს უგავდა. ფარნაოზი შეაძრწუნა თინას ცრემლმა, ის ერთდროულად სიხარულის ცრემლიც იყო, შვილის პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების ხილვას რომ გამოეწვია, და გლოვისაც, თინა მისგან წასულ შვილს მისტიროდა, შვილიც მიდიოდა მისგან, სამუდამოდ მიდიოდა და თინა ისევ მარტო რჩებოდა. ფარნაოზმა ძლივს ამოღერღა: მომილოცავს ბიჭის დავაჟკაცებაო. თინამ

გაიღიმა, ხელის ზურგით თვალი ამოიწმინდა და თქვა: ახლა ამას უნდა ვუცადო მთელი სიცოცხლეო. ერთი წუთის მერე თინას დედის კალთაში ედო თავი და ბავშვივით ზლუქუნებდა. დედამისი მატყლს ჩეჩავდა, „რა მოხდა, შე უბედურო“ — შეიცხადა ელდანაცემმა, შვილს თმაში ჩაავლო ხელი და ძალით აიგლიჯა კალთიდან მისი გავარვარებული სახე. თინას სველ ლოყებზე მატყლის ბეწვები ასწებებოდა: უარესად რომ არ შეეშინებინა დედა, თავს ძალა დაატანა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოისლუკუნა: არაფერი, დედაჩემო, არაფერი, პატარა უხეირომ გაიარაო. დედამისს პირკატა ეცა. როგორც ყველა ხანში შესული ადამიანი, ისიც უცებ და იოლად განეწყო ყოველგვარი უბედურების მოსასმენად, გადასატანადაც, და თინას დროზე რომ არ გაეცა ხმა, ალბათ, ეტყოდა კიდეც, რას იზამ შვილო, მოსახდენი უნდა მოხდესო, რადგან გუმანი უმალ შვილის მოვლა-დამშვიდებას უბრძანებდა, ვიდრე უაზრო წიოკობის ატეხვას, მით უფრო, რომ ჯერ არც ის იცოდა, რა უბედურება დასტეხვოდა თავზე მის საბრალო ქალიშვილს. თინას ნათქვამმა კი მის ცნობისმოყვარეობას, რაღაც არაჩვეულებრივს რომ მოელოდა თუ მოითხოვდა, ცივი წყალი გადაასხა. „ადე, ნუ გამიოხრე მატყლიო“ — შეუღრინა შვილს და კალთა გადაიბერტყა. თინა კი სლუკუნებდა, სახეზე ჩამოშლილ თმას ისწორებდა და უაზროდ იღიმებოდა, რათა დედამისს არ შეეტყო, როგორ უჭირდა ადგომა, უჭირდა კი არა, არ შეეძლო, ფეხებს ვეღარ გრძნობდა, აღარ ჰქონდა ფეხები და მათ ნაცვლად ცივი და დაბუჟებული სიცარიელე გამობმოდა წელსქვევით. „რომ ვეღარ ავდგეო“ — ფიქრობდა თავზარდაცემული თინა, მაგრამ ფარხმალს მაინც არ ყრიდა, იცოდა ამასაც მოერეოდა, თუკი მოითმენდა და არ შეიმჩნევდა. დედისათვის არ უნდა გაეგებინებინა, თორემ ისეთ წიოკობას ასტეხდა, ქვეყანას შეუყრიდა. „რა მოხდა, რა არის საწიოკო, ხომ შეიძლება, დედა-შვილი სულ ასე ისხდნენ და მატყლსა ჩეჩავდნენო?“ — თავს იმშვიდებდა თინა და გაღიმებული შესცქეროდა პირმოკუმულ დედას.

— რას ვუზივარ, მოგეხმარო მაინცო. — თქვა თინამ და თვითონაც აიღო მატყლის ფთილა.

მისი დრო ამოწურულიყო, ჩამოთავებულიყო, როგორც კოდში საფქვავი. ტომარას თავის მოკვრაღა აკლდა და ზურგზე მოკიდება. მოსახდენი მომხდარიყო, თანაც ისე მომხდარიყო, როგორც მას უნდოდა. ვისი რა ბრალი იყო, თუ აქანავებული ლეღვის ტოტიდან ყველაფერი მომხიბვლელი და ადვილად ხელმისაწვდომი ჩანდა? თინამ შეასრულა ის, რაც მიზნად დაისახა და ახლა ვერავინ გაამტყუნებდა, დედის ფეხებთან რომ მჯდარიყო და მატყლი ეჩეჩა. მაგრამ გაწბილებულ ოცნებას, წყალში ჩაყრილ მოთმინებასა და დაკარგულ დროსაც რომ სჭირდებოდა დაცვა და გამართლება? არა, თინასთვის ახალი ბრძოლის დრო დგებოდა. შურისძიების დრო და ისიც დაუნდობელი იქნებოდა ყველას მიმართ, ვინც არ გაუგო, ვინც მისი თეთრი შავად დაინახა, ანდა დაიჯერა, ყველაფრის მოთმენა რომ შეეძლო მას. აქ, დედის ფეხებთან გატრუნვა დამარცხებას ნიშნავდა, ბედთან შეგუებას, საკუთარი უმწეობისა და უსამართლობის აღიარებას. მაგრამ აღსარება დაჰგვიანებოდა თინას, აღარც თავის გამტყუნების უფლება ჰქონდა, რადგან აქამდე შეგნებულად ხუჭავდა თვალს, შეგნებულად იყრუებდა ყურს, დრო რომ მოეგო, ერთი ნაბიჯიც რომ წაედგა წინ, სიყვარულის დასახიჩრებულ გვამამდე რომ მიეღწია, ეხილა და დარწმუნებულიყო, მართლა გვამი, მართლა მისი სიყვარულის გვამი რომ იყო იგი. სხვებს შეიძლება შეშლოდათ, მიემსგავსებინათ, ანდა სულაც მოეგონათ, თინას გასამწარებლად. რაც არ უნდა ძნელი ყო-

ფილიყო, ჯობდა მაინც საკუთარი თვალით ენახა და სამუდამოდ გამოეძევებინა გულიდან მტანჯველი იმედიცა და ეჭვიც: ვაი თუ მომატყუეს, ვაი თუ ძალით დავიბრმავე თვალიო. ახლა ყველაფერი ზურგს უკან იყო, სულისშემხუთავი გზაც და ძვირფასი გვამის ხილვაც. მაგრამ გვამსაც სჭირდებოდა მოვლა-პატრონობა, იმ გვამს კი თინას მეტი არავინ ჰყავდა დამმარხველი, თინა იყო მისი პატრონი და ღირსეულადაც დამარხავდა, არც ცრემლს დააკლებდა და არც მსხვერპლს. დედამისს გინდაც არ ეთქვა, წადი, აქ რას უზიხარ, შენ შენი მატყლი გაქვს დასაჩეჩი. მაინც წამოდგებოდა, თავისი სიჯიუტით მაინც აღიდგენდა სადღაც გამქრალ ფეხებს და ძველებურად, ამაყი ცოლისა და ბედნიერი დედის უზრუნველობით, შეაღებდა უხეიროს ეზოს ჭიშკარს, რადგან ამ ჭიშკარს იქით იყო მისი ნამდვილი ცხოვრება. ეს ცხოვრება კი ჯერ არ დამთავრებულიყო, რაღაც აკლდა, რაღაც, თითქმის უმნიშვნელო, მაგრამ აუცილებელი, დასრულების უფლება რომ მოეპოვებინა. ის „რაღაცაც“ აქ ჭიშკრის იქით არსებობდა. მხოლოდ, და როცა თინამ ჭიშკრის სახელურს მოჰკიდა ხელი, გული ისევე აუთრთოლდა, როგორც იმ დღეს, ფარნაოზის ცოლი რომ გახდა. „აი, ჩემი სახლიო“ — მაშინაც და ახლაც ასე გაიფიქრა თინამ და ეზოში შევიდა. უკვე სახლთან იყო მისული, უკანვე რომ გამობრუნდა, პოპინას გაუქმებულ სამღვბროზე მიყუდებული ცოცხი აიღო და მოკირწყლული ბილიკიდან ხმელი ფოთლები გადახვეტა.

თინა არ აპირებდა რაიმის შეცვლასა და გამოსწორებას, სამაგიეროდ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დასასრულისათვის დაეცადა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი. გული უგრძნობდა, რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო, ყველას რომ შესძრავდა, შეაძრწუნებდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ტაძარი ინგრეოდა, მოთმინების ტაძარი, სიჯიუტის ქვითა და კირით ნაშენი. თინაც ამ ტაძრის კედლებთან ერთად იზრდებოდა და მტკიცდებოდა, მაგრამ ბავშვური გულუბრყვილობითა და ოცნებით წამოწყებული მშენებლობა თანდათან სხვა მნიშვნელობას იძენდა. თუკი თინა ფარნაოზის შემოტყუებას შესძლებდა, მაშინ ეს ტაძარი, მათთვის და მათი შვილებისთვის ყველაზე გამძლე და საიმედო თავშესაფარი უნდა ყოფილიყო. თინამ შეუძლებელი შესძლო, მაგრამ ტაძარმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. საკირედ იქცა, სატუსაღოდ, საცხედრედ. ალბათ, რაღაც დააკლო ანდა გადააჭარბა თინამ: რაღაც ვერ გაითვალისწინა, მაგრამ ამის გამოსწორება უკვე გვიანლა იყო. ეს ტაძარი ან ასეთად უნდა დარჩენილიყო, ან საერთოდ უნდა დანგრეულიყო, და ინგრეოდა კიდეც. თინა უკვე შეჩვეოდა ამ აზრს, მაგრამ გული კი არ სწყდებოდა, სინანულს კი არ გრძნობდა, არამედ ჩამონგრეული კედლების გრუხუნის მოლოდინში ძნელად ასახსნელი სიხარულითა და მოუთმენლობით ცახცახებდა იმ ბავშვივით, ხის მოჭრას რომ ადევნებს თვალს და ერთი სული აქვს, აქანავებული, ატორტმანებული ხე როდის დაენარცხება მიწაზე გაფარჩხული ტოტების ლაწალუწით..

თინას მოლოდინი ოჯახის დანარჩენ წევრებსაც გადასდებოდა, ყველას გასჩენოდა ავი წინათგრძნობა და ყველა თავისებურად წუხდა, რადგან სახელი ვერ დაერქმიათ, არ იცოდნენ, რას ნიშნავდა იგი, რას მოასწავებდა. გაურკვევლობა კი უარესად აფრთხობდათ, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, ღობეყორეს ედებოდნენ, როგორმე რომ ჩამოთავებულიყო თითქოს მათ ჯიბრზე გაწელილი დღე და თავთავიანთ საწოლებში განმარტოებულიყვნენ, ერთმანეთისაგან წყვდიადითა და დუმილით გამოყოფილ კუნძულებზე, სადაც ძეძვის მეტი არაფერი ხარობდა, თვალს მაინც რომ დაესვენა, და სადაც დაუნ-

დობელი ტურები გათენებამდე ყურის-წამღებად ჩხაოდნენ.

პოპინამ სასაფლაოზე სიარულს მოუხშირა, დღეს არ აცდენდა, საქმეც რომ ჰქონოდა შინ, მაინც იქ წასვლა ერჩია, თითქოს საქმე მოიცდიდა, მიცვალებულები კი ვერა. „რა ვქნა, წუხელაც დამესიზმრნენ, ისეთი სახე ედო მამაჩემს, მთელი ღამე ტირილში გავატარე, რაღაცა აწუხებს და ვერ გამიგიაო“ — თავს იმართლებდა პოპინა. სინამდვილეში კი თვითონ აწუხებდა რაღაცა და ვერ გაერკვია, ეს წუხილი ერეკებოდა შინიდან, წუხილი და ავი წინათგრძნობა, თითქოს მოსალოდნელი უბედურებას მშობლების სიახლოვეს უფრო ადვილად აარიდებდა თავს. მკვდარი მშობლები უფრო საიმედონი გამხდარიყვნენ, ვიდრე ცოცხალი ნათესავები, რადგან უბედურება მხოლოდ ცოცხლებისგან იყო მოსალოდნელი, ცოცხლებისაგან და ცოცხლებისთვის. პოპინას ძველმა შიშმაც გაუხსენა, ყველას დამფრთხალი შესცქეროდა თვალებში, ყველას ეფერებოდა, რადგან არ იცოდა, ვისგან ან ვისთვის მზადდებოდა ის უბედურება, ავი წინათგრძნობა ყოველდღე რომ უდასტურებდა. არც წყვილი კვიპაროსი ავიწყდებოდა, სისხლით ბანდა ქერცლიან წვივებს, იქნებ ასე, ყველას ფერებითა და სამსახურით, მოეგო ღმერთების გული და ოჯახი გადაერჩინა. სხვა რა შეეძლო, რა ეღონა? დიდი-დიდი მშობლებთან თუ მოყვებოდა თავის გასაჭირს, თუმცა ყველაფრის თქმას იქაც ერიდებოდა, საწყენსა და საჩოთიროს განგებ მიაფუჩეჩებდა ხოლმე, გული რომ არ დაეწყვიტა და ზედმეტად აღარ შეეწუხებინა ისინი. აკლდამას რომ გამოგვიდა და ფილაქანზე წყალს მოაპკურებდა, რომელიმე ლოდზე ჩამოჯდებოდა, გაიღიმებდა, თითქოს მართლა დაინახა მშობლებიო, და მოყოლას იწყებდა, წყნარად, თანამიმდევრულად, ისე რომ საკუთარი ხმისთვისაც ესმინა, რათა სწრაფად შესძლებოდა შერბილება ანდა გამოსწორება, თუკი ლაპარაკით გართულს, რამე მშობლებისთვის არასასიამოვნო წამოსცდებოდა. [illegible] ბული იყო, მშობლები გულის ყურით უსმენდნენ. ისიც ცდილობდა ყოველი სიტყვა მკვდრებისთვის უფრო სასიამოვნო და ადვილად მოსასმენი გაეხადა.

პატარა უხეირომ რომ გაიარა, პოპინა იმ დღესაც გაიქცა სასაფლაოზე. იქაურობა დააწკრიალა, ლოდზე ჩამოჯდა, ხელები კალთაში ჩაიწყო და თქვა: ორივესთვის მომილოცავს, დღეს პატარა უხეირომ გაიარაო.

— უკვე დიდი ბიჭია, — ხმა გაუთბა პოპინას და ენად გაიკრიფა. — უკვე კბილებიც გამოეჭრა. რა არის, იმის ენამ რომ არ თქვას, იმ დღეს შუბუმ მაყვალი ამოიტანა ვენახიდან, სახეში ჩახედა და უთხრა: თუ იცი, რატომ გქვიან უხეიროო. არც კი დაფიქრებულა, პაპაჩემსაც უხეირო ერქვა და იმიტომო, პაპაჩემი მეომარი იყო და მეც მეომარი უნდა გამოვიდეო. სიცილით დაგვხოცა. შუბუ კი ხანჯალს დაჰპირდა, რა შეგეშინდათ? ნამდვილს კი არა, ხისას. თუ სულ ასეთი კარგი ბიჭი იქნები, ისეთი ხანჯალი უნდა გამოგითალო, ამირანსაც რომ შეშურდესო. ის იყო და ის, ველარ მოვაშორეთ შუბუს, მეც შენთან უნდა წამოვიდე და გიყურო, როგორ გამოთლი ხანჯალსო. დედამისმა ძლივს ჩამოსვა ვირიდან (პოპინამ ხმამაღლა გაიცინა, რადგან ნათლად დაუდგა თვალწინ, როგორ ექაჩებოდა თინა ვირზე შესკუპებულ უხეიროს). — ოოოხ, სიცილს ოხვრა გადააბა პოპინამ და უცებ მოიწყინა. კარგა ხანს იჯდა ჩუმად, ჩვეულებისამებრ შემკრთალი და მობუზული. მერე თავი აიქნია, თითქოს სახეზე ჩამოვარდნილ თმას ისწორებსო და თქვა: ღმერთმა ნუ ქნას, ისიც შენსავით უბედური რომ გამოვიდესო.

პოპინა დღეს ველარ დაზოგავდა მკვდრებს, დღეს ველარ ითვალთმაქცებდა და თავის შიშსაც და სამდურავსაც პირდაპირ, შეუნიღბავად ეტყოდათ, ეტყოდათ, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, მკვდრების იმედზეღა იყო და-

რჩენილი. ისინი კი მომკვდარიყვნენ, მაგრამ მაინც პოპინას მშობლები იყვნენ და იქიდანაც უნდა მოხმარებოდნენ, იქიდანაც უნდა დაერიგებინათ ჭკუა და იქიდანაც უნდა შეეწიათ მანუგეშებელი სიტყვა. პოპინას მკვდრები ეცოდებოდა, მაგრამ თვითონ უფრო ცოდო იყო: ისინი, მართალია მიწაში იყვნენ, მაგრამ მაინც ერთად იყვნენ და ეს უკვე დიდი შეღავათი იყო, დიდი უპირატესობა პოპინასთან შედარებით. პოპინას ძმაც ყავდა და შვილიც, მაგრამ ორივე უცხო იყო მისთვის, ორივესი ეშინოდა, რადგან ერთი უმამოდ გაეჩინა და ამით სამუდამოდ დაემცირებინა სხვების თვალში, მეორეს კი მოუშორებელ ტვირთად დასწოლოდა თავზე. შეიძლება, მხოლოდ პოპინა ფიქრობდა ასე, თვითონვე ირწმუნებდა თავს, რომ ძმისთვისაც და შვილისთვისაც დამცირებისა და უბედურების მეტი არაფერი მოჰქონდა და ამ მოგონილი დანაშაულით თვითონვე იმწარებდა სიცოცხლეს, რადგან კაცებისა საერთოდ არაფერი გაეგებოდა. უცნაური და საშიში მამის წყალობით მისთვის კაცები საერთოდ უცნაურნი და საშიშნი გახდნენ. არაფრისა არ შინებია ისე, როგორც მამის, რადგან მამაც ყოველთვის მკვდარი იყო მისთვის, დედასთან ერთად მოჰკვდომოდა, მაგრამ დედისაგან განსხვავებით, მამა ბრაზიანი მკვდარი იყო, რომელიც თითქოს ცოცხლად დარჩენილთა დასაფრთხობად და გასამწარებლად დაეტოვებინათ დაუმარხავი. პოპინა მაშინ ბავშვი იყო და ბევრი არ მოეკითხებოდა, ხოლო მამამისს სწორედ ის აფრისხელა ტილო ჰქონდა გადაფარებული, რომელშიაც ცოტა ადრე დედის ცხედარი იყო გახვეული. სხვაც ბევრი რამე აღიქვა და შეითვისა პოპინას დამფრთხალმა გონებამ მაშინ არასწორედ და სამუდამოდ, და თუმცა მას მერე დიდი დრო გავიდა, ისეთი არაფერი მომხდარა, აზრი რომ შესცვლოდა, ძველი რწმენა რომ გაქარწყლებოდა. განა ფილამონეც, ფარნაოზიცა და კუსაც მამამისივით უცნაურნი და საშიშნი არ იყვნენ? „შენი ბრალია, მამაჩემო, შენი, — ჩაესმა პოპინას საკუთარი ხმა და სისხლი გაეყინა,ერთი კი — გაიფიქრა, როგორ მიტრიალდება ენა მკვდრის გასამტყუნებლადო, მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა, ბარემ ბოლომდე ამოებერტყა გული, თუკი უნდოდა, ცოტა შვება მასაც ეგრძნო. ნაძალადევად გაიცინა და გააგრძელა: კაცები შებრუნებულად ხედავთ ყველაფერს; რაც გაქვთ, ის არ გინდათ, არკი იცით, რა გინდათ. ჩემი ძმაც, რაც დრო გადის, სულ შენ გემსგავსება. შენც ასეთი იქნებოდი, ფეხზე რომ გეარნა. თინა მეცოდება, რაც არ უნდა იყოს, სხვისი შვილია, ჩვენს უბედურებას მასთან რა ესაქმება. აღარ იცის, როგორ მოიგოს ჩემი ძმის გული. ოჯახზეა გადაყოლილი. ქმარ-შვილის მეტი არაფერი ახსოვს, იმის დროც აღარ რჩება, დედასთან რომ გადაირბინოს. არ შეიძლება, ოჯახშიც რომ დაილაპარაკოს კაცმა ტკბილად? რატომ არ შეიძლება? ამიხსენი. სხვას ვიღას ვკითხო? ჩემი შვილია და, ისე მიბღვერს, თითქოს... არა აქვს საბღვერად საქმე? მამა წავართვით, გაუქციეთ. იქამდე ურბენია, სანამ სული არ ამოსძვრება, მაგრამ რას ვერჩით, იმას რაღას ვერჩოდით? იმიტომ რომ შენს შვილს უკეთესი ქმარი ეკუთვნოდა, არა? არა, მამაჩემო, ყველანი ჩვენზე უკეთესები არიან. ჩვენ ვიღაცამ დაგვწყევლა, რაღაც ცოდვა დაგვატეხა თავზე და ისე გაგვაბრუა, ვეღარაკი ვამჩნევთ, კიდევ რომ ცხოვრობს ჩვენს გარშემო ხალხი. სხვებს რაღას ვუმწარებთ ცხოვრებას? ყველას რაღაცა აქვს გასახარი, სტუმარი დაუდით, ჭირიც იციან და ლხინიც. ჩვენთან კი ვინ მოვა, კუსასა და ზიარას მეტი, თუმცა ახლა ფარნაოზიც სტუმარი გაგვიხდა. მე ჩემს თავს აღარ ვჩივი, ან ვის რაში ვჭირდები, მაგრამ მარტო მე ხომ არა ვარ ცოცხალი? დედა რომ მომიკვდა, მეც მაშინ უნდა დავმარხულიყავი, ცოცხლად უნდა დავმარხულიყავი. რატომ დამტოვე, დედაჩემო, რატომ? არ გეცოდები, ახლა მაინც არ გეცოდები? რამე მაინც გესწავ-

ლებინა, არ იცოდი, სად მტოვებდი? შენ რომ არ გეღალატა, იქნებ ჩემთვისაც გამორეულიყო ერთი ბედნიერი დღე, იქნებ ჩემი შვილიც აღარ მოშხამავდა ქვეყანას, ჩემი შვილი ხომ შხამიანია დედაჩემო, გველის შხამი აქვს ენის ქვეშ. როგორ უნდა იცხოვროს ასე, ვის დაეწვება გული? ცოდვის შვილია და იმიტომ, ჩემი შვილია და იმიტომ მეცოდება, მე გავაჩინე, ასეთი. გველკაცია ჩემი შვილი, დედაჩემო, გველკაცი. რა მექნა, მითხარი, ან სად გავქცეულიყავი, გაქცევაც რომ არ შემიძლია. გაქცევა კაცების საქმეა, ყველა კაცი გარბის, ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი. ხომ ასეა, მამაჩემო? ნეტავ შენც შეგძლებოდა გაქცევა. რომ არ შეგეძლო, იმიტომ ჩამოხმი ზეზეურად, მაგან გადაგრია. თუ კვდებოდით, ფარნაოზს რაღას აჩენდით? ფარნაოზი ხომ ჩემზე უბედურია, ჩემზეც და შენზეც, მამაჩემო, შენი შვილია და ისიც შენ დაგემსგავსა, მაგრამ იმას გული აქვს დამსხვრეული, გულისთვის ვერ მოუყრია თავი, მამაჩემო. იმ დღეს თინამ ვეღარ შეიკავა თავი და აკი უთხრა, რა ვქნა, ეტყობა არ ყოფილა საშველი, აღარ შემიძლია შენი შეკავება და რაც მოგვიდეს, თავს დააბრალეო, შენ არც ცოლი გინდა და არც შვილიო, თავს იტყუებ, ძალით გვეპოტინები, რადგან იცი, რა მოგელის უჩვენოდ და გეშინიაო. ან ჩვენ რას გვაწვალებ, ან თავს რაზე იწვალებო, მოსახდენი მაინც მოხდება და რაც ადრე მოხდება უკეთესიაო, მამაჩემო. შენმა შვილმა კი ხმა ვერ ამოიღო, თავჩაღუნული იჯდა. გული დამეთუთქა, ლამის დავუყვირე, არ დაუჯეროო-მეთქი, თინა განაწყენებულია და თვითონ არ იცის, რას ამბობს-მეთქი. მაგრამ მეც ენა დამება. რადგან თინა მართალია, მამაჩემო, ხომ მართალია თინა? მიპასუხეთ, რა ვქნათ, როგორ ვუშველოთ ფარნაოზს? შვილი გეღუპებათ, შვილი.

პოპინას ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, თითქოს გუშინ დაემარხა მშობლები, თითქოს გუშინ დაობლებულიყო და საკუთარი საცოდაობით იწვოდა. სხვა რომ ვერაფერი გაეწყო, მუშტებით კაბის კალთას აწვებოდა, თითქოს ვერ დამშვიდდებოდა, სანამ არ ჩახევდა, სანამ არ ჩაფხრეწდა. ხანდახან ისე აიქნევდა თავს, თითქოს არ მოსწონდა, არ აკმაყოფილებდა მკვდარი მშობლების რჩევა-დარიგება, თუმცა ეს რჩევა-დარიგებაც მისსავე აღგზნებულ გონებაში იბადებოდა.

— მეც ვიცი, რომ არაფერი არ ეშველება, მეც ვიცი, რომ ესეც ჩვენი ბედია, მაგრამ ვიყოთ ასე გულხელდაკრეფილნი?! — მოთქვამდა პოპინა.

მშობლებთან ლაპარაკმა, ასე თუ ისე, მაინც დაამშვიდა პოპინა, რაღაცისგან განთავისუფლდა, რაღაცა, ბალღამივით მწარე და მავნებელი, გამოიტანა ნათქვამმა სიტყვამ მისი არსებიდან და შვება აგრძნობინა. პოპინა წამოდგა, კაბა გაისწორა და ახლა უკვე ნახევრად ხუმრობის კილოთი თქვა: ცოცხალს კაცი ლაპარაკს ვერ გაგიბედავდა, ახლა კი, გინდა თუ არა, მაინც უნდა მომისმინოო.

მშობლების აკლდამიდან გამოსული პოპინა, ძნელი, ბუნდოვანი სიხმრიდან თავდაღწეულს ჰგავდა, შინამდე არაფერი არ მოჰყვებოდა ხოლმე, ვერც თავის ნათქვამს იხსენებდა, ვერც მშობლებისას; არა და, დარწმუნებული იყო, მართლა იქიდან რომ ბრუნდებოდა, მართლა რომ ელაპარაკა მათთან. შეცვლით კი არაფერი იცვლებოდა: ეჭვი ისევ ეჭვად რჩებოდა, შიში კი — შიშად. „ესენიც მასულელებენო, —ფიქრობდა შინისკენ მიმავალი პოპინა. — ყველაფერზე თავს მიქნევენ, არაფერში კი არ მეხმარებიანო“. ასე რომ, პოპინა სახლში ძველებურად დამფრთხალი და დაბნეული შედიოდა, ოღონდ ეარეცსად გულმოკლული საკუთარი უმწეობითა და მკვდრების გულგრილობით. „იქნებ იქ უკეთესია ცხოვრება და ამიტომაც აღარ ადარდებთ ჩვენი ამბავიო“ — გაჰკრავდა ხოლმე პოპინას ამგვარი ფიქრიც და უნებურად ფეხს უჩქარებდა, თითქოს ფიქრს გამოუს-

წრებდა და აღარ დააკაწვრინებდა თავს. ცხოვრება გრძელდებოდა და არც მას ჰქონდა ამ ქვეყნიდან ასე იოლად წასვლის უფლება, რაც არ უნდა მომხიბვლელად დაეხატათ მისთვის მშობლებს საიქიო ცხოვრება. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, პატარა უხეირო არსებობდა და ზიარაც ფეხმძიმედ იყო. მასაც ჰქონდა თავისი სიხარული, მართლა მთლად კი არ გასწყრომოდნენ ღმერთები. ზიარას ფეხმძიმობის ამბავს პოპინა შეგნებულად უმალავდა მშობლებს, ეშინოდა არ დაეთარსათ, აბუჩად არ აეგდოთ ღმერთებს მისი წინამასწარა სიხარული. სიხარულით კი ძალიან უხაროდა. ზიარას მშობიარობას ბევრი რამე უნდა შეეცვალა, უპირველეს ყოვლისა კი მისი შვილი, მისი უპირველური შვილი. პოპინა დედა იყო და უთქმელადაც გრძნობდა, როგორ ტანჯავდა კუსას უშვილობა, როგორ უმატებდა გესლს და ამ გესლში როგორ იბრჩობოდა თვითონვე. კუსას შვილი წამალივით სჭირდებოდა, ან გესლისგან განკურნავდა, ან გასაქცევ მიზეზს მისცემდა, თუ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, თავის სანაცვლოს დატოვებდა. თვითონ კი გაიქცეოდა. ისიც კაცი იყო და, ასე თუ ისე, მის ძარღვებშიც უხეიროს სისხლი წრიალებდა, ნაწილობრივ მაინც, იმდენი, რომ მოსვენება დაჰკარგვოდა. კუსამაც იცოდა, ბევრი რამე რომ იყო დამოკიდებული ზიარაზე და ისე დაატკბობდა ცოლს, მათი ამბავი მეზობლებს სალაპარაკოდ ჰქონდათ. კუსამ სახლში მოიხედა, ქოხი ხელახლა გადაახურვინა, ეზოს ღობე შემოავლო და სახედარიც იყიდა. ზიარას რცხვენოდა ვირით სეირნობა ქალაქში, ისედაც მუშტისხელა, უარესად პატარავდებოდა და თავჩაღუნული, ჯიუტად ჩასცქეროდა ვირის გაფშეკილ ქეჩოს. კუსა კი გაღიმებული მიუძღვოდა ვირს და ტომარასაც განგებ უფრო ხმამაღლა აჟღრიალებდა, ყველას რომ მიექცია მათთვის ყურადღება. ერთ დღეს კი, ზიარას ცოცხი ხელიდან გამოართვა, ქოხი თვითონ გამოგავა და უთხრა: თუ ცოცხალ ბავშვს გამიჩენ, საერთოდ აღარ გცემო. პოპინამ ყველაფერი იცოდა, რადგან ზიარა არაფერს უმალავდა დედამთილს, გუშინ ეს მითხრა და ასე და ასე მომექცაო, მაშინვე ჩაუკაკლავდა ხოლმე. პოპინამ ისიც იცოდა, მისი შვილი რატომ ანებივრებდა, რატომ დაჰფოფინებდა ასე ზიარას, ქმრის ყურადღებასა და ორსულობას ერთიანად რომ დაემრგვალებინა და გაელამაზებინა კიდეც. ზიარას კუსასთვის გაქცევის უფლება უნდა მიეცა. ასე ფიქრობდა პოპინა, რადგან მისი აზრით, კაცები შვილებს იმიტომ აჩენდნენ, თვითონ რომ გაქცეულიყვნენ, თითქოს ახალშობილის ჭყავილი ის იდუმალი და ნანატრი ნიშანი იყო, რომელიც მათი ჟამის დადგომას აუწყებდათ, როგორც მამლის ყივილი გათენებას. პოპინას აზრით, მხოლოდ ამ ნიშნის მერე იწყებდნენ კაცები ცხოვრებას, ნამდვილ მამაკაცურ ცხოვრებას, უაზროს, უსასთუმლოს და უქალებოს, ქარივით სწრაფსა და თავისუფალს. მათი ნაშიერის ჭყავილით გათენებული დღე, მათი მოვალეობის აღსრულებასაც ნიშნავდა და მათი უკანასკნელი, მხოლოდ მათთვის განკუთვნილი დღის დადგომასაც. ამიტომაც ეკარგებოდათ თავგზა, ამიტომაც ვერ ახერხებდნენ ამ დღის მშვიდობიანად დამთავრებას, იმასაც ვერ ახერხებდნენ, წესიერად რომ მომკვდარიყვნენ, კი არ კვდებოდნენ, იღუპებოდნენ და სხვებსაც ღუპავდნენ, რადგან დაღუპვაც ისევე გარდაუვალი იყო მათთვის, როგორც განთავისუფლება, მაგრამ ამის მისახვედრად დროც აღარ რჩებოდათ. სამაგიეროდ ქალები ხვდებოდნენ ამას, არა მარტო პოპინა, არამედ ყველა ქალი. აკი თინამაც უთხრა ფარნაოზს: შენი შეკავება აღარ შემიძლია, და რაც მოგივა, თავს დააბრალეო. თინამ იცოდა, რაც მოუვიდოდა ფარნაოზს, პოპინამაც იცოდა და ამიტომაც გაცეცხლდა თინაზე, როგორ უბრალოდ გაიმეტა, როგორ იოლად აიღო ხელი თავის მოვალეობაზეო, რადგან იმავე პოპინას აზრით, თუ კაცის

მოვალეობა გაქცევა იყო, ქალს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა შეეფერხებინა ეს გაქცევა, ფეხებში უნდა ჩავარდნოდა, ხელი არ უნდა გაეშვა, გინდაც დასაღუპად განწირული კაცი წიხლით შესდგომოდა. უნდა მოეთმინა, უნდა გაეძლო, რადგან ეს იყო ქალის მოვალეობა, ამიტომ გაეჩინა იგი ღმერთს.

პოპინას ყველაფერი არ მოუყოლია მშობლებისთვის, ბევრი რამე კი შებრუნებულად მოუყვა. მართალია პოპინა ყოველთვის თინას მხარეზე იყო, თანაუგრძნობდა და ამართლებდა კიდეც. მაგრამ იმ დღეს, როცა პატარა უხეირომ პირველად გაიარა, თავზარი დასცა თინას მრისხანებამ და დაუნდობლობამ. ეს იმდენად მოულოდნელი და იმდენად დაუშვებელი იყო პოპინასთვის, დიდხანს ვერ მოისაზრა, რა ხდებოდა, და პირდაღებული შესცქეროდა რძალს; თინას თმა გასწეწვოდა, კაბა ტანზე შემობრეცვოდა, ისე წამოჭარხლებოდა სახე, თითქოს კალოზე ნიჩბით ხორბალს ანიავებდა. ფარნაოზი თავჩაღუნული იჯდა და პოპინას შეეცოდა ძმა, თავი ველარ შეიკავა და დაუძახა: არ დაუჯერო, თვითონაც არ იცის რას ამბობს. თინა კი იმას ამბობდა, რაც წლობის მანძილზე დაგროვებოდა გულში და მისი პირიდან ამოსულ სიტყვას მომაკვდინებელი ძალა ჰქონდა, რადგან იგი გამწარებული და მოთმინებიდან გამოსული ქალის სიტყვა იყო. ზიარასი რატომ უნდა მშურდესო, — ამბობდა თინა, — მე რატომ უნდა ვიყო ყველაფერში გამორჩეული, როცა თვალით გომბეშო ცოლებს ქმრები ვირებით ასეირნებენო. ვისაც ჩემი დანახვა არ სიამოვნებს, თავი ქვას უსლია, ერთ დღეს გაწყვეტილხარო ყელახიო".

ფარნაოზი თავჩაღუნული იჯდა, არა. ფარნაოზი პატარა უხეიროს უყურებდა, საცოდავად აწურული, გაოცებული და დამფრთხალი ხან მამას რომ გახედავდა, ხან კი დედას, როგორც უნებურად შუაზე გადატეხილს და ამავე დროს ყველაზე საყვარელ სათამაშოს. პატარა უხეიროსაც, როგორც ყველა ბავშვს, თავისი ანგარიში ჰქონდა, სადაც ორჯერ ორი ყოველთვის სამი გამოდიოდა ისა და მისი მშობლები. მისი ანგარიში ამაზე შორს არც მიდიოდა და არც სჭირდებოდა. სამი მისთვის ყველაზე ცხადი და ამავე დროს ყველაზე ჯადოსნური ციფრი იყო, განუყოფელი, და მარადიული. განა ყველა ისე არ ანგარიშობს, როგორც ხელს აძლევს? რა გასაკვირია ბავშვსაც რომ ჰქონდეს თავისი ანგარიში? „ეშმაკურადაა ყველაფერი მოწყობილი, — ფიქრობდა ფარნაოზი, — თუ სიკეთე გინდა, ბოროტებასაც უნდა დაუხუჭო თვალი, რადგან ერთს მეორე მოსდევს. ან ორივეს ზურგი უნდა შეაქციო, ან ორივე უნდა ჩაიხუტო, რადგან ორივენი თავხედი და უზრდელი ბავშვებივით არიან, მცირეოდენი ყურადღებაც საკმარისია ერთის მიმართ, ორივენი მაშინვე კალთაში რომ ჩაგისხდნენ, რადგან ერთმანეთს ხელს არ უშვებენ და წინასწარვე არიან შეთანხმებულნი, ყველაფერი ძმურად გავიყოთო. თვითონაც ამიტომ იყო ასეთი, ვერავის ვერ მოუტანა სიკეთე, რადგან ბოროტების ჩადენა არ შეეძლო. ვერც დამნაშავის დამღას მოიშორებდა, გინდაც თხის რძეში განბანილიყო და გინდაც კაცის სისხლში. ასე იქნებოდა სულ, ან რა შეცვლიდა, რა გარდაქმნიდა, გინდაც ესწავლა. ახლა ნასწავლი დაკვრა საიქიოს თუ გამოადგებოდა. კაცი რასაც დათმობს, სამუდამოდ უნდა დათმოს, ხოლო, რასაც აირჩევს, უნდა იმყოფინოს კიდეც. ისიც და ისიც არ გამოდის, არ შეიძლება. ისიც და ისიც კეთილი ბოროტებაა, ან ბოროტი სიკეთე, ნაძალადევად შერწყმული, ნაძალადევად შეთითხნილი და ამიტომაც ამაზრზენი, უსისხლო და უნდილი, უნაკვერჩხლო ცეცხლი, რომელზედაც არც მწვადი იწვის და არც შამფური. მის ოჯახშიც ასეთი ცეცხლი ენთო და თინა ცამდე მართალი იყო, წყალს რომ ასხამდა, ფეხებით რომ ტკეპნიდა, რადგან ასეთ ცეცხლს ისევ უცეცხლობა ჯობდა. არ გაუვიდა თვალთმაქცობა, გაუგეს, მიუხვდნენ ეშმა-

კობას და სახეში მიაყარეს ქვიშა, ბაჯაღლო ოქროდ რომ ასაღებდა. თინა რომ არ უყვარდა, იმიტომ კი არ იყო დამნაშავე, არამედ იმიტომ, მოთმინების საშუალება რომ მისცა, ამდენი დრო რომ დააკარგვინა, უაზროდ და უშედეგოდ. მაგრამ თვითონაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. თუ მან თინას დრო დააკარგვინა, თინამ თავის მართლების საშუალება წაართვა. თუკი ოჯახი აღარ ექნებოდა, როგორღა ეთქვა შვილისთვის: თქვენი გულისთვის ვწვალობდი, თქვენი გულისთვის ვითმენდი და თქვენი გულისთვის ვიყავი გაჩუმებულიო. კარგია, რომ ასე მოხდა, კარგია რომ დროზე მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა. ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც შეუძლია. ქვისმთლელმა ქვა უნდა კოდოს, რადგან თავიდანვე ქვის კოდვა უსწავლია, სხვა არაფერი იცის, ან თუ იცის უნდა დაივიწყოს, რადგან ზედმეტი ცოდნა ხელს შეუშლის მხოლოდ, მკლავს დაუძაბუნებს, თვალს გაუშტერებს, ათას რამეს დაპირდება, არაფერს კი არ მისცემს, რადგან ის ზედმეტი ცოდნაა, ზედმეტი კი ცოდნაც მავნებელია. ადამიანს იმდენი ცოდნა სჭირდება, რაც შთამომავლობით გადმოეცემა, როგორც სახლი, ან იარაღი, საწოლი თუ ვარცლი." — ასე ფიქრობდა ფარნაოზი და მამა ახსენდებოდა, ხუთი წლის წინათ გარდაცვლილი მამა ეცოდებოდა და ბავშვური მონატრებით, ბავშვური მოუთმენლობით უნდოდა, რამე, მისი ხელშენავლები ნივთი სჭეროდა ხელში. მაგრამ ახლა მისი წამოდგომა უსინდისობა იქნებოდა, ამ წუთას ისე არავის სჭირდებოდა იგი, როგორც თინას. მას კიდევ შეეძლო ამ დღის გადატანა, გაჩიანურება, თინას კი — აღარ. თინას მოთმინება ამოწურულიყო, თინას მოთმინებაც, რომელსაც თითქოს არასოდეს არ უნდა ჰქონოდა დასასრული. მაგრამ რაც არ უნდა გაუგებარი და მოულოდნელი ყოფილიყო ფარნაოზისთვის ამ მოლოდინის დასასრული, უფლება არ ჰქონდა ხელი შეეშალა მისთვის, ამდენიხნის დამარხულს, ბოლოს და ბოლოს, მაინც რომ გამოეტანა გამბედაობის სისხლისფერი ყვავილი. თუმცა ფარნაოზი იმასაც ხედავდა, როგორ უფერულდებოდა, როგორ ლატაკდებოდა, როგორი მარტივი და ჩვეულებრივი ხდებოდა თინა ამ გამბედაობის შედეგად. ახლა მის წინ ჩვეულებრივი ქალი იდგა, ჩვეულებრივი უსიამოვნებებით მოთმინებიდან გამოსული, რომელსაც გაგონებაც არ უნდა, უფრო დიდი უსიამოვნებები რომ არსებობენ ამ ქვეყანაზე.

„ბავშვსაც შეაძულებს ჩემს თავსო" — გაიფიქრა ფარნაოზმა, მაგრამ მაინც არ წამომდგარა სკამიდან.

იმ დღის მერე ხუთმა წელმა გაიარა. ახლა ფარნაოზი მამისეული სახლის ჭიშკრამდე მოდიოდა მხოლოდ, თითქოს იქ მთავრდებოდა ქვეყანა, და მაშინაც ფეხები უკან რჩებოდა, მეზობლების რცხვენოდა და ერთ სიკვდილს ათავებდა, სანამ პატარა უხეიროს გამოუყვანდნენ, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო შვილის ნახვის სურვილი, ფარნაოზს არც შეეძლო და არც უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის, ყელზე შებმული თოკივით ექაჩებოდა ეს სურვილი და ბოლო-ბოლო მაინც მოათრევდა ხოლმე ჭიშკრამდე, მორიდებულ გლახასავით, ძლივს რომ გაებედა ხელის გაშვერა და თუ გაებედა, უნდა მოეცადა კიდევ, სანამ პურს გამოუტანდნენ, რაც არ უნდა დამამცირებელი და აუტანელი ყოფილიყო ეს მოლოდინი, რადგან იმ პურის გარეშე ქუჩის ბოლომდეც ვეღარ მიაღწევდა, ისე დაეუძლურებინა შიმშილს. ფარნაოზიც იდგა და იცდიდა, დაძახებას ისევ დაცდა ერჩია, თუმცა დარწმუნებული იყო, მთელი უბანი უთვალთვალებდა საკუთარ ჭიშკართან გლახასავით ატუზულ კაცს, საკუთარი შვილის სათხოვნელად რომ მოსულიყო. ეს იმდენად უჩვეულო, იმდენნაირი გრძნობის აღმძვრელი სანახაობა იყო, არავის გაემტყუნებოდა ფარდის უკან ყურყუტი. „რამდენიც უნდათ, იმდენი მიყურონო" — თავს იმშ-

ვიდებდა ფარნაოზი, რადგან მაინც ვერ გაბრუნდებოდა შვილის უნახავად, მართლაც ნაწყალობევი პურივით ძვირფასი რომ გამხდარიყო მისთვის, ძნელად შესალევი, ყველანაირი კერძის შემცვლელი და მაგიერი, ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოპოვებული და ამიტომაც მოწიწებისა და თრთოლვის აღმძვრელი. ხომ შეიძლებოდა, მასზე ადრე სხვა გლახას ჩამოევლო, მწყალობელს კი აღარაფერი დარჩენოდა მისთვის. „რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებოდა ძაღლიო — ახსენდებოდა ჭიშკართან მომლოდინე ფარნაოზს ცუგას მხსნელის სიტყვები და ახლა, ამდენი წლის მერე ესმოდა მათი აზრი, ესმოდა ქალამნებდაფლეთილი და ყელზე ქვაშებმული კაცისა. დაუფიქრებლად, შეუზიზღებლად რომ ეშვებოდა ფეხსადგილის ორმოში.

ფარნაოზმა წინასწარ არასოდეს არ იცოდა, წამოჰყვებოდა თუ არა შვილი, რადგან, ადვილი შესაძლებელი იყო, პატარა უხეიროს მობეზრებოდა ერთსა და იმავე კაცთან ერთსა და იმავე გზაზე წინ და უკან ხეტიალი, გინდაც იმ კაცს მამამისი რქმეოდა. განა მამებს ამდენი დრო აქვთ შვილებთან სახეტიალოდ და სალაპარაკოდ? ისინი ხომ იძულებულნი იყვნენ, ასე მოქცეულიყვნენ, რადგან საერთო სახლი არ ჰქონდათ, სადაც შეეძლებოდათ ერთმანეთი არცკი შეემჩნიათ და მაინც ერთად ყოფილიყვნენ, ხმა არ გაეცათ ერთმანეთისთვის და მაინც უფრო მეტი ეთქვათ. ვიდრე ახლა, ამ იძულებითი ხეტიალის დროს. მათი შეხვედრები ტყუპებივით ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, ერთფეროვნების ღორმუცელა ფუნჯი იმ პატარა და განსხვავებული სივრცის გადაღებვასაც აპირებდა, ჯერ კიდევ რომ შეენარჩუნებინა მათთვის ბუნებას, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლოთ, სხვანაირად ვერც წარმოედგინათ და მაინც ერთად მიჰყვებოდნენ ქუჩას, შეთქმულებივით შემკრთალნი და აღგზნებულნი. თვითონაც გრძნობდნენ, რაღაცა რომ დაერღვიათ, ან რაღაცის დარღვევას რომ აპირებდნენ და ბოლომდე გაურკვეველი დანაშაულის შეგრძნება უარესად აახლოვებდათ. დანაშაულს კი ნამდვილად სჩადიოდნენ, რადგან იმ რთული და ჯიუტი ორგანიზმიდან, რომელსაც ოჯახი ჰქვია, მაინცდამაინც მათი მამაშვილობის, უშუალოდ, პირდაპირად მათი დამაკავშირებელი ძარღვის გამოცალკევებას აპირებდნენ, რომელიც სინამდვილეში დამოუკიდებლად არც არსებობდა, ისიც რომელიღაც სხვა, მასზე უფრო ძველი ძარღვის გამონაზარდი, განტოტება და გაგრძელება იყო და ისიც სამუდამოდ ჩახლართულიყო თავის მსგავსსა და მონათესავე ძარღვებში. „გავიაროთო?“ — გაუბედავად ჩაეკითხებოდა ხოლმე ფარნაოზი შვილს და როცა პატარა უხეირო სიხარულისგან გაცისკროვნებული თვალებით ამოხედავდა, მხოლოდ მაშინ უმშვიდდებოდა გული, მხოლოდ მაშინ უქრებოდა გაუცხოვებისა და უუფლებობის გრძნობა და უკვე თამამად მიჰყავდა შვილი თავის წარსულში. მამის წარსულში ბევრი რამე იყო საოცარი პატარა უხეიროსთვის. ძნელი წარმოსადგენელი იყო, რომ ადრე, ადრე კი არა, თითქმის გუშინ, ამ გაუვალი და აშმორებული ჭაობის ნაცვლად, თვალუწვდენელი ზღვა ლივლივებდა, ზღვაზე ხომალდები მოცურავდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი შემოასწრებდათ ვანის ნავსადგურში. ზღვა ახლაც იყო, მაგრამ ისე შორს დაეხია ქალაქიდან, ხანდახან თუ გაიელვებდა მისი ფოლადისფერი ანარეკლი ქარისაგან გადაზნექილ ლერწმებს შორის, მთელი დღე უნდა გეტოპა გველებით სავსე ჭანჭრობებში, ისიც კარგი მეგზურის თანხლებით, ზღვამდე რომ მიგეღწია. მეთევზეთა უბანიც ისევ არსებოდა, ისევ მეთევზეთა უბანი ერქვა, მაგრამ ძველ ხელობას აღარავინ მისდევდა, ზღვისთვის ზურგი შეექციათ და ახლა ზემო ქალაქში დაწანწალებდნენ რაიმე შემთხვევითი სამუშაოს საძებნელად. ყოფილი მეთევზეების ცოლები და ქალიშვილები, ბადეების ნაცვლად ლერწმის ჭილოფებსა და კალათებს წნავდნენ და

თავიანთი ნახელავის გასაყიდათ ისინიც თან მიჰყვებოდნენ ხოლმე კაცებს ზემო ქალაქში. მათი პატარა, ფიცრული სახლები უკვე სანახევროდ წყალში იდგა და მარილისა თუ ცეცხლის სასესხებლად ერთმანეთთან ნავებით მიდიოდნენ, ნავებითვე მიდიოდნენ ზემო ქალაქამდე, რადგან წყალი ღრმა იყო და სახიფათო. ბევრჯერ ატეხილა ამ ყველაზე განაპირა უბანში წიოკობა, დიდხანს უძებნიათ ჭაობის წყალში ჩავარდნილი ბავშვი თუ მოხუცი, მაგრამ ძებნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. თანდათან ხალხი ამასაც შეეჩვია. მათი რწმენით, მარად მობუყბუყე, ავად მბზინავი ჭაობი, ქვესკნელიდან ამოშვებული ურჩხული იყო და თვითონვე ირჩევდა მსხვერპლს. ისევ ასე ჯობდა, ვიდრე ამ ურჩხულს ყველანი ერთბაშად გადაესანსლა. ყოფილი მეთევზე საღამოთი ისევ ძირგამომპალ ნავში ჩასხამდა ხოლმე თავის ცოლშვილს, უმთავრესად უკანვე რომ მოჰქონდა ახოხოლაევებული კალათები და დაგრაგნილი ჭილოფები, ნიჩბის ნაცვლად გრძელ ჭოკს დაიჭერდა, რომლითაც ფაფასავით რბილსა და ფუყე ფსკერს აწვებოდა და ნავს შინისკენ მიაცურებდა. გეგონებოდათ, ქარონს მიცვალებულთა სულები გადაჰყავს სულეთშიო და ჭაობის ზედაპირზე არეკლილ მთვარის შუქში მართლაც მიცვალებულებს ჰგავდნენ ნავში მსხდომნი, ისე გატრუნულიყვნენ, თითქოს შინ კი არა, სიკვდილის იდუმალსა და ნეტარ ქვეყანაში მიცურავდნენ.

ასეთივე ძნელი წარმოსადგენი იყო პატარა უხეიროსთვის, რომ ზღვის პირას ვაშლის დიდი ბაღი ხარობდა და ყველას, ვისაც კი მოესურვებოდა, შეეძლო იმ ბაღში პირის ჩატკბანურება, ოღონდ წკნელიც არ უნდა შეეტეხა არავის, თორემ დარიაჩანგი მოკვდებოდა და ბაღიც გაქრებოდა, როგორც მომხდარიყო კიდეც, რადგან ვიღაცას დაეგიწყებინა დარიაჩანგის დანაბარები. შთამომავლობით რომ გადმოდიოდა თაობიდან თაობაში, როგორც უკვდავების წამლის საიდუმლო. ოარიაჩანგი კი ისეთი ლამაზი ყოფილა, ხალხი თურმე მის შუქზე პურსა ჭამდა.

მამის მონაყოლი სრულებითაც არ ჰგავდა იმ ზღაპრებს, სამი ქალი მორიგეობით რომ უყვებოდა. ის ზღაპრები თავიანთი სინაზითა და სიმსუბუქით, არც იმ სამი ქალისგან განსხვავდებოდნენ და არც ერთმანეთისავან, ბოლო ყველას ერთნაირად კეთილი ჰქონდა, რადგან ბავშვის დასაძინებლად იყვნენ გამიზნულნი და არა ცხოვრების სკივრში ჩასაჭყეტად. ხოლო მამის მონაყოლი ისე ააფორიაქებდა ხოლმე პატარა უხეიროს, თითქოს ყველაფერი თვითონ გადახდომოდა თავს, თითქოს პირველად კი არ ისმენდა, არამედ იხსენებდა, ცდილობდა გაეხსენებინა ოდესღაც უკვე განცდილი და გადატანილი. მამის ბავშვობის დროინდელი ქალაქი უფრო მომხიბვლელი და უფრო ახლობელიც იყო მისთვის. ეჭვიც არ ეპარებოდა, თვითონაც რომ ერბინა ამ ქალაქის ქუჩებში, თვითონაც მოეწყვიტა ვაშლი დარიაჩანგის ბაღში, თვითონაც გასულიყო ახმაურებულ ნავსადგურში უცხოური გემების სანახავად და ცუგასთან ერთად თვითონაც ეკოტრიალა გახურებულ სილაში. ეს ყველაფერი კი მაშინ მომხდარიყო, როცა ისა და მამამისი ერთი არსება იყვნენ და ყველაფერი საერთო ჰქონდათ, ერთი თვალით უცქერდნენ ქვეყანას და ერთი ყურით ესმოდათ მისი ხმები. ხანდახან ისეთი გრძნობა ჰქონდა, მამა რომ გაჩუმებულიყო, თვითონ გააგრძელებდა ამბავს, ანდა, საკმარისი იყო, თვალები მაგრად დაეხუჭა, ზღვაცა და დარიაჩანგის ბაღი, მოჩხუბარი თოლიაცა და სილაში გაგორებული ცუგაც თავის ადგილას დაბრუნებულიყო. ამიტომაც იყო ალბათ, რომ „მომიყევის“ მაგივრად, „კიდევ გამახსენეო“, — ეუბნებოდა ხოლმე მამას.

— მეც რომ შენოდენა გავიზრდები, ჩვენი სახლიც ჭაობში იქნებაო-თქვა ერთხელ პატარა უხეიერომ.

გადატყავებულ მუხლზე ფოთოლი და-

ეწებებინა; მუხლი კი მღვიძედან რომ ბრუნდებოდნენ მაშინ იტკინა, ხმელ ფესვს წამოჰკრა ფეხი და წაიქცა. „მოგვკლავენ ახლა ქალებიო“ უთხრა ფარნაოზმა. პატარა უხეირო ცქვიტად წამოხტა, მამას გაუღიმა, მაგრამ ნატკენი მუხლიდან ხელის მოშორება მაინც გაუჭირდა. ფარნაოზმა თხმელის ბუჩქს ფოთოლი შეაწყვიტა და მუხლზე დაადო, ასე გეჭიროს, გაგიგრილებსო. პატარა უხეიროს სიარული უჭირდა, რადგან იძულებული იყო ხშირხშირად შეეშველებინა ხელი მუხლზე დაფარებული ფოთლისთვის. მერე ფოთოლი შედედებულმა სისხლმა მიიწება და საერთოდ დაავიწყდა მისი არსებობა.

ფარნაოზი შეაკრთო და გააკვირვა შვილის ნათქვამმა: შენოდენა რომ გავხდები, ჩვენი სახლიც ჭაობში იქნებაო. პატარა უხეირო უფრო მეტს ხვდებოდა, ვიდრე მას ეგონა ან მიზანშეწონილად მიაჩნდა. მან იცოდა, ბავშვის გონება მძაფრად რომ აღიქვამდა ყველაფერს, რასაც მიაწვდიდნენ, ხოლო რასაც ის პატარა უხეიროს აწვდიდა, საკმარისზე მეტი იყო ამ ჩვილი და სათუთი გონების აღსაგზნებლად, გაღვივებული კოცონივით მეტი და მეტი ფიჩხი რომ სჭირდებოდა, რათა ნაღვერდალი დაეყარა, მთელი ძალით აბრიალებულიყო და რაც შეიძლება შორს განეფანტა მის გარშემო დაყურსული წყვდიადი. ფარნაოზი ფიჩხს არ აკლებდა ამ კოცონს, მაგრამ მის საქმეში არ ერეოდა; დაე, იქით მიეშუქებინა თავისი ალი, საითაც მოეპრიალებოდა, უფრო სწორეთ, დაე, თვითონვე გამოეტანა დასკვნები, თუკი საამისო უნარი უკვე შესწევდა. ფარნაოზიც ამან შეაკრთო სწორეთ, არ ეგონა, ეს დღე ასე ადრე თუ დადგებოდა; შეაკრთო და გააკვირვა კიდეც, რადგან არაფერი იყო გასაკვირი და არაბუნებრივი პატარა უხეიროს ნათქვამში. ჭაობი ხომ მართლაც განუწყვეტლივ მოიწევდა ქალაქისკენ, აღარ ყაბულდებოდა ზღვის დანატოვარ მიწას და, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ეს ფუტფუტა, დონდლო და მცოცავი უბედურება რომ შეეჩერებინა. მალე მათი სახლი კი არა, მთელი ქალაქი ჭაობის დორბლით დაიფარებოდა. ქალაქი უფრო პატარა იყო, ვიდრე ჭაობი; ქალაქი უფრო ძველიც იყო და აღარც იმდენი ძალა ჰქონდა, ამ ახალგაზრდა ურჩხულს რომ შებრძოლებოდა. ურჩხული საათობით იზრდებოდა, უკბილო პირიდან შხამს ანთხევდა, ნესტიანი ბუღითა და ოხშივრით ცას აბნელებდა და გათოშილი, არაფრისმთქმელი თვალებით აძაბუნებდა, ალპობდა და სრუტავდა მის ჭანჭრობებში ჩარჩენილ ადამიანს. პატარა უხეირო მართალი იყო. ის უკვე აზროვნებდა, ფიქრობდა, ხოლო ეს ფიქრი, მის ჩასახვამდე გაჩენილი, ათას გზაზე ნათრევი, ათას კედელზე ნახახუნები, ათასნაირად დამალული და მიჩქმალული ფიქრი, ჯერჯერობით ძნელი მოსავლელი და ძნელი ასატანიც იყო ამ კრიალა და სუფთა სულისთვის, ჯერ ჩიტსაც რომ არ დაედგა ზედ ფეხი, ყვავილის ფურცელიც რომ არ დასცემოდა. კიდევ არა უშავდა, როცა მამასთან იყო, მამის სიახლოვე ამ ფიქრს ოცნების იერს აძლევდა, სასიამოვნოსაც ხდიდა და საზეიმოდ განაწყობდა ხოლმე, მაგრამ როგორაც მარტო რჩებოდა, ფიქრიც დაუნდობელი, ბრაზიანი და მკაცრი ხდებოდა, არც თავს ანებებდა და არც ახლოს უშვებდა, თითქოს მისი უასაკობა აღიზიანებდა, როგორც ობოლი შვილიშვილი ავადმყოფსა და სიბერისაგან უარესად დაუძლურებულ ბაბუას, ამ თითისტოლა ბავშვის ანაბარა რომ დარჩენილა და იმდენი კიდევ გაეგება, შვილიშვილს მისი მოვლა-პატრონობა რომ არ შეუძლია, როგორც არ უნდა მოინდომოს, საამისოდ ჯერ პატარაა, არც მისი მოწოდებული წამალია სანდო და არც მისი მოხარშული ჭინჭარი. ამას პატარა უხეიროც გრძნობდა და რას არ იგონებდა, როგორმე რომ გაეხანგრძლივებინა მამასთან ყოფნა, რაც შეიძლება გვიან დაბრუნებულიყო შინ. არც ფარნაოზს ეთმობოდა შვილი, მაგრამ შინ დაბრუნების დრო უცებ ახლოვდებოდა. „ალბათ, სამივენი ჭიშკა-

რთან დგანანო“ — გაიფიქრებდა ფარნაოზი და მაშინვე თვალწინ დაუდგებოდა, გულხელდაკრეფილნი როგორ იდგნენ ჭიშკართან და როგორ ამშვიდებდნენ ერთმანეთს თინა, პოპინა და ქალუკა.

— წავიდეთ, ქალებს შეეშინდებათო. — ამბობდა ფარნაოზი და პატარა უხეიროც აღარ უძალიანდებოდა, თუმცა გზადაგზა ერთსა და იმავეს გაიძახოდა: ხომ იციან, შენთან რომ ვარ, რიღასი უნდა შეეშინდეთო.

ფარნაოზი ქუჩის დასაწყისში ემშვიდობებოდა შვილს და ეს ყველაზე ძნელი წუთები იყო ორივესთვის. ორივეს ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, თითქოს ვერასოდეს ვეღარ შეხვდებოდნენ, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს უმალავდნენ, იმას კი არ ამბობდნენ, რისი თქმაც უნდოდათ, არამედ იმას, რაც უფრო დააჩქარებდა მათ განშორებას, ორივესთვის ესოდენ მძიმესა და დამთრგუნველს. „აბა, მოკურცხლე, ხომ გატყობ, ერთი სული გაქვს, როდის ჩაგორდები ლოგინშიო“, „ხვალაც ამ თვისააო“ და მრავალი ამგვარი სისულელეებით ემშვიდობებოდა ფარნაოზი შვილს, მერე კი იდგა და უყურებდა, როგორ მიყვებოდა ქუჩას პატარა უხეიროო და სევდითა და სიხარულით გული თანაბრად ევსებოდა, რადგან ეს პატარა არსებაც იმასვე განიცდიდა ახლა, რასაც თვითონ: იძულებითი განშორების სიმწარესა და მოსალოდნელი შეხვედრის სიხარულს. მარტო ამიტომ ღირდა ცხოვრება, ის პატარა უხეიროს სჭირდებოდა და ბედნიერი იყო; ეს ბედნიერება ცეცხლოვანი ტუჩებით იკოცნებოდა, სუნთქვას უკრავდა და სისხლის გემოს უტოვებდა პირში. შინ შესვლამდე პატარა უხეიროო რამდენჯერმე მოხედავდა ხოლმე ქუჩის თავში გარინდულ მამას, თანდათან რომ უჩინარდებოდა საღამოს ბინდში, მაგრამ მაინც ნათლად ხედავდა მისი სახის ნაკვთებს. „ნუ ჩერდები, წადიო“ — აუქნევდა ხელს ლანდი და ისიც ძლივს იკავებდა თავს, ისევ მისკენ რომ არ გაქცეულიყო. პატარა უხეიროს თავისი საკუთარი ფიქრიც ჰქონდა, საიდუმლო, ყველასაგან დაფარული, მამისგანაც კი. ეს ფიქრი მაშინ გაუჩნდა, როცა ფარნაოზმა მღვიმეში აიყვანა იგი და წოლისაგან გაჩენილი ღრმული აჩვენა. „მე წავართვი მამაჩემს სახლიო“ — გაიფიქრა პატარა უხეიროომ და უცებ ისე შეეცოდა მამა, ბედად იქვე თხა რომ არ ყოფილიყო, თავს ვერ შეიკავებდა და ატირდებოდა. პატარა უხეიროომ თხას დაუწყო თამაში, შეკავებული ტირილისგან აცახცახებული სახე რომ დაემალა.

— აი, აქ ვცხოვრობ მე .— უთხრა მამამ.

„ვიცი აქ რომ ცხოვრობ, — ფიქრობდა ვითომ თხასთან თამაშით გართული პატარა უხეიროო, — ადრე კი იქ ცხოვრობდი, სადაც მე ვცხოვრობ ახლა. აქაც არ შეიძლება ჩვენი ერთად ცხოვრება, რადგან მე აქ მაშინ ვიცხოვრებ, როცა შენ სხვაგან გადასახლდებიო“. ისე გამოდიოდა, თითქოს მამა შვილს ადგილს უნთავისუფლებდა, თითქოს სახლი, სადაც ადრე ფარნაოზი, ახლა კი პატარა უხეიროო ცხოვრობდა, ზღვაში მოტივტივე ფიცარი იყო მხოლოდ და ეს ფიცარი ორივეს ერთად ვერ დაიმაგრებდა, ერთერთს უნდა დაეთმო მეორისთვის, რათა ორივენი არ დაღუპულიყვნენ. თუ მართლა ასე იყო, მაშინ სწორედ იქცეოდა ფარნაოზი, შვილს რომ უნთავისუფლებდა ადგილს. მაგრამ მართლა ასე იყო? მართლა შუა ზღვაში იყვნენ ორივენი და მართლა დამპალი ფიცარიღა იყო პაპისეული სახლი? ძნელი იყო პატარა უხეიროსთვის ამ ამბებში გარკვევა, თუმცა ეს მისი საკუთარი ფიქრი იყო, მის არსებაში აღმოცენებული, უწინაპრო, დაუწმინდავი და დაულაგებელი. პატარა უხეიროს ამ ფიქრისთვისაც უნდა გაერთვა თავი, რადგან გრძნობდა, ეს პატარა ფიქრი იმ დიდი ფიქრის გამონაზარდი თუ გამონაყარი იყო, მამისაგან რომ მიეღო შთამომავლობით.

ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა,

სულ არ აინტერესებდა, შეამჩნევდა თუ არა პატარა უხეირო, აუღებდა თუ არა ალღოს და აუწყობდა თუ არა ფეხს. „მუცელმა მოცდა არ იცისო“— იტყოდა ხოლმე ყოველ დილას ქალუკა, ხილაბანდის ბოლოთი პირს აიკრავდა და ცომის ზელას შეუდგებოდა. პოპინა სახლსა ჰგვიდა, თინა კი ლოგინებს ამზეურებდა და შინდის სახრით გამეტებით ბერტყავდა ფარდაგებს.

ერთ დღეს კი მოხდა ის რასაც არავინ არ ელოდა, რამაც მთელი ქალაქი ერთხელ კიდევ ააფორიაქა, დააბნია და დააშინა.

ქალაქი ახალი ჩაძინებული იყო, გალავანში ორი კაცი რომ შემოვიდა. ორივე მელოტი იყო და თავები ისე უპრიალებდათ, თითქოს ოქროს თასები ახურავთო. ორივეს მოკლე ტუნიკი ეცვა, სანდლის თასმები ბარძაყებამდე დაეხვიათ. ისინი ძმები იყვნენ, ერთს შიში ერქვა, მეორეს — ელდა. ისე თამამად და თავისუფლად მოაბიჯებდნენ, თითქოს ამ ქალაქში დაბადებულან და გაზრდილანო. „სწორედ თუ მოვდივართო“ — თქვა ელდამ. „მოვედით და ეგ არიო“ — უპასუხა შიშმა. ძმებმა პირველივე ჭიშკარი დაუკითხავად შეაღეს და ქოხის განათებულ ფანჯარას მიადგნენ, „რაც გინდა, ისა თქვი, და სხვის ფანჯარაში ყურებას მართლაც არაფერი ჯობიაო“ —თქვა შიშმა. ძმებმა ფანჯარაში შეიხედეს. ოთახში ოთხნი იყვნენ, ერთი კაცი და სამი ქალი. კაცი ზურგით კედელს აჰკვროდა და უაზროდ იყურებოდა სივრცეში. ორი შაოსანი ქალი ტახტზე იჯდა, ერთმანეთის გვერდით, ხელები კალთებში ჩაეწყოთ და თვალს არ აშორებდნენ მესამე ქალს. მესამეს ძველი, ბოლოებშემორღვეული პერანგი ეცვა, შიშველი, დასიებული ფეხები ფლოსტებში წაეყო და ოთახში წინ და უკან დადიოდა. ის ორსულად იყო და ეტყობა უფრო ახალგაზრდაც იმ ქალებთან შედარებით, მაგრამ მშობიარობის ტკივილებს ისე დაეღრიჯა, ასი წლის დედაბერს დამგვანებოდა. პატარა ქალი იყო, ფეხმოკლე, მუცელი კი უსაშველოდ გაზრდოდა, გეგონებოდათ, მუცელი დაატარებს თავის ხებაზეო. ბაგიდაზე ჭრაქი პარპალებდა და ოთახში მყოფთა დაუშნოვებულ, უცნაურად დაგრძელებულ ჩრდილებს დაუზოგავად ახეთქებდა ჭერსა და კედლებზე. სინათლის მოუსვენარი ალი მხოლოდ სანახევროდ ანათებდა საგნებსა და ადამიანებს, ამიტომაც, საგნებიცა და ადამიანებიც თითქოს სინათლისგან დალაქავებულ ჭაობში იდგნენ. ძმებმა სარკმელზე მიაკაკუნეს და სირბილით გამორდნენ იქაურობას. ის ფეხმძიმე ქალი ზიარა იყო, ორი შაოსანი, ერთმანეთის გვერდით რომ ჩამომჯდარიყო ტახტზე, პოპინა და ქალუკა, კედელთან გარინდული კაცი კი — კუსა.

ზიარამ შუაღამისას იმშობიარა. მასაც მკვდარი ბავშვი ეყოლა.

მეორე დილით ცუცამ მარჩენალი შვილი, რომლის მკლავზეც გაწვრთნილი კაჭკაჭივით დასკუპებულიყო, სარკმელში გაახედა და უთხრა: თუ ხედავ, რა ხდება შენს სამეფოშიო. ოყაჯადომ განსაკუთრებული ვერაფერი დაინახა სასახლის ეზოში, თავლის გვერდით ნეხვის ზვინი იდგა, სარეცხის თოკისთვის ძველი შუბი შეეყენებინათ, სახაბაზოდან კი ბოლი ამოდიოდა. „პურს აცხობენო“ გაიფიქრა ოყაჯადომ, მაგრამ ეზოსთვის თვალი მაინც არ მოუშორებია, რადგან იცოდა, დედამისი ტყუილუბრალოდ არ მოიყვანდა აქ და არც ასე გამომცდელად მიაშტერდებოდა, აბა, ხვდება თუ არა რამეს, ჩემი შვილიო, არა, ჩემი მარჩენალი შვილიო. ოყაჯადოს რაღაცა უნდა შეემჩნია, რაღაცას უნდა მიმხვდარიყო, ასე იყო ყოველთვის, რაც თავი ახსოვდა, და ასე იქნებოდა სულ. „მაინც როდემდეო“ — გუნებაში ვიღაცას გაუბრაზდა ოყაჯადო და უცებ იგრძნო, როგორ მობეზრებოდა ყველაფერი; ან რა საჭირო იყო ეს უაზრო წვალება, რატომ უნდა ემტვრია თავი იმის მისახვედრად, რასაც დედამისი უკვე მიხვედრილიყო. ეთქვა და გაეთავებინა, ისინი ხომ უკვე

მარტონი იყვნენ, ორნი, დედა ღა შვილი, ხოლო ის მესამე, რომლის გულისთვისაც ოყაჯადო ასე თუ ისე იძულებული იყო ზედმეტად შეეწუხებინა თავი, რახანია გამგზავრებულიყო საიქიოს, საიქიოს კი არა, სარკეში შემძვრალიყო, მაინც თავისი გაეტანა, დამარხვის საშუალებაც არ მიეცა ქმრისთვის, თითქოს ქმარი რამეს დააკლებდა, ღირსეულად ვერ უპატრონებდა. სამაგიეროდ მის მაგივრად ოყაჯადომ საგვარეულო აკლდამაში წყლით სავსე ტაშტი დაასვენა. აბა, რა ექნათ, რაღაცა ხომ უნდა დაემარხათ? კამასგან კი მეტი არაფერი დარჩენილა. ოყაჯადოს არაფერი გახარებია ისე, როგორც კამას გაქრობა. ცხედარივით შუა დარბაზში დასვენებულ ტაშტს რომ ჩახედა, გული გაებადრა, იგრძნო, ახლა რომ იწყებოდა ნამდვილი, ყოველგვარი მოვალეობისაგან განტვირთული, განუსაზღვრელი და შეუზღუდავი მეფობა, რადგან იქაც, ცრემლივით მღვრიე წყალშიც, მისი სამეფო ჯიღა ლივლივებდა. ამიტომაც იყო, მთელი წელი რომ ატირა და ავიშვიშა ხალხი, სასახლე კი ძაძებში გაახვევინა და ისე ჩამოაბნელებინა, უჩირაღდნოდ ნაბიჯის გადადგმაც ჭირდა. მერე რამდენჯერ გასცინებია თვითონვე იმ ჩამობნელებული და ჩახუთული სასახლის გახსენებაზე, იმ თამაშობაზე, დედამისმა მის გასაწვალებლად რომ მოიგონა და კარგადაც აწვალებდა, აწვალებდა კი არა, ქანცი გასძვრებოდა ხოლმე, სანამ მიაგნებდა ჭრიჭინასავით გაუჩინარებულ ცუცას; საიდანღაც რომ ეძახდა ოთხზე დამდგარ ოყაჯადოს, ხმას წამოყევი, შე სულელო. ოყაჯადოც აბა რას შვრებოდა, სხვას რას უნდა წაჰყოლოდა, მაგრამ ხმა აბნევდა სწორედ. და როცა ეგონა, ესაა მივიმწყვდიე ჩემი მაწვალებელიო, ახლა სულ სხვა მხრიდან ესმოდა ცუცას ჭირქილი. დედამისს სიარული არ შეეძლო, მაგრამ ხვლიკივით დახოხავდა. კამას გაქრობის შემდეგ, სასახლეში ნანატრმა სიმშვიდემ დაიბუდა, არც მომჩივრები აწუხებდნენ და არც მთხოვნელები, დრო თავზე საყრელად ჰქონდათ სათათბიროდაც და სათამაშოდაც, და ვინ იცის, რამდენამდე გაგრძელდებოდა ეს უზრუნველი სიამტკბილობა, დედამისს მაინცდამაინც დღეს რომ არ აეტეხა მისი გამჭრიახობის ერთხელ კიდევ შემოწმება. ოყაჯადო სარკმელთან იდგა და ნახევარი სახე უხურდა, დედის გამომცდელი მზერა უხურებდა სახის ნახევარს და გრძნობდა, როგორ მობეზრებოდა ყველაფერი, რასაც უკვე მიხვედრილიყო და რასაც აწი მიახვედრებდა დედა. იმასაც გრძნობდა, ურმის კოფოსავით რომ გახევებოდა მკლავი, რომელდეზაც დედამისი ჩამოსკუპებულიყო. „მოვისრიალებ და ეგ იქნებაო“ — გაიფიქრა ოყაჯადომ, მაგრამ როცა მოთმინებიდან გამოსულმა ცუცამ კაჭკაჭივით შეიფრთხიალა, თვითონაც დაინახა უცნაური არსება, რომელიც ბავშვსაც გავდა და უზარმაზარ ჩიტსაც. სასახლის ეზოში რომ ჩამოვარდნილიყო და ვერაფრით ველარ ახერხებდა აფრენას, თუმცა თავს არ იზოგავდა, გამწარებული დარბოდა წინ და უკან, ფრთებს აფართხუნებდა, თითქოს სწყდებოდა კიდეც მიწას, მაგრამ მაშინვე ძირს ენარცხებოდა და უშნოდ გაფარჩხული, მიწაზე წამოდებული ფრთებით მიიხვეტავდა ეზოს. „არიქა, დავიჭიროთო“ — უნდოდა ეყვირა ოყაჯადოს, მაგრამ ცუცამ დაასწრო და უთხრა: ეგ მართლა ჩიტი ნუ გგონია, შენი მეჯინიბის შვილიშვილი გახლავსო. ოყაჯადოს იმდენად დაუჯერებლად ეჩვენა დედის ნათქვამი, სიფრთხილის გრძნობა სრულებით გაუქრა და მთელი ტანით გადაიწია სარკმელში.

— რას შვრები, უბედურო! — იკივლა ცუცამ და ცოტახნის მერე დაამატა: თუმცა კი გაქვს სამაგისოდ საქმეო.

დედის შეკივლებამ ოყაჯადოც გამოაფხიზლა, ოყაჯადოც შეაშინა, დღემდე არარსებული თვალი აუხილა და უცებ დაარწმუნა, მართლაც არაჩვეულებრივი ამბის მომსწრე რომ გამხდარიყო და რაღაცნაირი, დღემდე გაუთვალისწინე-

ბელი საფრთხე გამოსჩენოდა. მეჯინიბის შვილიშვილი სასახლის ეზოს დაბზარულ ფილაქანზე მუხლებს იტყავებდა და მართლაც იყო რაღაც შემაშფოთებელი და შემაძრწუნებელი ამ ფრთებგამობმულ ბავშვის უმწეო ფაფხურში, ხაფანგში ფეხჩავარდნილი ნადირივით, მზად რომ იყო კბილებით გადაღრღნა საკუთარი ძვალიც, ოღონდ ხაფანგიდან თავი დაეღწია.

— მთელი ქალაქი ასეა. აღარ უნდათ ჩვენთან ყოფნა. — დაიჩხავლა ცუცამ.

„აღარ უნდათ ჩვენთან ყოფნა, აღარ უნდათ ჩვენთან ყოფნა“ — გაიმეორა გუნებაში ოყაჯადომაც და სისხლი აუჩქროლდა, ბებერი და გაზანტეული სისხლი კი არა, ძველი, ამ სისხლის წინაპარი, ამ სისხლის მაჭარი, მართლა მაჭარივით რომ დაბობოქრობდა მის ძარღვებში და მოსვენებას უკარგავდა, ადგილზე არ აჩერებდა, გამოფხიზლებას არ აცლიდა, სულ რაღაცას ჰპირდებოდა და ბოლოს ქვაც ააღებინა ხელში საკუთარი მამის თავის გასაჩეჩქვად, რადგან რასაც ჰპირდებოდა, მამასისხლად ფასობდა. ოყაჯადომაც გაიღო მამის სისხლი, კი არ გაიღო, გადაჭრა, ქვით გადაჭრა, რადგან მისი ერთი ბოლო საჯინიბოს შუაბოძზე იყო გამობმული და რამდენიც არ უნდა გაეწია, მიზნისაკენ გადადგმული ფეხი ყოველთვის ჰაერში დარჩებოდა გაშვერილი, სისხლის თოკი მოკლე იყო და უკანვე ექაჩებოდა. ასე წვალობდა ოყაჯადო, სანამ მარჩიელმა თვალი არ აუხილა, მერე კი აღარც დაფიქრებულა, ხელიც არ აჰკანკალებია და ქვის ერთი დაკვრით ჭიაყელასავით გაწყვიტა სისხლის თოკი და გამარჯვების ყიჟინაც დასცა, როცა საჯინიბოს შუაბოძზე გამობმული და თავგაჩეჩქვილი მამამისი კლაკვნითა და ცახცახით ღაფავდა სულს. მერე კი აღარ გასჭირვებია ოყაჯადოს მიზნამდე მისვლა, დანაპირები მიიღო და იმდენხანს ეალერსა, იმდენჯერ მოიოხა გული მისი ვნებიანი სხეულით, მობეზრდა კიდეც. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, ოყაჯადო ხელს რომ აიღებდა მასზე, დაუვიწყებდა ძველ სიამტკბილობას, ძველ თავგამოდებასა და ერთგულებას მის ხელებში ჩამჭკნარსა და ჩაბერებულ მეუღლეს. არა, არც ასეთი უგულო და უსამართლო იყო იგი, ერთადერთი, ნამდვილი და კანონიერი მეუღლისათვის სიბერეში ზურგი რომ შეექცია. ის ხომ ამ ქალისათვის იყო გაჩენილი და ამ ქალთან ერთად ეწერა სიცოცხლეცა და სიკვდილიც. კამა დანამატი იყო მხოლოდ, მზითვი იყო მისი ნამდვილი ცოლისა და ამიტომაც გადნა, დაილია და გაქრა კიდეც, მისი ნამდვილი ცოლი კი ღმერთქალივით მარადიული იყო და თუ ბერდებოდა, ამასაც ოყაჯადოს ხათრით აკეთებდა მხოლოდ, გული რომ არ დაეწყვიტა მისთვის, თავად ბებერი და დაუძლურებული, შურით რომ არ აღვსილიყო მარად ახალგაზრდა ცოლის შემყურე. ამ ქალს მეფობა ერქვა, ტახტი, ჯიღა, სასახლე, ქვეყანა, პატივი, სახელი, სიმდიდრე, სიამაყე, მშვიდი სადილი და მშვიდი ძილი. მერე რაა, რომ ცოტა მობეზრებოდა კიდეც ოყაჯადოს ყოველ დილა ერთი და იგივე სახის დანახვა, ნაოჭებში ფერუმარილი რომ ჩაკვდომოდა, წირპლიანი თვალების გახელა რომ უჭირდა, მაგრამ მაინც ახელდა, რადგან თვალის დაპატარავებული ჭრილებიდან ერთხელ კიდევ გადმოეფრქვია ოყაჯადოს თავზე მარად ახალგაზრდა და მარად სანატრელი ბრწყინვალება მეფური ბუნებისა. ამ დაპატარავებული ჭრილებიდან გადმოფრქვეული სხივები ამოძრავებდნენ ოყაჯადოს არსებას, როგორც ძაფები თოჯინას, და ორივენი გულიანად იცინოდნენ, როცა მეუღლის თვალებიდან გადმოფრქვეულ სხივებზე აკონწიალებული ოყაჯადო ცხვირის ნაცვლად ქეჩოს იფხანდა, ანდა შუბლის ნაცვლად მუცელზე იდებდა ხელს. „ახ-ხხლა თვაალი მაჩვეეენეო“ — ძლივსღა ლაპარაკობდა სიცილისაგან დაოს-

ებული ცოლი და ოყაჯადოც იცინოდა, იცინოდა, რადგან სულ სხვა მხარეს ექაჩებოდა მის ხელს მაჯაში ჩაფრენილი სხივი. ასე იქცევდნენ თავს, ამას ერქვა მეფურად თავის შექცევა, მაგრამ მოწყენაც იცოდნენ და მათი მოწყენაც მეფური იყო, მეფურად მომხიბვლელი და დიადი: მასთან როგორ მოვიდოდა მეღორისა და მებატის ცეკვა-თამაში. ოყაჯადო ზურგზე დაიწყობდა ხოლმე ხელებს და დაუყვებოდა სიჩუმისა და სიცარიელის ტალანებს, მისი ფლოსტების ხმა უფრო ჩუმსა და უკაცურს რომ ხდიდა, რადგან ეს ხმაც მათი ნაწილი იყო, მათი სიმტკიცის გუშაგი. მიდიოდა და გული სიამაყით ევსებოდა, საყიდელზე პირველად გაგზავნილი ბავშვივით, სასიამოვნოდ რომ უღიტინებს კისერში მშობლის შეფარული მზერა და მღელვარება: რამე არ შეემთხვას, რამე არ დაუშავდეს ჩემს პატარასო. ოყაჯადო კი მთელი ქვეყნის მზერას გრძნობდა, ასევე მღელვარესა და შეშფოთებულს, ჩაფიქრებული და მარტო მოსეირნე მეფის ხილვით, ქვეყანას სული მისდიოდა, მაგრამ მაინც ვერ ჩასწვდომოდა მეფის საფიქრალს. ოყაჯადო კი უარესად იშმუხნიდა წარბებს, უარესად ანელებდა ნაბიჯს და გულში ზეიმობდა: ოპროწუწუნ, ვერ მოგართვით, აბა, გამოიცანით, თუ კარგი ბიჭები ხართო. გამოსაცნობი კი არაფერი იყო, მარტო მოსეირნე კაცს მეფის გვირგვინი ედგა თავზე და ესეც საკმარისი იყო, შურითა და მოწიწებით რომ შეეხედა ყველას. ახლა კი, კიღაც მეჯინიბის ტილიან შვილიშვილს აღარ მოსწონდა აქაურობა, აღარ უნდოდა, პირდაღებულს ეცქირა მისთვის. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, აბა, რიღასთვის დასეირნობდა ამ ტალანებში, რიღასთვის ითმენდა ამ უსაშველო სევდასა და მოწყენილობას, თუკი მაყურებელიც აღარ ეყოლებოდა, თუკი ყველანი ერთბაშად დაჰკრავდნენ ფეხს და გაფრინდებოდნენ. „სად მამაჩემთან მიფრინავენო“ — ფიქრობდა ოყაჯადო და ძველი, უკანალრეცილ ტახტზე გადაცვეთილი გუმანითა გრძნობდა, ტახტის ყველაზე ვერაგ მტერთან რომ ჰქონდა საქმე. ტყუილუბრალოდ არც დედამისი აწრიალდებოდა ასე. არც გულხელდაკრეფილი დახვდებოდა ცუცა ამ ახალ მტერს, მაგრამ მასაც მართებდა ჩაფიქრება, რაც შეიძლება ღრმად უნდა ჩაფიქრებულიყო ისიც. შეთქმულება, ღალატი, ამბოხება, შხამი და ხანჯალი — ტახტის ძველისძველი მტრები იყვნენ, იმდენად ძველი, მტრობა აღარც ეთქმოდათ: ისე გასცნობოდნენ და გაშინაურებოდნენ ერთმანეთს, უერთმანეთობა ვეღარც კი წარმოედგინათ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ ერთმანეთს სჭირდებოდნენ კიდეც. ტახტმა ყოველთვის იცოდა, სად იყვნენ ისინი, რას აპირებდნენ, როდის იყო მოსალოდნელი მათი გამოჩენა და მართლაც უღირსი უნდა ყოფილიყო ტახტობისა, თუკი უდროოდროს ჩამოეყვინთებოდა და გადატრიალების ნებას მისცემდათ. მათი ურთიერთობაც ძირითადად ამით ამოიწურებოდა: ტახტს არ უნდა დავიწყნოდა მათი არსებობა და ყოველთვის ფხიზლად უნდა ყოფილიყო, მათ კი განუწყვეტლივ უნდა ეტრიალათ ტახტის გარშემო და ხელსაყრელი შემთხვევისათვის დაეცადათ. ესეც ერთგვარი თამაშობა იყო, მეფური თამაშობა, რაც აეშმაკებდა და სიფხიზლის გრძნობას უღვიძებდა ერთსაც და მეორესაც, ტახტსაც და ტახტობის მსურველსაც. მეჯინიბის შვილიშვილი კი სხვა რაღაცა იყო, ყოვლად წარმოუდგენელი და ამიტომაც გაუთვალისწინებელი შემთხვევა, სხვა ქვეყნიდან შემოხეტებული თუ შემოფრენილი ვირჩიტა. „ეგრე არ გამოვა, ძმაო“ — უკვე შესდგომოდა ოყაჯადო ფიქრს. მართლაც რა გამოდიოდა, ხალხს რომ ფრენა ესწავლა. მერე ან ტახტს რაღა ფასი ექნებოდა, ანდა ტახტზე მჯდომარეს. აეშვირა თავი ცისთვის და იქამდე ეპრუწუნა,

სანამ არ მოწყინდებოდა, ვიღა გაუგონებდა, და ვიღა ჩაუფრინდებოდა კალთაში. არა, ოყაჯადოს იქამდე უნდა ეღონა რამე, სანამ ხალხი ფრენას ისწავლიდა. „ხომ არ უნდა გადაშიყოლონ ამ ოხერმა მეჯინიბეებმაო“ — გაცეცხლდა უცებ ოყაჯადო. რა ჰქონდა ოყაჯადოს ცინგლიანი მეჯინიბის ნათესლარის დასაწუნი, ვითომ რატომ არ უნდა მოსწონებოდა აქაურობა, რა ენაცა უკეთესი? არაფერი. პაყაჯივით წუმპეში გაჩენილიყო და წუმპეში დატყლაპუნობდა ახლაც. კარგად არც ჰქოდა ფიქრი დამთავრებული, თვითონაც რომ ეცა აშმორებული წუმპის სუნი. ისე გაუკვირდა, თითქოს ეს სუნი ფიქრს ამოჰყოლოდა. ოყაჯადომ ტუჩები აიმრიზა და დარბაზი მოათვალიერა. კედლები ატკეცილიყო. გამხმარი, დაფშვნილი და მტვრადქცეული საღებავი ბღუჯა-ბღუჯა ეყარა იატაკზე, ფილაქანი ამოცვენილიყო, ღრმულებში აქა-იქ წყალიც ჩამდგარიყო, და ოყაჯადომ უნებურად მაღლა აიხედა. დაბზარულ ჭერზე თავდაყირა ეკიდნენ ღამურები. იატაკამდე ჩამოზრდილი აბლაბუდა ქაჯის ნაწნავივით ირხეოდა. გულითაც რომ მოენდომებინა ვერცერთი მისანი ვეღარ ამოიცნობდა, რა ეხატა ადრე ამ კედლებზე, ობმოკიდებული ლაქები ქვესკნელიდან ამოშვებული ურჩხულებივით რომ შესეოდნენ, გადაეძოვათ, გადაეჭამათ, გასისინებულიყვნენ და ახლა საღათას ძილით ეძინათ ადამიანთა და ცხოველთა ნარჩენებში. ოყაჯადოს გაეცინა, რადგან ერთ კედელზე ტახის უკანა ტანს ადამიანის ცალი ფეხი მისდევდა მხოლოდ.

— რა გაცინებს, ვიღუპებით! — დაიჩხავლა ცუცამ, აქამდე ჩუმად რომ გასუსულიყო შვილის მკლავზე და ფიქრს აცლიდა.

„რას დამსგავსებია აქაურობაო? — გაიფიქრა ოყოჯადომ და ფანჯრის დირეზე სიავკაცის დროშასავით აფრიალებულ ძაძის ნაკუწს წაეტანა, მაგრამ ვერ შესწვდა. ეს პატარა ნაკუწიღა შერჩენოდა ლურსმანს იმ ერთწლიანი გლოვის სამახსოვროდ, ოყაჯადომ ცოლის პატივსაცემად რომ ვამოაცხადა. იმის მერე ასე ფრიალებდა, ალბათ, ნიავის ყოველ წამოქროლებაზე, მაგრამ ოყაჯადომ ისიც ახლა შეამჩნია პირველად. ძაძის ნაკუწმა კამა გაახსენა, კამამ კი— სარკე. საუკუნე გასულიყო, რაც სარკეში არ ჩაეხედა. სასახლის დათვალიერებამ გუნება დაუმძიმა და დააფრთხო კიდევაც, იქნებ მეც აღარა ვარ და ჩემს მაგივრად სხვა დააბოტებს ამ ტალანებშიო. ტანმა სარკისაკენ წაიყვანა, ტანს ახსოვდა სარკის ადგილ-სამყოფელი, თორემ ოყაჯადო, ალბათ, ვერასოდეს მიაკვლევდა, ვერასოდეს მიხვდებოდა, რომ ეს ნაცრისფერი თუ ნაცარწაყრილი საგანი სარკე იქნებოდა. სარკეს გოჯის სისქე მტვერი დასდებოდა, უმეთვალყუროდ გაპარულ დროს მტვერზე დაკლაკნილი ნაოჭის მსგავსი ღარები გაეჩინა, ეითქოს უხსენებელთა ჯოგი გადახოხებულაო ზედ. ოყაჯადომ იდაყვით გადაწმინდა სარკის ზედაპირი და ისე ჩააშტერდა, თითქოს ჭაში იყურებოდა. სარკის უსასრულო წიაღიდან თანდათან ამოცოცდა და გამოიკვეთა თმაგაჩეჩილი, შიშისა თუ უჰაერობისგან თვალებდაყვლეფილი, ჩაწვირული და ჩაბინძურებული, მომჩვარული და მორღვეული სახე, რაღაც უცნაური არსებისა, რომელიც ერთდროულად საშიშიც იყო და საცოდავიც, სასაცილოც და ამაზრზენიც, მრისხანეცა და ბეჩავიც, მობოშებული პირიდან ტიტველი ღრძილები მოუჩანდა, ცხვირზე ცინგლი შეხმობოდა, თვალებს კი მრისხანედ აბრიალებდა, თითქოს ბრაზობდა, მისი შეწუხება რომ გაებედათ, სარკის ფსკერიდან რომ გამოეხმო ვიღაცას. „ეს რაღა უბედურებაა“ — გაიფიქრა ოყაჯადომ და გაშლილი ხელისგული უნებურად სარკეს დააფარა, თითქოს შეეძლო უკანვე ჩაებრუნებინა ეს უცნაური ურჩხული. „აი, ვინ შეჭამა კამაო“ — უნდოდა ეყვირა ოყაჯადოს,

მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი, იმ ურჩხულსაც აქირქილებული ცუცა ეჯდა მკლავზე. მწარედ გაეღიმა, მწარედ და ღვარძლიანად. ნაცნობმა ქირქილმა გონება გაუნათა, ერთხელ კიდევ მიახვედრა მისახვედრელი და სწორედ ის დაანახვა, რაც ახლა ყველაზე ძალიან სჭირდებოდა, რაც ხელს ერთიორად დაუმძიმებდა და დაუგრძელებდა კიდეც. „აი, თურმე როგორს მხედავენო“ — გაბრაზდა, ძალიან გაბრაზდა ოყაჯადო, თითქოს საკუთარ გამოსახულებას კი არ უყურებდა სარკეში, არამედ ფეხსადგილის კედელზე მიჯღაბნილ უხამსობას, რომლის ქვეშაც მისი სახელი მიეწერა ვიღაცას. ახლა აღარც ის იყო ძნელი მისახვედრი, რატომ ცდილობდა ტილიანი მეჯინიბის შვილიშვილი აქედან გადახვეწას, რატომ იტყავებდა ცხვირპირს სასახლიდან გამოხვეტილ ნაგავში, ქათმის ბუმბულითა და ძველი ძონძებით შეკოწიწებული ფრთებით.

— ბებიაჩემისაგან გამიგონია. ქათამი რომ ღობეს შეაფრინდება, დაკარგულად ჩათვალეო. — თქვა ცუცამ.

— არ უნდა შეფრინდეს ღობეზე ქათამი. — თქვა ოყაჯადომ და თვითონვე ესიამოვნა, ასე იოლად რომ გამოიტანა დასკვნა დედის ნათქვამიდან.

— მართალი ხარ, მართალი ხარ, შენ დაურჩი დედაშენსაო. — ტაში შემოჰკრა ცუცამ და სიხარულისგან ისე შეიფრთხიალა, ოყაჯადოს ელდა ეცა, ამანაც თუ ფრენა დამიწყო, კარგად ყოფილა ჩემი საქმეო.

ოყაჯადოს თვალიც აჰხელოდა და სმენაც გახსნოდა, ფრთების ტყლაშუნი ძველ სასახლეს ისე აზანზარებდა, თითქოს მისი ატაცებაც გადაუწყვეტიაო. ოყაჯადოს, რა თქმა უნდა, ერთ წუთში შეეძლო გაესრისა, ეს თავხედი ბავშვი, მაგრამ ტახტთან ერთად მიღებული გამოცდილებით იცოდა, მსხვერპლი რომ მსხვერპლს მოითხოვდა, ხოლო სისხლი ათს თუ აშინებდა, ერთს ჩხუბის ხასიათზე აყენებდა და ახლა ის ხდებოდა სადევნელი და ასალაგმი. არა, ამ საქმეს უსისხლოდაც მოევლებოდა. განა ქათამი ღობეს რომ შეაფრინდება, აუცილებლად უნდა დაკლა? იქნებ ის ქათამი კვერცხის მდებელია? კი არ უნდა დაკლა, ფრთები უნდა შეაჭრა, ფრთები უნდა დაუმოკლო და მერე თავის ნებაზე გაუშვა, რამდენიც უნდა იკაკანოს, კვერცხი რომ შეაწუხებს, მაინც ღობეს აქეთ ჩაცუცქდება.

მოსალოდნელმა საფრთხემ უცებ გამოაფხიზლა და დააბრძენა ოყაჯადო. აქამდე სხვა იყო, აქამდე არც გამოსაფხიზლებლად ჰქონდა საქმე და არც დასაბრძენებლად, ის კი არა, მოსწონდა კიდეც, ერთსა და იმავეს სამჯერ რომ უმეორებდა დედამისი. აბა, რა ეგონა, აბა, როგორ უნდოდა, განა ასე ადვილია მეფურ გონებაში შეღწევა? დედა იმიტომაა დედა, შვილის მაგივრადაც რომ იფიქროს. არა, დედაზე არაფერი ჰქონდა სასაყვედურო, ცუცა ყოჩაღი ქალი იყო და საფრთხესაც დროულად უღებდა ალღოს. დღესაც ხომ ცუცამ მიიყვანა ფანჯარასთან, კიდევ კარგი რომ მიიყვანა, თვითონ აზრადაც არ მოუვიდოდა ფანჯარაში გახედვა, ისე ეზარებოდა და ისე მობეზრებოდა ყველაფერი, მაგრამ ვერ მოგართვით, ეს სულ სხვა სიზარმაცე და მობეზრება იყო, მისი ერთადერთი და მარადიული მეუღლის დასანახად გამიზნული, მას რომ ეთქვა, თუნდაც გუნებაში, დაიღალა, დაიღალა ჩემი კაციო. ქათმებს კი მართალი ეგონათ, ღობეებს აფრინდებოდნენ, ეგაა გვეშველაო, და გაწილული ბუმბულით უბინძურებდნენ ქვეყანას. სასახლეც საქათმისათვის დაემსგავსებინათ, აქაც შემოეღწია ქათმის წილსა და ბუმბულს. მაგრამ ოყაჯადო რისი ოყაჯადო იქნებოდა, ქათმებსაც თუ ვერ მოუვლიდა; ან რა დიდი ამბავი უნდოდა ქათმების მოვლას, საკმარისი იყო, დაეჭირა, თავშექცევით ამოედო იღლიაში და საკუთარი ხელით გამოეპუტა მექათმის უყურადღებობით დაგრძელებული ფრთა, ქათმობას რომ ავიწყებდა, ფრენის იშტაზე რომ მოჰყავდა და მიმინობას იჩემებდა. „რა

კარგად გამახსენა დედაჩემმა ქათამიო“ — გაიფიქრა ოყაჯადომ და მტკიცედ გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმეს. უპირველეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, მეჯინიბის შვილიშვილი დაისჯებოდა.

მეჯინიბის შვილიშვილი პირველობის უფლებას ნამდვილად იმსახურებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეფის თვალწინ სწავლობდა ფრენას, მეორეც ერთი, ახლოს იყო გალავანში და დიდი დევნა არ ჭირდებოდა. გარდა ამისა სხვებამდეც ის მიიყვანდა, ის გაუკვლევდა გზას. ოყაჯადოს ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე ბრძანა, სასახლის მთავარ ეზოში ოთხი პალო ჩაესოთ, ზედ მეჯინიბის შვილიშვილი თავის ფრთებიანად გაეჭიმათ და იქამდე ეცემათ წყალში დარბილებული შოლტებით, სანამ არ გაახსენდებოდა, მეჯინიბის ნათესლარი რომ იყო, ფუნაში გამოჩეკილი წიწილა და არა ჩიტი.

შოლტების წივილი და ბავშვის ღრიალი მდუღარე კუპრივით გადაესხა ქალაქს. ქალაქი უცებ გაისუსა, სმენად იქცა, იქნებ მომეყურაო, მაგრამ სასახლის გალავანს იქით მოქნეულ შოლტებს გალავანს აქეთ გადმოჰქონდა აღრიალებული ბავშვის დაფლეთილი ხორცი და სისხლი. სისხლისა და ხორცის ნაკუწები ყველას მიეშხეფა სახეზე, ხოლო როცა გალავანმა დაკუწული ფრთებიც ამოაფრქვია, როგორც ჩახურებული თონე ნავლსა და ფერფლს ამოაფრქვევს ხოლმე, ყველანი მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. სასახლე აფრთხილებდათ, ჯერ შორიდან ემუქრებოდათ, მაგრამ თუ დროზე არ მოეგებოდნენ გონს, არც შოლტებს გაუჭირდებოდათ გალავანზე გადმოსვლა. ყველამ თავის შვილს დაუწყო ძებნა, ყველამ რატომღაც თავისი შვილი წარმოიდგინა შოლტების ქვეშ გაწოლილი. იმ ღამეს ბავშვების მეტს არავის სძინებია ვანში. „გული ცუდს მეუბნება, დედაკაცო“ — ოხრავდნენ კაცები და აღარც დედაკაცებს ჰქონდათ მათი დასამშვიდებელი სიტყვა. მარტო ბავშვებს არ ჩაუგდიათ აინუშში სასახლის მუქარა. დილით ქალაქი ფრთოსანი ბავშვებით გაივსო. რიღასგან აღარ აკლიოდნენ ფრთებს, სკივრებიდან სულმებერილ ალივით ქრებოდა კაბები და ხილაბანდები, ცარიელდებოდნენ ბოღჩები, რომლებშიაც თვეობით გროვდებოდა საბალიშედ გადარჩეული ბუმბული. ისევ აწრიალდა ძაძის ნაკუწი სასახლის ფანჯრის დირეზე. ბავშვები ფრთების შხუილითა და ყიჟინით დარბოდნენ ქუჩებში, თითქოს ყიჟინა ძალას შემატებდათ და მათ მსუბუქ სხეულებს მართლა ააფრიალებდა ჰაერში. ვინ უსმენდა უფროსების ძახილს, ხვეწნასა და გაფრთხილებას; გალახული თანატოლის ღრიალს თითქოს უარესად აღეგზნო და გაეთამამებინა ისინი. აღარც თამაში გავდა თამაშს, თამაშზე მეტი იყო, გამომწვევი, გამაღიზიანებელი და ამიტომაც აღარც უფროსებს გაჰკვირვებიათ, მოულოდნელად, ყველა კუთხე-კუნჭულიდან ოყაჯადოს ჯარისკაცები რომ გამოცვივდნენ და აწივლებული შოლტებით დაერივნენ ბავშვებს. შოლტის წივილი ბავშვის წივილმა დააგრძელა და ეს სისხლის გამყინავი ხმა მთელ ქალაქს შემოეხვია კისერზე. მაშინ კი გადაეფარნენ უფროსები თავიანთ შვილებს, „გვაცალეთ, ჩვენ თვითონ დავსჯითო,“ ივედრებოდნენ შვილებს. ცოდვით ნაღველჩაქცეულნი, რადგან ბოლომდე არც თვითონ იყვნენ დარწმუნებულნი ბავშვების უდანაშაულობაში. მაგრამ ოყაჯადოს ჯარისკაცების გაჩერება აღარაფერს შეეძლო. ტკივილისგან წელმოწყვეტილი ბავშვები ერთმანეთზე მიხოხავდნენ, კედლის ბზარებში მიძვრებოდნენ, ქვების ქვეშ იმალებოდნენ, მაგრამ იქაც სწვდებოდათ შოლტის აწივლებული, ასისინებული ენა და კიდევ ერთ სისხლიანსა და ფართო ზოლს უტოვებდათ სამოსშემოფლეთილ სხეულზე. ჰაერი ჩაიხუთა, ოფლითა და სისხლით გაიზინთა, ბუმბული ძლივსღა ეშვებოდა მიწაზე.

ღამემ ასე თუ ისე, მაინც დაუბრუნა

ქალაქს ჩვეულებრივი იერი. ცოტა უფრო გვიან მაგრამ მაინც აპარპალდნენ სინათლის მკრთალი ალები, გაუბედავად, მორიდებულად, თითქოს მათი გაშოლტვაც შეეძლო ვინმეს. რომელიღაც სახლის სახურავზე კატა დედამკვდარი ბავშვივით ტიროდა; შუა ქუჩაში ძაღლი ჩაცუცქულიყო და მთვარეს უყეფდა. ვიღაცამ ქვა ესროლა და შეუკურთხა. კუდამოძუებული, აწკავწკავებული ძაღლი ყორეზე გადმომდგარი ლეღვების ჩრდილში შეიმალა. მერე ცაც გამოჩნდა, რადგან უცებ ვარსკვლავებით გაივსო, ხოლო ბიწეზე, ღამის სიგრილისაგან ბუსუსაშლილი, მუქი ლურჯი ფერი გადაეკრა ყველაფერს. წყვდიადმა სულიერივით ამოიფშვინა. სახლებიდან კი ჩამიჩუმიც არ ისმოდა, თითქოს სახადი მოსდებიათო.

ქალაქზე ისევ ჩამოიარეს ტყუპმა ძმებმა. ორივენი კარგ გუნებაზე იყვნენ და ხმამაღლა მოლაპარაკობდნენ. „როგორც ვატყობ, კარგა ხანს ჩავრჩებით ამ ქალაქშიო“ — თქვა ელდამ. „სულ ერთი არ არის, სადაც ვიქნებითო“ — უპასუხა შიშმა. ორივემ გაიცინა, კი არ გაიცინა, გადაიგრეხუნა და ქალაქიც, შეჩიჩხინებულ ლოკოკინასავით, უარესად შეიყუჟა ნიჟარაში.

ქალაქი საგონებელში ჩავარდა, ვერ ხვდებოდა, რა დაეშავებინა, მაგრამ ვერც უსიამო შეგრძნება მოეშორებინა, თვითონაც რომ არ იცოდა, რა დაერქმია, საიდან გამომტყვრალიყო, რატომ არ ანებებდა თავს, რატომ ავალდებულებდა რაღაცის გახსენებას, გაჭირვებული მთვრალივით. ხალხს რაღაცა დავიწყებოდა, ურომლისოდაც არ ჰქონდა შინიდან გამოსვლის უფლება. ამას უკვე გრძნობდა, ხვდებოდა, მაგრამ მისი გაჯიუტებული მახსოვრობა ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, კარს არ უღებდა, ბრაზიანი ცოლივით, ღვინის სმას გადაყოლილი ქმრის დასჯა რომ გადაუწყვეტია. ის კი საკუთარი სახლის წინ იდგა და ვერ მიმხვდარიყო, რა დაეშავებინა, რატომ არ უღებდნენ კარს, თუ ეს მართლა მისი სახლი იყო. უკან გამობრუნების თავი აღარ ჰქონდა, ფეხზე ძლივს იდგა, ისე ტრიალებდა ქვეყანა. საკმარისი იყო, სახლის კედელს მოშორებოდა, ვეღარ მოაგნებდა. გული კი უგრძნობდა, მთვრალი კაცის უტყუარი ალღო კარნახობდა, სწორედ რომ მოსულიყო, მაგრამ სახლში გამეფებული სამარისებური დუმილი და ეს ოხერი სიბნელე მაინც უფუტფუტებდა ეჭვის ჭიას. კარი ოდნავ მაინც რომ გამოეღოთ მისთვის, სულ ოდნავ, იმდენად რომ ოჯახის სუნს მაინც შესძლებოდა გამოძრომა, ყველაფერი გაირკვეოდა, ნაცნობი სუნი ცნობიერებას დაუბრუნებდა, ერთგული ძაღლივით შემოურბენდა გარშემო, ხელებსა და სახეს აულოკავდა და მაშინ სხვებიც იცნობდნენ, რადგან მასაც მათი სუნი ექნებოდა.

ხალხი თვალს გულში იბრუნებდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სასაფლაოზე მოსულიყო, მიცვალებული კი შინ დარჩენოდა, ახლა კი ცარიელ საფლავს ჩასცქეროდა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ მოსულიყო აქ, რა უნდოდა ამ ცარიელ საფლავთან. თვალს კი იბრუნებდა გულში, მაგრამ იქაც არ იყო არაფერი. თავს ძალას ატანდა, უთავბოლოდ იხსენებდა ყველაფერს, რისი გახსენებაც შეეძლო, იქნებ, შემთხვევით, ის მთავარიც გახსენებოდა, უკან რომ ექაჩებოდა, წარსულისაკენ, როგორც ერთგული ძაღლი უფსკრულის პირამდე მისულ ბრმას. არც ისე ადვილი იყო წარსულში შებრუნება; მით უფრო, რომ აქამდე უკან მოუხედავად მოსულიყო, ან რას იფიქრებდა, უკან მოსაბრუნებლად თუ გაუხდებოდა საქმე, რამე ნიშანი რომ აეღო, რამე რომ დაემახსოვრებინა. თავის დროზე მას. გასავლელი გზა აინტერესებდა და არა გამოვლილი. გამოვლილი მისი აღარ იყო, ის მკვდრებს ეკუთვნოდა, მკვდრების ქვეყანას ემატებოდა. გასავლელი კი მარტო მისი იყო და სანამ თვითონაც იქნებოდა, ხელი არავის მიუწვდებოდა: მერე კი... მერე ქვა ქვაზეც ნუ იქნებოდა თუნდაც. მაგრამ

მთლად ასე არ ყოფილა, უკანმოუხედავად წინ ვეღარ წავიდოდა, ერთ ადგილას უნდა ეტკეპნა მიწა, ეფხანა ქეჩო და ეწყევლა თავბედი, დროზე რომ არ დაეჭირა საამისო თადარიგი. რაღა მაინცდამაინც ჩვენს ქალაქში უნდა მოხდეს ყველაფერი უბედურებაო, წუწუნებდა და ადგილზე ბორძიკობდა, როგორც ცხენი ბოგირთან, რომლის ქვეშაც საფრთხე ეგულება და არად აგდებს პატრონის მათრახსა და გინებას. ის ახლა, ერთდროულად, ცხენიც იყო და მხედარიც, სიბრაზისგან გონებადახშული მხედარი და სიფრთხილისგან დაბრძენებული ცხენი, რომელი აჯობებდა, რომელი გაიტანდა თავისას? მხედარს უკან დაბრუნებისა რცხვენოდა, როგორ ეთქვა, ბოგირზე გასვლისა შემეშინდაო; ცხენი კი უმალ ადგილზე მოკვდებოდა, ვიდრე თავსაც და პატრონსაც ხიფათში ჩააგდებდა. „ჭიტაო“ — ეძახდა ბოგირის ქვეშ შემალული ხიფათი ცხენს და ისიც ხვიხვინებდა, კისერს იბრუნებდა, ყვითელ კბილებს აკრეჭდა, რადგან სხვა ენა არ იცოდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, პატრონიც რომ დაეეჭვებინა, დაეფიქრებინა და დაეფრთხო კიდეც, ახლა თავმოყვარეობაზე იყო ყველაფერი, ცხენის ჭკუაზე ევლო თუ თავისაზე, მაგრამ რაკი ერთხელ უკვე დაეეჭვებინა ცხენს, ისიც უკვე სხვანაირად ფიქრობდა, ბოგირის გადავლა ისე აღარ ადარდებდა როგორც უკან დაბრუნება, თვითონაც უკან დაბრუნება უნდოდა და თუ კვლავ ერთ ადგილას ატრიალებდა ცხენს, მხოლოდ იმიტომ, უკან გამობრუნება გამოქცევას რომ არ დამსგავსებოდა. მერე კი თვითონ იცოდა, რა დღესაც დააყრიდა ცხენს, როგორ აიგდებდა სამასხროდ მის სიჯიუტესა და სილაჩრეს; ყველაფერს ცხენს დააბრალებდა და ცხენიც დაიბრალებდა, ან ვინ დაუწყებდა გამოკითხვას. გაიცინებდნენ და ეტყოდნენ: არა, ძმაო, თუ ასეა, მაგ ცხენზე აღარ შეიჯდომებაო. მეც მაგას არ ვამბობო, — უპასუხებდათ ისიც და ამით გათავდებოდა ყველაფერი.

ქალაქი მაინც შემობრუნდა წარსულისკენ, ისევ გაიხსენეს მზის გულზე მიყრილი მოხუცები, თვითონაც რომ დავიწყებოდათ და სიკვდილსაც. ტანმა უგრძნოთ, შესაძლებელი რომ იყო ამ ბებრებს ხსომებოდათ ის, რაც მათ დავიწყნოდათ, ან რაც თავის დროზე არ გამოეკითხათ მათთვის. დაობებულსა და ჩამოძენძილ ბებრებს შუაში ისვამდნენ, აცახცახებულ ხელებში ჯამს უდგამდნენ, შიგ წყალღვინოს უსხამდნენ და ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, წლებით ამოქოლილ ყურებში ჩასძახოდნენ: რა ამბავია ჩვენს თავს, ასეთი რამე თუ გაგიგონიათ როდისმეო. მოულოდნელი ყურადღებით დამფრთხალი და შეწუხებული ბებრები უაზროდ ატრიალებდნენ წირპლიანსა და წამწამგაცვენილ თვალებს, ვერ მიმხვდარიყვნენ, რა უნდოდათ მათგან ამ უცხო ხალხს, რატომ ასმევდნენ ღვინოს, ნახევარზე მეტი ჩავარდნილ მკერდზე და უგრძნობელ მუხლებზე რომ ეღვრებოდათ. „გაიხარეთ, გაიხარეთ შვილებო, მადლსა შვრებითო“ — ჩიფჩიფებდნენ ისინი და ბებრული, უმწეო ღიმილით ყველაფერზე თავს აკანტურებდნენ, რადგან ბებრული გუმანი კარნახობდათ, ასე რომ უნდა მოქცეულიყვნენ, ყველაფერზე თავი უნდა ექნიათ, რადგან დათანხმებისა მეტი მაინც არაფერი შეეძლოთ, თავის განუწყვეტელი კანტურითღა უკავშირდებოდნენ ისინი ცხოვრებას, ერთ გაბმულ, მყუდრო ბურანად რომ ქცეულიყო მათთვის, მაგრამ მაინც ძნელი დასათმობი იყო, რადგან ხსენისა და ფსიტის სუნი ასდიოდა და უკანასკნელ დღეს პირველი დღის ელფერში ხვევდა. ამიტომაც დავიწყებოდათ ყველაფერი, ბებრული ეშმაკობისა თუ ბუნების გულკეთილობის წყალობით განთავისუფლებულიყვნენ განვლილი ცხოვრების ხსოვნისაგან, რათა ისევე უშიშრად და გულუბრყვილოდ გადასულიყვნენ სიკვდილში, როგორც სი-

ცოცხლეში მოსულიყვნენ. ხალხიც მალე დარწმუნდა, თავის კანტურისა და დაბნეული ღიმილის მეტს ვერაფერს რომ გამორჩებოდნენ ამ გადაყრუებულ მოხუცებს, ძვლებით სავსე, ტომრებივით რომ მიყრილიყვნენ მზის გულზე და ჩრდილების მეტს ვეღარაფერს ხედავდნენ. და მაშინ, თითქმის ყველას ერთდროულად გაახსენდა ბოჩია, ყველაზე ზონზროხა და უწყინარი კაცი. თითქოს მხოლოდ ახლა შეამჩნია ყველამ, ბოჩია ზუსტად ისეთივე რომ იყო, როგორიც პირველად იხილეს. იმ პირველი ხილვის მერე კი დიდი დრო გასულიყო, თვითონ გაზრდილიყვნენ, დასწეოდნენ და გაესწროთ კიდევაც ბოჩიასთვის, ბოჩიას კი არაფერი შესტყობოდა, თითქოს დრო გვერდს უქცევდა, ვერ ამჩნევდა და ამიტომაც ვერ დაეძველებინა. ეს ნაკლები საოცრება როდი იყო და თუ ამ საოცრებას აქამდე ვერავინ ამჩნევდა, მხოლოდ იმიტომ, ყველანი გაჩენის დღიდანვე რომ შესჩვეოდნენ ასეთ ბოჩიას, უცვლელს, მარადიულს, უწყინარსა და კეთილს. ბოჩია მათი ქალაქის განუყოფელი, აუცილებელი ნაწილი იყო და მისი ფეხმოუცვლელი და ფერუცვლელი არსებობა სხვებისთვისაც უფრო საიმედოსა და ხანგრძლივს ხდიდა სიცოცხლეს. ბოჩია იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე ქუჩებში, მაგრამ არავინ მოიკითხავდა, არავინ შეშფოთდებოდა, სად გაქრა ის კაცი, თითქოს არ შეიძლებოდა, ბოჩიას, რამე მოსვლოდა, რადგან მათ გაჩენამდეც, როგორც მონაყოლით იცოდნენ, და მათი გაჩენის შემდეგაც ბოჩია სულ იყო, სულ ასეთი იყო, ერთი ხნისა, ერთი სისქისა და სიმაღლისა, როგორც რომელიღაც ღმერთის ქანდაკება, ქანდაკება კი არა, თავად ღმერთი, რაღაც დანაშაულისა თუ აჩემების გამო ადამიანებთან რომ ცხოვრობდა და ცდილობდა მათ დამსგავსებოდა, ღმერთობა არ შეემჩნიათ, არ დამფრთხალიყვნენ და არ დაეტოვებინათ მარტო. ბოჩია ამდენს ახერხებდა, მაგრამ დაეჭვების საშუალებას მაინც აძლევდა ხალხს. ხალხი უფრო ფხიზელი და ყურადღებიანი რომ ყოფილიყო. მის გარშემო აგერ უკვე მთელი თაობები დახოცილიყო, მიწაში უკვე ფენა-ფენა იწვნენ მკვდრები, ის კი ისევ თავაუღებლად მუშაობდა თავის სახელოსნოში, ბურბუშელის ოქროსფერ ზვირთებში ჩამჯდარი, ანდა ხეების ქვეშ იდგა და მასაც ასხდებოდნენ კოდალები. საკმარისი იყო, ხეების ქვეშ დამდგარიყო, მაშინვე გულზე გადაეყრებოდა, რაც არ უნდა საწყენი შეხვედროდა, სისხლიც ახალგაზრდულად აუჩქროლდებოდა და კაფანდარა ფოთოლას მოანატრებდა ხოლმე. შეიძლება, ამ ხეებში ბუდობდა მისი მთავარი სული და ამიტომაც ვერაფერს აკლებდა დრო, მაგრამ უფრო უცნაური ის იყო, ფოთოლასაც რომ გადასდებოდა მეუღლის მარადიული სიჭაბუკე, მარადიული სიჯანსაღე და ცხოვრების ხალისი. მათ ოჯახში ახლაც გაუჩერებლად ჭრიალებდა აკვანი, ხოლო აკვანში ჩაკრული ნაბოლარას და-ძმების უმრავლესობას მიწაში ეძინათ სამუდამო ძილით, ხანგრძლივი და ჭარმაგი სიცოცხლით გამძღრებსა და დაღლილებს ვანელები კარგად რომ ჩასძიებოდნენ, ღრმად რომ ჩაჰყოლოდნენ თავიანთ ფესვებს, ალბათ, ყველანი ერთმანეთის ნათესავებიც აღმოჩნდებოდნენ, ისეთი მრავალრიცხოვანი და უსასრულო იყო ბოჩიასა და ფოთოლას შთამომავლობა.

ბოჩიამ მისი სახლის წინ შეკრეფილ ვანელებს მფრინავი ვერძის ამბავი მოუყვათ, მოუყვათ, როგორ მოაფრინა იმ ვერძმა პატარა ბიჭი, რომელსაც ქვეყანა დანით დასდევნებოდა და ვანზე უკეთეს თავშესაფარს ვერსად იპოვიდა. მოუყვა, როგორ შეაწუხა ვანელები ამ უცხო ბიჭის ბედმა, როგორ გამოიდეს თავი, როგორ დაუდგნენ ქომაგად, მათ ჭერქვეშ შემოფრენილ ბავშვს, უცხოობა რომ არ ეგრძნო და შიშიც დავიწყებოდა, რადგან ძველი ვანელების აზრით, შეშინებული ბავშვისგან

ვერც კარგი მეომარი გაიზრდებოდა და ვერც კარგი მეოჯახე.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამე მიეცა დავიწყებას, მაგრამ ბოჩიას აქამდე გამოჰყოლოდა მოსალოდნელი ბედნიერების ის. მძაფრი შეგრძნება ამ პატარა უცხო ბიჭის ხილვამ რომ გაუჩინა. მართალია ცხოვრებამ საპირისპირო დაუმტკიცა, ყველაფერი წაღმა შეუტრიალა, მაგრამ ბოჩიამ მაინც ვერ მოიშორა იგი, მაინც აქამდე შემორჩა, როგორც ღიმილი გაწბილებული კაცის სახეს.

ბოჩია მოგონებებმა გაიტაცა, ბოჩიას ხნის კაცს კი ტყუილიც დაეჯერებოდა. გაოცებული ხალხი პირდაღებული უსმენდა, განძრევისაც ეშინოდა, ეშინოდა, არ გამქრალიყო ის საოცარი ხილვები, ბოჩიას მონაყოლს რომ ამოჰყოლოდა, ფრთამოხატული პეპლებივით რომ დაჰფარფატებდნენ ჰაერში, ვარდის სურნელს რომ აფრქვევდნენ და ოქროს მტვერში ხვევდნენ ქვეყანას. ბოჩია ყვებოდა და თვითონვე უკვირდა, რა ზღაპრულად უცნაური და მომხიბვლელი ხდებოდა ყველაფერი, რაც აქამდე მარტო მან იცოდა, რაც სხვა უამრავ მოგონებებთან ერთად სამუდამოდ ჩალექილიყო მისი გულის ფსკერზე და, შეიძლება ამიტომაც, დაჰკარგვოდა ფერიცა და მნიშვნელობაც, როგორც პებიის საქორწილო კაბას. ახლა კი, გამომზეურებული, სკივრიდან ამოღებული, ნიავდაკრული, ამდენი ცნობისმოყვარე შვილიშვილის თვალწინ, არა მარტო თვითონ იბრუნებდა პირველყოფილ სინაზესა და სიმსუბუქეს, არამედ თავისი მფლობელის დამათრობელ სიქალწულესაც აცოცხლებდა, მის საქორწილო თრთოლვასა და სამზადისს. ხალხს სიამაყით გული ებერებოდა, დაგვიანებული ცრემლი ყელში აწვებოდა, ასევე დაგვიანებული სინანული სულს უწუხებდა, რადგან ასეთი ლამაზი და ასეთი ჰაეროვანი ბებია იოლად და უდარდელად დაეკარგა, ისე დაეკარგინა, ახლა მის საფლავსაც ვერ მიაგნებდა, ბალახი მაინც რომ მოეგლიჯა და თუნდაც ერთი წუთით ჩამოჯდომოდა ფერხთით.

რა იცოდა ბოჩიამ, რა ბოროტებას სჩადიოდა ამით, თორემ უმალ თავს მოიკლავდა, თუკი შესაძლებელი იყო მისი სიკვდილი, ვიდრე ამგვარ სისულელეს წამოროშავდა, ხალხს ოცნებას გაუჩენდა და ცისკენ გაუქცევდა თვალს.

იმ დღესაც დიდხანს იდგა ბოჩია ხეების ქვეშ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამოიკეთა გუნება. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი არ უნდა ჰქონოდათ საფრთხილო ფოთოლასა და ბოჩიას. მათი აღურიცხველი შთამომავლობა ყოველმხრივ ჩვეულებრივი იყო, არც ფრთა ეზრდებოდა და არც ცის საჭვრეტლად ეცალა. ბოჩიას სხვა რაღაცა აწუხებდა ახლა, გრძნობდა, მართლაც **ძალიან დიდხანს გაჩერებულიყო** ამ ქვეყანაზე, ერთი კაცის კვალობაზე, ბევრ რამეს მოსწრებოდა, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად გადაეშალა, სადღაც არარაობის ჯურღმულებში შეერეკა აწივლებულ შოლტსა და გალახული ბავშვის ღნავილს. ბოჩია ხეების ქვეშ იდგა და თვალწინ ის ყურიანი კალათა ედგა, საიდანაც, ვინ იცის რამდენი წლის წინათ, მამობილმა ამოიყვანა, ლრუბლის ქულასავით ფუნჩულა და შიშველი. ბოჩიაც იმ კალათასავით დაცარიელებულიყო და თანდათან უარესად ცარიელდებოდა, რადგან სამუდამოდ ეკარგებოდა ჩვილის სუნიცა და სითბოც, თავისუფლად რომ გაჰქონდა ნიავს მისი ფარღალალა კედლებიდან.

ვერც ფოთოლამ მოისვენა იმ ღამეს, შამფურივით ტრიალებდა, თითქოს სხვის ლოგინში იწვა მიუჩვეველ ადგილას. ასედაც იყო, ფოთოლას უბოჩიოდ სიცოცხლე არ შეეძლო, არც იცოდა, როგორ უნდა ეცოცხლა, რადგან რაც თავი ახსოვდა, ყოველთვის ბოჩიას გვერდით იყო, ბოჩიას გვერდით იძინებდა და ბოჩიას გვერდით ეღვიძებოდა. ბოჩია იყო მისი დღეცა და ღამეც, მაშინ თენდებოდა და მაშინ ღამდებოდა მისთვის, როცა ბოჩია მოისურვებდა, როცა ბოჩია იტყოდა „გათენდაო“,

ანდა „დაღამდაო“. თვითონ, ბოჩიას მეტი, არაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა. ასე იყო სულ, დიდხანს კი არა, სულ, და ეს იყო ერთადერთი სიტყვა, რომელიც ფოთოლასთვის დროს აღნიშნავდა. ახლა კი ფოთოლას დროს ბზარი გასჩენოდა, კვერცხივით გამოტეხილიყო და ეს ერთი შავი წიწილა გამოეგდო გარეთ, ერთადერთი ღამე ფოთოლას ცხოვრებაში, რომელსაც ამჩნევდა, რადგან მარტო იყო, უბოჩიოდ. რაღა ეშველებოდა ამ წიწილას, უკანვე ვინღა შეაბრუნებდა გამოტეხილ კვერცხში, ჯერ კიდევ სველი, ლორწოვანი ბუმბულით რომ ეტმასნებოდა ტანზე, თითქოს ფოთოლა ვალდებული იყო, სხვისი წიწილა გაეზარდა. არა, არ უნდოდა ფოთოლას ეს ღამე, ვერც გააწევდა, თუკი როდისმე დააღგებოდა საშველი და გათავდებოდა. მაგრამ უბოჩიოდ, როგორ უნდა დამთავრებულიყო, ან ფოთოლას როგორ უნდა გაეგო მისი დამთავრება, თუკი ბოჩია გვერდით არ ეყოლებოდა. ფოთოლა იტანჯებოდა, ვერც ქმრის დაძახება გაებედა და იმისიც ეშინოდა, ვაი თუ ბოჩიას მშვიდათ ძინავს და აღარც კი ვახსოვარო. თავს ებრძოდა ,არ იჯერებდა, ალ.ე იოლად თუ დაივიწყებდა ბოჩია ცოლს, რომელიც მისი დაუოკებელი ვნების შიშით განგებ ჰგვიდა უკვე ათასჯერ დაგვილ სახლს, ხელახლა რეცხავდა უკვე დარეცხილ.ა და დაკრიალებულ ჭურჭელს, ქმარს რომ უქმად ჩამომჯდარი არ ენახა. განა შეეძლო ასეთ ბოჩიას ახლა მშვიდათ დაეძინა? დაძინებული რომ ენახა ქმარი, ფოთოლა მოკვდებოდა, გული გაუსკდებოდა; ამიტომაც ვერ ბედავდა ოთახიდან გამოს.ვლას და მისი აფორიაქებული გონება წარამარა შემოახეტებდა ხოლმე ბოჩიას აჩრდილს, მაგრამ ბოჩიას აჩრდილი ზლურბლს აქეთ არ გამოდიოდა, გაბუტული ბავშვივით ატუზულიყო კართან. „ რა იყო, ცუდათ ხომ არა ხარო“ — ეძახდა ფოთოლა საწოლიდან, მაგრამ ბოჩია რომ არ პასუხობდა, თვითონვე მირბოდა მის.კენ და ბოჩიას ნაცვლად ჩაკეტილ კარს აწყდებოდა. „გაიღვიძე, გაიღვიძე, [illegible] — ახლა უკვე ხმამაღლა ყვირიოდა ფოთოლა და კარზე მუშტებს აბრახუნებდა, მაგრამ ბოჩიასგან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ფეხშიშველი, მუშტებდაბეჟილი და ყვირილისგან ყელატკიებული ფოთოლა გათოშილ კარს ეხუტებოდა და მწარედ ტიროდა, დიდხან. ტიროდა, სანამ ოთახში თანდათან არ გაიცრიცა ღამის წყვდიადი და ალიონმა არ გადაალურჯა ყველაფერი. მერე ფოთოლამ ქათმების კრიახი გაიგონა და კარს ურდული გაუგდო, მაგრამ მაშინვე არ გასულა ოთახიდან, საწოლთან მიბრუნდა, ცივ ფილაქანზე დგომით გაშეშებული ფეხები ფლოსტებში წაჰყო და მხრებზე შალი მოიხურა. „რა ბებერივით ვკანკალებო“ — ერთი კი გაიფიქრა და ეზოში გამოვიდა. ბოჩიას ლოგინი ხეების ქვეშ გაეშალა, მაგრამ შიგ კი არ ჩაწოლილიყო, ზემოდან იწვა საბანზე. როცა ფოთოლა ახლოს მივიდა, გაოცებისგან პირი დააღო: ბოჩიას ლოგინზე სიბერისგან დაჩიავებული, დაჭმუჭნული და გადაყვითლებული ცხედარი ესვენა. ფოთოლამ უნებურად მაღლა აიხედა, თითქოს ხეებს ჩამოვარდნოდათ ყუნწზევე მიმჭკნარი ნაყოფი.

ტყუპმა ძმებმა ხალხი სახლებში გამოკეტეს. ვანი უკაცურ ქალაქს დაემსგავსა. გეგონებოდათ, ქალაქი დედაწულიანად გაუქვავებია ჯადოქარს, ანდა აყრილა და გადახვეწილაო. სამარისებურ დუმილს მხოლოდ ბერძნის წყაროს მკლავის სისხო ნაკადის შფოთვა და დგაფუნი არღვევდა. ქალაქი ძმებს დარჩენოდათ და ისინიც უდარდელად, არხეინად დასეირნობდნენ ქუჩებში. ათა.ში ერთხელ, თუ ვინმე მაინც გაბედავდა თავის გამოყოფას შინიდან, ძმები ფეხებს დაუბაკუნებდნენ ხოლმე და ისიც მაშინვე უჩინარდებოდა. ოდესღაც მოვლილი და ლამაზად თავმობმული ბუჩქები უშნოდ გაიფარჩხნენ; ქუჩებში ქვეწარმავლის ჯოგივით გამოცოცდა სურო და ხვიარა; ქვაფე-

ნილებზე ბალახმა ამოხეთქა; ქვითკირის კედლებს გამომშრალი, დაძველებული სისხლისფერი მღიერა გადაეკრა; გვიმრისა და შვიტის მოწყინავე რიგებმა ველარ გაუძლეს უსაშველოდ გამრავლებულ თანამოძმეთა მოწოლას და გზებსა და ბილიკებზე გადმოცვივდნენ; ყორეების ჩრდილში ჭინჭარი ახასხასდა; ოწინარებს მწვანე ბოლივით აუყვა ხავსი; სახლებს შორის, ქუჩების გაღმა-გამოღმა ობობებმა ქსელი გააბეს; მოშიებულმა პირუტყვმა ზმუილით გამოანგრია სადგომები და ქუჩებში გაიფანტა; ფრინველმაც მალე მიატოვა საბუდრები და ახლა სადაც მოეპრიანებოდა, იქა სდებდა კვერცხს; ძმებს გასართობი გაუჩნდათ, კვერცხებს კალთაში იგროვებდნენ და ერთმანეთს ესროდნენ, ძროხებს დააჯირითებდნენ, ღორებს კუდით დაათრევდნენ, აჭყივლებდნენ და თვითონაც ღორებივით ჭყიოდნენ, ქათმებს ცოცხლად პუტავდნენ და ტიტველი ქათმები სიკვდილის მოციქულებივით დაბორიალობდნენ ქალაქში.

სარკმელზე ცხვირმიჭყლეტილი ადამიანი ყველაფერს ხედავდა და გული უკვდებოდა, ყველაფერი თავიდან გასაკეთებელი გახდომოდა, თუკი როდისმე კიდევ გამოვიდოდა გარეთ და გამოკეტილ ბინებში თვითონაც არ გაიხრწნებოდა თავისი ნასუნთქისა და ნაფიქრალის მსგავსად. მაგრამ ადამიანი რისი ადამიანი იყო, თუ სულ ასე უმოქმედოდ დარჩებოდა, მიცვალებულივით გულხელდაკრეფილი. მისი ქალაქი შიშსა და ელდას დაეპყრო, მაგრამ ამასაც უნდა შეგუებოდა იგი, რადგან ყველაფერს აიტანდა, საკუთარი მონაგარის ასე გაოხრებას კი ვერასაქმე არ იცდიდა. პირუტყვი თავიდან იყო მოსაშინაურებელი, ფრინველი — საბუდარს მისაჩვევი, ბალახი — მოსაგლეჯი: სუროსა და ხვიარასთვის ბარითა და ცულით უნდა დაემოკლებინა დაგრძელებული ხელები. „დღეს ვუტირებ, ბარითა და ცულით ამოვძირკვავო“—უკვე გეგმებს აწყობდა გუნებაში და კოცონსაც აბრიალებდა, რომელზედაც თავისუფლების მოტრფიალე სარეველა იწვოდა და ქვეყანას სასიამოვნო, სიმშვიდისა და თვლემის მომგვრელი სურნელით ავსებდა. ამ სურნელისთვის ცხოვრობდა ადამიანი, ეს სუნი ენატრებოდა ახლაც და ენა ექავებოდა, იმდენი სათქმელი დაგროვებოდა ამხნის განმავლობაში. არა, არ შეიძლებოდა, ასე რომ გაგრძელებულიყო, არც გაგრძელდებოდა. ქვეყანა ჩალით არ იყო დახურული. სიმართლე გზას გაიკვლევდა, დამნაშავე მოინახებოდა და დაისჯებოდა კიდეც, გალახული ბავშვების ჯავრსაც ამოიყრიდა და ისევ მარჩენალ ხარს ჩაუდგებოდა კვალში ალალმართალი მშრომელი. ისევ მიადგებოდა მეზობელს ცეცხლისა თუ მარილის სასესხებლად, მართლა ცეცხლისა და მარილისთვის კი არა, ისე, დასახედად, როგორ ცხოვრობდა, რას ჭამდა, რას სვამდა, რა ეცვა და რა ეხურა. აბა, მეტი რა იყო ცხოვრება, შენიანს თუ მხარს არ გაუხახუნებდი, სუფრასთან თუ არ დაუჯდებოდი, არ ილაპარაკებდი და მასაც არ აალაპარაკებდი. არა, არ შეიძლებოდა დიდხანს რომ გაგრძელებულიყო ასე. დღეს თუ არა, ხვალ მაინც უნდა გამოედარა, მეტის გადადება აღარ შეიძლებოდა. დღეს თუ არა, ხვალ ისიც გამოვიდოდა შინიდან და შემორიგებულ მეზობელივით გაუღიმებდა ქვეყანას. ხვალ ჯობდა, ხვალამდე იქნებ გარკვეულიყო კიდეც ყველაფერი, სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა ერთ დღეს კი... ერთ დღეს მგლის ტყავში გაძლებდა კაცი.

მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლა. შოლტების წივილი ჯერ კიდევ ყურებში ედგა, მეხივით რომ გავარდა ქალაქში ახალი ცნობა: ქვისმთლელი ფარნაოზის ბიჭი ტაძრის გუმბათზე აიპარა, ხელები ფრთებივით გაშალა და გადმოხტაო. მალე მთელი ქალაქი ტაძართან იდგა და დაბნეული, ხან ტაძრის გუმბათს აჰყურებდა, ხან იმ ადგილს დასცქეროდა, სადაც პატარა უხეირო დანარცხებულიყო მიწაზე. „გეგონებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, ეგაა, მართლა გაფრინდაო“ — ყველაფერ ამ ამბის მომსწრენი, შიშისა და მღელვარებისაგან სახე რომ დაჰკარგვოდათ, ხმა რომ უკანკალებდათ, თითქოს ეს წუთია თვითონ გადარჩენოდნენ საშინელ განსაცდელს.

მიწას დროზე შეუმჩნევია ცაში მოლივლივე ბავშვის სხეული და ისე მიუზიდია თავის ღონიერი ხელებით, პატარა უხეირო ერთი კი ამოტრიალებულა ჰაერში, და ყირამალა წამოსულა ძირს. ისეთი ხმა ყოფილა, თითქოს ცაც თან ჩამოიტანაო.

თინა ამ დროს ჭურჭელს რეცხავდა, რამდენჯერაც არ შეუშვირა წყალს პატარა უხეიროს ჯამი, იმდენჯერ სისხლივით გაწითლდა წყალი.

ფარნაოზი ზემო უბანში ქვაფენილს აგებდა, ტაძართან რომ მოირბინა, სისხლის გუბეზე მიწა უკვე წაეყარათ. ნოტიო მიწას აქა-იქ პატარა უხეიროს თმა აეკრა. ირგვლივ სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა, როგორც დანაყრებულ ლომის ბუნაგში. კაცი ვერ იფიქრებდა, ამ ცოტა ხნის წინათ ასეთი ქარბორბალა თუ დატრიალებულიყო აქ. ტაძრის **კედელზე არეკლილი** მზე ფარნაოზს თვალებში სცემდა. ტაძარს ზურგი შეაქცია, იქვე, მიწაწაყრილ გუბესთან ჩაჯდა და სველ მიწას ხელი ისე ფრთხილად გადაუსვა, თითქოს ეშინოდა, არ გასხლტომოდა. მიწის სიგრილემ მთელს ტანში დაუარა, სველი ხელისგული სახეზეც ჩამოისვა და თითებზე მიწებებულ თმას სული შეუბერა, ჰაერის ნაკადმა თმა დააბზრიალა და მაღლა წაიღო. ასე, ცახცახითა და ტრიალით ასცდა ტაძარს, გვერდზე გაუხტა ჩამოქროლილ ჩიტების გუნდს, გაცრეცილ ღრუბლებში გაძვრა და მზეს მიაშურა. ხელისგულებით მიწას დაყრდნობილი, უკან გადაქანებული ფარნაოზი თმას იქამდე უყურებდა, სანამ სინათლემ და უსასრულობამ თვალები არ დაუბრმავა. იმ დღეს, როცა ფარნაოზი დაიბადა, დარეტიანებული და საომარი ეტლის ბორბლებით ფეხებდაჩეჩქვილი მამამისიც სწორედ ასე იჯდა ბრძოლის ველზე.

თინას არც სახე დუნდაბავს, არც მოთქმით შეუძრავს ქვეყანა. უბედურებას მომზადებული დახვდა, რადგან განუწყვეტელ მოლოდინში იყო, იმ დღის მერე, როცა პატარა უხეირომ გაიარა, ერთი წუთითაც არ გაქრობია ავი წინათგრძნობა, მაგრამ არც რჩევა უკითხავს ვინმესთვის, და არც დახმარება უთხოვია. ან ვინ რას უშველიდა, მოსახდენი უნდა მომხდარიყო .რაც დრო გადიოდა. უფრო და უფრო ეპარებოდა ეჭვი თავის სიმართლეში, რაღაცაში, ალბათ, მასაც მიუძღვოდა ბრალი, რაღაცა მასაც დაეშავებინა, რადგან სინდისის ქენჯნა აწუხებდა და გული გაუჩერდებოდა ხოლმე, როცა შვილის თვალებში სიბრალულსა და თანაგრძნობას კითხულობდა. პატარა უხეირომ დედამისი პირველად რომ ნახა ატირებული, თვითონაც ატირდა და სლუკუნ-სლუკუნით უთხრა: ნუ ტირი,გავიზრდები და მე ვიქნები შენი ქმარიო. იმ დღის მერე თინას შვილის თანდასწრებით აღარ უტირია, მაგრამ პატარა უხეირო მაინც ყველაფერს ხვდებოდა, უფრო მეტი ესმოდა, ვიდრე მოეთხოვებოდა. ეს აბნევდა, ეს აფორიაქებდა, ეს აშინებდა თინასაც, რადგან სხვამ თუ არა, თვითონ ხომ იცოდა, რა უსვინდისოდ მოქცეოდა შვილს, რა მიზნით და რა საქმისთვის გაეჩინა იგი. თინას მაშინ არ შეეძლო შვილის მომავლის განჭვრეტა, ახალი დამთავრებული ჰქონდა ბრძოლა, გამარჯვება თავბრუს ახვევდა და მარტო იმაზელა ფიქრობდა, რითი განემტკიცებინა ეს გამარჯვება. ქვეყანა კი დაეპყრო, მაგრამ ამ ქვეყანას ახლა ათვისება ჭირდებოდა, ხელახლა უნდა მოეპირკეთებინა კედლები, სახურავი გამოეცვალა, ტახტზე დედისეული ფარდაგი გადაეფარებინა და ზედ მისი ბავშვობის დროინდელი თოჯინები ჩაემწკრივებინა, არც თვითონ რომ ეგრძნო თავი უცხოდ და არც სხვებს შეემჩნიათ მისი უცხოობა. შვილიც ამიტომ სჭირდებოდა, ყველაზე მეტად შვილი განუმტკიცებ-

და რწმენას სამართლიანად რომ ებრძოლა და სამართლიანად მოეპოვებინა ის, რაც მოეპოვებინა. მაშინ თინას სხვანაირად არც შეეძლო ეფიქრა ბავშვზე, რომელიც ჯერ არ არსებობდა, რომელიც ჯერ მის გონებაში ჩაისახა და მერე საშოში. შვილის გაჩენისთანავე თინას გეგმებიც უკვალოდ გაქრა, მას აღარც აინტერესებდა ისინი, რადგან მისდაუნებურად, სრულიად მოულოდნელად, უფრო დიდი საზრუნავი გაუჩნდა. ეს პატარა, თბილი და ღუღუნა არსება თავს ერჩია და აღარც ის ახსოვდა, რა იმედებს ამყარებდა მასზე. სამაგიეროდ, არც იმაზე დაფიქრებულა: ეკუთვნოდა თუ არა იგი, სწორე იყო თუ არა მისი განზრახვა და საერთოდ ჰქონდა თუ არა უფლება შვილის გაჩენისა. მან ხომ თავიდანვე იცოდა, რომ კაცს, რომელიც ამ ბავშვის მამა უნდა გამხდარიყო, არ უყვარდა იგი და არც რამე ნიშანს იძლეოდა იმისას, როდისმე რომ მეიყვარებდა. ბავშვს კი ორივენი ერთნაირად ეყვარებოდა, დედაცა და მამაც და ამ ორ ცეცხლს შუა ვერასოდეს გააკეთებდა არჩევანს, მთელი სიცოცხლე მათ დაუნდობელ სიმხურვალეში უნდა ეტრიალა და ამოუკვნესავად ჩაფერფლილიყო კიდეც. მაგრამ თინა მაშინ ასე ვერ იფიქრებდა, რადგან თავისი სისწორისა და სამართლიანობის საბუთი გვერდით ეწვა, ძუძუზე ხელს უთათუნებდა და ძილმორეულ თვალებს უჭუტავდა. მაგრამ სინამდვილეში, ეს-ეც მწარე ხუმრობა ყოფილა და მეტი არაფერი. ღმერთებმა გაამასხარავეს თინა, ის კი, თავისი სიკერპის გამო იქამდე ვერ მიხვდა ამას, სანამ შვილის სისხლი არ შეაშხეფეს სახეში. პატარა უხეიროს სიკვდილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა და დაარწმუნა იგი, მთელი მისი ცხოვრება მისივე ოცნების ნაყოფი რომ იყო, რომელიც ვერც დროის დინებას გაუძლებდა და ვერც ამინდთა მონაცვლეობას. ტყუილად ელოლიავებოდა თურმე ამ ნაყოფს, რომლის მოსაწევადაც ამდენი შრომა და მოთმინება დასჭირდა და, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოიბა მისი სიჯიუტისა და მოთმინების ხელმ, რათა ქარის პირველსავე წამოქროლებაზე მთელი ქალაქის თვალწინ, ქვაფენილზე დაენარცხებინა და გაესრისა. ერთხელ მაინც დაეჭვებულიყო, რატომ სწყალობდნენ ღმერთები ასე, რატომ უსრულებდნენ ყველაფერს, რაც კი ჩაეთქვა და მოესურვებინა? განა არ ჰქონდა დაეჭვების საფუძველი? ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა. რამდენჯერ შერჩენია ხელში ტაროს. მაგივრად ფუჩეჩი. ბედნიერებასაც ბევრჯერ მოუღიტინებია გულის კოვზზე ფუნჩულა თათი, ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, მაგრამ როცა თვითონაც წასტანებია ამ ფუნჩულა თათს, ხელში სიცარიელე შერჩენია. მაგრამ თინას მაშინ ის უფრო ადარდებდა, სხვებსაც რომ არ შეემჩნიათ მისი გაწბილება. წამით გაირინდებოდა ხოლმე ხარხარის მოლოდინში, ეგონა ყველანი ხელებში მისჩერებოდნენ, თითქოს სხვისას ითვისებდა რამეს. თუმცა თვითონაც გრძნობდა, სხვისას რომ ითვისებდა და ამიტომაც ეჩვენებოდა ასე, ამიტომაც არ იტეხდა იხტიბარს და ყოველი მარცხის მერე უფრო ამაყად და გამომწვევად მიჰყვებოდა ბავშვობიდან არჩეულ გზას. მერე რა, რომ სხვისას ითვისებდა? ჯერ ერთი, რატომ იყო ის სხვისა, რა უფლების ძალით, ან სხვა რას აკეთებდა მასზე მეტს თავისი საკუთრების დასაცავად? სხვა თითსაც არ ანძრევდა იმის დასაცავად, რის მითვისებასაც თინა აპირებდა, რადგან ის მართლა სხვისი იყო, თავიდანვე სხვას ეკუთვნოდა, ღმერთებს სხვისთვის ეჩუქებინათ და რამდენიც არ უნდა ეპამპულა თინას, მაინც ვერ ამოფხეკდა ტვიფარს, დამღასა თუ ნიშანს, ბედისწერას რომ დაემჩნია ზედ. თინას მოთმინება მიუგდეს მხოლოდ, როგორც კატას ძაფის გორგალი, კატასაც რომ თავი შეექცია, კი არ ენადირა, ეთამაშა, ვითომ ვნადირობო. ბოლოს კი ღმერთებსაც მობეზრდა მისი წარამარა გაპამპულება და აკი ერთბაშად მოუთავეს კიდეც ხელი. დაე, ახლა სხვებს ეცადათ, თუკი ამგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სურვილი ჰქონდათ, თავიანთი ბედის შეცვლა, რომელიც მათ გაჩენამდე დაედგინა და გადაეწყვიტა ვიღაცას. თინასთვის კი ყველაფერი დამთავრებულიყო. ჩამოთავდა კოდში საფქვავი და მასაც ისღა დარჩენოდა, ტომარაში გადაეცალა დაკარგული დრო, ზურგზე მოეგდო თავმობმული ტომარა და შინისაკენ გასდგომოდა გზას. თინა ლასლასით გადადიოდა ქუჩაზე, თითქოს მართლა მძიმე ტომარა აეკიდა და ჭუჭყიანი, გაოფლილი პერანგივით გრძნობდა, როგორ მობეზრებოდა ცხოვრება, უაზრო და უსასრულო, როგორც მისი მოთმინება.

ფარნაოზი მღვიმეში იწვა, არც არაფერზე ფიქრობდა, არც არაფერს. ელოდებოდა. გრძნობდა, ძალიან ცოტა დრო დარჩენოდა და მაინც ვეღარაფერს მოასწრებდა. ან რაღა ჰქონდა მოსასწრები, პატარა უხეიროომ მის მაგივრად ყველაფერი თქვა და გააკეთა კიდეც, მისმა შვილმა გამოიტანა სამზეოზე და მთელი ხმით იყვირა, რაც მას სტკიოდა და აწამებდა, რასაც ვერ ურიგდებოდა და ვერც ებრძოდა. შვილმა კი აჯობა, შვილმა აჯობა და ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მის ცხოვრებაში, შვილმა აჯობა და ამით გაამართლა მთელი მისი ცხოვრება, დათრგუნა, დაამხო, გააცამტვერა და ამით გამარჯვების რწმენა გაუღვივა. რამდენ ხანს გასტანდა ეს რწმენა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი ის იყო, ფარნაოზი ამ რწმენით რომ დატოვებდა ქვეყანას.

პატარა უხეიროს სიკვდილმა ფარნაოზს მარადიული გაურკვევლობის, მარადიული ყოყმანისა და მარადიული შიშის გრძნობა მოაშორა. მან, როგორც მოწამლულმა ნადირმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც ამოანთხია შხამი. ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ძალით რომ ატენიდა პირში, კი არ აპარებდა, ატენიდა, მაგრამ ამას იმდენი დრო და იმხელა მსხვერპლის გაღება დასჭირდა, კი არ განთავისუფლდა, დაცარიელდა. სწორედ ამ სიცარიელის შეგრძნება იყო, თავბრუ რომ დაახვია და შვილის სისხლის მიწაწაყრილ გუბესთან ყეყეჩივით დასვა.

ფარნაოზი უკვე მკვდარი იყო, ამას თვითონაც გრძნობდა, განუწყვეტლივ გრძნობდა, რადგან განთავისუფლებით კი განთავისუფლებულიყო ყველაფრისგან, ყველასაგან, საკუთარი არსებისგანაც, მაგრამ ეს ის თავისუფლება არ იყო, რომლისკენაც ცოცხალი მიილტვოდა. ეს სიკვდილი იყო, მიწის, ჭიაღუებისა და ფესვების სუნით გაჟღენთილ სუდარას რომ მოითრევდა და ბუზღუნებდა: ისე, არავინ მოკვდა, მე რომ არ დამდონ ბრალიო. ფარნაოზი მოუთმენლად, ბავშვური სულწასულობით ელოდებოდა, თითქოს სიკვდილს საჩუქრებით სავსე ტომარა მოჰქონდა. ასედაც იყო, კიდევ ერთი ნაბიჯი და ფარნაოზი ისევ იხილავდა ყველაფერს, რაც სამუდამოდ დაჰკარგვოდა, რაც სამუდამოდ მიებარებინა მიწისთვის. არ ეგონა, ასეთი სანუკვარი თუ იქნებოდა დასასრული; სიკვდილს რომ გადაეფიქრა, თვითონ წაეტანებოდა სუდარას, როგორც მძინარე გადახდილ საბანს, რათა იმქვეყნიური სუსხით აბურძგნული ხორცი დაეფარა. ბოლო იგივე თავი იყო, თავი იგივე ბოლო, ფარნაოზი ისევ იქ მოსულიყო, საიდანაც მოვლენოდა ქვეყანას. არტახებში გახვეული ჩვილივით იწვა და მისი არსება უარს ამბობდა ყველაფერზე, რაც თავს გადახდენოდა, ყველაფერი მართლაც ძნელად დასამახსოვრებელ სიზმარს გავდა და ფარნაოზიც იოლად იჯერებდა, არტახებში გახვეული ჩვილი ვარო. არტახები ისე მჭიდროდ შემოეხვიათ, სუნთქვა უჭირდა, ხელფეხი დაბუჟვოდა და ოფლში გახვითქულიყო, მაგრამ მაინც გაუნძრევლად იწვა, ასეა საჭიროო. „დედაჩემს არ შეეშლება, ბავშვის მეტი რა გაუზრდიაო“ — ფიქრობდა ფარნაოზი და გამშრალი ტუჩებით თხის ძუძუს დაეძებდა. რძეს. უფრო იმიტომ სვამდა, იქნებ სასაზე მიკრული თმა ჩაიყოლოსო. თმაც, რა თქმა უნდა, ეჩვენებოდა, მაგრამ ვერაფრით მოეშორებინა ეს შემაწუხებელი შეგრძნება. ჭუჭყიანი თითებით ჩაკაწრული სასა სტკიოდა,

სისხლს აფურთხებდა, თმა კი ადგილიდან არ იძვროდა, იძროდა კი არა, თითქოს იზრდებოდა კიდეც. ფარნაოზი თხაზე ბრაზობდა, თითქოს თხის ბრალი იყო, რძეს რომ არ შეეძლო თან ჩაეტანა არარსებული თმა. ფარნაოზი ძუძუზე კბენდა, ძალით იშორებდა, მაგრამ მეორე წუთას შეშფოთებული ეძახდა, დედაჩემო, დედილო. აფორიაქებული თხა თავზე ედგა, დაჰკიკინებდა და ფართე, წითელ წრეებში მომწყვდეული წყლისფერი თვალებით გაოცებული ათვალიერებდა, მაგრამ როცა სიბრაზისაგან ძალმიცემულმა ფარნაოზმა მჯიღი გამეტებით ჩათხლიშა თვალებში, თხა მღვიმედან ჩლიქების ფხაკა-ფხუკით გავარდა, მხოლოდ ერთხელ, ერთი წამით შემოჰყო დარეტიანებული თავი მღვიმის ხვრელში და იმის მერე აღარც ვამოჩენილა.

„კი, მაგრამ კუსა სად არის აქამდეო“ — ახსენდება უცებ ფარნაოზს თავისი დისშვილი. ახსენდება კი არა, არც დავიწყებია, კუსას ელოდება აქ, აქ დათქვეს პაემანი, რადგან არავინ შეუშალოთ ხელი საიდუმლო საუბარში. დღეს უნდა ითქვას ყველაფერი და ფარნაოზს გული უცნაურად უჩქროლდება თანამზრახველის მოლოდინში, მაგრამ მაინც იკუნტება, მაშინვე თვალში რომ არ ეცეს კუსას ღრმულიდან ამოშვერილი ფეხები.

— როგორი ხარ, ბიძაჩემო. — ამბობს კუსა და ხელებს ისე იფშვნეტს, თითქოს მოშიებულმა სტუმარმა გაწყობილ სუფრას დახედაო.

ფარნაოზი ხმას არ იღებს, თავს იმძინარებს, იმიტომ კი არა, კუსასი რომ ეშინია, არა, სრულებითაც არა, ან რიღასი უნდა ეშინოდეს, უბრალოდ კუსასთან აღარაფერი აქვს სალაპარაკო, ახლა ახსენდება, უკვე ყველაფერი რომ უთხრეს ერთმანეთს, თანაც ერთხელ კი არა, ბევრჯერ, მობეზრდა კიდეც, აღარ აინტერესებს. მას ახლა მხოლოდ ერთი რამე აწუხებს და ეჩოთირება: თვითონ უფრო გრძელია, ვიდრე ღრმული, რომელშიც ჩაწოლილა. კი, მაგრამ რატომ? რატომ მოხდა ასე? — უკვირს ფარნაოზს. ამოშვერილი ფეხებიდან დაძრული სისხლი თავში აწვება, ფეხები კი უბუჟდება. გაფუყულ, გაშეშებულ ფეხებზე თითქოს ჭიანჭველები შესცოცებიან. ეს ჭიანჭველები საიდანღა გაჩნდნენ. ერთხელ ხომ უკვე შეჭამა ისინი კნოსის ნავსადგურში, გაჩეჩქვილ მსხალთან ერთად. ფარნაოზს გული აზიდებს გაჩეჩქვილი მსხლისა და ჭიანჭველების წარმოდგენაზე. თუ უნდა რომ მართლა მოისვენოს, როგორმე უნდა ჩაეტიოს ამ ღრმულში, კეთილი უნდა ინებოს და მოიკუნტოს, დაპატარავდეს, დამოკლდეს, განა ასე არ იქცევიან ყველანი? ის ვითომ რითია სხვებზე უკეთესი? რამდენჯერ უნდა გაუმეორონ ერთი და იგივე? ან თუ სხვას შეუძლია, მან რატომ ვერ უნდა შესძლოს? ვისზე ნაკლებია? კუსა ახლობელია, მაგრამ არც ახლობელს ესიამოვნება, ცხვირწინ რომ დაუწყო შენი აკოთებული ფეხები. ფარნაოზი ცდილობს, ათასნაირად იკრუნჩხება, მაგრამ ფეხები მაინც ამოშვერილი აქვს ღრმულიდან, თითქოს განგებ, გამომწვევად, ყველამ რომ დაინახოს. ღრმული აშკარად მოკლეა, მისი დაგრძელება კი ასე უცებ წარმოუდგენელია, შეუძლებელია, ფიქრიც სასულელია, განა ქვა ასე ადვილად ემორჩილება ადამიანს? ეს მაინც იცის, ამის მეტი რა უკეთებია? გამოქვაბულში ბნელა, რადგან კუსა ზურგით აჰფარებია ხვრელს, საიდანაც ისედაც ძლივსძლივობით აღწევდა მკრთალი სინათლის ნატამალი. „ეწყინა, კიდევ ვაწყენინეო“ — ფიქრობს ფარნაოზი, მაგრამ თითქმის მაშინვე ისევ ჩნდება დამახინჯებულ წრეში მომწყვდეული ბუსუსიანი სივრცის ნაგლეჯი და კუსას ხმაც ესმის. „წვალობ?“ — ეკითხება კუსა და როგორც იცის ხოლმე, უსიამოდ ქირქილებს, იმ კაცივით, ვიღაცას რჩევა რომ მისცა, მაგრამ იმ ვიღაცამ არ დაუჯერა და ისიც ქირქილებს, მხოლოდ იმიტომ, ასე უცებ რომ დადასტურდა მისი სიმართლე. „ახლა რაღას იტყვი, ვინ ყოფილა მართალი? ხე, ხე... — ქირქილებს

კუსა და ფარნაოზს სისხლი ეყინება. კუსა მართალია. გეს-მით თუ არა, რას ნიშნავს ეს? ფარნაოზი ხვნეშის, იოფლება, დაძაბულობისაგან ლამის კუნთები დააწყდეს, მაგრამ მაინც ვერ ჩაუტევია ფეხები ღრმულში. მის ფეხებთან ჩაკუნცხული კუსა ყურადღებით, საქმის მცოდნე კაცივით ათვალიერებს, როგორც საზრიანი და გამოცდილი გლეხი დაავადმყოფებულ ხეხილს. არა, ის ასე იოლად არ მოეშვება ამ ხეხილს, რომელსაც იმის ნაცვლად რომ კვირტი გამოეღო, უცებ კენწერო გაუყვითლდა, კანი გაუშრა და საკმარისია ხელი ოდნავ შეახო, მტვრად ჩამოვიდეს ძირს. ხეს მკურნალობა სჭირდება. ვინ მისცემს ნებას, ასე უბრალოდ ადგეს და გამოეცალოს თავის თანამოძმეებს, კვირტებით რომ დახუნძლულან და კვლავაც მზად არიან, გამოიღონ ნაყოფი, პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალი ბუნებისა და კაცის წინაშე. ეეე, შვილოსა, რაც ამ კაცს ოფლი ჩაუქცევია ერთი ქეციანი ხის გასახარებლად; ყველა რომ ასე გაბერწდეს და გადაგვარდეს, სად წავა?! ღმერთებსა და ბუნებას ასე დაუდგენია: ხე იმიტომ არის ხე, ნაყოფი რომ გამოიღოს, მეორე ხეს რომ გავდეს და, აქაო და მე სხვებზე კარგი ვარო, უშნოდ არ გაიფარჩხოს: მეტი სიმაღლე არც ხეს დააყრის ხეირს; მაშინ მან სხვისი წილი წყალიც უნდა შეიწოვოს. კი, მაგრამ რატომ? სხვამ რა დააშავა? სხვა თავჩაღუნული დგას და შრომობს, დიახ, შრომობს, ნაყოფით იხუნძლება, როცა ის მეორე, სიმაღლისაგან გამოლენჩებული, ცას მისჩერებია და მოვალეობა აღარც კი ახსოვს.

— ზედმეტი არაფერი არ ვარგა, — ამბობს ფარნაოზის ფეხებთან ჩაცუცქული კუსა. — ამ ღრმულში რომ ვერ ეტევი, იმიტომ წვალობ. შენ უფრო გრძელი ხარ, გრძეეეელი. ხე, ხე ამიტომაც საჭიროა...

— არა! — ყვირის ფარნაოზი, რადგან უკვე თვითონაც კარგად იცის, რაა საჭირო, ამ ღრმულში რომ ჩაეტიოს, მოისვენოს, დამთავრდეს.

— არა-მარა, იცინის კუსა, როგორც კეთილი ბებია შვილიშვილის სისულელეზე. — შენ მართლა რა ჯიუტი ყოფილხარ, ვაიმე, ვაიმე.

ფარნაოზს ესმის, როგორ ეცემა ქვის იატაკზე ხელსაწყოებით სავსე ტომარა, და უკანასკნელი იმედიც ეწურება, მან თავიდან ვერ შეამჩნია ტომარა და გაუკვირდა კიდეც, როგორ მოხდა, უტომროდ რომ გამოსულაო, მაგრამ ესეც თავს დააბრალოს, ასე გულუბრყვილოდ რომ ფიქრობდა. განა კუსა იმის კაცია, ხელსაწყო დაავიწყდეს, ერთსა და იმავე საქმეზე ორჯერ გაისარჯოს? ძალიან შემცდარა, ასე თუ იფიქრა. კუსამ თავისი საქმე იცის და კარგადაც იცის. აი, მასაც რომ ასევე სცოდნოდა თავის საქმე, მაშინ შეიძლება რაღაცა გამოსულიყო, რაღაცა მაინც. ახლა კი ტყუილია ყველაფერი, კუსამ აჯობა და რახან აჯობა, ისაა მართალიც. გათავდა, სხვა ყველაფერი სისულელეა. სი-სუ-ლელე-ა, დამარცვლა ფარნაოზმა. კუსაცა და მისი ხელობაც ძველთაძველია. გუშინდელი ბიჭი თვითონაა, თვითონ და მისი დამთხვეული მეგობარი. მართლაც კაციშვილს არ მოსვლია თავში ამგვარი სისულელე. ვერ მოგართვი, დედალუს. გაფრენა რომ ასე ადვილი იყოს, მიწაზე ვიღას გააჩერებდი, შენ გეკითხები? კაცი იმისთვისაა, ქვა რომ კოდოს, სახლი ააშენოს, გზა გაიყვანოს. ასე ყოფილა და ასე იქნება. ყოველთვის ასე იქნება ნეტავ? ყოველთვის? — ახლა უკვე ხმამაღლა კითხულობს ფარნაოზი და კუსაც მაშინვე პასუხობს.

— მართლა და მართლა, რა გახდა, შე დალოცვილო? მითქვამს და გიმეორებ: ყოველთვის! — ამბობს კუსა და თავმოხსნილ ტომარაში იქექება, თითქოს ცოცხალი გველის ამოყვანას აპირებდეს. ტომრიდან რკინის უსიამო ჟღრიალი ისმის, გამოქვაბულის ოდნავ გაცრეცილ წყვდიადში ხერხის პირი ელავს, თითქოს წყვდიადმა გაიცინა და კბილები დაკრიჭაო.

— ადამიანი უნდა ჩაეტიოს მისთვის განკუთვნილ ღრმულში, თუ უნდა რომ

მშვიდად იცხოვროს. არც არავის არა აქვს ნება, გამოდგეს და ეძახოს, ორმოში ცხოვრობო. ვისი რა საქმეა, თუკი იგი თავს მშვენივრად გრძნობს ამ ორმოში და ღამით, ძილის წინ ღმერთებს ეჩურჩულება, სულ ასე მამყოფეთ არაფერი შეიცვალოსო. თუკი უნდა, რომ... თუმცა, თვითონაც ხომ გრძნობ, რა მოუხერხებელია ასე წოლა?

კუსას ამ ბოლო სიტყვებს ხერხის ღრჭიალი მოსდევს და ფარნაოზს ტკივილისაგან, არა, შიშისაგან გონება ეკარგება, მაგრამ თითქმის მაშინვე ფხიზლდება და უკვირს, ყველაფერი ასე უცებ რომ დამთავრებულა. კუსაც უკვე წასულა, თვითონ კი... ფარნაოზს მღელვარებისაგან სუნთქვა უგუბდება, მღელვარებისა და სირცხვილისაგან. რამდენად მართალი და კეთილი ყოფილა კუსა. რას არ ფიქრობდა, რაღას არ სწამებდა, როგორ ეჯავრებოდა, ლამის... არა, მადლობელი ვარ ღმერთებო, ასე რომ არ მოხდა, საკმარისია, რა სისაძაგლეც ჩაიდინა, შვილის სისხლიც ეყოფა სატანჯველად, ინოს გაუბედურებაც ეყოფა თავში საცემად, თინას წყევლაც მოუღებს ბოლოს. განა მისი უგნურობის მსხვერპლი არ გახდა სამივე? ან ერთს რას ერჩოდა, ან მეორეს, ან მესამეს? აი, სად ყოფილა ბოროტების სათავე ჩამალული, სად ყოფილა ჩამარხული ძაღლის თავი, ცუგას თავი. ის კი, მთელი სიცოცხლე თვალთმაქცობდა და ცუდი ჭურდიეით სხვებს ადებდა ხელს, სხვებს უქექავდა უბეებს, როცა გველი თვითონ ყავდა დამალული. მადლობელი ვარ შენი, კუსა, მადლობელი. და თუ ესეც შეგიძლია, მომიტევე უმეცრება. რამდენად უკეთესია ასე.

ფარნაოზი მართლაც თავისუფლად წევს ღრმულში, როგორც აბაზანაში. სასიამოვნოდ თბილი წყლით სავსე აბაზანაში, და განგებ, სიამოვნების გასახანგრძლივებლად, უძალიანდება თვლემას. ეშმაკი ხარ, ფარნაოზ, ეშმაკი, შენც გყვარებია კარგი ცხოვრება. რატომაც არა, რატომაც არა, — განგებ ხმამაღლა და ხაზგასმულად იმეორებს ფარნაოზი და გრძნობს, როგორ ეფაკლება სახე სირცხვილისაგან და სიამოვნებისაგან ერთდროულად, თითქოს ქალიშვილი იყოს და პირველად ეკოცნოს მამაკაცისათვის, ურომლისოდაც ცხოვრება აღარ შეუძლია.

დაბნეულ ფეტვის მარცვალსაა
რა მოჰკრეფს წიწილის მეტიიი, —

მღერის ფარნაოზი და გაშლილ ხელისგულებს წყლის ზედაპირზე ატყაპუნებს, ნიკაპამდე რომ მოსდგომია უკვე. თუმცა თვითონაც კარგად იცის, რომ ის წყალი კი არა, მისი საკუთარი სისხლია, გადაჭრილი ფეხებიდან შხუილით რომ მოედინება, მოთქრიალებს როგორც ბერძნის წყაროს მკლავის სისხო ღარიდან წყალი.

პატარა უხეიროს დაღუპვამ სასახლეც საგონებელში ჩააგდო. ერთ ქათამს მაინც მოესწრო ღობეზე გადაფრენა! მართალია, ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, მაგრამ მისი სისხლით ჩამოწითლებული ღობე სხვა ქათმებსაც აფრთხობდა, აკაკანებდა და აქოთქოთებდა.

ქათმის კაკანი და ქოთქოთი არც საშიში იყო და არც ძნელი ჩასაწყნარებელი, მკვდარ მელიას გადაუკიდებდა ღობეზე და ამით გათავდებოდა ყველაფერი; მაგრამ მართლა ქათმები იყვნენ ისინი, ვისაც სასახლე ქათმებად თვლიდა? როდის იყო, ქათამი რომ თავს იკლავდა? არა, ამ სიკვდილს სხვა სახელი ერქვა და ამის არშემჩნევა ოყაჯადოსაც არ შეეძლო. ხოლო ცუცამ ისე საოცდავად ამოიკნავლა, ახლა გვმართებს ვაუკაცობაო, დიდი მიხვედრილობა არ უნდოდა ცუდ საქმეში რომ გახვეულიყვნენ დედაშვილი. ოყაჯადოს რატომღაც ვანში შემოსვლის დღე გაახსენდა, უფრო სწორედ, ისე ცხადად დაუდგა თვალწინ იმ კაცის გადაფითრებული სახე, ყელში შუბგაჩრილმა თავისი სახლის ბანიდან რომ ჩამოსძახა: გაუმარჯოს აიეტსო, საკუთარმა მახსოვრობამ შეაძრწუნა, იმანაც შეაძრწუნა მაინცდამაინც დღეს რომ გაახსენდა ის კაცი,

ერთადერთი კაცი მთელ ქალაქში, რომელმაც დაუფიქრებლად, უყუყმანოდ, უშიშრად და ყველას დასანახად სიკეთილი არჩია მისი მეფობის აღიარებას. დღესაც იგივე განმეორებულიყო ზუსტად. მართალია, ის კაცი მისმა ჯარისკაცებმა ლუკმა-ლუკმა აჩეხეს, მაგრამ ეტყობა ბოლომდე ვერ მოეკლათ მაინც, რაღაც გადარჩენილიყო, რაღაც კი არა, სისხლი გადარჩენილიყო, ამდენხანს მიწაში გაეძლო, მიწის ქვეშ ეხეტიალა, რათა დღეს ხელახლა ამოეხეთქა და ხელახლა გადაეწითლებინა მისი სამეფოს ფილაქანი.

„ჩამოვარდნილიყო, ან ჩემს ჯარისკაცებს მაინც შემოკვდომოდათ, გადმოხტომა რა უბედურაბაოო“ — შფოთავდა ოყაჯადო და გრძნობდა როგორ ეშინოდა იმ მკვდარი ბავშვის, როგორ ეზიზღებოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, რა დიდი სიამოვნებით გააცოცხლებდა, ხელახლა რომ მოეკლა საკუთარი ხელით.

ვინ იცის როდემდე იშფოთებდა ოყაჯადო, როდემდე იტრიალებდა ერთ ადგილას მისი გაოჩნებული გონება, ისევ ცუცას რომ არ წაეკრა ხელი.

— ბავშვს რა ჭკუა მოეკითხება, პატრონია მოსაკლავიო — თქვა ცუცამ და გამომცდელად მიაჩერდა შვილს.

„დიდი, დიიიდი ქალია დედაჩემიო“— გაიფიქრა ოყაჯადომ და დინჯად, აუჩქარებლად მიჰყვა დედისაგან მინიშნებულ გზას. ის ახლა არა მარტო ტახტის ყველაზე სახიფათო მტრის დასამარცხებლად მიდიოდა, არამედ თავის გამოსაჩენადაც ყველაზე დიდი მეფის წინაშე. დღევანდელი დღე დიადი დღე იყო ოყაჯადოს ცხოვრებაში, დღეს უნდა გამხდარიყო ნამდვილი მეფე, დღეს უნდა დაემტკიცებინა, ღირსი რომ იყო იმ სამეფო გვირგვინის ტარებისა, რომელიც თვითონ მინოსმა დაადგა თავზე ოდესღაც საყმაწვილო მუწუკებით შუბლგადაჭმულ ბიჭს. იმ ბიჭს ჭაღარა მორეოდა უკვე, ნახევარი თმა გასცვენოდა, მაგრამ დროს უფრო მეტი მიეცა მისთვის, ვიდრე წაერთმია. დროს მისთვის ყველაფრის დამარცხების, ყველაფრის დათრგუნვის უნარი მიეცა და მარადიულობის მოსასხამით დაეჯილდოვებინა ჯიუტობისათვის, ამტანობისათვის, გულგრილობისათვის, შეურყევლობისათვის, სიბრმავისათვის და სიყრუვისათვის. დრო კმაყოფილი იყო, რადგან ოყაჯადოს ერთხელაც არ დაურღვევია მისი მშვიდი მდინარება. არც დღეს დაარღვევდა, რადგან სწორედ დღევანდელი დღის გაბიაბრუებისათვის იღვწოდა და მეცადინეობდა, ხელით დაატარებდა ქვასავით დამძიმებულ დედას და ერთსა და იმავეს სამ-სამჯერ იმეორებდა. ოყაჯადო წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას და თვალწინ მინოსი ედგა, მარადიული მეფე, მეფეთა მეფე, მეფეთა მშობელი და გამმრავლებელი, მაგრამ შიშისაგან ფერი კი არ მისდიოდა, მუხლი კი არ ეკვეთებოდა, თანატოლივით თამამად შესცქეროდა სახეში და ქარაგმულად, როგორც ნამდვილ მეფეებს შეჰფერით, უყვებოდა თავის გეგმებს, დღევანდელი ბრძოლის მოსაგებად რომ შეედგინა. „კაცო, ჩვენ ჩვენთვის ვისხედით, პურსა ვჭამდით, არხეინად. ერთიც ვნახოთ, მაგიდის ქვეშ ბავშვი არ შემძვრალა“. „ბავშვი თუ ძაღლი?“ — ჰკითხა მინოსმა. ოყაჯადომ გაიცინა. „მოიცა, ნუ მაბნევ. ძაღლებიც იყვნენ, მაგრამ ერთი ბავშვიც გამორეოდათ. ვისი ოხერია, ახლაც არ ვიცი. ხოოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგიდა დამპალი ყოფილა: შემთხვევით წამოედო ის ბავშვი, თუ განგებ გამოაცალა ფეხი, ამოდენა მაგიდა, თავის პურმარილიანად თავზე დაიმხო. წამოვცვივდით ყველანი, ჩაგვმწარდა ქეიფი. ჯერ არ ვიცით ბავშვის ამბავი, კალთებს ვიფერთხავთ და ვართ ერთ ამბავში, ვიღაცამ რომ იყვირა, ეს ბავშვი აქ საიდან გაჩნდაო; გავიხედეთ და რას ვხედავთ, წიწილასავით ვდია, მკვდარია. მკვდარი ბავშვი შემოგვაპარეს სუფრაზეო, იხუვლა ხალხმა და კარფანჯარა მხრებით გაიტანა. დავრჩით მარტო მე და მკვდარი ბავშვი, სად წავიდე, მეფეც ვარ და მასპინძელიც. თავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც მოგეხსენება, მეფე სხვის სახლშიც მასპინძელია. ვდგავარ და ვფიქრობ. სტუმრები კი გაიქცნენ, მაგრამ მაინც ჩემსკენა აქვთ გულისყური, ვნახოთ ერთი რას იზამსო. პატარა საქმეა, საქეიფოდ მოვიდნენ და ამხელა ცოდვა დატრიალდა ოჯახში. შენ თუ არ დაადე ხელი, ვინ დაიბრალებს? არა და, ვიღაცა ხომ უნდა იყოს დამნაშავე? ყველა უდანაშაულო ხომ არ იქნება? სტუმრები რას გამიბედავენ, მაგრამ მაინც მესმის მათი ფაჩუნი, ეგაა მასპინძელი და დამნაშავეც მაგან უნდა იპოვოსო. ახლა, არ გაინტერესებს, როგორ ვიპოვე? დედას გეფიცები, ცუცას თუ ეთქვას რამე. რად უნდა ამას ცუცა? დავიწყოთ სტუმრებით. კი, იქ იყვნენ, მაგრამ მუხლებით ხომ ვერ დაინახავდნენ, რა ხდებოდა მაგიდის ქვეშ? შენი არ იყოს და, მათაც ძაღლი ეგონათ ალბათ. სად ეცალათ ძაღლისათვის, ახალი დამსხდრები ვიყავით, ვინ ღვინოს ისხამდა, ვინ ხორცს ჭრიდა, ვინ პურს იწოდებდა და ვინ მარილს. მართალი ხარ, მაგათშიც შეიძლება ვინმეს გამორჩევა, მაგრამ უკეთესი დამნაშავე რომ არსებობს? ახლავე, ახლავე მოგახსენებ ყველაფერს. მგონი გამიგრძელდა სიტყვა, მაგრამ ახლა მოკლედ ვიტყვი. ვინ მოკლა ბავშვი? ვინ მოკლა და მაგიდამ. მაგრამ მაგიდა არ არის დამნაშავე. ხომ გაგიგონია, აკიდებულ აქლემს საცერი დაადეს და ჩაიჩოქაო, ისე იყო იმის საქმეც. დამპალი იყო თუ რაც იყო, კი იდგა მშვენივრად და პურ-მარილსაც უძლებდა, ბავშვი რომ არ წაპოტინებოდა. ბავშვს რა იმდენი ძალა უნდა ჰქონოდა, მაგრამ სწორედ ის პატარა ძალა იყო ზედმეტი. ასე რომ, ერთი შეხედვით, თვითონ ბავშვი გამოდის დამნაშავე. მაგრამ შენ წარმოიდგინე, არც ბავშვია დამნაშავე. ბავშვს რა ჭკუა მოეკითხება, პატრონია მოსაკლავი, იმ ბავშვის პატრონი. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, არ უნდა მიხედოს თავის შვილს? აბა, მშობელი რისაა?" — დაამთავრა ოყაჯადომ და სიამაყისგან გაბერილ გულზე ხელი ჩამოისვა. მერე ჩვეულებისამებრ შეიშმუხნა შუბლი და იყვირა: ბავშვი ვისიაო!

კუსას ნერწყვის გადაყლაპვა გაუჭირდა. ერთი წამით გადაწყვიტა ხმას აღარ ამოვიღებ, გინდაც აქვე მომკლანო, მაგრამ მაშინვე შეუწყრა თავს, აბა, რიღასთვის გამორბოდი, სიკვდილი თუ გინდოდა, თვითონაც მოგნახავდნენო.

პატარა უხეიროს დაღუპვის ამბავმა კუსა ფეხზე წამოაგდო, თითქოს უდაბნოში გზააბნეულმა და უაზრო ხეტიალისგან სასომიხდილმა მგზავრმა უცებ მამლის ყივილი გაიგონაო. მიხვდა, რომ გადარჩა, ამჯერადაც დააღწია თავი განსაცდელს, რადგან ამჯერადაც უდანაშაულო იყო, და მართლაც, რაღა მაინცდამაინც ზიარას უნდა გადაჰყროდა, რაღა მაინცდამაინც მის ცოლებს უნდა გასჩენოდათ მკვდარი ბავშვები, თუ ეს უსამართლო ქვეყანა მაინცდამაინც კუსას არ ჩასდგომოდა კრიჭაში? პატარა უხეიროს სიკვდილმა ცოტა დაამშვიდა: ეს გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე მკვდარი ბავშვის დაბადება, რომელსაც, ადვილი შესაძლებელია ღმერთები გასაპამპულებლადაც უგზავნიდნენ შვილსდანატრულ მამას. რა იყო გასაკვირი, რას არ იგონებდნენ ღმერთები, ერთი გულიანად რომ გადაეხარხარათ. ქალები რომ გამოყარა შინიდან, იმის მერე სულ ამაზე ფიქრობდა კუსა, გულაღმა იწვა ტახტზე, ცოდვის ტახტზე, ჭერს შესცქეროდა და მწარედ ეღიმებოდა ღმერთების ხუმრობაზე. გავიგე, ყველაფერი გავიგეო, ხმამაღლა ამოიძახებდა ხოლმე იგი და ახლა სკდებოდა გულზე, ამდენი დრო და ძალა ტყუილ-უბრალოდ რომ შეელია იმ საფრთხობელა ზიარასათვის. ზიარას გახსენებაზე ტანი აქავდებოდა ხოლმე, და ხელახლა ადუღებდა წყალს ერთხელ კიდევ რომ ებანავნა იქვე, შუა ქოხში, მაგრამ მდუღარეს არ შეეძლო შიშნაჭამი სხეულის დამშვიდება. იწვა და ფიქრობდა. საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა. საკმარისი იყო, ვინმეს ჩაეწვეთებინა ოყაჯადოსათვის, კაცი, შენ რომ პურს აჭმევ, იმის ნაცვლად, ხმალიც შენი რომ იქნიოს,

მკვდარ ბავშვებს აჩენსო, და გათავდებოდა ყველაფერი, ვეღარც ცა უშველიდა და ვეღარც მიწა. არა და, იმდენი ბტერი ყავდა, არც უნდა გაჰკვირვებოდა, ასე რომ მომხდარიყო. როცა ქალაქი ფრთიანი ბავშვებით გაივსო, უარესად დაფრთხა, უარესად იწამა აღსასრულის მოახლოვება. დარწმუნებული იყო, განგებ რომ ტრიალებდნენ ბავშვები მისი ქოხის გარშემო, განგებ რომ გაჰყვიროდნენ ასე, რათა სხვებისთვისაც დაენახვებინათ, სად იმალებოდა მთავარი დამნაშავე. მისმა დამთხვეულმა დედა-ბებიამაც ისეთი წიოკობა ასტეხეს, ქვეყანა შეუყარეს, ვითომ ძალიან დასწყდათ გული. გული დასწყდათ კი არა, სიხარულით ცას ეწიენ, ახლა რაღას გვისაყვედურებ, მკვდარ ბავშვს ნაბიჭვარი არ ჯობიაო? იწვა კუსა და გულს ასკდებოდა, იწვა და ცხოველური, შეურიგებელი სიძულვილით უსმენდა შოლტების წივილს, როგორც ჩირგვებში შიშისაგან მუხლმოკვეთილი მელია მოახლოებულ მწევრების ყეფას. თუმცა მელას რა უჭირდა, ოთხი ფეხი ჰქონდა, სირბილიც ეხერხებოდა; კუსა ყინვადაკრულ ჭრიჭინასავით შეყუჟულიყო ფიქრის დაბზარულ კედელში და გაინუწ-ყვეტლივ ელანდებოდა ვიღაცის ცერა თითი, მის გასაჭყლეტად რომ მოიწევდა, მოიწევდა და თანდათან იზრდებოდა. კუსას სჯეროდა, დამნაშავე რომ იყო, სასახლეში ნათრევს, არც უნდა გაჰკვირებოდა, ვიღაც ოხრის ჩიტობანაც მისთვის რომ დაებრალებინათ, შენმა მკვდარმა შვილებმა დაგვიფეთა ხალხიო. შოლტები კი წიოდნენ, ყველა კუთხე-კუნჭულს ქექავდნენ, ყველა ხვრელში მიძვრებოდნენ და კუსას შიშისაგან ხორციც სტკიოდა, ეწვოდა, ეგლიჯებოდა. შოლტების წივილი უფრო მალე ჩაწყნარდა ვიდრე კუსა ელოდებოდა, მაგრამ დუმილი უფრო ძნელი ასატანი გახდა, ხიფათის სუნით გაიჟღინთა, რადგან გამოცდილებით იცოდა, ეს დუმილი დასასრულს კი არ ნიშნავდა, არამედ ახლა უნდა დაწყებულიყო მთავარი: დამნაშავის გამონახვა. დამნაშავეს კი, ვერც შორს წასვლა მოესწრო და ვერც გადამალვა. ის თავის ქოხში იწვა, ხოლო მის ქოხს ყველა მიგანიშნებდათ, ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, რადგან კუსას ჭრელი ძაღლივით ყველა იცნობდა, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე. სანამ აურზაური იდგა ქალაქში, კიდევ იყო გადარჩენის იმედი, იმედის ნატამალი მაინც, კიდევ შეიძლებოდა დავიწყნოდათ იგი, მაგრამ ახლა, ამ მეფურ სიჩუმეში, ყველაფერი მაღლა ამოდიოდა, რაც კი აურზაურს ჩაეძირა და მიეჩქმალა. განა წყნარი ზღვა არ გამორიყავს ხოლმე ღელვაში დამხრჩვალს? ერთი შეხედვით, ყველა გზა გადაჭრილი იყო და, უნდოდა თუ არა, კუსაც უნდა შეჰგუებოდა ბედს, მაგრამ პატარა უხეიროს სიკვდილმა კუსას ისევ გაუჩინა იმედი. ახლა საქმე დასწრებაზე იყო, ახლა ერთის ნაცვლად ორი დამნაშავე არსებობდა და თუ სასახლეც კუსას თვალით შეხედავდა ორივეს, არც არჩევანი გაუჭირდებოდა. მისი უდღეური შვილი, ერთი წამით რომ გაიფრთხიალა, მართლაც რა მოსატანი იყო ფარნაოზის შვილთან. კი, მაგრამ რატომაო? რატომაო და იმიტომაო. თქვენ ის მითხარით, განსხვავებას თუ ამჩნევთ ამ ორ ბავშვს შორის? განსხვავება დიდია, არ შეიძლება, რომ არ შეამჩნიოთ. ერთი მკვდარი დაიბადა. მეორემ კი გაფრენა მომინდომა, ცოცხალი იყო და თავი მოიკლა, რადგან იმ მეორის მამიკო თვითონაც აფრენს ცოტას, ცოტას კი არა კარგა გვარიანად. იმდენი ქნა, იქამდე არ მოისვენა, სანამ შვილიც არ გაასულელა. მე მკითხეთ იმის ამბავი, მაგის მეტი რა ვიცი. ვის ყავს დასაღუპი შვილი? ან ბავშვს რა ჭკუა მოეკითხება, ბავშვი სულელია და მშობელმა უნდა აგოს პასუხი, მშობელმა უნდა ზღოს კოკურა, თუ მისმა ცერცეტმა შვილმა ჩაამთელა. რაც შეეხება ჩემს შვილს, ჯერ ისიც საკითხავია, მართლა ჩემი იყო თუ არა იგი. მე რატომ უნდა მიჩნდებოდეს მკვდარი ბავშვი, ვითომ, რა მეტყობა სამაგისო? მე რა ვიცი, მე რას მეკითხებით, ზიარას ჰკითხეთ. ქალი ოხერია,

ქალისაგან ყველაფერს უნდა ელოდოს კაცი.

ამგვარმა ფიქრებმა უარესად გაამხნევეს კუსა. ახლა მთავარი იყო, სხვასაც ასე ეფიქრა და მისკენ გამოშვერილი ხელი დროულად შეეტრიალებინა ჰაერში.

— ბავშვი ბიძაჩემისაა. ერთი ნათრევი კაცია, არც ოჯახში ივარგა და არც გარეთ. — თქვა კუსამ.

რადგან თქვა, ბოლომდენაც უნდა ჩაჰყოლოდა, დაზოგვას აზრი აღარ ჰქონდა, მაინც ვეღარაფერს უშველიდა ფარნაოზს, უნდა ელაპარაკნა, სანამ გააჩუმებდნენ, სანამ მობეზრდებოდათ მისი მოსმენა და დაუყვირებდნენ: გაეთრიე. მოგვშორდი, გავიგეთ ყველაფერიო.

—მამამისი სახელგანთქმული მეომარი იყო, ჯერ მამათქვენის, მერე კი თქვენი მონა და მორჩილი. — ჰყვებოდა კუსა . — უხეირო ერქვა, მაგრამ ერთ ლაშქრად ღირდა. შვილს მაინც ვერ მოუარა, ან როგორ უნდა მოევლო, თვითონ იყო საპატრონო, შინ ნახევარიღა მოიტანეს, ეტლს გადაევლო ფეხებზე. შვილმა ქვისმთლელობა ისწავლა და ამით იქცევდა თავს, მთელი დღე ქვას უკაკუნებდა. ბიძაზე ძვირი არ უნდა თქვას კაცმა, მაგრამ ვერ იყო მთლად დალაგებული, საწყალი დედაჩემი და ბიცოლაჩემი თავზე ევლებოდნენ, ნამუსს უნახავდნენ, არ გამოჰქონდათ გარეთ მისი ამბავი, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი... (კუსამ უცებ იგრძნო, ფარნაოზზე ისე რომ ლაპარაკობდა, როგორც მკვდარზე, მაგრამ ამან კი არ შეაწუხა, უფრო წაახალისა, დაარწმუნა, სწორედ რომ იქცეოდა, მკვდარს რაღა ეშველებოდა, ცოცხალს უნდოდა გადარჩენა, ცოცხალი კი თვითონ იყო). — მე მგონი ვიღაცამ ვირის ტვინი აჭამა, — გააგრძელა კუსამ. — იმის მერე სულ ცისკენ ეჭირა თვალი. სახედარივით იდგა და ცას უყურებდა. ხან მე, ხან დედაჩემი, ხან ჩვენი თინიკო, შევუძახებდით ხოლმე და როდის-როდის ისიც ფხიზლდებოდა. ხე, ხე, ფხიზლდებოდა კი არა, ტოროლა, გაგვეცლებოდა ხოლმე, უფრო მყუდრო ადგილი რომ მოენახა. რაღაც ბევრი ბალავრძელო, იქამდე არ მოსვენა. [illegible] შვილიც არ დაღუპა. საყვარელი ბავშვი იყო, ფუნჩულა, მაგრამ მამასავით ოხერი და ბრაზიანი. თვითონ სადღაც, ჯამბაზებისგან ესწავლა ფრენა და აჩემებული ჰქონდა, გინდა თუ არა, ჩემს შვილსაც უნდა ვასწავლოო. ჯერ შვილს ვასწავლი და მერე სხვებსაცო. არ მჯეროდა მისი ლაყბობისა, ჩემი იმედი ნუ გაქვს მეთქი, ენა დაიმოკლე, თორემ მე თვითონ მოვახსენებ მეფეს ყველაფერს მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ?! ერთხელ ჯოხიც მოვუქნიე, კოჭი მინდოდა მომემტვრია, მაგრამ აფრინდა და აიცდინა.

ცუცამ რაღაც უჩურჩულა ოყაჯადოს. ოყაჯადომ ხელი ასწია, კუსა გააჩუმა და ჰკითხა, შენ ერთხელაც ხომ იყავი აქაო.

— რა ხანია თქვენს სამსახურში ვდგავარ. — გაიღიმა კუსამ, ვითომ როგორ დაგავიწყდითო. გულში კი ერთი სიკვდილი გაათავა, რომ მკითხოს, რას ვაკეთებ, რა ვუპასუხოო, მაგრამ მალევე დამშვიდდა, რადგან ელვასავით გადარბენილმა შიშმა გონება გაუნათა და უცებ მთელი არსებით, ყველა ძარღვით, ყველა ძვლითა და ტვინის ყველა ხვეულით ერთბაშად იგრძნო, ამ ერთი დღისათვის რომ უხდიდნენ აქამდე ფულს, თითქოს წინასწარ იცოდნენ აუცილებლად რომ დადგებოდა ეს დღე და კუსასაც საშუალება მიეცემოდა სამაგიერო სამსახური გაეწია თავისი პატრონისათვის, წლების განმავლობაში დაუფიქრებლად რომ უყრიდა ქისაში ფულს, ყოველთვის ბევრი რომ ეჩვენებოდა კუსას, რადგან უზრუნველად, ხელის გაუნძრევლად მოსდიოდა. ახლა კი ეცოტავა. მისგან გაწეული სამსახური გაცილებით მეტი ღირდა, მან ხომ დამნაშავე აპოვნინა ოყაჯადოს, უბრალო კი არა, ქურდბაცაცა კი არა, ქვეყნისათვის საშიში კაცი. თანაც ის კაცი მისი ბიძა იყო, დედის ძმა და არც ეს უნდა გამორჩენოდათ ანგარიშში.

დამნაშავის მოსპობასთან ერთად დანაშაულიც ისპობოდა, ეს კი დიდი საქმე იყო, რადგან ამგვარი დანაშაულის არსებობა ტახტსაც აყენებდა ჩრდილს და ტახტზე მჯდომარესაც. „აი, თურმე რისთვის ვჭირდებოდიო,—გაბრაზდა კუსა. — შე კაი კაცო, თუ ასეთი საჭირო ვიყავი, ასე იაფად რატომ შემაფასეო, მცოდნოდა მაინც, ჩემი საქონლისათვის მე თვითონ რომ დამედო ფასიო“. კუსა ახლა უფრო თამამად და უტიფრად მიაჩერდა ოყაჯადოს, მაგრამ ოყაჯადო კუსას ვეღარ ხედავდა, მისი მეფური გონების თვალი ჩირაღდანივით დაეძებდა იმ პატარა გამოქვაბულს, რომელშიაც მისი ტახტის მტერი შეყუჟულიყო.

კუსა აქეთ რომ მოდიოდა, მარტო თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, მაგრამ საქმე ისე შემობრუნდა, იქნებ რამეს გამორჩენილიყო კიდეც. ფარნაოზს მართლა აღარაფერი ეშველებოდა, ახლა გინდაც გადაეთქვა, ვიღა დაუჯერებდა. არა, ფარნაოზი მკვდარი იყო და დამარხვაღა აკლდა, თუკი რაღა თქმა უნდა, მიწას მაინც აღირსებდნენ. ის კი, ამქვეყნად რჩებოდა და ფარნაოზსაც კარგად მოეხსენებოდა, რამდენი რამე სჭირდებოდა კაცს ამ ვერაგ ქვეყანაზე. „დავიჯერო, არაფერს მომცემენო“ — გაიფიქრა კუსამ და მხარზე გადაკიდული ტომარა განგებ შეისწორა, რათა ტომრის ყღრიალს ოყაჯადო გამოეფხიზლებინა და ისევ შეემჩნია იგი. „რა ვქნა ბიძაჩემო, ესაა ჩემი სამსახურიო“ ერთხელ კიდევ მოუბოდიშა გუნებაში ფარნაოზს და სამივეს: ტახტსაც, ტახტზე მჯდარ ოყაჯადოსაც და ოყაჯადოს მკლავზე დასკუპებულ ცუცასაც, — ერთად გაუღიმა.

— გაუშვი ეგ კაცი, ტყუილად რაღას აცდენ. — უთხრა ცუცამ ოყაჯადოს.

ოყაჯადომ გაკვირვებულმა შეხედა კუსას, თითქოს პირველად ხედავდა, თითქოს ტომარაგადაკიდებული, წვრილკისერა და ქოჩორგადაგლეჯილი კაცი ეს წუთია ამომძვრალიყო მიწიდან. „რაღა უნდა, აკი ყველაფერი ვთქვითო“ — მიუბრუნდა ოყაჯადო დედას. ცუცამ კუსას შეხედა, გაულიმა და უთხრა: ბეჭედს გაჩუქებდი, მაგრამ ქმრის სახსოვარია და მენანებაო.

ფარნაოზს არაფერი გაუგია, როგორ გამოიყვანეს მღვიმიდან, როგორ გამოატარეს მთელი ქალაქი, რათა ყველას მისცემოდა საშუალება ტახტის მტრის დანახვისა, ნაცარი რომ მიეყარა, მიეფურთხებინა, ანდა დაეწყევლა მაინც. მაგრამ სასახლისათვის მოულოდნელად, პირმოკუმული ხალხი შიშითა და თანაგრძნობით აყოლებდნენ თვალს ტანჯულ ადამიანს, რომელსაც ოყაჯადოს ჯარისკაცები ფიჩხის გუდურასავით მიათრევდნენ ქუჩაში. ფარნაოზს არც ქალების ზუზუნი ესმოდა და არც კაცების გადაფითრებულ სახეებს ხედავდა, დაუძლურებულ გონებას ბავშვობაში გადაეყვანა იგი, ისევ ის დღე ეგონა, როცა ერთი კვირის „ნაავაზაკარი“ მოღუშული მიაბიჯებდა ახარხარებულ თანამოქალაქეთა შორის და მხოლოდ იმას ცდილობდა არ წაებორძიკა, არ წაქცეულიყო, არ გაბრაზებულიყო და ბოლომდე ჩაეთავებინა ქუჩა, რათა ყველას შესძლებოდა, დამტკბარიყო მისი ცქერით, დამარცხებულის ცქერით. ისე, კაცმა რომ თქვას, დიდად არც განსხვავდებოდა ეს დღე იმ დღისგან, უბრალოდ, ერთი დამარცხების დასაწყისი იყო, მეორე კი — დასასრული. ამ ორ დღეს შუა მოქცეული დრო, ფუჭი დრო იყო, ფუყე კაკალი, რომელიც ხეზე კი ეკიდა, დანარჩენი კაკლების მსგავსად, მაგრამ მათგან განსხვავებით, ერთმანეთზე მიტყუპებულ, ორ მტკიცე ნაჭუჭს შორის სიცარიელე მოემწყვდია მხოლოდ.

კოშკის კედელზე რკინის ორი რგოლი მიეჭედებინათ, რგოლებში მაჯის სისხო თოკები გამოეტარებინათ და მათი მოდუნებული ბოლოები ყალყზე შემდგარი გველებივით ირხეოდნენ ფარნაოზის თავთან. ფარნაოზი კოშკის ძირას იწვა და ცალ მუხლზე ჩაჩოქილი

ჯარისკაცი თულუხიდან წყალს ასხამ და სახეზე. მოედანზე ტევა აღარ იყო. ფუტკრის სკებივით ზმუოლნენ პირმოკუმული ქალები. უმწეო თანაგრძნობას კაცებისათვის ყბა ჩამოეგრძელებინა. გაჩახჩახებული მზე ფასკუნჯივით ფოფინობდა აპრიალებულ სახურავებზე და მისი მხურვალე ამონასუნთქი უარესად არეტიანებდა ხალხს. სინათლისგან აჭრელებული თვალებით ყველანი მზეს მისჩერებოდნენ, მზის იმედი ჰქონდათ, თითქოს მზე მართლა ფასკუნჯივით დააცხრებოდა კოშკის ძირას გაშოტილ ადამიანს და სამშვიდობოს გაიტაცებდა. უცებ ვიღაცამ იყვირა: შეხედეთ შეხედეთო, და ხალხის გატრუნულ ზღვიდან ჯერ ფარნაოზის ჩაქინდრული თავი ამოტივტივდა, მერე ფრთებივით გაშლილი, იღლიებში თოკებამოტარებული მკლავები და ბოლოს მთელი ტანი: თავიდან ფეხებამდე, ჩვარივით მჩატე და უსიცოცხლო. ჯარისკაცები, რომლებიც ფარნაოზის იღლიებში ამოტარებული თოკის ბოლოებს ეჭაჩებოდნენ, არ ჩანდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ფარნაოზი თავისით მიიწევდა მაღლა. კედლის ხორკლიან ზედაპირზე გადატყაული ზურგი სველსა და მოშავო კვალს სტოვებდა. ფარნაოზს არც ახლა გაუგია რამე, მან მიწაზევე დაკარგა გონება, და, ჩამოხლეჩილი ტოტივით უგრძნობელი, მშვიდად ირწეოდა ჰაერში.

მთელი ღამე ენთოთ ცეცხლი ჯარისკაცებს და მორიგეობით წათვლემდნენ ხოლმე, თითქოს ვინმე მოვიდოდა ამ გაფშეკილი ტოტის მოსაპარავად. ისინი ორნი იყვნენ, ერთი — დაბალი და მსუქანი, მეორე კი — მაღალი და გამხდარი; ერთი ბოროტი იყო, მეორე — კეთილი. ერთს მართლა ეძინა, როცა მისი ჯერი დადგებოდა, მეორე კი — თავს იმძინარებდა, რადგან ეჩვენებოდა, თითქოს კედელზე გაკრული კაცი ეძახდა: წყალი დამალევინე, ადამიანი არა ხარო. „არაფერი გესმისო?“ — ეკითხებოდა მეორეს, მაგრამ მეორეს მხოლოდ ცეცხლის ვნებიანი კრუსუნი და ბაყაყების ყიყინი ესმოდა. დილით ორივენი მოშხამულები იყვნენ. ერთს გადატანილი შიში და სინდისის ქენჯნა აწუხებდა, მეორეს — დაქუცმაცებული ძილი და გაკაპასებულ ცეცხლთან ყურყუტი. ერთმა გაიზმორა და მაღლა აიხედა, აიხედა და გაშეშდა, ხელებგაშლილი და უკან გადაზნექილი, თითქოს უეცრად წელკავი შეაფრინდაო. „მომკვდარა, გესმის; კაცო მომკვდარაო“ — დაუძახა მეორეს. მეორე ჩანავლულ ცეცხლს მისდგომოდა და შარდით აქრობდა. ნაღვერდალზე გადაკრული, სქელი, დაპობილი ფერფლი შიშინებდა და თეთრ ბოლს უშვებდა. „რა მოკლავდა, ვერა ხედავ, თვალებს როგორ აბრიალებსო“—გამოსძახა პირველს. „თვალებს ვინ დაუხუჭავდაო?“ — შეეპასუხა პირველი. „არა, მეთქი“ — გაჯიუტდა ცეცხლთან მდგარი და ერთი ისე შეიკუნტრუშა, თითქოს ზურგზე მოკიდებული ტვირთი შეისწორაო. მერე დაიხარა, ქვა აიღო და თქვა: აბა, თუ არ გჯერა, მიყურეო. ქვა ფარნაოზის ახლოს მოხვდა კედელს და გვერდზე გასხლტა. პირველმა უნებურად თვალები დახუჭა. „ჰე, ჰე, ჰეეეო“ — შესძახა ქვისროლიამ და კედელზე გაკრულმა კაცმა მის ყვირილსაც რომ არ მიაქცია ყურადღება, თვითონაც დაეჭვდა, მგონი მართლა მომკვდარაო, და ისევ ქვას დაუწყო ძებნა. „მოიცა, მოიცა, ახლა ჩემი ჯერიაო“. — აყვირდა პირველი, გულში კი ფიქრობდა, ასე ჯობია, მე გამეტებით მაინც არ ვესვრიო. ახლა ორივენი მონაცვლეობით ისროდნენ. ვერცერთი ვერ აჰვედრებდა მიზანს, რადგან ერთი ჩქარობდა, არ მაჯობოს ამ კრუხის პალომო, მეორე კი, ყველა გასროლაზე გულს ასკდებოდა, ეს რა ვქენი, თავიდან რატომ ავიღე ქვაო. ბოლოს ქვამ მიზანს მიაღწია, რომლისა იყო, თვითონაც ვერ გაარკვიეს, ნასროლი კი მაგარი ჩანდა, რადგან ჰაერში გამოკიდული კაცი მთელი ტანით შეთრთოლ-

და და თავი მეორე მხარეს გადაუვარდა.

ტკივილმა ფარნაოზს გონება დაუბრუნა, ცხენივით ფეხზე დამძინებიაო, გაიფიქრა და კედელს მოშორდა. ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა დაგადგმული, წყვილი კვიპაროსი რომ დაინახა, მერე მომლოდინე ქალივით ღობეზე მკლავებგადმოწყობილ ლეღვსაც შეასწრო თვალი და გული აურთოლდა, მამისეულ სახლთან მოსულიყო „რა ახლოს ყოფილა აქედან ჩემი სახლიო“ — გაუკვირდა ფარნაოზს და უნებურად უკან მოიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, ტრიალი, გადაძოვილი მინდვრის მეტი, არა და, ცხადად გრძნობდა, ვილაცა რომ უთვალთვალებდა. მინდორს თვალი ვეღარ მოაშორა და იქამდე უყურა, სანამ გაქუცულ ბორცვებს შორის თიხის უზარმაზარი გომბეშო არ შეამჩნია. გომბეშო შუა მინდორში დასკუპებულიყო და ფარნაოზს უყურებდა, ყელი უბუყბუყებდა, გეგონებოდათ კისერზე ჭიაყელებით სავსე ტოპრაკი შეუბამთო. „მდიოს რამდენიც უნდაო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა და ჭიშკარი შეაღო. ეზოს მოკირწყლულ ბილიკზე დედალუსის კუტი შვილი, იკაროსი იჯდა, ხელში ვაშლი ეჭირა და ფილაქანზე ყეყავდა. ღობის ძირში ქათმები კაკანებდნენ. ბავშვებიცა და მთელი ეზოც ჩრდილის ბადეში გახვეულიყო. იკაროსმა, ფარნაოზი რომ დაინახა, ვაშლი გადააგდო და ხელები გაუწოდა. ვაშლს ბავშვის ნაკბილარები წარწერასავით დამჩნეოდა. ფარნაოზი დაიხარა, მაგრამ სანამ იკაროსს აიყვანდა, ერთხელ კიდევ მოათვალიერა ეზო, თითქოს ბავშვის მოსაპარად მოსულიყო. გაჩარებულმა ბავშვმა ჩიტივით შეიფრთხიალა ფარნაოზის ხელებში და ფარნაოზს გული გაუთბო, იგრძნო სიკეთეს რომ სჩადიოდა და არაფერი ჰქონდა საფრთხილო. არავინ დაუშლიდა ბავშვის წაყვანას, ის კი არა, ალბათ, ელოდებოდნენ კიდეც, იცოდნენ რომ უნდა მოსულიყო და ამიტომაც დაესვათ ბავშვი ეზოში.

„გავიაროთო?“ — ჰკითხა ფარნაოზმა, მაგრამ ისე გაუჭირდა ამ ერთი სიტყვის თქმა, თითქოს პირველად ეუბნებოდა ქალს: მიყვარხარო. გამოვიდნენ თუ არა ეზოდან, გულზე შემოეყარათ, ჭაობი ჭიშკრამდე მოსულიყო. „ჩემი ბრალია, დავაგვიანეო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა, ხმამაღლა კი თქვა: აი, ხომ ხედავ, არაფერია გულისდასაწყვეტი შენი ეზოს გადალმაო. მაგრამ იკაროსმა თითქოს ვერც გაიგო ფარნაოზის ნათქვამი და ტანი ისე გაიქნია, — ოგორც მხედარმა გაოჩნებულ ცხენზე. ფარნაოზმაც ხათრი ვეღარ გაუტეხა და პირველი ნაბიჯი ფრთხილად გადადგა, უფრო მკვრივი, საიმედო ადგილი რომ მოეძებნა ფეხის მოსამაგრებლად. ჭაობმა მაშინვე უკან დაიხია, თითქოს წყვდიადს ჩირაღდანი მიანათესო. ბავშვმა ისევ შეიფრთხიალა და ფარნაოზიც თამამად მიჰყვა უკანდახეულ ჭაობს. ნაჭაობარზე ხის კენწეროებმა ამოჰყვეს თავი, მალე მთელი ტანით ამოიზარდნენ მიწიდან და მათ თვალწინ ვაშლის უსასრულო ბაღი გადაიშალა. „აგე, დარიაჩანგის ბაღიო“ — დაიყვირა ფარნაოზმა და გაოცებული ადგილზე გაშეშდა. დარიაჩანგის ბაღი მზეზე ხასხასებდა, დამათრობელ სურნელს აფრქვევდა, ალაგ ყვაოდა, ალაგ მწიფდა და ალაგ უკვე ნაყოფი ჩამოსდიოდა. ფუტკრების ჯოგი ოქროს მტვერივით ედგა თავზე, შორს, თვალის საწიერამდე, გაჭონდა ნიავს მისი ყვავილი. ბაღიდან თეთრი თიკანი გამოვიდა, ერთ ადგილას გაქვავებული კაცი და ბავშვი რომ დაინახა, დაიკიკინა, სიხარულისაგან შეიკუნტრუშა და ისევ ბაღში შეტრიალდა, თითქოს ეუბნებოდათ, მანდ რას უდგეხართ, აქ მოდით, აქ ჯობიაო. მერე ბაღს გადალმა ზღვამ ამოიფშვინა, მძლავრი სუნთქვით კენწეროები გადაზნიქა და ფარნაოზს თავბრუ დაახვია უსასრულო სილურჯემ. იკაროსიც აეფორიაქებინა ამ ზღაპრულ სანახაობას. ვეღარ ისვენებდა, ცქმუტავდა, წინ იწევდა, თითქოს უფარნაოზოდაც წავიდოდა: გაფრინდებოდა, ვაშლის ყვავილივით გაჰყვებოდა ნიავს. მაგრამ ფარნაოზიც უფრო ღონივრად უჭერდა ხელებს, თითქოს ეშინოდა, მართლა არ გაფრენოდა ბავშვი, მართლა არ აჰყოლოდა ცდუნებას.

„მტკივა, გამიშვიო“ — ვეღარ მოითმინა იკაროსმა.

— არა, არსადაც არ გაგიშვებ, — უცებ აღელდა ფარნაოზი.

მერე ბავშვს ყურის ბიბილოზე აკოცა და ჩასჩურჩულა: აი, ასეთი იქნება ქვეყანაო.

— ასეთი ხომ არის?! — გაუკვირდა იკაროსს.

— ხო, არის და იქნება კიდეც. — უთხრა ფარნაოზმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲘᲕᲘ ᲨᲔᲨᲕᲔᲭᲙᲝᲠᲘ

ᲛᲔ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ

მე იმ ქალაქში ამ ქალაქიდან
როდესაც წავალ და დავმუნჯდები,
შენ ჩაიბარე ჩემი მაგიდა
და გამოაღე ჩემი უჯრები.
ნუ მოექცევი, როგორც ვანდალი,
უმწეო ხელი რასაც ბღაჯნიდა,
კიდევ დამინთე ორი შანდალი —
ერთი მარცხნიდან, ერთი მარჯვნიდან! ..

შანდლების სხივზე გაიცრიცება,
რაზეც ვწვალობდი და ვჯახირობდი,
ვით პროექტორის შუქზე იცვლება
დეკორაცია ან მსახიობი...
გაუგებარი არის ბრმათათვის
თუ ეს ცხოვრება რაა მწერლისთვის —
არკოლეს ხიდზე დროშით გადადის,
ყოველი დღეა აუსტერლიცი...

ხალხი კვდება და ხალხი კვდებოდა
ძველი სტილით და ახალი სტილით,
ფასდება არა თანამდებობა,
არამედ კაცის საქმე და წვლილი....
შთააგონებდე მხოლოდ სიყვარულს,
ცხოვრების ჭუჭყმა ანდა ნაგავმა
რომ არ დაგახრჩოს, მუდამ იყავი
მოუსყიდველი, ვით ამალგამა.

თუ დაირღვევა ათივე მცნება,
კაცი, რომელიც ცოცხლადვე ლპება
შენ ნუ იქნები... ო, ნუ იქნები
ვაუმაძღარი ანდა მლიქვნელი
და შენი სულის ამღვრეულ ფშანში
გადაარჩინე უბიწო ბავშვი...

გიტოვებ ქალაქს, მე ის მიყვარდა
და იყო ჩემი მესაიდუმლე,
გაშუქებული დგას ნარიყალა,
მატარებლებით კივის დიდუბე...
მე რომ უთქმელი სევდით მიყურებს —
გიტოვებ მთვარეს და ამის გარდა
ძველი აივნის დამსკდარ რიკულებს
და დარეჯანის სასახლის ჩარდახს.
გიტოვებ კიდევ მტკვარსა და მეტეხს,
წყალზე დახრილი სახლების ტივტივს,
მე არაფერი არა მაქვს მეტი,
ეგ არის ჩემი ძვირფასი ნივთი...

რადგან ოდესმე მე ამ ქალაქში
კვლავ დავბრუნდები, როგორც დერვიში,
უნდა დავტოვო სიტყვა ხალასი
და არა ოქრო ანდა სერვიზი.
მე არას ვაქნევ უძრავს და მოძრავს
და გავრეულვარ სანამ ლანდებში,
გიტოვებ ჩემი სამშობლოს ლოცვას...
ეგ არის-მეთქი, ჩემი ანდერძი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთა

მან იცის, როდის ჩაგვისახლდა სულში დემონი,
შეუცნობელის ბურუსიდან ვით გამოვედით,
ჟამის სრბოლაში როგორ ჩავებით.
იქ ალექსანდრე მაკედონელის სტატერებივით გაბნეულები
ბრწყინავენ მზეზე სახურავები...

იქ უსმენს ღამით ზედაზენზე ტურების კივილს და იქვე
ცხოვრობს იბერიელი,
მისთვის ჟამია უმოძრაო, ვით სირიუსი, არ დაქცეულან
იმპერიები...

ძალაუფლებით გაბრუებული პიტიახშივით დიდებულია
კლდეზე გართხმული საღამოს ლანდი,
ყოველი ერის ისტორია არის წყვდიადი, განათებული
მრავალი შანდლით...

არეულია სახეები და სახელები... დამარცხებული და
უძლეველი...
ვესპასიანე სებასტოსი და პომპეუსი. დომიციანე. ადრიანე.
სეპტიმ სევერე...

სტრაბონი. დიონ კასიუსი. კესარიელი. და ამიანე მარცელინე.
და ტაციტუსი...
არშუშა. ვარსქენ. ასპარუგ. ზევახ თვლემენ წარსულის
ტყვეობაში და ცხრაკლიტულში.

სასანიდები. პართელები. კოტარზ და ოროდ. და ადრე კიდევ
სელევკიდები.
ხალხი სოროდან გამოჰყავს მხოლოდ
თავისუფლების უსაზღვრო წყურვილს
და მაშინ დგება ჟამი დიდების

კაცი აწმყოშიც წარსულით ცხოვრობს
და მომავალშიც წარსულით ცხოვრობს,
იგი იმიტომ არის ამაყი.
ქვევრის ნამტვრევი, შუბის პირები, ბრინჯაოს სალტე ანდა
ამფორა არის წინაპრის ანდერძნამაგი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ფეოდალი გარშემორტყმული, ფერდობზე მხნეობს ციხე
ბებერი,

ქონგურებიდან იმზირებიან
ხანგრძლივი მარხვით გაბეზრებულნი
და წვიმის წყალზე მეოცნებენი.

მათ არ იციან, ეს ნანგრევები რა ნუგეშია მათი შვილისთვის!..
ჩამოდის ნისლი. ალბათ იწვიმებს...
ზაფხულის ღამის თავსაბურავზე
არ გაიბნევა ოქროს კილიტი...

იქით მიიწევს თეთრი ღრუბელი, სადაც სატახტო არის
ყოფილი
და ნისლში ზოგჯერ სვეტიცხოველის ამოდის ჯვარი
წყალქვეშა გემის პერისკოპივით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი

თავფარავნელი ჭაბუკი

ზღვის გალმა, კოშკში, ქალი ცხოვრობდა.
ზღვის გალმა, კოშკში ცხოვრობდა ქალი...

1

თავფარავნელი ჭაბუკი დიდ ველზე ლაღად მიიწევდა, აალმასებული ცელი ეპყრა ხელთ, ბალახს თიბავდა. შარვლის ტოტები დაეკარწახებინა, წელზემოთ შიშველი იყო. ჰეიი, ცხელოდა... ღონივრად იქნევდა დაჭიმულ მკლავებს და დაკუნთული მხრები უბზინავდა თავფარავნელ ჭაბუკს, წარბებშეკრული, მკაცრად მიაბიჯებდა ველზე და ნაკვალევზე მოთიბული ბალახ-ბულახი რჩებოდა, შიგადაშიგ გვირილაშერეული, გაკვირვებულთვალება... მადიანად სუნადენილი, წოწოლა ძნების ჩრდილში გოგოები იდგნენ, გვერდზე გადახრილნი, კოკებით ხელში... თავფარავნელი ჭაბუკი ვერც იმათ თვალებს ამჩნევდა, შხუილით მიიკვლევდა გზას, მოცელილ ბალახში უზარმაზარ წვეთებად გაბნეულიყო ყაყაჩო, ველზე მიიწევდა ჭაბუკი, მიწა — დიდი ქალი იყო, ტკბილად ოხშივარადენილი, ქალი იყო და მწვანე კაბა ეცვა, წითელკობლება... ბალახს თიბავდნენ! წელამდე ბალახს თიბავდა ბიჭი, ბეჭებს უთვალიერებდნენ ჩრდილში მიმდგარი გოგოები, უჭვრიტინებდნენ... ბალახს რა — სხვებიც თიბავდნენ, მაგრამ ეს ბიჭი, ეს ბიჭი მაინც სუფულ სხვა იყო და... ერთი მაინც, ის ერთი გოგო, ეფემია, კოჭლი, სულ თვალებითა სჭამდა და თან თავსაფრის ბოლოს დიდი, თეთრი კბილებით ღეჭავდა — მოსწონდა ბიჭი... თავფარავნელი ჭაბუკი კი დინჯად, ღონივრად მიიწევდა ველზე, ის მაღალი, დაკუნთული ტანი ცელის ყოველი მოქნევისას ერთი ჩამოსხმული ფეხიდან მეორეზე მოხდენილად ირწეოდა, და გრუზა ქოჩორს უწეწდა ქარი... იმ კოჭლმა გოგომ კი, იმან, ეფემიამ, ღეჭვა შესწყვიტა და მკლავები ჩამოეყარა — თავფარავნელი ჭაბუკი შეჩერდა, გოგოებისაკენ თავი შეატრიალა, ყელზე ჩამოისვა ხელი. მერე თავადაც შემობრუნდა, გოგოებს შეხედა და ცოტათი ეხამუშა — ყველა, ყველანი შესციცინებდნენ. ერთი-ღა იდგა თავდახრილი, მორცხვი, უთქმელი, და იმას სთხოვა:

— თებრონე, წყალი დამალევინე, გო...

იმან კი ძლივას ახედა და ჩუმად, ვედრებით უთხრა:

— ცივ-ცივს მოგიტან. გათბებოდა და...

თავფარავნელმა ღონივრად გაიქნია

თავი, თვალებზე ჩამოშლილი გრუზა თმა მოიცილა და გაუღიმა:

— მომიტანე, გო...

ისე გაახარა... გოგომ კოკას ჩასჭიდა ხელი, მუხლიც შეაშველა და წვრილი ყელიდან სულ ხტუნვა-ხტუნვით წამოვიდა წყალი. სხვები შურით უმზერდნენ, იმან კი, კოკა რომ გამოსცალა, თავსაფარი კოხტად შეისწორა, წარბზე გაისვა ხელი — ჰეე, გზას გაუდგა:

თებრონე მიდის წყალზედა,
კოკა უდგია მხარზედა,
კოხტა გოგოვ, გენაცვალე, ხევ-ხევ
თებრონეო...

ორღობეში თუთა ეყარა, ბზუილით დასტრიალებდნენ ფუტკრები. გახარებული ჩვენი თებრონე წყاროსკენ მიაბიჯებდა და ვიღაც ავყიამ, მოვისპერანგამ, მიმოიხედა და ქურდულად დაადევნა:

კარგო, მოგივალ წყალზედა,
გაკოცებ ორსავ თვალზედა,
კოხტა გოგოვ, გენაცვალე, ხევ-ხევ
თებრონეო...

მაგრამ თებრონეს იმისი დარდი არა ჰქონდა, გაბრაზდა კიდეც — მშვილდივით წარბები შეიკრა, ტუჩი აიბზუა. მაგრამ მალევე გაიღიმა — ის ბიჭი გაახსენდა, თავფარავნელი...

თებრონემ კოკა გაავსო,
თანაც შეიდგა მხარზედა,
კოხტა გოგოვ, გენაცვალე, ხევ-ხევ
თებრონეო.

გახარებული, მსუბუქად მიაბიჯებდა. ერთხელაც შეიკრა კოპები, იმ მოვისპერანგას ისევ რომ ჩამოუარა, ისე კი, თავსაფარი მიედო ტუჩზე და, გახარებული, მალულად იღიმებოდა. თავფარავნელ ჭაბუკს შორიდანვე მოჰკრა თვალი, თავი დახარა. ფრთხილად მიაბიჯებდა მოთიბულ ბალახზე, მიუახლოვდა, შედგა...

თებრონემ კოკა ჩამოდგა,
მანდილს იფარებს თავზედა,
კოხტა გოგოვ, გენაცვალე, ხევ-ხევ
თებრონეო.

გოგომ ორივე ხელით გაუშვირა კოკა, მაგრამ თავფარავნელმა ცელი ტარით ჩაასო მიწაში და ჩალმაებული ხელისგულები შეუშვირა:

— შენს გახარებას, წყალი დამისხი...

თებრონემაც პირი განზე იქცია და კოკა გადახარა. მორცხვად ირჯებოდა თავფარავნელი ჭაბუკიც — მსუბუქად იპკურა პირზე წყალი — დედამისს რომ ჰკავებოდა ის დაცვარული კოკა, იცოცხლე, ის აფრუტუნდებოდა —გადაღლილი და ახურებული... მაგრამ ამ განზე პირმიქცეული გოგოსი ერიდებოდა და ფრთხილად ისვამდა ხელისგულებს ლოყაზე. თებრონეს ხომ კითხვაც არ უნდოდა —გული უფრთხიალებდა... და თავფარავნელი წელში რომ გაიმართა და მზეს მიუშვირა სველი, წვეთებდადენილი სახე, გოგომ ერთი კი მალულად შეათვალიერა და უცებ ელეთმელეთმა დაუარა — თავფარავნელ ჭაბუკს ზედ ძუძუსთავზე დიდი, მწვანე, შემზარავად ალაპლაპებული ბუზი აჯდა, გოგომ შეჰკივლა და ორივე ხელი სახეზე აიფარა:

თებრონემ კოკა გატეხა,
ცრემლი მოადგა თვალზედა,
კოხტა გოგოვ, გენაცვალე, ხევ-ხევ
თებრონეო.

თავფარავნელი ჭაბუკი სიბრალულით უმზერდა დაბნეულ, გაფითრებულ გოგოს, ისე შეეცოდა, ისე შეებრალა, ველარ მოითმინა და, ლოყაზე

ბიჭმა თებრონეს აკოცა
იმ სოფლის შუა გზაზედა,
კოხტა გოგოვ, გენაცვალე, ხევ-ხევ
თებრონეო.

და, ალეწილს, გაოგნებულს, ის საზარელი სიტყვებიც უთხრა:

— შენ და და მე ძმა, გოგოვ, თებრონე...

ეეჰ... აი, ხო კარგად უთხრა, არა? აი, ხო გულით უთხრა, ხო სიყვარულით, საწყალ თებრონეს მაინც ერჩივნა, სილა გაეწნათ... გულდაწყვეტილი, მაინც ალერსით შესცქეროდა და, რომ

გამოერკვა, პირზე თავსაფარი აიკრა, მიწას დახედა და თქვა:

— კიდევ მოგიტან, არ მეზარება...

— მომიტანე, გო...

იმ თვალანთებულმა გოგომ, ძნასთან მიმდგარმა, ეფემიამ, კოჭლმა, თავსაფრის ბოლოს ღეჭვას უმატა და თვალი გააყოლა მიმავალს —

თებრონე მიდის წყალზედა,
კოკა უდგია მხარზედა,
კოხტა გოგოვ, გენაცვალე, ხევ-ხევ
თებრონეო.

მაგრამ გულში ისე ცუდად, ისე უსიამოდ ჩარჩა დიდი, მწვანე, ლაპლაპა ბუზი...

2

ზღვის გალმა, კოშკში, ქალი ცხოვრობდა.
ზღვის გალმა, კოშკში ცხოვრობდა ქალი.

ზღვის გალმა როგორც კი მოსაღამოვდებოდა, ერთი ავსული დედაბერი ჩაშავებული ფუღუროდან თავს ქურდულად გამოჰყოფდა და იქაურობას ავად მოავლებდა გადმოკარკლულ თვალებს. წამსვე შეიმალებოდა ფუღუროში, დაღამებას გატრუნული უცდიდა, მერე კი, მაგრად რომ ჩამობნელდებოდა, ჯერ მოკაუჭებულ ცხვირს გამოჰყოფდა, მერე თავს, გაძვალტყავებულ ხელსაც გამოაძვრენდა, გაჭირვებით გამოფოფხდებოდა ჩაშავებული ფუღუროდან — ზღვის გალმა, ტყეში, ყოველი ღამით, ერთი ავსული დედაბერი ჩაშავებული ფუღუროდან იბადებოდა. ცარიელა ძვალი და ტყავი იყო, მაგრამ დიდი მუცელი ჰქონდა, უთიმთიმებდა. უცნაური სიარული იცოდა — კი დაძუნძულებდა, მაგრამ ისე სწრაფად, ისე მსუბუქად და უხმაუროდ... მიძუნძულებდა და გაფარჩხულთითებიანი ხელები მოეხარა, მხრებამდე აეტანა, თითქოს დასაკლავ ქათამს დასაჭერად ეპარებოდა. ჯერ იმ თავის ხეს ერთი-ორჯერ შემოუვლიდა. მოათვალიერებდა, მერე იქითკენ გასწევდა, ორი ყვითლად აბრიალებული თვალი რომ ენთო — დაბალ, მოკლე ტოტზე იმისი ორბი იჯდა, დედაბერივით კაუჭა ნისკარტი ჰქონდა, ბრჭყალები ღრმად ჩაესო გამხმარ ტოტში და ამაყად, განზე იყურებოდა. შეხვედრას დიდი სიხარული ახლდა — ორბი ღონივრად გაშლიდა ვეება ფრთებს, დედაბერი კი ბრჭყალებზე გაძვალტყავებული, დაგრეხილი თითებით მიეფერებოდა, აჩურჩულდებოდა:

ლისო, ლისო, ქარი ქრისო — ლისიმ
დალალეო,
ჩემი ორბი ფრთასა შლისო — ლისიმ
დალალეო,

ხორცი არ გინდა, ხორცი?

როგორ არ უნდოდა — მხრებს აიწურავდა, ნისკარტზე კლანჭებს გაისვამდა. დედაბერიც საიდანღაც გამოაძვრენდა უმი ხორცის ნაჭრებს, მიუგდებდა. ორბი მიწაზე ფრთაგაშლილი ხტებოდა, სისხლიან ნაჭერს კლანჭებს ჩაასობდა, ნისკარტით გლეჯდა, ძიძგნიდა. დედაბერი კი ირგვლივ უტრიალებდა, შიგადაშიგ ჩუმ ტაშს შემოჰკრავდა და დაჰღიღინებდა:

ლისო, ლისო, ქარი ქრისო — ლისიმ
დალალეო,
ჩემი ორბი ხორცს ძიძგნისო — ლისიმ
დალალეო,

ხორცი გიყვარს, ხომ, ხორცი?

ორბი ხარბად იკორტნებოდა და მოზრდილ ლუკმას რომ ააგლეჯდა, თავს მაღლა სწევდა და ისე ყლაპავდა. და, ერთხელაც რომ აღაღო თავი, გახევდა — უფრო ააბრიალა თვალები, ავად იმზირებოდა სადღაც, შორით... დედაბერი კი მაშინვე მოიკუნტებოდა. თითებს სახელოში შეიმალავდა, დამჭკნარ კისერს მხრებში ჩაიძვრენდა, ფეხის წვერებზე შედგებოდა და, მობუზული, ისიც კოშკისაკენ იხედებოდა:

— ისევ ანთია?

თვალები ყვითლად უკიაფებდა გამწარებულ ორბს.

— ანთია, არა?

ზღვის გალმა, კოშკში, ქალი ცხოვრობდა.
ზღვის გალმა, კოშკში ცხოვრობდა ქალი.

3

თავფარავნელი ჭაბუკი ხის დაბალ ტახტზე იწვა, ხელები ამოედო თავ-

ქვეშ. იქვე, ბუხართან, დედამისი ფუსფუსებდა — თხელი, პატარა ქალი. ახლა, ზურგშექცეულს, თამამად მისჩერებოდა — იმ ყველაზე დიდ, დედაშვილურ სიყვარულს არ უხდებოდა თვალებში ციცინი. გამხდარმა ქალმაც კარგად იცოდა ეს — შვილს არასოდეს მოჰფერებია. რკინის ქალი იყო, გამრჯე —ტვირთი არ იყო ამა ქვეყნად, იმის დალეულ მხრებს რომ არ გაეძლო, სატკივარი არ არსებობდა ისეთი, ის რომ დაეკვნესებინა, უბედობას ვერ მოიგონებდი, ის რომ აეწუწუნებინა, ეგ იყო —შვილი ჰყოლოდა კარგად. დედას უმზერდა თავფარავნელი, უკვირდა —რაც თავი ახსოვდა, ისიც ახსოვდა, და ჯერ მძინარე დედა არ ენახა; არც ის უნახავს, დედას ლუკმა ჩაედოს პირში, ლუკმა კი არა, ყლუპი წყალიც არ შეუსვამს მის თვალწინ და ესენიც რომ არა, სკამზე ჩამომჯდარიც კი არ უნახავს არასდროს დედა — დღენიადაგ ფუსფუსებდა ქალი. საცა გაივლიდა, გზად რაღაც უცხო, თბილი წესრიგი დამყარდებოდა, გამოივლიდა — ისევ იპოვნიდა რაღაც საზრუნავს.

დედის რკინის ზურგს შესცქეროდა თავფარავნელი. ალბათ, როცა კერავდა, იჯდა. წყალსაც ყოველდღე სვამდა ალბათ, მაგრამ შვილს დაინახავდა თუ არა, თავისი თავისა აღარაფერი ახსენდებოდა, სულ უნდა ეტრიალნა და ეფუსფუსა... ახლაც, ბუხართან ჩაცუცქული, შეჭამანდს ჰკმაზავდა და თავფარავნელს ასე უქმად წოლისა შერცხვა, წამოდგა. და თუმცა დედას თავი არ მოუბრუნებია, მაინც მაშინვე გამოხედა თვალის კუთხით.

— გავივლი, დედი...

— გაიარე, შვილო.

გიორგა პაპა სერზე ცხოვრობდა.

თავფარავნელმა სულ ჭენებით გადაიარა დიდი ველი და სერს რომ მიადგა, ჩამოქვეითდა. თავისი ცხენის დარდი კი არა ჰქონდა, — არა, იმას რა დაღლიდა — გიორგა პაპასთან ერიდებოდა ცხენდაცხენ მისვლა.

გიორგა პაპა — ჯაჭვით შეკრულა სიტყვების კაცი იყო.

იმ ხელნამგლიან, სატევრიან ხალხში მუდამ ერია რომელიმე ერთი, უცნაურად თვალებგაელამებული, ფიქრით სხვაგან წასული. ის, სწორეთ ის ერთი, დაფიქრებული დაბოტებდა ტყეში, ყანაში, ფოთლებს სხვაგვარად უმზერდა, საღამოობით გახევდებოდა, რიდით ასცქეროდა ღრუბლებსა და ვარსკვლავებს, და უბრალო ბალახ-ბულახი სხვებისთვის თუ არარაობა იყო, იმას უცნაურ, სიამენარევ ტკივილსა ჰგვრიდა, და ამ ბუნდოვან, ძნელად გამოსათქმელ სიხარულსა თუ სევდას თავისი სიტყვა სჭირდებოდა, ოფლითა და წვალებით მისაგნები, სისხლჩასაღვრელი, ერთი, ერთადერთი... დაფიქრებული დაალაჯებდა ტყეში, ყანაში, ნამგალს სხვებსავით კი იქნევდა, მაგრამ ფიქრით მუდამ სხვაგან იყო, დღისით, მზისით, მოიისფრო ბურანში დაიარებოდა, უცნაურ სიტყვებს შეჭიდებული, სანუკვარ ბგერებს ფათურით ეძებდა — რა ძნელი იყო იმ სიბნელეში, იმ ყალბი ფულების ზვინში, ბაჯაღლოს პოვნა და ამოცნობა! მისი ბრწყინვა კი ისე ტკბილია...

და გონებისა და აღტაცების ბასრი ნამგალი გიორგა პაპას ენის წვერზე დაკიდებულ, ერთადერთ სიტყვებს რომ მოამკევინებდა, გიორგა პაპა, სიხარულატანილი, აღზევებული, იმ ძვირფას სიტყვებს ლექსის მტკიცე ჯაჭვით გადააბამდა. დადიოდა და დაბუტბუტებდა, ყოვლისშემძლე იყო — მზეს მთვარესთან ასაუბრებდა, ზენა ქარს აშიკრიკებდა, ვაჟკაცთ აქებდა, ადიდებდა, ღიმილიან ქალებს შესტრფოდა და ეენამახვილებოდა — ჰეე, ახალგაზრდა იყო მაშინ გიორგა პაპა:

ნეტავი, გოგო, მე და შენ
ერთადამც დაგვაწვინაო,
დაგვხურა ჩემი ნაბადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლით დაუშვა წვიმაო,
ნეტავი, გოგო, მე და შენ
ერთმანეთს დაგვატოლაო,
რომელიც მეტი მოვიდეს
მაკრატლით გაგვასწორაო.

ფანდურზედაც დაამღერა და უფრო ძაან მოეწონა. აღტაცებული დადიოდა ერთხანს, მაგრამ გზად სხვა ქალი შემოეყარა — სხვა თვალ-წარბი ჰქონდა, უფრო სქელი ნაწნავი... არად უღირდა იმის შემხედვარეს ის ძველი ლექსი, იფიქრა, იწვალა, იომა და ლექსიც სხვა გამოიგონა:

შენი ქება შემომესმა,
შენი კარგი თავისა,
გაივლი და გამოივლი
შუქი გადგა მთვარისა,
ზურგზე ნაწნავი გაყრია
სიმსხო ჩემი მკლავისა,
თმის ქვემოდან შუბლი არის
საწერელი კალმისა,
შუბლს ქვეიდან წარბები გაქვს
მოწეული მაყვლისა,
აქეთ-იქით ლოყები გაქვს
საკბეჩები ვაშლისა,
ლოყებ შუა ტუჩები გაქვს
საკოცნელი თაფლისა,
ტუჩებ შიგნით კბილები გაქვს
ბროლისა და ნათლისა,
კბილებს შიგნით... ენა არის
ჩემი გულის დარდისა.

ფანდურზედაც დაამღერა და მართლა ძაან მოეწონა. კვლავ აღტაცებული დადიოდა ერთხანს, უნუგეშო სიყვარულზედ დალოცვილი სიტყვების წყალობით გამარჯვებული, მაგრამ ახლა ნამდვილ ქალს წააწყდა ერთგან... იმას სულ სხვა ეშხი ჰქონდა, სხვა ლაზათი, აწელილი მკერდი, უნებური სიამაყე და ისეთი მიხრა-მოხრა... გლეხისა იყო, დედოფალს ჰგავდა... და აგოროზებულმა გიორგა პაპამ იმ თავის შორეულ ყმაწვილკაცობაში ფანდური გვერდზე გადასდო და, თვალდახუჭულმა, ასე თქვა:

ქალად ქალი ხარ ქაღალდი,
ჯერ კალამ მოუსობელი,
უხვი მიწა ხარ, სახნავად
ჯერ სახნის მოუდებელი,
ჯერ კორდი გაუტეხელი,
სიყვარული მაქვს მე შენი
ანგარიშ მიუწვდომელი...

სიტყვებს, ჰეეი, სიტყვებს... რა არ შეეძლო სიტყვებს, რას არ დაანგრევდნენ, რას არ ააშენებდნენ, რას არ უბოძებდნენ და გიორგა პაპაც იმ თავისი ბასრი ნამგლით მკიდა და მკიდა, და მთელი წელიწადიც ერთადერთ თვედ — მკათათვედ იწელებოდა. და მთელი მისი ცხოვრებაც მკათათვე იყო, იმის ლექსებსა მღეროდა ხალხი, სიტყვა ახედნინებდა იმ ციურ, ფაფარაშლილ რაშებს, ჩამოძენძილს, შვიდგან შეკრულებს ღილითა მოვის პერანგებს უცვლიდა სიტყვა, სიტყვა მიაქროლებდა დათოვლილ მწვერვალებზე, ღრუბლებზე ანანავებდა, მზიან დღეს აავდრებდა, ავდარს — ამზიანებდა, ლოდებს მტვრად ფშვნიდა და გიორგა პაპა, ღონიერი, ყოვლისშემძლე, აღზევებული, უეცრად მიხვდა: მწუხარებას კიდევ შეიძლება ჰქონდეს თავი და ბოლო, სიხარულს — არასოდეს.. რაღაც მთავარი გამორჩენოდა იმის მჭრელ ნამგალს, რაღაც უფრო დიდი, მიუწვდომელი... მუხლები რომ დაუძაბუნდა, სიბერე რომ შეეპარა, მაშინღა მიხვდა, რადგან შორს, ზღვის გალმა, მკრთალად აციაგებული სინათლე შეამჩნია... სხვა დრო მოვიდა, სხვა ქამი დადგა... გიორგა პაპას, უკბილოს, პირთ მარგალიტი ელაგა... მაგრამ სხვას ღაღადებდა ის წყნარი შუქი, მარგალიტზე ძვირფასს და უცხოს — ჯერაც უნახავს! გიორგა პაპა დაღამებას ეჭვებაშლილი უცდიდა და, ვარსკვლავების სუსტ გამოჩენისთანავე შორეულ სარკმელშიც მკრთალად აციაგდებოდა ის სანეტარო შუქი, მანამდე შეუნიშნავი, მთავარი, მართლა ნეტარი... თვალები ამოუღამდა გაუთავებელ ყურება-ცქერაში გიორგა პაპას, ეცრემლებოდა, არ იწმენდდა კი — ცრემლებშუა უფრო ბჟუტავდა მაცდური შუქი და ასე უცნაურად ტიროდა ღამღამობით ბერიკაცი, გიორგა პაპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამისით კი, იმ მაღლიან, იმ უხვად დაღვრილ სინათლეში, მსხმოიარე ხეებსა და ვაზს თვალს არიდებდა და, მიწას დაშტერებული, ამაზრზენ ლექსებს დაფიქრებული ამბობდა:

წარმავალია ნათელი.
სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება.
ბინდის ფერია სოფელი.
უფრო და უფრო ბინდდება...

ზღვის გალმა, კოშკში, ქალი ცხოვრობდა.
ზღვის გალმა, კოშკში ცხოვრობდა ქალი...

4.

— ანთია, არა, ისევ ანთია? — ჩუმად სისინებდა დედაბერი.

ბრჭყალები უფრო ღრმად ესობოდნენ ტოტში, თვალები სიძულვილით უბზინავდა ორბს. თვალმოჭუტულ დედაბერსაც სარკმლისაკენ გაეფარჩხა დაგრეხილი თითები. ადგილზე ხტოდა, შორეულ ციაგს თითქოს ჩასაქრობად ეტანებოდა.

— მოდი, ჩვენც დავანთოთ ცეცხლი, — დატრიალდებოდა დედაბერი და გამხმარ ტოტებს გამალებული ჰკრეფდა, — დიდი ცეცხლი დავანთოთ, ორბო, დიდი ცეცხლი!

ნაღვერდალს გაქექავდა, გამწარებული უბერავდა სულს. ორბიც იქვე დაფრინდებოდა და ძალუმად იქნევდა ფრთებს, ნაკვერჩხლებს ავი ელვარება ემატებოდა, დედაბრის სულისშებერვა ააკრიალებდა მიძინებულ სიმხურვალეს, და უცებ იფეთქებდა ალი. ისევაც გამხმარი ტოტებიდან შიშხინით იღვრებოდა მცირე სისოვლე, ჩუმი ტკაცუნი ისმოდა. მშრალი, დაუნდობელი ენით ილოკებოდა ცეცხლი, თამაშ-თამაშით ანახშირებდა ყოველივეს, დედაბერი კი ისევ აყრიდა ფიჩხსა და ტოტებს, ჩაშავებული ცისკენ იზიდებოდა განათებული კვამლი, წამით ჩაფიქრებული დედაბრის სახეზეც ტკარცალებდა ცეცხლი, ახტუნავებული ჩრდილები უცხო მუქარით ელოლიავებოდნენ გატრუნულ ხეებს, ცეცხლის გარშემო ხტოდა და ბუქნავდა შავი დედაბერი:

ლისო, ლისო, ქარი ქრისო — ლისიმ
ჩემი ცეცხლი იმ შუქს ორბისო — ლისიმ
უკან მამყე, ორბო!

ცეცხლის ირგვლივ როკავდა გაძვალტყავებული, დიდმუცლიანი დედაბერი და მეჩხერი, გაზინტლული თმა ეწეწებოდა, ორბიც მოუხეშავი ხტუნვით დასდევდა, სანახევროდ ფრთაგაშლილი. დროდადრო შეჩერდებოდა. ზემოთ აიღებდა თავს, განზე იყურებოდა, თვალებაბრიალებული, და ხეებშუა გასხლეტილი ალი ზღვაზედაც მძიმედ იწელებოდა. დედაბრის აბარბაცებული ჩრდილი ხეებისაკენ მიჰქონდა კოცონს, დედაბრის ჩრდილი მთელ ტყეში იქსაქსებოდა — ერთ ხეზე რომ მისი უზარმაზარი თავი ჩანდა, მეორე ხეს გამხმარ ტოტებად გამობმოდა დაგრეხილი თითები:

უკან მამყე, ორბო!

მერე გახევდებოდა, ცეცხლს შეაცქერდებოდა, მხრებამდე ხელებატანილი, თითებგაფარჩხული, კმაყოფილი წაიჩურჩულებდა: „კარგად ანთია...“ ჩამოჯდებოდა, ფეხებს მოირთხამდა, ხელებს მუცელზე დაილაგებდა, ნელინელ აპარებდა მზერას კოშკისაკენ.

თეთრი სანთელი ციაგებდა ვიწრო სარკმელში. ჩუმად იწვოდა...

— ამასაც თუ სინათლე ჰქვია და...— ფრთხილად ბუტბუტებდა დედაბერი, — მინამ დაინახავ, თვალში წყალი ჩაგიდგება... მერე და, გინდაც დაინახონ, იმასთან მისვლა არ გინდა?... ზღვა აქვთ გადასაცური, შვილოსან, ისე კი არ არი ისა... მერე როდის —ღამით... — და გახარებული ჩაიქირქილებდა, — დოლაბსაც რო ხელზე უბამენ, ჰა? ზღვის გადამცური, ღამითა... — და კმაყოფილი აღიღინდებოდა, — ღამითაა-ოო, დოლაბითა-ოო, ვინ მივა მაგასთან, ვინა, ა, ორბო? — და უცებ გაგულისდებოდა, — ის ბრმა როგორღა გაგეპარა, ა, შე ვერანავ, შენა!

ალი ასდიოდა გაცოფებული ორბის თვალებს, გაქვავებული იჯდა ტოტზე.

— ის ბრმა კიდე ჯანდაბას, იმ ხელგაფუჭებულმა როგორღა გადმოსცურა, ა, ორბო? ისინი კიდე, ისინი, გამოძევებულები... ისა კიდე, ისა, პირზე დუჟი რომ ადგებოდა... ის ყასაბის ბიჭი მაინც როგორღა მიუშვი, შე ტიალო, შენა! ოხ, შენი დედა კი ვატირე მე შენი...

გაჩირაღდნებული თვალები ახლა მიწისაკენ იცქირებოდნენ — ტოტს ნისკარტით ჩაფრენოდა გამწარებული, ზურგმორკალული ორბი.

— ან ის პატარა, ხუჭუჭა, ცქვიტი... ანდა იმ წვერიანს რად არ დააწიწკნე ის კუშტი სახე, შე უშნო, შე... შე მტრედო, შენა!

და გავეშებული დედაბერი უეცარი შიშით შეაცქერდებოდა ბუმბულაშლილ ორბს, იმისი ფრთების გამწარებულ ქნევას, ავად დაღებულ ნისკარტსა და მისკენ მუქარით მიბჯენილ, ანაკვერჩხლებულ მზერას. ხელისგულებს მიწას დააბჯენდა, ფეხებს სწრაფად გაშლიდა, წამოხტებოდა და მოკლე ნაბიჯით უახლოვდებოდა ორბს. მიწას იცილებდა ხელისგულებიდან, ხელებს იფშვნეტდა, ხმას იტკბილებდა, იბადაგებდა:

— რა იყო, ორბო, ხო არ გეწყინა, მოფერებით გაგიწყერ, მე და შენ რამ გაგვყო, ერთნი არა ვართ?

ოდნავ ბაცდებოდა წყვილად აელვებული შუქი.

— დატუქსვა აღარ შეიძლება?.. ჩვენში ეგრე, ორბო? — გაძვალტყავებული თითებით უკვე კლანჭებზე ეფერებოდა:

ლისო, ლისო, ქარი ქრისო — ლისიმ
დალალეო,
ჩემი ორბი ფრთასა შლისო — ლისიმ
დალალეო,
ხორცი არ გინდა, ორბო, ხორცი?

და სანამ ორბი ლუკმას ძიძგნიდა, დედაბერი დაფიქრებული უსვამდა ხელისგულს პატარა თავზე და გულს იმხნევებდა: — ჩვენს ცეცხლზე მეტი ხალხი არ მოდის? იქ რო ერთი — მივა, აქ —ათასი... ჩვენ უფრო მეტი მუშტარი გვყავს, ორბო!

მართლაც, ბევრნი ჰყავდათ. ხომალდებით იცოდნენ მისვლა, ზურგის ქარი ეხმარებოდათ, დიდი კოცონი მშვენივრად ჩანდა და ნაპირზე ისე გადმოდიოდნენ, ფეხიც არ უსველდებოდათ... და, დედაბრის კოცონს მიახლოებულნი, ან ცრუ სიამაყესა და სიმკაცრეს მიიტყაპნიდნენ სახეზე, ანდა ვითომ გულიანად იცინოდნენ, იმ საზარელი სიცილით, როცა თვალები სულ არ იცვლება...

— ამას კიდევ, ამასა, ამ როსკიპს, — სიძულვილით ჩიფჩიფებდა დედაბერი... — გამოუდგია ერთი დალეული სანთელი და უხმობს და უხმობს... ჰეი, ორბო, რამდენი ჩაგვიხრჩვია, ჰა?.. ისე კი, — შეფიქრიანდებოდა დედაბერი, — თავისიანებივე დოლაბს რო არ უბამდნენ ხელზე, გაგვიჭირდებოდა. მე და ჩემმა... მე და ჩემმა კოცონმა, ჰა, არა? არა, ორბო?

ყლაპვისას ღონივრად ასავსავებდა ყელს მადააშლილი ფრინველი.

— ერთი გახედე, აბა, ვინმე ხომ არ მოცურავს, გახედე ერთი, ორბო...

და ორბიც მაშინვე ტოტზე აფრინდებოდა, ყელს წაიგრძელებდა, კისერ წაწვდილი იყურებოდა შორით... ბასრი, გამჭოლი მზერა ჰქონდა —ფოთლებში აძვრენდა, ხეებს გზას უქცევდა, ზღვას გაჰყურებდა ორბი... მერე კისერს მხრებში ჩაიძვრენდა და მოწყენით იმზირებოდა განზე...

— არა უშავს-რა, — ხორცის ახალ ნაჭერს მიუგდებდა დედაბერი, — როცა იქნება, ვინმე წამოვა...

...ღამე რომ გაბაცდებოდა, ნელა ბაცდებოდა სარკმელშიც შუქი, თავისი ფულუროსაკენ ძუნძულით მიიჩქაროდა დედაბერი, უხვფოთლება ხეში შეიძურწებოდა ორბი, და მიმქრალი კოცონიც სუსტად, უღონოდ ხრჩოლავდა...

5.

სახეზე თუმცა არა ეტყობოდა რა, მაგრამ გაფაციცებული ათვალიერებდა გიორგა პაპა — თვალები გაელამებოდა თავფარავნელ ჭაბუკს, ტუჩზე უხილავი ჭიანჭველა გადასდიოდა. კარგად იცოდა ყოველივე გიორგა პაპამ—სიტყვებს დაეძებდა თავფარავნელი.

მშვენივრად სცნობდა თავის ჯილაგს ცრემლდადენილი ბერიკაცი: თავფარავნელსაც სიტყვა აწვალებდა — იმასაც სიტყვა სჭირდა! ახლა, გიორგა პაპას ფერხთით მჯდარი, უნებურად ფიქრებში კი წასულიყო, მაგრამ სიტყვასთან ჭიდილს მაინც მარტოობა უნდოდა, უმოწმოდ შებმა... ყბა-ტუჩზე მარწუხებივით თითებშემოჭდობილი, ოთახში თუ მინდვრად რომ დაიარებოდა, ბოლთას რომ სცემდა... სიტყვა — სანუკვარ ქალს ჰგავდა, იმასაც ჰქონდა თავისი თეძოები, აზრდილი მკერდი, ეჰ, თვალწარბი და მხრები ისეთი, მაგრამ ბრმასავით უნდა შეგეცნო — გახურებული ხელისგულების მთრთოლვარე შეხებით, სიტყვა —სანუკვარ ქალსა ჰგავდა და იმასთან ყოფნისას რა ჯანდაბის მოწმე უნდოდა, ვინ ტიალი, ოხერი — სიტყვასთან შეჭიდებულს, სიტყვაატანილს, არავისი დანახვა სურდა... მაგრამ ახლა, გიორგა პაპასთან ახლოს, სიტყვანანახი ბერიკაცის ფერხთით მიმჯდარს, ტუჩზე უხილავი რამ ჭიანჭველა გადასდიოდა... შორეულ ციაგს გაჰყურებდა გიორგა პაპა — ეთქვა, არ ეთქვა... გაემხილა თუ... აღარ იცოდა. თვალები გაფართოებოდა ჭაბუკს, სუნთქვაშეკრული. სიტყვას დაეძებდა... ეთქვა, არ ეთქვა... საღამო იდგა, გამაყუჩებელი, გამახევებელი... თავფარავნელს გასუსული ათვალიერებდა გიორგი პაპა — არ ეთქვა?.. ეთქვა?... ჰეე, თავის ჯილაგს უთვალთვალებდა ცრემლდადენილი ბერიკაცი —მართლა კარგი ბიჭი კი ჩანდა... დინჯად, ხმადაბლა წამოიწყო ის თავისი შემზარავი ლექსი — შორიდან უკვლდა:

წარმავალია ნათელი,
სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება.
ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება...

ახლოს მიუტანა სახე, თვალებში ჩახედა. სევდანარევი გაკვირვებით აჰყურებდა თავფარავნელი, ჯერ კიდევ თავისას სანახევროდ ფიქრობდა. ჯიუტად განაგრძობდა ბერიკაცი:

რა არის ჩვენი სიცოცხლე —
ჩიტივით გაგვიფრინდება,
ჩვენს ნასახლარზე ოდესმე
ბალახი აბიბინდება...

ახლა დაკვირვებით უმზერდა თავფარავნელი ჭაბუკი, თავით-ფეხამდე ათვალიერებდა. გიორგა პაპამ კი მხრებში ჩასჭიდა დიდი, დალაქული, ბებრული ხელები და ამაზრზენი ჩურჩულით უთხრა:

ვარდს ჭია შესჭამს, კაცის გულს
გამოხრავს დარდის იარა,
მოვა სიკვდილი უჩინო,
ერთ წამში აგვყრის იარაღს,

და უცებ ხმას აუწია, შეაჯანჯღარა კიდეც:

ჩვენ რას წავიღებთ იმქვეყნად!
... სხვას არა წაუღია რა...

ცრემლდადენილი, ეჭვით ჩააცქერდა, მაგრამ თვითონვე შეკრთა —თავფარავნელსაც უკიაფებდა თვალებში შუქი, მართალი სულიდან ამომავალი, და გიორგა პაპას ამაზრზენ ლექსს მაინცდამაინც არც დაუდარდიანებია — თავფარავნელს არაფრის წაღება არ უნდოდა იმქვეყნად, თავფარავნელს ამ ქვეყნად სიტყვის დატოვება სურდა მხოლოდ!

ეთქვა, უნდა ეთქვა! ისევ გახედა შორეულ ციაგს გიორგა პაპამ... ჩუმად იწვოდა სანთელი თეთრი... თვალმოჭუტული ბერიკაცი თავფარავნელის მიღმა —გვიან, სიბერეში დანახ-

ული შუქისაკენ იმზირებოდა და, ცრემლდადენილმა, ატირებულმა, სვენებ-სვენებით ასე თქვა:

ზღვის გალმა... დიდი ველია,
ია ღვას, ვარდი ჰფენია,
კოშკი დგას მარმარილოსი
წვერი ცას მიუბჯენია,

და უცებ თვალებში ჯიუტად შეაცქერდა:

შიგა ზის ქალი ლამაზი,
თავის თმისაგან ბნელია...

— თავის თმისაგან ბნელია? — ერთიანად აიწურა თავფარავნელი.

გიორგა პაპამ კი ისევ გაიხედა იქითკენ, შოოორს, და ჯიუტად გაიმეორა:

— თავის თმისაგან ბნელია...

რაღაცას მიხვდა თავფარავნელი, ცალ მუხლს დაეყრდნო, გიორგა პაპას მზერას გააყოლა თვალი. წამოდგომა სცადა, მაგრამ სწორედ მაშინ დაინახა ის ნეტარი შუქი, ორსავ მუხლზე დაეცა... სიტყვის დედოფალი დაინახა თავფარავნელმა, წამსვე შეიცნო სიტყვის მსახურმა თავისი მბრძანებელი. ტანში ერთიანად დაზრინა, ჟრუანტელმა აიტანა თავფარავნელი ჭაბუკი, ერთბაშად მოხიბლული, ვაოგნებული შესცქეროდა შორეულ ციაგს, იდგა, მუხლმოყრილი...

ზღვის გალმა, კოშკში, ქალი ცხოვრობდა.
ზღვის გალმა, კოშკში ცხოვრობდა ქალი...

6.

დადიოდა სოფლად, დადიოდა.

ღამე ბაცდებოდა, დილა თენდებოდა, დღე ილეოდა, მუქდებოდა, იწრიტებოდა, დღე ღამდებოდა, იარებოდა თავფარავნელი, დაიარებოდა.

აი, რო მოწვიმდა, რო გადაიღებდა, და ქარი რო წამოუბერავდა და ფოთლებიდან მცირე, ერთ სულისშებერვა წვიმას რო აპკურებდა მიწას, იმასაც თავისი სახელი ერქვა... თავისი სიტყვა ჰქონდა ყოველივეს, ყველაფერს, ყველას... სოფლად დაიარებოდა შეყვარებული თავფარავნელი... კარგი იყო დილა, სისხამი, ცვრიანი, კარგი იყო შუადღე, გაჩირაღდნებული, მზიანი, კარგივე იყო საღამოს პირი, ძროხებაბღავლებული, იდუმალების მომასწავებელი და ვერაფერი შეედრებოდა თავად საღამოს, უძრავს, გახევებულს, რადგან ზღვის გალმა, კოშკში, ქალი ცხოვრობდა, სიტყვის მბრძანებელი — დიდი დედოფალი. ტალღების შხუილი ესმოდა ნაპირთან მიმდგარ ჭაბუკს, პირველი ვარსკვლავის გამოჩენისთანავე ატივტივდებოდა შორეულ სარკმელში სუსტი სინათლე, ვერ იზიდავდა თავფარავნელს ვეება, ახტუნავებული, გიზგიზა კოცონი, შავი დედაბრის ხელით დანთებული, ციცქნა სანთლისაკენ მიილტვოდა მხოლოდ. გაბრუებული შედიოდა ღამეულ ზღვაში, ყელამდე წყალში იდგა და იდგა, საოცნებო კოშკს მიჩერებული. იმ პირველ ქალზე შეყვარებულს, ყოველივე უყვარდა, რასაც კი თვალი მისწვდებოდა. რასაც გონება გაიაზრებდა, რადგან ყოველივე — სიტყვა იყო და სიტყვითვე ლამაზდებოდა, კუპრი თაფლდებოდა, თავნება ქარში ასავსავდებოდა გვიმრა, კისერწაწვდილი მამლებით ყიოდა განთიადი, რა არ ხდებოდა, რა არ იცვლებოდა და ყოველივეს თავი და თავი სიტყვის დედოფალი იყო — შორეული, საოცნებო ქალი, თავის თმისაგან ბნელი, თავთ კი უცხო რამ შარავანდედი ადგა — სარკმელში აციაგებული შუქი.

შავი დედაბრისკენ ხომალდით შიემგზავრებოდნენ.

ცურვას სწავლობდა თავფარავნელი — მაღალი შუქისაკენ თვალაპყრობილი, ძალუმად იქნევდა მკლავებს, ტალღებს მიარღვევდა, ფეხებსა სცემდა გამუქებულ ზღვას, შხეფები ცვიოდა, ირგვლივ წყალი დუღდა, ცვალებად ზვირთებს ღონივრად მიაპობდა თავფარავნელი, იღლებოდა, მაინც

ცურავდა, ხარბად ისუნთქავდა ჰაერს, მიცურავდა, წყალში თავჩარგული და, სუნთქვა რომ შეეკვროდა, წამით თავს მაღლა აიღებდა და იმ უზარმაზარი ლურჯი ჰაერიდან თავის მცირედ წილს მადიანად ჩაკბეჩდა, იღლებოდა თავფარავნელი, წვალობდა. მთვარის შუქზე აბზინებული, ფეხარეული გამოდიოდა ზღვიდან, ქვიან ნაპირზე მისავათებული დაეგდებოდა და მაინც ისევ კოშკისაკენ მიცოცავდა ჯიუტი, მოუღლელი მზერა, ისევ ზღვაში შედიოდა თავფარავნელი, ფერდზე მიდებულ ლოდს ცალი ხელით ჩაბღაუჭებოდა და მხოლოდ მარჯვენათი ცურვის შეძლებას სწავლობდა, იცოდა — ცალ ხელზე დოლაბს რომ დააკრავდნენ.

შავი დედაბრისკენ ხომალდით მიემგზავრებოდნენ.

ცურვას სწავლობდა თავფარავნელი, ხმელეთზე რომ დაიარებოდა, იქაც ცურვასა სწავლობდა, სიტყვებს დაეძებდა, ისევ ის ჯიუტი, უხილავი ჭიანჭველები გადასდიოდნენ ტუჩზე, თითქოს თაფლი ეცხო და მართლაც, ფუტკრებთანა ჰქონდა საქმე— მაინც ფუტკრის კბენასა ჰგავდა გასახარელი, წამებით მიგნებული ჭეშმარიტი სიტყვა და ფუტკრის თაფლადვე, სქლად ედებოდა აჩურჩულებულ ბაგეს. „არავინა ჩანს, ორბო?“ — მსუნაგად კითხულობდა შავი დედაბერი, აკლაკნილ კოცონზე ნედლ ძვლებსა ჰყრიდა. განზე მოწყენით იმზირებოდა დედაბრის ჩიტი. „მოვა, წამოვა, აი ნახავ, ვიღაცა მართლა თუ არ წამოვა,“ ჩუმად ბუტბუტებდა დედაბერი და გადმოკარკლულ თვალებს გამხმარი, დაგრეხილი ხელისგულებით იჩრდილებდა — მზე სადა ჰქონდა, მაინც... გიორგა პაპა კი, დაეჭვებული, თავფარავნელს უმზერდა და გულს იკეთებდა — ჰო, უნდა მეთქვა, მეთქვა, უნდა მეთქვა, ეგების შესწვდეს... სერზე ხანდახან ისევ ერთად ისხდნენ, თავფარავნელს შორეული კოშკისაკენ მიებჯინა შეყვარებული თვალები, გიორგა პაპა კი, დაღონებული, ბერიკაცი, სიტყვებს ეძებდა, დაბლა ღრღნიდა:

ლექსო, ამოგთქმამ, ოხერო,
თორე ეგება ვკვდებოდე...

ცურვას სწავლობდა თავფარავნელი. სადღაც, გადაკარგულში, სულ ფეხით დაეხეტებოდა, ლურჯა ცხენი გაუსუქდა, თვალში აკლდათ მოხდენილი ბიჭი გოგოებს, მალიმალ იცქირებოდნენ იმ დიდი, აბიბინებული ველისაკენ, ადრე თავფარავნელს უსაზომო, თავდავიწყებული ჭენება რომ უყვარდა:

თვალები ამოუღამდათ
სოფლის გოგოებს ცქერითა —
როს გამოჩნდება, ნეტარა,
თავფარავნელი ფრენითა...

და ერთხელ მართლაც დაინახეს, მაგრამ სხვაგვარი, გამოცვლილი — თავჩაქინდრული იჯდა უნაგირზე, დინჯად მიდიოდა ცხენი. აღვირისათვის ხელი გაეშვა, მკლავებჩამოყრილი, მოხრილი იჯდა ბიჭი. თებრონე-გოგომ მანდილი შეისწორა, მიმოიხედა და გულში ჩუმადა თქვა:

აქედანა და შენამდე
ვარდი მასხია ყელამდე...

ეფემია კი, გამწარებული, ეფემია კოჭლი, თავსაფრის ბოლოს გამალებული ღეჭავდა და, რომ ვეღარ მოითმინა, თავს რომ ვეღარ მოერია, იმ დინჯად მიმავალ ცხენს რწევით დაედევნა და იმის მოხდენილ, ფიქრებში ჩაფლულ პატრონს ასე მიაძახა:

სიკოჭლეზე რასა მწუნობ,
განა კურდღელს მადევნებო,
შვილებსაც კარგად დაგიზრდი,
ერთს არ დაგიზიანებო,
საფეიქროს ჩავუჯდები,
მაქოს გავუძლიერებო.

გაკვირვებით მიხედა თავფარავნელმა, უცებ ვერც იცნო, სხვაზე ფიქრობდა, ეეჰ, სულ სხვაზე, სხვისა

დარდი ჰქონდა, იმას კი, ეფემიას, ცალი ხელი ლურჯას გავაზე დაედო, და გავეშებული იძახდა:

ჩოხა-მერდინებს მოგიქსოვ,
ფულებს ჩაგიჩხრიალებო,
ჯამ-ჭურჭელს კარგად დაგირეცხ,
თაროს დაგიკრიალებო,

ჰეე, თავფარავნელს სულ ჯამ-ჭურჭლის დარდი არა ჰქონდა?!

ახალოხს კარგს შეგიკერავ,
ღილებს დაგიწკრიალებო,
პურსაც მალე გამოგიცხობ,
ჯერს არ დაგიგვიანებო,
შვილებსაც თორმეტს დაგიზრდი
ერთს არ დაგიზიანებო,

და უცებ შერცხვა, მოტყდა ეფემია, და, თავდახრილმა, როგორც დაიწყო, ისევე დაამთავრა:

სიკოჭლეზე რასა მწუნობ,
ვანა კურდღელს მადევნებო...

ალერსიანად, თანაგრძნობით დასცქეროდა თავფარავნელი — რა ექნა, ძაან კი ეცოდებოდა, მაგრამ სხვა უყვარდა, სულ სხვა ქალი —შორეული, თავის თმისაგან ბნელი, და შარავანდედიანი... სიბრალულით აევსო თვალები თავჩაქინდრული ეფემიას დანახვაზე, გული დაეწვა; ველარ მოითმინა და, დეზები ფერდში ჩაასო ცხენს. ლურჯასაც სხვა რა უნდოდა, წამსვე ყალყზე შედგა, წამითვე გახევდა, მერე ისკუპა და მაშინვე ჭენებით გავარდა ველზე. ნაცნობმა ნიავმა აუწეწა გრუზა ქოჩორი თავფარავნელს, ნაცნობი ქარი აუსივლდა ყურებში. ნაცნობმა გრიგალმა თვალი მოაჭუტინა. ძველმა სიხარულმა დაუარა და გააბრუა — ამა ქვეყნისამ; ამა სოფლის მადლსა გრძნობდა თავფარავნელი — წინ ბალახოვანი ველი იყო, გაუთიბავი, მაღლა ცა იყო, ცაზედ მაღალი, და ზურგზე შეყვარებული გოგოების ცხელ-ცხელ თვალებსა გრძნობდა, გამხნევდა, გათამამდა ბიჭი... ჩამოქვეითდა, ფეხდაფეხ მიჰყვა გაოფლილ, მზეზე ალაპლაპებულ ლურჯას, დაღლილი, ბორცვზე შეფენილ სოფელს გაჰყურებდა, კარგი ეცვა და კარგი ეხურა. ზაფხული იდგა, და ამა სოფლის მადლით განარებული, ცას და ქვეყანას მადლობას უძღვნიდა:

შენ, ჩემო დიდო იმედო,
სახლო, ნაგებო კირითა,
ტყეში მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა!
ცისფერო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ, წმინდა ვარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
თქვენთანამც ყოფნით გამაძღო,
სიფხიზლითა და ლხინითა.

კოპწია, ჭრელა-ჭრელა ხმები მოისმოდა — სოფლის შუაგულში ბუზიკას უკრავდნენ. იქითკენ გაეშურა, თავისი ტოლებისაკენ, წრედ შეკრულიყვნენ გოგო-ბიჭები, მხიარულად მღეროდნენ, ბუზიკასა და ტაშისცემას აყოლილნი:

ცანგალა და გოგონაო,
დალალალე ცანგალა,
გოგონა ქალაქს წავიდა
ყურძენი მოიტანა,

მორცხვად მიმდგარიყო წრეში თებრონე, პირი განზე ექცია, ის ავყია მოვისპერანგა კი საცეკვაოდ უხმობდა, მკლავებგაშლილი, დროდადრო ჩაბუქნავდა კიდეც, ერთი ორჯერ წრეს შემოუარა; აჭარხლებულ თებრონეს აქეზებდნენ, ერთმა დედაკაცმა ისიც კი უთხრა:

— სირცხვილიაა, ქა...

მაგრამ თებრონე თავისაზე იდგა, და თავფარავნელმა ვიღაცას მხარზე ხელისგულები დაჰკრა და ისე გადახტა წრეში. ლაღად აათამაშა წვივები, მხრები გაშალა, მერე ღრმა თაყვანი სცა და თებრონე-გოგოც მაშინვე წრის შუაგულში გამოფარფატდა, ნაზად აიქნია გრილი მკლავები და ტაშმაც იმატა:

ცანგალა და გოგონაო,
დალალალე ცანგალა,
მე ყურძენი არ მაჭამა
საყდარში შეიტანაო,
ცანგალა და გოგონაო,
დალალალე ცანგალა...

იმ მოვისპერანგას კი გული მაინც-დამაინც არ დასწყვეტია. წრიდან გავიდა, განზე მიმდგარ, გათხოვილ ქალებს მიუახლოვდა, ერთ-ერთს წამოეპარა, მიმოიხედა და შიგ ყურში უთხრა:

ქალაუ, შენ რო ქმარი გყავ
მე ხისას გავთლი ისთასა...

ლაღად ცეკვავდა თავფარავნელი, აღარაფერი ახსოვდა. სიხარულის გარდა, და, ამ მადისამშლელ სიხარულს ატანილი, ცეკვავდა და ცეკვავდა, ცასა სწვდებოდა ტაში:

ეს ბიჭი კარგად თამაშობს
ფეხის ფრჩხილებზე დგებაო,
ამან რო ფეხი იტკინოს
ნეტა ვის დაბრალდებაო,
ცანგალა და გოგონაო,
დალალალე ცანგალა!

თვალდახუჭული უკრავდა ბუზიკას ეფემია, ცრემლებს ყლაპავდა... თუკი სადმე ბიჭი იყო, ყველა თებრონეს შესცქეროდა, ყოველ გოგოს კი თავფარავნელზედ ეჭირა თვალი:

ცანგალა და გოგონაო,
დალალალე ცანგალა...

და თავფარავნელი სწრაფად რომ შემობრუნდა, ხელებგაშლილი, ანაზდად გახევდა: სერზე იდგა გიორგა პაპა, წარბებშეკრული, მისკენ იცქირებოდა. დაიბნა, მკლავები ჩამოეყარა, დაკვრის ხმაც პატარა ხნით შეწყდა, რადგან თვალცრემლიანმა ეფემიამ სხვას გადაულოცა ბუზიკა, და მაშინვე ისევ წინ აეყუდა თებრონე-გოგოს მოვისპერანგა, და სხვას რომ არ გაეგო, ხმადაბლა, სასწრაფოდ მიაჩურჩულა:

კარგო, მოგივალ წყალზედა,
გაკოცებ ორსავ თვალზედა,
კოხტა გოგო, გენაცვალე, ხვევ-ხვევ
თებრონეო...

მძიმედ უახლოვდებოდა გიორგა პაპას შეცბუნებული თავფარავნელი. მკაცრად შესცქეროდა ბრგე, ზორბა ბერიკაცი, ცალი თვალიდან ცრემლი სდიოდა... კუშტად დააცქერდა თავფარავნელ ჰაბუკს, და, ბუზიკის ჭყვიტინი რომ დაეფარა, ხმამაღლა უთხრა:

წუთისოფელი რა არი,
ავორებული ქვა არი,
რაწამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზაარი...

და მაინც, მაინც ანუგეშა:

საცა სოფელში მიხვიდე
სუყველგან ორი გზა არი.

გული მოეცა თავფარავნელ ჰაბუკს, კრძალვით ახედა:

— რომელი და რომელი, გიორგა პაპა...

იმან კი ყავისფრად დალაქული ხელი გოგო-ბიჭებისაკენ, აჭყვირებული ბუზიკისაკენ გაიშვირა და უთხრა:

— ერთი ესა...

სუნთქვა შეეკრა თავფარავნელს, აფორიაქდა:

— და მეორე... მეორე, გიორგა პაპავ?

— მეორე?

შორს იყურებოდა თვალმოჭუტული ბერიკაცი, საღამოვდებოდა:

ზღვის გალმა დიდი ველია,
ია დგას, ვარდი ჰფენია,
კოშკი დგას მარმარილოსი,
წვერი ცას მიუბჯენია,

და თავფარავნელმა სიტყვა წაართვა:

შიგა ზის... ქალი ლამაზი...
თავის თმისაგან ბნელია!

და ისე ცხადად, ისე აშკარად გაარჩია ის, ვინც უყვარდა...

ღალატსა ჰგავდა ცხენის ჭენება, ცეკვა-თამაში, ამქვეყნიური სიკეთით

თრობა და შეცბუნებული, თავდახრილი იდგა შორეული კოშკის წინაშე... მაგრამ მერე, ტუჩზე ისევ რომ დაესივნენ უხილავი ჭიანჭველები, ყელში გორგალი მოებჯინა, და ენისწვერზე ფუტკრის სუსხიანი კბენა რომ იგრძნო, იმასაც მიხვდა, რომ უკანასკნელი იყო მისი ღალატი, ნაცნობმა ჟრუანტელმა დაუარა თავით-ფეხამდე, შორეული კოშკისაკენ გაიშვირა ხელები და, თვალდახუჭულმა, თქვა:

არ მოგეშვები, გენაცა,
სანამ არ მომკლავ, სანამდე,
ეგ შენი ფირუზის დანა
გულში რომ დამკრა ტარამდე...

ზღვის გაღმა, კოშკში ქალი ცხოვრობდა
ზღვის გაღმა, კოშკში ცხოვრობდა ქალი...

7.

დოლაბდაკრული, მძიმედ შედიოდა ზღვაში.

ჯიუტი ცურვა უნდა ესწავლა — ადრე თუ შხეფებს ისროდა, ადრე თუ მის ირგვლივ წყალი დუღდა, ახლაღა მიხვდა, რომ ჩუმი, ჯიუტი ცურვით თუ მიაღწევდა იმ სინათლემდე, ნეტარ დედოფალს შარავანდედად რომ ადგა.. .არად არგებდა ხმაურიანი, ყველასათვის თვალნათლივი ხელ-ფეხის ქნევა — კარგად იცოდა... და მისი ცურვა, ძნელი, პირდაპირი, იმ სანთლის წვასავით ჩუმი და აზიდული უნდა ყოფილიყო, და შორეული ალის მცირედ ატორტმანებასავით ასწევ-დასწევდა ხანდახან ტალღა... მთვარიან ღამით, როცა მკრთალ, მიყუჩებულ სოფელს ეძინა, წყლიდან მკლავს რომ ამოჰყოფდა, თითებიდან ყვითლად აციმციმებული წვეთები სცვიოდა, ერთადერთი, ჭეშმარიტი სიტყვებივით იფანტებოდა ბაჯაღლო — კუპრისფერ ზღვაში... ეს იყო, ეეს, რაც რომ მას სურდა, და აქა-იქ გაფანტულ მთელ მის ჯილაგსა და მოდგმას — ბაჯაღლო *სიტყვა... კუპრისფერ ზღვაში... რა* *მძიმე* იყო *მრგვალი* დოლაბი... დაფიქრებული უმზერდა დედა, ტახტის კიდეზე ჩამომჯდარს, მოხრილს... გულდაწყვეტილნი ათვალიერებდნენ სოფლის გოგოები, გაუცხოებულსა და რაღაც გაუგებარი, იდუმალი სევდით მოსილს... დედაბრისა და იმისი ორბის გამჭოლი მზერაც მუდამ დასდევდა და გიორგა პაპა. ერთი, ერთადერთი, იმედითა და სიხარულით შესცქეროდა—ვარგოდა ბიჭი... მერე კი, მაინც დაეჭვებული, ჩუმად აბუტბუტდებოდა ბერიკაცი: „ბევრი მტერი კი დაგხვდება გზაზე... ერთი იქნები, ისინი — ბევრნი... და ნურავისი იმედი გქონდეს... გარდა თავისა... მაგრამ ეჭვი თუ შეგეპარა... რწმენა გაგიტყდა... თუ დაეჭვდები... გათავდა, მორჩა..." მაგრამ ხმამაღლა ვერ გააფრთხილებდა, ასეთი იყო წესი — თავად უნდა მიმხვდარიყო ყველა... ცურვას სწავლობდა თავფარავნელი— სანამ შუაგულ ზღვაში შეცურვას გადასწყვეტდა, სად არ გასინჯა იმ ერთი მკლავის ძალა — მკვდარ და უხვ ტბებში, მდორე და თავაწყვეტილ მდინარეებში, ძალუმად დატრიალებულ მორევშიაც შეეძლო შესვლა და თავის დაღწევა, და მაინც ყველაზე მეტად ზღვის ნაპირთან ცურვა უყვარდა — მხოლოდ იქიდან მოჩანდა შუქი... და შავი დედაბრის აკლაკნილი, ცას შეპოტინებული გველიც — დიდი კოცონი... მხოლოდ იმ სუსტ შუქს შესცქეროდა, იმ ჩუმ, თეთრ სანთელს...

დედაბრის ხალხიც სველდებოდა ხანდახან — ცხელ ზაფხულობით, მომცრო ღელეში. იქ, იმ თხელ წყალში, შეუძლებელი იყო ცურვა და პირზე იპკურებდნენ წვეთებს, ყელზე მოითათუნებდნენ ხელებს, ფეხისგულებს რიგრიგობით ისვამდნენ წვივზე და რაკი ხანდახან წონასწორობას ჰკარგავდნენ, ერთმანეთს ერთგულებას შეჰფიცავდნენ, ნეკს ნეკში ჩასჭიდებდნენ ერთურთს და ჩაჯდებოდნენ და ადგებოდნენ, ჩაჯდებოდნენ მუხლამდე წყალში და წამოდგებოდნენ.

ცურვას სწავლობდა დოლაბდაკრული თავფარავნელი. შორს, უფრო შორს, შორით მიიწევდა ზღვაში,

მერე ქვიან ნაპირზე ეგდო, ბედნიერი, დაღლილი, მისავათებული, სიხარულსატანილი — უფრო, უფრო შეეძლო ცურვა...

ასაცა სოფელში მიხვიდე.
სუყველგან ორი გზა არი...

კარგი იყო თავად სოფელი — მოთიბული ბალახის სუნით, დამძიმებული ვენახით, კაკლის ხის ჩრდილითა და კვამლადენილი, კირით ნაშენი სახლებით, ულრანი ტყითა და მზედაფენილი, ხასხასა მოლით, ძროხებაბღავლებული, მამლებაყივლებული, განთიადიანი, გაჩირაღდნებული, დალოცვილი, მაგრამ თავფარავნელს სხვა გზა ერჩია, სულ სხვა რამ, ასეთი იყო მისი ხვედრი:

შუაში არი ხმელეთი,
გარშემო დიდი ზღვა არი,

ზღვის გაღმა კი, კოშკში, ქალი ცხოვრობდა, ზღვის გაღმა, კოშკში ცხოვრობდა ქალი და მისკენ, მხოლოდ მისკენ იცქირებოდა დაღლილი ბიჭი, თავფარავნელი...

თვალი გაახილა, შემკრთალი, მისკენ უცნაურად გადახრილი დედის სახე ამოტივტივდა თვალწინ. პირველად ხედავდნენ ერთი-მეორეს ასეთ დაბნეულებს, შეშინებულებს. რაღაცა ავი სული ტრიალებდა ოთახში, დედის დალეული, ყოველივეს ამტანი მხრებისა და თავფარავნელის განიერი მკერდის მომრევი.

შუბლზე ხელი გადაისვა ჯერ კიდევ ბურანიდან თავდაუღწეველმა, გაოგნებული, იმ წყვეტილი ხილვების გახსენებას ცდილობდა...

— წუხელი სიზმარი ვნახე...

ქარი სისინებდა საკვამურში, ქვაბიდან შიშხინით გადმოიღვარა ცეცხლზე შედგმული რძე და უცებ სასთუმალთან ჩამოუჯდა შეშინებული დედა, საფეთქლებზე შემოაჭდო ხელისგულები, და თავფარავნელმაც ჩუმად, ვედრებით ჰკითხა:

ალვის ხე რომ წამოიქცა,
ნეტავ, დედავ, რაო...

ელდა ეცა რკინის ქალს, თვალები დახუჭა, თავი გამწარებულმა გადასწია და დაიგმინა:

შვილო, შენი ტანი არის,
ვაჰ, შენს დედასაო!

წამოიწია, იდაყვით ტახტს დაეყრდნო თავფარავნელი:

იმას ტოტები ემტვრევა,
ნეტავ, დედავ, რაო...

რაღაც საზარლად უხილავის, უნამუსოდ შიგ გულში დამიზნებულის შეჩერებას ამაოდ ცდილობდა ხელისგულგაშვერილი, თვალდახუჭული ქალი:

შვილო, შენი მკლავებია,
ვაჰ, შენს დედასაო!

დაკოჟრებული თითებით ხარბად ეფერებოდა ხელზე.

მკლავები დაებურცა თავფარავნელს, ჟრუანტელმა დაუარა, დაზრინა, აფორიაქებული წამოჯდა ტახტზე:

ვაზს რომ ფოთლები სცვიოდა,
ნეტავ, დედავ, რაო...

გულში მჯიღი დაირტყა დედამ, თმაში შეუცურა ათრთოლებული თითები:

შვილო, შენი ქოჩორია,
ვაჰ, შენს დედასაო!

და თავფარავნელმაც ჩვილივით ძიადო მხარზე თავი:

ეზოში რომ ძროხა ბღავის,
ნეტავ, დედავ, რაო...

მაგრად მიიხუტა გულზე ერთადერთი შვილის თავი გამწარებულმა, უბედურმა ქალმა:

შვილო, დედაშენი არის,
ვაჰ, შენს დედასაო!

— ლისო, ლისო, ქარი ქრისო, ლისიმ — დალალეო,
ჩემი ორბი ფრთასა შლისო, ლისიმ — დალალეო,
ხორცი არ მოგენატრაა, ორბო, ხორცი?

როგორ არ მოენატრა — ხომალდით მოსულებს ლეშის გემო დაჰკრავდათ, ის ცხელი სისხლი კი დიდხანს აღარ უგემნია. კისერწაწვდილი, ყვითლად ანთებული თვალებით, გაფაციცებული იყურებოდა ზღვის გალმა, სადაც თავფარავნელი ზედ ნაპირთან იდგა და, ხალხით გარშემორტყმული, ხალხის მიღმა, კოშკისაკენ იცქირებოდა.

კაცი, რომელიც თავის თავს „სიმართლის მთქმელ სესიას“ ეძახდა, ხალხის წინ გაჯგიმულიყო. დოლაბი სწორედ მას უნდა დაეკრა ხელზე თავფარავნელისათვის, სხვებისთვის კი ასე უნდა აეხსნა მიზეზი: „ეს იმიტომ, რომა, ვეღარ შებედოს... თავი არ გაიფუჭოს...“ მაგრამ თავფარავნელს იმისკენ არც გაუხედავს, თავად დაიდო ხელზე დოლაბი, სქელი თოკი შემოუჭირა, ცალი ბოლო კბილებით დაიჭირა. მეორე ხელით კი, მარჯვენა ხელით, მაგრად მიიბა. „სიმართლის მთქმელმა სესიამ“ კი, კმაყოფილება რომ დაეფარა, ვითომ მწუხარედა თქვა:

— ეს გიჟი ყოფილა, ვიღაცაა...

ზღვაში შეაბიჯა თავფარავნელმა, ზღვაში შეტოპა. ღამე იდგა და არეულ ხმებში გიორგა პაპას ლოცვას-ღა უგდებდა ყურს. იმ დიდ საღამოს მიხვდა თავფარავნელი, მანამდე რად არ მიცურავდა დედოფლისაკენ — ჯერ არ იწვოდა. იმ დიდ საღამოს კი, როცა აენთო, როცა თვითონაც კელაპტარივით მოედო ცეცხლი, უეცრად მოგროვილი ხალხის თვალწინ დოლაბი დაიკრა ხელზე და, თავად ანთებული, ნეტარი შუქისაკენ გაეშურა.

ღამეულ ზღვაში ჯიუტად მიცურავდა თავფარავნელი. მძიმე იყო დოლაბი, შიშისმომგვრელად იზნიქებოდა ზღვა, ძნელადმოსარევი, იდუმალი და უცნაურად აჩურჩულებული, მაგრამ დროდადრო თავს აიღებდა და ძალას უათკეცებდა ის ციცქნა შუქი... მკლავის ყოველი მოქნევისთანავე უფრო იღლებოდა, მაგრამ უფრო მკაფიოდაც ციაგებდა ვიწრო სარკმელი...

— რაღაცა უშნოდ მოცურავს, ორბო, — აწრიალდა შავი დედაბერი და დაუცაცხანა, — კარქა გააჩაღე კოცონი, ეგება ჩვენსკენ წამოჩერჩეტდეს...

თავს არ იზოგავდა თავფარავნელი, შედედებულ ტალღებს იმ ცალი ხელით მიარღვევდა. თავჩარგული მიაპობდა უზარმაზარ ზღვას და იმ აუარება ლურჯი ჰაერიდან თავის მცირედ წილს მოშიებული კბეჩდა, გვერდზე ეზიდებოდა მძიმე დოლაბი... ჯიუტი ცურვა — ერთადერთი, ზღვის გადამლახავი ცურვა იცოდა თავფარავნელმა... და ზიზღით გაიხედა განზე: შავი დედაბრისაკენ ხომალდით მიემგზავრებოდნენ...

გაჩახჩახებული, ჭრელ-ჭრელი ფერებით მორთულ ხომალდზე იცინოდნენ, ოღონდ იმ საზარელი სიცილით, როცა თვალები სულ არ იცვლება. სასმელ-საჭმლის სუნი მოდიოდა, ათასნაირი შემწვარ-მოხრაკულის, ქალებიც ახლდათ, აკისკისებულნი, ჩასუქებულნი, დროდადრო ტაშისცემა იფეთქებდა, და იმ ხორხოცში ვიღაცამ თავფარავნელისაკენ გაიშვირა თითი და უცებ იყვირა:

— არიქათ, უშველეთ, კაცი იღუპება!..

ყველა ხომალდის დაბალ მოაჯირს მიცვივდა და დახმარებასა სთავაზობდნენ, შორიდან ხელიც კი გაუწოდეს, თავფარავნელმა ჭაბუკმა კი მოიყრუა და ისევე დინჯად, ისევ ჯიუტად მიიკვლევდა გზას.

— უშველეთ, უშველეთ, იღუპება, მერე რა, რომ გიჟია, ადამიანია ეგეცაა... — ყვიროდა ვიღაც.

და თუ ვინმე ზომაზე მეტად გადმოიხრებოდა, რომელიმე ძმადნაფიცი მაშინვე ჩუმად ხელსა ჰკრავდა და

ისიც ცარიელა დოლაბივით წამსვე ფსკერისაკენ მიდიოდა — ღელეში ნასწავლი ჭყუმპალაობით ვინ რას გახდებოდა ზღვაში... მერე ხელი ჩაიქნიეს — სახიფათო იყო მოაჯირთან დგომა და ისევ სიცილ-კისკისით გასწიეს აბრიალებული კოცონისკენ, მარტოდ დარჩენილი თავფარავნელი კი დასასვენებლად გულაღმა ამოტრიალდა და ცას რომ შეაცქერდა, ის ლექსი გაახსენდა, სოფელზე თქმული:

შენ, ჩემო დიდო იმედო,
სახლო, ნაგებო კირითა,
ტყეში მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა,
ცისფერო მოვის პერანგო,
ბევრგან შეკრულო ღილითა —
ცაე, წმინდა ვარსკვლავიანო,
მზეე, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
თქვენთანამც ყოფნით გამაძღო,
სიფხიზლითა და ლხინითა.

სოფელზე იყო ლექსი, და კარგად იცოდა, როგორ უყვარდა, სხვებზე მეტად რომ უყვარდა სოფელი და სწორედ ამ ზედმეტმა სიყვარულმა აიძულა მზედაფენილი სოფლის დატოვება და ამ კუნაპეტ ღამეში ზღვასთან შებმა, სოფლის სიყვარული უხმობდა დედოფალთან, რომელიც თავად ირჩევდა ერთგულ მსახურებს — სოფლის დანახვის წყალობითა და გიორგა პაპას დალოცვილი ენით. ზღვას მიაპობდა თავფარავნელი...

— ეგ რაღაც ძალიან უშნოდ მიცურავს, ორბო, — ბრაზმორეული ცახცახებდა შავი დედაბერი და, ასაფრენად გამზადებულს, ბუმბულაბურძგვნილს, ნებასა რთავდა, — აბა შენ იცი, გასწი!

და ჰაერი რომ შეისუნთქა, თავი რომ ასწია, ავი ფართქუნი შემოესმა თავფარავნელს, უეცრად აბობოქრებულმა ტალღამ აიტაცა, შავი ღრუბელიც დააცხრა და ის იყო, თავში უნდა ჩაენისკარტა, დოლაბიანი ხელი ასწია და შეუშვირა. გამწარდა ორბი, ალესილი ნისკარტი რომ გაუბზარა დოლაბმა და ახლა სხვა მხრიდან შემოუფრინა აფოფრილ ტალღებზე მოქანავე ჰაბუკს, მაგრამ დოლაბი დიდი იყო და გაუბზარავი. მერე ჭანგებით დააფრინდა, გავეშებული ფხაჭნიდა, მაგრამ ვერაფერს გახდა — იმ მძიმე ტვირთსაც, იმ ძნელად სატარებელ დოლაბსაც აღმოაჩნდა თავისი ფასი, თავისი მადლი და სიკეთე... მაინც კარგა ხანს ეომა, კარგახანს უტრიალა, უტრიალა, ეჯაჯგურა და ბოლოს, დაღლილი, ენაგადმოგდებული, ნისკარტგაბზარული, მორცხვად გაფრინდა დედაბრისაკენ, თვალს არიდებდა...

— ოო, შე მურდალო, შენა, —თვალები ააკვესა შავმა დედაბერმა, — მტრედოო, მტრედო... შენი დედა კი ვატირე მე შენი...

ორბი ტოტზე იჯდა და, გამწარებულს,ტოტში ღრმად ჩაესო კლანჭები და გაბზარულ ნისკარტზე გრძელ, ტირიფის ფოთოლივით ენის წასმას ლამობდა, მაგრამ თვალები ისევ სიძულვილით უკიაფებდა, ისევ მზად იყო...

ჩუმად იწვოდა სანთელი თეთრი. აშკარად ჩანდა სანთელი თეთრი, მაღალი კოშკი, სარკმელი ვიწრო... იმ ნაპირს, გაღმა ნაპირს — დედოფლის ნაპირს უახლოვდებოდა თავფარავნელი! ზღვის გაღმა, კოშკში, ქალი ცხოვ... შავმა დედაბერმა კი, გაკაპასებულმა, გაცოფებულმა, თითები გაფარჩხა და სწრაფი ძუნძულით შემოურბინა კოცონს, მერე დიდი მუცელი ცალი ხელით შეიწია, დაიხარა, მეორეთი ნაკვერჩხალი აიღო და ლოყაზე მიიდო. ისე იყო გამწარებული, ისიც კი ეგრილა და უცებ რაღაცამ გაუელვა, გადმოკარკლული თვალები ორბს მიაპყრო, შემრიგებლურად დაიტკბო ხმა:

— ლისო, ლისო, ქარი ქრისო... — ვეღარ ასწრებდა სათქმელს, პირდაპირ საქმეზე გადავიდა, —მოდი აქ, მოდი, მხარზე დამაჯექ... — და თუმცა კოშკისათვის მძულვარე მზერა არ მოუცილებია, განზე პირმიქცეული აჩურჩულდა,

— ორბო, ორბო, ჩემო, სარკმელთან აფრინდი, ფრთები გაშალე, აეფარე...

გაკვირვებული უმზერდა დედაბერს ორბი — იმის ჩიტს სარკმელთან რა ხელი ჰქონდა.

— აფრინდი-მეთქი, ფრთები გაშალე, შუქი დაფარე... — ჩურჩულებდა შავი დედაბერი, — მაგას თუ გული არ გაუტყდა, ისე რა შეაჩერებს, საცაა ნაპირზე ამოვა... და გული რომ გაუტყდეს, სინათლე ვეღარ უნდა დაინახოს, გაიგე? გაიგე?.. ლისო, ლისო, ქარი ქრისო, ლისიმ — დალალეო... მიდი ჰა, ჰაა-მეთქი, ორბო!

ფრთები გაშალა იმისმა ორბმა, მარად აკრძალული კოშკისაკენ მძიმედ გაფრინდა... ღონივრად იქნევდა ვეება ფრთებს, იმ ნეტარ, ვიწრო სარკმელს ფრთაგაშლილი აეფარა და, ის საძულველი ქალი რომ არ დაენახა, განზე იქცია პატარა თავი, თანაც, რაღაცის, რატომღაც, ბუნდოვნად რცხვენოდა!

ფსკერი იგრძნო თავფარავნელმა... გალმა ნაპირის საოცნებო ფსკერი. დაღლილი, არაქათგამოცლილი მოაბიჯებდა გულამდე წყალში. იცოდა, ღონეს რომ დაუბრუნებდა სინათლის დანახვა, მაგრამ ჯერ ისე იყო ღონემიხდილი, ერთბაშად მაღლა ახედვის თავიც აღარა ჰქონდა. ჯერ ნაპირს შეხედა. კი, კი, მართლაც ისეთი იყო, როგორსაც მოელოდა, გიორგა პაპას ნათქვამსა ჰგავდა:

„ზღვის გალმა დიდი ველია,
ია და, ვარდი ჰფენია...“

ია-იები, ვარდები იდგა! ძალა მოემატა, მუხლამდე წყალში მიაბიჯებდა. გამხნევებულმა, ცოტათი შორს გაიხედა, ძლივას გადასწია მზერა:

„კოშკი დგას მარმარილოსი,
წვერი ცას მიუბჯენია...“

წვერს ჯერ ვერა და, მხოლოდ კოშკის მყარ, საიმედო დასაწყისს ხედავდა. ალბათ, მართლა მაღალი იყო, გლუვად ბზინავდა ნედლი, ურღვევი მარმარილო და, გახარებული, კოშებამდე წყალში ლაღად მიაბიჯებდა, და როცა უკუქცეული ტალღა კოშებიდანაც კი წამით შემოეცალა... ტუჩზე ნაცნობი მადლი იგრძნო:

შიგა ზის... ქალი ლამაზი...
თავის...

და უცებ გაშრა... აღარსად ჩანდა ნეტარი შუქი... ვიწრო სარკმლისკენ იყურებოდა, თეთრ სანთელს დაეკებდა, დოლაბიან ხელს აფათურებდა ბნელში, მეორე ხელი, დაღლილი და ზღვაგამოვლილი, ისე დაუმძიმდა, ისე გაუხევდა...

აღარსად ჩანდა ნეტარი შუქი... და შებარბაცდა თავფარავნელი!

8.

— ლისო, ლისო, ქარი ქრისო, ლისიმ დალალეო, ჰეე, ე,
ჩემი ორბი ხორცს ძიძგნისო, ლისიმ დალალეო, ჰეე, ე,

მოგვიდაა ხორცი, ჰა, ორბო, ხორცი, ჰა?

თავფარავნელთან ჩაცუცქულიყო აქირქილებული შავი დედაბერი, თოკს დაგრეხილი თითებითა ხსნიდა:

— დოლაბი არა შავი ქვა... აბა, ვინ დაიჯერებს, ზღვის გადამცური, ჰეე, — და აღიღინდა, — დოლაბითაა, ჰეე, თუ იქნეებოდაა... ბარეღამ მოვხსნათ და ის იქნება... — და დოლაბი გვერდზე რომ გადააგორა, ჩაიხითხითა, — ესე უფრო მართალს არა ჰგამს?!

ჭანგებით მკერდში ჩაფრენოდა თავფარავნელს ორბი, და ზედ მარცხენა ძუძუსთავიდან გამოყონილ სისხლში გაბზარულ ნისკარტს მალიმალ აწობდა...

9.

მხოლოდ სიყვარულით, მხოლოდ სიყვარულისა გამო უარყოფილ კარმიდამოში, იმ თავის შუა ეზოში დაესვენებინათ თავფარავნელი. ღობესთან ხალხი შეგროვილიყო, ხეების ჩრდილში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ჭრილობებს ნაზად, ალერსით ჰბანდა თმაგაშ-

ლილი ეფემია, კოჭლი... მხრები უძიგ-ძიგებდა მოკუნტულ თებრონეს, ის მოვისპერანგაც შორიახლოს დაეხეტებოდა. „სიმართლის მთქმელი სესიაც“ მწუხარის სახით იდგა და თავს აკანტურებდა... სამფეხა სკამზე იჯდა დალეული, გამართული, უბედური ქალი...

მართლა ტიროდა ბერიკაკი, ხამდვილი ცრემლით ტიროდა ბერიკაკი. გიორგა პაპა... „ოოხ, გული რომ არ გაეტეხა... ცოტაც დასცლოდა!“ ეზოში გაფანტულ, კანტი-კუნტად ატუზულ ხალხს დანისლული მზერა მოავლო — ყველა იცოდა... სუყველას სცნობდა, და დიდი, დალაქული, ბებრული მჯიღი ამოისვა გაცვეთილ თვალებში გიორგა პაპამ, მკაფიოდ, მძიმედ ალაპარაკდა:

თავფარავნელი ჭაბუკი
ზღვის გაღმა ქალსა ჰყვარობდა,

მაინც ბაჯაღლოს იმკიდა სევდიანი ბერიკაკი:

ზღვა ჰქონდა წინაღ სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა, —
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.

ისევ შორით კი იყურებოდა, მაგრამ სმენად გადაქცეულიყო დედა...

ერთი ავსული ბებერი
ვაჟისთვის ავსა ლამობდა
სარკმელზე ანთებულ სანთელს...

ხმამაღლა ჩაახველა „სიმართლის მთქმელმა სესიამ...“

ვაჟი მიანგრევს ტალღებსა,
გულ-მკერდი არა ჩქამობდა,
ცალხელით დოლები მიაქვს,
ცალხელით ნიავქარობდა —
ზღვის გაღმა ერთი სანთელი
გამოღმა კელაპტარობდა.

გიორგა პაპასკენ მიიხედა შეცბუნებულმა ეფემიამ, თავფარავნელის მკერდზე შერჩა ნაზი ხელისგული...

ღამე ჩამოდგა წყვდიადი,
უკუნს რამესა ჰგვანობდა,

შეშინებული უმზერდა გაფითრებული, კოხტა-გოგო, თებრონე...

ტალღა ტალღაზე ნაცემი
ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა,
დაჰკარგა ფონი, შეშფოთდა...
მორეული ბობოქარობდა...

თვალები გაფართოებოდა შეძრწუნებულ დედას, და მაინც ღირსეულად, მაინც გამართული იჯდა სამფეხა სკამზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდა ფილა ლამაზი,
ყეელუცის თვალებს ჰგვანობდა,
წყალსა დაეხრჩო ჭაბუკი,
ზედ ზღვისა პირას ქანობდა,
ცისფერი მოვის პერანგი
ზევიდან დაჰფარფარობდა,
ლეშს დასჯდომოდა ზედ ორბი,
გულს უგლეჯავდა, ხარობდა.

სიჩუმე იდგა.

ჩუმად ქვითინებდა გოგო თებრონე, ჩუმადვე იხოკავდა ლოყებს გამწარებული ეფემია, ისევ ჯიუტად იყურებოდა ზღვის მიღმა რაღაცას მიმხვდარი, პატარა, რკინის ქალი. და გიორგა პაპას ახალ სიტყვას იმედით უცდიდა... მუჭაში მალულად ჩაამთქნარა მოვისპერანგამ, „სიმართლის მთქმელმა სესიამ“ ფრთხილად მოინაცვლა ფეხი...

ვინ რა იცოდა, გიორგა პაპასთვის მაინც რომ არ იყო დამარცხებული ეს მკერდამოჯიჯგნილი, უსულო ბიჭი... ვითომ, უსულო? და, თუმცა მრავალი იმათგანი ბევრს ვერას გაუგებდა რა, გიორგა პაპამ მიცვალებულს თავზე დააოდო ხელი და, დედის იმედად, ხმადაბლა უთხრა:

საცა სოფელში მიხვიდე,
სუყველგან ორი გზა არი...

ზღვის გაღმა, კოშკში, ქალი ცხოვრობდა,
ზღვის გაღმა, კოშკში ცხოვრობდა ქალი...

გადაჭრილ კუნძზე ჩამომჯდარიყო. მუცელზე დაელაგებინა ხელები. და, თუმცა რატომღაც უგუნებოდ იყო შავი დედაბერი, თავის ჩიტს მაინც ყასიდად, ნაძალადევი მხიარულობით დაეკითხა:

— კარგი იყო, ორბო, ჰა, ორბო, ხორცი?

ტირიფის ფოთოლივით ვიწრო, გრძელი ენით აილოკა კმაყოფილმა ორბმა კლანჭებზე შერჩენილი წვეთები...

...მაინც ანთია სანთელი თეთრი.
მუდამ ანთია სანთელი თეთრი მისი ჩუმი
ფვა — ამაღლებაა...

ამ მოთხრობას ვუძღვნი გლეხკაცობას — ქართული ხალხური პოეზიის ავტორს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან ჩეკურიშვილი

ანდერძი

ციკლიდან „ჩემი მეზობელი ქრისტეები“

1

შემოდგომის ჩვეულებრივი მოღუშული დღე იყო. მთელი თვე საავდროდ ეღირებოდა ცა-ღრუბელი, მაგრამ აგერ დეკემბრის ერთი კვირა უკვე ჩავლილი იყო ძველით, თოვლი კი ჯერაც საჯიხვეებს არ ჩამოსცილებოდა.

მზე კარგახნის ამოსული იქნებოდა, მაგრამ ისე იყო ჩამოღამებული, ახლად გათენებულს ჰგავდა.

— ჰაი, ქავთარ! — ჭიშკართან ვიღაცამ დაიძახა.

აივნის ძირში დაწოლილი ბებერი ძაღლი ზანტად წამოდგა და ჩახლეჩილი ხმით აყეფდა.

— ვიღაცა იძახის, გახედეთ! — ღუმელთან მიმჯდარმა ქავთარმა უმცროსების გასაგონად თქვა.

ყველას რაღაცა საქმეში ჰქონდა ხელი ჩაკრული, ამიტომ ქავთარის მეუღლემ — ფალეიმ გაიხედა.

— წენ და[1] შინ არის? — იკითხა მოსულმა.

— დიახ, — უპასუხა ქალმა. მერე კიბეზე ჩააფრატუნა კალოშები და ძაღლს გაუჯავრდა.

უნახკი ქალს მიესალმა, კიბეზე თავის ასაკთან შედარებით ყოჩაღად აირბინა, ჯოხი კარებთან მიაყუდა, შესასვლელთან დაფენილ სველ ტილოზე ფეხები გაისუფთავა და შიგნით შევიდა.

წვერმოშვებული და ულვაშგაპარსული ქავთარი ფეხზე წამოუდგა სტუმარს. იგი საშინაოდ იყო ჩაცმული, ბეჭებზე ქულაჯა ჰქონდა წამოსხმული.

— მშვიდობა შენს მოსვლას! — თქვა დამხვდურმა.

— მშვიდობა მოგცეთ! — —უპასუხა მოსულმა.

მასპინძელმა გახურებულ კერასთან დაუდგა სკამი.

— ოხაუშ[1] უნახკი.

სტუმარი უხმოდ დაჯდა.

— დაღონებული ჩანხარ, რამ შეგაწუხა? — ჰკითხა ქავთარმა.

— დელარ, ვერ მოვედი კარგ საქმეზე.

— რა ამბავია?

— დიდი უმარის უფროსი ქალიშვილი გარდაცვლილა.

— ნუნუ?

— მაშ!

— ჰაი, ალაჰ! — ზეზე წამოდგა ქავთარი.

---

[1] წენ და — ოჯახის მამა.

[1] ოხაუშ, — დაბრძანდი.

[2] დელარ — ღმერთმანი.

— ვალალაი, ვალალაი! — ვიშვიში დაიწყეს ქალებმა.

ღვთის წინაშე ნუნუს სიკვდილი არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი, წინა დღეს ძალიან უიმედო ამბავი მოიტანეს ქალაქიდან მის ავადმყოფობაზე, მაგრამ მაინც ელდასავით მოხვდათ გულზე.

— უჰ ეს ვერ მითხარი კარგი ამბავი! — ჩაილაპარაკა ქავთარმა.

— სიკვდილი სიკვდილია, მაგრამ მეორე ამბავი უფრო მეწყინა, — თქვა აღელვებულმა უნახკიმ.

— სხვა რაღა მოხდა?

— ამბავი მოიტანეს, ნუნუს აქ მოასვენებენ კუბოთი და ზეგ ჩვენს სასაფლაოზე ქართული წესით ასაფლავებენო.

— რას ამბობ, კაცო, შენ? — ქავთარმა ისე გადახედა სკამზე მჯდომ ჩოფურა კაცს, თითქოს ის უნახკი კი არა, ილბიზი[1] ან მისი ენით მოუბარი ყოფილიყო. უნახკის ნათქვამის გაგონებაზე გაკვირვებულმა ქალებმა უმალვე შეწყვიტეს ვიშვიში.

— ანდერძი დაუტოვებია, ჩემს სოფელში კუბოთი დამასაფლავეთო.

— ტყუილია! — თქვა გაჯავრებულმა ქავთარმა — ანდერძი ნუნუს მამის — უმარის მოგონილია.

— არ ვიცი.

— ეგ არის, მამა-პაპათა ადათ-წესებს რომ ტალახიანი ფეხებით სთელავს.

დუმდა უნახკი. ან რა უნდა ეთქვა. ქავთარი უნახკიზე კარგად იცნობდა უმარს.

— უნახკი, სოფელი რას ამბობს, სოფელი? — ჩაქინდრული თავი ასწია ქავთარმა.

— რასაც შენ იტყვი, სოფელიც იმას იტყვის.

— მე მოლა — მუეძინი ვარ, მაჰმადის წეს-კანონთა დამცველ-აღმსრულებელი. თვით მაჰმადი რომ ვიყო, ჩემს კანონებს ნაწილობრივ მაინც შევცვლიდი. ახლა რა შემიძლია?

[1] ილბიზი — ეშმაკი.

უნახკიმ მხრები აიჩეჩა, აბა რა ვიცი.

— გვარის თავკაცები უნდა დავსხათ, ვილაპარაკოთ, როგორც გადაწყდება, სოფელიც ისე მოიქცევა.

ასეც ფიქრობდა უნახკი—სადავიდარაბო საქმეა, ერთი კაცი, თუნდაც ის მოლა იყოს, ვერ გადაჭრის.

— მართალია ასე აჯობებს, — კვერი დაუკრა უნახკიმ.

— აბა, მაშ ვინმე ცხენოსან ჯეილს დაავალე, ჩამოურბინოს და ყველა გვარის თავკაცი მეჩეთთან მოიწვიოს საჩქაროდ. მეც მალე ჩამოვალ.

უნახკი უსიტყვოდ ადგა, კარი გააღო, თავის ჯოხს ხელი წამოავლო და ეზოდან ისე გავიდა, ბებერ ძაღლს ხმა აღარ ამოუღია. სციოდა და ადგომა დაეზარა.

2

„ო, რა უკუღმართი კაცია უმარი, — ფიქრობდა ქავთარი, — ასეთი ანდერძი რა ეშმაკმა მოაფიქრებინა? სოფლისთვის საჩოთირო და სახლაფორთო საქმე რომ არ გამოჩხრიკოს, ისე ვერ მოისვენებს. შვილმკვდარ კაცს კიდევ იმის თავი აქვს, რომ ქისტების რჯულისა და წესების გატეხაზე იფიქროს?! ან რაში სჭირდება? ამით რა სიკეთეს მიიღებს? საკვირველია, პირდაპირ! კაცმა რომ თქვას, ჩვენი ადათ-წესებისა არაფერი გაეგებაო, ტყუილი იქნება. ჯერ ერთი—უმარი ქისტია და ქისტებშია გაზრდილი; მეორეც — ღოიტში მედრესე არაბულად აქვს დამთავრებული. დრო რომ არ შეცვლილიყო, ამ სოფელში მე კი არა ის იქნებოდა მოლა. მაგრამ უმარმა სასწავლებლის დამთავრებისთანავე წიხლი ჰკრა მოლაობას და ახალ დროებას აუწყო ნაბიჯი. მას შემდეგ სულ იმის ცდაშია, ქისტებს უარი ათქმევინოს თავიანთ მამა-პაპურ წესებზე. ჯერ იყო და, თავის შვილებს ქართული სახელები დაარქვა: ნუნუო, გოგიო, ნათელაო... მერე ქისტის ქალის სკოლაში სიარულიც მან გაარჯულა. პირველად მან მიიყვანა თავისი ქალები სკოლაში. ეს კი-

დევ არაფერი, მაგრამ აქ რომ დაამთავრეს, ახლა ქალაქში გაგზავნა უმაღლესში სასწავლებლად.

კარგი, ამაში ცუდი არაფერი იყო და ჩვენც მივბაძეთ, მაგრამ ის ხომ იყო ცუდი, უმცროსი ქალიშვილი ქართველს რომ მიათხოვა. ის ხომ ძალიან კარგად იცოდა, ქისტი ქალის ქრისტიანზე გათხოვებას თვით ალაჰი კრძალავს. ისიც ხომ იცოდა, ქისტებს, მთელ სოფელს უნდა მოეკვეთა ამის გულისათვის მათი ოჯახი. უნდა მოეკვეთა, მაგრამ არ მოიკვეთა, რადგან გულშემატკივრები გამოუჩნდნენ. — ჩვენი შვილების სწავლა-განათლებაში დიდი ამაგი მიუძღვის, თან ახალი დროა და ნუ მოვიკვეთავთო. კარგი, ბატონო, ჩვენ არ მოვიკვეთეთ და ალაჰმაც შეუნდოს თუ კი შეუნდობს. მაგრამ ეს **რაღაა, ქისტი ქალი** ქისტებს სასაფლაოზე ქრისტიანულად — კუბოთი უნდა დავასაფლაოთო. აბა ეს რა მოსაგონია, რაში სჭირდება?!

სიკვდილს ყველგან თავისი წესი და ადათი აქვს. სოფელმა ავიც იცის და კარგიც. მტრისას და, როცა ვინმე დაზარალდება ჩვენმა სოფელმა მსარში იცის ამოდგომა. სოფელი ცდილობს, ოჯახს პატივი სცეს, მიცვალებულს ლაზათი დაადევნოს. ჩვენ ამას ჩვენებური წესით ვაკეთებთ, ქართველები — ქართულით.

უმარის ოჯახი დაზარალდა. ახლა როგორ მოიქცნენ ქისტები?

თუ ქართულად უნდათ დამარხვა, მაშინ აქ რაღას მოაქვთ, ქალაქში დამარხონ. არავინ არ დაუშლით. ქისტების სასაფლაოზე კუბოს რა უნდა?!"

ქავთარმა წინასწარ იცოდა, გვარის თავკაცთაგან არცერთს არ ესიამოვნებოდა ამ ამბის გაგონება, არცერთი არ იტყოდა, დავუთმოთო. მაგრამ მან დიდი უმარის ხასიათიც ძალიან კარგად იცოდა: თოფით რომ დასდგომოდნენ, თავის ნათქვამს მაინც ვერ გადაათქმევინებდნენ. არა და, არც თავკაცები წავიდოდნენ დათმობაზე. აი, მერე რა მოხდებოდა, ქავთარს ვერ წარმოედგინა.

— ალაჰ, შენ დაგვიხსენი ამ შარიანი საქმისაგან! უმარს შენ ჩააგონე ჩვენი ჩასაგონებელი. ჩვენ უძლურნი ვართ, შენ — ყოვლისშემძლე. ჩვენ არ გვიხდა შენი მაღალი ბრძანება გავტეხოთ. ამიტომ ნურც თქვენ ინებებთ, რომ იმ ერთმა კაცმა მთელი სოფელი გაგვტეხოს. — ჩაილაპარაკა თავისთვის. მერე ცოლს უბრძანა:

— მომეცი თეთრი ქულაჯა, თეთრი ფაფახი.

ქალს ხმა არ ამოუღია, უმალვე მეორე ოთახში გაუჩინარდა. ცოტახნის შემდეგ გამოვიდა და მოახსენა: შებრძანდით, გადმოლაგებული გახლავთო.

ქავთარი ოთახში შევიდა და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

შინაურებმა იციან: წენ და ფალეის მოთელილ ნაბადს გაიშლის ძირს, მუხლებს მოიყრის და ლოცვად აღაპყრობს ხელებს. როცა ქავთარი ლოცულობს, შვილები და შვილიშვილებიც კი თითისწვერებზე დადიან და ჩურჩულით ელაპარაკებიან ერთმანეთს. მაგრამ ძაღლი, მათი ბებერი ძაღლი — ეშმაკებთან წილნაყარი ჯალია, მაინცდამაინც მაშინ იწყებს უნდილ ყეფას. სულელ ბავშვებს ამაზე ეცინებათ, მაგრამ შიშით გაცინებას ვერ ბედავენ. უფროსებს კი გული მოსდით გამოჩურჩუტებულ ძაღლზე, მაგრამ პირუტყვს რა ჭკუა მოეთხოვება?!

ქავთარმა ლოცვა დაამთავრა. თეთრი ქულაჯა ჩაიცვა, თეთრი ფაფახი დაიხურა და გამოვიდა.

სოფლის მთავარ გზაზე დარბაისლურად მიაბიჯებდა მაღალი ქავთარი, თან წმინდა ხის — ურძნის ჯოხს იბჯენდა. წინ შემხვედრნი მორიდებით უკრავდნენ თავს და უხმოდ უთმობდნენ გზას. ქისტებმა იციან, თეთრ სამოსელში გამოწყობილი ქავთარი ან მიცვალებულის ოჯახში მიდის, ანდა მეჩეთში.

გზის პირას ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ქავთარის მიახლოებაზე ისინი კამათს წყვეტდნენ და ფეხზე დგებოდნენ. ქისტებში საერთოდ ასეთი წესია — უმცროსი უფროსს აუცილებ-

ლად ფეხზე უდგება, თუგინდაც იგი მხოლოდ ექვსი თვით იყოს უფროსი.

ასე იქცევიან ახალგაზრდები;

ასე იქცევიან ბერიკაცებიც.

უფროს-უმცროსობა ღმერთის გაჩენილია. უფროსისათვის პატივისცემა და მორიდება სავალდებულო კანონია მაჰმადის მიერ დადგენილი. ჰოდა, ახლა მოლასათვის გაურკვეველია, უმცროსები მის ასაკს სცემენ პატივს თუ მოლაობას. მაგრამ რაკი თავს უკრავენ და მოწიწებით ექცევიან, ფიქრობს, რომ პატივს სცემენ მის მოლაობასაც. თუმცა ეს ფიქრი თავის მოტყუებას უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს.

ქავთარმა დარბაისელი კაცის დინჯ ნაბიჯით იარა და ცოტა დაგვიანებით მივიდა. თერთმეტივე გვარის თავკაცი მეჩეთის ეზოში იდგა, ჯოხებზე დაყრდნობილნი საუბრობდნენ. უმრავლესობას ფაფახები ეხურათ, თითო-ოროლას — თბილი, ყურებიანი ქუდები.

შენობა გარეგნულად სულაც არ ჰგავდა მეჩეთს. იგი დაბალი და კრამიტით გადახურული იყო. გამვლელებს საცხოვრებელი სახლი უფრო ეგონებოდათ, ვიდრე სამლოცველო.

ოდესღაც ამ ადგილზე მართლაც იდგა ნამდვილი მეჩეთი — ქვითკირისა, მაღალი, მინარეთიანი. იმ მინარეთზე ყოველ პარასკევს გადმოდგებოდა მკვახეხმიანი მუეძინი და ლოცვად იხმობდა ქრისტეს. მერე დიდი ცვლილებები მოხდა ქვეყანაზე და მინარეთი უმუეძინოდ დარჩა. მეჩეთი კი კოლმეურნეობის საწყობად იქცა. შიგ ხან ხორბალს ინახავდნენ, ხან ყველის გუდებს. ახლა ყველას შეეძლო შიგ შებოტება-წმინდანსაც და უწმინდურსაც, მორწმუნესაც და ურწმუნოსაც.

ქარიშხლის დროს მინარეთიდან წვიმა ჩადიოდა საწყობში. ამიტომ მოანგრიეს იგი და ჩვეულებრივი ბოსელივით კრამიტით გადაჰხურეს.

ასე იყო კარგანანს. შემდეგ კოლმეურნეობამ ნამდვილი საშრობ-საწყობი ააშენა და ნამიზგითარ-ნასაწყობარი სიპატარავის გამო უპატრონოდ მიატოვეს.

მიტოვებულ მეჩეთს საუკუნეს მოღწეული მორწმუნე ბერიკაცები დაეპატრონენ. მათ ამ ქვეყნად მოთავებული ჰქონდათ საქმე. იმათი შვილები და შვილიშვილები ქვეყანას იყვნენ მოდებულნი. ბერიკაცებს სხვა საზრუნავი აღარაფერი ჰქონდათ, გარდა ერთისა — უნდა ელოცათ. როგორც ლოცულობდნენ მათი მამა-პაპანი და სულ-ხორცით განწმენდილნი წასულიყვნენ ამა სოფლიდან.

ძლოცველები ჯერ ფიქრობდნენ, ვინმე მთავრობის კაცი მოვა და აქ სიარულს დაგვიშლისო. მაგრამ მათი დარდი არავის ჰქონდა. ქვეყნად უფრო მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. დამშლელი რომ არავინ გამოჩნდა, მლოცველთა რიცხვმა თანდათან იმატა. მოდიოდნენ და ლოცულობდნენ ისინი, ვინც საიმქვეყნო ამბებზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე წუთისოფელზე. ბევრს ეჩვენებოდა თავისი დაღმართი ჩავლილ-ჩამთავრებულად. ამიტომ თავიანთ ძველ რწმენას უბრუნდებოდნენ და მეჩეთში მუხლმოყრილნი ალაჰს ავედრებდნენ ცოდვილ სულს — ჯეილობაში ჩვენის უმეცრებით თუ რამ ცოდვა ჩაგვიდენია, შეგვინდეო. მლოცველთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არც ალაჰი სწამდათ და არც ქრისტე. მაგრამ თავიანთი „ქისტობა“ რომ დაემტკიცებინათ, დღისით აქ მოდიოდნენ და მუხლებმოყრილნი პირწმინდად ასრულებდნენ ლოცვას, ღამით კი „ნალოცი ალაჰი შველოდათ“ სარჩოს შოვნაში.

ბოლოს მორწმუნე ქისტებმა ამოდენა სოფლის უმუეძინოდ არსებობა ალაჰის წინაშე დანაშაულად მიიჩნიეს. ამიტომ არჩიეს, არჩიეს და ქავთარი ამოარჩიეს, — ალაჰისა და სისწორის მოყვარული კაციაო. თან ყურანის არაბულად წაკითხვასაც ახერხებსო.

ეს ამბავი ჯაი ხნის წინათ მოხდა.

ქავთარი მეჩეთის შემოღობილ ეზოში თავშეყრილ კაცებს თავის დაკვრით მი-

ესალმა. ასევე უპასუხეს დამხვდურებმაც.

— ზაფხული რომ იყოს, ბუსნოზე ჩამოვსხდებოდით. ცივა, შიგნით ჯობია! — თქვა ქავთარმა.

— შიგნით, მაშ! მე უკვე ცეცხლი ავანთე, — უთხრა უნახკიმ.

ქავთარმა ახლაღა შენიშნა, ფანჯარაში გამოჩრილი თუნუქის მილიდან ბოლი გამოდიოდა.

„ღმერთმა ააშენოს შენი ოჯახი, რა კარგად მოგიფიქრებია" — გულში დალოცა ცეცხლის ანთებისათვის და მეჩეთის კარი შეაღო.

შიგნით სასიამოვნოდ თბილოდა. ნესტის სუნი იდგა და ბნელოდა, მაგრამ არც ისე, კედელთან მიდგმული გრძელი სკამებისათვის რომ ვერ მიეგნოთ.

მეჩეთს რომ არემონტებდნენ, ვიღაცამ თქვა, მოდით, ბარემ ელექტრონიც გავიყვანოთო. აბა ეგ როგორ შეიძლებაო, — შეიცხადა ზოგმა. რატომ არ შეიძლება, ვინ აკრძალაო, კითხულობდა სხვა. მოლას ჰკითხეს, როგორ მოვიქცეთო. ქავთარმა, აბა, რა იცოდა, ალაჰს ეწყინებოდა თუ გაუხარდებოდა ელექტრონის შუქი. რაკი ჩვენს მამა-პაპას ელექტრონის შუქზე არ ულოცია, ნურც ჩვენ მოვინდომებთო, თქვა და ასე დარჩა.

შევიდნენ და უმცროს-უფროსობის კვალობაზე ერთმანეთს სთავაზობდნენ დაჯდომას. ბოლოს ყველაზე უმცროსიც დაჯდა და ქავთარმა იკითხა:

— თავკაცნო, ხომ იცით რა საქმეზე შევგროვდით?

— ვიცით!

— დიდი უბედურება დაატყდა უმარის ოჯახს. სიკვდილი მხარკვერიანი, თვალცეცხლიანი არწივივით დაეცა და უფროსი შვილი წაართვა.

— სიკვდილ-სიცოცხლის კანონს წინ ვინ გადასდგომია, რომ ჩვენ გადავუდგეთ?

— არავინ! მაგრამ ნუნუს სიკვდილი იმაზე უფრო მუხთალია, ვიდრე ჩვენ გვგონია, — თქვა ქავთარმა, — ხომ გაიგეთ, უმარს რა გადაუწყვეტია; ჩვენს სასაფლაოზე თავის მკვდარს კუბოთი უპირებს დასაფლავებას.

თავკაცები უსიამოვნოდ შეიშმუშნენ. მორწმუნენი იყვნენ და სწამდათ, კუბო საუკუნო სიმშვიდეს დაუკარგავდა ქრისტების მკვდრებს. მათი ფიქრით წინაპართა საფლავების შეგინება იქნებოდა ქრისტების სასაფლაოზე კუბოს მიტანა. მათი აზრით კუბო სამოთხეში მოხვედრილთაც კი ჯოჯოხეთში მოაქცევდა.

— თავკაცნო, ოდესმე თუ გინახავთ, ან გაგიგონიათ მსგავსი ამბავი?

— არასოდეს!

— და არც ახლა მოხდება!

გულმოსულები ერთმანეთს არ აცდიდნენ ლაპარაკს.

— მეც ვამბობ, არასდროს არ მომხდარა. დღეს თუ მოხდება, ეს იქნება ჩვენი რჯულის გატეხა, მაჰმადის კანონის შეგინება, ჩვენი ქრისტობისათვის სახელისა და ფასის აყრა. ისე, როგორც ქრისტიანებისათვის იქნებოდა წესების შეგინება, თუ ისინი თავიანთ მკვდარს ჩვენი წესით დაასაფლავებდნენ. ახლა თქვენ გადასწყვიტეთ, შევაგინოთ თუ არა რჯული მაჰმადისა, ქრისტობა ჩვენი, რომელსაც ჩვენი მამა-პაპანი წმინდად იცავდნენ?

— რა უფლება გვაქვს?!

— ალაჰი არ გვაპატიებს.

— გაურჯულებელს ვერ გავარჯულებთ.

— აბა რა ვქნათ? — იკითხა ქავთარმა — მიცვალებულს საღამოს ჩამოასვენებენ კუბოთი... როგორ მოვიქცეთ, არ მივიდეთ, არ გავიზიაროთ ჭირი ჭირისუფლისა? ახლოს არ გავეკაროთ უმარის ოჯახს? მე მგონი არც ასეთი გაწირვის ღირსნი არიან.

— არა, ახლოს არმიკარება არ შეიძლება. მაგრამ არც იმის გაკეთება შეიძლება, რაც გადაუწყვეტიათ.

— აბა როგორ მოვიქცეთ?

— მივიდეთ უმართან, ველაპარაკოთ და კუბოთი დასაფლავება გადავაფიქრებინოთ.

— სად მივიდეთ, თვითონაც საავად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფოში წევს, ოპერაციას უპირებენო, მისი საქმეც სათუო ყოფილა.

— ტყუილად გავირჯებით, არ გადაიფიქრებს, — თქვა უნახკიმ.

— უმარი თავისწვერა კაცია! — დაუმატა ქავთარმა.

— წინასწარ ნუ გადავშრეტავთ იმედის წყალს. როგორ თუ არ გადაიფიქრებს? არ გადაიფიქრებს და ნურც საფლავს გავუთხრით, ნურც სასაფლაოს მივცემთ. აბა რას იზამს, მკვდარს დაუსაფლავებელს ხომ არ დატოვებს?

— ჰო, მისვლა წესია, ჩვენ ჩვენი უნდა ვუთხრათ. ერთი მე თვითონ მივდივარ, — თქვა ქავთარმა, — ოთხი კაცი კიდევაა საჭირო.

თავკაცებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველამ იცოდა, ახლა მათ შორის ისინი უნდა შერჩეულიყვნენ, რომელთა მისვლას და სიტყვას უფრო მეტი ფასი და პატივი ექნებოდა უმარის თვალში.

— უნახკი, შენც უნდა წამოხვიდე, მათი გვარის კაცი ხარ, გევალება! — უთხრა ქავთარმა.

— წამოვალ, მაშ!

—უმარი ჩემი შინშია, მეც წამოვალ. ხათრი თუ არ შემინახა, მაშინ რად მინდა მისი ნათესაობა? — წინასწარ ჯავრობდა თოლექა.

— ერთი ბეწი!

— ერთიც იდაი!

უფროსობით შეარჩიეს.

არცერთს არ უთქვამს, შეუძლოდ ვარ, ვერ წამოვალ, მგზავრობა არ შემიძლიაო, — მიუხედავად იმისა, საუკუნემდე ორიოდე ნაბიჯილა ჰქონდათ დარჩენილი.

— მაგრამ თავკაცთა მტკიცე სიტყვა უნდა ვიცოდეთ, უმარმა რომ არ დასთმოს, ჩვენ თქვენი სახელით რა ვუთხრათ? როგორ მოვიქცეთ?

— არც თქვენ დასთმოთ.

— ჩვენს რჯულს ვერ გავტეხთ!

— უთხარით, სოფელი არ გაძლევთ კუბოთი დასაფლავების ნებას-თქო. ისევ დაჯავრდნენ ქისტები.

— მაშინ, ნუღარ ვიგვიანებთ, ახლავე გავყვეთ ავტობუსს, — წამოდგა მაღალი ქავთარი.

წამოიშალნენ თავკაცები.

გარეთ გამოსულებს ახლა უფრო შესცივდათ.

ცა ისე მძიმედ იყო ჩამოთალხული, უსაათოდ კარგი ალღოიანი კაციც ვერ მიხვდებოდა, რა დრო იქნებოდა ახლა.

3

უმარი საავადმყოფოში საოპერაციოდ დაწოლას არ ფიქრობდა, მაგრამ შვილებმა აფიქრებინეს.

ერთ შაბათ საღამოს უმარი და მისი მეუღლე — ჰალიმათა მოწყენილები ისხდნენ კერასთან. მოწყენილობა მარტო მათი სიმარტოვის ბრალი არ იყო. მეორე თვე სრულდებოდა, რაც უმარის ჯანმრთელობა უარ და უკუღმა მიდიოდა. თხუთმეტი წლის მანძილზე სტანჯავდა კუჭის წყლული. მისი წონა სოდა ექნებოდა დალეული. სად არ მკურნალობდა: ეს ბორჯომიო, ესენტუკიო, უწერაო, მაგრამ საშველი მაინც არ დაადგა. გაზაფხულობით და შემოდგომობით რომ დაეწყებოდა ტკივილები, მშვიდი ღამე და ტკიბილი ძილი ენატრებოდა სამოცდაათი წლის კაცს.

ბოლოხანებში კი უფრო გაუმწვავდა ტკივილები.

სხვა გზა არ იყო და ისევ საავადმყოფოში დაწვა.

ექიმებმა ერთხელ კიდევ გამოიკვლიეს მისი სენი და საბოლოოდ დაასკვნეს, უოპერაციოდ მისი გამოჯანმრთელება შეუძლებელი იყო. უმარისათვის სხვა დროსაც ურჩევიათ ოპერაციის გაკეთება, მაგრამ სული ტკბილია, — ვერ გაებედა. სამოცდაათი წლის კაცისათვის დასტაქრის დანის ქვეშ თავისი ნებით დაწოლა არც ისე იოლი გადასაწყვეტი იყო. ამჯერადაც უარი თქვა და ჰალიმათას დაუბრუნდა შინ.

ახლა მარტონი ისხდნენ გახურებულ ღუმელთან და არას ლაპარაკობდნენ. უმარი თავის ტკივილს უსმენდა, ჰალიმათა კი ვინ იცის რაზე ფიქრობდა.

ახალი შებინდებული იყო, სინათლე

ჯერ არ აენთოთ. სახლის წინ გზაში მანქანა გაჩერდა. არც მისთვის მიუქცევიათ ყურადღება. პატარები ხომ არ არიან, ლამაზი მანქანის დანახვით გალაღებულიყვნენ. თვითონ არავის ელოდნენ. მეზობლისას თუ ვინმე მივა, ეს რა მათი საკირკიტოა.

უმარმა წამოდგომა დააპირა, სინათლე უნდა აენთო. ამ დროს აივანზე ვიღაცის ფეხის ხმა გაისმა. ჯერ ეგონა, მომეყურაო, მერე კარი გაიღო და ვიღაცა უხმოდ, უკითხავად შევიდა შიგნით. ლანდი კარებთან ჩამრთველს მისწვდა და აფეთქებულმა სინათლემ წამით თვალი მოსჭრა გაკვირვებულ ბებრებს. მერე გაისაჩინეს — ოთახში მათი უფროსი ვაჟი ოთარი იდგა გაღიმებული. მოხუცები ჯერ გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ კარებში შევიდა მათი უფროსი ქალიშვილი ნუნუ, იმას მოჰყვა ლია, ლიას — გოგი, გოგის — ნათელა.

ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ ისე მოწყენილები იყვნენ უმარი და ჰალიმათა, ერთი შვილის სტუმრობაც ღვთის წყალობა იქნებოდა მათთვის. ხუთი შვილის ღიმილმა კი სახლი სიხარულითა და უდიდესი ბედნიერებით აავსო.

— შეთქმულები ხართ, შეთქმულები! — შეეკუჩებულ შვილებს კარებთანვე მიაძახა მამამ.

რა თქმა უნდა, წინასწარ იყო მოფიქრებული ასეთი მოულოდნელი სტუმრობა. სხვანაირად შეუძლებელი იყო მათი ასე თავშეყრა, რადგან ერთმანეთიდან ძალიან შორი-შორს ცხოვრობდნენ.

შევიდნენ სახლში და სიხარულის გარდა საჩუქრებით გატენილი ბადურები, ხელჩანთები და ჩემოდნები — შეიტანეს.

უმარი კი მიხვდა, რომ შვილები შეთქმულნი იყვნენ, მაგრამ იმას ვერ მიხვდა, რა ეწადათ, ვიდრე შუაში ჩამჯდარს მოსიყვარულებაში არ შეაპარეს — დადეი,[1] ასე როდემდე უნდა იტანჯო, გაიკეთე ოპერაცია. აგერ ხუთივე შვილი თავზე დაგადგებით ჩვენი ქმრებით და ჩვენი ცოლებით. არც ფულს დავზოგავთ, არც ცდას დავაკლებთ, რის გეშინიაო.

რა თქმა უნდა, შვილები მამის ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ, ირჯებოდნენ, მაგრამ უმარისათვის ისიც ცხადი იყო, მარტო შვილების მონდომება და მათ მიერ გამეტებული ფული ვერ დაიფარავდა იმისაგან, რის შიშიც ჰქონდა.

უმარი იმ წუთებში ისე იყო გახარებული, ისე აავსეს იმედებით, თანხმობა განუცხადა შვილებს — რაკი ასე გსურთ, კარგი, გავიკეთებო. თუ გადავრჩი ხომ კარგი, თუ არა, ის მაინც ვიცი, გულით დამიტირებთო.

ყველაზე მეტი ბედნიერება იმ ორ დღესა და ღამეს განიცადა უმარმა და ჰალიმათამ; დაზრდილნი, დავაქკაცებულნი, უმაღლესდამთავრებული შვილები ერთდროულად, მოულოდნელად ესტუმრნენ. ისინი ახლა ჰგავდნენ მერცხლის ბარტყებს, რომლებმაც კარგახანია მიატოვეს გამზრდელი ბუდე, სხვადასხვა მხარეს გაფრინდნენ, საკუთარი ლამაზი ბუდეები აიშენეს და ახლა თვითონ ზრდიდნენ შვილებს. ათასი საფიქრალი და საზრუნავი აქვთ, მაგრამ მაინც გამონახეს თავშეყრის დრო, მოულოდნელად მოფრინდნენ მათი გამზრდელი ბებერი მერცხლებისა და პატარა ბუდის მოსანახულებლად.

დაქალებულები და დავაქკაცებულები დაბიჯებდნენ პატარა ოთახებში. მათი ნაბიჯების ხმა აფხიზლებდა და ახალისებდა დაყრუებულ კედლებს. ერთმანეთს ფეხებში ედებოდნენ, იცინოდნენ, ხმამაღლობდნენ... მათი შემხედვარე ჰალიმათა გულში ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ღმერთო, ცა-ქვეყნის დამაარსებელო, ნურცერთის გაჭირვებას ნუ მომასწრებო“.

იმ ორ დღეს ოთხჯერ მაინც დასხდნენ და-ძმები და იმსჯელეს, ითათბირეს, სად, რომელ საავადმყოფოში დაეწვინათ მამა, ვის დანას და დასტაქრობას მინდობოდნენ. ბოლოს შეთანხმდნენ. ორშაბათს კი მანქანაში ჩაისვეს და წაიყვანეს.

[1] დადეი — მამა.

სახელგანთქმული დასტაქარი შვილებს შეპირდა, ავადმყოფს ერთ კვირაში მოვამზადებთ საოპერაციოდ, ჩემი ხელით გავკვეთავ და ორ კვირაში სრულიად ჯანმრთელს გაგატანთო სახლში. პროფესორმა სავარაუდო დღე და რიცხვიც დააახელა, როცა ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. მანამდე მთელი კვირა იყო. ამიტომ უმარმა შვილებს სთხოვა, თავიანთი საქმეებისათვის მიეხედათ და ოპერაციის წინა დღეს მოსულიყვნენ მასთან თავიანთი შვილებით.

მართლაც, აბა რა აზრი ჰქონდა — მთელი ათი დღე თავზე სდგომოდნენ, როცა ამის საჭიროება არ იყო. ამიტომ გადაწყვიტეს, მამასთან მხოლოდ უმცროსი ძმა — გოგი დარჩენილიყო. დანარჩენები წასულიყვნენ თავიანთ ოჯახებში. ოპერაციის წინადღეს წამოსულიყვნენ და პროფესორს ხელდამშვენებულნი სტუმრებოდნენ ბინაში.

საქმისთვის ასე აჯობებსო, დაასკვნეს. მამას იმედი და ნუგეში დაუტოვეს, ერთმანეთს დაემშვიდობნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

ეს იყო შუადღისას. მზისჩასვლის ხანს კი ერთი ჩოჩქოლი ატყდა საავადმყოფოში, — ავარიაში მოყოლილი ვიღაც ქალი მოიყვანესო. ნაცრისფერ ხალათიანი და ფერმკრთალი ავადმყოფები მიმღებისაკენ მიაფლატუნებდნენ ჩუსტებს. დერეფანში თეთრხალათიანი ექიმები და ექთნები აწიოკებულებივით დარბოდნენ.

— დადეი, ახლავე მოვალ, გავიგებ რა მოხდა, — უთხრა გოგიმ წამოწოლილ მამას და პალატიდან გავიდა. იგი ცნობისმოყვარეთ გაჰყვა კვალდაკვალ. დერეფნის მოსახვევში იმ დროს მივიდა, როცა ავადმყოფი საკაცით მიჰყავდათ საოპერაციოში. ზემოდან თეთრი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. გოგიმ ავადმყოფის შუბლსა და თმას რომ მოჰკრა თვალი, გული შეუქანდა. კინაღამ იქვე ჩაეკეცა მუხლები. იმწამსვე გაიჭრა ხალხიდან, საკაცეს დაეწია და ავადმყოფს სახეზე დახედა.

— გამოდი აქეთ, ამხანაგო, გამოდი, ხელს ნუ გვიშლი, — მკლავებდაკაპიწებულმა ექიმმა შეუტია.

— და არის ჩემი ექიმი, ...თა? — ძლივს ამოილუღლუღა გოგიმ,

— დაა? ჰოდა, გვაცალე შეკაცო, ქალის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, — ცოტა მოლბა ექიმი.

ნუნუ საოპერაციოში შეიყვანეს და გოგის ცხვირწინ მოუკეტეს კარი.

ეს ჰგავდა საშინელ სიზმარს, როცა ელდა მოულოდნელად დაგაცხრება თავს, როცა არ ელოდები ხიფათს და უეცრად მის კლანჭებში აღმოჩნდები. განსხვავება მხოლოდ ის იყო, სიზმრიდან გამოერკვევი და დამშვიდდები — სიზმარში ვყოფილვარო, გოგიმ მთლიანად რომ გაიაზრა რა მოხდა, უფრო დიდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რადგან ეს იყო სინამდვილე და არა სიზმარი.

...სახლში მსუბუქი ავტომანქანით წასულა ნუნუ. ქალაქს რომ გასცილებია, გზაში ავარია მოსვლიათ — მანქანა ხიდიდან გადავარდნილა. მძღოლი იქვე გარდაცვლილა, ცოცხალ-მკვდარი ნუნუ კი სასწრაფოთი მიუყვანიათ საავადმყოფოში.

გოგიმ მამასთან პალატაში დაბრუნება რომ დააგვიანა, უმარი წამოდგა და თვითონაც გავიდა — რა ამბავი მოხდაო. გავიდა და გაიგო, თურმე უბედურება მას დასტრიალებდა თავზე გეზელ ქორივით.

ხუთ საათს გრძელდებოდა ოპერაცია. შემდეგ გამოვიდნენ სიკვდილთან ნაომარი, დაღლილ-დაქანცული ექიმები. გამოვიდნენ, მაგრამ გამარჯვებისა არც იერი გამოჰყოლიათ, არც იმედი.

ცალკე პალატაში დააწვინეს ნაოპერაციევი.

ნუნუ მეორე დღეს მოვიდა გონს. თავზე ადგა ჭაღარა და აკანკალებული მამა, რომელსაც თვითონ უნდა დასდგომოდა თავზე. თავზე ადგნენ და-ძმებიც. ექიმები არაფერს ზოგავდნენ იმისათვის, რომ ეს მშვენიერი ქალი როგორმე გადარჩენილიყო. თავზე ადგა ცნობილი ქირურგი და სახელგანთქმული პროფე-

სორი, რომელიც შვილებს ჰპირდებოდა, მამას გამოგიჯანმრთელებთო. არც იშვიათი წამალი, არც რაიმე სხვა საშუალება არ დაუზოგიათ, არ დაუკლიათ მაგრამ...

ნუნუ გრძნობდა, სიკვდილი კარსუკან ელოდა. ბავშვები მაჩვენეთო, მოითხოვა.

აჩვენეს.

ატირებულებს ესიყვარულა, რამდენადაც შესძლო. მერე და-ძმებს, მეუღლეს და მამას დაუბარა:

— სოფელში დამასაფლავეთ, ვიდრე დედა ცოცხალი იქნება, ის ივლის ჩემს სასაფლაოზე. ოღონდ გეხვეწებით, კუბოთი დამასაფლავეთ, მიწა პირდაპირ ზედ არ მომეყრება...

სიტყვა გაუწყდა, ტუჩები აუკანკალდა, თვალთაგან ცრემლები წამოუვიდა. დამშვიდება და დაიმედება დაუწყეს. ამ დროს ექიმმა შეაღო პალატის კარი და გაჯავრდა, ავადმყოფს ნუ აღელვებთო. ყველანი გარეთ გალალა, თვითონ მიუჯდა გვერდით და დამშვიდება დაუწყო. იმედით ავსებდა — ერთ თვეში თქვენი ფეხით წაბრძანდებით თქვენს სახლშიო. ექიმმა იცოდა, ტყუილს ეუბნებოდა, მით უფრო ცდილობდა დამაჯერებლად ეთქვა. იქნებ რწმენას სასწაული მოეხდინა, იქნებ...

საღამო ხანი იყო. ფანჯრიდან პალატაში შემოპარული ჩამავალი მზის სხივები ავადმყოფს სახეზე ეფინებოდა, თვალებს სჭრიდა. აწუხებსო გაიფიქრა ექიმმა, წამოდგა და ფარდა გასწია.

— იყოს, ექიმო, ნუ ჩამოაფარებთ ვუყურო, — სთხოვა ნუნუმ.

მკურნალი შეაძრწუნა ამ თხოვნამ.

უმალვე გასწია ფარდა.

მიხვდა — ავადმყოფმა იცოდა, რომ მოკვდებოდა. იმიტომაც ილტვოდა მისი სული მზისკენ. ექიმმა იცოდა — მის წინ მწოლარე ავადმყოფის ყველაზე დიდი ნატვრა იყო, — მზე თუნდაც ორიოდე წამით შეჩერებულიყო, თუნდაც ორიოდე წუთით გახანგრძლივებულიყო სიცოცხლე, ნათელი... მაგრამ მზეს თითქოს ახლა უფრო მიეჩქარებოდა.

ნუნუ და მზე ერთმანეთს უყურებდნენ.

მომაკვდავის ხარბი თვალები მზეს ებღაუჭებოდნენ, ეშიდებოდნენ, არ სურდა მასთან განშორება. მაგრამ მზე გულგრილი იყო, ცივი, უდარდელი. ვინ იცის მას ქვეყანაზე რამდენი დაზაფრული თვალები მიჰკიოდა, ემუდარებოდა, მაგრამ იგი მაინც ჩადიოდა.

ახლაც ჩაესვენა სახლის წითელი სახურავების გადაღმა. ჩაესვენა და ნუნუსთვის აღარასოდეს აღარ ამოსულა.

4

კარში წვერგაუპარსავი, შუახნის, დაბალი და კოჭლი კაცი იდგა. ზოგს უშვებდა შიგნით, ზოგს არა. დამწკრივებული ფაფახიანი ქისტები რომ მიადგნენ, გაოცებულმა შეხედა. წინ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მაღალი და ლამაზი, წვერმოშვებული კაცი მოუძღვებოდათ. ის კაცი ისე მიდიოდა, დარაჯს ვერც კი ამჩნევდა. ხეიბარს ეგონა, მოვა და შიგნით შეშვებას მთხოვსო, მაგრამ უკითხავად გავლა რომ დააპირა. წინ გადაუდგა:

— სად მიბრძანდებით?

ქავთარმა ახლაღა დაიხედა წინ, ახლაღა შეამჩნია ფეხებში წამოდებული ჩოფურა კაცი.

— შიგნით! — მკვრივი და მკვახე ტონით უპასუხა.

— არ შეიძლება.

არ შეიძლებაო, მაგრამ მაინც შევიდნენ შიგნით და კარებთან გაჩერდნენ.

— ხომ გეუბნებით, არ შეიძლება!— გაუწყრა დარაჯი. ტანად იყო პატარა, თორემ ხმა კი ჰქონია ომახიანი, — ვა, ეგ ხანჯლები რომ დაგიკიდნიათ, იმიტომ მოდიხართ დიდგულად?

ბერიკაცებს გაეღიმათ. არა თქვეს. თორემ გაფიქრებით კი გაიფიქრეს: „შენთან ხანჯალი და თოფი რა საჭიროაო“.

ამ დროს კიბეზე გამოჩნდა მწითური, ჩასუქებული, ლამაზად გაპარსული თეთრხალათიანი და თეთრქუდიანი კაცი. ქისტი ბერიკაცების წინ აქაქანებული დარაჯი რომ დაინახა, მათკენ გამოემარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა. კარისკაცმა დაინახა თუ არა, ი. წუთშივე ხმა ჩაიწყვიტა და გვერდზე მიდგა.

—ვისთან მიბრძანდებით? — ჰკითხა იმ ექიმმა თავაზიანად.

„აი, ამისთანა კაცთან ტკბილი საუბარიც ღირს და ჩხუბიც“, — გაიფიქრა ქალთარმა და მოახსენა:

— აქ ჩვენებური კაცი წევს — უმარ უმარაშვილი, იმასთან...

— მიბრძანდით, — აღარ დაამთავრებინა თხოვნა, — მეორე სართულზე, მეხუთე პალატაში წევს.

ეტყობოდა იმოდენა უფლება ჰქონდა, კარისკაცს არც კი ჰკითხა არაფერი, ისე შეუშვა.

ბერიკაცებმა თამამად გაიარეს, ხეიბარმა ავი მზერა გააყოლა დიდგულა ფაფახიანებს.

უმარი გულაღმა იწვა. ჭერისათვის მიებჯინა თვალები. იგი თავის დარდებსა და ფიქრებში ისე იყო წასული, საერთოდ ვერ ამჩნევდა რა ხდებოდა მის გარშემო.

პალატა არ იყო დიდი, ოთხი საწოლი იდგა, ერთზე უმარი იწვა, დანარჩენები ცარიელი იყო. უმარის შვილებმა პროფესორს სთხოვეს, მამა ცალკე პალატაში მოგვითავსეო. საშუალება იყო და არ აწყენინა. მაშინ ეს შეიძლება სასიამოვნოც იყო, მაგრამ ახლა უმარს ხმის გამცემი აღარავინ ჰყავდა გვერდით. დილას აქეთ, რაც ნუნუ სოფელში წაასვენეს, მარტოკა დარჩა უმარი. ნუნუ რომ გარდაიცვალა, მამას გული ორჯერ გაუხდა ცუდად. დაეხვივნენ ექიმები და ძლივს მოაბრუნეს. მერე პროფესორმა ნება არ დართო გაყოლისა. იქ რომ ასეთი შეტევა დაემართოს. დაიღუპებაო, უთხრა შვილებს. დიდი ხვეწნითა და მუდარით დაიყოლიეს მამა — დარჩენილიყო საავადმყოფოში.

სიცოცხლეს კი არ უფრთხილდებოდა, თავისი სიკვდილით შვილების ზედმეტად დაღონებას მოერიდა. აი, დარჩა საავადმყოფოში და სიმარტოვეში თავის გულს ასკდება, მწუხარებამ ადამიანის გულის ღრღნა იცის თურმე.

— უმარ, მარჩიოხილ![1]

— მორჩ ხილ![2] — უპასუხა ავადმყოფმა.

ჭირი უწყინეს ბერიკაცებმა, — ნუნუ საკუთარი შვილივით დაგვენანაო, აფსუსი იყო იმისთანა ჭკვიანი და ლამაზი ქალის ასე უდროოდ დაღუპვაო; საყვედური თქვეს — სიბერის ჟამს შენი ასე გამწარება ალაჰს არ უნდა ეკადრებინაო.

— ეჰ, რას ვიზამთ, ასეთია სიკვდილ-სიცოცხლის კანონი. მარტო ჩემს თავს არ მომხდარა! — მოსულთა ბოლოს საუბარი თვითონვე დაასწრო უმარმა.

ლაპარაკობდა დინჯად, აუღელვებლად. მას ტუჩები აღარ უკანკალებდა, არც ხმა ჰქონდა გაბზარული.

მოსულები ფაფახიან თავებს უქნევდნენ, ნამდვილად ასეაო, თან ცარიელი საწოლების კიდეებზე სხდებოდნენ რიგრიგობით.

უმარმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ისინი მარტო ჭირის საწყენად არ იყვნენ მოსულები. ელოდა ასეთ მომსვლელთ. მათ შესახვედრად ერთგვარად შემზადებულიც კი იყო.

ერთხანს უხერხული, წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა. უმარმა მოსულთა სახეები ჩამოათვალიერა და მიხვდა დუმილის მიზეზს.

„დაწყება უჭირთ“, — თქვა გულში.

დიახ, უჭირდათ დაწყება, რადგან ოღლი არ იყო ასეთ კაცთან ასეთ საქმეზე ლაპარაკი. მაგრამ უთქმელობაც არ შეეძლოთ. სოფლიდან დიდი რიხით წამოვიდნენ, აქ კი შედრკნენ. არც ისე ადვილი აღმოჩნდა უმართან კამათის დაწყება, როგორც ეს შორიდან ეჩვენებოდათ.

„ეჰ, მოსახდენი უნდა მოხდეს“, — გაიფიქრა ქალთარმა და გატეხა ნავსი:

— უმარ, საჩოთიროა იმაზე ლაპარაკი, რისთვისაც მოვედით, მაგრამ სხვა გზა არ არის, უნდა ვთქვათ.

1 გამარჯობა!
2 გაგიმარჯოს!

— ვიცი საჩოთიროა, მაგრამ თქვენ მაგის სათქმელად ხართ მოსულები.

ქავთარი მიხვდა, უმარმა წინასწარ იცოდა რასაც ეტყოდნენ და პასუხიც ალბათ მზად ჰქონდა, მაგრამ იმას ვერ მიხვდა, პასუხი როგორი იყო.

— უმარ, თქვენ გადაგიწყვეტიათ, ნუნუ ჩვენს სოფელში დაასაფლაოთ.

— დიახ!

— სოფელში ამბავი მოიტანეს, ქართველების წესით — კუბოთი ასაფლავებენო.

— მართალი უთქვამთ.

შინაგანად კი დაიძაბა უმარი, მაგრამ გარეგნულად მაინც მშვიდი გამომეტყველების შენარჩუნებას ცდილობდა.

— ასე რატომ გადაგიწყვეტიათ, უმარ?

— სიკვდილის წინ ნუნუმ ასეთი ანდერძი დაგვიტოვა.

„— ანდერძი, ანდერძი... ანდერძი კი არა, უკუღმართი ხასიათი გაქვს! სახლაფორთო საქმე რომ არ გამოჩხრიკო, შენ ისე არ შეგიძლია“ — გულში შეეკამათა ქავთარი.

— უმარ, ჩემზე კარგად შენ იცი მაჰმადის რჯული, ჩვენი ადათები, ჩვენი წესები რას კრძალავს და რას არა.

— გამახსენე, მოლათა სკოლა ჭაბუკობაში დავამთავრე არაბულად და შესაძლოა დამავიწყდა, — დინჯად, სერიოზულად უთხრა, მაგრამ ქავთარი მაინც მიხვდა, დამცინისო.

„რაკი მაინცდამაინც გინდა რომ მე გითხრა, გეტყვი“:

— უმარ, ოდესმე გინახავს, ან გაგიგონია, რომ ქისტების სასაფლაოზე კუბოთი ვინმე დასაფლავებულიყო?

— ასეთი რამ არ მომხდარა. რას ვნახავდი, რას გავიგონებდი.

— აგაშენა ღმერთმა! შენი პირით ამბობ არ მომხდარაო, — თავი ვერ შეიკავეს დანარჩენმა ბერიკაცებმა.

უმარმა ერთი წუთით ჩამოათვალიერა მათი შეკრული შუბლები და დაძაბული სახეები. ქავთარი მოლა იყო და მას აცლიდნენ ლაპარაკს, თორემ ალბათ ყველა ერთად წაესეოდა.

— ახლა მოხდება და მერე აღარ იტყვიან ასეთი რამ არ გაგვიგონიაო, — დინჯად თქვა უმარმა.

— დელარ, არ მოხდება არც ეხლა!

— ჩემა მზემ, არ მოხდება!

თავს ვერ იკავებდნენ აღელვებული ქისტები. ქავთარმა მათ ანიშნა, მაცალეთო და ისევ თვითონ შეება.

— ჩვენ სათხოვნელად მოვედით, უმარ, უნდა გადაიფიქრო კუბოთი დასაფლავება. მაჰმადის რჯულში რაც აკრძალულია, იმას ნუ გვაკეთებინებ.

— მაჰმადის რჯულში მტკიცე წესია — ანდერძი აუცილებლად უნდა შესრულდესო, ასე არ არის?

— ასეა.

— ჰოდა, ეს ანდერძია.

— მაჰმადი ისეთ ანდერძს გულისხმობს, რომელიც მის კანონს არ ეწინააღმდეგება.

— იცით რა გითხრათ? — მაინც გამოქონა აღელვებამ — ახლა მაჰმადის კანონები არ მოქმედებენ. ახლა ახალი ცხოვრებაა, მას თავისი კანონებიც აქვს და მისი დამცველებიც ჰყავს. როგორც მინდა, ჩემს შვილს ისე დავასაფლავებ.

— უმარ, ნასწავლი კაცი ხარ და ამიხსენი, რით განსხვავდება ქისტი ქართველისაგან, ქართველი — რუსისაგან, რუსი — ოსისაგან... ჩვენ ხომ ყველას ორ-ორი თვალი, ხელ-ფეხი, თითო თავი და გული გვაქვს, ყველას ერთნაირი — წითელი სისხლი გვიდგას ძარღვებში. მაშ, რატომ გვქვია ჩვენ ქისტები, იმათ — ქართველები, სხვებს — რუსები, ოსები, სომხები...

— არ ვიცი, მაგით რისი თქმა გინდა.

— დელარ-ყორან, ძალიანაც კარგად იცი, მაგრამ არ ამბობ. ჩვენ ჩვენი ენა და ცხოვრების ადათ-წესები გვაქვს, იმათ — თავისა. თუ ჩვენ მკვდარი ქართულად დავასაფლავეთ, ქორწილი ქართულად გადავიხადეთ, ბავშვებს სახელები ქართული დავარქვით და ყველაფერი ქართულად გავაკეთეთ, მაშინ ქისტები კი არა ქართველები ვიქნებით.

ასე არ არის? — მიუბრუნდა იგი მიმყოლებს.

— ასეა, მაშ!

— ყველამ თავის წესი უნდა შეასრულოს.

— არც გაურჯულებელი უნდა გავარჯულოთ.

ალაპარაკდნენ ცარიელ საწოლზე ჩამომსხდარი ფაფახიანი ქისტები.

— რაღა მე მომადექით და ჩემგან მოითხოვთ წესების დაცვას, თვითონ რატომ არ იცავთ?

— ვინ ჩვენ? — გაუკვირდა ქავთარს.

— ვინ და, თქვენ — პირაქეთელი ქისტები? შენ თუ კარგი მოლა-მუეძინი ხარ, რატომ ვერ ამჩნევ, ქისტები რომ ქრისტიანდებიან!

„ვინ ქრისტიანდება, ეს კაცი რას ამბობს? ადრე, ძალიან ადრე ომალოელმა და ჯოყოლოელმა ქისტებმა მიიღეს ქრისტიანობა. მერე ისევ უარყვეს და მუსლიმანობას დაუბრუნდნენ. ახლა ისინი სხვებზე უფრო წმინდა მაჰმადიანები არიან. ვინ ქრისტიანდება? — ფიქრობდა ქავთარი.

— რას ამბობ, ვერ გავიგე? — ჰკითხა ბოლოს, თან მიმყოლთ გადახედა. მათ მხრები აიჩეჩეს, არაფერი გვესმისო.

— ტყუილს ვამბობ? მაშინ მითხარით, ქელეხებს ხომ იხდიან ჩვენი ქისტები? ხარსა და ცხვარს ხომ კლავენ ქელეხში.

— აბა რა, ეგ წესია!

— ეგ წესი წარმართული გახლავთ, მას ქრისტიანები იცავენ. წადით, ნახეთ, მთის ჩეჩნები ქელეხს მარტოოდენ თავიანთი შემზადებული ჰალვით იხდიან. მკვდრისთვის საკლავის დაკვლა, ქრისტიანთა წესია. ეს ერთი; მეორე — ქისტებს სასაფლაოზე მიაქვთ თუ არა შეღებილი კვერცხები?

— მიაქვთ, აღდგომაში.

— მერე იცით თუ არა, რომ აღდგომის კვერცხი წამებული ქრისტეს სისხლითაა წითლად შეღებილი. აღდგომა კი იმიტომ ჰქვია, ქრისტე აღმდგარა მკვდრეთით.

დასწყევლოს ღმერთმა, ეს წითელი კვერცხები მაინცდამაინც [illegible] და თვალში ქავთარს, [illegible] რძალავი ეგონა. რა იცოდა, რატომ იყო წითლად შეღებილი.

— მესამე: ქისტები ბალთაგორის ციხეს და ალავერდს ლოცულობენ?

— მერე?

— მერე რატომ ლოცულობენ ქრისტიანთა სალოცავებს? თან იქ ქეიფობენ, ღვინოსაც მიირთმევენ. ის ხომ იცით, მაჰმადმა როგორ მტკიცედ აუკრძალა მუსულმან ხალხს ღვინის დალევა. რატომ სვამენ?

მეოთხე: — მაჰმადიანმა ქრისტიანის ხელით დაკლული საქონლის ხორცი არ უნდა შეჭამოს, ქისტებიდან ბევრი ღორის ხორცზედაც არ ამბობს უარს... კიდევ შემიძლია ჩამოგითვალოთ, რომ ქისტები ქისტურ წესებს არ იცავენ და ეს არცაა საჭირო. ამით არც დაშავებულა არაფერი. თქვენ კი მომდგომიხართ — ეს არ შეიძლება და ის არ შეიძლებაო.

— ჰოდა, იმიტომ უფროა საჭირო ჩვენი ადათ-წესების დაცვა, მოვლა-შენახვა. ბევრი გავტეხეთ, ბევრი დავკარგეთ, რაც შეგვრჩა, ამას მაინც მოვუაროთ! — უკან არ დაიხია ქავთარმა.

— ქავთარ, რით ვერ მიხვდი, რომ ახლა მოლა-მუეძინების დრო აღარ არის, რით ვერ დაიჯერე, რომ შენ აღარავინ არაფერს აღარ გეკითხება. აქაოდა, არავინ მიშლისო, სულ თავს რაღ წახვედი. ახლა ყველა თავისუფალია თქვენი კანონებისაგან, ვისაც როგორ უნდა, ისე მოუვლის თავის ცოცხალს. ვისაც როგორ უნდა, ისე მიხედავს თავის მკვდარს. თქვენ ბევრიც რომ მელაპარაკოთ, მკვდარ შვილს მე მაინც შევუსრულებ ანდერძს. თუ ეს ცოდვა იქნება, მე მომკითხოს ალაჰმაც და მაჰმადმაც.

—უმარ, გთხოვთ გადაიფიქროთ კუბოთი დასაფლავება. ნუ დაგვიწიხლავ წესს, ჩვეულებას, — შესთხოვა იდაიმ.

— უმარ, ნათესავები ვართ. ჩვენ ერთმანეთისა ხათრიც უნდა გვქონდეს და

პატივისცემაც. მეც გთხოვ, გადაიფიქრო. ქისტების სასაფლაოზე კუბო არავის უნახავს, არც თქვენ მიგატანინებენ, ნუ აალაპარაკებ სოფელს.

— მე კი თქვენი გვარის კაცი ვარ, — უთხრა უნახკიმ — მეც გთხოვ. მიცვალებული ჩვენი წესით დავასაფლაოთ, სოფელი უფრო დაგვაფასებს.

უმარს თვალწინ დაუდგა მომაკვდავი შვილის ცრემლიანი თვალები და ისევ ჩაესმა მისი გაბზარული ხმა: „გევედრებით, კუბოთი დამასაფლავეთ, მიწა პირდაპირ ზედ არ მომეყრებაო“.

— არა, იმას ნუ მთხოვთ, რისი გაკეთებაც არ შემიძლია. თქვენთვის ადვილია თხოვნა, ჩემთვის შეუძლებელია შესრულება. მკვდარ შვილს უარს ვერ ვეტყვი უკანასკნელი თხოვნის შესრულებაზე!

უმარი აკანკალდა.

— არ შეგიძლია და არც სოფელს შეუძლია შენი სურვილის შესრულება! — თანდათან გამოაჩინა საომარი კბილები ქავთარმა.

— სოფელს თუ ჩააგონებ უმარი მოვიკვეთოთო, ჩააგონე. ნუ მოხვალთ, ჩემი ოჯახის მწუხარებას ნუ გაიზიარებთ... მე მაინც ვერ ვეტყვი უარს მკვდარ შვილს.

— საფლავს ვინ გაგითხრით?

— ნუნუს ძმები ჰყავს, მეუღლე ჰყავს, მაზლები ჰყავს, უკანასკნელ სამსახურს არ დაამადლიან.

— სოფელი თავის სასაფლაოზე კუბოს მიტანის უფლებას არ გაძლევთ.

— ქავთარ, პირდაპირ თქვი, საფლავისთვის მიწას არ გაძლევთო.

— ასეა, დიახ!

— მიწა ხომ კერძო არაა.

— სასაფლაო სოფლისაა!

ახლა უკვე ყველა საომარი კბილი გამოაჩინა ქავთარმა. ცდილობდა, ყველა გზა და საშუალება მოეჭრა უმარისთვის, ნებით თუ არა, ძალით ეთქმევინა უარი თავის განზრახვაზე.

საჭმელების დამრიგებელმა ქალმა პალატის კარი მუხლით გააღო, თეფშებით დატვირთული ოთხთვალა შიგნით შეაგორა, მაგრამ ამდენი ფაფახიანი მოხუცები რომ დაინახა, შეკრთა, მათი გაჯავრებული სახეები რომ ჩამოთვალიერა, კინაღამ უკან გაბრუნდა. თვითონ ავადმყოფსაც ადამიანის ფერი აღარ ედო, ხელებიც უკანკალებდა.

მოხუცებმა ქალის შესვლისთანავე შეწყვიტეს კამათი, თუმცა ის ქალი ვერაფერს გაიგებდა, რადგან ქისტური არ იცოდა.

საჭმელების დამრიგებელი მიხვდა, რომ ავადმყოფის განერვიულება იქ ჩამომსხდარი ფაფახიანების ბრალი იყო, თანდათან გათამამდა და რამდენიმე წამის შემდეგ დოინჯშემოყრილმა შეუტია კიდეც:

— რატომ ანერვიულებთ ავადმყოფს? რატომ ანერვიულებთ? ამისთვის მოხვედით? იცით თუ არა თქვენ, რომ ამის განერვიულება ახლა არ შეიძლება?

თითქოს ბავშვები ყოფილიყვნენ, ისე დაუტატანა ჩასუქებულმა, ორმოცდაათიოდე წლის წვივტიტველა ქალმა. მართალია, უმარის გარდა რუსული არცერთს არ ესმოდა, მაგრამ მაინც მიხვდნენ, ქალი მათ ეჩხუბებოდა.

„ჩიქილამოგლეჯილ ქალს ვინ მისცა ნება ამ დროული ხალხის წინ ასე გაჯგიმული იდგეს? რა უფლება აქვს, თავკაცების საქმეში რომ ერევა? რა წესია მათთან ასე უდიერად ლაპარაკი? სად არის უფროს-უმცროსობა?.. ჰაი დადადადა!“

— ვალია, ვალია, არ გინდა, ამათ მე თვითონ გავცემ პასუხს, — ხმის კანკალით უთხრა უმარმა ქალს რუსულად.

— უმარ ახაევიჩ, როგორ თუ ნუ ვჯავრობ, აბა ეს რა არის, თქვენს გულს კიდევ განერვიულება სჭირდება? ხომ შეიძლება, შეტევა განმეორდეს.

ვალიამ საჭმელების გადმოლაგება დაიწყო, მაგრამ უმარმა შეაჩერა, ჯერ არ მინდაო.

— კარგი, მერე მოგართმევთ, — თქვა ქალმა და თავისი ოთხთვალა ისევ გარეთ გააგორა.

თითქოს შებორკილნი ყოფილიყვნენ და ენაც ჩავარდნილი ჰქონდათ, ისე ის-

ხდნენ, ვიდრე ვალია არ გავიდა. მერე კი შვება იგრძნეს.

— გავიგე თქვენი მოსვლის მიზანი. თქვენ ამბობთ, თუ ქართული წესით დაასაფლავებ, სასაფლაოზე არ შეგიშვებთო.

—ასე ამბობს სოფელი!

— კარგი, რაკი სოფელი ასე ამბობს, მაშინ სასაფლაოს გარეთ დავასაფლავებთ, — თქვა უმარმა.

ამ დროს კარი სწრაფად გაიღო და პალატაში შემოვიდა სწორედ ის ექიმი, რომელმაც წელან კარისკაცის დაუკითხავად შემოუშვა ფაფახიანები საავადმყოფოში. შემოვიდა, შეკრული შუბლი და შოღუშული წარბები შემოიყოლა.

— გთხოვთ, ახლავე მიბრძანდეთ! — თქვა მან უბოდიშოდ და კარისკენ მიუთითა.

შეურაცხმყოფელი იყო ტონი მისი. ზაგრამ შედავება არავის გაუბედავს. უტყობოდა, მას ჰქონდა ასე მოქცევის უფლება.

„იმ წუნკალ ქალს მიუტანია ამბავი“ — გაიფიქრა ქავთარმა.

— გთხოვთ, დატოვოთ პალატა! — ახლა უფრო მკვახედ და ხმამაღლა გაიმეორა ექიმმა.

— ცოტახანს დაგვაცადე, საქმე გვაქვს, — უნახკიმაც მკვახედ ჰიმართა.

— არცერთი წუთი! ახლავე მიბრძანდით! — თქვა და უმარს მაჯაზე წაავლო ხელი, პულსს უსინჯავდა.

მეტი რა გზა ჰქონდათ, უნდა დამორჩილებოდნენ. ნელ-ნელა წამოდგნენ.

— უმარ, სოფელს გაუწიე ანგარიში! — ქავთარი სათქმელის მოსწრებას ცდილობდა.

— არ მინდა თქვენი სასაფლაო, გარეთ დავასაფლავებ, მაგრამ დავასაფლავებ, როგორც ანდერძი დატოვა, — არ თმობდა უმარი.

— ამხანაგო, რამდენჯერ უნდა გითხრათ, შეწყვიტეთ კამათი და გაბრძანდით გარეთ. თორემ ამ ავადმყოფს რომ რამე დაემართოს, იცოდე, პასუხისგებაში მიგცემ, — ახლა უკვე უყვირა ექიმმა.

— სასაფლაოს გარეთ კი არა, მთაზე და ტყეში რომ მოინდომო, იქაც არ დაგასაფლავებინებთ კუბოთი, თუ კი ის მთა და ტყე ჩვენს სოფელს ეკუთვნის — გასვლისას მიაძახა ქავთარმა და ექიმმაც მიუხუხურა კარი.

5

ხალხს არ დაუცდია იმისათვის, რას გადაწყვეტდნენ თავკაცები. მოლას არავინ ეკითხებოდა — მივიდეთ თუ არა დაზარალებულისას მწუხარების გასაზიარებლადო. არც უმართან მოსალაპარაკებლად წასულთათვის დაუცდია— რა ამბავს ჩამოიტანენო. გაიგეს, მიცვალებულს მოასვენებენო და იქითკენ დაიძრა ხალხი.

თურმე ჭირის დღეს გაიგება, ოჯახს რამდენი მეგობარი და გულშემატკივარი ჰყავს. გაუზიარებელი მწუხარება ორმაგად მძიმეა ჭირისუფლისათვის. დაუტირებელი მკვდარი ორმაგად მკვდარიაო, ამბობენ ბევრის მნახველნი და გამგონენი.

ბევრს ეწყინა ნუნუს სიკვდილი — ღმერთმა ყველას უშველოს.

იმდენი ხალხი მოზღვავდა, უმარაშვილების კარ-მიდამო რომ ვერ იტევდა, გზა-გზისპირას იდგნენ. ჭირის საწყენად მისულთა შორის იყვნენ ფშავლებიც, ოსებიც, თუშებიც. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ნუნუს სიცოცხლის ლამაზ ამბებს იგონებდნენ.

კაი ხანს დასჭირდათ ლოდინი. მერე გამოჩნდა მანქანა. ხალხი აჩოჩქოლდა. ფშავლებმა და თუშებმა ქუდები მოიხადეს (ქისტებში ასეთ დროს ქუდის მოხდა წესად არ არის). ნათესავმა და ახლობელმა ქალებმა ტირილი მორთეს.

მანქანა ნელ-ნელა შევიდა ეზოში და გაჩერდა. ბიძაშვილი ბიჭები მიეგებნენ. გადახურული ავტომანქანის უკანა კარი გახსნეს, შიგნით კუბო დაინახეს და შეკრთნენ, მაგრამ რაკი მისულები იყვნენ, უკან აღარ დაუხევიათ. ძმებს მიეშველნენ და ნელ-ნელა ჩამოასვენეს.

კუბოს დანახვაზე, მართალია, შეკრთნენ ქისტები, მაგრამ ისე კი არა, ახლოს არ მიჰკარებოდნენ. როგორც მიცვალე-

ბულს შეეფერება, პატივი სცეს, შეიტანეს და იმ ოთახში დაასვენეს, სადაც პირველად დაირწა მისი აკვანი. ჰალიმათა მაშინ პირველად მიუჯდა შვილის აკვანს, ახლა — შვილის კუბოს.

ქორწილმა თქვა: — მე ამ ქვეყანაზე ცეკვითა და სიმღერით დავდივარ. რომელ ოჯახშიც შევდივარ, ლხინით, სიხარულით და ბედნიერებით ვავსებო.

სიკვდილმა თქვა: — ჩემი თვალები ნამიანია, ხმა — ზარიანია, ფერი — შავიანია, მიზეზი — შარიანია. რომელ ოჯახშიც შევალ, იმ ოჯახში ქორწილი ერთ წელიწადს ველარ შეიხედავსო.

ახლა სიკვდილი უმარაშვილების ოჯახში შევიდა, შეიტანა ცრემლი და გლოვა. ჰალიმათას სიბერის ჟამს სიყრმის შვილის კუბო დაუდგა წინ — იტირე, ქისტის ქალების ტირილი მიყვარსო.

კუბოს არავინ მორიდებია. ტიროდა, ვისაც ეტირებოდა. ტიროდნენ, ვიდრე მზე ჩაესვენებოდა. უმზეურში მოთქმა კი არავის გაუგონია.

მწუხარება მწუხარებაა, მაგრამ მკვდარს თავისი წესით და რიგით უნდა გაპატიოსნება. შინაური და ახლობლები შეიკრიბნენ, ვინ რა გავაკეთოთო. მაშინ ბიძაშვილებმა მორიდებით იკითხეს, კუბოთი დასაფლავებას ხომ არ აპირებთო. კი, ასე დაგვიბარაო, თქვა ნუნუს მეუღლემ. არაფერი უთქვამთ, მაგრამ სიძემ ძალიან კარგად შეატყო, არავის არ ესიამოვნა მისი პასუხი. მერე ნუნუს ბიძაშვილები თითქოს შეუმჩნევლად აწრიალდნენ. შეიქმნა ერთი მიდენ-მოდენა და ჩურჩულ-ყურყური. ხან ჰალიმათას გაიხმობდნენ ცალკე, ხან ნუნუს ძმებს. ბოლოს ისიც გაიხმეს და ვითომ დიდი მორიდებით უთხრეს:

— მოლა კუბოთი დასაფლავების უფლებას არ იძლევა. შემოუთვლია, კუბო კი არა, მიცვალებულისათვის ცოცხალივით რომ ჩაგიცმევიათ ტანსაცმელი, ეგ მაჰმადიანური არ არის და ჩვენი წესით შემოსეთო.

— მოლას ვინ ჰკითხავს, მე ჩემს მკვდარს რას ჩავაცმევ, ან როგორ დავასაფლავებ? — გაჯავრდა სიძე.

— როგორ ვინ ჰკითხავს? მოლამ თუ ნება არ დაგვრთო, ისე საფლავს როგორ გავთხრით?

აბა ეს საქმეა! ვისი იმედიც ჰქონდა, მხარში ამომიდგებიანო, სწორედ ისინი აღმოჩნდნენ მოლას მორჩილნი. უმარაშვილების გვარში უამრავი ახალგაზრდა იყო. ცალ-ცალკე რომ გეკითხათ, მათ არც ალაჰისა სწამდათ რამე და არც მაჰმადისა. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ისინი ძალადმაცხონე მოლას წინაშეც კი წელში მოხრილნი აღმოჩნდნენ. მართალია, მოლას დანაბარები კი მოსდიოდათ — რჯულის შერყვნა არ ეაბედოთ, თორემ პასუხს მთელი გვარი აგებსო, მაგრამ იმაზე აღარავინ დაფიქრებულა, ვინ რით, ან როგორ აგებინებდა პასუხს?

ნუნუს მეუღლეს თავის თავზე უფრო მოსდიოდა გული. ცოლეურების თხოვნა შეისმინა, მოხუც სიდედრსა და სიმამრს ხათრი ვერ გაუტეხა, დათანხმდა. ნუნუ მათ სოფელში დაეკრძალათ, დათანხმდა და აი რა დღეში ჩავარდა! — საფლავის გათხრა სახვეწარი და საჩხუბარი გაუხდა.

ამ ამბავმა ისე გაამწარა ჭირისუფლები, ტირილი დაავიწყდათ. ნუნუს ძმებმა თქვეს, ჩვენ წავალთ, საფლავს ჩვენ გავთხრით, ვინც კაი ბიჭია, მოვიდეს და დაგვიშალოსო.

არც ასეთი რამ მომხდარა სოფელში — შინაურებს გაეთხაროთ საფლავი. რაღაც გაუგონარი ამბავი ხდებოდა.

სიძე გადაირია, ეს რა ხალხი ყოფილაო, ამათთან სახვეწარი რაღ უნდა მჭირდესო.

—მოლა კი არა, თვითონ მაჰმადიც რომ ჩამოფრინდეს ციდან და მითხრას, კუბოთი არ დაასაფლაოთო, მე მაინც შევასრულებ ანდერძს, — თქვა და გარეთ გამოვიდა აკანკალებული, ფერწასული. სახლის წინ მორიალე ხალხს გადახედა. თავის სოფლელებს და ნათესავებს დაუწყო თვალით ძებნა. უნდოდა

ერთად შეეკრიბა და თავისი გაჭირვება ეთქვა.

— ხუჟ ჰაულ![1] — დაიძახა აივანზე მდგარმა ბერიკაცმა. სიძემ მიიხედა და თავისი ბიძა ბეხო იცნო. ბეხოს ნაცრისფერი ფაფახი ეხურა, ტანთ თბილი ტყავის გრძელბეწვიანი ქურქი ემოსა. ხელში შვინდის ხელჯოხი ეჭირა.

ეს კაცი წყალგაღმელი ქისტების მოლა გახლდათ.

„შენღა მაკლდი!“ — გაიფიქრა. მისვლა არ უნდოდა, მაგრამ უფროსი იხმობდა, მიუსვლელობა აბა როგორ შეიძლებოდა.

— ხალხს ვაკვირდები, ვატყობ, რაღაც ხდება. შენც არეული ჩანხარ, მითხარი, შვილო, ხომ არაფერი გიჭირს?

„აბა, რა გითხრა, შენც მოლა ხარ, რა თქმა უნდა, შენც ქავთარს დაუკრავ კვერს“.

— არაფერი, მე თვითონ მოვუვლი ჩემს საქმეს! — უთხრა და უკან გამობრუნება დააპირა.

— მითხარი, შვილო, ბიძა ვარ, შენი საქმე ჩემი საქმეცაა.

— აბა, რა გითხრა, შენც მოლა ხარ და...

— მერე, რომ მოლა ვარ, თქმას რა უდგას წინ?

— ჩემს თავზე ვარ გაჯავრებული.

—რატომ?

ადგა და ყველაფერი უთხრა.

— განა არა, მე ვიცოდი, რომ ეგ გიჭირდა, იმიტომ გკითხე, — უთხრა ბეხომ, — სახვეწარი და საჩხუბარი რა გაქვს, შვილო. ეგ ქალი ცოცხალიც ჩვენი იყო და მკვდარიც ჩვენია. აგერ ჩვენი სოფლის სასაფლაო, სადაც იტყვით, იქ დავასაფლაოთ. კაცი ვერ შეგვედავება. იქ მოლაც მე ვარ და მუეძინიც.

ნუნუს მეუღლე ბეხოსაგან ასეთ პასუხს არ ელოდა და გაუკვირდა. გახარებულმა უმალვე მოიხმო თავისი ბიძაშვილები. გააგებინა ყველაფერი და დაავალა საჩქაროდ ეზრუნათ საფლავის გათხრაზე.

[1] აქ მოდი.

გადაწყდა, ალხიევებს თავისი მკვდარი თავის სოფელში მიჰქონდათ და მარხავდნენ ისე, როგორც ნუნუმ დატოვა ანდერძი.

უხერხულობა შეიქმნა, გაზეთში გამოცხადებული იყო სხვა და ასაფლავებდნენ სხვა სოფელში—ალაზნის გაღმა. იქამდე სამიოდე კილომეტრი მაინც იყო, თუ მეტი არა. ალაზანზე ხე იყო ხიდად გადებული. იმაზე ხალხის გავლა კი მოხერხდებოდა, კუბოს გატანა გაუჭირდებოდათ. თან ტალახიც იყო, მაგრამ რა ექნათ.

ნუნუს ბიძაშვილებს პირზე მური წასვათ, სირცხვილი მიეყარათ, მათ სისხლს და ხორცს, მათთან შეზრდილ ნუნუს უარი უთხრეს საფლავზე. არ გამოდიოდა ლამაზი. მოლა განა წყალგაღმელებს არ ჰყავდათ, ასე რომ არ გადარეულა კუბოზე. თუ იქ არ დაიქცევა ქვეყანა, აქ რაღა ღმერთი გაწყრებაო, ამიტომ სიძეს ეახლნენ და უთხრეს: მართალია მოლა უარზეა, მაგრამ ჩვენ მაინც გავთხრით საფლავს, აქ დავასაფლაოთ, მიცვალებულს ნუ ვაწვალებთო. მაგრამ სიძეს თავისი ხალხი უკვე გაგზავნილი ჰყავდა საფლავის გასათხრელად, ახლა მას თვითონ ალაჰი ვეღარ შეაცვლევინებდა. ამიტომ ყველას უარი უთხრა — სიდედრსაც, ცოლის და-ძმებსაც, ნუნუს ბიძაშვილებსაც. ჩხუბს ხომ არ დაუწყებდნენ, ცოლი მისი იყო და უფლებაც მას ჰქონდა გადამწყვეტი სიტყვის თქმისა.

ჭირისუფლის მოვალეობის სიმძიმემ რაკი ალხიევების მხრებზე გადაიხაცვლა, საქმე გაინაწილეს, მგლებივით დატრიალდნენ — მიცვალებულს გაპატიოსნება როგორ უნდა, ჩვენ გაჩვენებთო. რაც შეეძლოთ ხომ აკეთებდნენ, რაც არ შეეძლოთ, როგორღაც იმასაც ახერხებდნენ. არც ქისტურ წესებს ებოდიშებოდნენ, არც ქართულს. ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მიცვალებულისათვის უფრო კარგი პატივი ეცათ, ვიდრე ამას უმარაშვილები მოახერხებდნენ.

დასაფლავების დღეს ხალხმა ადრე იწყო მოდენა. მოდიოდნენ მეზობელი სოფლებიდან ზოგნი ფეხით, ზოგნი მანქანით... მერე დაიწყო წვიმა და აატალახა გზები.

ჭირისუფლებსა და მექორწილეებს ერთი აქვთ სანატრელი — კარგი ამინდიმც დაგვიდგებოდესო.

წვიმა რომ დაიწყო ჭირისუფლებს გულს შემოეყარათ, მაგრამ აბა რა უნდა ექნათ. დარ-ავდარი მათზე ხომ არ იყო დამოკიდებული. კიდევ კარგი — ცრიდა და თავსხმა არ იყო. თორემ ხალხი ალბათ დაიშლებოდა. ისე ცრიდა, ხალხი არ ეპუებოდა. ვისაც საწყალ ნუნუსათვის უკანასკნელი პატივისცემა უნდოდა, ის არც ასეთ ჟინჟლს დაუშინდებოდა და არც ტალახიან გზას, მაგრამ ალხიევებმა ძალიან ივარგეს. ოთხი თუ ხუთი მანქანა მოიყვანეს ხალხის გადასაყვანად. მერე თვითონვე ასწიეს კუბო და გამოასვენეს. ალაზნამდე ხელით ატარეს, იქ მანქანაზე დაასვენეს და ისე წავიდნენ.

ცხედარს მარტო კაცები კი არ მიჰყვებოდნენ, როგორც ქისტების წესია, არამედ ქალებიც — ნუნუს ტოლები, სკოლისა და ინსტიტუტის ამხანაგები. მიჰყვებოდნენ მარტო ქართველი ქალები კი არა, პანკისელი ქისტებიც. მათთვის არავის დაუშლია — მიცვალებულს სასაფლაოზე ქისტი ქალი არ შეიძლება გაჰყვესო. დიახ, ესეც პირველად ხდებოდა. არავინ ფიქრობდა იმაზე, მოლას ეწყინებოდა თუ გაუხარდებოდა, არც იმაზე — შინ რომ დავბრუნდებით, უფროსები გაგვიჯავრდებიანო. მიჰყვებოდნენ და მისტიროდნენ, ცრემლად იღვრებოდნენ.

მიდიოდა პროცესია, მიჰყვებოდა უამრავი ხალხი და მორწმუნე ქისტები არ ამბობდნენ ძიგარს — კუბო და ძიგარი ერთად ვის გაუგონიაო. არსად ჩანდა მაღალი ქავთარი, სამაგიეროდ წყალგაღმელების მოლა—ბეხო კუბოს თამამად მიუძღვებოდა წინ. ხნიერი ქისტები ასეთ რამეს პირველად ხედავდნენ. უკვირდათ მაგრამ არას ამბობდნენ. ნუნუს დასაფლავებაზე ბევრი რამ ხდებოდა მანამდე მათთვის გაუგონარი და გაურჯულებელი, მაგრამ ხდებოდა. ეს არც სიზმარი იყო, არც მოჩვენება, — ნამდვილად ხდებოდა.

საფლავის პირს რომ დაასვენეს მიცვალებული, ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ქალებიდან გამოეყო ნუნუს სკოლის დობილი ფშაველი ქალი, კუბოსთან ჩაიმუხლა და ზარიანი ხმით დაიწყო ფშაური მოთქმა. იმან დააბთავრა და სხვამ დაიწყო. მერე ქისტის ქალებმაც გაბედეს, მათაც ჩაიმუხლეს კუბოსთან და მოსთქვამდნენ.

იტირეს ივიშვიშეს, ცრემლი ღვარეს, გული მოიოხეს ქისტებმა ქისტურად, ფშავლებმა ფშაურად, ოსებმა ოსურად. გამოეთხოვნენ და...

...ხნიერი, მორწმუნე ქისტები უკან რომ ბრუნდებოდნენ, ისეთი გრძნობა მოჰყვებოდათ, თითქოს აქამდე რაღაცა დიდხანს მოჰქონდათ მთელი, მოჰქონდათ ხელით, დღეს კი უეცრად გაუსხლტათ და გაუტყდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

რწმენა

მე ისევ მჯერა,
მე ისევ ველი
და, როცა მჯერა,
მაშინ კაცი ვარ.
და ამ ლოდინში ვარსკვლავთა მტვერი
არდავიწყებად მხრებზე მაცვია.

რა ვუყოთ მერე,
თუკი აშკარად
იმედებს ჩემსას ათოვ-აწვიმა,
ხომ იმზიანა და იკაშკაშა
ჩემი ცხოვრების მცირე ნაწილმა.

მე მწამს,
ვიღაცას მოვაგონდები
დაუვიწყარი იმ დღით,
იმ წელით,
ასე თანდათან მიწას ვშორდები,
ასე თანდათან ცისკენ ვიწევი.

და ვმოგზაურობ არდავიწყების
და უკვდავების მცირე სფეროზე,
რწმენამ ზემასხა პატარა ფრთები
და ფრთები კიდევ ფრთებით შევმოსე.

მე ისევ მჯერა და ისევ ველი,
თუმც ღმერთი არ ვარ,
მაგრამ კაცი ვარ
და ამ ლოდინში ვარსკვლავთა მტვერი
არდავიწყებად მხრებზე მაცვია.

დუმილის ტევრი

შენი დუმილის
გავლილ ტევრი
და მივაშურე
სიმღერის წიაღს,

გადაწინწკლული
ვარსკვლავთა მტვერით
ცისკარი მტკვართან
წამომეწია.

სიზმრის პირბადე
გაუცვდა თბილისს,
პირდაფურცვლილი
თვეა ვარდობის.

როგორც ირემი
ყელმოღერილი,
აპრილის დილა
მტკვარზე გადმოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცარია

საოცარია
მდუმარება ოკეანეთა,
საოცარია
აღელვება, ხმაური ზღვათა.

საოცარია,
როცა თოვლი ჩამოდის თეთრად
და მდუმარებას
იანვრისას ფიფქებად ფანტავს.

საოცარია
გაბრწყინება ოქროსფერ ფრთების,
როცა ცას ელტვის
ჩიტი სუსტი, ჩიტი პაწია.

საოცარია,
ყინულივით თლილი თითები,
ვით სალამურზე,
შენს მშობელს რომ მკერდზე აწყვია.

საოცარია,
როცა შორეთს მოჩრდილავს წერო,
საოცარია
ვარსკვლავთ კვდომა და მწუხარება.

საოცარია
და ამასთან საბედისწეროც
თუნდ ერთი წუთით
დაყოვნება და დანანება.

საოცარია,
სით მივყვებით ვარსკვლავთა ძახილს?
თუმც გზა ცხოვრების
ვით სიზმარი, ისე მალია.

საოცარია
მდუმარება მშობლიურ სახლის,
გუშინ შინ იყვნენ,
ღმერთო ჩემო, დღეს სად არიან?

* * *

ის არის სიტყვა,
ის არის მცნება
ცრემლით ნაწერი,
სისხლით ნაქარგი,
ხან გაკვირვება,
ხან გაოცება,
ის ტკივილია პოვნის,
დაკარგვის.
არ შეიძლება ის იყოს სქემა,
რომელსაც მხოლოდ ქაღალდზე ვეძებთ,
ის არის ფიქრი და ღამისთევა
მიუღწეველზე,
დაუძლეველზე.
მე ის მაგონებს უთქმელ სიმღერას,
უთქმელ სიმღერას და უთქმელ მოტივს,
ჩიტივით უცბად რომ გაფრინდება
და სინანულის ირხევა ტოტი.
ის არის სევდა,
ის არის ცრემლი,
რომ დაიფრქვია მკერდზე ვენახმა,
ის არის,
რასაც ყოველ დღე ველით
და ისე ვკვდებით,
მაინც ვერ ვნახავთ.
მე ჩემს მომავალს ბევრი შევპირდი
და ჩემი ბედის მე ვარ მძებნელი,
თუმც, ვით მდინარეს მძლავრი ჯებირი. —
მეც მფარგლავს რაღაც დაუძლეველი.
მაგრამ მე მესმის ძვირფასი ხმები
და მზის მბურვალე ლოცვასაც ვისმენ
და მიღწეულის საფეხურებით
ნელა მივიწევ მიუღწეველისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელი და ლელი

ლელი და ლელი,
ლელი და ლელი
და ფერმიხდილი
სევდა ფაზისის.

რიონი მაინც
თავისას მღერის
ჩვეულ ჟინით და
ჩვეულ ხალისით.

უკვე დალექა
ჟამმა ზღვის ფსკერზე
ხმა წინაპართა,
მიწყდა, არ ისმის.

მეც მიგლოვია
ბევრჯერ მათ ბედზე,
მეც მისვამს სევდა
ძველი ფაზისის.

რიონი მაინც
თავის გზას ეძებს
ჩვეულ ჟინით და
ჩვეულ ხალისით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდიონ ქორქია

ხაფანგი

მორევში

ჩემი სოფელი ჭალადიდი ფოთიდან 10-12 კილომეტრის მანძილზეა. ახლა ფოთსა და სოფელს შორის მანქანები დაჰქრიან. ძველად კი მოსახლეობა ხან ცხენით, ხან ფეხით, დადიოდა. იყო მიმოსვლა ნავითაც. ნავი ორი სახისა იცოდნენ: დიდი და პატარა. პატარა ნავით სურსათ-სანოვაგე დაჰქონდათ, დიდი ნავით შეშა და აგური. დიდი ნავი რომ ფოთში დაიცლებოდა, უკან ცარიელი ბრუნდებოდა. ნავი ორ კაცს ამოჰყავდა. ორი კაცი თოკით ეზიდებოდა ნავს, მესამე — თავი კაცი — საჭეს უბიძგებდა ნაპირს და ასე ნაპირ-ნაპირ ამოჰყავდათ ნავი.

ჭალადიდში რიონი ძალზე ფართოა, ღრმა და მღვრიე. ნაპირები შემოსილია ტყითა და ბუჩქებით. მდინარეში, ალაგ-ალაგ კუნძულებია. კუნძულებზე მოჰყავთ სიმინდი, გაშენებულია ბაღ-ბოსტნები. ერთ კუნძულს მისი პატრონის სამსონ ჭოჭუას სახელი ერქვა.

ერთხელ ფოთიდან ჭალადიდში ნავით ამოვდიოდი. ზაფხული იყო. ვიჯექი ნავში და ყურს ვუგდებდი ჩიტების ჟივილ-ხივილს. ყურს ვუგდებდი მენავეთა სევდიან სიმღერასაც. მენავეები ყოველთვის სევდიან ჰანგზე მღერიან, რადგან ძალზე მძიმეა დიდი ნავის ჭაპანი. შუადღე იქნებოდა ჭოჭუას კუნძულს რომ მივადექით. მენავეებმა შეისვენეს.

ერთი მენავე, გალა, მეუბნება: გავცუროთ რიონი და თხილი დავკრიფოთო — სამსონ ჭოჭუას კუნძულზე.

ეს თხილი კუნძულის ნაპირას ხარობდა. თხილის ხეები ვარსკვლავ-ფოჩიანი ნაყოფით იყო დაყურსული და ტოტები დამძიმებოდათ.

დავეთანხმე გალას. რიონის ტოტი აქ ვიწრო იყო. დედა ტოტი კუნძულის მეორე მხარეზე მიედინებოდა. გავიხადეთ ტანზე და გადავეშვით მდინარეში.

— თხილის მეტს ხელი არაფერს ახლოთ, — დაგვარიგა უფროსმა მენავემ.

სამეგრელოში ჩვეულებაა თხილით ლაღობა-გამასპინძლება. შეხვალ ეზოში და თხილის ტოტი რომ მოდრიკო, აუგათ არ ჩაითვლება. სხვა ხილს კი ხელს არ ახლებენ: თვითონ მასპინძელმა უნდა მოგაწოდოს.

მეორე ნაპირზე რომ ავედით, ორივეს გაგვეცინა. ტიტვლები ვართ და დაკრეფილი თხილი რაში ჩავყაროთ? მე თოთხმეტი წლისა ვიყავი, გალა თვრამეტისა და ორივეს კი გამოგვეპარა ეს ამბავი. საოცარია.

— რახან გამოვცურეთ თითო ტოტი მაინც ჩამოვამტვრიოთ, — თქვა გალამ, მოამტვრია დიდი ტოტი და გადახტა მდინარეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მივბაძე გალას, შევარჩიე დიდი ტოტი და გავყევი ამხანაგს.

გალა ჩემზე დიდია, ღონიერიც და გაჰკრა მხარული. ჩქარა გავიდა ნაპირს. მე კი შუა გზაზე წამიღო წყალმა.

წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, სწორად უთქვამს ჩვენს ხალხს. ოღონდ რამეს მოჰკიდოს ხელი და გაუშვებს? მეც როგორ გავუშვებდი ხელს თხილის ტოტს?..

არ გავუშვი და ჩამძირა წყალმა: წყალი დააწვა ხშირ ფოთლებს.

— ვიხრჩობი! — გამიელვა წამით.

მინდა დავიყვირო და გავაღე პირი. წყალი ჩამიდგა პირში. გავიქნიე და გავიქნიე ცალი ხელი.

და უცბად ამომაგდო წყალმა. გამოვაფურთხე წყალი.

დავინახე: ნაპირი, ნაპირზე დგას გალა და იცვამს. მე კი მითრევს წყალი. ხელიდან ვერ ვუშვებ ტოტს, ვიცი, რომ უნდა გავუშვა ტოტს ხელი და გავალ ნაპირს. მაგრამ არ მიშვებს ტოტი, მიმათრევს მორევისკენ.

წამით გამიელვა: აქ მორევია და ღუროღუმი, დავიხრჩობი. და სანამ ჩამითრევდა მორევი, მოვასწარი დაყვირება:

— გა-ა-ლაა!..

იმ წამსვე გადამატრიალა წყალმა: უკვე მორევში ვარ და მატრიალებს მორევი. მე კი თავში მიტრიალებს ერთი სიტყვა:

— ვიხრჩობი!..

და მოხდა საოცარი: ისევ ამომაგდო წყალმა. ეს მეორეჯერ.

მერე მითხრეს სოფელში: ასე იცისო წყალმა. სამჯერ ამოაგდებსო თავის მსხვერპლს. ორჯერ რომ ამოაგდებს, უცდისო — ეგებ უშველონო. მესამედ ამოაგდებს და, თუ მშველელი არ აღმოჩნდა, წაიღებს, ჩემი წილი ყოფილაო.

ამჟამად კი აღმოჩნდა მშველელი. გალა საცვლებიანად გადმოხტა წყალში და სანამ მესამედ ჩავიძირებოდი, ღონივრად მტაცა ხელი. მაგრამ წყალი უფრო ღონიერი აღმოჩნდა: მომწყვიტა გალას და დამატრიალა.

გალამ ხერხი იხმარა — არ ჩაყვინთა. და როცა მესამედ ამომაგდო წყალმა, გაჰკრა მხარული ჩემსკენ გამოცურა, და ჩამჭიდა ხელი.

მერე ის იყო, რომ ამომათრია ნაპირზე.

ბევრი წყალი ამოვანთხიე და დავწექი პირაღმა. მზიანი დღე იყო და მიამა.

როცა წამოვდექი, მორევს გავხედე. მომელანდა: სიკვდილი იდგა მორევში. როცა დამინახა, ჩაყვინთა წყალში და გაჰყვა დინებას. ჩაეშალა ხაფაციცი,

ერთი გოჯი

ყაზახეთში, დიდი მდინარის სირ-დარიის მარჯვენა ნაპირას, დგას ეროი პატარა ქალაქი კაზალინსკი. აქ მოვედით სამხედრო ვარჯიშობაზე.

ვარჯიშობის შემდეგ მდინარის ნაპირას კარავი დავდგით. სუფრა გავშალეთ. არაყი დავლიეთ.

პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა ნიკოლოზმა (მეფის ბიძა იყო) არაყი აკრძალა. ჩვენ მაინც ვიშოვეთ კაზალინსკში. ყაზახური არაყი ოდნავ მწვანეა, საამური სურნელება და გემო აქვს. სიმაგრე კი 50-60 პროცენტი. აგვივარდა თავში.

ვიღაცას მოესურვა — ვიბანაოთო ამ ისტორიულ მდინარეში. ჰოდა ვიბანავეთ.

შემდეგ ოფიცრებს სურვილი დაებადათ: ნიშანში ვისროლოთო.

ჩავდექით რიგში. დავიწყეთ სროლა. ერთი ჯარისკაცი მომიახლოვდა და მუდარით დამიწყო ცქერა. მივხვდი, რაც უნდოდა.

ეს ჯარისკაცი განვითარებული და წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა-კითხვის მცოდნე იყო. სძულდა მეფის რეჟიმი. ვიცოდი ეს და ხშირად მქონია მასთან საუბარი.

— თქვენო კეთილშობილებავ, მასროლინეთ მეც! — მთხოვა.

მივეცი ნაგანი.

ჯარისკაცი ჩადგა პოზიციაში, უცბად დაუცურდა ფეხი, არაყი დაელია, და წონასწორობა ვერ დაიცვა. იმ წამსვე იგრიალა რევოლვერმა. ტყვიამ ზედ ყურთან გამიარა, დამაყრუა და დავეშვი მიწაზე. ერთმა ამხანაგმა ხელი შემაშველა. მეორემ ნაგანი აართვა ჯარისკაცს. მოვარდა ექიმი.

რამდენიმე წუთს გაოგნებული ვიწექი. როცა წამოვდექი, მივიხედ-მოვიხედე. ახლებურად მეჩვენა ამ ტრამალში გაწოლილი მღვრიე სირ-დარია, მის ნაპირას ფართო ტოტებიანი ხეები, და ჩემს გარშემო რკალად დამდგარი ოფიცრები. ორ კაცს ის ჯარისკაცი ეჭირა. ცოტაც და ყველანი და ყველაფერი ისე დავინახე, როგორც ვხედავდი გასროლამდე.

— ვაშაა! — წამოიძახა ექიმმა. — გადარჩა!

— ვაშაა! — დაიგრიალეს გარშემო. მომვარდნენ, გადამეხვივნენ. ის ჯარისკაცი კი გაუშვეს. თურმე თავის მოკვლა უნდოდა საწყალს და გააკავეს, წაართვეს რევოლვერი.

რევოლვერი რომ დამიბრუნეს — დავხედე. ლურჯად ბზინავდა რევოლვერი და ლულიდან ცალი თვალით მიყურებდა სიკვდილი: გამეხაფაციცა. შეეძლო მოვეკალი...

გამაყრუოლა...

ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გამაყრუოლა ტანში.

ის სიკვდილი კი არ მოქმედებს ადამიანზე, რომელიც რახარუხით მოდის, არამედ ის, რომელიც ჩუმად გეპარება. ხმაურიან სიკვდილს გაუძალიანდება ადამიანი. უჩუმარს კი...

უჩუმარი გეპარება და უნდა წაგიყვანოს თან.

მაგრამ იმჟამად ვერ წამიყვანა. ერთი გოჯი დააკლდა ჩემამდე. ისევ ხაფაცი...

რაც არ ვიცი—არ ვიცი

პირველი მსოფლიო ომია. გერმანიის ფრონტზე ვარ. ზაფხულია. ცხელა. ვზივართ მე და ჩემი ჯარისკაცები სანგრებში და ველით: ან როდის გადავალთ შეტევაზე ან როდის შეწყდება ომი.

ომი კი არ წყდება. არც შეტევაზე გადავდივართ. ეს ერთი ხანია დაძაბული სიმშვიდეა ფრონტზე. კანტიკუნტად მიდი-მოდიან ტყვიები.

ერთ დღეს განკარგულება მოვიდა: ამა და ამ უბანზე მტრის განლაგებისაკენ მისასვლელი გზები გათხარეთო. ეს დავალება ჩემს ნაწილს დაეკისრა. დავიწყეთ თხრა.

ვთხრით ღამ-ღამეობით, პატიოსნად, ღრმად.

ომი არავის უნდა, მაგრამ საბრძოლო დავალებას პირნათლად ვასრულებთ. აქ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება და დაუდევარი საქციელი თავისთავად გამორიცხულია. ომში ნამყოფმა იცის, თუ რას ნიშნავს ღრმა სანგარი და მისი გათხრა.

მთვარიანი ღამეა. თუ მთვარე ძალზე ანათებს, გავწვებით მიწაზე, რომ მტერმა არ შეგვამჩნიოს. თუ მთვარეს ღრუბელი გადაეფარა, მაშინ გამალებით ვთხრით. მტერი, რასაკვირველია, გვზვერავს. თუ „უპატრონო მიწაზე“ მოძრაობა შეამჩნია, აუშვებს მაშხალას. ეს მაშხალა წამოვა „უპატრონო მიწისკენ“, გასკდება ჰაერში და უამრავი თეთრი ნაპერწკლებით დაეშვება ძირს. და თუ შეგვამჩნია მტერმა, ასტეხს სროლას. სრო-

ლა კი, მამაძაღლებმა, კარგად იციან.

ჰოდა, ერთ ღამეს, ვთხრით, ვთხრით, ვთხრით, რაც შეიძლება უჩუმრად. თხუნელები ვართ, რაღა!.. შესვენება მაშინ შეიძლება, როცა მთვარეს ღრუბლები გადაეყრება და განათდება.

ერთ-ერთი ასეთი განათებისას მე და ჩემი უნტერ-ოფიცერი ვასილენკო სანგარის ნაპირას ჩამოვჯექით. პატარა ბუჩქს ამოვეფარეთ. ხელის გულში გავაბოლეთ პაპიროსი და ვუცდით, როდის აიყრება ღრუბლები და ჩამობნელდება. არ ვლაპარაკობთ. მტრის პირისპირ, ორასი ნაბიჯის მანძილზე, რაზე უნდა ილაპარაკოს კაცმა? ფიქრი კი... იფიქრე რამდენიც გინდა!.. აი, თუნდაც იმაზე: გადავრჩები თუ არა ამაღამ?..

უცებ ცივად გამაჟრჟოლა ტანში. თითქოს წამით შეწყდა გულის ცემა და შემეკრა სუნთქვა: მოდის სიკვდილი.

სიკვდილი მოდისო? ახლა კი აღელდა გული, ვსტაცე ხელი ვასილენკოს და ჩავითრიე სანგარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავ წამს ზედიზედ სამი ტყვია დაეცა იქ, სადაც ჩვენ ვისხედით. ტყვიებმა ბუჩქის ტოტები დალეწა. ჩვენ რომ იქ დავრჩენილიყავით, ვერ გადავრჩებოდით.

— რა იცოდით, რომ... — მეტი სიტყვა ვერ იპოვა ვასილენკომ.

— რომ სიკვდილი მოდიოდა? — მივუხვდი ვასილენკოს.

— დიახ!

— ტანმა მიგრძნო!

გაუკვირდა ვასილენკოს.

მე კი არ გამკვირვებია. ვიცოდი: ეს იყო ხაფანგი.

ისიც ვიცოდი: ყველა არ გრძნობს ამას. მე ვგრძნობ.

და არ ვიცი რატომ?..

რაც არ ვიცი — არ ვიცი!..

ᲙᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ღამეა. მძიმედ დაჭრილი ვწევარ სარდაფში. ჭრილობა შეხვეული მაქვს. მტკივა და მიბჟუის ფეხი. სიცხე მაქვს. შუბლზე ცივი ტილო მადევს. ჩემმა კეთილმყოფელმა დიასახლისმა ცივი წყლით სავსე ქილა დამიდგა სასთუმალთან. ხშირად გამოიცვალეო ტილო. მეც გინახულებო. მაგრამ ვერც მე ვიცვლი ტილოს, ვერც დიასახლისი მოდის. მე ხელს ვერ ვანძრევ. დიასახლისი აგვიანებს.

გარეთ კი დიდი ხმაურობაა. თურმე მოვარდნენ კაზაკები და ეძებენ წითელ მეთაურს. გაუგიათ: სადღაც აქაა დამალული. რას იზამ? სამოქალაქო ომია: მტერიც არის და მოყვარეც.

დრო მძიმედ მიდის და ვფიქრობ. ვფიქრობ, რომ შველა არსაიდანაა. ამ ხალხმა რაც შეეძლო, გააკეთა — მიხსნა დახვრეტისაგან, მერე გადამმალა ამ სარდაფში. ეს იყო დღისით. ახლა კი ღამეა და ბნელა. სიბნელეში ბნელი ხალხი რას არ ჩაიდენს? აი, ეს ბნელი სულის ხალხი, ეს თეთრი კაზაკები! ყაჩაღებია და მძარცველები. მათთვის ადამიანის აჩეხვა ლერწის გადაჩეხვაა სამხედრო ვარჯიშობის დროს...

ასე ვფიქრობ რომ ხშირად წყდება ფიქრის ძაფი. სიცხე ერევა გონებას.

სარდაფში მკრთალი სინათლეა: ჭრაქი დამიდგა დიასახლისმა.

დრო მძიმედ მიდის და ისევ ისე ვფიქრობ. ვფიქრობ სიკვდილზე. როგორ მომკლავენ? დამხვრეტავენ თუ ამჩეხავენ? სად დამმარხავენ? ვიცი, ხუტორში ეკლესია არაა. მაშასადამე, არც სასაფლაოა აქ. შორს კი ვინ წამიღებს? აქვე, სადმე ხევში ჩამთხრიან... და გათავდა სიცოცხლე ერთი ახალგაზრდა ქართველი კაცისა, რომელიც უკრაინის განთავისუფლებას შეეწირა. შეეწირა გუ-

ლით, რწმენით... ჰმ!.. სანამდე მიიყვანს ადამიანს რწმენა?..

დრო მძიმედ მიდის და შეწყდა ფიქრთა დენა, ბურანში ვარ.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე. ოღონდ გონს რომ მოვედი, რაღაც ბუტბუტი მომესმა. დავაყურე: სულთაბრძოლის ლოცვას ამბობს ვიღაცა. მე ეს ლოცვა ვიცი — დედას უსწავლებია ჩემთვის პატარაობისას. ამ ლოცვას მომაკვდავის სასთუმალთან აღავლენენ ხოლმე. დიახ, სულთაბრძოლის ლოცვაა! მაშასადამე, ვიღაცის სიკვდილი მოსულა... ვისი?

ძლივს ავსწიე თავი, მივაბრუნე მლოცველისაკენ. ვხედავ: ვიღაც ქალი. თმაჩამოშლილი, თეთრ ტანისამოსში, დაჩოქილა ჩემს სასთუმალთან. ქალს მარჯვენა ხელში ლოცვანი უჭირავს, მარცხენაში — ანთებული წმიდა სანთელი და ლოცულობს.

ზმანება მეგონა და გავისუსე. ვხედავ კი, რომ ქალს ხელი უკანკალებს და ქანაობს სანთელი. სანთლის შერხევაზე ქალის ლანდი ირეკლება კედელზე. მაშასადამე, ეს ქალი სინამდვილეა. ზმანებას —მოჩვენებას ხომ ლანდი არა აქვს? მგონი ასეა, და, შევეკითხე ქალს:

— ვინა ხართ თქვენ?

— სსს... ჩუმად!.. — და ქალმა სახე მოიბრუნა ჩემსკენ. ახლა ეს ახალგაზრდა ქალი ანგელოზსა ჰგავს. აი, ისეთ ანგელოზს, ეკლესიის კანდელზე რომ ბატავენ ხოლმე.

— ვინა ხართ? — გავიმეორე კითხვა.

— მე ვარ, ჰერტრუდა,... დიასახლისი...

დავაკვირდი. ისაა. დიასახლისი. დღეს მისმა ოჯახმა მიხსნა მე სიკვდილისაგან. ჰერტრუდა განაგრძობს მშვიდად, დარწმუნებით და მეუბნება:

— ახლა თქვენ მოგკლავენ. რჩ, სასტუმრო ოთახში, თეთრებმა გადაწყვიტეს ასე.

— მაშ, მომკლავენ? — წავიჩურჩულე.

— დიახ!.. მაგრამ აქაური ცხოვრება ხომ მოკლეა და ცოდვიანი? იქაური ცხოვრება კი მარადიულია, უცოდველთათვის სანეტარო... მე ვილოცე თქვენთვის და მოგიტევეთ ჩადენილი ცოდვები.

— რა ცოდვები? — ვკითხე და ტკივილი დამავიწყდა. მოსალოდნელი სიკვდილიც დამავიწყდა... ერთმა აზრმა კი დამიარა:

ხუტორის ახლოს ხევია. ხევში არცთუ ღრმა საფლავია გაჭრილი. ის ჩემი საფლავია, ქართული ცრემლისგან დაუტირალი.

და უცბად დატრიალდა ჩემს თვალწინ ყველაფერი. ოღონდ ეს მახსოვს: ჰერტრუდამ პირჯვარი გადამწერა და გავიდა...

მერე დავკარგე გრძნობა...

შემდეგ გავიგე, მეორე დღეს: თეთრებს გაუგიათ ჩემი გადამალვა. მოსულან ამ ოჯახში და მოუთხოვიათ ჩემი გაცემა. გლეხებს სუფრა გაუშლიათ, ძალზე გამოუთვრიათ კაზაკები და გაუყენებიათ სხვა გზაზე. ხოლო სანამ კაზაკებს მასპინძლობდნენ, მორწმუნე დიასახლისმა ყოველ შემთხვევისათვის პანაშვიდი გადამიხადა, მომხსნა ცოდვები...

და ასე: იმ დღეებში სიკვდილიდან სიკვდილის ხელში გადავდიოდი.

და სიკვდილი ხან იხევდა უკან, ხან მიყურებდა თვალებში. მეხაფაციცებოდა.

თ ი ვ ა შ ი

მეორე დღეს, იმ ხუტორიდან, სადაც პანაშვიდი გადამიხადეს, ერობის საავადმყოფოში წამიყვანეს. დამაწვინეს ფორანზე. ქვეშ თივა დამიგეს, გვერდებზე და ზევითაც თივა დამაბურეს. ეს უბანი თეთრებს ჰქონდათ დაჭერილი და პატრულები გზებს ზვერავდნენ. მე ორი გლეხი მომყვებოდა, მამა და შვილი, აბრამი და დანიელი. ამათ მიხსნეს წინადღეს სიკვდილისაგან. ამათ სურთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხსნან დღესაც და მივყავართ ერობის საავადმყოფოში. საავადმყოფო 20 კილომეტრზეა. დიდ სოფელ ვასილევკაში.

შემდეგ გავიგე, რომ ადგილობრივ პარტიულებს აუკრეფიათ ბრძოლის ველზე ექვსი დაჭრილი წითელარმიელი და წაუყვანიათ ამ საავადმყოფოში. ამავ პარტიულებს დაუვალებიათ აბრამ და დანიელისთვის ჩემი გადაყვანა საავადმყოფოში.

ჰოდა, მივდივართ. დიდი, ორცხენიანი ფორანი თივითაა დატვირთული. შიგ მე ვწევარ. ჩაგვიარა ერთმა ცხენოსანმა პატრულმა.

— რა მიგაქვთ?

— თივა!

ჩაიარეს. ჩავიარეთ.

— ნახევარი გზა გავიარეთ, — ჩამომძახეს თივაში გლეხებმა.

უცებ მოისმა ცხენების თქარათქური. მეორე პატრულია.

— რა მიგაქვთ?

— თივა!

ჩაიარა პატრულმა. განვაგრძეთ გზა. ახლა მესამე პატრული გამოჩნდა.

„კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს“, — გამახსენდა ქართული ანდაზა, თან ვიგრძენი, რომ მდგომარეობა უნდა გამომეცვალა. აქამდე გულალმა ვიწექი ფორნის შუაგულს. ახლა გადავბრუნდი, კედელს მივეკარი. ვიცოდი კაზაკები თივის ზვინებშიაც კი ეძებდნენ გადამალულებს. შეარჭობდნენ ხმალს რამდენიმე ადგილას. თუ ადამიანი იყო ზვინში — იპოვნიდნენ.

— რა მიგაქვთ? — მოისმა ცივი, ბოხი ხმა.

— თივა!

— გასინჯე! — მესმის იგივე ცივი, ბოხი ხმა.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაზაკი ამოიღებს ხმალს და ჩაარჭობს თივაში.

მე უკვე კედელს ვარ მიკრული. მომწვდება ხმალი? ჩამერჭობა თუ არა? სად ჩაარჭობს კაზაკი ხმალს: ფორნის შუაგულში პირდაპირ თუ ცერად, კედელთან? თუ მომხვდა ხმალი და დავიყვირე — ხომ ჩამომაგდებენ?.. არ უნდა დავიყვირო... არ უნდა დავიყვირო...

— არ უნდა დავიყვირო! — შთავაგონე ჩემს თავს მესამედ.

ის კი დამავიწყდა, რომ ხმალი თუ მომხვდებოდა სხეულში, სისხლი შერჩებოდა ზედ...

მაგრამ ამდენი ფიქრის დრო სად იყო? უკვე ვგრძნობ, რომ ხმალი ჩაერჭო თივაში: ერთხელ შუაში, მეორეჯერ — ჩემს ახლოს.

არ დავმალავ: უნებლიედ შემრცხვა: თივაში რომ ვენახე? ბაჭია ხომ არ ვიყავი?..

— *არავინაა! — მომესმა სანეტარო* სიტყვა.

— გასწით! — მომესმა ის ცივი, ბოხი ხმა.

ფორანი დაიძრა. პატრული წავიდა. სიკვდილმა დაიხია უკან...

ჩამომეხსენ, სიკვდილო! რას მეხაფაციცები — თივაში მაინც?...

ხაფანგი

ოფიცრისათვის იმაზე მეტი ქება რა იქნება, ჯარისკაცებმა რომ სთქვან:

— ჩვენი ოფიცერი მამაცია!

რა არის მამაცობა? აქვს, თუ არა აქვს ადამიანს სიკვდილის შიში? ხშირად გამიგონია, მავანსა და მავანს სიკვდილის შიში არა აქვსო. ტყუილია! ასეთი ადამიანი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში შიში არსებობს, ოღონდ უნდა დასძლიო იგი. მამაცობის საკითხიც სწორედ ამაშია.

ფრონტზე კი იმას სცემენ პატივს, ვინც უშიშრად შეეთამაშება სიკვდილს, არ შეუშინდება მას. ოფიცრებში ხში-

რად იყო კამათი: რა არის მამაცობა? ზოგს ბრძოლაში უშიშროება მიაჩნდა მამაცობად, ზოგს — არა. ყველა იბრძვის და შენც რომ იბრძოლო, ეს რა მამაცობაა? მასაში ხარ და ვერ გამოერჩევიო. აი, მარტოხელამ რომ გამოიჩინო ვაჟკაცობა, ეს არისო მამაცობა. მეც გავიზიარე ეს აზრი და მოვინდომე ჩემი თავის შემოწმება. გავუზიარე ჩემი აზრი ერთ ამხანაგს, საშა პოკროვსკის.[1] მოდი და ვცადოთო, მითხრა. იმ დღეს ახალი შევსება მოვიდა. გერმანელებმა შენიშნეს და სროლა ასტეხეს. დაგვიშინეს შრაპნელი, შრაპნელი ცოცხალ ძალას ანადგურებს. ძალზე საშიშია: ტყვიას ბევრს აფრქვევს.

— საფარში — გაისმა მეთაურის განკარგულება.

ჩვენ, ოფიცრები და ჯარისკაცები, მეორე ხაზის სანგრებს უკან ვიყავით წამოწოლილნი და ზაფხულის მზეს ვეფიცხებოდით. ყველანი საფარში ჩაცვივდნენ. პოკროვსკიმ კი ჭადრაკი გამოიტანა და მკითხა, სად ვითამაშოთო? მე მივუთითე ერთ ხეზე, რომელიც ობლად დარჩენილიყო. ის ხე ტრიალ ადგილას იდგა, ადვილი სანიშნო იყო და სწორედ ამიტომ სახიფათო. და სწორედ ამიტომ მივუთითე ის ხე პოკროვსკის. დავსხედით ხის ქვეშ. დავიწყეთ თამაში. სათოფურებიდან ოფიცრები და ჯარისკაცები გვიყურებენ.

გერმანელებმა სროლა მოუხშირეს. შრაპნელები სკდება იმ სექტორზე, სადაც მეორე ხაზის სანგრებია, სადაც ჩვენა ვართ. ზემოდან შხუილით მოდის შრაპნელის ტყვიები და ნამსხვრევები. ჰაერში განუწყვეტელი ხმაურობაა და ათასი თვალით იცქირება სიკვდილი.. დღე ნათელია და მზიანი. სიკვდილს რა უნდა ასეთ დღეს?

პოკროვსკი და მე განვაგრძობთ თამაშს. სათოფურებიდან ოფიცრები და ჯარისკაცები გვიყურებენ. ჩვენ სწორედ ეს გვინდა: ნახონ როგორ აბუჩად ავიგდეთ სიკვდილი. როგორ არ გვეშინია.

— პაპიროსი მომეცი! — მეუბნება პოკროვსკი.

ვიცი, ის არ ეწევა თამბაქოს. მაგრამ მივხვდი, თუ რატომ მოუნდა პაპიროსი. ორივემ გავაბოლეთ. შრაპნელი კი თავისას შვრება: შხუის, წივის და შიშით აბრუებს გარემოს.

უცებ ერთი შრაპნელი დაბლა გასკდა და ხეს ტოტები შემოამტვრია. ავიხედე ზევით. შემეცოდა დაჭრილი ხე. შემეცოდა ჩემი თავიც, მე უკვე მეშინია, გული ამოვარდნაზეა. მაგრამ არ ავმდგარვარ. ეს იყო გამოცდა და ეს გამოცდა უნდა ჩამებარებინა. ალბათ, ასე ფიქრობდა პოკროვსკიც, რადგან არ განძრეულა.

სათოფურებიდან კი გვიყურებენ და გვიყურებენ.

მორიგი შრაპნელი ჩვენი ხის მეორე მაღალ ტოტზე გასკდა. ჩამოლეწა ტოტი. ერთი ნალეწი პოკროვსკის დაეცა. პოკროვსკიმ აიღო ნალეწი და გადააგდო. მე ერთი ავიხედე ზევით და კვამლი — ნაფაზი შევუბერე ცას. შიში არ იყო. იყო რაღაც აწყვეტილი, უდიდესი შეთამაშება სიკვდილთან. ამიტომ განვაგრძეთ თამაში. ადგომა არ ვიკადრეთ. ეს იყო ხაფაციცი: ახლა ჩვენ ვეთამაშებოდით სიკვდილს.

მაგრამ მეთაურმა სხვანაირად გადაწყვიტა:

— საფარში, ბატონო ოფიცრებო! — გაისმა მისი ბრძანება.

გაგვიხარდა ძალიან და ავკრიფეთ ფიგურები.

სიკვდილმა დაიხია უკან. ის სიკვდილი ჭაღარა იყო, ჩვენ კი ძალზე ახალგაზრდები.

---

[1] საშა პოკროვსკი — სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, შალვა დადიანისა, აკაკი ხორავასი და ჩემი დიდი მეგობარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე პანაშვიდი

სამოქალაქო ომი დამთავრდა. ცხოვრება მშვიდობიან კალაპოტში დგებოდა. დავბრუნდი უკრაინაში, ხარკოვში.

პირველ დღეს ჩემი უნივერსიტეტი მოვინახულე. მთელი დღე დავყავი დაუვიწყარ შენობაში.

მეორე დღეს იმ დაწესებულებაში წავედი, საიდანაც მე ფრონტზე გავეშურე სამოქალაქო ომის დროს, როცა დენიკინი მძლავრობდა.

აი ის ქუჩა, სადაც ჩემი დაწესებულება იყო. მივდივარ, თან ვფიქრობ: როგორ შემხვდებიან? ვინ გადაურჩა ორომტრიალს?..

უცებ ვიღაცა გადამეღობა გზაზე. გადამეხვია, გადამკოცნა და მეკითხება ქართულად:

— ბიჭო ცოცხალი ხარ?

შევხედე. ხუტა აისელია.

საქართველოში ის ხუტა ხუბუტია იყო, ჩემი დროინდელი გიმნაზიელი. შემდეგში კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი — აკაკი ხორავასთან ერთად. ლავრენტი ქართველიშვილის[1] არალეგალურ წრეში მუშაობდა აკაკისთან ერთად. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უკრაინის რკინიგზის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე იყო — მეტად მკაცრი და კონტრრევოლუციის რისხვა. ასეც ეძახდნენ: „თეთრების რისხვა". ფრონტზე წასვლის წინ ცნობა მქონდა: მოჰკლესო აისელი. იმასაც ჰქონია ცნობა ჩემს შესახებ: მოჰკლესო...

ჰოდა, ორი „მოკლული" ვდგავართ ერთმანეთის წინ.

რამდენიმე წუთმა სიჩუმეში განვლო. იქვე სკვერი იყო. ჩამოვჯექით მერხზე. იქაც ერთ ხანს უხმოდ ვუყურებდით ერთმანეთს. შემდეგ მე ჩემი ვუამბე, იმან — თავისი. მის ამბავში ჩემიც იყო. თურმე, ჩემთვის ჩემს დაწესებულებაში პანაშვიდი გადაუხდიათ.

—მე დავესწარი შენს პანაშვიდს, — მიამბო ხუტამ. — შეიკრიბა მთელი დაწესებულება. გამოიტანეს წითელი დროშა. დაწესებულების ხელმძღვანელმა და პარტორგანიზაციის მდივანმა სიტყვები წარმოთქვეს... რომ იცოდე — როგორ დაგახასიათეს!.. როგორი ეპითეტებით შეგამკეს!.. ხშირად ისმოდა სიტყვები „გმირი", „რევოლუციის ერთგული შვილი"... იცი, მეც ვთქვი სიტყვა. გავიხსენე ჩვენი მოწაფეობა. ისიც ვთქვი, რომ შენ, ქართველმა სტუდენტმა და ოფიცერმა, უკრაინის განთავისუფლებას შესწირე თავი... ბიჭო, იცი? იტირა ხალხმა. განსაკუთრებით ქალებმა იტირეს. შენთან ერთად ხომ ათი სხვა ამხანაგიც წავიდა შენი დაწესებულებიდან? ჰოდა, გამოგიტირეს დახოცილები...

— დახარეთ დროშა! — სთქვა პარტორგანიზაციის მდივანმა.

დროშა დახარეს. და მთელმა მიტინგმა სამგლოვიარო ჰიმნი დააგუგუნა.

„თქვენ მსხვერპლად დაეცით ბრძოლისა ველზე!.."

ვგალობდით. ცრემლით ვგალობდით.

ხუტა შეჩერდა. ერთ ხანს ვდუმდით ორივე. სიჩუმე ისევ ხუტამ დაარღვია.

— შემომიარე! მე ახლა სამედიცინო ფაკულტეტს ვამთავრებ აქაურ უნივერსიტეტში.

მომცა მისამართი და წავიდა.

ერთ ხანს მდუმარედ ვიჯექი. თვალწინ მედგა ჩემი პანაშვიდი და მესმოდა ყურში სამგლოვიარო ჰიმნი. ის სიტყვაც მესმოდა „გმირი", როდის — როდის ვუთხარი ჩემს თავს:

— ჰმ!.. გმირი!.. ასეა კი?..

და გავესაუბრე ჩემს თავს:

— მართალია, შენ სტუდენტი იყავი. მობილიზაციისაგან თავისუფალი იყავი, რადგან საბჭოთა ხელისუფლებას სტუდენტები არ გაჰყავდა ფრონტზე: შენ კი წახველი... მერე რა? გმირობაა ეს?.. მართალია, ფრონტზე ვაუკაცურად იყა-

[1] ლავრენტი ქართველიშვილი — საქ. კ. პ. ც. კ. პირველი მდივანი ოციან წლებში.

ვი, სულ წინახაზზე და ბრძოლებში. მაგრამ თუ ომში წახვედი, უნდა გეომა კიდეც ვაჟკაცურად. აქ არაფერია საქებო, ჩემო ძმაო!.. ეს კია მართალი, რომ შენი ნაწილი საფარში მოაქციეს და გასწირეს, რომ მთავარი ძალები გადარჩენილიყვნენ. შენ ეს დავალებაც კარგად შეასრულე, მაგრამ გმირობა მაინც გადაჭარბებულია... კაცი რომ თავის მოვალეობას ასრულებდეს, ეს არავითარი გმირობა არაა. ვალდებული ხარ და უნდა შეასრულო...

გარდა ამისა, აქ რწმენასთან გაქვს საქმე. შენ რწმენამ წაგიყვანა ფრონტზე და უერთგულე შენს რწმენას... არც მეტი, არც ნაკლები... მაგრამ ეს სიკვდილის ხაფაციცი რომ არ მშორდება ვერა ხედავ, აგერ, ზურგს უკან, პანაშვიდიც კი მოუწყვიათ... როგორ მივიდე ახლა ჩემს დაწესებულებაში?..

— ჰოდა, ნურც მიხვალ! — ჩამესმა ხმა.

ვისი ხმაა? ნუთუ ჩემი ძველი ნაცნობის ხმაა? სიკვდილის ხაფაციცის?..

არა! ეს გულის ხმაა. გული მეუბნება:

— ნუ მიხვალ! დე, ჰქონდეთ შენზე უკეთესი წარმოდგენა, ვიდრე ხარ! ლამაზი სიკვდილიც კარგია, თუ კაცი კაცობს!.. დამიჯერე!..

და დავუჯერე გულს... ვარჩიე მეორე პანაშვიდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩიჯავაძე

თვითმკვლელები

რომანი

* * *

თენდებოდა, როცა ჩვენ ოთხივე გახამებულ სპეცტანსაცმელში გამოწყობილნი დერეფანში ველოდით ჩვენს დანარჩენ თანამემამულეებს, რომ მათთან ერთად წავსულიყავით სამუშაოდ.

განწყობილება გვქონდა მებრძოლური, რასაც ხელს უწყობდა ფეხსაცმელები, რომლის ხის სქელმა ძირებმა თითოეულ ჩვენგანს სიმაღლეში 5-6 სანტიმეტრი მოუმატა, სტეპკო და ტოგო კი თითქმის მაღლები ჩანდნენ.

სამუშაო პირობებზე მე არავითარი ილუზიები არა მქონდა, რადგან ვიცოდი, 1918 წელს გერმანელებმა მაღარო რომ დატბორეს და ამის შედეგად იგი სავალალო მდგომარეობაში იყო დარჩენილი, და აქაური მკვიდრი ფრანგები იქ მუშაობას უარობდნენ.

ფრანგები აქ მხოლოდ მეთაურთა პოსტებზე მუშაობდნენ, ხოლო „დაკონტრაქტებული“ უცხოელები იმაზე ორნახევარჯერ ნაკლებს იღებდნენ, რასაც სხვა მაღაროებში იძლეოდნენ... და მათ იმის მეტი არა დარჩენოდათ-რა, რომ ხმაამოუღებლივ ემუშავათ.

არაუჭირს, როგორმე ვიმუშავებ ამ ექვს თვეს, — ვიმშვიდებდი თავს, — ახლა ხომ მეოცე საუკუნეა... და მეშახტეებს უკვე აღარა აქვთ ის პირობები, რომლებსაც ზოლა „ჟერმინალში“ აღწერდა.

გარიჟრაჟის ბინდბუნდში დასახლების მთავარ ქუჩას მუქ ლურჯ ნიაღვარად მივყვებოდით და ბარაკებს შუა ვიწრო გასასვლელებიდან ადამიანთა ახალ-ახალი ნაკადები გვიერთდებოდა:

აგურის დაბალ შენობასთან ადამიანთა ნაკადი შეჩერდა და ჩარდახთან მდგარი ბრიგადირების ნაწყვეტ-ნაწყვეტმა გამოძახებამ შექმნა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც მიემართებოდნენ იქვე მიმავალ ვიწროლიანდაგიან რკინიგზისაკენ.

ერთერთმა ბრიგადირმა ლამპების განყოფილებაში წაგვიყვანა, სადაც დაგვირიგეს კარბიდის ახალთახალი ლამპები და კარბიდი, რომლითაც ისინი იქვე დავმუხტეთ და თან ერთი სული გვქონდა, სანამ ავანთებდით მათ შახტების სიბნელეში.

მარტო ომარი იყო უკმაყოფილო, იგი შურის თვალით უყურებდა ჩვენს ლამ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 10, 1972 წ.

პებს, რადგან ფიქრობდა, რომ მას ყველაზე ცუდი შეხვდა.

უკვე მთლად გათენდა, ჩვენი ბრიგადირი სათავეში ჩაუდგა მის მომლოდინე ჯგუფს და ჩვენ შპალებით გავუდექით გზას ფერდობისაკენ, სადაც შახტის ნახევარწრიული შესასვლელი მოჩანდა.

როდესაც ჩვენ უკვე საკმაოდ შორს ვიყავით შესულნი მიწის ქვეშ და დღის შუქი ჩვენამდე თითქმის აღარ აღწევდა, მეშახტეებმა გზა-გზა თავიანთი ლამპების ანთება დაიწყეს. ჩვენც მათ მაგალითს მივყევით, მაგრამ ჩვენი ლამპები ფრქვევანებივით შიშინებდნენ, ბრიალით ინთებოდნენ და ქრებოდნენ. ვცდილობდით მიმავალთ არ ჩამოვრჩენილიყავით, შპალებზე ბორძიკით ვჯახირობდით, მაგრამ ლამპები კატეგორიულად არ გვემორჩილებოდნენ.

— თქვენს ლამპებს რეგულირება სჭირდება, — გვითხრა ვიღაცამ რუსულად.

— გმადლობთ, რომ მიხვდით!.. — ავი ირონიით ვუპასუხე, გააფთრებულმა ლამპაზე, ჩემს თავზე და მრჩეველზე.

წყლის ონკანი გადაკეტეთ, — თქვა მეორე ხმამ. — თქვენ კარბიდი მთლად წყალში ჩაგიტბორავთ...

— თავი დაანებეთ, პორუჩიკ,—უთხრა მეორეს პირველმა.

მაშ ესენი ყოფილან ჩემი ქვეითა მეზობლები — შტაბს კაპიტანი პორუჩიკი.

ჩვენ თითქმის მხარდამხარ მივდიოდით, და მე ვაკვირდებოდი ლამპებით განათებულ სახეებს. კაპიტანი გამხდარი და ფერმკრთალი იყო, პორუჩიკს კი შავი ჯაგრით ჰქონდა დაფარული სახე, და მე იგი უფრო მომეწონა.

ჩვენ კიდევ დიდხანს მივაბიჯებდით სხვისი შუქის „ხარჯზე", ვიდრე ბოლოს ჩვენი ლამპები არ აინთო და მე ცოტა დავშოშმინდი.

— აი, ხედავთ, ახლა ანთია, — თქვა პორუჩიკმა, — ეს ყველა ახალბედას ემართება ხოლმე... არაუშავს, თანდათან ისწავლით...

— მეეჭვება... — წაიბურტყუნა შტაბსკაპიტანმა.

— ვითომ რატომ? — ალვშფოთდი მე.

— ნუ უხეშობთ, როცა გარიგებენ.

— თქვენ პირდაპირ ფაქტი აღნიშნეთ, მისი თავიდან აცილება კი არ გითქვამთ... და ეს დაცინვას წააგავდა.

ტოგომ ნიდაყვზე ხელი წამკრა და ქართულად წამჩურჩულა:

— რას ეჩხუბები?! ეს-ესაა ჩამოხვედი შახტში და...

— თუ თქვენ ასე გამიგეთ, ბოდიშს ვიხდი... მითხრა შტაბსკაპიტანმა. — მე მგონია, რომ... საქმე მაქვს ინტელიგენტ ადამიანთან...

— მეც ასე ვფიქრობ, რომ საქმე მაქვს ინტელიგენტ ადამიანთან...

ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, მედიდურად მხრებაწეულებმა და თავდახრილებმა, როგორც ეს შეეფერება ინტელიგენტ ადამიანებს... და მყისვე გადავხტით და გავეკარით მოპირდაპირე კედლებს, რომ გზა მიგვეცა ცარიელი ვაგონებით მორახრახე შემადგენლობისათვის.

— ნი ცო!.. ნი ცო!.. — ამშვიდებდა წითურულვაშიანი პოლონელი შეშინებულ ომარს, რომელმაც იქით გადახტომა მხოლოდ უკანასკნელ წამს მოისაზრა.

— მოდით, ვიჩქაროთ, თორემ ესენი, — თავით მანიშნა პორუჩიკმა წინ მიმავლებზე, — საუკეთესო იარაღებს დაიტაცებენ.

— რა იარაღებს?

— ბარებს... ზოგიერთის ტარი... — და უხერხულობისაგან გაეცინა, როდესაც იგრძნო მთელი თავისი მდგომარეობის შეუსაბამობა.

ჩვენ წინ მიმავლებს წამოვეწიეთ, ჯგუფის თავში მოვექეცით და გზა განვაგრძეთ.

დაუსრულებლად შორს მიდიოდა ლარივით სწორი გალერეა, რომლის სიგრძეზე ციმციმებდნენ აქეთ-იქით ოდნავ მოქანავე სინათლის წინწკლები — მიმავალი შახტიორების ლამპები.

ეს მე რაღაცას მაგონებდა... ჰო, რა თქმა უნდა!.. სიბნელით მოცულ რუსთაველის პროსპექტს, მთელ მის სიგრძეზე მოციმციმე სინათლეებს. ბზობის შაბათს ღელვითა და თრთოლვით რომ მიაქვთ ხოლმე ქალიშვილებს ანთებული სანთლები და ხელის მტევნით რომ იცავენ სანთლის ალს... სანთელს თუ შინ ანთებულს მიიტანდნენ, მაშინ მომავალი ბედნიერების ოცნება აუხდებოდათ...

ახალგაზრდა ბიჭები კი ეპარებიან და ცდილობენ ჩაუქრონ ეს პატარა, მაგრამ დიდი ოცნების ცეცხლი.

შახტში პორუჩიკის ხმამ დამაბრუნა: სრული ერთი საათია საჭირო სამუშაო ადგილზე მისასვლელად...

— დიახ... — დავუმოწმე მე, თუმცა არ ვიცოდი, კარგი იყო ეს თუ ცუდი.

— და ერთი საათი უკან დასაბრუნებლად... გამომუშავების ნორმა კი ერთი და იგივეა... — წაიბურტყუნა შტაბსკაპიტანმა.

ომარი, ტოგო და სტეპკო ზურგს უკან ჩუმად მომდევდნენ დაძაბულები და ოდნავ დაბნეულები.

ერთ ადგილას შახტის ჰორიზონტალური ჭაური გაგანივრებული და კარგად განათებული იყო, იქიდან კი, თითქმის ვერტიკალურად, ეშვებოდა შახტა ორი წყვილი ლიანდაგით, რომლებზეც ფოლადის ტროსებით ადიოდნენ დატვირთული ვაგონეტები და ჩადიოდნენ ცარიელები. წინ წამოწეულ ფიცარნაგზე ერთი შახტიორი გრძელი ბერკეტებით მუშაობდა, დანარჩენი ოთხი კი დატვირთულ ვაგონეტებს გვერდით აგორებდნენ და მათ სამაგიეროდ ცარიელებს აბამდნენ.

მერე კვლავ წინ გაიჭიმა ლარივით სწორი შახტი შორს მიმავალი შახტიორთა ლამპებით. სულ უფრო ხშირად გვიხდებოდა კედლისაკენ გადახტომა. რომ გზა მიგვეცა მორახრახე ვაგონეტებისათვის, რომლებსაც ეწეოდა დაბალი ელექტრომზიდი, მის შუაგულში კი მძღოლი იყო რაღაც უცნაურად ამოჩრილი.

ბოლოს, გავუხვიეთ მარცხნივ და ეწერო, დამრეცი გალერეით დავეშვით. რამდენჯერმე მტკივნეულად შევარტყი თავი ჭერზე გადმონაშვერ კლდეს და მხოლოდ მაშინღა გამახსენდა, რომ ჩვენ ოთხივეს ქუდები არ გვეხურა. და რომ აუცილებლად უნდა გვეშოვა კეპები, ანდა აი, ისეთები, როგორებიც ბევრსა ჰქონდა, ნაბდის ძველი, ფარფლებშემოჭრილი შლიაპები.

დაუსრულებლივ ქვევით მიმავალი გალერეა ზოგჯერ იმდენად ვიწროვდებოდა, რომ ორ კედელს შორის გაჭირვებით გვიხდებოდა გაძვრომა, ზოგჯერ კი უზარმაზარი, ზევით აზიდული ჭერიანი გამოქვაბულებით გადიოდა.

— მადანი აქ ასი წლის წინად ამოიღეს, — თქვა პორუჩიკმა. — ჩვენ გზას ვიმოკლებთ.

— რამ აიძულა ხალხი ამ სიღრმეში ჩასულიყო? — აღშფოთდა ომარი.

— რკინის მადანმა!.. — ღრმააზროვნად ახსნა ტოგომ.

— ნეტავი, როგორ მიხვდი?! — ირონიით უთხრა სტეპკომ.

ბოლოს და ბოლოს, ბიჭები ალაპარაკდნენ, მეც გულზე ცოტა მომეშვა.

ქვევითაც აღმოჩნდა ჰორიზონტალური, ზევითას პარალელური ჭაური, ოღონდ — იქ ვაგონეტებს ცხენები ეწეოდნენ. ვეება ბელგიურ სინიბებს ჯაჭვები ლარებივით დასჭიმოდათ, ნალებიდან ნაპერწკლები სცვიოდათ და ასე გაჭირვებით ეწეოდნენ დატვირთული ვაგონეტების შემადგენლობას.

— საცოდავი პირუტყვები! — თქვა პორუჩიკმა, რომელიც უფრო და უფრო მომწონდა, — ცხენები თითქმის ყველა ბრმაა და ვერც ვერასოდეს იხილავენ დღის სინათლეს.

— რატომ? — იკითხა ტოგომ.

— ცხენები აქ დიდი გაჭირვებით ჩამოჰყავთ... ზევით კი ისინი უკვე ბიფშტექსებად და ანტრიკოტებად გამზადებულები ბრუნდებიან.

— ხა-ხა-ხა!.. რა ზორბა რამაა! — რაღაც მოულოდნელად გამოეხმაურა ომარი.

— რას ხარხარებ, ტუტუცო! — აღშფოთდა ტოგო.

— როცა ცარიცინთან ჩემი ბედაური ზედ მჯდომარეს მომიკლეს, მე ვტიროდი... დედაკაცივით... — თქვა პორუჩიკმა.

— მეეჭვება, რომ თქვენ მაგის დრო გქონოდათ. — მშრალად მოუჭრა კაპიტანმა.

— მეც ვიტირებდი, — მხარი ავუბი პორუჩიკს.

ახლა უკვე უხმოდ მივაბიჯებდით შპალებზე. ძალიან მაინტერესებდა გამეგო რამდენი კილომეტრი გამოვიარეთ, იმიტომ, რომ აქ მიწის ქვეშ, მე სრულიად დავკარგე ორიენტაცია, კითხვა კი მერიდებოდა.

გალერეის მარჯვენა მხარეს ბევრი ზევით ასასვლელი და რამდენიმე დამრეცი ჭაური ჰქონდა, რომლებითაც ტროსებით დატვირთულ ვაგონეტებს დაბლა უშვებდნენ და ცარიელებს კი ზევით ეზიდებოდნენ ყოველგვარი ელექტროენერგიის გარეშე.

— დამუშავება ამ ორ ძირითად ჭაურს შორის სწარმოებს... ამ ორ ჰორიზონტალურ ჭაურს შორის, — დაუმატა პორუჩიკმა, როდესაც მე ერთბაშად ვერ გავიგე მისი ნათქვამი.

— აქ მგრგვინავი გაზი არ აფეთქდება ხოლმე? —იკითხა ტოგომ.

— საკმარისია ზვავებიც... და ჩვენი უბედურებები...

რა უბედურებას გულისხმობდა, ვერ მოვასწარი მეკითხა, რომ ჩვენ გავუხვიეთ მარჯვნივ, ერთერთ მრავალრიცხოვან გალერეაში და შევუდექით ზევით ასვლას, რამდენჯერმე გადავჭერით გასწვრივი შტოლნი, ჩამპალი შპალების ნატეხებით, დამტვრეული ვაგონეტების ნარჩენებით და შეკუმშული ჰაერის გამტარი, ჩაჟანგებული მიგრეხილ-მოგრეხილი მილებით.

ამრიგად, ქვევით მოვიტოვეთ რამდენიმე ასეთი, დიდი ხნის ვალმოხდილი შტოლნი, მსგავსი რომელიღაც მიტოვებული ფანტასტიკური კომბინატისა-თულებისა, და სულ ზევით ავედით.

ჩვენი ლამპების საკმაოდ ნათელ შუქზე, მე დავინახე ლიანდაგზე მდგარი ცარიელი ვაგონეტები, გროვად მიყრილი წერაქვები, ნიჩბები, ძალაყინები და სანგები. ნაპრალში ჩათხრილ ძალაყინებზე ეკიდა რეზინის შლანგების ხვეულები, მათ ქვეშ კი კომპრესორები, და ბორაკები ეწყო.

მე გამაოცა, რა დაწაფებით არჩევდნენ შახტიორები ნიჩბებსა და წერაქვებს და რა ხალისით იტაცებდა ყველა თავის იარაღს.

ბრიგადირმა პორუჩიკს ჩვენს შესახებ რაღაცა უთხრა, თვითონ კი თითქმის ყველა შახტიორთან ერთად სადღაც მარცხნივ წავიდა.

— აიღეთ თითო-თითო. ნიჩაბი და წერაქვი, და ორმა კაცმა კი თითო ძალაყინი და სანგი, — გვითხრა პორუჩიკმა.

ჩვენ იმ გროვიდან ინსტრუმენტები ავიღეთ და ომარს კვლავ მოეჩვენა, რომ უკეთესი აირჩია.

წითურულვაშა პოლონელმა ზურგზე შლანგის დიდი ხვეული მოიგდო და კომპრესორით და ბორაკით ხელში მარჯვნივ მოსახვევში გაუჩინარდა.

— ახლა კი თქვენი ინსტრუმენტები ვაგონეტებში ჩაყარეთ... და მიაწექით!.. დასაწყისისათვის თითომ თითო ვაგონეტს, — დაუმატა პორუჩიკმა, როცა დაინახა, რომ თითო ვაგონეტთან ორ-ორნი მივედით.

ასე თუ ისე, ჩემი მეწყვილე კვლავ სტეპკო იყო. მე წავაგორე ნაპირზე ლამპაჩამოკიდებული ვაგონეტი შახტის სიბნელეში შთანთქმულ ლიანდაგზე, ჩემს ზურგს უკან ძველი, გაცვეთილი რკინების ხრიალით, პირაპირზე საცოდავი ოხვრით მოჟღრიალებდნენ სტეპკოს, ომარისა და ტოგოს ვაგონეტები. პორუჩიკი და შტაბს კაპიტანი კი ორ-ორ ვაგონეტს მიაგორებდნენ.

— რა კარგია, რომ აქ დაღმართიც

არის. — დაიყვირა ჩემს უკან მყოფმა სტეპკომ.

— უკან, სავსე ვაგონებით დაბრუნებისას კი აღმართი იქნება... — სწრაფად ვუპასუხე და თვითონვე გამაკვირვა ჩემმა აზროვნების ძალოსნობამ.

ინტელექტი ყოველთვის ინტელექტია... ოღონდ, ახლა, ანატომიური კაბინეტის ნაცვლად ამ თხუნელას სორო-ში ვიყავი და სკალპელისა და პინცეტის მაგივრად ნიჩაბი და წერაქვი მეჭირა... რა თქმა უნდა, სამუშაო ადამიანს არ ამცირებს... მაგრამ, გააჩნია სად, როგორ, რატომ, და ვისთვის!..

მეორე მოსახვევის შემდეგ უეცრივ აღმოვჩნდით უზარმაზარ, დაქანებულ მღვიმეში, რომლის მარცხენა მხარე ორმოციოდე გრადუსამდე იყო აწეული. სულ ზევით, ციცაბო კლდესთან, თავისი ლამპის შუქის შარავანდედში წითელულვაშა პოლონელი საქმიანობდა და კლდეზე და ჭერის თაღზე ფანტასტიკურ ჩრდილებს აყენებდა.

ლიანდაგი კლდის კედელს ებჯინებოდა და ჩვენ ვაგონეტები შევაჩერეთ.

— წადით, მოაგორეთ ვაგონეტები, დატვირთვა უნდა დავიწყოთ! — გაღიზიანებულად დაგვიყვირა შტაბსკაპიტანმა.

ჩვენ კიდევ მოვაგორეთ ოთხი ვაგონეტი, ისინი პორუჩიკსა და შტაბსკაპიტანს დავუტოვეთ და მათი კი ჩვენსკენ გამოვაგორეთ.

— აი, ეს, რომელიც ცოტა მოყვითალოა — რკინის მადანია. დიდი ლოდები, რომელთა აწევასაც ვერ შესძლებთ, სანგით დაამტვრიეთ.. ხრეში კი, რა თქმა უნდა, ნიჩბით... როცა გაათავებთ, იქ, ფერდობზე კიდევ ბლომადაა, — აგვიხსნა პორუჩიკმა.

— გასაგებია.

— ნორმა თითო ადამიანზე — ექვსი ვაგონეტია, — და იგი თავის სამუშაო ადგილს მიუბრუნდა.

მთლად ზევით კომპრესორი ახმაურდა, რომლის ტარსაც მთელი ძალით აწევებოდა წელში მოხრილი მტვრის კორიანტელით გარშემორტყმული. წითურულვაშებიანი პოლონელი.

მე მეგონა, რომ მთელი დღის განმავლობაში ექვსი ვაგონეტის დატვირთვა არც ისე ძნელი იქნებოდა. ვეწეოდით ვეება ლოდებს და ძლივძლიობით ვდებდით მათ ვაგონეტის ნაპირზე, მერე კი შიგ ვაგდებდით. შემდეგ ვყრიდით ხრეშს. ნიჩბების შეგდება ხრეშისათვის არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ნიჩბის პირი უსწორმასწორო ზედაპირს ედებოდა და ისეთი ძალ-ღონით ვაწვებოდით, რომ ტარი იღუნებოდა და კინაღამ ტყდებოდა კიდეც.

მე შევხედე როგორ მუშაობდნენ სხვები. ომარსა და ტოგოს ჩვენზე ნაკლებად არ უჭირდათ. პორუჩიკი და მისი მეწყვილე კი უკვე მეორე ვაგონეტს ტვირთავდნენ, როცა ჩვენი ჯერ პირველი ვაგონეტი ნახევრამდე იყო.

— მიდი, მიდი!.. — ვუთხარი სტეპკოს, რომელსაც ჯერ სული ვერ მოეთქვა.

მერე დავიწყეთ ფერდობებიდან დიდი ლოდების ჩამოგორება და მათი სანგით მტვრევა. პირველი ვაგონეტი მაინც ომარზე და ტოგოზე ადრე ავავსეთ. როდესაც მეორეს მივადექით, სტეპკომ მოუხშირა ფერდობზე ასვლას, დიდხანს ჯახირობდა ძალაყინით, მაგრამ მადანი მაინც ცოტა ცვიოდა.

ეშმაკობს ეს მამაძაღლი! — გავიფიქრე მე, როცა შევნიშნე, რომ ომარი და ტოგო გვეწეოდნენ.

— აბა, ჩამოდი მანდედან! — დავუყვირე სტეპკოს, — ისე იფუტკნები, როგორც ქათამი ნეხვში.

— მადანი ვინმემ ხომ უნდა გადმოყაროს!..

— აქლემმა კი ტვირთოს?!.. შენ რაო, ლატარიაში ხომ არ მერგე... იქნებ ფიქრობ, რომ ისევე გათრევ, როგორც მაშინ, თოვლში!

— ვაგონეტები მაღალია, და ღმერთს შენთვის სიმაღლე მოუცია, და...

— ჩამოეთრიე... და თვითონ დატვირთე შენი ვაგონეტი!

სტეპკოს ვერავითარმა ფიცმა, მთელი ძალ-ღონით ვიმუშავებო, ვერ გასჭრა. ჩვენ ცალ-ცალკე დავიწყეთ მუშაობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ომარსა და ტოგოს ჩამოვრჩით. როდესაც ჩემი ვაგონეტი სავსე იყო, სტეპკოს თავისი ჯერ ნახევრამდეც არ აევსო.

დასასვენებლად შევჩერდი. გაშმაგებით მუშაობდნენ პორუჩიკი და შტაბს-კაპიტანი. ომარი და ტოგო კი, როგორც მომეჩვენა, ილაჯგაწყვეტილები იყვნენ.

არაუშავს — გავიფიქრე მე, — ფეხბურთშიც ხდება ხოლმე, პირველ ტაიმში ფიქრობ, რომ ძალა აღარ გყოფნის, მაგრამ მეორე ტაიმნახევარს მაინც თამაშობ.

ულვაშა პოლონელი ზევით, გამობურღულ შპერში ბიკფორდისზონარიან დინამიტის კოპს სდებდა და მერე ხვრელს აზელილი თიხით მჭიდროდ სტენიდა.

უსათუოდ ამფეთქებელი ვიქნები, ეს ბევრად უფრო საინტერესოა... და არც თუ ისე მომქანცავი.

სტეპკომ დიდი ლოდი მკერდამდე მიიტანა, და ვერაფრით ვერ შესძლო ვაგონეტის ნაპირამდე აეწია, თუმცა დიდი გაჭირვებით ფეხის წვერებზეც კი დგებოდა.

— მიშველე! — ბოლოს აღმოხდა მას.

— იცოდე, ეს უკანასკნელია. აწევა თუ არ შეგიძლია, სანგით დაამტვრიე.— წავუკითხე მას ნოტაცია, მიხმარების შემდეგ.

პოლონელი ამფეთქებელი შლანგს ახვევდა და ინსტრუმენტებს აგროვებდა.

მე შევნიშნე, რომ შპურებიდან გამომავალი ბიკფორდის ზონრები სხვადასხვა სიგრძისა იყო. მერე პოლონელმა რაღაცა დაიყვირა, და მისი ხმის ინტონაციით მივხვდი, რომ იგი გვაფრთხილებდა აფეთქებას გაერიდეთო.

პორუჩიკმა და შტაბსკაპიტანმა ნიჩბები და წერაქვები ვაგონეტებს ამოაფარეს. გვირაბში შევიდნენ და ოციოდე მეტრის დაშორებით ჩაიკუნტნენ. ჩვენც მათ მივყევით.

— აი, თქვენ, — ბრძანა პორუჩიკმა, — სწორედ სახიფათო ლოდის ქვეშ დგახართ... აფეთქებისას ეგ ლოდი შეიძლება ჩამოინგრეს...

— ეჰ, არაფერია... — არ შევიმჩნიე დაბნევა, და რადგან მაინც საჭირო იყო იქაურობას გავცლოდი, უკანვე დავბრუნდი, რომ მენახა, რას აკეთებდა ამფეთქებელი.

წითურულვაშა პოლონელმა ბიკფორდის ზონრის წვერები ქვაზე დააწყო ისე, რომ ადვილად მისდგომოდა, მათ შორის მანძილი თვალებით რამდენჯერმე მოზომა, მერე ყველაზე გრძელ ზონარს ლამპით ცეცხლი მოუკიდა.

გამოფანტულმა ცეცხლის ნაპერწკლებმა ბენგალური ალივით აანთო ბიკფორდის ზონარი. შემდეგ ალი შიგ შევიდა და იმ ადგილას, სადაც ცეცხლი გადიოდა, ზონარი იბრიცებოდა და კვამლი ჩნდებოდა.

ამფეთქებელმა მერე მეორე ზონარს მოუკიდა, მერე მესამეს... და როცა მოუკიდა მეხუთეს, ყველაზე მოკლეს, პირველი ზონარი უკვე ზედ ხვრელის შესასვლელთან იწვოდა...

შემდეგ მან ლამპას ხელი სტაცა და ქვიდან ქვაზე ხტუნვით სწრაფად დაეშვა, ერთ ადგილას დაქანებულ, ხრეშიან ფერდობზე ზურგითაც კი ჩამოცურა.

გვირაბის შესასვლელში პოლონელი დამეჯახა, მერე უტიფრად წამკრა ხელი, და თან მომაძახა: „ბორზო!“, „ვიტ. ვიტ!“.

კედელთან ჩაკუნტულები დავცქეროდით ჩვენს წინ ანთებულ ლამპებს, როგორც დაჰყურებდნენ ცეცხლს რომელიღაც საშუალო საუკუნეების დროინდელი მისნობისას.

პირველი ორი აფეთქება თითქმის ერთდროულად გაისმა. ქარის ძლიერმა ნაკადმა ყველა ლამპა ჩააქრო და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ჩამოწოლილ, გულისდამამძიმებელ სიბნე-

ლესთან ერთად თითქოს თაღიც ზედ ჩამოგვაწვებოდა.

— ტრუა.. კატრ... — ითვლიდა ფრანგულად პოლონელი.

მე უკვე ცოტა ვიცოდი ფრანგული თვლა — მეხუთე აკლდა.

ამფეთქებელი რაღაცა გრძელ გინებას მოჰყვა პოლონურად... და ბოლოს მეხუთე აფეთქება აგრუხუნდა.

ჩვენ ლამპების ანთება დავიწყეთ. კვამლისა და მტვრის გამო ყველაფერი რაღაც შორეული და არა რეალური მოჩანდა, ასაფეთქებელი ნივთიერების უჩვეულო სუნი იდგა.

— წყეულები... ყოველთვის სწორედ ისეთ ადგილას ჩაგვჩრიან ხოლმე, სადაც ჰაერის გამჭოლი მოძრაობა არ არის!... — ილანძღებოდა შტაბსკაპიტანი.

საკმაოდ დიდხანს მოგვიხდა ცდა, ვიდრე მტვერი დაჯდა და კვამლი გაიფანტა, მერე კი შახტში პირველი შევიდა პოლონელი, რომელსაც მაღლა აწეულ ხელში ლამპა ეჭირა.

ფერდობის მთელ ზედა ნაწილზე აფეთქებული ქანები ეყარა, რამდენიმე უშველებელი ლოდი კი მთლად ქვეითამდე ჩამოგორებულიყო და ლიანდაგი გადაეხერგა.

ამფეთქებელმა გრძელი ჭოკით დაუწყო მტვრევა თაღიდან სახიფათოდ ჩამოშვერილ ქანების ნაწილებს, რომლებიც, თითქოს მას უნდა დასცემოდა თავზე.

— ამფეთქებლის მუშაობაში ეს ყველაზე სახიფათოა, — მითხრა პორუჩიკმა, როცა ვბრუნდებოდით ჩვენს ადგილებზე.

როდესაც ბრიგადირი ჩვენთან მოვიდა, მე სანგით მთელი ძალ-ღონით კუბრაგუნებდი უშველებელ ლოდს, სტეპკო კი თავის ვაგონეტს ტვირთავდა.

ბრიგადირმა ჯერ ომარსა და ტოგოს ყვირილი დაუწყო, მერე კი მოგვიახლოვდა და ჯგუფურად გაიშვირა ხელი ჩვენს მიერ დატვირთულ ვაგონეტებზე.

უსიტყვოდ ვიდექით და რაღაც უცნაურად შევცქეროდით მას. ვერ ვიტყვი, რომ ნამეტანს განვიცდიდით, ჩვენ ხომ მთელი მონდომებით ვცდილობდით, მაგრამ...

როდესაც ბრიგადირის ყვირილმა ყველაზე მაღალ ნოტას მიაღწია, იგი სწრაფად დადუმდა და სრულიად დამშვიდებული გაემართა გასასვლელისაკენ.

— მაშ რა ბრიგადირია, თუ არ იყვირა! — დაგვამშვიდა პორუჩიკმა.

ბრიგადირის მოსვლამ კი, მაინც იმოქმედა, რადგან ჩვენ გაორკეცებული ენერგიით შევუდექით მუშაობას.

ყველაზე დიდი ფიზიკური დაძაბულობის დროსაც კი თავში სულ სხვა აზრი მოდიოდა და მუშაობას მიშლიდა. ალბათ, საჭიროა თავს ძალა დავატანო, რომ არაფერზე არ ვიფიქრო... ვიმუშაო და არაფერზე არ ვიფიქრო, როგორც ამას აკეთებენ... არა, ხარი არა... ეს ცხოველია, მე კი მაინც ადამიანი ვარ.

წერაქვების გაგანი, ღორღზე ნიჩბების ფხაკუნი და ვაგონეტებიდან კედლებზე მიყრილი მადნების ხმაური, რომლებსაც მომუშავეთა მძიმე ხვნეშა უერთდებოდა, მიწისქვეშა მყრალ სიჩუმეში იშლებოდა. და მაინც, ეს სიჩუმე ნთქავდა ყველაფერს...

ვიწრო გვირაბიდან, რომელიც ჩვენ დანარჩენ სამყაროსთან გვაკავშირებდა, უცებ მოისმა ძალიან შორეული და გრძელი ყვირილი, რომელიც უფრო ხმამაღლა და სადღაც ახლოს გაიმეორეს:

— ლა სუპ!.. ლა სუპ!...

სტეპკომ ნიჩაბი დაუშვა და სქელი მტვრით დაფარულ სახეზე გუგებგაბრწყინებულმა, მხიარულად წამოიყვირა:

— ჩვენ ახლა სუპს დაგვირიგებენ.

რაღაც ერთი წამით მეც თვალწინ წარმომიდგა ცხელი სუპიანი ჯამი, ...

ერთმანეთს, რომ სადილის შესვენება დაიწყოო.

თავიანთ სამუშაო ადგილზევე ჩამომსხდარმა შახტიორებმა საგზლიანი ბოხჩების გახსნა დაიწყეს. მე და ბიჭები კი, სასიამოვნო, გრილი ქვის ფერდობზე გავიშოტეთ. არაუჭირს, როცა ფულს მივიღებთ, ჩვენც თან წამოვიღებთ ხოლმე საგზალს.

ეს პირველი სამუშაო დღე სპექტაკლით დავამთავრეთ, რომელშიც, ჩემდა სამწუხაროდ, ერთერთი მთავარი როლის თამაში მე მომიხდა.

სამუშაოდან დიდ ჯგუფად ვბრუნდებოდით, ფეხებს მძიმედ მივათრევდით, თან მიგვქონდა გაჩერებული საათის ქანქარასავით უმოძრაოდ დაკიდებული ლამპები.

გედეონი და გოგი ხმამაღლა ანგარიშობდნენ, დაახლოებით როდის უნდა მიეღოთ შინიდან წერილები.

— რა, განა უკვე ვინმემ მიიღო სახლიდან წერილი? — იკითხა ტოგომ.

— არა, მაგრამ, რაც მალე მისწერ, მით მალე მიიღებ პასუხს.

მართლაცდა ჩვენი მისამართები უკვე ცნობილი იყო, შეგვეძლო მიგვეწერა... და პასუხიც მიგვეღო... გვეპოვა ჩვენიანები...

— აი, აქ იყიდება კონვერტები და ქაღალდი... — გოგი გაჩერდა და პატარა ვიტრინა გვაჩვენა, რომელშიც სხვადასხვანაირი სანთებელა, პორტსიგარები და ჩიბუხები იყო გამოფენილი.

ჩვენ ოთხივემ ჯიბეებში ხურდა ფულის ძებნა დავიწყეთ და ყველა ჩვენი თანამემამულე რატომღაც შეჩერდა და გველოდა.

— ეს მეყოფა ოთხი კონვერტისა და ქაღალდისათვის? — ვკითხე გედეონს.

— ჰო, მეყოფა, — მიპასუხეს მის მაგივრ.

მაღაზიაში, სქელი და ორსულივით მუცელგაბერილი მეპატრონე პროფესიული ღიმილით შემხვდა და თან თვალებში ჩამაცქერდა.

— კონვერტი, — ვუთხარი მე.

მეპატრონეს ღიმილი მსწრაფლ გაუქრა, რაღაცა წაიბურტყუნა და ახლა უკვე გაცოფებისაგან დაჭყეტილი თვალებით შემომცქეროდა.

— კონვერტი! — უფრო ხმამაღლა გავუმეორე.

მეპატრონე აპილპილდა, რაღაცის ყვირილით გამოძვრა დახლიდან და თავისი მოკლე ხელებითა და ღიპით მაღაზიიდან მაგდებდა.

ალბათ, საკმაოდ სულელური შესახედაობა მქონდა, როცა მედუქნემ თავის მაღაზიიდან გამომაგდო, რადგან მის წინ მდგარი ჟანგისფერი მტვრით დაფარული ჩემი თანამემამულეთა ხროვა, თეთრი კბილების კრეჭით შეწყობილად ხარხარებდა.

უკვე შინ წასვლისას, გზაზე ამიხსნეს რაშიც იყო საქმე. კონვერტი თურმე ფრანგულად ნიშნავს ორი სიტყვისაგან შემდგარ გინებას, უკანასკნელი სიტყვა „ვერტი“ თურმე ფრანგულად მწვანე ყოფილა...

ასე გაათამაშებენ ხოლმე ყველა ახალჩამოსულს, და ეს კრეტინი მედუქნე ამას ვერაფრით ვერ შეჩვეულა, ჰგონია, რომ მას აშაყირებენ.

— კარგი, ჰო, ნუ გწყინს, — თქვა გედეონმა. — კონვერტიცა მაქვს და ქაღალდიც.

იმავე საღამოს ჩვენ ოთხივემ დავწერეთ ჩვენიანებთან გასაგზავნი წერილები და ღელვით ჩავყარეთ საფოსტო ყუთში.

სხვებისა არ ვიცი, მაგრამ ჩემი წერილი საოცრად უმწეო და ყალბი იყო — დედაჩემს ბოდიშს ვუხდიდი ჩემი საქციელის გამო... და ვუთვლიდი, რომ კარგადა ვარ-მეთქი მოწყობილი.

ისევ დამრჩა, პასუხს დავლოდებოდი.

ეს კვირა დღე, თითქოს არაფრით არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული განვლილისაგან. სადილის შემდეგ დავტოვე მორიგი ერბოკვერცხის მოსანე-

ლებლად საწოლზე გაშხლართული სტეპკო და „ოლიმპზე“ წავედი.

ოლიმპს ვეძახდით მორების დიდ შტაპელს, რომელიც ჩვენი სახლის პირდაპირ, გზის გადაღმა რომ აწყვია.

ყველა, ვინც კი საითმე მიდის, გვერდით უნდა ჩაუაროს ოლიმპს, რამეთუ ეს ერთადერთი გზაა, რომელიც ჯანდაგ წარაფებში და ჭაობებშია ჩაკარგული. შახტებს დანარჩენ სამყაროსთან აერთებს.

„ოლიმპი“ ჩვენთვის რაღაც კლუბის მაგვარია, თავისი ახალი ამბებით, ჭორებით, კამათითა და ხანდახან ცემატყეპითაც.

პირადად ჩემთვის ეს კიდევ ის ერთერთი ადგილია, საიდანაც შემიძლია დავინახო ველოსიპედით სოფელში მიმავალი ან მომავალი როზეტა.

მე მისი ნახვა თამბაქოს დუქანშიც შემიძლია, სადაც იგი სამუშაო დღეებში სადილობამდე სცვლის თავის მამამთილს, მაგრამ მე ამ დროს სამუშაოდა ვარ ხოლმე წასული.

როზეტა ერთი წლით ჩემზე უმცროსია, თვრამეტი წლისაა, პატარა, მოხდენილი, მშვენიერი სახის მოყვანილობისა, პატარა, კოხტა ცხვირიანი და წაბლისფერკულულებიანი, იგი ზღაპრული ფერიასავით გამოირჩევა მრგვალსახიან და ლოყაწითელ ბრეტონელი სოფლელი გოგოებიდან და ჯაფისა და მძიმე ცხოვრებისაგან წელშიგაწყვეტილ მეშახტეთა ცოლებისაგან.

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე როზეტას ქმარს ჯარში წაიყვანდნენ, ჩვენ ყოველ შეხვედრაზე ერთმანეთს ჯიუტად და დიდხანს თვალს არ ვაშორებდით... რის შემდეგ მე მოზღვავებული ტრფობის გრძნობები თავბრუს მახვევდა... და ფიქრებით მხოლოდ როზეტასთან ვიყავი...

ყოველთვის, როცა კი საშუალება მეძლევა გამოველაპარაკო, თითქოს განვდგები, სრულებით მავიწყდება ყველა გაზეპირებული ფრანგული სიტყვა, და გვერდით ჩავუვლი ხოლმე.

როზეტას, ალბათ ძალიან მიამიტი ვგონივარ. ამაზე ფიქრს სიგიჟემდე მივყავარ, მაგრამ ვერაფრით თავს ვერ მოვრევივარ, და ყოველთვის ერთი და იგივე მემართება.

დღეს უკვე ბედნიერი ვარ იმით, რომ შევძლებ მის დანახვას.

ოლიმპზე რომ გამოვედი, ჩვენიანი ჯერ არავინ იყო. მხოლოდ ორი ბულგარელი ქრისტო და ვასკო ისხდნენ ქარისაგან დაცულ მყუდრო ადგილზე და მზეზე თბებოდნენ. ქრისტოს ძველი, ყველა ღილზე შეკრული და საყელოაწეული პალტო ეცვა, ვასკოს კი — მხოლოდ საცოდავი მოკლე პიჯაკი, რომელიც აშკარად ფრანგული ყაიდისა არ გახლდათ.

ქრისტოს ტუბერკულოზის მწვავე პროცესი აქვს, მუშაობა ძალიან უჭირს და ვასკო მაღაროში თავგამოდებით მუშაობს, რომ ორი კაცის ნორმა შეასრულოს. სახლში კი იგი დედასავით უვლის ქრისტოს.

ესენიც ჩვენს მერე რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდნენ სტამბოლიდან, სადაც ბულგარეთიდან იყვნენ გამოქცეულნი. ბულგარეთში ვასკო ცეცხლფარეში ყოფილა, ქრისტო კი — ფოსტის მოხელე. როგორც თვითონ ქრისტო ამბობს, ტუბერკულოზით ავად გავხდი „მეფე ბორისის დასასვენებელ სახლში“ — ციხეშიო.

შორიდან მისალმების შემდეგ, შტაბელზე სულ მაღლა ავედი და ჩამოვჯექი.

რაღაც უცაბედად, სამშობლოში ჩემთვის მიჩვეული ნიშნების გარეშე, გამოზაფხულდა. ტირიფნარით გაბარდნილ ბორცვებს და ველდაბლობებს, რომლებიც სულ რამდენიმე დღის წინათ უფერული და უღიმღამო იყო, უკვე ახლადგაშლილი კვირტების ნაზი მწვანე ფერი დაჰკრავდა. ტაფობები გამდნარი თოვლის წყლით იყო ავსებული და აქა-იქ დარჩენილ პატარ-პატარა კუნძულებზე უკვე ბალახს ამოეყო თავი... იდგა წყალმცენარეების,

ნეშომპალისა და გუბის სუნი... და მაინც ეს გაზაფხულის სურნელება იყო.

ბაობებზე გაწოლილი ნისლი კი, ახლა უფრო ნათელი და რომანტიული იყო...

რა სასიამოვნოა, მზეზე რომ ზიხარ და ზევიდან უყურებ გამვლელ-გამომვლელს, რომლებიც ასე განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

აგერ, ველოსიპედის პედალების ნელი ტრიალით ჩაიარა კურდღლის ტყავების შემსყიდველმა, რომელიც ძალიან ჰგავს გასუქებულ იესო ქრისტეს. როგორც ყველა მისი პროფესიის კაცი, ესეც კაი გაიძვერაა და მაშინ რომ მივტყიპე, ალბათ იმიტომ შეგვრჩა ხახვივით. მის ყვირილზე თავმოყრილმა სოფლის მცხოვრებლებმა, რომელთაც სრულებით არ ესმოდათ რა არც ჩვენი ფრანგული და არც ისეთი უჩვეულო საქციელის მიზეზი, მაინც ჩვენი უფრო დაიჯერეს, ვიდრე დაზარალებულისა.

ეს კი მოხდა ჩვენი შახტებში მისვლის პირველსავე დღეებში, როცა ჩვენ, ექვსიოდე კაცი, სანოვაგის საყიდლად სოფელში მივდიოდით. ჩვენ უკვე სოფელს ვუახლოვდებოდით, როცა კურდღლის ტყავების შემსყიდველმა, რომელსაც სავსე ტომარა საჭეზე გადაეკიდა, ველოსიპედით გაგვასწრო. გვერდით ჩავლისას პედალზე წამოიწია... და უწესო ხმა გამოსცა. შეურაცხყოფისაგან შევჩერდით კიდეც, ტყავების შემსყიდველმა კი დამშვიდებით განაგრძო თავისი გზა.

— ამ მამაძაღლმა, როგორ გაგვიბედა?! — აღშფოთდა სეევერიანე.

— მასხარად აგვიგდო!.. — დაუმატა გოგიმ.

მე მაგას არ შევარჩენ! — წამოიკივლა გედეონმა და გამოუდგა უკვე შორს წასულ შეურაცხმყოფელს.

ჩვენ ყველა, ექვსივე გავეკიდეთ და ციცაბო ალმართის გამო სოფლის შესასვლელთანღა წამოვეწიეთ.

— შენ ეი! — დაჰკიოდა გედეონი ველოსიპედიდან გადმოგდებულ ფერწასულ შემსყიდველს. — ვინ გგონივართ ჩვენ?

გაოგნებული შემსყიდველი წინააღმდეგობას გვიწევდა და გემოზეც მოხვდა. გარტყმით მარტო გედეონმა გაარტყა, ჩვენ მას მხოლოდ ვაჭანჭყარებდით და კურდღლის ტყავები შარაზე მოვუფანტეთ.

ჩვენი სამართლიანი რისხვისაგან ძალზე შეშინებული შემსყიდველი მისსავე ყვირილზე მოცვენილმა სოფლის მცხოვრებლებმა იხსნეს.

იძულებულნი ვიყავით აგვეხსნა მათთვის, რა მძიმე შეურაცხყოფა მოგვაყენა იმ არამზადამ... მაგრამ იმ დროს ფრანგული ენა სულ არ ვიცოდით და ირგვლივ მყოფთ ჩვენი არაფერი ესმოდათ, თუმცა გედეონი, ჯერ ხელებით და მერე ხმის იმპროვიზაციით უკვე მერამდენჯერ ცდილობდა გაეგებინებინა ირგვლივ მყოფთათვის ჩვენი შეურაცხყოფის მთელი სიღრმე.

გლეხების მოსვლით გათამამებული შემსყიდველი ღრიალებდა, ესენი ადგილობრივ ჟანდარმერიაში წაიყვანეთო, მაგრამ გლეხებისაგან ვერავითარი მხარდაჭერა ვერ მიიღო, ჩვენ კი ჭკუა ვიხმარეთ, ავითესეთ და სანოვაგის ყიდვა კი შემდეგისთვის გადავდეთ.

ყველაფერი ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, აქაური ჩვეულების უცოდინარობა იყო ის, რაც შემსყიდველმა ჩაიდინა, აქაურებისათვის ჩვეულებრივი რამ იყო და ჩვენ სრულებით არ გვეხებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ მერე გავიგეთ.

სწრაფი ნაბიჯებით გაიარა ჩემმა ორმა თანამემამულემ, რომლებსაც იღლიაში ამოეჩარათ ნაჭერში ამოკერილი თითო-თითო ყუთი.

ისინი უხმოდ მოდიოდნენ და ეტყობა, ცდილობდნენ მაინცა და მაინც არავის შეენიშნა, რადგან სახლიდან გამოგზავნილი ამანათის მიღებისას წესად გვქონდა, მეზობლების მიპატიჟება სადეგუსტაციოდ.

პირველ ხანებში მეც დავდიოდი იმ ბედნიერებთან, რომლებიც შინიდან

ამანათებს იღებდნენ, მაგრამ მერე მიპატიჟებაზე უარს ვამბობდი, რადგან მივხვდი, რომ მე სამაგიერო პატივს ვერ ვცემდი. რა ამანათის იმედი უნდა მქონოდა, როცა ჩემს სამ წერილზე პასუხიც არ მიმეღო!

ქართული მიწის ნაბოძებით გაბედნიერებულები ახლა იყვნენ სიმონი — პირმრგვალი ეშმაკი ბიჭი, სოფლის მაღაზიის დირექტორად ყოფნისას ნავაჭრი ფულით გამოპარული, და გუგული — სუსტი, სოფლელი ბიჭი, შისი ყოფილი მოლარე.

სახე მზეს მივუშვირე და შევცქეროდი მაღალ, მტრედისფერ ცას, რომელზეც მილივლივებდა მარმაში ღრუბელი, და ვფიქრობდი...

— რა ხვლიკივით გამოძვერი მზეზე გასათბობად, — მომმართა პორუჩიკმა და მორებზე ხვნეშით დაუწყო გაშლა ყვითელლაქებიან ლეიბს.

— შენ რა, ლოგინში შარდავ ხოლმე, პატივცემულო ბორის პეტროვიჩ? — იმავე ტონში ვუპასუხე ზემოდან.

— არა, ეს ჩემი არ არის... შტაბსკაპიტანისაა. მის მერე, რაც მე სმა აღარ შემიძლია, იგი დასალევად მარტო დადის ხოლმე... და მთლად გალოთდა... — პორუჩიკი მორზე რაღაც გვერდულად ჩამოჯდა, ამოიხვნეშა და თვალები მილულა.

დასწყევლოს ღმერთი, ყველაფერი შენივე სისულელით დაგემართა, — გავიფიქრე მე, თუმცა მეცოდებოდა სიმპათიური პორუჩიკი.

პორუჩიკი თავისდაუნებურად დაუმეგობრდა გოგის, რომელსაც მასავით უყვარდა სმა. გასულ შაბათს ვიღაცას გაუამხანაგდნენ, იყიდეს ერთი ვედრო ღვინო და მთვრალებმა ტრაბახი დაიწყეს, ღონიერები ვართო. გოგის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ პორუჩიკმა პირველმა შესთავაზა „მოდი, ერთმანეთს მკერდში გავარტყათო“. ისინი საკმაოდ დიდხანს, გალანტურად სთავაზობდნენ ერთმანეთს დაწყებას, ბოლოს თხოვნა გოგიმ შეიწყნარა და მკერდში ისე სდრუზა, რომ პორუჩიკმა სულის მოთქმა დიდხანს ვერ შესძლო. მერე კი მის საპასუხოდ დარტყმას არავითარი ძალა აღარ ჰქონდა.

სწორედ ინგლისელებისა და ფრანგებისნაირად გამოუვიდათ — „ბატონო ინგლისელებო, ისროლეთ პირველებმა“. თურმე ისტორია მეორდება ხოლმე ცხოვრების ყველა წვრილმანშიც კი.

მეორე დღეს პორუჩიკმა და გოგიმ ნამთვრალევზე დალიეს მოუკალავ ვედროში დარჩენილი ღვინო, რომელსაც რაღაცა მუქი ფერი დაჰკრავდა, უსიამოვნო გემო ჰქონდა და, რაღა თქმა უნდა, მოიწამლნენ. გოგი ორი დღე იყო ავად. აი, პორუჩიკი კი უკვე ერთი კვირაა ავად არის და თუმცა ამბობს ეს ღვინის ბრალია, რომლის დიდხანს შენახვა მოუკალავ ვედროში არ შეიძლებაო, ჩვენ ყველა მაინც ვფიქრობთ, რომ მიზეზი გოგის გარტყმაა, რადგან პორუჩიკს სულ ერთთავად ხელი მკერდზე აქვს მიდებული.

„ოლიმპზე“ თანდათან შეგროვდნენ მისი მუდმივი სტუმრები. მოვიდნენ სევერიანი, სტეფანე და საშა, რომლებიც გზადაგზა რაღაცაზე დაობდნენ. ისინი ჩემთან ამოვიდნენ ზევით და ჩამოსხდნენ. მათი კამათი ერთერთ წიგნს, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა — არციბაშევის „სანინს“ ეხებოდა.

„სანინი“ მე პირველად თორმეტი წლისამ წავიკითხე, ჩემს ძმას მოვპარე და, რასაკვირველია, სხვა არაფერი დამახსომდა გარდა იმ, მრავალი კითხვით გაცვეთილი სტრიქონებისა, სადაც პორნოგრაფია იყო. მახსოვს, რა აღტაცებაში მომიყვანა მაშინდელმა შეძენილმა ცოდნამ.

„სანინი“ აქ ხელახლა გადავიკითხე. ლაპარაკი კაფანდარა, ხუთიოდე წლით ჩემზე უფროსმა სტეფანემ პირველმა დაიწყო. მას, როგორც მწერალს, რომელზეც სამშობლოში დიდ იმედებს ამყარებდნენ, ჰქონდა ამის უფლება, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იგი ამ-

ბობდა დაახლოებით იმასვე, რასაც მე ვფიქრობდი. სევერიანი მისთვის ჩვეული ერუდიციით, რომელსაც გარემოსთვის ცოტა შეუფერებელი აკადემიზმი დაჰკრავდა, არციბაშევს ბულვარულ მწერლებს ადარებდა, საშა კი ძალიან ბევრსა და ზერელედ ლაქლაქებდა.

როცა გედეონი, გოგი და სტეპკოც მოვიდნენ, აქ საშამ უკვე აშკარად ხალხისთვის მაღალფარდოვნად და თან პაუზებით დაიწყო ლაპარაკი:

— ჩვენს სამყაროში, სადაც ადამიანები ერთმანეთისთვის მგლები არიან, ძირითადი კრიტერიუმი ძალაა! სანინი— ეს განსახიერებაა..

— პორნოგრაფიისა. — შეაწყვეტინა საშას სტეფანემ.

— სანინი განსახიერებაა ადამიანი მხეცის პირველქმნილი ძალისა, დედამიწის ჭეშმარიტი მფლობელისა! მხოლოდ დასავლეთის მოაზროვნენი, როგორიც ნიცშეა...

— ნიცშემ თვითონ სცნო თავის თავზე დოსტოევსკის გავლენა! — ხმამაღლა ჩავურთე მე და უკვე ჩუმად და საკმაოდ უადგილოდ, თითქოს თავის გასამართლებლად, დავუმატე —მე ეს წამიკითხავს...

— წაგიკითხავს?! — ჩაიცინა საშამ, რომლისთვისაც ალბათ ეს ახალი ამბავი იყო და პასუხის მოსაფიქრებლად დრო სჭირდებოდა. — წაგიკითხავს, მაგრამ ვერ გაგიგია. მე ადამიანის ძალაზე ვლაპარაკობ...

ყველამ ჩვენსკენ მომავალ აჩიკოსა და კაკუნას გახედა. კაკუნას პიჯაკი იღლიაში ამოეჩარა და მაისურის ამარა იყო, რომ თავისი ფენომენალური მუსკულატურით თავი მოეწონებინა.

სხეულის ამ ჩვენებას მე კაკუნას როგორმე ვაპატიებდი იმიტომ, რომ მართლაც ჰქონდა თავმოსაწონი და მეორეც ის, რომ საოცრად კეთილი იყო. სამწუხაროდ ჰიპერტროფირებული მხოლოდ კუნთები ჰქონდა და ბავშვივით მიამიტი იყო. გედეონს თურმე ერთხელ უკვე ჰყავდა ნაცემი, როგორც თვითონ წამოსცდა, „კოლექციის გასამდიდრებლადო“.

— აი, ასეთი ძალა? — ირონიულად მიუთითა კაკუნაზე სევერიანემ.

— ძალაში არ უნდა იგულისხმო მხოლოდ ფიზიკური ან ინტელექტუალური, — საშა შეჩერდა, რომ უფრო ლამაზი სიტყვა ეპოვა. — არსებობს ძალა ულმობელი ზიზღისა, არასრულფასოვანი რასების მიმართ, რომლებსაც ჩვენ უფლებას ვაძლევთ რომ თავზე დაგვასხდნენ უხერხემლო ლიბერალიზმისა და იდიოტური სოციალური იდეების გამო.

— ეგ ყველაფერი სად ამოქექე? — გაოცებით შეეკითხა სევერიანე.

— ხედავ? — სტეფანემ არ შეხედა საშას და სევერიანეს მიმართა. — რა საშიშია ყოველგვარი აბდა-უბდის წაკითხვა.

— საშიში მხოლოდ ძალიან სულელი წამკითხველისათვის არის — ვთქვი მე.

— შენ ამას ჩემზე ამბობ? — მკითხა საშამ და მამლაყინწასავით შემომხედა.

— ოღონდაც, რომ... შენზე და შენისთანა საკუთარ თავზე შეყვარებულ ყბედებზე.

— ერთი უყურე, როგორ მელაპარაკება ეს ღლაპი!

მე უკვე კაი ხანია ვეღარ ვიტანდი საშას, სიტყვა „ღლაპი“ კი უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც ამივსო მოთმინების ფიალა.

— ვინ არის შენი ღლაპი?

ვტაცე ხელი პიჯაკის საყელოში, საშას, ძირს ჩამოვათრიე და მაგარი სილით მიწაზე დავანარცხე. აჩიკომ და კაკუნამ მოირბინეს, ხელი სტაცეს წამომდგარ საშას და გამარიდეს.

მე გავბრუნდი და ჩემს ადგილზე დავჯექი.

ცოტა ხნის შემდეგ, საშა, თავდაღუნული სწრაფად წავიდა შინ, აჩიკო და კაკუნა კი ჩვენთან ამოვიდნენ.

— რადა სცემე? — შემეკითხა აჩიკო და პასუხი რომ არ მიიღო, გაჩუმდა.

სდუმდნენ დანარჩენებიც, რომლებზეც ჩემმა პოლემიკურმა ნიჭმა, ალბათ მოახდინა გარკვეული შთაბეჭდილება.

სიმონას და გუგულის ოთახიდან, რომელსაც ფანჯრებიც ქუჩისკენ ჰქონდა, შემოგვესმა ზუზუნი, რომელიც მერე ღმუილში გადაიზარდა.

— სიმონა მღერის, — თქვა კაკუნამ, — გუგული კი ბანს აძლევს.

— ჰო, — დაუდასტურა სტეპკომ, — მე დავინახე, წელან ფოსტიდან ამანათი მოჰქონდათ... როგორ არავინ მიიპატიჟეს!

ეს საქციელი სტეპკოს თვალში ნამდვილი თავხედობა იყო. სტეპკო სხვისი ამანათების შეფასების საქმეში უპირველესი ექსპერტი გახლდათ.

— „ათი წელი შემისრულდა, არ მიძინია ლოგინში!“ — მოისმოდა ღია ფანჯრიდან.

სიმონა მღეროდა თავისი სეხნიის, რომანტიულ ყაჩაღ სიმონა დოლიძის სიმღერას. ხმა მას ძლიერი ჰქონდა, სმენის აბსოლუტურ უქონლობას კი არაჩვეულებრივი გრძნობით ავსებდა, და ამ შერწყმით გულშემზარავი ღრიალი გამოდიოდა.

მომდევნო კუპლეტში სიმონას ხმა მწუხარებით და აღშფოთებით უკანკალებდა იმის გამო, რომ არამზადა ბოქაულმა მახე დაუგო მის სეხნიას.

— უ, ის გაფუჭებული!.. — გოგის, რა თქმა უნდა, აშფოთებდა არა იმ ბოქაულის საქციელი, არამედ სიმონასი, რომელმაც არ მიიპატიჟა ამანათის სადეგუსტაციოდ.

— წამო, წავიდეთ იმათთან. — შესთავაზა სტეპკომ.

— უხერხულია, — დავიწყე მე. — იფიქრებენ, რომ...

— რაც უნდათ, ის იფიქრონ! — შემაწყვეტინა გედეონმა.

სახლისკენ პირველი სტეპკო გაემართა. ყელმოღერებული ამაყად მიდიოდა. მას მიჰყვნენ გედეონი, გოგი და აჩიკო.

„ოლიმპიდან“ ჩამოვიდნენ დანარჩენებიც, სევერიანეს, სტეფანესა და ჩემს გარდა, მაგრამ ისინი რაღაც გაუბედავად მიდიოდნენ. ბოლოს შარაზე შეჩერდნენ. არ ვიცი, მოერიდათ, თუ გედეონის შეეშინდათ.

მერე საიდანღაც გაჩენილ დათვის მსგავს, ჯაგრისივით ბანჯგვლიან ევტიხის ჩაუკაკლეს რაც სიმონას ოთახში ხდებოდა და ევტიხი აჩქარებით იქით გაემართა.

ევტიხი, ჩვენი მცირერიცხოვანი კოლონიის საკმაოდ შესამჩნევი პიროვნებაა. იგი ერთადერთია, რომელიც ახერხებს ფულის გადანახვას. ამიტომ მხოლოდ პურით, ხახვით და მარგარინით იკვებება.

უსათუოდ არაჩვეულებრივი ნებისყოფაა საჭირო, რომ ადამიანი, რომელიც მუშაობას მთელ ძალ-ღონეს ალევს, დაკმაყოფილდეს მარტო მარგარინწასმული პურით... მით უფრო, თუ ცხოვრობ რძის ნაწარმით განთქმულ მხარეში.

სიმღერა შეწყდა და გაისმა მისალმების აღფრთოვანებული შეძახილები, ისინი კი, ვინც შარა გზაზე დარჩნენ, დაბრუნდნენ და „ოლიმპის“ კალთებზე ჩამოსხდნენ.

სევერიანემ, სტეფანემ და მე დავიწყეთ საკმაოდ რთული საკითხის გარკვევა თუ რა გველოდა ჩვენ ყველას.

— თითოეული ირწმუნებოდა, რომ ჩემი ერთადერთი მიზანი უმაღლესი განათლების მიღებაა, მაგრამ საამისო წინაპირობას თითქმის ყველა მოკლებულია, — სიმწრით თქვა სტეფანემ.

— მე მაინც მჯერა, რომ ეს მათი გულწრფელი ოცნებაა, — თქვა სევერიანემ.

— გულწრფელობა აქ არ უშველით... ამას თითოეული მიაღწევდა იქ, თავის სამშობლოში. მაშ, რა საჭირო იყო გამოქცევა!.. — ვთქვი მე.

სტეფანემ საყვედურით შემომხედა.

— შენ მაინც ბოროტი ყოფილხარ... — თქვა მან.

— ჰო, ბოროტი... მაგრამ გაბორო-

ტებული საკუთარ თავზე, მხოლოდ საკუთარ თავზე, და სხვა არავიზე!..

ორივე საკმაოდ პატიოსანი იყო, ჩვენი გამოქცევის მიზანშეწონილობის ფარისევლური მტკიცება რომ არ დაეწყოთ ამიტომ ლაპარაკი ჩემსა და საშას ინციდენტზე გადავიდა.

ზორბად კი დაანარცხე შარაზე! — გაიცინა სევერიანემ.

— ეს ვინმეს მაინც უნდა გაეკეთებინა, — სერიოზულად თქვა სტეფანემ.

— გინდა თუ არა, მაინც გაიძულებენ პოლიტიკაში გაერიო, — ხუმრობაში ჩავუტარე მე.

— მაშ როგორ... შენ ხომ პოლიტიკური ემიგრანტი ხარ, — მითხრა სევერიანემ.

— და არგუმენტებიც გაქვს, შეიძლება პირდაპირ ითქვას, დამამარცხებელი... — სიცილით დაუმატა სტეფანემ.

ჩვენ გაგვეცინა, მაგრამ ამ სიცილში სევდის კვალი გამოსჭვიოდა.

სიმონასა და გუგულის ოთახიდან კვლავ გაისმა სიმღერა. ჯერ ძალიან არეული იმიტომ, რომ სიმონა ღმუოდა, მაგრამ მერე, ეტყობა, სიმონა გააჩერეს და ახლა სტეპკოს სასიამოვნო ტენორი ტონს აძლევდა გოგისა და აჩიკოს ბარიტონებსა და ევტიხის დაბალ ბანს.

სახეგაბრწყინებულნი უსმენდნენ ერთმანეთზე მომდევნო მშობლიურ სიმღერებს სევერიანე და სტეფანე.

კარგი ადამიანები იყვნენ ესენი, და მე ვმეგობრობდი მათთან... თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ჩვენ შორის ნამდვილი გულწრფელობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ დამყარდებოდა.

თუ კი გაუთავებელი საუბრებით, რომელსაც ჩვენ მთელ თავისუფალ დროს ვანდომებდით, თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს ვუხსნიდით გულს... სული მაინც ყოველ ჩვენგანს საკუთარი მე-ს სიღრმეში გვქონდა ჩამალული.

ჩვენ ვმეგობრობდით ალბათ იმიტომ, რომ სევდაც ერთად გადაგვეტანა. ან კიდევ იმიტომ, რომ ერთად აგვეტანა რაღაც ძვირფასის დაკარგვით გულსჩაგუბებული ნაღველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარბაცით მოეთრა გალეშილი შტაბს-კაპიტანი. პორუჩიკმა ლეიბი ხვნეშით წამოიდო მხარზე და შტაბსკაპიტანი ხელმკლავით წაიყვანა დასაძინებლად.

თვალი არ მომიშორებია, ვიდრე არ მოეფარნენ შენობის კუთხეს.

ნამდვილად კარიკატურასავით სასაცილონი იყვნენ... მაგრამ არ მეცინებოდა, რადგან ყველაფერი ეს იქნებ თითოეულ ჩვენგანსაც ელოდა... გარდა ამისა, დარდმა, ვინ იცის, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი!

მიიყვანოს ადამიანი... ადამიანი... დასწყევლის ღმერთი, რატომ ჰქვია ყველას ადამიანი?! ნეტავი რატომ დამებადა თავში ეს აზრი? იმიტომ ხომ არა, რომ დავინახე როგორ გამოვიდა ელექტროსადგურის ცეცხლფარეში თავის ოთახიდან, რომელიც პირდაპირ ქუჩის პირასაა და როგორ ჩამოჯდა კიბის საფეხურზე.

ქონში თვალჩაფლული და პირნაყვავილარი, დაბალი, მრგვალი და აბსოლუტურად გაურკვეველი ასაკისა, იგი ჰგავდა ბუდას.

ესეც სხვებსავით ჩამოსული ყოფილა ხელშეკრულებით, რომლის ვადის გასვლის შემდეგ აქ დარჩენილა. ამბობდნენ, აქ თავისი „მეგობრის“ გამო დარჩაო.

ბოლოს „მეგობარიც“ მოგოგმანდა ცეცხლფარეშის ნაჩუქარი, ახალი ცისფერი ველოსიპედით და „ბუდას“ გვერდით მიუჯდა.

ეს იყო სუფთად ჩაცმული, ლამაზი, თხუთმეტიოდე წლის ბიჭუნა, რომელიც ცდილობდა მორიდებული ყოფილიყო, მაგრამ იმავე დროს მის თითოეულ მოძრაობაში რაღაც მანკიერი თავაშვებულობა იგრძნობოდა.

— მე ამ მოხუცს ციხეში ვუკრავდი თავს, ბიჭს კი გამასწორებელ კოლონიაში!.. — თქვა სტეფანემ, ჩვენსავით თვალს რომ ადევნებდა ამ საოცრად შეუფერებელ „მეგობრებს“.

სიბრალულთან ერთად ზიზღის უსიამოვნო გრძნობამაც შემიპყრო, როგორც ჩნდება ხოლმე დაჩირქებული ჭრილობის დანახვისას, და თანაც აღშფოთების გრძნობამ მათ მიმართ, ვისაც ამაში ბრალი მიუძღვის. ჩვენი ლაპარაკი კი დაემსგავსა ექიმების ისეთ კონსილიუმს, როდესაც ვერაფრით ვერ შველიან ავადმყოფს.

— მაგ ბიჭს, მგონი, მამა არა ჰყავს, დედა კი მუშაობს.

— ჰო, დილიდან ღამე გვიანობამდე მუშაობს... მმართველთან მოახლედ.

— ასეთ პირობებში გაუჭირდება შვილისათვის ყურადღების მიქცევა — ვთქვი მე.

— რის ყურადღება!.. გაფუჭებული ბიჭია, — აფეთქდა სეევერიანე.

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფუჭდებიან ისეთები, რომელთაც საამისო პირობები ხელს უწყობს, — ვთქვი მე.

— რასაკვირველია!.. — დამემოწმა სტეფანე.

— ფუჭდებიან ასეთებიც და ისეთებიც... და ვერც იტყვი, უფრო მეტად რომელნი. თქვენ ორივე იქაური აღზრდის გავლენით ხართ, გინდათ ყველაფერი ახსნათ სოციალური პირობებით, როდესაც არსებობს... — სეევერიანემ ღრმად შეისუნთქა ჰაერი და თან გრძელი დიატრიბისთვის მოემზადა.

— ოღონდ ფროიდით ნუ დაიწყებთ! — გააფრთხილა იგი სტეფანემ.

— ან ლომბროზოთი! — დავუმატე მე.

— თქვე საბრალო დოგმატიკოსებო!... — თქვა სეევერიანემ და გაბრაზებით გადააფურთხა კიდეც. — მეცოდებით!

მე და სტეფანემ გადავიხარხარეთ.

ამით დამთავრდა ჩვენი „კონსილიუმი“, უკვე გვიახლოვდებოდნენ მხიარულად აღგზნებული ბიჭები.

— რაც იყო, სულ დავლიეთ, წვეთიც არ დაგვიტოვებია! — თქვა გოგიმ.

— საჭმელიც სულ გავათავეთ. — თქვა სტეპკომ.

— ყოჩაღ, მეტად პატრიოტული საქციელი ჩაგიდენიათ, ირონიით ვუთხარი; მეც არ ვიცი რატომ.

— გშურს? — ისეთივე ირონიით შემეკითხა გედეონი.

— შენც ნახე რა, ვისი უნდა მშურდეს.

გედეონმა არაფერი მიპასუხა, მაგრამ ათამაშებული სახის კუნთებზე ეტყობოდა, რომ თავის შეკავებას ცდილობდა.

ჩემი და გედეონის ურთიერთობა საკმაოდ რთულია. თითოეულ ჩვენგანს ესმის, რომ ჩვენს შორის ყოველი, მთლად უმნიშვნელო კონფლიქტიც კი, შეიძლება ცუდად დამთავრდეს და ამიტომ ორივე ვცდილობთ ურთიერთ უსიამოვნება და წყენა არ გავამწვაოთ.

ამ ორი თვის წინათ ჩვენ კინაღამ გადავლახეთ ურთიერთობის ის საზღვარი, რომლის დაცვასაც საფრანგეთში შეხვედრის პირველი დღიდანვე ვცდილობდით. სპორტული აზარტით გატაცებულებმა, იმის შემდეგ რაც ჩვენი მოწინააღმდეგე დავამარცხეთ, მაყურებელთაგან წაქეზებულები მე და გედეონი ერთმანეთს შევებით. ვჭიდაობდით გააფთრებით... და სიძულვილით, რომელსაც გვიღვივებდა წარსულის ყველა დეტალის მახსოვრობა.

მთელ ამ ამბავში კი იზარალა ლაზღანდარა და ენამახვილმა ნიკამ, რომელმაც მსაჯობა იკისრა, მან გედეონი, რომელიც დამარცხებას არ კისრულობდა, დაარწმუნა ორივე ბეჭით მიწაზე დაეცით, ასეთმა „არალოიალური“ მსაჯობით აღშფოთებულმა გედეონმა ნიკას გაარტყა.

რამდენიმე დღის მერე ნიკა თვითონვე ოხუნჯობდა იმაზე, რაც დაემართა და თანაც კბილს ჰკრავდა თავის დამჩაგვრელს.

— აბა, მაშ რა უნდა მექნა, რომ არ მეთქვა გედეონმა წააგო-მეთქი, მაშინ ოთარი გამარტყამდა... ამიტომ უფრო ნაკლები ხიფათი ვარჩიე...

აქ, ჩვენებმა ყველამ იცის ჩემსა და

გედეონს შორის მომხდარი ამბავი, და ყოველთვის, როცა ჩვენ რაღაცაზე ვჩხუბობთ, ცდილობენ შეგვარიგონ. მხოლოდ საშამ სცადა რამდენჯერმე ჩვენი საჩხუბარი პროვოკაცია მოეწყო და ალბათ ამის გამოც მძულს მე ის.

იქნებ გედეონმაც ამ დროს ეს გაიფიქრა, რადგან ერთბაშად შეიცვალა და უკვე ტკბილად მითხრა:

— მაინც, რა კარგია, რომ საშა მიბეთქე!

— კი არ მივბეთქე, ერთი სილა გავაწანი... — თავდაჭერილად ვუპასუხე მე.

ამ მომენტში გედეონი მიყვარდა კიდეც, მისი უშუალობისათვის... და კიდევ იმისათვის, რომ კარგად ესმოდა რამდენად თავშეკავებულები უნდა ვყოფილიყავით ერთმანეთის მიმართ.

შეზარხოშებული ბიჭები სოფელში სახეტიალოდ წავიდნენ. მე, სევერიანე და სტეფანე კი „ოლიმპზე" დავრჩით, რომ მთლიანად გამოგვეთქვა ჩვენი „ჭკვიანური აზრები"... რომელთა უმრავლესობა სხვებისგან, ნამდვილად ჭკვიანი ხალხისგან გვქონდა ნასესხები.

მერე, საღამომდე მოხდა ერთი პატარა ამბავი, რომელმაც საბოლოოდ გამაწყვეტინა ომართან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფები.

ომარს სადღაც ეშოვა ძველისძველი, გადასაგდები ველოსიპედი. მთელი ერთი კვირა საღამოობით ეჩხირკედელავებოდა და აგერ ახლა გამოიყვანა შარაზე ისე, როგორც მდიდარ მემამულეებს მეზობლების დასანახავად, შურის აღსაძვრელად გამოჰყავთ ხოლმე ჯიშიანი ულაყი ცხენი.

ეს საზეიმო წუთები ომარს ცოტა გაუმწარდა იმით, რომ ჯერ თითქმის არ იცოდა ველოსიპედზე ჯდომა. მაგრამ ერთი საათნახევრის შემდეგ თავი მოგვაბეზრა ველოსიპედის დაბალი უნაგირის გამო ნიკაპამდე მიტანილი მუხლებით მისმა აქეთ-იქით აჯაბაჯა პროწიალმა.

ომარზე საკმარისად რომ იოხუნჯეს „ოლიმპიელებმა" გასართობად სხვა გასართობი თემა იპოვეს, მე კი დაბლა ჩამოვედი და მივეხმარე ომარს.

ამის შემდეგ ომარმა შედარებით ადამიანურად დაიწყო ველოსიპედით სიარული და ჩემს გვერდით ჩავლისას მადლიერების გრძნობითაც კი შემომხედა.

თუ მიხმარებაა, ბარემ მიხმარება იყოს-მეთქი, ვიფიქრე და ერთხელ ომარი გავაჩერე.

— შენი ერთადერთი ხელის მუხრუჭი სრულებით არ ვარგა, და ყველაზე სახიფათო მომენტში შეიძლება გიმტყუნოს.

— როგორც კი პირველ ჯამაგირს მივიღებ, ახალს ვიყიდი, — მიპასუხა სიხარულით აგზნებულმა ომარმა.

— ეგ უსათუოდ... ჯერჯერობით კი თავისუფალი სვლიდან გადადი პირდაპირ გადაცემაზე: აი, ხედავ, ბორბლის მეორე მხარეს ამ უმოძრაო კბილანას...

— ჰო.

— ბორბალი უნდა შეაბრუნო და ჯაჭვი ზედ გადაატარო. მაშინ პედალზე ფეხის დაჭერით დაამუხრუჭებ.

მე მთელი მონდომებით მივეხმარე ბორბლის შეტრიალებაში და უმოძრაო კბილანაზე ჯაჭვის გადატარებაში.

მოკლე ფეხების გამო ველოსიპედის უნაგირზე ცალი დუნდულით ჩამომჯდარმა წელში სასაცილოდ მოხრილმა ომარმა პედლები დაატრიალა, აღმართზე ავიდა, მერე მოახერხა ველოსიპედი შემოეტრიალებინა და სწრაფად ქვევით დაქანდა.

ზედ „ოლიმპის" წინ ომარმა დაამუხრუჭა. ჩემი ფიქრით, მას ეს ნამეტანი მკვეთრად მოუვიდა. პედალმა, რომელსაც გრძელი ფეხით ეყრდნობოდა, იგი რაღაც საოცრად სასაცილოდ ზევით აიტაცა, საჭე კი, რომელსაც ის მაგრა ებღაუჭებოდა, გზის პერპენდიკულარულად შეტრიალდა და ველოსიპედთან ერთად ჰაერში სალტოს გაკეთების შემდეგ ომარი შარაზე გაიშხლართა.

ჩვენ სიცილით ვიგუდებოდით და მერეღა მივხვდით, რომ შეიძლებოდა მას რამე სტკენოდა.

როცა მივირბინეთ, ომარი დაბლა ეგდო თავის უხიაგი ველოსიპედის ჩარჩოში ფეხგაჩრილი, რომელიც დიდი გადაცემის კბილებით ძალიან ჰქონდა დაშავებული.

ვიდრე ცხვირსახოცებით გაკეთებულ ჩალიჩს ვადებდი, რომ შემეჩერებინა კანჭიდან მოთქრიალე სისხლი, ომარი სულ გაიძახოდა, განგებ მომიწყე ეს ყველაფერიო.

ვერც ჩემმა და ვერც სხვების შეგონებამ, რომ ეს მხოლოდ უბედური შემთხვევის ბრალი იყო, ვერ გასჭრა და იგი მაინც პათოლოგიური სიჯიუტით მიმეორებდა, შენ ჩემზე შური იძიეო.

ომარი მედპუნქტში წაიყვანეს, რა თქმა უნდა, — უჩემოდ. მერე ბიჭები დაბრუნდნენ და ფლეგმატურმა აჩიკომ წაიბურტყუნა, ექიმი ერთი-ორი საათის შემდეგ იქნება, და ომართან კაკუნა დარჩაო. ამის შემდეგ თითოეულმა თავი ვალდებულად ჩათვალა ეამბნა ომარის მდგომარეობა და ისიც, რომ ომარს ვერაფრით ვერ გაუგია თავისი დაცემის მიზეზი... მაგრამ მე ეს უკვე აღარ მაინტერესებდა, რადგან ველოსიპედით სოფელში ნელა მიმავალი როზეტა კვლავ ჩემსკენ იყურებოდა.

დიდხანს ვაყოლებდი თვალს თანდათან შორს მიმავალ როზეტას და ამქვეყნად აღარაფერი მახსოვდა.

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ამ დღეს მომხდარი ამბები, მაგრამ არა, ამბები გაგრძელდა, თანდათანობით გართულდა და პირადად ჩემთვის, ჩემი არცთუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების ერთერთ მთავარ ეტაპად იქცა.

შებინდებისას დავბრუნდით ჩვენს „საქათმეში". იცოცხლე, პურს დავეხარბეთ, რადგან აქ ხელფასს ორ კვირაში ერთხელ იძლევიან, და მერე შევუდექით ნაკლებ პროზაულ საქმიანობას.

ხმაურობდნენ, ოთახიდან ოთახში დაბარბაცებდნენ მაგარი „ჰაჭისაგან" ჯერ კიდევ მთვრალი წეღანდელი ამფსონები, მარტოდ იწვა თავის ოთახში, ჩემს მიმართ სიძულვილით აღვსილი ომარი, ნიკას ოთახი კი სავსე იყო თავთავიანთი ტაბურეტებით მოსული სტუმრებით.

ფეხი ფეხზე გადადებული, ოდნავ თვალებმოჭუტული და ნიკაპწინწამოწეული ნიკა, პროფესიით მეწაღე, მოწოდებით კი მოარშიყე და ლოველასი, თავის სამიჯნურო თავგადასავლებს ჰყვებოდა.

ნიკა რომ მშვენიერი მთხრობელი იყო, ამას ადასტურებდნენ აჭარხლებული და ყურადღებადაჭიმული მსმენელები, თუმცა ისიც უნდა ითქვას რომ ამაში თავისი უხილავი წვლილი გაზაფხულსაც შეჰქონდა.

ყველაზე კულმინაციურ მომენტში, მთხრობელს ასე ოსტატურად რომ ჰქონდა მომზადებული, როცა მსმენელები თვალებდაჭყეტილი და პირდაღებულნი შესცქეროდნენ, ოთახში ქოშინით შემოიჭრა კაკუნა, იგი რაღაცის თქმას ცდილობდა.

ვიდრე მედპუნქტში ექიმს ელოდნენ, კაკუნას ომარისათვის თურმე ნისიად გამოურთმევია ველოსიპედი, და სიხარულით აცუნცრუკებული აქეთ-იქით დააქროლებდა.

— ი-ი-ი... იქ, სოფელში... — დაიწყო კაკუნამ.

— გაჩუმდი, შე...

— ვერა ხედავ, ჩვენ აქ...

— ანდა, წაეთრიე აქედან!

ყველა მას ეცა, მაგრამ მუდამ ძალზე მორჩილი კაკუნა მაინც არ ცხრებოდა:

— იქ, სოფელში... ევტიხის სცემენ!... — როგორც იყო, ამოთქვა მან.

— ვინა სცემს?

— რატომ?

— რისთვის?

გალანტური ამბების მოყვარულნი ტაბურეტებიდან წამოხტნენ და კაკუნას გარს შემოეხვივნენ.

— იქ, სოფელში... საროსკიპოში...

მეპატრონე, რა თქმა უნდა, ჟანდარმებს არ უძახის. და ევტიხი მარტოა იმდენ...

— ჩვენს კაცს სცემენ... — ისტერიულად წამოიყვირა ვიღაცამ.

— წავიდეთ, ბიჭებო!

— აბა, ჩქარა, ჩქარა!...

ჩვენ, თხუთმეტიოდე ბიჭი, თითქმის ყველა, ვინც კი შინ ვიყავით კი არ წავედით, გავცვივდით ერთსულოვანი აღტყინებით.

ეს ოთხკილომეტრიანი კროსი ყველამ ვერ აიტანა. რამდენჯერმე სიარულზედაც კი გადავედით, ხოლო სოფლის აღმართთან უკანდარჩენილებს დავუცადეთ.

სოფელი კომპაქტურ ჯგუფად გავირბინეთ, გზადაზა რაღაცეების ყვირილითა და ხელების ქნევით. გამვლელ-გამოვლელები შიშისგან კედელს ეკვროდნენ, სწრაფად იკეტებოდა ქუჩაში გამოსული ბინების კარები. ჯერ კიდევ ღია დუქნების მეპატრონეებმა კი კარებზე დარაბების დახურვა დაიწყეს.

ბოლოს სოფლის მოპირდაპირე განაპირა მხარეს აღმოვჩნდით და გავჩერდით ცალკე მდგარი აგურის ორსართულიანი სახლის წინ, რომელსაც მჭიდროდ დახურული დარაბები და სოლიდური კარი ჰქონდა.

კარის წინ, საფეხურზე, წითელი, ალაგ-ალაგ გადაცრეცილი ნათურით განათებული სახეზე ხელებაფარებული ევტიხი იჯდა.

— აქ რას აკეთებ, ევტიხი?

ქოშინით მოირბინეს უკანჩამორჩენილმა ბიჭებმა და ყოველი მხრიდან გარს შემოგვერტყნენ.

— ჩუმად!... — დაჰკივლა ბიჭებს გედეონმა, თუმცა კრინტი არავის დაუძრავს.

— აქ რას უზიხარ?

— ველოდები... — იდიოტური სიჯიუტით წაიბურტყუნა ევტიხიმ და თავი ასწია.

ჯერ ელექტრონათურის ანარეკლი მეგონა. ევტიხის მთელი სახე ჩამოკაწრული ჰქონდა და დასიებული, გადახეთქილი ტუჩიდან ნიკაპზე და პერანგზე სისხლი ჩამოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გედეონი კარს ეცა, მაგრამ კარი დაკეტილი აღმოჩნდა. მე ბრახუნი დავუწყე, მაგრამ არავინ არ გააღო.

მერე შიგნით რაღაცა ყვირილი გაისმა, ვიღაცამ ურდული გადასწია და საკეტში გასაღები შეატრიალა.

— აბა, ჩქარა, აქა-იქ დაიმალეთ! — ბრძანა გედეონმა და კართან მე და ის დავრჩით. საფეხურთან საცოდავად ჩამომჯდარიყო ევტიხი.

კარი ფართოდ გააღო შავკაბიანმა ფუშფუშა მანდილოსანმა, მან გვერდზე გაიწია და წინ გაატარა მიხაკისფერ-კოსტუმიანი შუახნის მამაკაცი და კაფანდარა სმოკინგიანი კელნერი. ისინი ფეხებით მოათრევდნენ ვიღაცას, რომელიც წიხლებს ყრიდა და ბღაოდა. მერე უკვე დავინახეთ წითური ულვაშები, ჩვენი პოლონელი ამფეთქებელისა და ის, ვინც იმ პოლონელს იღლიებში ხელჩავლებული მოათრევდა — საზიზღარი, ყვიციანი, საროსკიპოს ყოჩი.

მოულოდნელობისაგან მე და გედეონმა ცოტა უკან დავიხიეთ, მერე კი, როდესაც წითურულვაშა პოლონელმა ჰაერში რკალი მოხაზა და ჩვენს ფერხთით ზღართანი მოადინა, გონს მოვედით.

ჩვენ არავითარი ყურადღება არ მოგვაქციეს და უკვე კარს გვიხურავდნენ, რომ მე და გედეონმა მოვისაზრეთ ღრიჭოში ფეხები შეგვეყო და მერე კარს მივწოლოდით.

ბიჭებმა დროზე მოგვისწრეს. მათი დახმარებით კარი შევაღეთ, ჩვენი მასპინძლები წინააღმდეგობას რომ გვიწევდნენ, ვიწრო ვესტიბულიდან ხელისკვრით გავაძევეთ და სინათლით გაკაშკაშებულ დიდ დარბაზში აღმოვჩნდით.

წივილ-კივილი გაჰქონდათ ყველაზე შორ კუთხეში ცხვრებივით შეჯგუფულ „ქალიშვილებს“, რომლებიც მოკლე ღამის პერანგის ამარა იყვნენ. ყველა მხრიდან ვარდისფერი ხორცი მოუჩან-

დათ და ამ ჩაცმულობისათვის სრულიად შეუფერებელი შავი წინდები და მაღალქუსლიანი ტუფლები ეცვათ.

საჭირო იყო მოქმედება, რადგან ჩვენგან კარგად დაშორებით მდგარმა მეპატრონემ ენერგიულად გაიტაცა პიჯაკის კალთები, ჰალსტუხი გაისწორა და უკვე სამხედრო ბრძანებას აძლევდა კაფანდარა კელნერს და ყვიციან საროსკიპოს ყოჩს.

დაუპატიჟებელი სტუმრების გარეკვა უფრო სწრაფი რეაქციის მქონე კელნერმა დაიწყო. პირველი, ვისაც მან მკლავში ხელი ჰკრა, მისდა საუბედუროდ, გედეონი იყო.

მე მხოლოდ დავინახე როგორ გადაუქანდა კელნერს თავი, მერე კი კედელს მიეხეთქა, ზედ ზურგით აკრულმა ნელა ჩაიკეცა და ყინწმოწყვეტილი ისევ იატაკზე დამჯდარი დარჩა.

გაშმაგებულმა გედეონმა იგივე დაუპირა საროსკიპოს პატრონს, მაგრამ იგი, თავის სიმსუქნის მიუხედავად საოცარი სისწრაფით, უკან გახტა და ცოლის ზურგს ამოეფარა, რომელმაც წინ წამოსწია თავისი ფუნთუშა მკერდი და ქმარი სხეულით დაფარა.

— შე მამაძაღლო, დედაკაცს ეფარები! — ღრმა სარკაზმით წარმოთქვა გედეონმა, რომელიც ადრესატისთვის სამწუხაროდ არ იყო გასაგები, რადგან ქართულად იყო ნათქვამი.

მხდალისადმი ამ თავისი წმინდა მამაკაცური ზიზღით გედეონი ნამდვილად ლამაზი იყო... მაგრამ წინდაუხედავიც. მის უკან ოდნავ გვერდით მდგარი საროსკიპოს ყოჩმა უკვე მოუქნია ვეებერთელა მუშტი დასარტყმელად. ერთი ნახტომით, სულ რაღაც წამის მეასედით დავასწარი. მუშტი ზედ საფეთქელზე მოხვდა და საროსკიპოს ყოჩმაც ბარბაცით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გედეონის წინ აღმოჩნდა, წელში მოხრილი, მკლავებჩამოწყვეტილი, თითქოს სპეციალურად უშვერდა თავის საზიზღარ სიფათს.

გედეონმა მდგომარეობა წამსვე შეაფასა და ყბაში ძლიერი გარტყმით კვლავ ჩემსკენ გამოასეირნა... ის გაფუჭებული, უგონოდ იყო, მაგრამ ფეხზე მაინც იდგა.

კიდევ ერთი ასეთი „გასეირნებ-გამოსეირნების“ შემდეგ საროსკიპოს ყოჩი ბოლოს ცოცხალ-მკვდარი იატაკზე გაიშხლართა.

ქალების წივილ-კივილს ზედ დაემატა აგზნებული წამოძახილები ბიჭებისა, რომლებმაც უეცრად მომხდარ ამბებში მონაწილეობა ვერ მიიღეს და ახლა საომრად იწევდნენ.

ჩვენ უკვე მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი ვიყავით, ამას მეპატრონეც კი მიხვდა, რადგან ცოლის ზურგს უკან მდგარი აკანკალებული ხმით, მაგრამ ძალიან თავაზიანად შეგვეკითხა, „თქვენ ჩვენგან რა გნებავთო“

მე და გედეონმა ერთმანეთს გადავხედეთ... როგორც ყოველთვის ასეთი ფიზიკური მოქმედების შემდეგ, თავი ერთიხანობა მძიმედ მუშაობს ხოლმე.

საბედნიეროდ, პატარა სტეფანეს ხმა გაისმა:

— რას უდგეხართ, წადით, ევტიხი მოიყვანეთ!

ევტიხი წითურულვაშა პოლონელთან ერთად დაბრუნდა, ფართოდ გაილაჯა და ყელი მოიღერა.

ახლა, ასეთი ძლიერი შუქით განათებულ ევტიხის სახეზე ნათლად მოჩანდა ქალების ფრჩხილებისა და საროსკიპოს ყოჩის მუშტების ნამუშევარი.

— ეს რა ამბავია? — ძლიერი აქცენტით, მაგრამ სწორად გამოვთქვი მე და მივანიშნე ევტიხის ზებრისებურად დაღარულ სახეს.

მე და სტეფანე უკანასკნელ ხანს ყოველ ათ-ათ სიტყვას ვიზეპირებდით, და ჩვენებში ფრანგული ენის მცოდნედ ვითვლებოდით.

— მე აქ არაფერ შუაში არა ვარ!.. — დაიწყო თავის მართლება მეპატრონემ, — ეს ჩვენს ქალებს ამტყუნებს იმაში, რომ...

— ჩემი რვაასი ფრანკი! — წაიჩლიფინა ფრანგულად ევტიხიმ.

ფული აქაური ცხოვრების ძირითადი სიტყვაა და ამ სიტყვას თითქმის ყველა კარგად გამოთქვამს.

— აბა, ამათგან რომელმა გამოგართვა? ჰა, რომელთან იყავი! — დაიწყო ქართულად გოგიმ, მერე კი მეტი დამაჯერებლობისათვის ფრანგულზე გადავიდა. — მაგან რომელია, ვინ აიღებს შენი ფული?

ეს რაღაც კომედიის მსგავსი დაკითხვა იყო, მაგრამ ექვსივე ქალი გოგისკენ შემოტრიალდა და ექვსივემ მიაპყრო მას შეღებილ თვალთა უაზროდ მიამიტი მზერა.

გოგის სახელმწიფო გამომძიებლის ღირსებით ეჭირა თავი და ამან იმოქმედა მეძავებზე, რომლებიც იფიცებოდნენ და პირჯვარს იწერდნენ.

— მაგან წაიღებს!.. ჭუჭყიანი, სისხლში მოსვრილი თითი ევტიხიმ მეპატრონის ცოლზე უჩვენა.

— ნება მიბოძეთ, აგიხსნათ... ეს ჩემი მეუღლეა... ჩვენ პატიოსანი კომერსანტები გახლავართ. — წინ წამოიწია ცოლის ზურგს უკან მდგარი მეპატრონე.

— მაგან არის! — დაჟინებით იმეორებდა როგორც ბრალდებას, ისევე ენობრივ შეცდომას ევტიხი.

— იცით, რა... — მეპატრონემ დაანაწევრა სიტყვები, როგორც აბას ფრანგები სჩადიან, როცა უცხოელებს ელაპარაკებიან ხოლმე. — ეს ბატონი მაღლა ადიოდა ჯერ შარლოტასთან, აი, ამ ქერასთან ერთად...

ქალიშვილთა ჯგუფიდან წინ წამოდგა წვრილი და ფეხმოღრეცილი პატარა, ბურთივით მრგვალი ორმოციოდე წლის ქერა ქალი.

— ჩემს შემდეგ ეს განაგრძობდა სმას, მერე კი ზევით მადამთან ერთად ავიდა! — მისი პატარა, ავი თვალების მზერა ხან ევტიხიზე და ხან დიასახლისზე დახტოდა.

— მე თქვენ ყველაფერს აგიხსნით! — ახლა უკვე წინ გამოვიდა და მიმართა გოგის მეპატრონემ, — როცა მესიომ მეორედ მოისურვა... ყველა ქალიშვილი დაკავებული იყო... ასეთ შემთხვევაში ჩემი მეუღლე ეხმარება ხოლმე ქალიშვილებს მუშაობაში...

— როცა მე მან ათი ფრანკი გადამიხადა, ჯიბეში სულ თხუთმეტიოდე ფრანკიღა ჰქონდა დარჩენილი, ძალიან მთვრალი იყო და დიდი ხანი მოუნდა ფულის ჯიბეში ჩატენვას. — ბოლოს ალაპარაკდა დიასახლისი, — სხვა ფული მას არ ჰქონია.

— ხომ გეუბნებით, — ჩაერია მეპატრონე, — ჩვენ პატიოსანი კომერსანტები ვართ, და არასოდეს თავს მაგის ნებას არ მივცემთ! ჩვენი ქალიშვილი პოლიციის ინსპექტორის ცოლია, მისი ორი ვაჟი კი პარიზში, ლიცეიში სწავლობენ!..

— ეს უთუოდ შარლოტაა!.. პირველად კი არ სჩადის ამას!.. — მივარდა შარლოტას დიასახლისი.

გაბოტილად მდგარი და მოქანავე ევტიხი მსწრაფლ მოსწყდა ადგილს, დიასახლისს ხელი ჰკრა, შარლოტას თმაში სწვდა და დაუწყო იატაკზე თრევა.

დიდსულოვანი სტეფანე გაექანა შარლოტას დასახსნელად, მაგრამ ღონიერმა დიასახლისმა სტეფანეს წელზე ხელი შემოჰხვია და დაიჭირა.

— ნუ, თავი დაანებე!.. დაე!.. დაე, მაგან!.. — ეუბნებოდა დიასახლისი და თან იხუტებდა სტეფანეს, როგორც საჩხუბრად გაწეულ პატარა ბიჭს.

ამ დროს კი ევტიხი იატაკის მჩვარივით ათრევდა მთელი ხმით მოღრიალე, ხელებდაფეხებგაფარჩხულ უმსგავსო არსებას, რომელიც რატომღაც ქალად იწოდებოდა.

ბიჭებიდან ზოგიერთი ოცინოდა... მაგრამ ეს სიცილი რაღაც ისტერიული იყო, მასში სიბოროტის ნოტები სჭარბობდა.

— გამიშვი!.. გამიშვი და დაგიბრუნებ ფულს!.. — ბოლოს წამოსცდა უკვე

თითქმის გონებადაკარგვამდე მისულ მეძავეს.

ევტიხიმ შარლოტას თმას ხელი გაუშვა, შარლოტამ იატაკს თავი ყრუდ დაარტყა, მერე კი გაჭირვებით წამოდგა თავისი წვრილი და უშნო ფეხებით.

ახლა უკვე მეპატრონე ქუხდა და გრგვინავდა.

— ფული სად დამალე? — მივარდა იგი შარლოტას და ძალიან მოხერხებულად, ორივე ხელით სილა გააწნა.

გაწეწილი, თმაებურძგნული შარლოტა პატარა და ჩამქრალი თვალებით ძაღლური მორჩილებით შესცქეროდა თავის პატრონს, რითაც საზიზღრობამდე შესაცოდი იყო.

— ფული მე არა მაქვს...

— მაშ, ვისა აქვს?

— აი, იმას... — ჩურჩულით, თითქოს იმის შიშით, რომ არ გაეგო იატაკზე დაგდებულ საროსკიპოს ყოჩს, წარმოთქვა შარლოტამ და თავის დაქნევით მასზე მიანიშნა.

სხვის ჯიბეებში ძრომის მოტრფიალენი, არც თუ ისე ცოტანი აღმოჩნდნენ, მაგრამ საროსკიპოს ყოჩს ფული არც პიჯაკის და არც შარვლის ჯიბეებში არა ჰქონდა.

მეპატრონე ისევ შარლოტას მივარდა, მხრები ოდნავ აიწია და კვლავ სილის გაწნას აპირებდა.

— ფული რევოლვერის ჯიბეში აქვს!.. — ახლა უკვე წამოიყვირა შარლოტამ, აღშფოთებულმა იმით, რომ არ დაუჯერეს.

დაკლული ქოსმენივით გადმოაბრუნეს მუცელზე საროსკიპოს ყოჩი და შარვლის უკანა ჯიბეში უპოვეს ევტიხის, ისეთი გაჭირვებით დანაზოგი ფული.

ვიდრე ევტიხიმ ფული გადათვალა და ჯიბეში შეინახა, მეპატრონემ თავისი მწუხარება გაგვიზიარა:

— როგორც კი აყალმაყალი დაიწყო, ყველა კლიენტი თვალის დახამხამებაზე გაქრა. ესენი ძალიან წესიერი... ოჯახის პატრონები გახლავან, ზოგი მეზობელი ფერმებიდან არიან და ზოგი კი ჩვენი სოფლელია. აი, შახტიორები რომ ყოფილიყვნენ, ისინი ასეთ ამბავს არ მოერიდებოდნენ... მაგრამ ისინი ახლა ძალიან ცოტა ფულს აკეთებენ და... დღეს მე დიდად ვიზარალე!..

ევტიხიმ გაიღიმა, რის გამოც სახეზე ვერტიკალური ნაკაწრები ოვალური გაუხდა. იგი გასასვლელისაკენ გაემართა. ყველა მას გავყევით.

— აკი გეუბნებოდით, რომ ჩვენ პატიოსანი კომერსანტები ვართ-მეთქი, — სიამაყით იმეორებდა მეპატრონე, რომელიც კარებამდე გვაცილებდა.

ვიდრე სოფელზე მივდიოდით, ევტიხის ყველა გარს ეხვეოდა, ულოცავდა ხელახლა შეძენილ ფულს და მორიდებით ეუბნებოდა ცოტაოდენი ღვინოზე დახარჯე, რომ ასეთი ბედნიერი ამბავი აღვნიშნოთო.

მაგრამ ნახევრად გამოფხიზლებულ ევტიხის თავი ძალიან მთვრალად მოჰქონდა და ვითომ არაფერი ესმოდა.

როცა სურსათის მაღაზიას გვერდით ჩავუარეთ და ბიჭებს გადაკვრის იმედი მთლად გაუცრუვდათ, დაწინაურდნენ და მარტოდ მობარბაცე ევტიხი უკან ჩამოიტოვეს.

მე შევიცოდე ყველას მიერ მიტოვებული „კაპიტალისტი“, მკლავში ხელი ჩავავლე და დაღმართზე ჩავიყვანე, თან ვცდილობდი წინ მიმავლებს არ ჩამოვრჩენილიყავით.

ჩვენ უკვე ქვევით, პატარა ჭაობზე გადებულ დამბაზე ვიყავით, როცა ვიღაცა ველოსიპედისტმა გაბმით ზარის წკარუნი დაგვიწყო, რომ გზა დაგვეთმო. მე მარჯვენა მხარეს ვიყავი, გზა განიერი იყო და ამიტომაც არ მივაქციე იმ ზარს ყურადღება და ევტიხის თრევას განვაგრძობდი.

მგზავრმა ცოტა რომ გაგვასწრო, ველოსიპედიდან გადმოხტა. ეს როზეტა იყო.

— ჩქარა, თავს უშველეთ!.. ჟანდარმები დაგადევნეს!.. — აღელვებით გვითხრა მან.

ჩემთან სულ ახლოს ოდნავ სინათლეში თეთრად ანათებდა მისი სახე.

მე რაღაც უნდა მეპასუხა, მაგრამ ვერაფრის დიდებით ვერ წარმოვთქვი ვერცერთი ფრანგული სიტყვა. ბოლოს ქართულმა მიხსნა.

— ბიჭებო!.. — დავუყვირე ჩემს წინ მიმავალ სილუეტებს. — მოუსვით, ჟანდარმები მოგდევენ!..

სიჩუმეში ასფალტზე მიმავალთა მონოტონური ფეხის ფლატუნი უცებ შეწყდა. შემდეგ ერთბაშად გაისმა უწესრიგო ბათქა-ბუთქი, რომელიც სწრაფად დაგვშორდა და მერე შეწყდა. იქნებ ბიჭები მიმოიფანტნენ მაღლობზე ჯაგნარებში, ან იქნებ უკვე შორს იყვნენ.

— გახედეთ!

პატარა ხელი ნიდაყვზე მწვდა და სოფლისკენ მიმაბრუნა.

ჩვენგან სამასიოდე მეტრის დაშორებით, სანოვაგის დუქნის განათებულ ვიტრინასთან ბრწყინავდა ჟანდარმთა ბალთები და კრაგები. ჟანდარმებს დაღმართისაკენ შეეტრიალებინათ თავიანთი ველოსიპედები და ზედ დასაჯდომად ემზადებოდნენ.

ვტაცე ევტიხის ხელი და წავათრიე, და იმავე წამს მივხვდი, რომ აღმართის მესამედსაც ვერ ავირბენდი, ისე წამოგვეწეოდნენ.

— ჩქარა, ჩქარა!.. — მამხნევებდა როზეტა.

აღმართზე გაქცევას არავითარი აზრი არა ჰქონდა. გზის ორივე მხარეს კი მჭიდრო კედელივით აღმართულიყო მარად მწვანე ეკლოვანი მცენარეები.

— აქეთ!.. აი, აქეთ!

როზეტა მანიშნებდა ეკლოვანი მცენარეების ღეროებს შუა, მელიის სოროს მსგავს ვიწრო საძრომელაზე.

მე სოფლისკენ გავიხედე, ჟანდარმები იქ აღარ იყვნენ, ეტყობა, უკვე დაღმართზე ეშვებოდნენ.

ევტიხის ვეცი, ორად მოვხარე და საძრომში შეტენა დავუწყე. მაგრამ იგი თავგამოდებით მიძალიანდებოდა. მაშინ სარმა გამოვდე და წავაქციე. მერე უკან ცოცვით საძრომში შევძვერი და ევტიხი მხრებით შიგ შევითრიე.

დაქანებულ ფერდობზე ადგილი ძალიან პატარა იყო და ფეხები შლამიან ჭაობის წყალში აღმომიჩნდა. ახლა კიდევ ევტიხის თავი ზევით უნდა შემეტრიალებინა, რომ წყალს არ გაეგუდა.

საშინელი სირცხვილის გრძნობა დამეუფლა იმის გამო, რომ როზეტა მარტო დავტოვე, თუმცა მას არავითარი საფრთხე არ ელოდა. სირცხვილი უცებ უზომო სიხარულმა შემიცვალა. როზეტა ჩვენს კვალდაკვალ შემოძვრა, მერე თავისი ველოსიპედის შემოთრევას ცდილობდა, მაგრამ დაქანებულ თიხნარზე სხლტებოდა და ამაოდ ექაჩებოდა ველოსიპედს, რომელიც თურმე, ტოტს გამოსდებოდა.

მე ღონივრად გამოვწიე ჩემსკენ ველოსიპედი, ევტიხიმ შეჰყვირა, რადგან მისი რომელიღაც ნაწილი მოხვდა და ბოლოს ველოსიპედიც საფარში აღმოჩნდა.

მშრალი მიწის ერთიბეწო ადგილი, რომელზეც ერთ ადამიანსაც გაუჭირდებოდა მოთავსება, ზედ დამატებით იმდენად დაქანებული იყო, რომ ცალი ხელით ეკლიან ტოტზე ვიყავი ჩაჭიდებული, მეორე ხელით კი ევტიხი მეკავა, რომ იგი წყალში არ ჩაცურებულიყო.

როდესაც შემოგვესმა ერთმანეთშორის მოლაპარაკე, აუჩქარებლივ მომავალი ჟანდარმების ხმები, ევტიხიმ რაღაცის ბურტყუნი დაიწყო. ტოტს, რომელზეც ჩაჭიდებული ვიყავი, ხელი გავუშვი და ევტიხის პირზე ხელი მივაფარე, თან ვგრძნობდი, ჩვენ ორივე თანდათან როგორ მივცურავდით წყლისკენ.

როზეტამ სცადა ჩვენი დაკავება, თავისუფალი ხელი პიჯაკის საყელოში ჩამავლო, მაგრამ შესაკავებლად ძალა აღარ ეყო, მაშინ კისერზე ხელი მომხვია და მაგრად მიიკრა მკერდზე ჩემი თავი.

ჟანდარმებმა სულ ახლოს, სადღაც ჩვენს თავთან გაიარეს... მე კი მესმოდა,

რა სწრაფად სცემდა როზეტას გული ჩემი ლოყის ქვეშ, ვგრძნობდი მისი მკერდის ნაზ სიმკვრივეს და ვყნოსავდი მისი სხეულის გამაბრუებელ სურნელებას.

ასე გავატარებდი მთელ სიცოცხლეს, იმდენად ბედნიერი ვიყავი მისი სიყვარულით.

ჟანდარმები მაღლობის ჯაგნარებამდე არ იყვნენ მისულნი, რომ უკან გატრიალდნენ... მაგრამ იმ წუთებში ისინი ჩემთვის აღარ არსებობდნენ. ევტიხის ხელი გავუშვი, როზეტას მოვეხვიე და კოცნა დავუწყე, ჯერ ყელზე, მერე ლოყებზე... და ვერაფრით ვერ ვაკოცე ტუჩებში, სახეს მარიდებდა. როცა კი ჟანდარმები მთლად ჩვენს თავებთან გადიოდნენ, როზეტა დამნებდა... და ხანგრძლივი, თითქმის ტუჩების ტკენამდე მისული კოცნით მიპასუხა ჩემს კოცნაზე.

ჩვენს ფერხთით ვიღაც ფართხალობდა, წყალს გვაწუწებდა და ქვევით გვეწეოდა. ეს იყო ევტიხი, რომელიც ქვევით ჩაცურებულიყო და ახლა ჭაობიდან ამოსვლას ცდილობდა.

მე წამოვდექი და როზეტას მივეხმარე წამოდგომაში. მერე ჩვენ ორივემ გამოვათრიეთ შარა გზაზე ევტიხიცა და ველოსიპედიც.

როზეტამ ჩამოიბერტყა ზედ აკრული მიწა, ევტიხი კი ფართოდ გაბოტილიყო, აქეთ-იქით ქანაობდა და რაღაცას ბურტყუნებდა.

— დამაცადეთ...

როზეტამ მეც დამიწყო მიწის ჩამობერტყვა მხრებიდან, მკერდიდან, შემდეგ შემომატრიალა ზურგიდან და თან მიამბობდა:

— მე სურსათის მაღაზიაში ვიყავი, როდესაც ის საშინელი, ცხვირმომპალი მოხუცი დედაკაცი მოვარდა.

— რომელი მოხუცი დედაკაცი?

— მზარეული... წითელფარნიანი სახლისა... და ჟანდარმების გამოძახებას მოითხოვდა. გაჰკიოდა, რომ თქვენ იქ ყველას ხოცავდით.

— ჰო... — მრავალმნიშვნელოვნად წავიბურტყუნე მე.

— მედუქნემ კი, სოფლის მერმა... დარეკა...

— წადით ერთი... თქვენი დედაც!..

— საბედნიეროდ, ქართულად შეიგინა ევტიხიმ, მერე ჩვენზე ხელი ჩაიქნია და წელში მოხრილმა, ბარბაცით სახლისკენ გასწია.

— რა თქვა იმ კაცმა? — შემეკითხა როზეტა.

— არაფერი... გულითადი მადლობა გადაგვიხადა.

— საერთოდ, ქართველები, ძალიან თავაზიანები ხართ.

— რა თქმა უნდა, — დავუდასტურე მე.

შარა გზის რუხ ზოლზე, შავ ლაქად გამოკვეთილი ევტიხის სილუეტი თანდათან უფერულდებოდა და ბოლოს სრულიად გაქრა გაზაფხულის მღვრიე ღამეში. ბექობის მწვერვალზე, ბაცი ფერის ჰორიზონტს კვირტებამოყრილი ტყის პირი ფარავდა, და ცაზე, ალაგ-ალაგ დაფლეთილი ღრუბლების იქით ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

— წავიდეთ, — მითხრა როზეტამ და მკლავზე დამეყრდნო, — უჰ, ველოსიპედი დამავიწყდა...

ჩვენ ნელა მივდიოდით. მარჯვენა ხელით ველოსიპედს მივაგორებდი, მარცხნივ კი ქალის ხელს მაგრად ეჭირა ჩემი ნიდაყვი... და ყოველთვის, როცა ხელის განთავისუფლებას ვცდილობდი, რომ მოვხვეოდი და მეკოცნა, იგი მკლავს უფრო მაგრად ეჭიდებოდა.

— არა... არა!... —მეუბნებოდა იგი და მთელი სხეულით მეკვროდა.

— მიყვარხარ, როზეტა!...

— სწორედ მაგიტომ არ არის საჭირო .

მე მინდოდა მეთქვა მისთვის რაღაც ძალიან ალერსიანი და გულითადი მაგრამ ჩემს ლექსიკონში სწორედ ასეთი სიტყვები არ მომეძებნებოდა.

— მე შენ ძალიან მიყვარხარ, როზე-

ტა!.. ძალიან!.. — სხვა სიტყვები აღარ მებადა.

— მეც... მაგრამ ნუ, თორემ გაგიჯავრდები! — როზეტა ლოყით მხარზე მომეკრა.

— ამაზე ნულარ... ღმერთო ჩემო, რა მემართება...

ტკბილი მუსიკის ძლიერმა აკორდებმა შეავსო ჩვენს ირგვლივ გარშემორტყმული დუმილი... არაჩვეულებრივმა ძლიერმა შუქმა ნათელი მოჰფინა ყველაფერს... ბედნიერება, უჩვეულო, მანამდე უცნობი... ბედნიერება დამეუფლა.

— ჩემი დედამთილი ალბათ ღელავს, ასე რომ შემაგვიანდა. — მითხრა როზეტამ.

მუსიკა უცებ შეწყდა... ირგვლივ კი ჩამობნელდა — კბილების ღრაჭუნით ვეჭვიანობდი როზეტას დედამთილის შვილზე, რომელსაც როზეტაზე ყველა უფლება ჰქონდა.

— რა მალე გეწყინათ... — თქვა როზეტამ.

პასუხად მხოლოდ ღრმად ამოვისუნთქე.

— მაგრამ თქვენ ღონიერი ხართ... ყველაზე ღონიერი აქ, შახტებში.

მე თავში გამიელვა აზრმა, რომ როზეტას ნანახი ვეყოლებოდი სამუშაოზე, როდესაც ბევრი, გარეგნულად ჩემზე სუსტი შახტიორი, ჩემზე მეტ ვაგონეტს ტვირთავდა... და თავი რაღაც უხერხულად ვიგრძენი.

— მე ისე განვიცდიდი, როდესაც ეჭიდავებოდით იმ... თქვენს, წვრილულვაშა ქართველს. იმან ხომ თქვენს ჩამოსვლამდე ყველა დაჯაბნა.

— გედეონს...

— ჰო. მაშინ რატომ სცემა მან იმ ქართველს, აი, გრძელი კისერი, დიდი ყბა და ცხენივით კბილები რომ აქვს?

— ნიკას?.. ის არბიტრი იყო და გედეონს უთხრა, დამარცხდიო.

— კი, მაგრამ, ხომ ყველამ დაინახა, რომ დამარცხდა. რა უცნაურები ხართ...

— როზეტა...

მე ძალით მოვეხვიე მას. ველოსიპედი გაგორდა და კიუვეტში გადავარდა.

— ოი, თქვენ მთელ ძვლებს დამამტვრევთ. გამიშვით, გამიშვით, თორემ არასოდეს ხეს არ გაგცემთ.

მე მას ხელი გავუშვი, კიუვეტიდან ველოსიპედი ამოვათრიე და გზაზე გავიყვანე ისე, რომ როზეტას არ დავუცადე.

— შე ბოთე, შენა! — იგი უკვე ჩემს გვერდით მოდიოდა. — ნუთუ არ გესმის, რომ ეს ყველაფერი სერიოზულია... და მე მეშინია.

— რისა? — საკმაოდ უხეშად წავიბურტყუნე მე.

— არა, შენი არა... ჩემი თავისა მეშინია. არა, შენ ვერ გაიგებ... მე ხომ ქმარი მყავს... ქმარი... და მე ჯერ არავინ მყვარებია.

— მაშ, მე? —საკმაოდ მიამიტურად შევეკითხე მე.

— მომეცი ველოსიპედი.

როზეტამ ველოსიპედი გამომართვა, შეახტა და წავიდა.

— შენ კი, სულ სხვა ხარ! — უკვე შორიდან გამომძახა მან.

ათასმა ფიქრმა გამიელვა თავში, ვიდრე შინ ნელა ვბრუნდებოდი. არაფრით არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ როზეტა ჩემს გრძნობებზე თამაშობდა. მაგრამ არც ის მჯეროდა, რომ დედამიწის ზურგზე არსებობდა ადამიანი, რომელსაც მე ვუყვარდი, და რომ აღარ ვიქნებოდი ასე ეული.

* * *

გავიდა უკვე ერთი კვირა, რაც მე როზეტას სიყვარულში გამოვუტყდი. ამ ხანში ჩვენ თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც ვნახეთ ერთმანეთი. ორჯერ თამბაქოს დუქანში, სადაც კონვერტებისათვის მივედი და რომლებიც სრულებით არ მჭირდებოდა. უკანასკნელად კი შევხვდი პურის დუქანში, სადაც დავთქვით დღევანდელი პაემანი ერთ, უპატრონოდ მიტოვებული ჭაბურღი-

ლის კოშკთან ჩვენი დასახლებიდან საკმაოდ მოშორებით.

როზეტა შინ თავისიანებს ეტყვის, რომ სოფელში ამხანაგთან დაბადების დღეზე მივდივარო.

საშინლად გრძელდება დრო, წუთები მარადისობად მეჩვენება, რვა საათამდე კი ხუთასზე მეტი წუთია.

დაბინდებისას ხალხი ოლიმპზე თანდათან მატულობს, კვირაობით კი ყველა იქაა, თვით ავადმყოფები და იპოქონდრიკებიც კი.

თავისუფალ დროს ჩვენ ფეხბურთის თამაში შემოვიღეთ, აქვე, ახლოს, პატარა მინდორზე და მაშინ ოლიმპიელთა ნაწილი საყურებლად მოდის ხოლმე, მერე კვლავ უკან ბრუნდება. სმით, თითქმის აღარავინ სვამს, იმიტომ, რომ ერთი თვისა და სამი კვირის შემდეგ ჩვენი სამუშაო კონტრაქტები თავდება, და უნდა მოვაგროვოთ პარიზამდე ბილეთის ფული.

დღეს კი ფეხბურთი არ შედგება, რადგან დილას ჩამოვიდა პარიზში მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლობის —„ქართული ლეგაციის" მდივანი.

ჩამოსვლისთანავე საკმაოდ დიდხანს ისაუბრა შახტების ადმინისტრაციასთან, მერე კი სადღაც დასასვენებლად წავიდა. კრება დანიშნულია შუადღის სამ საათზე, ერთერთ ბარაკში, სადაც იმავე დროს ეწყობა ხოლმე ქორწილებიც. მიცვალებულებსაც უგებენ წესს.

ჩვენი აქ ყოფნის დროს იქ უკვე აუგეს წესი ზავში დაღუპულ ორ პოლონელს, ერთ ანამიტს, რომელიც წელში გაწყდა სავსე ვაგონეტის დაკავებაში, ქვეშ მოიტანა თავისი ამხანაგი, აგრეთვე „ველური დივიზიის" ერთერთ მოხუც პოლკოვნიკს, რომელმაც თავის ბარაკში თავი ჩამოიხრჩო.

მალე, ალბათ ერთერთი ქართველისთვისაც მოგვიხდება იქ წესის აგება. საცოდავი გუგული ძალიან ცუდადაა, და უკანასკნელ ხანს სიარულიც კი აღარ შეუძლია. ექიმმა ოთახიდან კორიდორში გამიყვანა და მითხრა, რომ „ჭენებითი ფთიზია" — სწრაფი ჭლექი აქვსო.

შახტებს საავადმყოფო არა აქვს და ექიმს უნდოდა გაეგზავნა გუგული სადღაც შორს. მაგრამ იგი არ დათანხმდა. ვაი თუ ჩემიანები ვეღარ ვნახოო.. და ექიმი მაინცა და მაინც აღარ მისძალებია.

ახლა გუგული თავის ოთახში წევს მარტოდ, რადგან სიმონა სხვა ოთახში გადავიდა. ჩვენ ყველა, როგორც შეგვიძლია, ვუვლით გუგულის. მას კი საერთოდ აღარაფერი არ უნდა — წევს თავისთვის, სიცხისაგან გავარვარებული, არა სჭამს კარაქს, რომლითაც ვცდილობთ ვიხსნათ, და გვთხოვს ველაპარაკოთ საქართველოს ირგვლივ. მოსმენისას კი ტირის.

რამდენჯერმე მას ისეთი ძლიერი სისხლისდენა ჰქონდა, რომ ჩვენ ვერაფრის დიდებით ვერ შევუჩერეთ, ვერც ცივი პირსაწმენდით და ვერც ყინულით. თითქმის ძალით მოვიყვანეთ ექიმი, რომელსაც გუგულზე უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული.

კიდევ ერთი ორჯერ რომ ასე დაემართოს, გუგული ხელიდან გამოგვეცლება.

ძალიან თავს ევლება მას ბულგარელი ქრისტო, რომელიც თვითონ სერიოზულად არის ავად. ქრისტო გვაფრთხილებს რაც შეიძლება ფრთხილად იყავითო, თავის თავზე კი ამბობს, აღარაფრისა აღარ მეშინიაო.

დღეს ოლიმპზე მხოლოდ ლეგაციის მდივნის ჩამოსვლაზე ვლაპარაკობდით. ხალხს იმედი აქვს, რომ თავისი მომავლის შესახებ რამეს გაიგებს. მაინც განაწყენებულებიც ურევიან.

— ეს რა ამბავია... დილას ჩამოვიდა... ქართველი კაცი ქართველებთან, იქ, ვიღაცეებთან ისვენებს, და ჩვენთან გულახდილი ლაპარაკი არ უნდა? — გულწრფელად უკვირდა ზოგიერთს.

— ჩემთვის, უცხოეთში ქართველი ძმასავითა არის... ის კი, თვალითაც არ

გვენახვება. — აღშფოთებას გამოსთქვამდნენ სხვები.

ზოგიერთები, რომლებიც პარიზში ჩასვლისას მენშევიკებთან მიკედლებას აპირებდნენ, ახლა ამბობდნენ, ჯერ კიდევ ვიფიქრებთო...

რაღაც უცნაურად იღიმებოდა სევერიანე და დემონსტრატიულად სდუმდა სტეფანე. მხოლოდ საშა მისთვის ჩვეული წინააღმდეგობის გრძნობით ცდილობდა გაემართლებინა ლეგაციის მდივანი.

— მოინდომეთ რაღა თქვენც ტოლსტოისებური „ხალხში სიარული", — დაიწყო მან, კმაყოფილმა თავისი ენამახვილობით, რომელიც არც მე, არც სტეფანემ და არც სევერიანემ არ შევაფასეთ და უკვე ყველას გასაგონად განაგრძო:

— ის, რის თქმაც უნდა, კრებაზე იტყვის. აი, მაშინ ელაპარაკეთ მას, როგორც „ქართველი ქართველს!"

— კი მაგრამ, ეგ სულ სხვაა! —ერთდროულად შეედავა რამდენიმე კაცი.

— თუკი სხვა გინდოდათ, მაშ რაღას გამორბოდით საზღვარგარეთ! —გამომწვევად აქეთ შეედავა საშა.

— უჰ, შე ჭკუის კოლოფო! — სიბრალულით შეხედა მას სტეფანემ, — შენ ისიც კი არ გესმის, ვის წისქვილზე ასხამ წყალს.

— ჰო, მარტო თქვენ გესმით ყველაფერი!

— და, საერთოდ კი... — თითქოს თავის თავზე ძალდატანებით თქვა სევერიანემ, —სამშობლოს დატოვება თითოეული ჩვენგანისათვის ისეთი ფსიქოლოგიურად რთული... და ტრაგიკული აქტი იყო, რომ ამაზე ლაპარაკი სისულელეა და არა ღირს..

— განა ჩემთვის ეს, ასე უბრალო იყო? განა მე...

— გაჩუმდი!.. ხომ გითხრეს, ამაზე ლაპარაკი საჭირო არ არისო — აფეთქდა გედეონი და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — ჰო, ჩემი მცხეთის ერთ ქუჩასაც კი არ გავცვლი მთელს უცხოეთზე!

— ეს შენ!.. მაგრამ თითოეულს... — აგდებულად დაიწყო საშამ და მაშინვე გაჩუმდა, როგორც კი დაინახა გაცოფებისაგან დამრგვალებული გედეონის თვალები.

მასუკან ჩვენ ბარაკში წავედით, სადაც კრება უნდა ყოფილიყო, ჟამთა ვითარებისაგან გაშავებულ, გრძელ მერხზე ჩამოვსხედით და დავიწყეთ მსჯელობა ლეგაციის წარმომადგენლის ჩამოსვლის მიზეზებზე.

ერთნი ფიქრობდნენ ,რომ ეს ჩვენს სამუშაოზე მოწყობას ეხებაო, მეორენი, — საროსკიპოში მომხდარი აყალ-მაყალის გამო ჩამოვიდაო, მესამენი კი საერთოდ არაფერზე არ ფიქრობდნენ, თუმცა რაღაცის იმედი ჰქონდათ.

სრულ სამ საათზე მოვიდა იგი, — მაღალი, ჭაღარანარევი, ხშირთმიანი მთლიანად შავებში ჩაცმული, სწორედ ისეთი, როგორიც მე მყავდა წარმოდგენილი მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელი.

თავაზიანად და ღირსებით უპასუხებდა მდივანი მისალმებას, გაარღვია შეგროვილი, ცუდად ჩაცმული ხალხი, მაგიდას შემოუარა, ერთხანს დაფიქრდა და თავისი გამოსვლა დაიწყო.

სულ რამდენიმე ფრაზა თქვა მან და მე უკვე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ არც ისე ჭკვიანი უნდა ყოფილიყო. ალბათ იმიტომ, რომ „მთავრობის" წარმომადგენელს აკლდა უბრალოება... თუნდაც ყალბი, მაგრამ ასე საჭირო ამ „თავისი ქართველის" სიტყვას მოწყურებული აუდიტორიისათვის.

ყოველივე შემდგომმა მხოლოდ დაადასტურა ჩემი შთაბეჭდილება. მოკლე პოლიტიკური მიმოხილვის შემდეგ, სადაც ლაპარაკი იყო ბოლშევიკების სისუსტეზე და ანტანტის სიძლიერეზე მომხსენებელი ძირითადზე გადავიდა. ეს მოკლედ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ იძულებულნი ვიყავით შეგვეფა-

სებინა საფრანგეთი, რომელმაც მოგვცა პოლიტიკური თავშესაფარი, და კერძოდ, შახტების სამმართველო, რომელმაც ინება ჩვენი თურქეთიდან ჩამოყვანა და სამუშაოს მოცემა. მაშასადამე, მთელი კეთილსინდისიერებით უნდა შეგვესრულებინა თურქეთში დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ჩვენი ექვსთვიანი სამუშაო. ბევრი კი სამუშაოს უმიზეზოდ აცდენდა.

ეს სიმართლეს შეესაბამებოდა — ჩვენი ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ ზოგიერთები კვირაში რამდენიმე დღე სამუშაოდ არ გამოდიოდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ სამუშაო თითქმის კატორღულია, გარდა ჭამისა, ფული არაფერზე გვყოფნის და როცა არ მუშაობ, მადაც გაცილებით ნაკლებიაო...

საროსკიპოში მომხდარ ჩხუბზე მომხსენებელმა გაკვრით თქვა, თქვენაო, რა თქმა უნდა, ადგილობრივ კომერსანტებთან შეიძლება მოგიხდეთ შეტაკება, ეს თქვენი და მათი პირადი საქმეაო, მაგრამ, პატიოსნად მუშაობა კი გევალებათო.

ძირითადად ამით დამთავრდა ლეგაციის მდივნის გამოსვლა, თუმცა მერე იგი შეკითხვებზე საკმაოდ დიდხანს აძლევდა პასუხებს... და აი, აქ, მე კვლავ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ამჯერად იგი სავსებით სწორად ფიქრობდა იმაზე, თუ რამდენად სულელები ვიყავით ჩვენ.

როდესაც ლეგაციის მდივანი უკვე წასვლას აპირებდა, სიმონა წამოდგა. ყველამ იცოდა რა თხოვნაც ექნებოდა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— პატივცემულო ბატონო მდივანო... — დაიწყო სიმონამ ისეთი ხმით, თითქოს მოწყალებას თხოულობდა, —ერთი ჩვენი ქართველი ძალიან ავადაა და უმორჩილესად გთხოვთ ინახულოთ იგი.

— ჩვენ ყველანი ძალიან გთხოვთ! — გაისმა რამდენიმე ხმა.

მდივანი პასუხს აგვიანებდა, აქ კაკუნა წამოდგა.

— დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, ბატონო! — დაჟინებით თქვა მან.

მოღუშული მდივანი რაღაცაზე ჩაფიქრდა, და იდგნენ პასუხის მოლოდინში სიმონა და კაკუნა.

— აბა, მე რით ვუშველი? — უკმაყოფილოდ იკითხა მდივანმა.

— არაფრით... საერთოდ, ისე... — თქვა სიმონამ.

— როგორ თუ საერთოდ, ისე? — გაიოცა მდივანმა.

— კაცი ავადაა... და რაღაცის იმედი აქვს...

— სამწუხაროდ, მე ექიმი არ გახლავართ, — მშრალად მოუჭრა სიმონას მდივანმა.

სიმონამ დაბნეულად მიმოიხედა და დარცხვენილი დაჯდა.

მე მაოცებდა, რატომ დუმდნენ სევერიანე და სტეფანე; და მხოლოდ მერე მივხვდი, რომ მათ იგივე შეეძლოთ ჩემზე ეფიქრათ.

კაკუნამ ფეხიდან ფეხზე გადაქანება დაიწყო, და მერე ჩაახველა.

— ადამიანი კვდება... და რა დიდი საქმეა თქვენთვის?! —თქვა მან და წინ წამოსწია უკვე ძლიერ აცახცახებული თავი.

ავის მომასწავებელ სიჩუმეში მდივანმა ყველას საყვედური იგრძნო და შეტევაზე გადმოვიდა.

— ავადმყოფი უნდა ემორჩილებოდეს ყველასათვის საერთო კანონებს, მან კი მკურნალობაზე უარი განაცხადა! თქვენ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ ყველა ავადმყოფმა ასეთი ჭირვეულობა დაიწყო!..

სტეფანემ წამოიწია და ყურში ჩამჩურჩულა:

— ამას ოღონდ მიეცი პოლემიკის საშუალება.

— ავადმყოფს მისივე ინტერესებისათვის დისციპლინა უნდა ასწავლონ!— უკვე საკმაოდ ხმამაღლა დაამთავრა მდივანმა.

ეს კი ვეღარ მოვითმინე და წამოვხტი.

— კაცს სულ რამდენიმე დღის სიცოცხლეღა დარჩენია, და თქვენ მისი სწავლება გინდათ?

— მაგრამ მან ხომ საავადმყოფოზე უარი განაცხადა!

— ნუთუ ეს ასე ძნელი გასაგებია... ადამიანს არ უნდა მარტოობაში სიკვდილი! — თითქოს ცხვირში მდოგვმა დამარტყა, და ასეთ დროს მე უკვე თავს ვეღარ ვიკავებდი. — თქვენ კი აქ პოლემიკა გაგიმართავთ დისციპლინის სარგებლიანობაზე?! დაჯექი ერთი!.. — დავუღრიალე მე ჩემს ცხვირწინ მდგარ კაკუნას, და როცა დაჯდა, უკვე მას მივმართე: — ბატონ ლეგაციის მდივნის ვიზიტი საცოდავ გუგულის ისევე უშველის, როგორც მიქელ გაბრიელის მისვლა!

მე დავჯექი, ვიღაცამ დასტურის ნიშნად ჩაიხითხითა, ვიღაცა უკმაყოფილოდ ასისინდა, სევერიანემ, მხარდაჭერის ნიშნად, შეუმჩნევლად ნიდაყვზე ხელი მომიჭირა. მხოლოდ ის მიკვირდა, რატომ მიყურებდა მდივანი ისეთი კეთილგანწყობით.

— იცით... თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით! — მომმართა მან ღელვისაგან დახშული ხმით. — მართლაც ჩემი მისვლა ავადმყოფს არაფერს არ უშველის, თუ უფრო არ დაუჩქარებს სიკვდილს. რა ვქნა... მე არ შემიძლია მისი მოტყუება!

— ეგ ნაკურთხი სიცრუეა! — ბოხი ხმით სადღაც შორიდან წამოიძახა აჩიკომ.

— მე თვითონაც ძალიან ავადმყოფი გული მაქვს... უცხოეთში კი თითოეული ქართველის სიკვდილი, თავისიანის სიკვდილს ნიშნავს! — მდივანი ძალიან ფერწასული და შეწუხებული დაჯდა.

მთელი ჩემი სკეპსისის მიუხედავად, მე დავიჯერე, რომ იგი სიმართლეს ამბობდა.

მდივანი მთავარი ინჟინრის სახლამდე გააცილეს საშამ და, —ჩემდა გასაკვირად, — სტეფანემ და სევერიანემ.

ჩვენ კი შინისაკენ გავსწიეთ, გზადაგზა ვთათბირობდით როგორ გვეთქვა გუგულისთვის, რომ მდივანი მის სანახავად არ მივიდოდა.

მრავალრიცხოვან წინადადებათა შორის უკეთესი კაკუნას მოგონილი აღმოჩნდა. დასაწყისისათვის, — ჩვენ ჯერ გუგულისთან არ უნდა შევსულიყავით, და დერეფანში, გუგულის კარებიდან საკმაოდ დაშორებით კაკუნასათვის ჩხუბი უნდა აგვეტეხა, გაგვემტყუნებინა (როგორც ინსცენირების ავტორმა, მან ეს როლი თვითონ იკისრა), რომ მას არ უნდა ეთქვა მდივნისთვის მისი ძმისწულის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ, რადგან მდივანი შეეკითხა კაკუნა უნდა მიხვედრილიყო, რომ იგი ნათესავის ამბავს ეკითხებოდა.

ჰოდა, მერე ამას მდივნის გულის წასვლა რომ მოჰყვა, ეს მერე, გუგულისთან მისულ სიმონას უნდა აეწერა.

გედეონი. გაფრთხილებული იყო, რომ დავის დროს მუშტიკრივზე არ გადასულიყო, რადგან გუგული სულ ერთია, ამას ვერ დაინახავდა. ხოლო აპატიურ აჩიკოს ვუბრძანეთ საერთოდ ჩუმად ყოფილიყო, რადგან მას ყალბად გამოუვიდოდა ყველაფერი, და გუგული შეიძლებოდა მიმხვდარიყო.

სცენა დერეფანში გავითამაშეთ მისი მიზნის ღირსეული სერიოზულობით. ყველაზე უშუალო მსახიობი, ჩემდა მოულოდნელად, ტოგო აღმოჩნდა. მერე ჩვენ დიდხანს ველოდეთ გუგულისთან შესული სიმონას დაბრუნებას, საცოდავმა გუგულიმ ყველაფერი დაიჯერა და შეეცოდა კიდეც „საბრალო“ მდივანი.

მერე ჩემს ოთახში განვმარტოვდი, რომ აზრები მომეკრიბა.

მომაკვდავ ადამიანზე სევდა უეცრივ შემეცვალა საყვარელ არსებასთან მომავალი შეხვედრის მგზნებარე სიხარულით... მერე კი ყველაფერი ეს იმდენად ძლიერმა გაოცებამ დაფარა, რომ

დამაკარგვინა საკუთარი აზროვნების უნარის რწმენა.

როგორ მოხდა, რომ სევერიანემ და სტეფანემ გააცილეს მდივანი, იმ საოცრად პრიმიტიული და თავისი არსით საზიზღარი კრების შემდეგ.

ისინი თუმცა კრებაზე არ გამოსულან, მაგრამ აშკარად დამანახვეს თავიანთი დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რაც კი იქ მოხდა.

... არ მესმის, არაფერი არ მესმის!.. გავიგონე მე ჩემი საკუთარი ხმა.

სტეფანეს და სევერიანეს მე სხვებზე ბევრად მაღლა ვაყენებდი ყოველ მხრივ, და ახლა... ძალიან ძნელი იყო ადამიანზე დამკვიდრებული აზრის შეცვლა. დასწყევლის ღმერთი, როდისმე ხომ უნდა მოვიკრიბო ჭკუა!

სულ რამდენიმე დღის წინათ წავიკითხე, რომ კლემანსოს ცხოვრებისეული დევიზი იყო: „არასოდეს არაფერი არ გაიკვირვო“.

ამ სიტყვებზე უკეთესი ჯავშანი ყოველგვარი განხიბვლის წინააღმდეგ. მე მგონი, არ შეიძლება იყოს.

რაღა თქმა უნდა, ჯავშანი ასრულებს თავის როლს მხოლოდ მაშინ, როდესაც მით შემოსილია ძლიერი პიროვნება, სუსტ არსებას კი არ შეუძლია ჯავშნის ზიდვა და პირველივე ბიძგი მას მიწაზე დასცემს.

მაგრამ მე ხომ შევძლებ ამ ჯავშნის ტარებას, მე ხომ... ხა, ხა, ხა!.

არ ვიცი, სულ ერთთავად ველაპარაკებოდი მე ჩემს თავს ხმამაღლა, თუ მხოლოდ დრო და დრო.

მაშ, რაღა ძლიერი პიროვნება ვყოფილვარ, თუ კი პირველივე წაკითხული წიგნის გავლენას ვერ ავცდი?! მე ხომ აქამდე სრულიად საწინააღმდეგო აზრისა ვიყავი — მე მიმაჩნდა, რომ გაოცების უნარი უდიდესი ბუნების ჯილდოა, რომელიც აქტიურს ხდის გრძნობას და აზრს, და რაც უფრო ცოტა აქვს ადამიანს ეს უნარი, მით უფრო ღარიბია სულით, და მით უფრო მეტია მასში ის ცივი გულგრილობა, რომელიც ასე მაშინებდა ზოგიერთებში... თვით საკუთარ ძმაშიც კი.

უკანასკნელ ხანს რატომ მიჩნდება სულ უფრო ხშირად გრძნობებისა და ცნებების ეს ორჭოფობა?

ამ საკითხში გარკვევისათვის უკვე დრო აღარა მქონდა, პაემანზე უნდა წავსულიყავი.

სოფლისაკენ მიმავალმა ნახევარი კილომეტრი გავიარე, მერე მარჯვნივ შევუხვიე, ტყეში შევედი და გავწიე დიდი ხნის უვალი, ბალახმოდებული და ნორჩი ყლორტებით მოფენილი გზით.

დაბლობებში, ზედმეტი სინოტივის გამო ხეები გალეული და ბეხრეკი მოჩანდა, ფერდობებზე კი — ბევრად უფრო ჯანსავსე და ნორჩი.

ტყეში სრული სიჩუმე სუფევდა, რომელსაც დროდადრო შორიდან არღვევდა გუგუს ძახილი. ერთხელ, დაქანებული ფერდობიდან გზაზე მიხაკისფერი, პატარა ბურთი ჩამოგორდა. ბურთი რამდენიმე წამის შემდეგ გაიჭიმა და ზღარბად იქცა, რომელმაც წვრილი ფეხებით საქმიანად და აუჩქარებლივ გადაირბინა გზა და მაყვლის ბუჩქებში ჩაიმალა. რამდენჯერმე თითქმის ზედ ჩემს ფეხქვეშიდან გამოხტნენ რუხი კურდღლები და ვუყურებდი რა სასაცილოდ აქიცინებდნენ ისინი თავის თეთრ უკანალს, ვიდრე ხეებს შორის მიიმალებოდნენ.

გზამ მარცხნივ გაუხვია, გადაჭრა ხევი და ბოლომდე აჰყვა ქედს, რომლის პატარა მინდორზე კონუსისებური. შუა საუკუნეების კოშკის მსგავსი, ფიცრებით შემოჭედილი საბურღავი კოშკურა იდგა. მინდორზე რომ ავედი, კოშკურას იქით, ხის დაბალი ბარაკი დავინახე, რომელსაც ზედ ჭერთან ერთი ვიწრო ფანჯარა ჰქონდა.

კოშკურის ძირში, გადარეცხილი სილის გროვაზე ეყარა ქვის პატარა ცილინდრები — ამოღებული ქანების კერნები, მათ უკან, ბალახში წითურა გველებივით გაწოლილიყვნენ ჟანგიანი, დამტვრეული მილები, ეყარა საპოხი

ზეთის გაზინთული, მიჭყლეტილი ბიდონები და ნაირნაირი რკინეულობის ნამტვრევი.

ბარაკის გვერდით კი, გადაგდებული პერანგის ნაგლეჯებში თავხედურად ამოეყო თავი ჭინჭარს, დაეღო ლურსმებით ჩამწკრივებული ყბა მეშახტის ძირგავარდნილ ფეხსაცმელს და ხომალდივით მიცურავდა ბალახის ზღვაში წვეტიანი, ცხვირაბრექილი ხის ორი გაცვეთილი საბო.[1]

თანდათან ბინდი წვებოდა, ფოთლებს ხეებზე მუქი ბოთლის ფერი დაედო და გზა კი, რომლითაც მოვედი, ღრმა ხევს დაემსგავსა.

მინდვრის განაპირას ამოსასვლელთან დავბრუნდი და ლოდინი დავიწყე.

ჩრდილო-დასავლეთიდან ახლოვდებოდნენ მძიმე, მუქი ღრუბლები, რომლებმაც მალე მთელი ცის კამარა დაფარა. უცებ ჩამობნელდა და ჩემს ირგვლივ ტყე ერთ მთლიან შავ კედლად იქცა.

არა, მას შეეშინდება და არ მოვა. ასეთ უკუნეთში ზოგიერთი კაციც კი ვერ ბედავს სიარულს... რომ წავიდე და გზასთან დავუცადო?

— აუ!... — სადღაც სულ ახლოს გაისმა როზეტას ხმა.

მე ფერდობზე დავეშვი.

— უჰ!.. —ველოსიპედი გამომართვი, — მითხრა როზეტამ, როდესაც მასთან მივირბინე. — რომ მცოდნოდა, ასეთი მძიმე სათრევი იყო, იქ სადმე ბუჩქებში მივმალავდი.

ტონი ძალზე სერიოზული და საქმიანი ჰქონდა. მე მივხვდი, რომ მას რცხვენოდა.

— როზეტა!..

მეტი ვეღარაფერი გამოვთქვი, კვლავ ყველა გაზეპირებული ფრანგული სიტყვა მჭიდროდ ჩაკეტილ სეიფში ჩამრჩა.

თუმცა, რა საჭირო იყო სიტყვები, მე ხელი მოვხვიე, როზეტა კი მთელი სხეულით მომეკრა, სული მოითქვა და თავი ჩემს მკერდში ჩამალა.

მე მესმოდა როგორ უცემდა გული, ვძღებოდი მისი თმის სურნელებით... და ვერ ვბედავდი მეკოცნა.

— გამომართვი, თუ შეიძლება, ველოსიპედი.

— მომიტევე, სულ გადამავიწყდა!— სეიფის კარი გაიღო და გამოჩნდა უსაზღვრო სურვილი მისთვის გული გამეხსნა — როზეტა, მე გადასარევად... არა... გაგიჟებით მიყვარხარ.

— ჰო... ჰო... წავიდეთ, მე შენ იმდენი რამ უნდა გიამბო...

როდესაც აღმართზე ავდიოდით, როზეტა მკლავზე დამეყრდნო და იმ უბრალო მოქმედებაში იმდენი უშუალოდობა ვიგრძენი, რომ კინაღამ დამაღრჩო იმ თავბრუდამხვევმა ტრფიალებამ.

ჩვენ ბარაკთან მივედით, ველოსიპედი კედელზე მივაყუდეთ და კართან, ერთადერთ საფეხურზე ჩამოვსხედით.

— შენ არ გეშინოდა, როცა აქ მოდიოდი?

— ჰო, ძალიან... მაგრამ ვიცოდი, რომ შენ აქ იქნებოდი, და...

— მე უშენოდ სიცოცხლეს ვერ შევძლებ, როზეტა!..

— მეც... — ძლივს გასაგონად და ძალიან უბრალოდ თქვა მან. — გულს ხომ არასოდეს არ მატკენ?

— არასოდეს, მთელს სიცოცხლეში!

—მაშ, ნუ მაკოცებ... და, საერთოდ, ნულარ შევხვდებით ერთმანეთს.

— რაო?!..

— შე არ ვიცი, რა მემართება და რატომ მოვედი აქ, მაგრამ ყველა კაცს მხოლოდ ერთი რამ უნდა... და ეს მე ისე... ეს ისეთი საშინელებაა!..

---

[1] საბო — ხის ქოშები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

ადად შენი, ადად მისი...

საქართველოვ, საქართველოვ,
უკვდავებავ ხორცშესხმულო,
გაუმარჯოს შენს დღეობას,
შენს ხელახლა დაბადებას,
მეგობრობის ნიჭო სრულო,
სიყვარულის აზავთებავ,
შენი მზე არ დაქმხობა,
სიცოცხლე არ გათავდება!

საქართველოვ, საქართველოვ,
უკვდავებად გაფოთლილო,
მთებო, — ლურჯო კიდობნებო,
ფასკუნჯებად აფოფრილნო,
გაუმარჯოს, — ვინც რომ დღემდე
შენთვის დასდო თავი თვისი,
ვინც რომ დღესაც შენთვის იღწვის, —
ჩანგი ჩემი ალალ მისი!

საქართველოვ, საქართველოვ,
სიხარულის მწვანე ხეო,
მზეო, — წრფელი, ცხელი გულის,
სიყვარულის გრძელო დღეო,
გაუმარჯოს, ვისაც შენთვის
სიცოცხლე და ბრძოლა შვენის,
ვინც გაშენა, გაღორძინა,
გული მისი ალალ შენი!

საქართველოვ, საქართველოვ,
ვისიც შენთვის იღწვის მაჯა,
ვინც შენს ტკივილს, შენს სიხარულს,
შენს სიცოცხლეს უდარაჯა,
გაუმარჯოს მის მხნეობას,
მის ზვიად სულს შეუდრეკელს,
ის გიგებდა, იგი გიგებს
უკვდავების მტკიცე კედელს!

საქართველოვ, საქართველოვ,
დამღალე, არ დამასვენო,
წარსულ დღეთა შეჭირვება
მეტი აღარ გამახსენო,
სიხარული გამიმრავლე,
მადღეგრძელე ღიმილმჩენი,
თუ დაგჭირდე, ნუ დამზოგავ, —
თავი ჩემი ალალ შენი!

საქართველოვ, საქართველოვ,
მდუღარებავ ქვის და კირის,
ვინაც თვითონ არ იკვეხნის,
ვისი საქმეც თვითონ ყვირის,
ვის უწმინდეს სიწრფოებას
ხალხის გულში უდგას ძირი,
ვისაც მხოლოდ ბრძოლა შვენის,
შენთვის დასდო თავი თვისი,
გული მისი ალალ შენი,
ჩანგი ჩემი ალალ მისი!..

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲐ ᲥᲐᲛᲘ ᲡᲘᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲡᲐ...

ეს რა ელვამ ჩამიქროლა,
ეს რა ელდა დამეცა,
გაფრთხა ჩემი წიფობელა,
უღრანებში გამექცა.
გაფრთხა ჟამი სიყმაწვილის,
სიჭარმაგეს ვიფერებ,
სადღაც ყვითელ ფოთლებიდან
იმზირება სიბერე.
კარგი იყო დღემდე ჩუმი
ჟრჟოლა ლურჯი სიზმრების,
აცვენილი სიჭაბუკე, —
ქარი თეთრი ირმების.
კარგი იყო დაბინდული
კორტოსების სიმწვანე,
მოწამლული სიყვარულის
სიტკბოცა და სიმწარეც.
აწ არ ვიცი, რა მოხდება,
რა წვა, ტანჯვა მომელის,
რას მიმზადებს, რას მაგემებს
ჩემი წუთისოფელი.
ვიდრე უღვთოდ დამცემს მახვილს
ჟამი დამამხობელი,
გააგონეთ საქართველოს
ჩემიც სამადლობელი.
ვიდრე ისევ მესიზმრება
ჩემი ლურჯი ტყეები,
ვიდრე მანთებს ჟინი ბრძოლის
ხსოვნით იმა დღეების,
ვიდრე მე ვარ ჩვენი ძმობის
ტკბილი ტაბლის მოთავე,
ნუ მიწყენთ და სავსე თასებს
წიფობელა მოგართმევთ.
იგი არის ჩემი სულის
გულდამწვარი მოსარჩლე,
სიკვდილის ჟამს მისი ერთი
შემოხედვა მომარჩენს!

ᲕᲔᲢᲧᲕᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲪᲐᲡ...

ნეტავ ფესვია ლაზის
თუ ლურჯი ტოტი ვაზის,
მახრჩობს,
მესვევა მწვანედ,
როგორც ნანგრევებს სურო,
შენ ნუ მიტირებ მწარედ,
ჩემი წინაპრის სულო!

წმინდა რტოებით ბზის
მოფენილია გზა,
თითქო მზე მირონს ღვრის,
ვეტყვი მშობლიურ ცას:
შენთვის სიკვდილი ღირს,
ვდებ სამსხვერპლოზე თავს...

ოღონდ მიმძლავრე ფესვი
ჩემი ლაზური მოდგმის,
შორი კივილი მესმის,
გამოანგრიე ლოდი,
ამოშრიალდი მწვანედ,
როგორც უკვდავი სურო,
ნუღარ მიტირებ მწარედ,
ჩემი წინაპრის სულო!..

ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲖᲔ ᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲔᲠᲔᲑᲐ,
ᲡᲕᲔᲚ ᲑᲐᲚᲐᲡᲔᲑᲖᲔ ᲘᲮᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲢᲝᲢᲔᲑᲘ ᲨᲘᲜᲓᲘᲡ,
ᲗᲘᲗᲥᲝ ᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ ᲚᲝᲠᲗᲥᲝ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲮᲐᲝ ᲛᲔᲓᲔᲑᲐ —
ᲞᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ ᲠᲐᲦᲐᲪᲐ ᲓᲘᲓᲘ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ აფრენილი;
ავარდნილი,
აცეტებული,
რაღაც უხილავს, სელუსლებელს ვეძახი, ველი
და სისხლი ჩემი — ლექსისათვის გამეტებული,
ძვალ-რბილში მტეხს და სიხარულის ჩამომდის ცრემლი!
მიხარის,
ვწუხვარ,
ვეჭვობ,
ვრწმუნდები,
სინათლე სულის ყველაფერს იტევს, —
მოვიკრეფ ძალას დაქანცული, ავბუბუნდები
და მინდვრის ფერით მოსვრილ სტრიქონს თითებზე ვიმტვრევ!..

ვაი, შენ ჩემო თავო!..

შენ რომ გიყურებ, ცაო,
ჩემი სამშობლოს ცაო,
ტანზე დამაყრის ეკლები,
გამაჟრიალებს ამოდ:
ფეხის გულებზე მედება
სველი ბალახის ხაო,
სულში სინათლე მეღვრება
და გულში ჩუმად ვნანობ:
— ოდესმე უნდა დაგტოვო, —
ვაი, შენ ჩემო თავო!..

* * *

სამშობლოსათვის წამება და თავდადება იცოდნენ,
მარაბდის ველზე გაწირა ცხრამვე ლამაზი სიცოცხლე...
დადექი მათ ცხელ საფლავზე და ერისათვის ილოცე!..

ავტოპორტრეტი

მიდის დღეები...
ჩემს სიხარულს ვწერ სისხლის ტეხით —
და რეტდასხმული ვემონები მხატვრის ლურჯ ტილოს,
შემაჟრიალებს სიყვარულის ახალი მეხი
და ტყის სიმწვანეს ვსვამ, ვითარცა ფეროვან ღვინოს.

მაგრამ ვინ არის? —
უხილავი მოდის,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არ მაცლის,
გავანდო ყველას, რასაცა ვგრძნობ,
რა ცეცხლიც მთუთქავს,
უეცრად გულში სინანული გამივლის, გამცრის
და სულს იტაცებს ამწვანებულ ჭალების სუნთქვა.

გავხედავ სერებს,
გამიტყუებს ვიღაცა გარეთ,
თითქოს მინდვრებზე მიმაფრენენ თეთრი ქორები.
მზით, ყვავილებით, წვიმის შხეფით ავივსებ თვალებს
და მიკვირს, ზოგჯერ უმიზეზოდ რატომ ვღონდები.

მესმის, მეძახის ვებერთელა თვალებით საცრის
დიდი ტყეები, ტანაყრილი ვარდების ტევრი,
მივდივარ იქით მარტოდმარტო ჭაღარა კაცი
და გზაზე ისევ ჩემს საყვარელ ლექსებსა ვმღერი...

* * *

ჩემს ნაზ მხარეში გაზაფხულზე უნდა მეწვიო,
უნდა წავიდეთ ფეხშიშველი უსიერ ტყეში.
შეღამებისას ულრანებში უნდა გეძიო
გაავებული ნადირის გეშით.

ჩემს ნაზ მხარეში ტყით დაფარულ უდაბურ ბორცვებს
შემორჩენია თოვლზე თეთრი ეკლესიები.
იქ ბინდ-ბუნდისას ფრინველები ამბობენ ლოცვებს
და შესევიან ჟამით დახრულ კედლებს იები.

ჩემს ნაზ მხარეში სიწმინდეა და სიმარტოვე
ყვითელ ფოთლების და ბეღურების.
დიდი ხანია ბალახებში რაც მიატოვეს
ღვთისმშობლის ნაზი ნაფეხურები.

ჩემს ნაზ მხარეში ცაა მყუდრო და გამჭვირვალე,
მზე თვინიერი, სერები სათნო.
ორღობეებში უთავბოლო ქარი რიალებს
და მძინარ ჩიტებს კურკანტელას ფოთლები ათბობს,

ჩემს ნაზ მხარეში გაზაფხულზე უნდა მეწვიო,
როცა გადივლის წყალდიდობა მარტის წვიმების,
უნდა გამექცე მაყვლიანში და დაგეწიო
და არასოდეს დაგავიწყდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

• • •

შენ არ გინახავს ჩემს მხარეში სასაფლაოზე
მზე ჩაწურული ყვითელ ფოთლებში,
სადაც ჩიტები სხედან ჩუმად მინდვრის ხაოზე,
მივიწყებული ეკლესიის სიმყუდროეში.

შენ არ გინახავს ჩემს მხარეში მწყემსების ფაცხა,
მწვერვალებიდან გადმომდგარი სამრეკლოები,
და ნუ მიიღებ მოწყენილი პოეტის მარცხად,
თუ ამ ხატების უნუგეშო მსხვერპლად მოვკვდები.

შენ არ გინახავს ჩემს მხარეში ყვითელი ჩალა,
ბოსტანში ყვითელ ზაფრანების ჭიაკოკონა,
არ განგიცდია ჩვენს წყაროსთან რა სევდას მალავს
ღობის მესერზე ჩამომხრჩვალი ლერწების კონა...

შენ არ გინახავს ჩვენებური საღამოები.
არა გსმენია ღამეული ხმა კრუალების,
და ნუ მინანებ ბურუსებში დანაღონები,
თუ ჩემს სამშობლოს ცოტა ადრე დავუღამდები...

შენ არ გინახავს ჩემს მხარეში საყდრის ყორეესთან,
როგორ აწვალებს ქარი სუსტი ასკილის რტოებს.
ვუახლოვდები მარადიულ სიმყუდროეს და
სველ ბალახებში ნაფეხურებს სახსოვრად ვტოვებ...

მე შენ გეძახი!..

მე შენ გეძახი, იდუმალო, მშვენიერ დღეთა —
მათოვე სხივი უქრობელი მშობლიურ მხარის,
მასმინე ჰანგი უსიერ ტყეთა
და უხილველი განმიხვენ კარი!

ამოვალ შენთან, ავმაღლდები ლურჯი მთის თხემით,
და თუ დაღლილმა ჩავიმუხლე ყანაში ქერის,
სადმე შენს ახლოს ჩამოვჯდები ხმელ კუნძზე კდემით,
მწვანე ხალათზე დამედება თავთუხის მტვერი.

იქ შენს მშვიდ თვალებს ვუგალობებ სალამურითა,
რამეთუ ვცოცხლობ და სიცოცხლე მინდა ყოველთვის,
გამიბრწყინდება საკვირველად ნაღამური ცა
და დაიღვრება რძისფერ შუქად სული პოეტის...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

• • •

Სხვისი სხვამ თქვას მეხის ტეხით,
მე ჩემი მაქვს საყვირი:
ჩემსა ცხენსა თოხარიკსა
წაუყრია აღვირი.

ცხელი ნალით დაუდაღავს
ჩემი მწვანე კორდები,
ვის რა უნდა, მე თუ შენთვის
იმ კორდებზე მოვკვდები?!

სხვამ სხვას უთხრას სხვა ტკივილით,
მე ჩემი მაქვს სამრეკლო:
ღმერთმა ნუ ქნას, საქართველო
კიდევ ვინმეს აეკლოს.

მე ჩემი მწვავს, ჩემი მშხამავს
სიყვარული უღმერთო,
შენი ხატი რომ არ იყოს,
სხვა ხატს როგორ ვუმღერო.

სხვას სხვა ჰყავდეს, — მე ჩემი მყავს
სულის ნაზი მფარველი,
წიფობელად მეცხადება,
სხვა სიხარულს არ ველი.

მე ჩემი მკლავს, ჩემი მაღრჩობს
სიხარული უძირო.
საქართველო რომ არ იყოს,
სხვა ცას როგორ ვუმზირო?!

სხვას სხვა ჰქონდეს, მე ჩემი მაქვს
სალოცავი კორდები,
ვის რა უნდა, მე თუ შენთვის
იმ კორდებზე მოვკვდები!..

მ ჯ ე რ ა...

მე მჯერა, ვიდრე სული ჩემი შენთვის მზევდება,
ჩემს საქართველოს დაგანახვებ უფრო მშვენიერს.
სიცოცხლე ჩემი არ დაბერდება,
ოღონდ სხეული უნებლიედ შეიცვლის იერს...

მე მჯერა, ვიდრე შენს ხატებას შევცქერი კდემით,
შენ განმარიდებ სიხარულით უგემურ ხმათა,
გარდაიქმნება ცხოვრება ჩემი
იდუმალ ჰანგად ხმელთა და ცათა!

მე მჯერა, ვიდრე სული მზეობს და არა აჭკნობს
სიცივე ხორცსა, — ბოლოს მტვერსა დასამარხავსა,
მე გადმოვაფრქვევ ლექსთა ხშირთა, გულისა გამჭოლს,
და არა ენამწარე კაცთა დასაძრახავსა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პუშკინი

ევგენი ონეგინი

თავი მესამე

I

„საით? ჰო, რა ხართ, თქვენ პოეტებო!“ —
„ნახვამდის. დროა. წავალ, ონეგინ“. —
„არ გიჭერ, მაგრამ თქვი, სად გეძებო,
სად გილხინდება საღამოები?“.
„ლარინებთან ვარ“. — „ძალზე კარგია,
მაგრამ, გეთაყვა! მძიმე ხარკია
ყველა საღამოს იქ დაღამება?“ —
„ოდნავაც არა“ — „მიჭირს გაგება.
აქედან მათკენ რომ ვიყურები,
ცხადად ჩანს (გჯერა ჩემი ნათქვამი?)
უბრალო რუსულ ოჯახთაგანი,
სადაც ძალიან უყვართ სტუმრები,
მურაბა, ბჭობა სოფლის ამბებზე,
წვიმაზე, სელზე, ზროხის ბაკებზე...“

II

„ეგ ჯერ სიგლახედ არ მიმაჩნია“ —
„ძმაო, მოწყენა არის სიგლახე“ —
„შემძულდა თქვენი ხალხი მანჭია,
შინაური წრის ვარ მეინახე.
იქ შემიძლია...“ — „ისევ ეკლოგა!
უფალს გავედრებ, კარგი, გეყოფა!
რა ვუყოთ, მიხვალ, გული მეწვება,
მისმინე, ლენსკი, თუ შეგეძლება
შენი ფელიდა რომ ვინახულოთ,
საგანი შენი ფიქრის, კალამის,
ცრემლის, რითმების და სხვა მრავალის.
მიმგვარე“. — „ხუმრობ“ — „არა, არ.
ვხუმრობ“.
„წავიდეთ“ — „როდის? — „თუნდაც
ახლავე.
ჩვენი მიღება მათ გაახარებს.

III

გავწიოთ“.
ორნი ქროლვით ფიცხელით
მიიჭრენ, სადაც ქეიფს გიძნელებს
ზოგჯერ უზომო გამასპინძლებით
სტუმართმოყვრული ჩვენი სიძველე.
იცავენ სუფრის ცნობილ ადათებს:
დგამენ მურაბით სავსე ლამბაქებს,
ტკბილს — გასანთლული, სავსე ხელადა
მოცვის ნაყენით შემოემატა.

. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .

IV

ყველაზე მოკლე გზაზეც ძალუმად
შინ მიაქროლებს ეტლი მეგობრებს,
ახლა დავუგდოთ ყური მალულად,
რას ეუბნება ერთი მეორეს:

„რაო, ამთქნარებ უკვე ონეგინ?“
„დამჩემდა, ლენსკი“. „უფრო ღონდები
ახლა, რატომღაც“ — „ვარ სულ
ერთგვარად,
თუმცა ველს ბინდი გადაეფარა;
ჩქარა, ანდრუშკა, გასწი, მოკურცხლე!
ეს ადგილები რა ვერანია!
მართლაც უბრალო არის ლარინა,
ძალზე კეთილი, კარგი მოხუცი,
მაგრამ მაშინებს მოცვის ნაყენით
არ შემეყაროს რამე საწყენი.

V

რომელი იყო იქ ტატიანა?“ —
„აი სწორედ ის, სევდით მოცული,
დადუმებული, როგორც სვეტლანა,
სარკმელთან დაჯდა გვიან მოსული“ —
„ნუთუ ორთაგან გიყვარს უმცროსი?“ —
„რაო?“ მერჩივნა მასზე უფროსი
შენებრ მგოსნად მქნა, მისთვის ვილოცებ:
აკლია ოლგას სახეს სიცოცხლე,
ვით ვანდეიკის ნახატ მადონებს:
პირმრგვალი არის, ღაწვებწითელი,
ვით ეს უაზრო მთვარე ყვითელი
ამ სულელური ცის კაბადონზე“
ჯერ პასუხობდა ლენსკი უნდილად,
მერე მთელი გზა იქცა დუმილად.

VI

და ონეგინის **სტუმრად მიღებამ**
ლარინებისას შექმნა საერთო
დაუვიწყარი შთაბეჭდილება,
სამეზობლოშიც ყველა გაერთო.
ვარაუდს მოჰყვა ვარაუდები,
ჩუმად მსჯელობდნენ და გამუდმებით
ხუმრობდნენ, ბჭობდნენ ენითმცოდველნი,
ვით ტატიანას ბედის მცნობელნი.
ზოგი იძახდა არ დაეჭვებით,
რომ ქორწინების საქმე მზადაა,
მაგრამ გადასდეს, რადგან გზადაა
მათთვის ახალი მოდის ბეჭდები.
ხოლო ხალხისგან ლენსკის ქორწილი
ადრევე იყო სვედალოცვილი.

VII

უსმენდა ამგვარ ჭორს ტატიანა,
სწყინდა კიდევაც; მაგრამ ფარული,
შეუცნობელი გრძნობა ეამა.
ანაზდეული სცნო სიხარული.
გაღვივდა ფიქრი გულსჩავარდნილი,
დრო დადგა — მოჰყვა ტრფობა ნამდვილი,
ასევე მარცვალს ხნულში ნასვენებს
გაზაფხულის მზე აღმოაცენებს.
დიდიხანია მის წარმოსახვას,
რომ სწვავდა სევდა, ნებიერება,
საბედისწერო საზრდო ენება;
და განიცდიდა განა ცოტახანს
იგი სათუთი გულის გმინვასაც.
დიდხანს ელოდა სული... ვიღაცას.

VIII

და, ჰა, ეღირსა... თვალთ აეხილა,
ქალწულს აღმოხდა: სწორედ ის არის!
მაგრამ მის გულში დღეღამ ცეცხლია
და მარტოობის მწველი სიზმარიც
მისით ევსება, მისთვის ღონდება,
მისნური ძალით ის აგონდება;
ბეზრდება ტკბილი სიტყვის ლამუნი,
მზრუნველ მოახლის მზერა მალული,
ნებდება ნაღველს, დარდით წამებას,
სევდიანდება ნაზი ასული,
სტუმრებს არ უსმენს ფიქრში წასული
და სწყევლის იგი მათ მოცალებას,
მათ მოულოდნელ, უცბად სტუმრობას,
მათ ჩამოსხდომის უსასრულობას,

IX

კითხულობს ახლა რა გატაცებით
იგი ტკბილ რომანს გამაბრუებელს,
რა მომხიბლავად, რა დაწაფებით
სვამს ტყუილს ლამაზს და მაცდუნებელს!
ბედნიერ ძალით ლაღმა ოცნებამ
სული შთაბერა გასაცოცხლებლად —
სიყვარულისთვის შექმნა ვოლმარი,
მალეკ-ადელი და დე ლინარი,
ვერტერი შმაგი, გაწამებული
და გრანდისონი, გმირი რომელიც
გახლავთ უბადლო, ძილის მომგვრელი, —
ნაზ მეოცნებეს მათი კრებული
ყველა ერთ სახედ ექცა მთლიანად,
ერთ ონეგინში გაერთიანდა.

X

ქალიშვილს თავი შეყვარებული
მწერლების გმირად წარმოედგინა,

მის სულთან იყვნენ შეხამებული
თვით იულია, კლარა, დელფინა.
საშიში წიგნით ტყედ ეხეტება,
წიგნში დაეძებს, წიგნში შეხვდება
თავის იდუმალ წვას და სურვილებს,
გულის სისავსის ნაყოფს უტკბილესს,
ოხვრით და კვნესით თვისად მიითვლის
სხვის აღტაცებას, სხვის აცრემლებას
და იზეპირებს შეუსვენებლად
წერილს მისაწერს ძვირფას გმირისთვის...
მაგრამ ის, გმირი მას ვინც ჰგონია
ნამდვილად განა გრანდისონია.

XI

ერთდროს მგზნებარე მგოსანს ემართა —
მთავარი გმირი მისივ ქმნილების
მაღალფარდოვან ენით ეხატა,
ვითარც ნიმუში სრულყოფილების.
იგი ტრფიალის საგანს უბადლოს,
გვაცნობდა, როგორც დევნილს უმართლოდ,
ჭკვიანად, სახესანდომიანად,
სათუთი სულის ადამიანად.
და უწმინდესი განცდით დაზაფრულს
გმირს აღტაცება ძალას მატებდა,
მუდამ მზად იყო თავდასადებად,
და მუდამ ბოლო თავის დასასრულს
ბოროტს ხვდებოდა ხვედრი ძლეულის,
კეთილს — გვირგვინი გამარჯვებულის.

XII

დღეს ბურუსშია ყველას გონება,
ძილს გვგვრის მორალი და განცხრომაში
ბიწიერება გულს ეფონება,
უფრო დიდ ზეიმს მართავს რომანში
ბრიტანულ მუზის იგავ-ზღაპრებმა
ქალწულს დაუფრთხო ძილი-ზმანება
და ახლა მისგან კერპადსმობილი
ან ვამპირია გულჩათხრობილი,
ან მელმოტია გზად მოწრიალე,
ბრძენი ურია, ანდა კორსარი
ან ხვაშიადით სავსე სბოგარი.
ლორდ ბაირონის ჟანი ბრწყინვალედ
რომანტიზმისვე ურვას მოასხამს
თვით ეგოიზმის უსასობასაც.

XIII

ძმებო, რას ვპოვებთ აქ სასიკეთოს?
ეგებ მიპირებს ზეცა მაღალი,
რომ პოეტობა მთლად აღმიკვეთოს,
სულს ჩამისახლოს ეშმა ახალი,
და ფების ზავთთა არადჩამგდები,
მდაბალ პროზამდე რომ დავმდაბლდები,
ძველი ყაიდის რომანს ხალისით
განავრცობს დღეთა ჩემთა დაისი.
არა მრისხანე საოცრებანი
და ავკაცობის ტანჯვა ფარული,
მსურს სადად გამცნოთ ჟამგარდასული
რუსული კერის გადმოცემანი,
ჯადო-სიზმარნი ძველთ სიყვარულის
და წეს-ადათნი ჩვენი წარსულის.

XIV

მამის ან მოხუც ბიძის ნაუბარს
მოგითხრობთ ახლა ერთობ უბრალოს,
შვილებს შეხვედრის ადგილს დავუთქვამ,
სადაც ბერცაცხვებს წყარო უგალობს;
აღვწერ ბედითი ეჭვის კირთებას,
გაყრას, ცრემლიან მათს შერიგებას,
ჯერ წავაჩხუბებ, ბოლოს წყვილები
შეერთდებიან დაქორწინებით.
ისევ სიამით გამახსენდება
მწველი სიტყვები ძველი ტრფიალის,
მათ წარმოვსთქვამდი გულის ფრიალით;
უმშვენიერეს სატრფოს ფეხებთან
უთქმელად ერთიც არ დამრჩენია,
ახლაკი ყველას გადავჩვევივარ.

XV

შენსავით დამდის ცხარე ცრემლები,
შენთან ვტირივარ, ო, ტატიანა!
შენივე ნებით, შენი სვე-ბედი
ხელთიპყრო ახალ მოდის ტირანმა
და განწირული, ჯერ იმედების
დამაბრმავებელ ძალით-ვედრებით
უხმობ სიძნელით მოცულ განცხრობას,
სოფლის სიამის ლამობ გაცნობას,
შხამს სვამ ჯადოსნურს და გსიამოვნებს,
ყველგან ოცნება დაგდევს ნებიერს
და წარმოდგენა ყველგან ბედნიერ
მასთან შეხვედრის ადგილს გაგონებს;
ყველგან ის ჩნდება შენთან უცვლელად,
საბედისწერო შემაცთუნებლად.

XVI

ტრფიალის სევდა ძრავს ტატიანას,
და სადარდებლად ბაღში შესულმა
უცებ დახარა თვალნი მტირალმა,

ნაბიჯის წადგმა აღარ ესურვა.
მკერდი აზიდა — ნაღვლით აღევსო,
ღაწვნი უეცარ ალით აღეგზნო,
სმენა დაეხშო, თვალთ გაუბრწყინდა,
სუნთქვაშეკრული ღამეს უცდიდა...
ღამეც დადგება, მთვარე გაჰყვება
ცის დასალიერს, როგორც ებგური,
და ბნელ ბაღნარში გახელებული
ბულბულის ლაღი სტვენა ჩაღდება,
ტატიანასაც ძილი უკრთება
და ძიძას ჩუმად ესაუბრება:

XVII

„არ მეძინება: ოჰ, რა ღამეა,
მცხელა, გააღე, ძიძა, სარკმელი.
გვერდზე მომიჯექ“ — „რა გჭირს ტანია?“
„წარსულზე თქვი რამ დარდის
წამგვრელი“ —
„რა ვთქვა, გეთაყვა? ძველთა ნათქვამი
ბევრი მახსოვდა ტყუილ-მართალი,
ამბებს ვყვებოდი ხან ავსულებზე,
ხან ალქაჯებზე და ქალწულებზე;
რაიც ვიცოდი, წარსულს მივანდე,
ახლა რას ვხედავ, გარდა სიბნელის
და ჩემი ჯერი სადღაც მიმელის.
დავჩაჩანაკდი“... — ძიძა, მიამბე,
თქვენდროინდელი, ძველი რაც არი:
მაშინ ტრფიალით იყავ დამწვარი?“

XVIII

„რა თქვი, ტანია, რას გავბედავდით
იმ დროს ტრფიალის წამით ხსენებას;
რომ გაეგონა საწყალ დედამთილს,
წუთისოფლიდან გამაძევებდა“. —
„ვით მოხდა შენი დაქორწინება?“
„უფალმა, ალბათ, ასე ინება.
ვანია იყო ჩემზე პატარა,
მე კი — ცამეტი წლის კაფანდარა.
ორ კვირას ვლიდა ჩვენთან მაშვალი,
ბოლოს საშველი როცა არ მოგვცა
ჯვარდასაწერად მამამ დამლოცა
ცხარედ ვტიროდი შიშით გამშრალი,
ჩამომიშალეს ბავშვს ნაწნავები
და საგალობლით საყდარს წავედით.

XIX

და აი, უცხო ოჯახს მიმგვარეს...
გატყობ, მოსმენა აღარ გწადია...
„ოხ, კარგო, ვარამს რა განმიქარვებს,
გული მელევა, ჩემო გადია.
ქვითინი მინდა, მზად ვარ სატირლად,
„ავად ხარ, ჩემო ბალღო, ნამდვილად.
ღმერთო, მოხედე და შეივრდომე,
რა გინდა შვილო? რამე ინდომე...
კარგია წმინდა წყალის პკურება,
ერთიან იწვი...“ „არ ვარ სნეული
ჩემო ძიძა, ვარ... შეყვარებული“ —
„ღმერთმა გარიდოს უბედურება!“ —
გამდელი მისწინ იქცა ღაღადად
და მიმჭკნარ ხელით პირჯვარს სახავდა,

XX

„მიყვარს“, — კვლავ ესმა ძიძას ჩურჩული
და თვალნი ასულს ცრემლით აღევსნენ.
„ჩემო ნუგეშო, გთანგავს უჟმური“. —
„შეყვარებული ვარ და დამეხსენ“.
ამ საუბრისას დისკო მთვარისა
აღვრიდა მიმკრთალ ნათელს ქარვისას
ნაზ ტატიანას ფერმკრთალ მშვენებას,
მხრებზე ჩამოშლილ თმების ჩქერებსაც
წვეთებს ცრემლისას და სკამ-სავარძელს
და იმ ყმაწვილი ქალის პირდაპირ
ჭაღაროსანი, თავსაფრიანი
ბებრის დაბამბულ და გრძელ ტანსაცმელს;
ყოვლისმომცველი თვლემდა სიწყნარე
შთამაგონებელ მთვარის წინარე.

XXI

და ტატიანა მთვარის ცქერისას
გულსმინდობილი ცხრა მთას გადევლო...
უეცრად, აზრის გაელვებისას,
იტყვის: „დამტოვე მარტო, გამდელო.
მაგიდა ახლოს მოდგი წასვლამდის,
მომეც კალამი, სუფთა ქაღალდიც.
მალე დავწვები. ახლა ნახვამდის.
და, ჰა, მარტოკას მთვარე დაჰნათის.. .
წერს მაგიდაზე მკლავდაბჯენილი,
თავს დასტრიალებს ფიქრით ონეგინს,
ქალწულურ ტრფობის უმანკოებით
ნაუცბათევი სუნთქავს წერილი.
კეცავს, ბარათი უკვე მზადაა,
თქვი, კარგო! ვისდა ალერსადაა?

XXII

ვიცნობდი ტურფებს— ხელუკარებლებს,
ცივებს, ვით ზამთარს და უბიწოებს.
უანგაროებს, შეუბრალებლებს,
ჩვენი გონების თვალმიუწვდომლებს.
მათი მოდური უხიაკობა
და ბუნებრივი გულღიაობა.
— კიდეც მაფრთხობდა, გამოგიტყდებით,
მათ შუბლზე შიშისმგვრელი სიტყვებით
ჯოჯოხეთური დამღა მაკრთობდა:
„სამარადისოდ დასთმე იმედი“.
სიყვარულს გმობდნენ ავბედითები,
შვებას მატებდათ ხალხის დაფრთხობა.
ნევის ნაპირას მათი მსგავსები,
ალბათ, გინახავთ თქვენც ლამაზები.

XXIII

პირმშვენიერთა თაყვანისმცემელთ
წრეშიც ვხვდებოდი ქალებს უცნაურს, —
თავმოწონებით, ცივად ისმენდნენ
ვნებიან ოხვრას და ქათინაურს:
და რა შევნიშნე მათ გაოცებით?
ისინი გულგრილ, მკაცრი მოქცევით
ჯერ აშინებდნენ სათუთ სიყვარულს,
მერე, თითქოსდა გრძნობდნენ სინანულს,
ხმაგანაზებით, ლამაზ სიტყვებით
შეეძლოთ გულის მონადირება,
მოჩვენებითი მონანიება.
და ყრმა მიჯნური თავდავიწყებით,
ბრმად აყოლილი მათ სათნოებას
მისდევდა წარმტაც ამაოებას.

XXIV

რა არის ცოდვა ტატიანასი?
ის, რომ არაა ტყუილს ჩვეული.
მისი ბუნება ნაღდი, ხალასი
და სწამს ოცნებით გულის რჩეული?
რომ ფანდს ვითარსი სიყვარულისას
არ ცნობს, მორჩილად მისდევს გულისხმას,
რომ არის იგი ასე მიმნდობი,
ღვთისგან აღსავსე მიამიტობით,
წარმოსახვათა ამძვინვარებით,
გონებისა და ნების სილაღით,
თავისებური აზრის სიახლით,
სულის სინაზით და მგზნებარებით?
მას განუსჯელი ეს აღტყინება
ნუთუ არც თქვენგან ეპატიება?

XXV

კეკლუცი ქალი განსჯის გულცივად
წრფელია ტრფობა ტატიანასი
და მინდობია უხმოდ, უძილოდ
სიყვარულს, როგორც ბავშვი ხალასი.
იგი არასდროს იტყვის: გადავდოთ,
სიყვარულს მეტი ფასი დავადოთ,
ხლართში რომ უფრო ნაღდად გაებას,
ჯერ გავუკენწლავთ თავმოყვარეობას
იმედით, მერე სასოწარკვეთით
გულზე წამებად აღვებეჭდებით,
კვლავ გავაცოცხლებთ მწველი ეჭვებით,
თორემ განცხრომით ამოდ ნათენთი
და ბორკილების მონა მზაკვარი
გამოსასხლტომად მუდამ მზად არი.

XXVI

სხვა სიძნელეთაც ვხედავ წინასწარ:
ქვეყნის ღირსება დაუმცირებლად
უნდა დავიცვა და ტატიანას
წერილი ვთარგმნო აუცილებლად
რუსულის ცუდად მცოდნე ქალიშვილს
არც ჩაუხედავს ჩვენს ჟურნალებში,
ძალზე უჭირდა მას წინაპართა
ენაზე სწორად აზრის გამართვა.
დიახ, ფრანგულად წერდა ტანია...
რა ვქნა! გახსენებთ კვლავ დანანებით:
ჯერაც რუსულად ტრფობა დამების
არ გამოთქმულა, რაც მართალია...
ჯერ სიზვიადე ჩვენი ენისა
საფოსტო პროზას ვერ შეეთვისა.

XXVII

ვიცი: ბანოვანთ ძალით აჩვევენ
რუსულად კითხვას. აი საშველი!
მაგრამ ვინაა მათში, მაჩვენეთ,
„Благонамеренный-ს“ გამშლელი.
ჩემო მგოსნებო! დამემოწმებით:
ხომ მართალია, თქვენი ოცნების
საგანთ შესწირეთ ჩუმად ოდები,
რომ წაგეშალათ ლექსით ცოდვები.
მათ მიუძღვენით გული სამადლოდ,
მათგან მსჯელობდა ყველა რუსულად.
მაგრამ რა ტანჯვით, რა უსუსურად
ამახინჯებდნენ ენას საამოდ,
და უცხო ენა მათდა ბაგეთგან
მშობლიურ ენად არ გადაკეთდა?

XXVIII

ღმერთს ვთხოვ, ბალზე ან ხალხის
დაშლისას
ჩემთან შეხვედრა არ გაეფიქროს
სემინარიელს ყვითელშალიანს
ან თალფაქიან აკადემიკოსს.
როგორც ლალისფერ ბაგეთ-უღიმართ,
მე გრამატიკის წესდაურღვევად
არ ავირჩევდი რუსულს ტრფიალად
და შეიძლება ჩემდა ტიალად
ახალთაობის ლამაზმანებმაც
ჟურნალთ მუდარის ხმა შეიწყალონ,
რომ გრამატიკა მათგან ვისწავლოთ;
ლექსმა ივარგოს გასახმარებლად.
მე კი... მე აბა რა მენაღვლება?
მე და.. წარსულზე ხელის აღება?!

XXIX

სიტყვა უსწორო, გაუმართავი
და დაუდევრად ატიკტიკება
უწინდებური გულის ფართქალით
მკერდში წარსულად ამიტირდება.
მონანიებით ვერ ვიღაღადებ,
გალიციზმებსაც ვერ ვუღალატებ,
ყმაწვილურ ცოდვებს ვერ გავექცევით,
ვერც ბოგდანოვიჩს — თავის ლექსებით.
მაგრამ დამაცათ, ჯერ სათარგმნელად
ჩემი ლამაზის მელის უსტარი,
პირობა დავდე, ახლა უარი
მზადა მაქვს სიტყვის გადასათქმელად.
ვიცი: კალამი ნაზი პარნიკა
ახალმა მოდამ იუკადრისა.

XXX

ლხინის და სევდის მგოსნად ცნობილო,
ახლოს რომ მყავდე დღეს სანუკვარი,
შეგაწუხებდი, ჩემო ძმობილო,
მოურიდებელ ხვეწნა-მუდარით.
ეგებ შეგეწყო ჰანგი გრძნეული
ვნებათაღელვად გადაქცეული
ქალწულის უცხო ენით ვალალთან.
სადა ხარ? მოდი მინდა სალამთან
ერთად გადმოგცე ჩემი უფლება...
მაგრამ მწუხარე კლდეებს ეული
უმზერს შექებას გადაჩვეული,
თავზე ფინეთის ცა ექუფრება,
დაეხეტება, და მის დაღვრემილ
სულს არ ჩაესმის ჩემი ნაღველი.

XXXI

ხელთ მაქვს წერილი ტატიანასი;
ვივალე მისი წმინდად შენახვა,
ვკითხულობ მალულ დარდით აღსავსე.
და გადაკითხვა მინდა ხელახლა.
მან ეს სინაზე ვით შეითვისა
ან ეს სილაღე ზარიფ სიტყვისა?
ვინ შთაუნერგა როტვა საამო,
გულის ღაღადი შეუსაბამო —
ეგზომ წარმტაცი და უკუღმართი?
ვერ გამიგია, მაგრამ მთავრდება
სუსტ და არასრულ ნათარგმანებად
ფერმკრთალი ასლი ცოცხალ სურათის
ან მფრთხალ მოწაფე ქალთა დაკრული
ფრეიშიცივით ხმადაკარგული.

ტატიანას წერილი ონეგინს

წერილს გწერთ, მეტი რა შემიძლება?
სხვა რა სათქმელი მრჩება საშველად?
ახლა კი ვიცი, ნება გეძლევათ —
ზიზღი მოიღოთ ჩემს დასასჯელად.
მაგრამ თუ წამლად მოგეძევებათ
სულ მცირე ცვარიც სიბრალულისა,
არ მიმატოვებთ ბედშავს უღირსად.
თავიდან ჩუმად მოცდა მეწადა;
მერწმუნეთ: ჩემს წვას კდემა-რიდებით
თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებდით,
იმედის სითბო რომ განმეცადა,
თუნდაც კვირაში ერთხელ, ხანდახან,
მრგებოდა ჩვენსას თქვენი დანახვა.
მხოლოდ მესმინა თქვენი სიტყვები,
მეც მეთქვა რამე, მერე დღედაღამ
კვლავ შეხვედრამდე ერთზე მენაღვლა,
ერთზე მეფიქრა თავდავიწყებით.
მაგრამ შევიტყე: არვის კადრულობთ,
გთანგავთ სოფელი სევდის მომგვრელი.
ჩვენკი... ჩვენ რა გვაქვს სასიქადულო,
და მაინც წრფელი გულით მოგელით.
მაშინ რად, რისთვის შემოგვიარეთ?
ყრუდ და ტიალად შთენილ სოფელში
არ ვიგემებდი ტანჯვის სიმწარეს,
არ მეცნობოდით ჩემს სიცოცხლეში
სული, უჩვევად რომ მაწრიალებს,
დამშვიდდებოდა (მაგრამ ვინ იცის?..)
ალბათ, ვპოვებდი გულის მეგობარს,
შევძლებდი ნამდვილ მეუღლეობას,

გავწევდი დედის ამაგს შვილისთვის.
სხვა ვინმე!.. არა, მთელს დუნიაზე
გულს ვერავისით ვერ აღვივსებდი,
უზენაესთან ასე იაზრეს... 5
შენი საბედო მე ვარ ღვთის ნებით.
სიცოცხლე ჩემი ექცა საწინდრად
ჩვენს სწორ პაემანს და მწამს მარადის.
განგებამ ჩემთვის ამოგაბრწყინა,
რომ მიმფარველო კუბოს კარამდის. 10
მომვლინებიხარ ბევრჯერ სიზმრებში,
უკვე გეტრფოდი ჯერაც უხილავს,
ვიწამე შენი მზერა წუხილად,
შენი ხმა ჟღერდა სულის სიღრმეში.
ადრე... არ იყო, არა, სიზმარი!.. 15
შინ შემოსვლისას გიცან უმალვე,
დავბნდი, მომენთო ალი მხურვალე
და გამიელვა ფიქრმა: ის არის!
ხომ მართალია? შენ სიჩუმეში
ვისმენდი ცხადად, განა ოცნებით. 20
ოდეს ვზრუნავდი ღარიბთ ნუგეში
ან ათრთოლებულ გულს საგულეში
როს ვაბუდებდი ტკბილი ლოცვებით.
და სწორედ იმ დროს, ვით აცხადება,
შენ არ იყავი, ძვირფას ზმანებად 25
მჭვირვალე ბინდში რომ ჩამოეშვი?.. 23
ჩემს სასთუმალთან შესდეგ უჩუმრად,
შენგან არ მესმა ტრფობის ჩურჩულად
გამხარებელი სიტყვა ნუგეშის? 20
ვინც ხარ, მზაკვარი და სათაელი,
თუ ანგელოზი ჩემი მფარველი:
გახსენ ეჭვები გადაკვანძული.
ეგებ არაფრად ჩასაგდებია
სულის ცდუნება ახალგაზრდული! 15
და სხვა წილხვედრი გამმზადებია...
რაც მოხდა, მოხდა, ერთი იმედით
ამიერიდან ჩემს ბედს გაბარებ.
შენთან მუდარის ცრემლად ვიღვრები,
მფარველის ფრთებსაც შენ დამაფარებ. 10
წარმოიდგინე: მარტოდ დარჩენილს
გონება მერთმის და მებანგება,
არავის ძალუძს ჩემი გაგება
და ჩუმად სიკვდილს ვერ გადავრჩები.
შენ გიცდი: მხოლოდ ერთი დახედვით 5
გამიცოცხლებდე ჩამქრალ იმედებს,
ან მძიმე სიზმარს გადამიკვეთდე,
ვაგლახ, საკადრის წამოძახებით.
ვამთავრებ! ვშიშობ კვლავ გადაკითხვას...
სირცხვილით ვიწვი და ვიდაგები...
მაგრამ თქვენს სინდისს ვენდე განმკითხავს,
და ის იქნება ჩემი თავდები...

XXXII

ხან გმინავს და ხან ოხრავს უჩვევად, 5
უთრთის ტანიას ხელში წერილი.
სიმხურვალისგან პირი უშრება, —
ენა ვარდისფრად აქვს შეფერილი.
გვერდზე დახარა თავი უძლურად,
სიფრი პერანგი ჩამოუცურდა 10
უმშვენიერეს მხრებზე ქალიშვილს...
ჰა, ქრება მთვარის შუქი და ნისლში
ველი თანდათან სახიერდება,
ვერცხლისფერდება შორს ნაკადული
და სალამურის ჰანგი გაბმული 15
სოფლის მაღვიძრად ახმიერდება,
ყველა ამდგარა დიდიხანია,
ტატიანასთვის დილაც ღამეა.

XXXIII

ვეღარ შეხედა შუქს განთიადის,
ზის თავდახრილი და დაქანცული, 20
თავისი ბეჭდით ჩუქურთმიანით
ჯერ არ აწვება ბარათს ქალწული.
ამდროს კარები ფრთხილად იღება 20
და თმაჭაღარა ფილიპიევნა
ასულს ლანგარით ჩაის მიართმევს.
„ადექი, ჩემო თვალის სინათლევ:
უკვე მზადა ხარ, ჩემო ხატებავ!
ჩიტი ბუდიდან უცბად ფრინდება! 15
გუშინ შემზარა შემოღამებამ!
ახლა უკეთ ხარ. უფალს დიდება!
ვერ გამჩნევ ღამის სევდის ნასახსაც,
ყაყაჩოსფერი გშვენის ხასხასა“.

XXXIV

„ოჰ, დამდე ვალი, ჩემო გადია...“ 10
„ბრძანე, ჭირიმე, თქვი სათხოვარი“ —
„ნუ ფიქრობ... თითქოს ეჭვი.. ნამდვილად...
ხომ ხედავ.. ოჰ! არ... მითხრა უარი“.
„ღმერთი გიშველის კეთილ ქალიშვილს“.
„მაშ ასე, ჩუმად, შენი ბადიშის 5
ხელით გაგზავნე ესე უსტარი,
ო... ნთან... მეზობლად... თან დაუბარე
არსად წამოსცდეს რამე ზედმეტი,
არსად მახსენოს, არ გამამხილოს“.

„ვისთან გავგზავნო, ჩემო გაზრდილო?
არამესმისრა, გამოვჩერჩეტდი.
გარშემო ბევრი მეზობელია,
მათი ჩამოთვლაც ეგზომ ძნელია...“

XXXV

„რა მიუმხვდარი რამ ხარ, გადია!“ —
„ჩემო კეთილო, ჟამით დაღლილი
დავბერდი, თავი აღარ მაბია,
ერთდროს მიჭრიდა აზრი მახვილი,
ერთდროს ბატონის ძალა-უფლებით...“
„ოჰ, ძიძა, ძიძა, რას მეუბნები?
რა მეკითხება შენი გონების?
წერილს მივაწვდით დღესვე ონეგინს?“ —
„ჰო, ეგრე გეთქვა, რად გამაწვალე.
უგონო ბებერს ნუ მიცხარდები,
ველარ გაგიგე გულის ნადები.
ისევ გაფითრდი, შენ გენაცვალე?
„არაფერი მჭირს, ძიძა, საშიში.
ოღონდ, გაგზავნე შენი ბადიში“.

XXXVI

დღე გადის. ელის პასუხს ქალწული,
მეორე დღესაც უცდის ბოლომდის,
ლანდადქცეული, დილით ჩაცმული
წუხს ტატიანა, უძლებს მოლოდინს.
ხვდებიან ოლგას თაყვანისმცემელს:
„თქვენი მოყვასი აღარ გვიხსენებს,
არც დღეს გვესტუმრა, ალბათ
გვემდურის?“
დიასახლისმა თქვა საყვედურით.
შეცბა, ათრთოლდა მთლად ტატიანა.
„იგი დღეისთვის მოსვლას შემპირდა, —
გაეპასუხა ლენსკი შეკითხვას, —
და ალბათ ფოსტამ დააგვიანა“
ტანიას თვალნი ძირს დაეხრება,
თითქოს ჩაესმა კიცხვა-ყვედრება.

XXXVII

ბინდდება. უსმენს სუფრა საღამოს
სამოვრის შიშინს, ზედ რომ ცხელდება
ჩინურ ჩაიდნით ჩაი საამო
და ქვეშ ბოლქვებად ორთქლი ედება.
მუქი ჭავლისფრად გადმონასხური,
ფინჯნებში ოლგას ხელით ჩასხმული
სურნელოვანი ჩაი ქაფქაფებს,
ბიჭი ნაღბიანს აწვდით ლამბაქებს.
დგას ტატიანა განზე — ხარგმელთან,
ცივ მინას ორთქლავს თბილი ნასუნთქით,
და მერე იგი — თითებსათუთი
შენისლულ შუშას ხაზავს რკალებად,
ბოლოს ფიქრიან მზერას მოავლებს
თავის სანუკვარ ვენზელს ო-ს და ე-ს.

XXXVIII

მას უკვნესოდა სული მაშინაც,
უვსებდა დაღლილ თვალებს ცრემლები,
უცებ თქარუნის ხმამ შეაშინა,
იქვე, ეზოსთან შედგნენ ცხენები.
ევგენი მოდის. „ახ“! — და იმწამსვე
ჩრდილზე მსუბუქად დახტა წინკარზე,
იქიდან იგი ბაღში მოხვდება;
მიჰქრის, აშინებს უკან მოხედვა.
შემოუფრინა გარს ტატიანამ
ტბას, კორდს, ბოგირებს, კორომს,
გუბიანს,
ყვავილნარს გულზე გადაურბინა,
იასამნები გაატიალა.
და ნაკადული სადაც ეგულვის,
იქვე, ზედ სკამზე სუნთქვაშეკრული

XXXIX

დაეცა...
—„ჩვენთან არის.. ევგენი!
ო, ღმერთო, ნეტავ რა განუზრახავს?“ —
და გული სავსე სიმწრით, გვემებით,
იმედის მღვრიე სიზმარს უნახავს.
ქშენს, ტანში ზარავს სიცხით ალეწილს
უცდის, ის ნახავს? მაგრამ არ ესმის,
ბაღში ბუჩქების კვალს მიჰყვებოდნენ,
კენკრას კრეფდნენ და ძალით მღეროდნენ
მოახლეები (ბრძანეს ზემოდან,
რომ საბატონო ბაღში კრეფისას
მათს ცბიერ ტუჩებს ჭამა კენკრისა
ჩუმად, მალულად არ შესძლებოდათ
დასაქმებულებს ძალად გალობით;
სოფლურ ანგლობის დიდი წყალობით!).

ქალიშვილთა სიმღერა

ხათუნებო, ტურფებო,
დაქალებო, ნანატრო,
იცეკვეთ, ხათუნებო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუარეთ, კარგებო!
წამოიწყეთ სიმღერა,
სიმღერა სანუკვარი,
მოხიბლეთ მზეჭაბუკი,
მოიზიდეთ ფერხულით,
მზეჭაბუკს რომ მოვხიბლავთ,
რომ შევნიშნავთ შორიდან,
გავიფანტოთ, კარგებო,
ერთბაშად დავუშინოთ
მზეჭაბუკს ალუბალი,
ზედ ჟოლოც მივაყოლოთ
და წითელი მოცხარი.
ნუ მოდიხარ საამენად
სიმღერის სანუკვარის,
ნუ მოდიხარ საცქერად
ხათუნების გართობის.

X

ასე მღერიან და ხმას წკრიალას
უგულოდ უგდებს ყურს სევდიანი,
თან მოუთმენლად სურს ტატიანას,
რომ დაუწყნარდეს გულის ფრიალი,
რომ გაინელონ ალი ღაწვებმა,
მაგრამ მთრთოლვარე მკერდი არ ცხრება,
აღარც ღაწვების ცეცხლი ნავლდება
და უფრო მეტი გზნებით ალდება...
ასე პეპელა კრთება საწყალი,
როცა ფრთებს ჭრელად ანაბდღვიალებს.
ცელქი მოწაფის ხელთ აფრთხიალებს.
კურდღელსაც ხნულში იტანს კანკალი
როცა შორიდან უცბად გალანდავს
თოფიან კაცის ბუჩქთან განაბვას.

XI

ბოლოს აღმოხდა ოხვრა ქალიშვილს,
ადგა, სკამიდან წამოიმართა,
ბილიკს დაადგა და მოსახვევში,
ხეივნის ახლოს ამდროს ინათა
მწველი თვალების შუქმა მის მხარეს,
ევგენი აჩრდილს გავდა მრისხანეს,
როგორც დამწვარი და დახანძრული,
ვეღარ დაიძრა, დადგა ქალწული.
მაგრამ იმედით სავსე შეხვედრის
შედეგის თხრობა ახლა ძნელია.
რაც მითქვამს ისიც ამბად გრძელია.
მკითხველო, მიხმობს დრო შესვენების,
გასეირნების, ძილის დრო მოდის:
მერე როგორმე გეტყვით ბოლომდის...

თარგმნა **ოთარ ჭელიძემ**

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლონიოს როდოსელი

არგონავტიკა

შიშმა შეიპყრო მაშინ მედეა, შეძრწუნებული შესთხოვდა გმირებს,
ხან ტირილით და ხვეწნა-მუდარით ლამობდა მათი გულის მოგებას,
ხან ალკინოეს სათნო მეუღლეს მუხლებზე კოცნით ეუბნებოდა:
„ო, დედოფალო, კოლხებს ნუ მიმცემ, მუხლმოდრეკილი გემუდარები!
არ გამწირო და არ გამიმეტო მე მამის სახლში დასაბრუნებლად,
თუ გაქვს გული და თუ შენც ეკუთვნი ადამიანთა გვარსა და მოდგმას.
ხომ იცი, მოკვდავს ცქაფი გონება და საქციელი რა უცებ ღუპავს!
ეს არის ჩემი დანაშაულიც. მეც მიღალატა საღმა გონებამ,
ეს არ მომსვლია ავხორცობითა. ვფიცავ წმინდა შუქს ჰელიოსისას,
და პერსეიდის, ღამის დედოფლის, წმინდა ჰეკატეს საიდუმლოსა, 1020
რომ უხალისოდ დავტოვე ჩემი მშობელი მხარე, და მხოლოდ შიშმა
შემაძლებინა, ამ უცხო კაცებს ავდევნებოდი უცხო მხარეში.
ერთხელ შევცოდე, და ცოდვის შიშმა მე ჩამინერგა გაქცევის აზრი.
სხვა რამ განზრახვა არა მქონია, და სიქალწულის სარტყელი ჩემი
შეუხსნელია, ხელუხლებელი, ვითარცა მამის სასახლის ჭერქვეშ.
ო, მბრძანებელო, იყავ მოწყალე და დაითანხმე შენი მეუღლე!
სამაგიერო გიზღონ ღმერთებმა — შვება, სიმდიდრე, მშვენება სრული,
დიდხანს სიცოცხლე ძვირფას შვილებში, ურღვევ ქალაქის სახელ-დიდება!“
ასე შესთხოვდა ცრემლთა მთოველი ტურფა მედეა სათნო არეტეს,
და სათითაოდ ქებულ გმირებსაც ეუბნებოდა მავედრებელი: 1030

„ო, ვაჟკაცებო სწორუპოვარნო, რომელთაც ქვეყნად არა გყავთ ტოლი,
თქვენი ჯაფისთვის ვარ ჩავარდნილი ამ უსაშველო, საშინელ დღეში!
თქვენთვის ვეწამე, ჩემი შეწევნით ცეცხლისმფრქვეველი სძლიეთ ხარები,
მიწისშობილი ბუმბერაზებიც ხომ დაამარცხეთ ჩემი წყალობით!
ოქროს საწმისი ჩაგიგდეთ ხელთა, ჰემონიაში ჩაიტანთ მალე!
მე, ვინც დავღუპე თქვენთვის სამშობლო, სიცოცხლის შვება დავთმე სრულიად,
და ყველაფერი მოვიმოქმედე, რომ დაუბრუნდეთ მშობლიურ კერას,
სადაც შობილხართ და გიცხოვრიათ... ისევ იხილავთ თქვენთა მშობელთა,
ისევ იხარებთ, და მე კი ბედმა ჩამიკლა შვება, მომიკლა გული, 1040
მივეხეტები უცხო მხარეში, ასე ყველასგან მოძულებული. —

დასასრული .იხ. „მნათობი“, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთხოვთ .გეშინოდეთ თქვენი ფიცისა, შურისმგებელი ერინიების!
მაშინ სადღაა კაცობა თქვენი, თუ აიეტის ხელში ჩამაგდეთ
და დავისაჯე შეუბრალებლად — გაგიწყრებიან მაღლა ღმერთები!
არც ტაძარია ჩემი მფარველი, არც ზღუდის კედლებს ვაფარებ თავსა.
თქვენ შემოგცქერით ხიზანი თქვენი და დახმარებას თქვენგან მოველი.
ხართ საბრალონი — ეგზომ ჯიუტნი და უწყალონი! არც კი გრცხვენიათ,
რომ თქვენს წინაშე უცხო დედოფალს ვევედრებოდი მუხლმოდრეკილი!
გამოგეცადათ ჯერ თქვენთა ხმალთა ფხიანობა და შუბთა კვეთება,
შესტაკებოდით კოლხთა მხედრობას, ოქროს საწმისზე გადარეულნი, 1050
თუნდ შეყრილიყო მთელი კოლხეთი აიეტ მეფის წინამძღოლობით!
თქვენ ვაჟკაცობა დაგვიწყებიათ, კანკალებთ მუჭა ლაშქრის წინაშე“.

ასე ამბობდა მავედრებელი, და ყველა, ვისაც ეხვეწებოდა,
ცდილობდა ქალის დაშოშმინებას, მწუხარებაში ნუგეშისცემას;
ზოგი შუბს რისხვით აქნევდა მაღლა, თანაც მედეას უჭერდა ხელსა,
ზოგმა ხმალს იკრა ქადილით ხელი, შეწევნის იმედს აძლევდა ყველა,
თუკი სამსჯავრო მრუდე განაჩენს გამოუტანდა და გასწირავდა.
ვიდრე თათბირი გაგრძელდა დაბლა, ზეციდან უკვე მწუხრიც დაეშვა,
დაღლილ მოკვდავთა შემსვენებელი და დედამიწის დამწყნარებელი.
ყველას ეძინა. მხოლოდ მედეას ვერ მოუხუჭა ღამემ თვალები. 1060
საბრალო ქალწულს ფიქრი და ზაფრა მკერდში გულს ისე უტრიალებდა,
ვითარცა მარჯვე მრთველი თითისტარს დილამდე ახვევს და ატრიალებს,
ირგვლივ ობლები მშიერ-მწყურვალნი შემოსტირიან საბრალო ქვრივსა,
ის კი, უმწეო და უნუგეშო, უჩივის მძიმე ბედსა და წერას,
წუხს დაღდასმული და ღაპაღუპით მოედინება ღაწვებზე ცრემლი,
ქალწულ მედეას ღაწვებსაც ასე ნამავდა ახლა მდუღარე ცრემლი,
გული კი, გული, მწარედ ვნებული და გათანგული, არ წყვეტდა კვნესას.

ამ დროს ქალაქში, სრა-პალატებში, როგორც ყოველთვის, იჯდა ხელმწიფე,
და დედოფალიც, სათნო არეტე, გვერდს უმშვენებდა ალკინოესა.
ღამე იყო და მეფე-დედოფალს სხვა სათათბირო არა ჰქონდა რა, 1070
მედეას ამბავს სჯიდნენ საწოლზე. უცებ არეტემ წამოიწია,
კანონიერ ქმარს მიუბრუნდა და ალერსიანად უთხრა: „ძვირფასო!
ძვირფასო ჩემო, თუ გსურს მაამო, იხსენ მედეა კოლხებისაგან
და დაეხმარე მინიელებსაც, ჩემი გულისთვის უშველე გმირებს.
ჩვენგან ხომ ასე ახლოს ცხოვრობენ არგოსელნიც და ჰემონიელნიც,
აიეტის კი, ცხრა მთის მიღმელის, მხოლოდ სახელი გაგვიგონია,
და ზღაპრად გვესმის მისი ამბავი, ხოლო ის სათნო კოლხი ქალწული
მე შემევედრა, გული მატკინა ბედშავმა თავის ხვეწნა-მუდარით.
არ დათმო, მეფევ, არ მისცე კოლხებს იმ ქალის თავი დასაჩაგრავად!
პირველად მაშინ შესცოდა, როცა ჯადო-წამალი მისცა იაზონს, 1080
რათა ეძლია შმაგი ხარები. მერე ცოდვაზე დაურთავს ცოდვა, —
რაც ასე ხშირად მოგვდის მოკვდავებს, — და სასტიკ მამას გამოჰქცევია,
რადგან მიუხვდა მრისხანე მეფე, უზომო რისხვას გამოერიდა.
ახლა გავიგე, რომ დიდი ფიცით არის შეკრული ეზონის შვილთან:
უნდა მეუღლედ კანონიერად შევიდეს იმის საკუთარ სახლში,
და ნუ ინებებ, ჩემო ხელმწიფევ, რომ იაზონი, ქებული გმირი,
ფიცის გამტეხი გახდეს ვერაგი, ნურც შენ დაუშვებ შენდა თავადა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ღვიძლი მამის უსაზღვრო რისხვის მსხვერპლად დაეცეს ქალწული ქალი!
ულმობელები არიან ხშირად აკი მამები ასულთა მიმართ.
გახსოვს, რა უქნა მამამ ნიქტევსმა ანტიოპესა პირმშვენიერსა?[92] 1090
რამდენი ტანჯვა გადაიტანა ბობოქარ ზღვაში ნაზმა დანაემ[93]
მამის უგნური წყრომის წყალობით! და განა ისე დიდი ხანია,
რაც ეექტოსმა,[94] თავხედმა კაცმა, აგერ მეზობლად თავის ქალიშვილს
სპილენძის ჯოხით თავწვეტიანით ასულს დასთხარა ორივე თვალი?
საბრალო ქალი დღესაც ბნელში ზის და სპილენძსა ფქვავს დოლაბებითა!"

ასე შესთხოვდა არეტე ქმარსა, გული მოულბო ქალმა ხელმწიფეს
და ფიქრის შემდეგ თანამემცხედრეს ასე მიუგო ფეაკთა მეფემ:
„მე შემიძლია უკუვაქციო კოლხი მდევარი იარაღითა
ქალწულისათვის, და დავეხმარო ამით იმ მამაც მინიელებსაც,
მაგრამ ვაი თუ სტუმართმოყვარე ზევსის კანონი შევლახო ამით! 1100
არც აიეტის გადაკიდება ივარგებს ჩვენთვის, სიმართლე გითხრა!
შენ ეს არ იცი... ქვეყნად ვერავინ ვერ შეედრება კოლხთა მბრძანებელს.
თუმცა შორს არის, თუ მოინდომა, ელადაშიაც წავა სალაშქროდ.
ამიტომ განსჯა უნდა ამ საქმეს, რომ განაჩენი გამოდგეს ჩემი
მოკვდავთა ყველა განაჩენს შორის ყველაზე უფრო სამართლიანი.
არ დაგიმალავ: თუ ქალწულია, ვბრძანებ, მიჰგვარონ მამას მედეა,
მაგრამ თუ უკვე გაიზიარა მან სარეცელი მამაკაცისა,
ვერ დავაშორებ საყვარელ ქმარსა, —იქნება უკვე ფეხმძიმეც არის,
და ვერ დავუშვებ, უმანკო ბავშვი მტერს ჩაუვარდეს საჯიჯგნად ხელში".

ასე თქვა მეფემ, დახუჭა თვალი, და ტკბილმა ძილმა თავი წაუღო. 1110
გონივრულ სიტყვას უსმენდა ქალი, ვერ მოისვენა, წამოდგა სწრაფად,
გავიდა გარეთ, შემოიკრიბა დაუყოვნებლივ მოახლეები,
მუდამ დედოფლის სამსახურისთვის დაუზარებლად გამზადებულნი.
იხმო შიკრიკი ჩუმად არეტემ და დაავალა დაეკრა ფეხი,
ხლებოდა გემზე თვითონ იაზონს, და ეთქვა მეფის განზრახვა ბრძნული:
რათა სასწრაფოდ შეუღლებოდა ქალწულ მედეას ეზონის შვილი,
ხოლო ხელმწიფე ალკინოესთვის არა ეთქვა რა: თვითონ მოვაო,
კოლხებს ეწვევა და ყოველივეს მოითათბირებს ჩემი ქმარიო:
თუ ქალწულია, შინ დააბრუნებს, და თუ საწოლი გაიზიარა,
არაფრისათვის არ დააშორებს მას კანონიერ თავის ქმარსაო. 1120

ეს დაბარა, და მალემსრბოლი სწრაფად განშორდა სამეფო სახლსა,
რომ გადაეცა იაზონისთვის ხელმწიფის სიტყვა სამართლიანი,
ეთქვა დედოფლის დანაბარები — შეუღლებოდა დროზე მედეას.
მან ჰელიკონის ყურეში ნახა არგონავტები და მათი გემი.
არ გაუხდიათ ტანზე ვაჟკაცებს, არ დაუწყვიათ დაბლა ბეგთარი;
აუწყა ყველა დანაბარები და გაიხარეს გმირებმა გულით,
რადგან კეთილი სიტყვით და რჩევით მივიდა მათთან სასახლის მაცნე.

მყის საქორწინო იწყეს მზადება, დაკლეს საკლავი საკურთხეველთან,
ჯერ შეაზავეს კრატერში* ღვინო და წაუქციეს ნეტარ ღმერთებსა,

* კრატერი — თიხის ან ლითონის საღვინე, სხვადასხვა მოყვანილობის ჭურჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ილხინეს და განუმზადეს მეფე-დედოფალს სარეცელიცა. 1130
სწორედ იმ წმინდა გამოქვაბულში, სადაც ცხოვრობდა ერთ დროს მაკრისი,
სათნო ასული ჯოგთა მფარველის, კეთილშობილი არისტეოსის*,
ვინც კაცთა მოდგმას აღმოუჩინა ნექტარი, ფუტკრის ნამუშაკევი,
და ზეთისხილის ზეთის მიღებაც მანვე ასწავლა პირველად ყველას.
მაკრისი ადრე ცხოვრობდა სხვაგან, აბანტის კუნძულ ევბეაზე და
იქ შეიფარა მკერდში ზევსის ძე, ნისელი ღმერთი, ჰერმესის ხელით
ცეცხლის ალიდან გატაცებული, და დაუტკბილა თაფლით ტუჩები.
ჰერამ ეს ნახა, ეჭვით აღივსო და ევბეიდან განდევნა წამსვე.[95]
მაშინ იპოვა თავშესაფარი ფეაკთა წმინდა გამოქვაბულში,
და მადლიერმა სავანის მფლობელთ უბოძა განძი განუზომელი. 1140
აქ გაუშალეს არგონავტებმა ფართო საწოლი მეფე-დედოფალს
და საქორწინო სარეცელს ზემოთ გადააფარეს შუქმოელვარე
ოქროს საწმისი, რომ წმინდა კავშირს ჰქონოდა მეტი შნო და ლაზათი.
პატივ-დიდების ნიშნად ნიმფებმა ჰერას ბრძანებით დაკრიფეს ველად
ნაირფერადი ყვავილები და მოართვეს თეთრი კალათებითა:
მყისვე აენთო მთელი მიდამო და აელვარდა ცეცხლისფერადა.
ოქროს საწმისი აფრქვევდა შუქსა, ასხივოსნებდა სურვილით თვალებს.
ნიმფებს იმ შუქმა თვალები მოსჭრა, სურდათ შეხება და ვერ ბედავდნენ.
იყო ასული აქ ზოგი ნიმფა ეგეოსისა, მდინარის ღმერთის[96],
ზოგი ცხოვრობდა იმ მთის კალთებზე, რომელს ეძახდნენ მელიტეიოსს"[97], 1150
ზოგსაც ველებზე ყვავილოვანზე ან მწვანე ტყეში ჰქონდა სავანე.
ასე მოვიდნენ სხვადასხვა მხრიდან ზევსის მეუღლის ჰერას ბრძანებით.
სურნელოვანი საბურველები გადააფარეს ნეფე-დედოფალს
და შეაერთეს პირმშვენიერმა ნიმფებმა კიდეც იმ სავანეში,
რასაც ჩვენს დრომდე ეძახის ხალხი მედეას წმინდა გამოქვაბულსა.
ხოლო გმირებს კი ხელთ ეპყრათ გარეთ საბრძოლო შუბი, ფარი და ხმალი,
რომ თუ კოლხები მოულოდნელად თავს დაესხმოდნენ, დაეცვათ თავი.
მწვანე რტოები ედგათ გვირგვინად, და მობიბინე მწვანით მოსილნი
ხმატკბილ ორფევსის ფორმინგის ხმაზე ერთხმად მღეროდნენ ჰიმენეოსსა**[98],
და ასე იდგა მთელი ლაშქარი იმ საქორწინო სავანის კართან.
სულაც არ სურდა იაზონს ასე, რომ ალკინოეს საბრძანებელში
ესკვნა გვირგვინი, სხვის მიწა-წყალზე. იოლკოსში რომ დაბრუნდებოდა,
შინ, მამისეულ სასახლის ჭერქვეშ უნდოდა ქალწულს შეუღლებოდა,
ამ აზრის იყო მედეაც, მაგრამ ჟამთ ვითარებით დანებდა ქმარსა.
ჩანს, არასოდეს არ გვიწერია დავტკბეთ მოკვდავნი სრული სიამით.
თუ სადმე რბილად დავადგამთ ფეხსა, იმ წამსვე სარმას გამოგვდებს ბედი.
ასეა ყველგან, სიტკბოს სიმწარე და შვებას დარდი თან ახლავს მარად.
აი, ამიტომ სასიყვარულო სიამეს შიში წამლავდა დღესაც:
მისცემს თუ არა ფეაკთა მეფე სასურველ ბოლოს თავის მსჯავრსაო!

---

* საკ. არისტაიოსი, ლათ. არისტევსი-ურანისა და გეას, ან აპოლონისა და ნიმფა კირენეს ვაჟი, აპოლონის და ჰელიოსის მონათესავე ღვთაება, მებაღეობისა და მეფუტკრეობის ღმერთი, ჯოგთა და ნათესთა მფარველი. მის უძველეს კულტს ხსენებული ღმერთებისას უკავშირებენ (ფ. ველკერი, ბერძენთა ღვთაებანი, 1, 489). დასდევდა ორფევსის ცოლს ევრიდიკეს. ქალმა გველზე დაადგა ფეხი და დაიღუპა (ორფევსმა საქიოდან სცადა მისი დაბრუნება).

** ჰიმენაიოს, ჰიმენე (ლათ. ეპითალამიუმი) — ძველებური საქორწინო სიმღერა (ჰეგზამეტრებად გამართულ ჰიმნებს წერდნენ საფო, თეოკრიტე, კატული...): ძველ ბერძენთა ქორწინების ღმერთი, დიონისეს და აფროდიტეს ან აპოლონის და მუზის შვილი, მშვენიერი ჭაბუკი.

ამასობაში ეოსიც ადგა, ციური შუქი მოჰფინა კუნძულს, 1170
გაწმინდა სივრცე ღამის მწუხრისგან, და გაუღიმეს მასაც სიამით
კუნძულის სველმა გზა-ბილიკებმა, ცვრიანმა ველმა და სანაპიროს
გამოიღვიძა მთელმა ქალაქმა, ალაპარაკდა ქუჩებში ხალხი.
ჯერ გამოვიდნენ ფეაკელები, შემდეგ კოლხები მოვიდნენ შორით,
კუნძულ მაკრიდის კიდეში მყოფნი, რომელთაც სურდათ მსჯავრის გაგება.
წინასწარ დათქმულ პირობისამებრ დაუყოვნებლივ მოვიდა მეფე,
რომ განაჩენი ეთქვა თავისი, გადაეწყვიტა მედეას ბედი.
ხელში ეჭირა სამართლის კვერთხი, — ამ ოქროს კვერთხით ჭრიდა სამართალს
არჩევდა ხალხის ბრალსა და ცოდვას, და იყო მუდამ სამართლიანი.
აბჯარასხმული ფეაკელების ამალა ახლდა ალკინოესა. 1180
ჰერამ მთელს კუნძულს ამცნო ქორწილი იაზონისა და მედეასი.
გუნდი და გუნდი მანდილოსანთა გამოსულიყო გალავნის გარეთ,
რათა ეხილათ გმირთა კრებული, და მომდგარიყვნენ კაცებიც ჯარად.
ზოგს მოეყვანა ყოჩი რჩეული, ზოგს უშობელი, ზოგსაც მოზვერი,
ზოგმაც ჩამოდგა საკურთხეველთან ღვინის ამფორა ორყურიანი;
მალე დაიწყო მსხვერპლის შეწირვა, კეთილი კვამლი ცად ადიოდა,
ალმოდებული სამსხვერპლო ხორცის სუნი ზღვისპირეთს ეფინებოდა.
ქალებს მოჰქონდათ, როგორც იციან, ოსტატის ჯაფით ნაქსოვ-ნაქარგი
ტანისამოსი და ოქრო-ვერცხლის სამკაულები მედეასათვის;
აგრეთვე ბევრი სხვა საჩუქარი, მეფე-დედოფლის შესაფერისი. 1190
თვითონაც მორთულ-მოკაზმულები, გმირებს უმზერდნენ გაოცებულნი
და შეჰხაროდნენ სახელგანთქმულთა მოყმეთა სხივთა მთოველ სახეებს,
ყველაზე მეტად კი აოცებდათ ეაგრეს შვილი სახელოვანი
მისი ფორმინგის ხმა საოცარი, სიმთა ჟღერა და სიმღერა მისი.
ააყოლებდა ფეხსაც ორფევსი, ბრწყინვალე წაღას ურტყამდა მიწას:
მგოსანი ქორწილს რომ ახსენებდა, ტურფა ნიმფებიც მას აჰყვებოდნენ,
თავად მღეროდნენ ძვირფას ჰიმენეს და ტრიალებდნენ ლამაზ ფერხულში,
შენ გადიდებდნენ, ჰერავ ნეტარო! შენ ჩააგონე კეთილ არეტეს
და ალკინოეს, რომ ეზონის შვილს დახმარებოდნენ, ეხსნათ გმირები...
ხელმწიფის ბრძნული მსჯავრის წყალობით იყო ზეიმი საყოველთაო. 1200
ალკინოემაც სამართლიანმა გამოაცხადა მსჯავრი თავისი,
რითაც ქორწილი გახდა ცნობილი, და ჰქონდა მტკიცედ გადაწყვეტილი
რომ გაეტანა კიდეც ბოლომდე, არ დაერღვია სიტყვა მეფური.
არ აღელვებდა აიეტ მეფის სასტიკი ბრაზი, რისხვა და წყრომა,
რადგან განაჩენს თვლიდა სწორად და დაურღვეველი ფიცით შეკრულად.
აი, ამიტომ, როცა კოლხებმა განუსჯელობით სცადეს აღდგომა,
მეფემ უბრძანა, ან განაჩენი სამართლიანი იწამეთ ჩემი.
ან გამეცალეთ თქვენი გემებით ფეაკთა ქვეყნის საზღვრებიდანო.
აიეტ მეფის შიშით კოლხებმა სთხოვეს კუნძულზე დარჩენის ნება,
მოკავშირენი ვიქნებით შენი და მიგვიღეო, სთხოვეს ხელმწიფეს. 1210
დასტურიც მისცა, და მის კუნძულზე დიდხანს ცხოვრობდნენ მერე კოლხები,
ვიდრე ეფირეს[99] მხრიდან მოსულმა ბაკქიადებმა*[100] არ აიძულეს
მათთვის დაეთმოთ ის მიწა-წყალი და სხვა კუნძულზე გადასულიყვნენ.
მერე იქიდან კოლხებმა კიდევ მთებს მიაშურეს კერავნიისას,
აბანტთა მხარეს, ნესტეს გავიდნენ და მიაღწიეს ორიკეს ქალაქს[101].

---

* დედ. „ბაკქიადაი“ — ბაკქიადები (და არა ბაკქიდები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით, როცა გავიდა მრავალი წელი.
ფეაკთა კუნძულ კერკირას დღესაც ამკობს მედეას საკურთხევლები
ტაძარს აპოლონ-ნომიოსისას[102], სადაც აქამდე სწირავდნენ მსხვერპლს
ქალღმერთ მოირებს[103] ბედისწერისას — და ტურფა ნიმფებს ყოველწლიურად
ეს უსახსოვრა მედეამ კუნძულს. ალკინოემ კი მინიელ სტუმრებს 1220
უბოძა ძღვენი აურაცხელი გამგზავრებისას პატივის ნიშნად,
და არეტემაც, მისმა მეუღლემ, სხვა საჩუქრებთან ერთად მედეას
თან გააყოლა გზაში თორმეტი კოხტა მხევალი ფეაკელიცა.
მეშვიდე დილას ქალაქ დრეპანეს ნავსაყუდელიც დატოვა არგომ.
ზევსის წყალობამ, კეთილმა ქარმა დაჰბერა დილით, აფრა გაბერა,
ელვის სისწრაფით შეცურდა ისევ ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში გემი.
მაგრამ ჯერ კიდევ ბედი და წერა მრავალ განსაცდელს უქადდა არგოს .
აქაიაში ჩასვლამდე უნდა დატანჯულიყვნენ ლიბიის მხარეს[104].
დატოვეს უბე ამბრაკიისა[105], კურეტის მხარეც[106] ჩამოიტოვეს
და ექინადის კუნძულთა ჯგუფიც[107] განვლო ხომალდმა აფრაგაშლილმა. 1230
მალე პელოპის ქვეყნის[108] ნაპირიც გამოჩნდებოდა თვალსაწიერზე,
მაგრამ ანაზდად დაჰქროლა ქარმა და ბორეასი ავარდა შმაგი.
ლიბიის ზღვაში შეაგდო გემი, უნდო ტალღებში დაატრიალა.
ცხრა დღე და ღამე ებრძოდა გემი ბობოქარ ტალღებს, ვიდრე დაბოლოს
სირტის[109] უბეში შევარდებოდა. ეს ხომ უბეა საბედისწერო!
ვეღარასოდეს ვერ გაბრუნდება ერთხელკვე სირტში შესული გემი.
გარს ქვიშიანი ეკვრის ნაპირი, ფარავს ხავსი და ჭაობის შმორი.
ამ დუხჭირსა და უდაბურ უბეს ფრინველ-ნადირიც არ ეკარება,
ქვეწარმავალიც კი არ დაძვრება... გაშლილ სივრცეზე, გაღმა-გამოღმა
მხოლოდ ხენეში და უსარგებლო წყალი შრიალებს აქაფებული, 1240
ხან დაშორდება ნაპირს ხმაურით, ხან ისევ თავთხელს დაფარავს ხოლმე.
მოქცევის ტალღამ მოუსვენარმა საბედისწერო მარჩხობთა შორის
მანამ არწია და ათამაშა, ვიდრე ქვიშაში გარიყა გემი,
და ეს ამბავი ისე შორს მოხდა, რომ წყალი გემის ძირს ვერ ფარავდა.
დაბლა გადახტნენ არგონავტები, ნახეს უდაბნო უკიდეგანო,
განცვიფრებულნი, ელდანაკრავნი გადასცქეროდნენ ცასა და მიწას.
ქვეყნიერების მივარდნილ კუთხეს ვეღარ გაუგეს თავი და ბოლო.
არც ტბა მოჩანდა, არც რამე წყარო, არც რამე ბაკი, გზა და ფარეხი,
სამარის დუმილს მოეცვა მძიმეს ის არემარე დუხჭირი, დუნე,
დაღონებული არგონავტები ერთმანეთს ურვით ეკითხებოდნენ:
„ეს რა მხარეა? ამ ქარიშხალმა სად გადმოგვაგდო, რა ქვეყანაში?
ნეტავ, გვეძლია ამაო შიში, ისევ გვეცურა იმავე გზითა,
რითაც მოვედით მაშინ ეაში! იმ კლდეებს შორის გაგვევლო კიდევ!
ზევსის ნებაც კი არად ჩაგვეგდო, გზა სახიფათო გვერჩია ისევ!
თუნდაც დაღუპვა არ აგვცდენოდა, სახელი მაინც ხომ დაგვრჩებოდა!
აქ რა გმირობას მოვახდენთ აბა, თუ ქარიშხალი აღარ ჩადგება,
და თუნდაც მცირე ხნით დავრჩეთ აქა, რაღას ვიღონებთ გარიყულები?
ჩვენს წინ უდაბნო გაშლილა ვრცელი, რა გვეშველება ქვეყნის კიდეში?“

ასე ამბობდნენ დამწუხრებულნი. აღარ იცოდნენ, თუ რა ეღონათ.
და დაბნეულმა გმირმა ანკევსმა, თვითონ მესაჭემ უთხრა მეგობრებს: 1260
„გვღუპავს მუხთალი სვე და ეგ არის, ხსნა აღარა ჩანს არსაიდანა!
უსაზარლესი ძნელბედობისა მოგველის ახლა ტვირთის აზიდვა

ამ უდაბურ და უცხო მხარეში, თუ მხსნელმა ქარმა არ დაუბერა
ხმელეთის მხრიდან, ჩვენდა ნუგეშად. გამჭრიახ თვალით ვზვერავ მიდამოს,
და ვხედავ მხოლოდ შლამში დაფარულ ზღვასა და ჭაობს უკაცრიელსა;
ვხედავ, ტალღები ეხეთქებიან თავთხელებიდან ჭაღარა ქვიშას,
და ჩვენი წმინდა გემი აქამდე ასჯერ უმწეოდ დაიშლებოდა,
მიწიდან ასე დაშორებული და ზღვიდან ასე გამოგდებული,
რომ იმთავითვე ძლიერ მოქცევას ის ასე შორს არ გამოერიყა.
აგერა, წყალნი აქაფებულნი ისევ ზღვის წიაღს უბრუნდებიან, 1270
ჩვენ კი მათ ცურვით ვეღარ მივყვებით —დედამიწასაც ძლივსა ფარავენ,
ამიტომ გეტყვით გამოტეხილად, რომ ახლა ცურვით შინ დაბრუნების
არავითარი გზა მე არ ვიცი, და თუ აქვს ვინმეს ამის იმედი,
დაე, გვიჩვენოს მან ხელოვნება და დაიჭიროს ჩემი ადგილი!
საჭეს გადავცემ, მოჰკიდოს ხელი, მაგრამ მე ვატყობ, მამულის ხილვის
ბედნიერი დღით ჩვენთა ჯაფათა დაგვირგვინება ზევსს აღარ ნებავს!“

ასე ამბობდა ცრემლმორეული, და დაღვრემილი არგონავტები,
გემთა ძღოლაში გამოცდილები, ჩუმი თანხმობით აძლევდნენ დასტურს.
დარდმა გაყინა ვაჟკაცთა გული და შეეპარათ ღაწვებს სიყვითლე,
ჰგავდნენ უსულო აჩრდილთა ბრბოებს, ღამით რომ ძრწოლით ეხეტებიან 1280
ქალაქში, როცა ელოდებიან ომსა, ჭირსა თუ წარღვნის წვიმასა,
პირშეუღებლად რომ ასხამს მაღლით, ხარების ნაჯაფს წალეკავს ხოლმე.
წმინდა ტაძრები იწყებენ გუგუნს, ღმერთთა ქანდაკებს სდით სისხლის ოფლი;
ანდა უეცრად მზე დაბნელდება, დაეფარება ქვეყანას თალხი,
და ეთეროვან ცაში ვარსკვლავნი აინთებიან უდროო დროსა, —
ასე გმირებიც იმ ყრუ ნაპირზე დაღვრემილიყვნენ სასომიხდილნი,
ეხეტებოდნენ კრიჭაშეკრულნი. ამასობაში ბინდიც ჩამოწვა
და ვაჟკაცები იმ უკუნეთში ერთიმეორეს გადაეხვივნენ —
საბრალოები, ცრემლთა მთოველნი სიკვდილს პირისპირ ეგებებოდნენ.
ეთხოვებოდა ვაჟკაცს ვაჟკაცი და ცივ ქვიშაზე წვებოდა დაბლა, 1290
განცალკევებით, ხელჩაქნეული, სულის ამოსვლის დრო იყო თითქოს.
მიმოიფანტა გმირთა კრებული, ყველა თავისთვის ეძებდა სადგომს,
მოსასხამები შემოიხვიეს თავებზე, იმედდაკარგულებმა,
უზმოდ, უჭმელად, უსიხარულოდ, უძრავად იწვა გმირთა ლაშქარი
მთელი ღამე და მერე მთელი დღე, — არას ელოდნენ, სიკვდილის გარდა,
და მშვენიერი მედეა ცალკე, მხევლებთან ერთად თმაჩამოშლილი
იჯდა ქვიშაზე, გოდებდა ყველა — ბედს დასტიროდა ქალების გუნდი.
გეგონებოდათ ბუდიდან კლდეზე ბარტყების გუნდი დაცვივდა დაბლა
და გულსაკლავი ჭყიპინით დედას უხმობდნენ, უფრთო-უსუსურნიო;
ან პაქტოლოსის ლამაზ მდინარის[110] მაღალ ნაპირებს ეფინებაო 1300
გედების გუნდის მწუხრის სიმღერა, — სანაპიროზე შეფენილთაო,
და მათ ბანს აძლევს ლაღი მდინარე, ცვარნამიანი მინდორ-ველიო, —
ქარში ქვიშაზე ქერა კავები ჩამოეშალათ საბრალო ქალებს
და იმ გედების მსგავსად გოდებდნენ დაღამებიდან გათენებამდე.

სახელოვანი არგონავტები აქ უსახელოდ დალევდნენ სულსა,
მოკვდავთა შორის შეუმჩნეველნი, მიწის შვილთაგან მიუკვლეველნი,
მიზნად აღებულ საგმირო საქმეს ვერ მიიყვანდნენ მაინც ბოლომდე,
გადაბუგული ლიბიის მიწის ქალღმერთებს რომ არ შებრალებოდათ, —

ნახევრად ქალღმერთ გმირ მანდილოსნებს, ამ უღიმღამო მიწა-წყლის მცველებს.
ოდესღაც ზევსის თავიდან შობილ მძიმედ აღჭურვილ ათენა ქალღმერთს 1310
რომ შეეგებნენ ტრიტონის წყალში, განიბანეს და განბანეს ტანი[111]
შუადღე დადგა. სხივთამთოველი მზე მოჩახჩახე წვავდა ლიბიას.
მაშინ მივიდნენ ეზონის შვილთან ღმერთქალთა ტოლი გმირი ქალები,
დადგნენ და ხელით გადაუწიეს, მოხსნეს თავიდან ფრთხილად პეპლოსი.
შერცხვა იაზონს ქალღმერთებისა და მოარიდა თვალი საბრალოდ.
ზურგი აქცია სირცხვილეულმა. მაგრამ მაშინვე გმირმა ქალებმა
არგონავტების ლაშქრის წინამძღოლს ასე მიმართეს ალერსიანად:

„საბრალო კაცო, რად დაღვრემილხარ, რად გაგტეხია კაეშნით გული?
ვიცით, იყავით ოქროს საწმისის მოსაპოვებლად კოლხეთს წასული.
ვიცით, რა ჯაფაც გაგიწევიათ უმაგალითო ლაშქრობის გზაზე. 1320
ზღვასა და ხმელზე, უცნობ შორეთში რამდენი საქმეც მოიმოქმედეთ, —
ვიცით ყოველი! ჩვენ ლიბიისა ვართ ასულები, ამ მიწის მცველნი,
უდაბნოების მკვიდრი გმირები[112], ნაზად მეტყველი ნიმფების გუნდი!
ადექი ჩქარა, გამხიარულდი, გადაიყარე გულიდან დარდი!
წამოაყენე შენი გმირები! ამფიტრიტე[113] რომ პოსეიდონის
ნათელთვლებიან, სწრაფი ეტლიდან ზღვათა წიაღში გამოხსნის რაშებს,
თქვენს მშობელ დედას დაუყოვნებლივ მადლი უძღვენით დიდი ჯაფისთვის,
რომ ასე დიდხანს გატარათ მუცლით, ეცით პატივი სამაგიერო,
თუ მოეპყრობით დედასაც ისე, როგორც ის მუდამ თქვენ გეპყრობოდათ,
მყის მოეღება თქვენს ტანჯვას ბოლო და დაბრუნდებით აქაიაში". 1330

ასე უთხრეს და უმალვე გაქრნენ, ხოლო მათი ხმა ისმოდა ჯერაც.
ეზონის შვილმა მიმოიხედა ერთი გარშემო გაოცებულმა,
შემდეგ ქვიშაზე დაეშვა ისევ და ამეტყველდა მუხლმოდრეკილი:
„მაშ მოწყალება მოიღეთ ბარემ, ო, ქალღმერთებო სახელოვანნო!
უდაბნოს მკვიდრნო! მე ვერ გავიგე თქვენი სიტყვები დაბრუნებაზე.
ჯობს შემოვყარო მეგობრები და კეთილი სიტყვა გავანდო თქვენი,
იქნებ ნიშანი ამოხსნას ვინმემ: ერთსა სჯობია ორის თათბირი".

თქვა, წამოვარდა და გადასძახა თავის მეგობრებს ომახიანად,
ვით ხვადმა ლომმა, უსიერ ტყეში ძუ ლომს რომ შმაგად ასდევნებია,
ხმამაღლა ღმუის და მთელს მიდამოს ედება მისი ხმა ზარდამცემი,
გამოძახილი მთა-ბარსა სწვდება და ცახცახებენ ტყეთა წიაღნი,
შიშითა თრთიან ელდანაკრავი ძროხები, ველად დარჩენილები,
და ფერი მისდით ნახირში მწყემსებს...* გმირებს კი როდი შეშინებიათ,
ეზონის შვილმა რომ დაუძახა და სიყვარულით შემოიკრიბა.
თავჩაქინდრულნი ახლოვდებოდნენ, შემოიყარნენ ყოველი მხრიდან,
გმირმა არგოსთან დასვა ყველანი და დალაგებით უთხრა სათქმელი:

„კარგად მისმინეთ, ო, მეგობრებო! ახლა მეჩვენა დამწუხრებულსა,
სამი ქალწული, ქალღმერთთა მსგავსი, სამსავ ემოსა ტყავები თხისა,
მხრებზე მოესხათ, ზურგს უფარავდათ და მუხლებამდე სწვდებოდათ დაბლა. 1350

* პროზ. თარგმანში შედარება ძლიერ შეკვეცილია: „იაზონი მყისვე წამოხტა და არგონავტებს ლომისებური ხმით დაუძახა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე დამადგნენ, გადამიწიეს მსუბუქი ხელით პეპლოსი ჩემი.
შემდეგ მიბრძანეს, წამოდექიო, ნუ გაიხეთქე კაეშნით გული;
წამოაყენე მეგობრები და პოსეიდონის სწრაფი ეტლიდან
ამფიტრიტე რომ გამოხსნის რაშებს თავისი ხელით ზღვათა წიაღში,
საერთო დედას სამაგიერო ეცით პატივი, რომ ასე დიდხანს
გატარათ დღემდე მუცლით ყველაო... ასე მიბრძანეს იმ ქალღმერთებმა,
მათი ქარაგმა მე ვერ გავიგე, მიწის მცველები უწოდეს თავსა,
ვართო ლიბიის ასულები და გმირი ქალები, დაიტრაბახეს,
ვიცითო თქვენი საგმირო საქმე, თქვენი ლაშქრობის მიზანი მძიმე,
თქვენი ჯაფა და ფათერაკები, რაც გადაგხდათო ზღვასა და ხმელზე. 1360
ასე მითხრეს და გაუჩინარდნენ, ვეღარ ვიხილე მე მათი სახე.
ნისლი იყო თუ რაღაც ბურუსი გადაეფარათ უდაბნოს ნიმფებს“.

ასე თქვა გმირმა და გაიოცეს მისი სიტყვები თანამგზავრებმა.
აქ მინიელთა წინაშე მოხდა გასაოცარი რამ სასწაული:
ზღვის წიაღიდან სანაპიროზე გამოხტა რაში უზარმაზარი,
ოქროს ფაფარი ეფინა ქედზე ძალუმს, ამაყს და თავაწეულსა:
ჩამოიფერთხა ფიცხლავ ტანიდან ზღვათა წიაღის ქაფი და წყალი,
მერე მოჰკურცხლა, ქარიშხალივით გაინავარდა, გაქრა თვალთაგან.
პელევსმა ნახა და გმირთა ლაშქარს გახარებულმა აუწყა მყისვე:

„მე გეუბნებით, ახლა გამოხსნა პოსეიდონის ეტლიდან რაში 1370
მისმა უებრო, სათნო მეუღლემ თვითონ თავისი კეთილი ხელით.
რაც შეეხება საერთო დედას, ეს ჩვენი გემი მგონია მხოლოდ:
განა ამდენ ხანს მან არ გვატარა თავისი მუცლით ყველა მხარეში,
მან არ ითმინა ჩვენთვის ამდენი ჯაფა და საფრთხე გაუგონარი?
ჩვენც ავდგეთ ახლა, შევიდგათ არგო ჩვენს ძალუმ მხრებზე, ვითარცა დედა,
ნუ დავიშურებთ ძალას და ღონეს, გადავატაროთ უდაბნო შორი
ძვირფას მიწაზე იქით, საითაც პოსეიდონის რაში გავარდა,
მიწაში ხომ არ ჩავა ის რაში? მე იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან
ის ბედაური მიგვიყვანს ჩვენა სადმე სანუკვარ უბის ნაპირას“.

ასე თქვა გმირმა, და მოიწონა ყველამ პელევსის ნათქვამი ბრძნული. 1380
ეს ამბავია მუზების თქმული. თქვენ შთამაგონეთ, პიერიდებო*,
რომ გადმომეცა, თუ რა გადახდათ გმირებს ლიბიის უდაბნოებში.
მათი დასტურით ვმღერი სიმღერას, სარწმუნოსა და ეგზომ საოცარს.
ო, წარჩინებულ მეფეთა ძენო, გმირნო მამაცნო, გამორჩეულნო,
თქვენი ძალის და ღონის წყალობით მძიმე ხომალდი შეგიდგამთ მხრებზე.
ლიბიის ხრიოკ უდაბნოებში გიტარებიათ მის ტვირთიანად
თორმეტი დღე და თორმეტი ღამე. ვის შეუძლია თუნდაც მოგვითხროს
მთელი ჯაფა და უბედურება, რაც თქვენ ამ გზაზე გადაგხდენიათ?
ო, ჭეშმარიტად სისხლით და ხორცით ხართ უკვდავ ღმერთთა შთამომავალნი,
რომ გაუძელით და უდრტვინველად გადაიტანეთ ამდენი ჯაფა! 1390
მიგქონდათ ტვირთი ძალუმი მხრებით, და რომ მიხვედით ტრიტონის ტბამდე,
ხალისიანად შესტოპეთ წყალში, ძირს ჩამოიღეთ და შეაცურეთ.

---

* პიერია-მაკედონიის მხარე იყო, პიეროსსა და ოლიმპოს შორის. მუზების სამშობლოდ ითვლებოდა და ამიტომ ეძახდნენ მუზებს პიერიდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შმაგი ძაღლების მსგავსად ეძებდნენ მოწყურებული გმირები წყაროს,
რადგან დაერთო ამდენ წვალებას და ძნელბედობას გზაში წყურვილი.
უდაბნოები გამოიარეს... პირგამშრალები, გაფანტულები
ასე დარბოდნენ, და უშედეგო როდი გამოდგა მათი ძიება.
საბედნიეროდ, გავიდნენ მალე ატლანტის წმინდა სამეფო ველზე[114],
სადაც ახლახან ლადონ-ურჩხული დარაჯად ადგა ოქროს ვაშლებსა,
და გარეშემო ჰესპერიდები, ნაზი ნიმფები მღეროდნენ ტკბილად.
ამ დროისათვის ის გველეშაპი უკვე მოეკლა ძალუმ ჰერაკლეს — 1400
ჰესპერიდების ოქროს ვაშლის ხის მახლობლად ეგდო ურჩხულის ლეში,
თავი და მთელი შავი სხეული ზურგამდე უკვე გაშიშვლებოდა,
და მხოლოდ კუდი გველეშაპისა ჯერაც საზარლად იგრიხებოდა.
ლადონს ბუზები რომ დახვეოდნენ, დახოცილიყვნენ ზედვე წყლულებზე*,
რადგან ისრებზე წაეცხო გმირსა სისხლი-სამსალა ლერნეს ჰიდრისა[115].
ლეშის გარშემო შეკრებილიყვნენ პირმშვენიერი ჰესპერიდები,
ქერა თავები სპეტაკ ხელებზე დაენდოთ დაბლა, ტიროდნენ მოთქმით;
მიუახლოვდა გმირთა გუნდი და იქცნენ ნიმფები მტვრად და მიწადა.
მაშინ მგოსანი ორფევსი მიხვდა, რომ სასწაული ნახა ციური,
და მეგობრების გადასარჩენად ასე შესძახა ხვეწნა-მუდარით: 1410

„ნაზო, ძლიერო, ტურფა ნიმფებო, მოიღეთ ჩვენდა წყალობა თქვენი!
ციურნი ხართ თუ ამქვეყნიურნი, მიწის ნიმფები თუ ქალღმერთები,
ო, დედოფლებო უდაბნოისა, რაც გინდა იყოს სახელი თქვენი, —
წმინდაო მოდგმავ ოკეანისა, გამოცხადება გვაღირსეთ რაკი,
შეგვიწყალენით, გვიჩვენეთ წყარო, თორემ წყურვილით დავიხოცებით!
გვანახეთ რამე მდინარე წყალი, ნაკადი, კლდიდან გადმომდინარე,
ან წმინდა წყარო, მიწის გულიდან შადრევანივით აღმომჩქეფარე,
რომ დაგვიოკოს შმაგი წყურვილი მცხუნვარე მზეში ხრიოკთა შორის!
სამაგიეროდ მშობელ მხარეში აქაიაში ჩავალთ თუ არა,
ათას საჩუქარს მოგიძღვნით ჩვენცა თქვენ და მოწყალე მთავარ ქალღმერთებს, 1420
თანაც ზედაშეს წაგიქცევთ ყველას და გაგიმართავთ მეფურ ნადიმებს“.

ასე შესთხოვდა მგოსანი ნიმფებს, და შეიწყალეს მათაც გმირები,
გაწამებული მავედრებელნი: მწვანე ბალახი აღმოუცენეს,
შემდეგ ბალახმა ყლორტი მოისხა, წამოიზარდა და გაიშალა,
მიწად ქცეული ნიმფების გუნდი თვალს და ხელს შუა ხეებად იქცა:
ჰესპერე თეთრი ალვის ხე იყო, ერითეისა გადიქცა თელად,
ეგლემ ტირიფის სახე მიიღო... შემდეგ ამ სამი ხიდან ნიმფები
კვლავ გამოვიდნენ, მიიღეს სახე, რაც მათ ჰქონიათ დასაბამიდან.
გაუგონარი ეს სასწაული თვალნათლივ ნახეს არგონავტებმა,
და მაშინ ეგლემ, მიწის ქალღმერთმა ასე მიმართა წამებულ გმირებს: 1430

„ჰეშმარიტია, თქვენდა საშველად, მძიმე ჯაფიდან გამოსახსნელად
მოსულა ყოვლად ურცხვი, თავხედი, უტიფარი და უებრო გმირი,

* პროზ. თარგმანში ეს დეტალი არაა.

მოკლა ურჩხული, ბაღის გუშაგი, და გაიტაცა ოქროს ვაშლები,
ქალღმერთთა ძღვენი უძვირფასესი, — ასე დაგვტანჯა, მოგვიკლა გულსა
ის კაცი გუშინ მოვიდა ჩვენთან, თავზარდამცემი სახით და ღონით,
შუბლქვეშ თვალები ნაღვერდლებივით რომ უღვიოდა, შმაგსა და ველურს,
სამოსად ლომის ტყავი მოესხა კუშტს და მძვინვარეს, უზარმაზარი,
ხელთ ზეთისხილის მძიმე კომბალი ეჭირა ყოვლის შემმუსვრელი და
ძალუმი მშვილდი, რომლის ისრებით მოკლა ლადონი, ჩვენი ურჩხული,
და გაჭირვების ტალ-კვესი თქვენი ჩვენდა მტანჯველად გამოგვეცხადა. 1440
გამოგვეცხადა, მოვიდა ისე, როგორც ყოველი გამვლელი მოდის
ამ გადაბუგულ მხარეში ხოლმე, წყალს დაეძებდა მოწყურებული.
თუნდაც რომ ჭიპზე გახეთქილიყო, წყალს ვერ ნახავდა წამლად ვერასდროს,
აქ ერთი კლდე რომ არ დაენახა, ტრიტონის ტბასთან წამოზიდული.
არ ვიცი, თვითონ იცოდა ის კლდე თუ რომელიმე ღმერთმა ასწავლა, —
მაგრამ დაარტყა ერთი წიხლი და მოსკდა ნაკადი ცივი, მჩქეფარე.
გაწვა მიწაზე მკერდით, ხელებით ძირს დაბჯენილი, ხარბად დააცხრა,
და ვიდრე სტომაქს ამოივსებდა, არ მოიკლავდა საშინელ წყურვილს,
ალარ ამდგარა, სვამდა და სვამდა, როგორც მოზვერი მოწყურებული".

ასე თქვა ეგლემ, და ვაჟკაცებმაც იმ საოცნებო კლდეს მიაშურეს. 1450
არ შეისვენეს, ვიდრე სანუკვარს არ მიაღწიეს ჰერაკლეს წყაროს.
ვით მუყაითი ჭიანჭველები დაფუსფუსებენ ხვრელის გარშემო,
ან აბეზარი ბუზები ხარბად დაესევიან თაფლსა და ბადაგს,
თუნდ ერთი წვეთიც რომ დაიღვაროს, მიაწყდებიან გაუმაძღარნი,
რომ დაიოკონ შმაგი წყურვილი, — სწორედ ასევე მინიელებიც
კლდეში მჩქაფარე წყაროს გარშემო დაფუსფუსებდნენ, წყალს აწყდებოდნენ
ერთმა ვაჟკაცმა გამხმარი ყელი ჩაისველა და შვებით შესძახა:
„თუმცა შორს იყო, დაღუპვისაგან მაინც დაგვიხსნა ჩვენმა ჰერაკლემ.
უდაბნოებში ქანცმილეულნი, წყურვილისაგან დაოსებულნი.
ჰოი, ნეტავი, სადმე ხმელეთზე კვლავ გვღირსებოდა მასთან შეხვედრა!"* 1460
ასე თქვა გმირმა, და ვაჟკაცებმა უფრო მარჯვეთა იწყეს შერჩევა,
ამ საქმისათვის შესაფერისნი მიმოიფანტნენ საძებნელადა, —
მაგრამ ჰერაკლეს გზაცა და კვალიც გადაეშალა უდაბნოს ქარსა, —
მისი გზა ქვიშით დაფარულიყო... აქ ბორეასის ნაშიერები
წავიდნენ გმირის კვალზე თავისი სისწრაფისა და ფრთების იმედით,
მარდი ევფემეც წავიდა ფიცხლავ, მასთან ლინკევსი ყოვლისმხილველი.
გმირი კანთოსიც გაჰყვა ვაჟკაცებს, რიცხვით მეხუთე, შეუპოვარი;
ღმერთების ნებამ და ნებისყოფამ თუ სიმამაცემ წაახალისა,
რომ წასულიყო საკუთარ გზითა, ენახა გმირი, გაეგო მისგან,
სად მიატოვა ძმის უმტკიცესი მძლე პოლიფემე, ილატეს ვაჟი. 1470
კანთოსს ტანჯავდა სურვილი მწველი, გაეგო თავის მეგობრის ბედი.
პოლიფემე კი, ვინც მიზიელებს აუგო დიდი ბურჯი, ქალაქი,
თვითონ გაუდგა სამძიმო გზასა, არგოს საძებრად წახეტიალდა,
შინ დაბრუნება ენატრებოდა, მაგრამ ხალიბთა მხარეში მოხვდა[116]
და ბედისწერის ატაცებული აქ დაიღუპა, უცხო მხარეში.

* ჰერაკლემ ფეხი დაჰკრა კლდეს, წყარო გადმოსკდა, უდაბნოებში დაქანცული და მოწყურებული არგონავტები იხსნა; მოსემ კვერთხი დაჰკრა კლდეს, წყარო გადმოსკდა, უდაბნოებში მოხეტიალე ერი იხსნა. აქ ანტიკური და ბიბლიური ლეგენდების საინტერესო დამთხვევასთან გვაქვს საქმე. ჰერაკლეს მითი უძველესია.

სანაპიროზე მისი სამარის ყორღანი დღესაც აღმართულია
პირდაპირ ზღვასთან, გმირის საფლავზე დიდი ალვის ხე შრიალებს წყნარად,
ხოლო ჰერაკლე მხოლოდ ლინკევსმა დალანდა შორით, ფართო მიწაზე
დალანდა ისე, ვითარცა კაცნი ნახავენ ხოლმე ახალ მთვარესა,
ნისლებში ვერც კი გაურჩევიათ, მართლა იხილეს თუ არ იხილეს. 1480
დაბრუნებულმა უთხრა მეგობრებს, არა მგონია ახლა ჰერაკლეს
დაეწიონო მალემსრბოლები — მე ვიქნები თუ სხვა იქნებაო.
უკან დაბრუნდნენ მარდი ევფემეც და თრაკიელი ბორეადებიც,
ამაო ძებნით დაქანცულები — ჰერაკლეს კვალსაც ვერსად მიაგნეს.
შენ კი, კანთოსო, შე საცოდავო, გახდი საზარელ კერების მსხვერპლი[117],
სიცოცხლის მომსპობ უნდო ქალღმერთებს გაუტაცნიხარ ლიბიის მხარეს.
ცხვრის ფარა შეგხვდა ჰერაკლეს მძებნელს და გამორეკვა მოიწადინე
გაჭირვებული მეგობრებისთვის, მაგრამ გამოჩნდა მწყემსი, პატრონი,
უზარმაზარი გესროლა ლოდი და მოგისწრაფა სიცოცხლე გმირსა,
რადგან არ იყო შენზე ნაკლები — თვითონ აპოლონ ფებოსისა და 1490
სახელგანთქმული აკაკალისის ძის გარამასის ამაყი შვილი.
აკაკალისი თვითონ მინოსის ასული გახლდათ, და როს შეიტყო,
რომ აპოლონმა დააორსულა, ლიბიის მხარეს გადაასახლა.
აქ მან აჩუქა აპოლონს ვაჟი— ამფითემისი, ან გარამასი.
როს დავაჟკაცდა ამფითემისი, ის შეეუღლა ტრიტონიდ ნიმფას,
მასთან ეყოლა ორი მძლე შვილი — ნასამონი და გმირი კაფავრე.
აი, სწორედ ამ კაფავრემ მოკლა, ცხვარს რომ იცავდა, გმირი კანთოსი;
ველარც კაფავრე გადარჩა თუმცა მინიელების მძიმე მარჯვენას.
მალე გაიგეს, რაც ჩაიდინა და მოუსწრაფეს მასაც სიცოცხლე.
კანთოსის გვამი კი გაასვენეს დამწუხრებულმა არგონავტებმა 1500
და მიაბარეს პატივით მიწას, ხოლო ფარა კი გემთან გარეკეს.

იმავე დღეს და იმავ ალაგას მისანი მოპსეც, აპიკეს შვილი
ბოროტმა ბედმა განწირა, მოკლა, მწარე ხვედრისგან ველარ დაიცვა
წინასწარ ჭვრეტის ნიჭმა, რადგანაც ხსნა არ არსებობს სიკვდილისაგან.
გველი ასპიტი შუადღის სიცხეს ემალებოდა თურმე ქვიშაში.
ვინც არ ერჩოდა, არ აწუხებდა, არც ის ერჩოდა, ზანტი ასპიტი;
ვინც გაურბოდა შეშინებული, არც უწყინარი გველი დევნიდა,
მაგრამ ვაი მას, ვის ძარღვებშიაც ასპიტი თავის შავ შხამს ჩაღვრიდა!
ვისაც კი მიწის ნაყოფი კვებავს — თუ მოხვდებოდა მისი ნესტარი,
ბნელ ჰადესამდე ერთი მტკაველი გზა დარჩებოდა მხოლოდ სავალი. 1510
თვითონ პეონიც ვერ განკურნავდა, სწორად რომ ითქვას, მისგან დაგესლილს.[118]
როცა ლიბიის უდაბნოებზე გადაიქროლა ღმერთების სწორმა
გმირმა პერსევსმა, ევრიმედონი* ვისაც უწოდა დედამ — დანაემ.
და თან მიჰქონდა თავის მეფესთან საზარ მედუზის — გორგონას თავი.
რამდენი წვეთიც მოჰრილ თავიდან დაეცა გზაში უდაბნოს ქვიშას,
იქცა ყოველი წვეტი ასპიტად**, მიწას მოედო მათი ჯილაგი[119].

---

* ევრიმედონი, ევრიმედონტი — ამ სახელით რამდენიმე მითიური გმირია ცნობილი: 1. ვიგანტების მეფე; 2. აგამემნონის მეეტლე, მოკლა ეგისთემ; 3. სახელოვანი პერსევსის ზედწოდება.

** ჰერაკლეს ჰესპერიდების ბაღის, მედუზისეული ასპიტის ეპიზოდებიდანაც აშკარად ჩანს ამ პოემის და საერთოდ ბერძენთა მითოლოგიის რთული არქიტექტურული ანსამბლის მთლიანობა. თითქოს ყოველი ეპიზოდი საგანგებოდაა მოზომილი, გარკვეულ დროსა და ადგილზე ნაწარმოების სიუჟეტში მორგებული, მოულოდნელად და მახვილგონივრულად გამოყენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპსემ დაადგა ფეხი ანაზდად ერთი მათგანის საზარელ ზურგზე
როცა ქვიშაში მიაბიჯებდა და წინ გადადგა მარცხენა ფეხი:
ზე აიწვართა უხსენებელი და დაეხვია ამპიკიდს მუხლზე.
ტკივილისაგან გამწარებულმა ბასრი კბილებით დაგესლა გმირი. 1520
ნახა, შეძრწუნდა ნაზი მედეა, აუკანკალდათ მხევლებს სხეული.
მოპსემ მოსინჯა თამამი ხელით სისხლის მჟონავი ჭრილობა მცირე,
რადგან ჯერ ისე არა სტკიოდა. ჰოი, საბრალო! ასპიტის შხამი
კანქვეშ, სისხლშიაც გავიდა უკვე, კაცის სახსრების დამშლელი გესლი!
წამიც და გმირის დანისლულ მზერას გადაეფარა სამარის ბინდი.
მოწყდა, მოეშვა, მოდუნდა ტანში, დაბლა დავარდა, გაცივდა კაცი.
გარს დაეხვივნენ ამხანაგები, უბედურებით ზარდაცემულნი,
მაგრამ საბრალო წინასწარმეტყველს სული მიწამდე არ დაჰყოლია,
და ახლა გვამმა მზეში მდებარემ ანაზდეულად დაიწყო გახრწნა.
ასე თვალსა და ხელს შუა გამქრალს, შხამში მოხარშულს, დასცვივდა თმაცა.
1530

აშმორდა მყისვე, მცხუნვარე მზეში არ ეგებოდა გვამის დარჩენა,
ხელი სპილენძის ბარებს დაავლეს და ღრმა სამარე გათხარეს იქვე,
შემდეგ ქალებმაც და ვაჟკაცებმაც მოთქმა-გოდებით იგლიჯეს თმები,
იტირ-იგლოვეს და ივაგლახეს ასე საბრალოდ დაღუპული და
სამგზის გარშემო შემოუარეს იარაღასხმულთ მის დაშლილ ცხედარს,
გამოიტირეს, როგორც წესია, და მიაბარეს პატივით მიწას.
შემდეგ ავიდნენ გემზე ყველანი, სამხრეთის ქარმაც დაჰქროლა ზღვაზე,
და ნაოსნებმა გაფაციცებით დაიწყეს ძებნა გასასვლელისა,
მაგრამ ტრიტონის ტბის კარს უჩინარს ვერ მიაკვლიეს ვერანაირად.
ასე ამაო ჯაფით სერავდნენ უფერულ ტალღებს იმ დღეს გმირები . 1540
გველი რომ გზაში გასრიალდება და მოსახვევში გაილურსება,
როს ჰელიოსის მცხუნვარე სხივი ართმევს სიცხეში სრიალის ხალისს,
რაღაც მსუსხავი სისინით აქნევს მარჯვნივ თუ მარცხნივ დასიცხულ თავსა
და უციმციმებს ბრაზმორეულსა ელვისებური ცეცხლი თვალებში,
ვიდრე მონახავს ხვრელსა თუ ნაპრალს და გაცურდება უხსენებელი, —
ასე ეძებდა ამ დუნე ტბაში სადმე გასასვლელს მთელი დღე არგო,
და სულ ამაოდ, ვიდრე დაბოლოს დიდმა ორფევსმა ურჩია გმირებს,
გაიტანეთო გემის კიდეგან აპოლონ ღმერთის მძლავრი სამფეხი,
და ველ-მინდვრების ღმერთებს უძღვენით, რომ დაგვაბრუნონ სამშობლოშიო.
მართლაც, მაშინვე ჩავიდნენ დაბლა და ჩაიტანეს ფებოსის ძღვენი. 1550
მაშინ გამოჩნდა ღმერთი ტრიტონი პირმშვენიერი ჭაბუკის სახით.
გავიდა ხმელზე, ასწია ხელში აპოლონ ღმერთის წმინდა სამფეხი,
მადლობის ნიშნად შეხედა გმირებს, ასწია მიწის ბელტი და უთხრა:

„ო, მეგობრებო, წაიღეთ ესა, რადგანაც არა გამაჩნია რა
უფრო ძვირფასი, რომ უცხო სტუმრებს მივართვა ძღვენი სამაგიერო!
მაგრამ თუ გემის გასასვლელს ეძებთ ამ ჩახურული ტრიტონის ტბიდან,
მე თქვენ გიჩვენებთ სიამოვნებით: მამამ მასწავლა, პოსეიდონმა,
გზა წმინდა ზღვისა და ხელოვნება, ვარ ამ ნაპირთა გამგებელი და
მცოდნე გზებისა: იქნებ ამბავი ევრიპილესი გსმენიათ თქვენცა, 1560
ნადირით მდიდარ შავ ლიბიაში შობილი ღმერთის, მეფე ტრიტონის“[120].

ასე თქვა ღმერთმა, და გაუწოდა ძლევამოსილმა ევფემემ ხელი,
მყის გამოართვა მიწის ბელტი და თავის მხრივ უთხრა მადლობის სიტყვა:

„უებრო გმირო, თუ იცნობ შენა აპისის მხარეს, მინოსის ზღვასა[121],
და თუ გსმენია, მაშ გულახდილად გაეც პასუხი, ვინც გეკითხება.
ჩვენ აქ მოვსულვართ აქ ჩვენი ნებით. ქარტეხილებით ავარდა ზღვაზე
და ქარიშხალმა გადმოგვისროლა ამ უდაბურ და უცხო მხარეში.
ავწიეთ გემი, მხრებზე შევიდგით, გადმოვატარეთ უდაბნოები,
გამოგვლევია ხმელეთზე ღონე, ჯაფამ გაგვტეხა და აღარ ვიცით,
რა გზას დავადგეთ, საით გავიდეთ, რათა ვიხილოთ პელოპის მიწა“. 1570

ასე თქვა გმირმა, და ღვთაებრივმა ტრიტონმა ხელით უჩვენა მყისვე
ზღვაც შორეული და მახლობელი გასასვლელიცა ტრიტონის ტბიდან,
უჩვენა ის გზა რასაც ამაოდ ეძებდა გემით გმირთა კრებული;
„ეგერ გზა, რასაც დაეძებთ თქვენა, მიღმა-უძირო, მრუმე, უძირო.
წიაღიც ზღვისა: ორსავე მხარეს თეთრი ნაპირი გადის მაღალი,
და იმ ორ ფლატეს შორის რომ ვიწრო გზა მოჩანს — ტბიდან გასასვლელია!
იქიდან ზღვა რომ გადაგეშლებათ, ის კუნძულ კრეტას ევლება გარსა,
პელოპის მიწის — პელოპონესის წმინდა მიწამდე გადაჭიმული.
ოღონდ ამ ტბიდან ზღვაში რომ გახვალთ, მარჯვნივ აიღეთ მიმართულება,
ვიდრე ის ზემოთ მიემართება, და რომ დაიწყებს განზე გადახრას 1580
ის სანაპირო მყარი მიწისა, გადაგეშლებათ ზღვა უნაპირო,
შეუფერხებლივ იცურეთ, ვიდრე შორეულ გრძელ კონცხს დაუვლით გარსა,
შემდეგ ხელმარცხნივ განაგრძეთ ცურვა გაშლილ სივრცეში, როგორც გენებოთ
გზა მშვიდობისა, მაშ, მეგობრებო! აგცდეთ ყოველი ხიფათი გზაში
და ძნელბედობა, რომ არ დაქანცოს წუხილმა თქვენი ნორჩი სხეული!“

ეს თქვა ტრიტონმა კეთილმოსურნემ, და ვაჟკაცებიც ავიდნენ გემზე,
ერთი სურვილით ატანილები, რომ ხოფთა ცემით გასცლოდნენ ტბასა.
დაუზოგავად უსვამდნენ ნიჩბებს, მიჰქროდა გემი უფერულ ტბაზე.
ყველამ იხილა ღმერთი ტრიტონი — როგორ ასწია სამფეხი მაღლა
და ტბის სიღრმეში ჩაეშვა მასთან, გაუჩინარდა სამფეხთან ერთად. 1590
ვეღარ იხილეს მეტად ტრიტონი, და გაიხარეს გმირებმა გულით,
რადგან ერთ-ერთი ნამდვილი ღმერთი კეთილი ნიშნით გამოეცხადათ.
ცხვარი, დავკლათო, უთხრეს ეზონიდს, შევწიროთ ტრიტონ-ევრიპილესო.
საუკეთესო ცხვარი შევწიროთ, საუკეთესო ვუთხრათო სიტყვა,
და იაზონმაც არ დააყოვნა — რჩეული ცხვარი ასწია მაღლა,
კიჩოზე დაკლა და წმინდა ზვარაკს ზედ დააყოლა ასეთი ლოცვა:

„ღმერთო ძლიერო, ამ შორეული ტბის ნაპირას რომ გვიჩვენე სახე,
ზღვის სასწაული ტრიტონი ხარ თუ ფორკისი, სასტიკ გორგონთა მამა,[122]
ან ზღვის ნიმფების მამა ნერევსი, — თუ გაგვახარე გამოცხადებით,
შეგვიწყალე და შინ დაბრუნების ნეტარი წუთიც გვაღირსე ბარემ!“ 1600
ასე ილოცა იაზონმა და გამოჭრა ყელი სამსხვერპლო ცხვარსა,
შემდეგ კიჩოდან პირდაპირ ტბაში გადაისროლა წმინდა ზვარაკი.
მაშინ კი წყალთა წიაღში ღმერთი ნამდვილი სახით ეჩვენა გმირებს.
როგორც მხედარი თავის ბედაურს ზოგჯერ ფაფარში ჩაავლებს ხელსა,
საასპარეზო წრეში შეიყვანს და ცხენიც პატრონს მორჩილად მისდევს,
დინჯი, ამაყად თავაწეული, ლაგამსა ხრავს და გადმოსდის ქაფი
ორივე მხრიდან, ქებულ ბედაურს, და აჩხარუნებს სადავით რკინებს, —
ასე ეჭირა ტრიტონსაც ხელით შვეულქიმიან ხომალდის საჭე

და წინ მიჰყავდა არგო თამამად. არგონავტებმა თვალი შეასწრეს,
წელს ზემოთ, თავი, მკერდი და ზურგი, ორივე ხელი, თეთრი გვერდები 1610
ჰქონდა ნეტართა, უკვდავ ღმერთების — თეთრი, ლამაზი და დიდებული.
მუცლის ქვემოთ კი, ბარძაყებიდან, უზარმაზარი, გაორებული
ჰქონდა ღვთაებას კუდი თევზისა, მარჯვე, მოქნილი და ქერცლიანი,
ბოლო ორმაგი, წაწვეტებული, ახალი მთვარის ნამგალს უგავდა.
შეუფერხებლივ მიჰყავდა გემი და მიიყვანა გასასვლელამდე,
ზღვაში გაუშვა, გზა დაულოცა, რომ გაეცურა სამშობლოსაკენ,
თვითონ კი ისევ იბრუნა პირი, ტბის თვალუწვდენელ ფსკერზე დაეშვა.
სამხიარულო ყიჟინით შეძრეს ამ სასწაულის მხილველთ ნაპირი,
და ამდენ ხიფათს გადარჩენილთა გაოცებასაც არ ჰქონდა ზღვარი.
დღესაც არისო იქ არგოს ყურე, და სხვა ნიშნებიც გემის ყოფნისა: 1620
საკურთხეველი ტრიტონისა და პოსეიდონის საკურთხეველი.
მთელი დღე ფეხი ვერ მოიცვალეს, იდგნენ, ელოდნენ ხელსაყრელ ქარსა,
განთიადისას აღმართეს აფრა, დატოვეს ყურე, ხრიოკი მხარე,
მარჯვნივ გაცურეს ზეფირის ფრთებზე, შეუსვენებლივ იქროლეს წინა,
მეორე დილით მიადგნენ მხარეს, სამხრეთისაკენ რომ დახრილიყო,
უბესთან კონცხი გაშვერილიყო, და კონცხის იქით ზღვა იყო ისევ.
მალე ზეფირი ჩადგა კიდევაც, მაგრამ ავარდა სწრაფი ნოტოსი[123],
წინ გააქანა ზღვაზე ხომალდი და გაახარა არგონავტები.
მზე რომ ჩავიდა და ცის ტატნობზე მწუხრის ვარსკვლავი ამოციმციმდა,
რომელიც მაშვრალ მიწის მუშაკებს დასასვენებლად ანიშნებს წასვლას, 1630
ნოტოსიც ჩადგა და ნაოსნებმა მოხსნეს აფრები, დახარეს ანძა,
ფიჭვის კრიალა ხოფებს დააწვნენ და უფრო მძლავრად დაჰკრეს ტალღებზე,
ასე უსვამდნენ გათენებამდე, მერე მთელი დღე და მთელი ღამე.
ბოლოს შორიდან გამოჩნდა მთები, არგო მიადგა კლდოვან კარპათოსს[124].
შემდეგ უდიდეს კუნძულ კრეტასაც მიაღწიეს და სურდათ გადასვლა,
სხვა კუნძულებში ის შორიდანვე განირჩეოდა თავის სიდიდით.
ის იყო დიქტეს ნავსაყუდელში ფიქრობდნენ უკვე არგოს შეყვანას,
რომ კლდეზე მდგარმა სპილენძის კაცმა, გიგანტ ტალოსად სახელდებულმა
ხომალდს ლოდები დაუშინა და არ დაანება ღუზის ჩაშვება.
არ დააყენა და არ შეუშვა გმირები დიქტეს ნავთმისადგომში 1640
იფნის ხისაგან შობილი მოდგმის სპილენძის ფესვის ეს ნაშიერი
იშვა სპილენძის საუკუნეში და მიეთვალა ნახევრად ღმერთებს.
ზევსმა კრონიდმა ეს ბუმბერაზი თავის ევროპას უძღვნა საჩუქრად[125],
კრეტაზე დასვეს იფნისშობილი და დაავალეს კუნძულის დაცვა.
ყოველდღე სამგზის შემოურბენდა მძლავრი სპილენძის ფეხებით კრეტას.
ხელ-ფეხი, ტანი, მთელი სხეული ჰქონდა უწყლვადი, წმინდა სპილენძის,
და მხოლოდ ტერფზე, ქუსლის არეში ფეთქავდა სუსტი კანით დაცული
წისქლსავსე ძარღვი, ის იყო მისი სიცოცხლისა და სიკვდილის ძარღვი.
არგონავტებმა დაუთმეს ძალას, ზარდაცემულნი დააწვნენ ნიჩბებს,
ზურგი აქციეს ბუმბერაზ ტალოსს და გააბრუნეს ხომალდი უკან. 1650
იქვე, თავისდა საუბედუროდ, განშორდებოდნენ კრეტას სრულიად,
შიმშილ-წყურვილით გაწამებულნი, დაქანცულები, გულნაკლულები,
რომ ოტებული გმირებისათვის არ ეთქვა დროზე გრძნეულ მედეას:

„მისმინეთ! ვფიქრობ, მე რომ მაცალოთ, ჭკუას ვასწავლი ბუმბერაზ ტალოსს,
ვინც უნდა იყოს — სპილენძისაა, მაგრამ უკვდავი არ არის, ვიცი.

და უეჭველად აქვს დასასრული მის საუკუნეს და მის სიცოცხლეს*.
თქვენ მოშორებით დადექით ზღვაში, რომ გემს ვერ მისწვდეს ლოდები კლდისა,
მე კი ვეცდები ბოლო მოვუღო იმ ქვასროლია სპილენძის მთა-კაცს.

თქვა მედეამ და გმირებმაც გემი შორს გაიყვანეს ხოფების ცემით,
რომ ქვასროლიას ვერა ევნო რა, მერე მედეას უწყეს ლოდინი, 1660
რას მოიფიქრებს, აბა ვნახოთო! ხოლო მედეამ თეთრი ღაწვები
ძოწის სამოსით დაიფარა და გემის ერდოზე ავიდა მაღლა,
თვითონ იაზონს ეკიდა ხელი, გადაატარა ფიცარნაგები,
იქ მოუწოდა მედეამ ლოცვით სიცოცხლის მომსპობ, უწყალო კერებს,
ჰადესის ძაღლებს, ღამის ნაშიერთ, სულ რომ ჰაერში დაჰქრიან მარად
და მზად არიან ცოცხალ არსებებს ანაზდეულად მოუღონ ბოლო.
სამგზის დაემხო დაბლა მედეა, სამგზის სიმღერით მოუხმო კერებს
მუხლმოდრეკილმა, ავი განზრახვით, სამგზის მძულვარედ გახედა ტალოსს,
სპილენძის ღმერთ-კაცს, კლდეზე მდგომარეს საბედისწერო მიაპყრო მზერა
მტრული, მჩხიბავი, თავბრუდამხვევი, და დამღუპველი სამსალის ძალით 1670
მოაჯადოვა, რეტი დაასხა, დაუტრიალა შავი ლანდები
და ჩაუყენა თვალებში ბინდი ,რისხვით აღსავსე, სასტიკი მზერით.

მამაო ზევსო! შიშმა შემიპყრო. განცვიფრებული ვარ მე თვითონაც!
ვხედავ, რომ მარტო ჭირს და ჭრილობებს არ შესძლებიათ კაცის დაღუპვა,
თურმე შორიდან მოქმედებითაც ხერხდება მისი მზის დაბინდება**.
თუმცა სპილენძის იყო გიგანტიც, ვეღარ აღუდგა გრძნეულის ძალას,
დაემორჩილა მედეას ჯადოს, დაცხრა, დაუშვა დაბლა ხელები,
ქუსლი წამოჰკრა წვეტიან კლდესა და ღვთაებრივი გადმოსკდა სისხლი,
გამდნარი ტყვიის მსგავსი და სქელი, კლდიდან მორღვეულ ლოდთა
მტყორცნელმა
ვეღარ შეიძლო ზეზე დგომა და ვეღარ გაჩერდა ქარაფის თავზე, 1680
სადაც აცოცდა მძლავრი ღმერთ-კაცი, დაუძლეველი, იფნისშობილი.
როგორც მწვერვალზე ცად აზიდული უზარმაზარი მაღალი ფიჭვი,
შეშისმჭრელმა რომ ბასრი ნაჯახით შემოჭრა ძირში, არა მთლიანად,
მიატოვა და ტყიდან წავიდა, — შუაღამისას ავარდა ქარი.
შეიძრა ტყე და შეირხა ფიჭვი, ჯერ ქანაობდა ქარიშხალში და
შემდეგ ზღართანით დაეცა დაბლა***, — ასე, ტალოსიც კარგა ხანს იდგა,
შემდეგ შეირხა და შეტორტმანდა, ვერ შეიმაგრა სპილენძის ტანი,
ჩაიმზღვლა მისი უსულო გვამი გრუხუნ-გრიალით მღელვარე ზღვაში.

---

* რჩება შთაბეჭდილება, რომ უფრო მაღალი კულტურის წარმომადგენელი მედეა მალე აღსასრულს უწინასწრმეტყველებს სპილენძის ჟამგადასულ საუკუნეს, რომლის ხორცშესხმული სიმბოლოა სპილენძის ღმერთ-კაცი ტალოსი. პოეტი მედეას ჯადოქრობის უნარს „გამოზოგვით“ იყენებს ,მხოლოდ საჭირო შემთხვევაში. ვინც სძლია ცეცხლისმფრქეველ ხარებს, მოაჯადოვა ურჩხული და მოკლა ტალოსი, მას ალბათ შეეძლო ეხსნა გველისაგან დაგესლილი მოპსეც, მიშველებოდა გარიყულ არგონავტებს და ა. შ., მაგრამ მედეა მხოლოდ იქ ერევა, სადაც ბედისწერა მის ხელოვნებას გასაქანს აძლევს.

** გოეთეს აქვს ბალადა „შორით დაგვა“ (ქართულად: გოეთე, რჩეული ლირიკა, მერანი, 1972). მკვლევარები ამ ნატურფილოსოფიური იდეის—შორიდან ზემოქმედების რწმენის საკითხზე მსჯელობის დროს გოეთეს ამ ლექსს დიდ ანგარიშს უწევენ. როგორც ამ ეპიზოდიდან ჩანს, ძველ ბერძნულ ლიტერატურაში ასეთი მოტივი გულუბრყვილო, მაგრამ პოეტური სახით უკვე ცნობილი იყო.

*** პროზ. თარგმანში ეს შედარებაც შემოკლებულია: „ცულით გადაჭრილ ფიჭვის ხესავით მოსწყდა კლდის წვერს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებულმა არგონავტებმა ის ღამე დაჰყვეს კუნძულ კრეტაზე.
დილით, როგორც კი ოდნავ ინათა, წამოიშალა გმირების გუნდი,
მფარველ ათენას — მინოიდს იქვე აუგეს წმინდა საკურთხეველი,
წყალი აიღეს, ავიდნენ გემზე და მოიმარჯვეს ხელში ხოფები,
რომ სალმონიდის კლდოვან კონცხისთვის[126] უპირველესად გარს შემოევლოთ.

სწრაფად სერავდნენ კრეტის ზღვას, მაგრამ ანაზდად ღამე ჩამოწვა ქუფრი,
ღამე წყვდიადი და კუნაპეტი, რასაც „კატულასს“ უხმობენ ხოლმე[127].
ამ დამლუპველი ღამის ბურუსში ცაზე ვარსკვლავიც არა ჩანს კენტად,
არც მთვარეა და კაცმა არ იცის, ციდან ჩამოდის ასეთი ბინდი
თუ ქვესკნელიდან, ბნელი ჰადესის ორწოხებიდან ამოდის ღამე.
აღარ იცოდნენ, წყალში მიცურავს მათი არგო თუ სადღაც ჰადესში,
და ვერაფერი რომ ვერ გაიგეს, ისევ დაბურულ ზღვას ანდეს თავი:
საითაც უნდა, იქით წაგვიღოს, აღარაფერი შეგვიძლიაო!
მავედრებელმა ეზონის შვილმა მაშინ აღმართა ხელები მაღლა
და გასაჭირში შველა შესთხოვა აპოლონ ფებოსს ცრემლთა ფრქვევითა,
დაუთქვა ბევრი ძღვენი და მსხვერპლი ამიკლესა და წმინდა პითონში,
ორტიგიაშიც შემოგწირავო უთვალავ მსხვერპლსა, უთხრა ხმამაღლა.
ლატონას ვაჟო, გმირის ვედრებას შენ მიაპყარი მაშინვე ყური,
დაეშვი ციდან, იქმენ ხილული, მელანტიოსის კლდეზე შედექი,
მარჯვენა ხელით აღმართე მაღლა მშვილდი ოქროსი, სხივთა მფრქვეველი,
და გაანათე მთელი მიდამო, ღმერთო მაღალო, შენი მშვილდითა,
რითაც იხსენი განწირულები იმ უსაშველო წყვდიად ღამეში.
აქ სპორადების ერთი პატარა კუნძული ნახეს ხომალდის გზაზე,
მისებრ ნამცეცა კუნძულის იქით, რომლის სახელი ჰიპურისია.
იქვე ჩაუშვეს ღუზა გმირებმა, მერე ბაგირი მიაბეს ნაპირს,
მალე ეოსმაც ამოანათა და მზემ ქვეყანას მოჰფინა შუქი,
მაშინ გმირებმა ფებოსს აუგეს ბრწყინვალე სახლიც, საკურთხეველიც
გამლილ ჭალაკში, და სხივოსანი ანუ ეგლეტე უწოდეს თანაც[128],
იმ პაწაწინა კლდოვან კუნძულს კი — „ანაფე“ ანუ ჩვენება, რადგან[129]
კლდესთან დაღუპვის შიშით დაზაფრულ გმირებს ფებოსმა უჩვენა ისა.
შემდეგ შესწირეს მსხვერპლად აპოლონს ის, რაც უდაბურ ნაპირზე ნახეს
შესაწირავად გამოსადეგი, მხოლოდ ზედაშედ იხმარეს წყალი.
როცა ნახეს რომ ღვინის მაგიერ სამსხვერპლო ცეცხლზე უქცევდნენ წყალსა,
დიდად ეოცათ ფეაკელ მხევლებს — მედეას მხლებელთ წასკდათ სიცილი;
მათ, ალკინოეს სრა-სასხლეში აღზრდილ ქალწულებს, ეს არ ენახათ,
მსუქან სამსხვერპლო ხარებს ხედავდნენ დასაკლავად და ზედაშედ — ღვინოს.
გმირებმა ფიცხლავ მხიარულ მხევლებს უწმაწურ სიტყვით გასცეს პასუხი,
ამ ხუმრობაში ნახეს ნუგეში, გადაიყარეს გულიდან დარდი.
ესიამოვნათ ქალთა სიცილი და მოსწრებული სიტყვა-პასუხი.
ეს გახუმრება სახსოვრად დღესაც კუნძულ ანაფეს ჩვევად შემორჩა,
აქვთ პაექრობა და კენწლაობა, კვლავ დასცინიან ქალები კაცებს,
როცა სხივოსანს — ანათეს ფებოსს ადიდებენ და სწირავენ მსხვერპლსა.

ხოლო როდესაც დაწყნარდა ზღვა და მოხსნეს ბაგირი სანაპიროზე,
გმირმა ევფემემ ის გაიხსენა, რაც წინა ღამეს სიზმრად ენახა,
და თაყვანი სცა მაიას შვილსა[130]. ხოლო სიზმარში აი, რა ნახა:
ვითომ ღვთაებრივ იმ მიწის ბელტი,, რაიც ტრიტონმა აჩუქა გმირებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულზე მიეკრა და რძის წვეთებმა დაიწყეს ყონვა მისსავე ხელზე.
იმავ ბელტიდან ქალწული ქალი გამოეცხადა, თუმცა პატარა
ვნებით აენთო, შეიყვარა და შეუკავშირდა ყინმორეული,
და მერე ვინმე ქალიშვილივით მწარედ ტიროდა შეძრწუნებული,
რომ საკუთარი რძით გამოკვება და მერე თითქოს მასთან იცხოვრა,
ხოლო ქალი კი მას მიუბრუნდა და გაახარა ასეთი სიტყვით: 1740
„ო, მეგობარო, მე უკვდავი ვარ, ღმერთის ტრიტონის გვარის და მოდგმის;
იცოდე, ძიძა ვიქნები შენთა შთამომავალთა, შენი კი არა—
ტრიტონისა და ლიბიისა ვარ, — ახლა გამიშვი, ნუღარ მაკავებ,
ნერეიდებთან მინდა წავიდე, კუნძულ ანაფეს მახლობლად ვიყო,
გავა წლები და მე ისევ მოვალ, შენს შვილიშვილებს ვემსახურები“.

გულის კარნახით გაიხსენა და ანდო ეზონიდს გმირმა სიზმარი.
აქ იაზონმა შორსამტყორცნელის* ყველა მისნობა გაიხსენა და[131]
არც დაუმალავს, გადაუშალა მამაც ევფემეს აზრი თავისი:
„ო, მეგობარო, შენ ჭეშმარიტად გელის ნამდვილი სახელ-დიდება!
ზღვაში ნასროლი ბელტი ღმერთებმა უნდა აქციონ ქებულ კუნძულად, 1750
რათა იქ შენმა მემკვიდრეებმა ნახონ სავანე, სამკვიდრო მტკიცე.
თვითონ ტრიტონმა ჩაგიგდო ხელში ლიბიის მიწის წმინდა ნაწილი —
ეს იყო მისი საჩუქარი და განა სხვა ვინმე უკვდავთაგანი,—
თვითონ ტრიტონი შეგვხვდა და ბედზე გადმოგცა ხელში ეს მიწის ბელტი“.

ასე თქვა გმირმა. ხოლო ევფემემ არ გაატანა ქარს მისი სიტყვა
და ბელტი ზღვაში გადაისროლა, გახარებულმა მისი მისნობით.
მაშინვე ზღვიდან ამოიზიდა კუნძული, რასაც ჰქვია კალისტე[132] —
სულის ჩამდგმელი და მარჩენალი მამაც ევფემეს შთამომავალთა,
რომელნიც უწინ ცხოვრობდნენ სხვაგან — სინტეიდელთა კუნძულ ლემნოსზე*
ამ კუნძულიდან ტირენელების მოლაშქრე ტომმა გამოაძევა, 1760
სპარტას მივიდნენ მავედრებელნი და იქ ითხოვეს თავშესაფარი.
შემდეგ სპარტიდან ავტესიონის სახელოვანმა შვილმა თერასმა
გადაიყვანა კალისტეზე და კუნძულს უწოდა სახელად თერა.[133]
რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოხდა ევფემეს სიკვდილის შემდეგ.

ფრთაშესხმულივით წავიდა გემი, ზღვა არგოს კიჩოს უკან რჩებოდა,
კუნძულ ეგინის სანაპიროებს მიადგნენ, რათა აეღოთ წყალი.
აქ გადავიდნენ წყლის ასაღებად და გაიმართა გმირთა შეჯიბრი:
ვინ უფრო მალე აიღებს წყალსა, აიტანს გემზე სავსე ჭურჭელსო! —
რადგან ავარდა ზღვაზე ქარი და დრო აღარ იყო დაყოვნებისა.
მას შემდეგ დღემდე მირმიდონელთა შთამომავალნი, ეგინელები 1770
ავსებენ დოქებს, იდგამენ მხრებზე და აქვთ შეჯიბრი შეუპოვარი,
ვინ უფრო მარჯვედ, ვინ უფრო მალე მიიტანს წყალსა და გაიმარჯვებს.

ძლევამოსილო არგონავტებო! ნუ გამიწყრებით, ღმერთების მოდგმავ!
თქვენზეა ჩემი სიმღერა მწველი! დე, წლიდან წლამდე ყოერდეს მარადის
ხალხის საამოდ! მე დავასრულე, მიმიყვანია საქმე ბოლომდე,

---

* აპოლონის.

** სინტიკე ერქვა თრაკიის სინტოელებით დასახლებულ მხარეს მაკედონიაში (ქ. ჰერაკლეია სინტიკე). სტრაბონი ჰომეროსის სინტიეს და ამ სინტოის აიგივეებს (ილ., 1, 594).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან სხვა ჯაფა არ შეგხვედრიათ, არც ფათერაკი არავითარი,
რაც ეგინასთან ასწიეთ ღუზა, განაგრძეთ ცურვა სამშობლოსაკენ,
არავითარი ქარტეხილები არ ატეხილან თქვენს სავალ გზაზე,
სრულიად მშვიდად გასცურეთ, გასცდით კეკროპთა მხარეს, შემდეგ ავლიდას,
ევბეის ყურეს, იქვე გადაშლილს, ლოკრთა ქალაქებს ოპუნტიურსა
და მიადექით სვებედნიერნი პაგასას მწვანე სანაპიროებს[134].

7 1760

□ დასასრული □

თარგმნა **აკაკი გელოვანმა**

განმარტებანი

92 ზევსმა კავშირი დაიკავა მოკვდავ ანტიოპესთან. ქალს ეყოლა ზეთე (ძეთე) და ამფიონე. ქალი მამას გაექცა, ბიძამ შეიპყრო, სასტიკად დაისაჯა.

93 დანაეს მითი: არგოსის მეფეს აკრისიას ჰყავდა მზეთუნახავი ასული დანაე. შვილიშვილი ტახტს წაგართმევსო, უწინასწარმეტყველეს, და ასული კოშკში ჩაკეტა. ზევსი ოქროს წვიმის სახით მოეკლინა. ქალს ეყოლა პერსევსი. მეფემ დედა-შვილი კიდობანში ჩაკეტა, ზღვაში გადააგდო. მებადურმა იხსნა. მერე გმირმა პერსევსმა მეფე პოლიდექტეს დავალებით გორგონა მოკლა.

94 ექეტოსი — ეპირის სასტიკი მეფე, ადამიანებს წამებით კლავდა (ოდ., XVIII). შეუბრალებლად მოკლა სასიძო ექმოდიკოსი და თავის ასულს თვალები დასთხარა, მერე საპყრობილეში ჩააგდო.

95 მითი: ზევსმა კავშირი დაიჭირა თებეს მეფე კადმოსის ასულ სემელესთან. ეჭვით შეპყრობილმა ჰერამ სემელე მოატყუა: შენს სატრფოს სთხოვე მთელი თავისი სიდიადით გამოგეცხადოსო. ზევსმა ქალს თხოვნა შეუსრულა, სემელეს ცეცხლი მოედო. ჩასახული დიონისე საშოდან ჰერმესმა გამოიღო, ზევსმა ბარძაყში შეინახა, ცხრა თვე ატარა. მერე ნიმფა მაკრისი უვლიდა.

96 ეგეოსი — მდინარე კერკირას კუნძულზე.

97 მელიტეოსი — მთა კერკირაზე.

98 ჰიმენე — საქორწინო სიმღერა.

99 ეფირე — კორინთოს უძველესი სახელია.

100 ბაკხიდები — კორინთოს მეფის ბაკხის შთამომავალნი (ბაკქიადები).

101 ნესტეელები — ილირიის ხალხი. ორიკემათი ქალაქი.

102 ნომიოსი — კანონთა დამცველი (აპოლონის ზედწოდება).

103 მოირები — ბედისწერის სამი ქალღმერთი: კლოთი, ლახესი, ატროპო.

104 ლიბიას ბერძნები უწოდებდნენ აფრიკის ჩრდ. სანაპიროსაც.

105 ეპირსა და აქარნანიის შორის არის ამბრაკიის უბე.

106 გამომცემელს ლეერს დაუდევრობით კუნძული კრეტა შეშლია, სინამდვილეში კი აქარნანიაა ნაგულისხმევი (კურეტის მხარე).

107 ეს კუნძული აქარნანიის სამხრეთითაა.

108 პელოპონესი.

109 სირტი — სიდრა, ტრიპოლში, მეჩხერი უბეებითაა ცნობილი.

110 პაქტოლოსი — ლიდიის გედებით განთქმული მდინარე.

111 ტრიტონის მდინარე — ნილოსი.

112 ზოგი ამ ადგილს „ცხვრის მწყემსებად" თარგმნის, რაც სწორი არაა.

113 ამფიტრიტე — ზღვათა ღმერთის პოსეიდონის მეუღლე.

114 ატლანტი—ტიტანი.

115 ევრისთევსის ბრძანებით ჰერაკლემ მოკლა ლერნეს ჭაობის ცხრათავიანი ჰიდრა და მის შხამიან სისხლში ისრები ამოავლო.

116 იხ. II წიგ. შენ. 84.

117 I წიგ. შენ. 95.

118 პეონი — ოქიმპიელთა მკურნალი ღმერთი.

119 იხ. შენ. 93.

120 ევრიპილე — პოსეიდონის ძე, იგ. ღმერთი ტრიტონი, ლიბიის მეფე.

121 აპისი — არგოსის მითიური მეფე. მინოსის ზღვა — კრეტის ზღვა.

122 ფორკისი — ზღვის ღვთაება, გორგონის მამა.

123 ნოტოსი — სამხრეთის ქარი.

124 კარპათოსი — კუნძ. კრეტის ახლოს.

125 ევროპა — ფენიქსის ასული, ხარად ქცეულმა ზევსმა მოიტაცა და კრეტაზე გადაიყვანა.

126 კრეტის კონცხი — აწ სიდეროსი.

127 კატულას — წყვდიად ღამეს ნიშნავს.

128 ეგლეტე — ბრწყინვალეს ნიშნავს.

129 ანაფე ნაწარმოებია ზმნისაგან, რაც „ჩვენებას" ნიშნავს.

130 ჰერმესი, სიზმრების ღმერთიც იყო.

131 ჰეკატოსი — აპოლონი.

132 კალისტე ლამაზს ნიშნავს.

133 თერა-აწინდელი სანტორინი.

134 ატიკა. პაგასი— იოლკოსის ნავსადგური.

„არგონავტიკის“ თარგმანის ტექსტსა და შენიშვნებში (1972 წ. №№ 10, 11, 12) გაპარულია შეცდომები:

I სიმღერა. გვ. 86. დაბეჭდილია „ორმარცვლოვანი“, უ. ი. ოცმარცვლოვანი; გვ. 89, ქვ. მე-6 სტრიქონში დაბეჭდილია „კლიტოისი“, უ. ი. კლიტიოსი; გვ. 91, ქვ. 1, არის „ჰიდრი“, უ. ი. ჰიდრა; გვ. 90, ქვ. 13 „არეოსის“ ნაცვლად უ. ი. არეიოსი; გვ. 113, ზემოდან 11, წერია „მდინარეს“, უ. ი. მძინარეს; იქვე, ქვ. 10, არის „ქალღმერთს მხლებელთ“, უ. ი. ქალღმერთის მხლებელთ.

II სიმღერა. გვ. 136. არის Аполоний უ. ი. Аполлоний; გვ. 154 (სქოლიო), არის vitzt უ. ი. ritzt; გვ. 156, არის Sex, უ. ი. Lex.; გვ. 161 (სქოლიოში), არის Amavanten, უ. ი. Amaranten; იქვე, ქვ. მესამე სტრიქონი ზედმეტია; სტრიქ. 237, არის „მანცარი“, უ. ი. მენცარი.

III სიმღერა. გვ. 143 (სქოლიო), არის Scrlacht უ. ი. Schlacht; სტრ. 302, არის „ასული შვილებს“, უ. ი. ასულის შვილებს, 309. არის „რომ“, უ. ი. როს; 440, არის „გამოჰყავთ“, უ. ი. გამოჰყვათ; 465, „მერე რა მინდა“ ზედმეტია; 607, არის „გაგისხლტესო“, უ. ი. გაგვისხლტესო; 704, „მოგევლინებას“ ნაცვლად უ. ი. მოგევლინები; იქვე სქოლიოში წერია „ღურმეთ“, უ. ი. ღერმეთ; 720, არის „გრძნობით“, უ .ი. გრძნებით; 1112, არის „გამოჩნდე“, უ. ი. გამოვჩნდე; 1124, არის „იქნება“, უ. ი. იქნები; 1152, „რა გაიკარა“, უ. ი. არ გაიკარა; 1155, წერია „ქალკიოპე“, უ. ი. ქალკიოპემ; გვ. 166 (სქოლიო), არის „მიაწერეს“, უ. ი. მიაწერს; 1330, არის „რომ“, უ. ი. ხომ.

I, გვ. 88, ზემოდან 18 — უ. ი. „დგანან მუხები“.

I, 134-135 (№ 10, გვ. 91) უნდა იკითხებოდეს (ზემოდან 5-6):

> კლიტონეოსის ძე ნავპლიოსი, შვილი ქებული ნავბოლიდისა, ხოლო ნავბოლე, იმ ნავპლიოსის პაპა, თავის მხრივ ლერნეს შვილია (იქვე სქოლიო ზედმეტია).

I, 207 (№ 10, გვ. 93) ასე უნდა იკითხებოდეს:

> აგერ, მოვიდა გმირი იფიტე, შვილი ნავბოლეს, ორნიტიდისა.

II, 387 — არის ორეტრე, უ. ი. ოტრერე; სტრ. 600, არის სკიანები, უ. ი. კიანები.

II, 1235-1237 (№ 11, გვ. 182) — არის „ჰერა“ უნდა იყოს რეა. იქვე, 1259, უნდა იკითხებოდეს ასე: ვიდრე არწივი ისევ იხილეს, გაბრუნებული იმავე გზითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძღვნება რუსუდან ხარაძეს

შემოქმედებითი ნიჭის სრული გაფურჩქვნის ხანაში შეწყდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის რუსუდან ხარაძის სიცოცხლე 1965 წელს. ქართველი და კავკასიის მთიანეთის ხალხების წარსულის ამ სახელოვანი მკვლევარის ხსოვნას ეძღვნება „კავკასიის ეთნოგრაფიის კრებულის“ მესამე წიგნი „მთიულეთის ეთნოგრაფიის საკითხები“.

კრებული იხსნება წერილით „რუსუდან ხარაძე (1909-1965),“ რომელშიც მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად არის დახასიათებული განსვენებული მეცნიერის მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტები: რ. ხარაძე — ეთნოგრაფიული მასალების დაუცხრომელი შემკრები ,ნიჭიერი მკვლევარი, ბრწყინვალე პედაგოგი.

მეცნიერმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს კუთხეების და, კერძოდ, მთიულეთის შესწავლასაც, თუმცა ნაადრევმა სიკვდილმა აღარ დააცალა ბოლომდე მიეყვანა ამ კუთხის მეცნიერული შესწავლა. ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ეს კრებული, რომელშიც რ. ხარაძის კოლეგებისა და მოწაფეების ნაშრომებია შესული.

ყველა ამ ნაშრომს მიმოიხილავს პროფ. ალ. რობაქიძე სტატიაში „მოკლე ბიბლიოგრაფიული შენიშვნები მთიულეთის შესახებ არსებულ ეთნოგრაფიულ გამოკვლევებზე (1921-1968)“ (სარეცენზიო კრებული, გვ. 219-237).

ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიაზეც არის მსჯელობა. „ეთნოგრაფიის საფუძვლებში“ რომელიც ს. ტოკარევის საერთო რედაქციით დაიბეჭდა მოსკოვში 1968 წელს. მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის ამ ნაშრომის ავკარგს კარგად ახასიათებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის თ. ჩიქოვანის რეცენზია „ზოგადი ეთნოგრაფიის სახელმძღვანელო“ (გვ. 240-244).

სახელმძღვანელოს იმ პარაგრაფში, რომელიც კავკასიის ხალხებს ეხება, კარგად არის გათვალისწინებული რ. ხარაძისა და სხვა მეცნიერთა მოსაზრებანი, რომლებმაც კარგა-ხანია საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიო ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (გვ. 243).

ამასთანავე რეცენზენტი იმ ხარვეზებსაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომლებიც ამ წიგნში შეინიშნება.

მთიულეთის ეთნოგრაფიულ შესწავლაში დიდი როლი შეასრულა 1960-1961 წლის სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელშიც მონაწილეობდნენ: ა. რობაქიძე (ხელმძღვანელი), რ. ხარაძე (ხელმძღვანელის მოადგილე), გ. გეგეჭკორი, ი. ფუტკარაძე და სხვები.

ამ ექსპედიციის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა-დაკვირვებანი დაედო საფუძვლად რ. ხარაძის, ალ. რობაქიძის, ი. ფუტკარაძისა და სხვათა რამდენიმე ნაშრომს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. ხარაძის გამოკვლევა „ხევსურული აღლუმი-საზოგადოებრივ-ეკონომიური გაერთიანების ძველი ფორმა“, რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის წიგნი „მთიულეთის სოფელი ძველად“ (თბ., 1965 წ.) და სხვ.

კრებულში დაბეჭდილია მთიულეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ხელმძღვანელის მოკლე ანგარიში.

ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას მათი საზოგადოებრივი ყოფის თავისებურება შეადგენს. ამ თავისებურებათა ძიებისას რ. ხარაძემ საფუძვლიანად შეისწავლა სვანური ლამხუბი და ხევსურული მამანი — განაყარ ოჯახთა ჯგუფები, რომელთაც ახასიათებს ინტერესების ერთობლიობა მეურნეობრივი, სოციალური და იდეოლოგიური ცხოვრების ზოგ სფეროში.

მთიულეთის ეთნოგრაფიული ყოფის ამ მხრივ საინტერესო ინსტიტუტია „კომობა“. — ზოგადად ეს ინსტიტუტი ჯერ კიდევ 1965 წელს შეაფასეს რ. ხარაძემ და ალ. რობაქიძემ. შემდეგ ამ საკითხს ალ. რობაქიძემ მიუძღვნა რამდენიმე გამოკვლევა, მათ შორის სარეცენზიო კრებულში მოთავსებული „მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე“. ალ. რობაქიძის ამ გამოკვლევით მთიულუ-

---

„კავკასიის ეთნოგრაფიის კრებული“, მესამე წიგნი — „მთიულეთის ეთნოგრაფიის საკითხები“, „მეცნიერება“.

რი „კომობა“ პატრონიმიული ორგანიზაციაა, ისეთივე ტიპისა, როგორც სვანური „ლამხუბი“ და ხევსურული „მამანი“. ამ დებულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისის კრიტიკული დაძლევისათვის, რომელიც XIX ს-ის საქართველოს მთიანეთში გვაროვნულ წყობილებას გაბატონებულ საზოგადოებრივ ძალად მიიჩნევს.

კარგახანია ეთნოგრაფთა ყურადღებას იპყრობს მთიულური საცხოვრებელი ნაგებობები დარბაზული სახლისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტით (ლ. პანეკი, ს.მაკალათია, ალ. რობაქიძე). ასეთ მთიულურ ნაგებობათა და დარბაზის ურთიერთობას ეხება თ. ჩიქოვანის სტატია.

მთიულურ საცხოვრებელ ნაგებობათა ერთ-ერთ საინტერესო ტიპს — „ქვიტკირს“ (ციხე-სახლს) და მის თავისებურებებს აშუქებს ისტ. მეცნიერებათა კანდიდატის გ. გეგეჭკორის სტატია „მთიულური ქვიტკირის ზოგიერთი მხარე“.

მთიულურ „ქვიტკირს“ ავტორი ადარებს მოხეურ, ხევსურულ, ინგუშურ ასეთსავე ციხე-სახლებს და მიუთითებს იმ მსგავსებაზე, რომელსაც იგი ამ საცხოვრებელ ნაგებობებთან ავლენს, საინტერესო იქნებოდა ავტორს ეჩვენებინა ის განსხვავებული თავისებურებები, რომლებიც მთიულურ ციხე-სახლს გააჩნია

ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში დიდიხანია საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ოჯახის ისტორიამაც, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიაქციეს ყურადღება (ნ. ხიზანაშვილი და სხვ). ჩვენი დროის ეთნოგრაფთა შორის ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის საკითხს ფუნდამენტალური გამოკვლევა მიუძღვნა რ. ხარაძემ, რომლის ორტომეულმა «Грузинская семейная община» აღიარება ჰპოვა როგორც სამამულო, ასევე უცხოეთის ეთნოგრაფიაში. ამ პრობლემაზე კარგახანია ინტენსიურად მუშაობს ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი ვ. ითონიშვილი, რომლის საყურადღებო გამოკვლევასაც „საოჯახო ყოფა მთიულეთ — გუდამაყარში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სარეცენზიო კრებულში.

საკითხის კვლევას ავტორი საესებით სწორად იწყებს მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვით, სადაც ხაზგასმულია რ. ხარაძის ღვაწლი ამ საქმეში.

ვ. ითონიშვილი საფუძვლიანად განიხილავს მთიულური საოჯახო ყოფის შემდეგ საკითხებს: ოჯახის შემადგენლობა, მისი ეკონომიური საფუძვლები, ოჯახის მმართველობის სისტემა და შრომის ორგანიზაცია, ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი.

მთიულეთის სამეურნეო ყოფის ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა „ორხელაობა“. ამ ინსტიტუტის შესწავლას ეძღვნება ბ. გამყრელიძის სტატია „სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში („მთიულური ორხელაობა“).

„ორხელაობის“ საკითხის მეცნიერული გამოკვლევა საშუალებას აძლევს ავტორს მესაქონლეობა მთიულეთში საკმაოდ მაღალგანვითარებულ დარგად მიიჩნიოს. ამავე საქმიანობას ავტორი სწორად უკავშირებს ახოებს და მართებულად აღნიშნავს, რომ „ორხელაობა“ „პირველ რიგში მესაქონლეობის ინტერესებს ემსახურებოდა“.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში კარგახანია ყურადღება მიექცა „შინშის“ ინსტიტუტს ქართველ მთიელებსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ნათესაობის სისტემაში. ეს საკითხი ხევსურეთში ჯერ კიდევ 30-იან წლებში შეისწავლა რ. ხარაძემ, მანვე მოგვიანებით იგი სპეციალურად გამოიკვლია დიდოეთში.

რ. ხარაძისა და სხვა მკვლევართა ნაშრომების გამოყენებით, მთიულეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებისა და სხვა ჩვენებათა მომარჯვებით აშუქებს ამ საკითხს ნ. ჯავახაძე სტატიაში „ნათესაობის სისტემის ისტორიიდან — შინშის საკითხისათვის მთიულეთში“.

რ. ხარაძე ენერგიულად იკვლევდა ქონებრივი ურთიერთობის საკითხებსაც, მათ შორის ისეთ საყურადღებო ინსტიტუტს, როგორიცაა სათავნო. განსვენებულმა მეცნიერმა სწორად შენიშნა ჰამურაბის კანონების შერიქეთუმის სიახლოვე ქართულ სათავნოსთან. მანვე მეცნიერულად განსაზღვრა ამ ინსტიტუტის წარმოშობის დრო და პირობები, მიუთითა იმ ტრანსფორმაციებზეც, რასაც სათავნო განიცდის კლასობრივ ხანაში.

სათავნოს პრობლემას მთიულეთის სინამდვილეში ეძღვნება ლ. მელიქიშვილის საინტერესო სტატია „ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში — სათავნო“ რომელშიც სამეცნიერო ლიტერატურის (მ. კოსვენი, რ. ხარაძე, ვ. ითონიშვილი და სხვ.) გათვალისწინებითა და ავტორისაგან საველე ძიებით მოპოვებული მასალების მეცნიერული შესწავლის საფუძველზე კარგადაა ნაჩვენები ამ ინსტიტუტის თავისებურება ქართლის მთიანეთის ეთნოგრაფიულად ამ მეტად საყურადღებო კუთხეში.

ქართველ მთიელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუდამ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამართლის საკითხებს. რ. ხარაძეს ამ პრობლემის ეთნოგრაფიული თვალთახედვის შესწავლაშიც დიდი წვლილი უდევს. ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ფუტკარაძე სტატიაში. „მთიულთა ჩვეულებითი სასისხლო სამართალ წარმოების საკითხები“.

სტატიაში საფუძვლიანადაა შესწავლილი

ბეების, შურისძიების, კომპოზიციის, შერიგებისა და სხვა ინსტიტუტები.

სარეცენზიო კრებულში მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზეც არის მსჯელობა. მთიულურ „ცხავატს", „წილკანს" და „წანარს" ეხება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. გვასალია სტატიაში „მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან". საველე ძიებისა და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში არაერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. ამ სტატიასა და მთელ კრებულსაც, დიდ ღირსებას მატებს მთიულეთის ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა (სქემა), რომელიც გულმოდგინედ შეუდგენია ჯ. გვასალიას.

ქართველ მთიელებს უძველესი დროიდანვე მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან. ამ ხალხების ენობრივი კონტაქტების ზოგიერთ საკითხს ეხება ფილოლოგიურ მეცნ. კანდ. თ. გონიაშვილი სტატიაში „ქართველთა და ნახთა კულტურული კონტაქტებიდან".

სწორადვე შენიშნავს ავტორი, იმასაც, რომ ქართველთა და ნახთა „ყოფასა და კულტურაში საერთო სპარბობდა განსხვავებულს." (გვ. 213). მკვლევარი, ეტყობა, ამას სახიერო კონტაქტების წყალობად მიიჩნევს, მაგრამ ეს ხომ თანაბარი ხარისხის კონტრაგენტებს გულისხმობს? სინამდვილეში კი სხვაგვარად იყო საქმე.

ხალხების ენობრივი კონტაქტები ძირითადად სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობითაა გაპირობებული. ამიტომ ასახსნელია რას ესესხულობენ ნახები ქართველებისაგან და, პირიქით. იმ მონაცემებიდან კი, რომლებზეც ავტორი მსჯელობს, კარგად ჩანს რა კულტურულ მისიას ახორციელებდა საქართველო ჩრდილო-კავკასიის მოძმე ხალხებში.

იური სიხარულიძე

„მარტინ ბაუმგარტნერის ჩანაწერები"

საინტერესო წყარო საქართველოსა და ქართველებზე

საყოველთაოდ ცნობილია, ისტორიულ წყაროებს შორის რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოელების რელაციებს. ეს განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ ესა თუ ის წყარო იმ პერიოდებს ჰფენს შუქს, რომელთა შესახებ სამამულო წყაროები არ მოგვეპოვება, არამედ იმითაც, რომ უცხოელები ხშირად ისეთ ვითარებებს აღწერდნენ, რომლებიც თანამედროულებს აუცილებელი არ მიაჩნდათ, რადგან ისინი საყოველთაოდ ცნობილნი, თავისთავად ცხადნი იყვნენ.

არსებობს არა ერთი უცხოური წყარო, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს ისტორიის შესწავლისას. ასეთი წყაროების გამოქვეყნება მნიშვნელოვან წილად დაკავშირებულია იმასთან, რომ უფრო შორსმხედველ დასავლეთევროპელ ავტორებს ესმოდათ უკრაინელი და ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების საერთაშორისო მნიშვნელობა ფეოდალური თურქეთის, მისი ვასალებისა და მოკავშირეების წინააღმდეგ.

ერთ-ერთი საინტერესო წყარო, რომელიც ამ დრომდე ისტორიკოსებს არ გამოუქვეყნებიათ, არის „მარტინ ბაუმგარტნერის მოგზაურობის ჩანაწერები".

1507 წელს ავსტრიელი რაინდი ბრაიტენბახელი მარტინ ბაუმგარტნერი (ბაუმგარტეკი) ეწვია ალექსანდრიას, იერუსალიმს, დამასკოს და ანტიოქიას. მასთან ერთად მოგზაურობდა მასწავლებელი — გეორგი კუფშტეინელი. საშობლოში დაბრუნების შემდეგ გეორგიმ ლათინურ ენაზე თარგმნა მარტინ ბაუმგარტნერის გერმანულ ენაზე დაწერილი მოგზაურობის ჩანაწერები. ამასთანავე მთარგმნელმა ისე საფუძვლიანად გადაამუშავა და შეავსო თარგმანი, რომ ამის გამო უახლეს ისტორიულ ნაშრომებში „ჩანაწერების" ავტორად მიჩნეულია კუფშტეინელი გეორგი[1].

ამ ორი მოგზაურის შემდგომი ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა: მარტინ ბაუმგარტნერმა შემდეგ ლუთერიანობა მიიღო, ხოლო გეორგი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამინგეში (ქვედა ავსტრია) კარტუზიანის მონასტრის „მარიას ტახტის" ბერი გახდა. 1529-1534 წწ. იგი ამ მონასტრის წინამძღვარი იყო. გარდაიცვალა 1541 წ.[2] იმიტომ რომ გეორგი ხანგრძლივი დროის მანძილზე გამინგში ცხოვრობდა, ისტორიულ წყაროებში იგი ხშირად მოხსენიებულია გეორგი გამინგელის სახელით. მაგრამ, რადგან მან ჯერ კიდევ გამინგეში დასახლებამდე იმოგზაურა, უკეთესია თუ მას კუფშტეინელ გეორგის ვუწოდებთ.

როგორც „მარტინ ბაუმგარტნერის მოგზაურობის ჩანაწერების" ტექსტიდან ჩანს, ერთ-

[1] A. Lhotsky. Quellenkunde zur mittelalterlichen Geschichte Österreichs. Graz-Köln, 1963, S. 462.

[2] იქვე.

ერთი ავტორი (უცნობია ეს თვით მარტინი თუ კუფშტეინელი გეორგი იყო) აგრეთვე პოლონეთსა და უკრაინაშიც ყოფილა. თუმცა შემონახულ ტექსტში ამის თაობაზე მხოლოდ მოკლე დაა საუბარი. უფრო დაწვრილებით აღმოსავლეთში მოგზაურობაა აღწერილი. აქ მოცემულია სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლების დახასიათება, რომლებთაც მოგზაურები ხვდებოდნენ. კერძოდ, იმ ნაწილში, რომელიც მიძღვნილია იერუსალიმისადმი (XVI თავი) მოტანილია ცნობები საქართველოსა და ქართველებზე. ჩანს, ავტორი არაერთხელ შეხვედრია ქართველ მოგზაურებს, რომლებიც იერუსალიმში მიდიოდნენ და აგრეთვე იმ მუდმივად მცხოვრებ ქართველებს. ეს ჩანს „ჩანაწერებში" მოტანილი ცნობებიდან, რომლებიც ქართველების გარეგნულ შეხედულებას ეხება. მისი სიტყვებით, ქართველები სხვა ხალხების წარმომადგენლებთან საქმიანი საუბრისას არაბულ (სარაცინის, ე. ი. ქალდეურ) ენას იყენებდნენ. ავტორი, ისე როგორც იმ დროის ყველა მოგზაური, იერუსალიმის ქრისტიანული ტაძრებით, მათ შორის ქართულითაც იყო დაინტერესებული. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველები მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნიანო (მისი სიტყვებით „ბერძნების შეცდომის მიბაძვითო"). მიუხედავად ამისა, „ჩანაწერების" ავტორი დაუფარავი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ქართველი ხალხის ვაჟკაცობაზე, უცხოელ დამპყრობლებთან მათ გმირულ ბრძოლაზე. საქართველო, მისი სიტყვებით, „კასპიის მთებამდეა გადაჭიმული". ქართველები, „თუმცა ყოველი მხრიდან სარაცინებითაა (ე. ი. მუსულმანური ხალხით — ი. ი.) შემორტყმული, არასოდეს არაფრის არ ეშინიათ, პირიქით, მათი სხვებს ეშინიათ". ქართველები „ძლიერნი და ვაჟკაცურნი არიან, მათ დიდძალი ლაშქარი ჰყავთ".

„ჩანაწერები" პირველად 1594 წ. ნიურნბერგში გამოქვეყნდა, განახორციელა იგი ევანგელიკელმა პასტორმა კრისტოფ დონაუერმა.[1] ინგლისური თარგმანი 1704 წ. ლონდონელმა წიგნით მოვაჭრეებმა ონშეგ ჩერჩილმა და ჯონ ჩერჩილმა გამოაქვეყნეს „სხვადასხვა მოგზაურობის ჩანაწერებს"[2] ოთხტომეული გამოცემის პირველ ტომში. ამავე ტომში იყო მოთავსებული ფრანგი ინჟინრის გ. ლევასერ დე ბოპლანის განთქმული „უკრაინის აღწერა".

მალე საჭირო გახდა ახალი გამოცემა, რომელიც 1732 წ. იმავე გამომცემლობის მიერ ექვსტომად გამოქვეყნდა («The travels of Martin Baumgarten» გამოქვეყნებულია I ტომში, გვ. 381—452).

ლონდონურ პუბლიკაციებში თარგმანის ტექსტი ნიურნბერგული დონაუერისეულ გამოცემის მიხედვით იყო განხორციელებული. მაგრამ მე-17 საუკ. მოგზაურობის ჩანაწერების ხელნაწერის მეორე ვარიანტიც არსებობდა. იგი გამინგენის მონასტრის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. სწორედ გეორგის „ჩანაწერების" ხელნაწერი ორიგინალის მიხედვით 1721 წ. ავსტრიელმა ისტორიკოსმა ბერჰარდ პეტცმა (1683—1735)[1] გამოსცა.

ამგვარად ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მკითხველებმა შესძლეს გასცნობოდნენ „მოგზაურობის ჩანაწერებს" და მათ შორის, იქ გამოქვეყნებულ ცნობებს ქართველებსა და საქართველოზე.

რამდენიმე სიტყვა ძეგლის მომდევნო კვლევებზე. ნაცნობი წყაროებიდან მას ახსენებს რ. რორიჰტი (Röhricht) თავის შრომაში «Deutsche Pilgerreisen nach dem Heiligen Lande» (ინსბრუკი, 1900 წ. გვ. 204), სპეციალური სტატია უძღვნა ამ ძეგლს მ. მაიერმა 1931 წ. ჟურნალში «Tiroler Heimatschriften», იქვე გამოქვეყნებულია ძეგლის გერმანული თარგმანი, სამწუხაროდ ძალიან უზუსტო, პირად სახელებში და თარიღებში დაშვებულია დასანანი შეცდომები.

უკანასკნელ ხანს ამ ძეგლით დაინტერესდა ავსტრიელი ისტორიკოსი ა. ლგოტსკი. შუასაუკუნეების ავსტრიის ისტორიის წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელო კრებულში გამოქვეყნებული მასალით. იგი გეორგი კუფშტეინის ჩანაწერებს „შუასაუკუნეების ისტორიოგრაფიული ძეგლების ერთ-ერთ გამოჩენილ ძეგლად" თვლის და იქვე ავტორის ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის.

ძეგლის მოკლე შინაარსი გადმოცემული იყო ჩვენს მოხსენებაში, რომელიც ქართველი

---

[1] Peregrinatio in Aegyptum, Arabiam, Palestinam et Syriam Philippi a Baumgarten et Martini filii in lucem edita studio Christiphori Donaveri. Norimbergae, 1594 (Экземпляр этого издания имеется в библиотеке им. Ленина в Москве).

[2] The travels of Martin Baumgarten. In: A. Collection of voyages and travels, vol. 1, Awnsham and John Churchill, 1704, S. 425—502 (Britisch Museum Catulogue of printed books, XXXIX, 251).

[1] Ephemeris sive diarium peregrinationis transmarinae, videlicet Aegypti, Monti Sinai, terrae sanctae ac Syriae. In: Thesaurus anecdotorum, Ed B. Per, t. 2, Augustae Vindelicorum, 1721. Биографические сведения о Б. Петце см. C. Wurzbach, Biographisches Lexikon des Kaisertums Österreich. Th. 22, Wien, 1870, S. 145—149.

და უკრაინელი ხალხის ისტორიულ კავშირს და და ძმურ მეგობრობას მიეძღვნა.[1]

პეტცის ლათინური გამოცემის მიხედვით (552 გვ.) მოგვყავს ტექსტის სრული თარგმანი, რომელიც ქართველებს ეხება. ინგლისური ტექსტი მისგან რამდენადმე განსხვავდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დონაუერის გამოცემის მიხედვითაა გაკეთებული.

„ქართველები (Georgiani) აღმოსავლელი ხალხია, მებრძოლი და უამრავი ლაშქარი ჰყავს. სახელწოდება საქართველომ მიიღო წმინდა გიორგიდან, რომელსაც ისინი თავიანთ მფარველად და მეფეროშად თვლიან, და თანაც დიდ პატივს სცემენ. ამბობენ, რომ მათი სამფლობელო კასპიის მთებამდეა გადაჭიმული. ამ ხალხს, თუმცა ყოველი მხრიდან სარაცინებით არიან გარშემორტყმული, არავისი არ ეშინია, პირიქით, მისი უფრო ეშინია სხვებს. და რამდენჯერაც არ ჩამოდიან იერუსალიმში ყოველთვის საბრძოლო მწყობრითა და გაშლილი დროშებით შედიან ქალაქში, ისე რომ ხელს არავინ არ უშლის და არც გადასახადს იხდიან. მათი წარჩინებული წრის ქალები ამაზონკებივ მსგავსად იარაღს ატარებენ, მამაკაცები არასოდეს თმასა და წვერს არ იპარსავენ. სხვადასხვა ფერის ქუდები ხურავთ. ყველაფერში (რწმეხაში) ბერძნების შეცდომას იმეორებენ. სასულიერო ხალხი მრგვალ თავსაბურავებს ატარებს, ხოლო მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები — ოთხკუთხედს. უფლის სიფლავის ტაძართან აქვთ წმიდა ჯვრის ამაღლების სამლოცველო სამი კარიბჭით.[1] მათივე ეკუთვნის აგრეთვე კალვარის[2] მთა.

გარდა ამისა, სიონის მთაზე ჰაო ეკუთვნით წმინდა ანგელოზთა ეკლესია, რომელიც ადრე პაპი ანეის სახლი გახლდათ. ღვთისმსახურების დროს ბერძნულ ენას იყენებენ, ხოლო საერო საქმეებში — სარაცინულს, ან კიდევ ქალდეურს“.

ჩვენ მიერ მიკვლეული წყარო მოწმობს, რომ იერუსალიმის ქართული კოლონია დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში საქართველოს შესახებ ცნობების გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

მიუხედავად იმისა, რომ „მოგზაურობის ჩანაწერების“ ავტორი ძუნწ ცნობებს გვაწვდის, ამით მაინც ახერხებს გადმოგვცეს მნიშვნელოვანი ცნობები მთელი რიგი ხალხების შესახებ, და მათ შორის ვაჟკაცური და თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის შესახებაც.

---

1 საქართველო-უკრაინის ისტორიულ ურთ-ერთობათა გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბილისი, ი. ა. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქ. მეც. აკად. 1967 წ. გვ. 78.

1 იერუსალიმში ჯვრის მონასტრის ეკლესია.

2 ე .ი. გოლგოთა. „ჩანაწერების“ სხვა ადგილას ნათქვამია, რომ გოლგოთა „ქართველი მეფის“ მფლობელობაში გადავიდა (ნაგულისხმევია სამცხე-საათაბაგოს სამთავროს მფლობელი) ეს მოხდა XV საუკ. 60-იან წლებში.

იაროსლავ ისაევიჩი

ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗ.

ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ